

114 /
263 / 3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ
ԿԵՆՏՐՈՆ

ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

114 / 3

43

1

1

9

6

3

963/3

მნათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 39-ე

№ 1

იანვარი, 1963 წ.

საბარათველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

9055

შინაარსი

გიორგი ლეონიძე. ლექსები	3
ედუარდ ყიფიანი — ვინც გაჩნდა ქვეყნად. მოთხრობა	5
ქარლო კალაძე — შედინადი. აფხაზური პოემა	37
ლიზბარ მანსურაძე — ბატალიონი შიღის. მოთხრობა	47
მ. წიშნიანიძე — ლექსები	68
ლადო მრეღაშვილი — ყაბაზი. რომანი. გაგრძელება	69
ოთარ ჭილაძე — გალაკტიონის სსოვნას. ლექსი	90
ვახტანგ ჭავჭავაძე — ლექსები	91
ქონ სტიინზბეი — ზამთარი ჩვენი მღვლეარებისა. რომანი. გაგრძელება. თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა	92

ნარკვევი

გრიგოლ ჩიქოვანი — აღამიანი შიღის წინ	106
--------------------------------------	-----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ირაკლი კენჭოშვილი — აკაკი გაწერელის ნოველები	118
ბესარიონ ხარანაული — ვეა-ფშაველას შემოქმედების ხალხური საწყისები	124
შოთა ძიძიგური — ილია ჭავჭავაძე და ჭარბული ლექსიკა	132
გ. ხარატიშვილი — ილია ჭავჭავაძე და უვარელი	140
ელგუჯა მაღრაძე — შეველე	145
ვაჟა ფლანტი — „კიტა აბაშიძე და მისი მსჯავრა ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ“	165

(იხ. მე-2 გვ.)



ნათელა ურუშაძე — თეატრის დიდი რეფორმატორი
 შოთა ზადრიძე — დიდი მეცნიერი და მოღვაწე



წიგნების მიმოხილვა

შალვა რადიანი — კოლაუ ნადირაძის „რჩეულის“ გამოცემის გამო	184
სარგის კაკაბაძე — მითრიდატე პონტოელი	186
შალვა ღლონტი — კრებული რუსთველოლოგიის საკითხებზე	188
ნოდარ მშვილდაძე — ნიკოლას გილიენის ლექსები ქართულად	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე
 პ/შგ. მდივანი: ვ. წულუყაძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
 ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/1-63 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7 1/4×12 1/2
 ფისაყურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16, უე 05212
 ტირაჟი 6500 შეკვეთა 117.

საქ. კპ ცვ-ის გამოშვებულმა „კომუნისტის“ სტამბა № 1. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.

გიორგი დონიძე

დროშა, აფრა გვექასოდა...

არ უნახავს
ჩვენს თაობას
უქარიშხლო ოკეანე;
გვეაგრავედა
და
გვადგერებდა
მოედნები მომკვიანე!

ბრუტსაბჰელას სიმუეუროვე
წამითაც კი არ იცოდა,
შემოგვასკდა ქვეყნის კლდენი,
გული აღრე დაიწოდა.

არ ჰყვავდა ჩვენთვის ასტრა,
იყო ჰვარტლით გაწუწული...
და გვიუვარდა, ვით არასდროს,
ჩვენი მიწის
საძუძური!

პური ბალახშერეული,
საზრდოდ გვექონდა მოწითალო;
წამითაც კი არ გვეცალა,
სანაფარდოდ, სამზისთვალოდ.

და როგორც ზღვის შენადენი,
სულ ვშრომობდით,
ვწიეთ ალო;
თუ აჩვილდა გული, სადღაც,
ლექსს ვეძახდით, მომავალნი!

ნასაყუჩარ გულის ჩქროლვას
იყო სიტყვა მორიდალი;
ჩვენ ცხოვრება გედარაჯობდა,
ვით გამყოლი ქორის თვალნი!

იყო ცეცხლით ნაეშბაზი
ჩვენი დროის მუხამბაზი!

ვით ეკალზე ბრწყინავს ვარდი,
ლამის ოქროდ—ციცნათელა,
მისთვის იყო ჩვენი ლექსი,
ცხოვრებამ რომ ვერ წათელა.

არ უნახავს
ჩვენს თაობას
უქარიშხლო ოკეანე.
დროშა, აფრა გვეაახოდა,
მოედნები მომკვიანე!

მინდვრის ყვავილი



მეფური ვარდი
 აქვს მგოსნებმა,
 სხვა შუქი მინდა,
 გულში გავიფლო...
 შენი სურნელი
 რად წეყნოსება,
 მორცხვო. ღარიბო,
 მინდვრის ყვავილო!..

ვინ გამოგგზავნა,
 რა დაგაბოა,
 და რას გადმომცემ
 ღიმილის შუქით?
 შენგან ეს გული
 ბევრჯერ გამთბარა,
 მაგრამ გინა ვარ
 კვალად ჭაბუკი?

როცა ყოველი
 შენი ჩურჩული
 ნაზი ხმა,
 მე გულს ნიტრიალებდა;
 წინ დგა სიბერე,
 როგორც უოჩხული,

დღეებს ნუმც მომცემს
 მიმტირალეთა!

ბეწვით ჰკიდიხარ,
 ციულავ, ცასა.
 ვისთვის, წარმოსთქვამ
 ციურ ლოცვას!

მითხარი, რატომ
 არ გეშინიან,
 რომ გაგიტანოს
 უცბად სახნისმა,
 ხომ სეტყვაც
 შენზე დაგეშილა,
 მოავალს ხომ
 მტვერი გაუსახლისა!

თავს დაგკანკალებ...
 ფიქრით ვითოვლებ,
 რომ არ შეგეხოს
 დღენი შავფერი;
 ყვავილო,
 შენთვის რა დაიტოვე,
 როცა მომეცი სუყველაფერი!

პირობა ყოიანი

ვინც გაჩნდა ქვეყნად

1

დღიხანია თვალს მიეფარა გოგითა, შავრამ მე მინც ვერ ვცილდები ფანჯარას, მინდა წარმოვიდგინო მთელი გზა ჩვენი სახლიდან ფილარმონიის ბალამდე. ალბათ, უკვე პლეხანოვის პროსპექტზე მიაბიჯებს ჩემი ბიჭი, წინ გურგენა მიუძღვება, ხანდახან უკან გამოხედავს გოგითას და აჩქარებს, არ დაგვაგვიანდესო. გოგითა ხელიკივით მიძვრება ხალხით სავსე ტროტუარზე და წარამარა თავის სასაცილო ქორორს ისწორებს, უკვე დიდი ბიჭია, მალე ცამეტე წელი შეუსრულდება...

„დედა, დღეს მინც წამოდი რა კინოში, — შემეხვეწა წასვლისას, — გურგენა უფასოდ შეგიყვანს, წამოდი რა, დედიკო, თუ გიყვარდე...“

ყველაფერს მატყობს, ვუშალავ, მაგრამ ყველაფერს ხვდება, ერთხელ ნამტრიალევსაც შემომისწრო ოთახში... მაგრამ ჩემსავით გულჩათხრობილი და უსიტყვოა.

— ახლა, ალბათ, ქუჩაზე გადადიან, „ნელა, ბიჭო“, გააფრთხილა გურგენამ და გამოქანებულ ავტობუსზე მიუთითა, გოგითა კი მინც გაიქცა და ბეწვზე გადაასწრო ავტობუსს. ეს რომ წარმოვიდგინე, გული შემიქანდა; იქნებ მართლა ასე მოხდა...

გურგენა ჩვენი მეზობელია, უფრო სწორად, ჩვენ გავხდით მისი მეზობელი, სულ მეორე წელია, რაც ბათუმიდან გადმოვედით და ამ სახლში დავიქირავეთ ბინა. გურგენა თბილისელი სომეხია, მაგრამ თავისი ენა კარგად არ

იცის, ხან ქართულს ამტკრევს, ხან რუსულს. კეთილი გულის კაცია, თუმცა კაცი არ ეთქმის, ჯერ ოცდახუთი წლის არც იქნება.

ალბათ, უკვე ახლოს არიან ფილარმონიის ბალთან...

გაუარეს სასტუმროს...

საკონდიტროს...

აი, უკვე ბაღშიც შევიდნენ.

ჩემი ბიჭი მეორედ მიმეფარა თვალს, ფანჯარას მოვიცილდი.

ისე დამშვიდებული ვარ, თითქოს ნამდვილად მიმეცილებინოს გოგითა სამსახურამდე... როგორ წამომცდა! რას ვიფიქრებდი ორი თვის წინათ, რომ ჩემი ბიჭი სამსახურს დაიწყებდა, სამსახურს კი არა, მუშაობას... და სახლში ფულს, შემოიტანდა.

გურგენა მექანიკოსად მუშაობს საზაფხულო კინოთეატრში. ოქროს ხელი აქვს, რა არ ეხერხება. გოგითას ფოტოაპარატის ხმარება ასწავლა, ახლა აკორდეონზე დაკვრაც უნდა შეეასწავლო.

„წამოვიდეს ჩემთან, ქალბატონო ელიკო, ზაფხულია, შკოლაში მინც არ დადის, ცოტა იმუშავოს, ცოტაც ფული გაკეთოს. თან გაერთობა, კინოები უფასოდ ნახამს“.

ძველებურ, დაბალ კარადაზე საათი წიკწიკებს. ცხრის ოცი წუთია.

ისევ თვალწინ დამიდგა ჩემი გოგითა. ის ახლა კინო „ოქტომბრის“ შენობიდან გამოდის და ფილარმონიის ბაღისკენ მიაბიჯებს, ან მირბის. ხელში უჭირავს თუნუქის მრგვალი, ვერცხლისფერი კოლოფი, რომელშიც ფილმის პირ

ველი ნაწილის ფირია დახვეული. მე-რე ისევე დაბრუნდება „ოქტომბრის“ საზამთრო კინოთეატრში და მეორე ნაწილს წამოიღებს, დააბრუნებს პირველს და მესამეს წამოიღებს, დააბრუნებს მესამეს და მეოთხეს გამოატანენ. ეს არის მისი სამუშაო. საზამთრო და საზაფხულო კინოთეატრები მეზობლად არიან, სულ ორასიოდე ნაბიჯი თუ იქნება გასავლელი, ამიტომ ხშირად ფილმის ერთი ეგზემპლარით აკმაყოფილებენ ორივე კინოთეატრს, განსაკუთრებით, პრემიერის დღეებში.

ნეტავ, არ ჩამეძინოს, თერთმეტ საათზე უნდა წავიდე გოგიტას მოსაყვანად. საშინლად უხარია, როცა ბალის შესასვლელთან დამინახავს ხოლმე. სამი საათის განშორებაც საკმარისია, რომ ერთმანეთა მოგვენატროს, თუმცა ყოველთვის მსაყვედურობს; რატომ მოხვედრი, დაგეძინა, დედა. ძია გურგენა ხომ აქ არისო. გულში კი, ალბათ, ფიქრობს, მარტოც შემიძლია მოსვლა, პატარა ნუ გკონივარო.

...საათის გვერდზე სურათია, რკინის-ფეხიან ჩარჩოში ჩასმული. მე და ბაქარმა გადავიღეთ თერთმეტი წლის წინათ, გოგიტას ახალი მოხდილი ჰქონდა ქუნთორუშა. ბაქარს სურათში მებღვაურის ფორმა აცვია, ბათუმის ნავსადგურში მუშაობდა სარემონტო დეპოს უფროსად. მე — აბრეშუმის თეთრი კაბა და ბეწვიანი ბერეტი. როგორ მიყვარდა სურათების გადაღება. როცა ვინმე ნაცნობთაგანი გადამიღებდა და მერე ვეღარ მომაწუდენდა, წლების განმავლობაში მახსოვდა და მინდოდა იმ სურათის ნახვა. ნეტავ, ახლა მაჩვენა რომელიმე იმ უნახავ სურათთაგანი.

ჯადოქრული ძალა აქვს ძველ სურათს, გგონია, რალაციის თქმა უნდა, რალაც ამბავი უნდა გაგიმტლანოს, რომელსაც იმ წლებში შენ გვერდი აუარე, ვერ შეამჩნიე და, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შენთვის. მაგრამ სურათი ვერ გეუბნება, ან არ გეუბნება და დაქინებით შემოგატყერის. რა უც-

ნაურია — საკუთარი სახე რომ გეუცხოვება ადამიანს, უბრალოდ ამხანაგიც კი უფრო კარგად იცნობს შენს გამომეტყველებას.

შევყურებ ჩემსა და ბაქარის სურათს და გულში მწარედ მეციდება. რას ვიფიქრებდი მაშინ...

სისულელეა სურათის ერთად გადაღება, გაივლის დრო და შეუბრალებლად დაგცინებს. ის ღიმილი, რომელიც სამუდამოდ აღგიბეჭდია ფოტოზე, თვითონ ფოტოს ღიმილად გადაიქცევა, ნიშნისმოგებით დაგირწყებს ყურებას. ჭაღალდზე ადვილია ერთად ყოფნაო, გეტყვის სურათი.

ოთახს ვათვალიერებ, მინდა რამე საქმე გამოვიძებნო და როგორმე გავეჭე ფიქრებს. ვიცი, ვერსად დავეძალე-ბი, ბოლოს დამიმორჩილებს, მაგრამ ყოველ საღამოს მაინც ვიწყებ ბრძოლას, წინასწარ ბრძოლას.

არაფერია გასაკეთებელი; მაგიდა დიდხანია დავალაგე, თეფშები დავერეცხე, თეთრეული ამ დილით გავეუთოე... ჰო, მართლა, წინდა რომ გამერღვა?

საშინაო ხალათის კალთა გადავიწიე და ყურთუჯულმა წვივზე დავიხედეთ. მთელ სიგრძეზე წასულა თვალი და ჩემი თეთრი კანი სხივივით ანათებს...

თვალის ამოყვანამ ვერ მიშველა. ქალის ხელსაქმე, ალბათ, გრძელი, დაუსრულებელი ფიქრებისთვისაა გაჩენილი, მე კი იმისთვის მოგვიღებ ხელი, რომ ამ ფიქრებს გავეჭეოდი.

სამზარეულოდან ჭურჭლის ხმაური ისმის. მიხარია. დეიდა პელო ვახშამს ამზადებს ალბათ. გავალ, მივეხმარები. ჩვენი სახლის პატრონია დეიდა პელო. ქმარი რკინიგზელი ჰყავდა, პენსიონერი, ამ ოთხი წლის წინათ გარდაეცვალა. დარჩა მარტოდმარტო მოხუცი ქალი, ალბათ, იმიტომ შეგვაცვალა სიმოვნებით, ქირაც ცოტა მოგვთხოვა.

— არა, შვილო, ელიკო, შენ შენი საქმე გეყოფა! — მეუბნება მოხუცი და გადაჭარბებული ძალდატანებით ხელიდან მართმევს ჭერ ტაფას, მერე კვერცხის

სადღეებსა და ცომზე გორაობით შე-
თერთებულ ბოთლს, — წადი, დაისვენე,
ამას მეც მოვერევი...

მოულოდნელად ჩუმდება და უეცრად
მეკითხება:

— გოგიტა უკვე წავიდა?

მოხუცი ცდილობს არ შემხედოს
სახეზე, ვიცი, აინტერესებს დღესაც
ნამტირალევი ვარ თუ არა, მაგრამ ით-
მენს, ხედება, რომ არ მსიამოვნებს ხო-
ლმე მისი გამომცდელი მზერა.

ისევ ოთახში ვბრუნდები, სარკესთან
თმებს ვიშლი და ვივარცხნი, ათივე
თითს ვაფათურებ თმებში, ახალგათეთ-
რებულ ლერებს ვეძებ. გოგიტასაც აქვს
ერთადერთი თეთრი თმა, ხუთი წლის
იყო რომ შევამჩნიე.

„ელიკო, შეიჭერი ეგ თმები, რა აშბა-
ვია ამ სიგრძე“, მეუბნებოდა ხოლმე
ბაქარი.

არც ეს შევესრულე.

ასე მითხრა თვითონ, ეს უბრალო
თხოვნაც არ შემისრულეო.

მერე ჩემი გრძელი თმებიც თითზე
დაიხვია ბაქარმა, თითქოს რაიმე მნიშ-
ვნელობა ჰქონდა ამას. ძველად არც მია-
ქცევდა ყურადღებას, არც დაამახსოფ-
რდებოდა, შევესრულე, თუ არა თხოვ-
ნა...

...არა! თმების ვარცხნაც მძიმე,
დაუსრულებელი ფიქრებისთვის ყოფი-
ლა გამოგონილი, არა, არ მინდა, არ
შემიძლია... ჩემი გამომეტყველება აშკა-
რად მანიშნებს საჩივრიდან, რომ თავს
ვიტყუებ: ვერსად დავემალეები ფიქრს.
წიგნი?!

კარადას ვათვლიერებ, ნაცნობი ყდ-
ბი, ნაცნობი სათაურები... ის წიგნი არ
დამიმთავრებია, რამდენი ხანია დავიწყე
და...

მაშინვე გამახსენდა რომანის გმირე-
ბი — ორი ძმა... ინჟინრები არიან... სა-
კუთარი გარაეი აქვთ... ტელევიზორის
გამოგონებაზე მუშაობენ, ჰო, სწორედ
იქ შეიქმნა: დღეაღმდეგ მშები, გადამწ-
ვეტი წუთია, თუ ახლა არ გამოჩნდა
ეკრანზე გამოსახულება, ყველაფერი

წყალში ჩაყრილად უნდა ჩასთვალონ...
უმცროსი ძმა მარტოა ტელევიზორთან,
მან ეკრანზე უნდა დაინახოს მწიკრებელ
ოთახში გასული შეყვარებული გოგონა
და უფროსი ძმა, თუ ასე მოხდება, გა-
მარჯვება ხელთა აქვთ...

ამ ადგილს ხმამალა ვკითხულობდი.
ბაქარი ვაზნობოდა და აინტერესებდა.
უეცრად შემაწყვეტინა. „ახლათ, ახლა
ამუშავდება მათი გამოგონება, — თქვა
სიცილით, — და უმცროსი ტელევიზო-
რის ეკრანზე დაინახავს, თუ როგორ
კოცნის შეყვარებულ გოგონას უფროსი
ძმა, აი, ნახე, თუ ასე არ მოხდება!“

მაგრამ ასე არ მოხდა.

„აბა, რაღას გვანიშნებდა ეგ დალო-
ცვილი, უფროს ძმასაც მოსწონსო“ —
უსაყვედურა ბაქარმა ავტორს.

...არა, არა-მეთქი, ვერც წიგნს წაი-
კითხავ, ვერაფერს ვერ გავაკეთებ ახ-
ლა. არა, არ შემიძლია, არაფერი შემიძ-
ლია, ველარ ვიშორებ ამ ფიქრებს, ყო-
ველი მხრიდან შემომსევია, ველარ ვი-
შორებ ბაქარის სახეს... რა ქნა, რა ქნა,
ღმერთო, რა ქნა!

თვალი ცრემლით მისველდება, გული
მეკუშვება, მითრთის ნიკაპი, სკამზე
ვჯდები და, თითქოს საშინლად ნაცემ-
ნაგვეში, ღონედაცლილი, მონასავით ვე-
მორჩილები ფიქრებს, როგორც წუ-
ხელ, როგორც გუშინწინ...

და როგორც წუხელ და გუშინწინ,
როგორც ამ ერთი თვის წინათ, ვიგონებ
იმ დღეს.

ეს იყო შარშან, ცხრამეტი ოქტომბ-
რის საღამოს...

სადილის შემდეგ ბაქარი და გოგიტა
ციკში წავიდნენ. მე კომპის მურაბა
მქონდა მოსახარში. თუმცა ისედაც არ
წავილოდი, არ მიყვარს ციკი. კომპის
თლაში დეიდა პელოც მეხმარებოდა.
ეისხედით სამზარეულოში და ვსაუბრო-
ბდით.

უეცრად ტელეფონის წკრიალი მოის-
მა.

— ვინ ეშმაკს გავახსენდი, ნეტა! —
ჩაიბუზღუნა დეიდა პელომ, დანა გააგ

ლო, წინსაფარი ჩაიფერთხა და თავის ოთახისკენ წაფარდა, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდა.

— შენა გთხოვენ, შვილო! — მითხრა და ისევ ჩამოჯდა, დანა მოიშარჯვა.

„ალბათ, ბაქარია, — გაეფიქრე მე, — ბილეთს აიღებდა და ცირკში მისვლას მთხოვს... თუ მართლა აიღო, წავალ, რა ექნა, მურაბას დეიდა პელო მიხედავს“.

ამ ფიქრებით მოხუცის ოთახში შევედი და ყურმილი ავიღე.

— ქალბატონი ელენე ბრძანდებით? — მომესმა სუფთა რუსულ ენაზე კაცის რბილი, მუსიკალური ხმა. მაშინვე რიგრიგობით თვალწინ გამოივლია ერთი, მეორე; მესამე ნაცნობის სახემ. იმის გაფიქრებაც მოვასწარი, თუ საიდან მიჩრქავდა თვითუფილი მათგანი და რა საქმე შეიძლება ჰქონოდათ ჩემთან. მაგრამ ყველა ვარაუდი მცდარი გამოდგა.

— დიახ, მე ვარ!

— ქალბატონო... მამატიეთ, რომ გეწუხებთ, მამატიეთ, რომ...

— ვინ ლაპარაკობს?!

— თქვენ მე არ მიცნობთ... — მომეჩვენა, რომ კაცს ხმა უკანკალებდა, — ამას არცა აქვს ამ წუთში მნიშვნელობა... მე მინდა... მე ვალდებულად ვთვლი თავს, შეგატყობინოთ არასასიამოვნო ამბავი...

თვალწინ დამიდგა ათასი საშინელება... ავარია... გოგონა, ბაქარი... წარმოვიდგინე, რომ ის კაცი მილიციიდან მიჩრქავდა, იმ საშინელების თქმა უძიროდა.

— რა მოხდა, მითხარით, რა მოხდა?! — შევეყირე აღელვებულმა.

— ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გამოსწორება, ქალბატონო, ეს თქვენზეა და მოკიდებული.

„თქვენზეა დამოკიდებული“?

რა უნდა იყოს ჩემზე დამოკიდებული? ნამდვილად ვეშლები ამ კაცს.

— ბოდიში, თქვენ ვის ურეკავთ? — უნებურად ქართულად შევეყითხე, მაგრამ კაცმა ვერ გაიგო და რუსულად გავუმეორე შეკითხვა.

— თქვენ — ქალბატონო, სამწუხაროდ — თქვენი დიდხანს ცრემლმდრი, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია, შეგვარაფერი გაეწუხე... ვგრძნობ, არ ვიქცევი წესიერად, მამაკაცმა ასე არ უნდა დაიმდაბლოს თავი, მაგრამ თქვენს იქით მე გზა არა მაქვს...

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა რატომღაც მაფიქრებინა, რომ ვიღაც ყმაწვილი ხუმრობის გუნებაზე დამდგარიყო და გართობის მიზნით ტელეფონისთვის მიემართნა, ახლა უიმედო სიყვარულში გამომიტყდება და მაცნობებს, რომ თავს იკლავს, რომ „სხვა გზა არა აქვს“ და მხოლოდ მე შემიძლია „ამ მდგომარეობის გამოსწორება...“ იციან ხოლმე ახალგაზრდებმა ასეთი ოიხები.

— იცი, რას გეტყვით?! — ვთქვი გაბრაზებულმა, — სხვა ვინმე მოძებნეთ გასართობად, თუ მეორედ გაგიბედიათ, იცოდეთ, მილიციას შევატყობინებ! — ყურმილი ჩამოვეცი და ოთახიდან გამოვედი.

მაგრამ როგორც კი საშარეულოს მივეუახლოვდი, ტელეფონმა ხელმეორედ დარეკა.

— თავი დაანებეთ, დეიდა პელო, ვიღაც ლაზღანდარაა, ეტყობა, საქმე არა აქვს და... — ვთქვი მე და დეიდა პელოს მხარზე ხელი დავადე, რომ არ ამდგარიყო.

მაგრამ ტელეფონი დაჟინებით რეკდა, ყურათსმენა წაიღო, ნერვები ავკიშალა ორივეს.

გადავწყვიტე, სასტიკად გამელანძღის თავხედი, ისევ შევირბინე ოთახში და ყურმილს ხელი დავტაცე:

— ყმაწვილო, თქვენ საქმე გამოგელიათ? იცით თუ არა, რომ...

— ქალბატონო, მე ყმაწვილი არ ვარ, ორმოცდაათს გადავაცილე დიდხანს... — ახლა აშკარად უკანკალებდა ხმა, — არ მინდოდა პირდაპირ მეთქვა ყველაფერი, გიცოდებდით, მაგრამ ახლა გეტყვით: ყურადღება მიაქციეთ თქვენს ქმარს, თუ თქვენი ოჯახის ბედ-

წიერება გინდათ, ყურადღება მიამოცით...

— რა... რა ყურადღება... რა... რას ამბობთ... — მეც ამითართოლა ხმა.

— ბაქარი ყოველდღე ხვდება ერთ ქალს, ყოველდღე ერთად არიან... და დიან ქალაქგარეთ... გაფრთხილებთ, ქალბატონო, დროზე ჩაერიეთ, თორემ გაუბედურდებით, თუ გიყვართ ბაქარი, დროზე ჩაერიეთ!

და ყურმილი დაკიდა. ენაზე მომდგარი სიტყვები: „საიდან მოიტანეთ ეგ ამბავი?“ „ეინ ხართ თქვენ?“ ენაზევე შემადნა.

დღახანს ვიდექი გაშტერებული, დიდხანს არ ვკვიდები ყურმილს, ავისმულწყებელი განგაშივით ჩამესმოდა ტელეფონის წყვეტილი წული. არ ვიცოდი რა მექნა, ან რა მეფიქრა, თითქოს მიწა გამომეცალა ფეხქვეშ. რა იყო ეს? ზუმრობა? თუ სინამდვილე? თუ ზუმრობა იყო, რატომ არ გამეცინა გულიანად, რატომ არ ვიფიქრე, სისულელეს რომავის-მეთქი ის ვილაც ყმაწვილი, თუ ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცი. და რატომ მომაგონდა მაშინვე ბაქარის პირვეული საყვედურები, რომ ამ ბოლო დროს მე უფრო ალარ მცალია მისთვის, რომ სულ დაღლილი ვარ, ან მეძინება, ან ავად ვარ, რომ, ბოლოსდაბოლოს, ბაქარი ჭერ ცოცხალია და, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, კაცია... რატომ მომაგონდა ეს?

და თუ სინამდვილე იყო იმ კაცის ნათქვამი, მაშინ რატომ არ ავტირდი, რატომ არ ჩავთვალე ჩემი თავი უუბედურეს ადამიანად ქვეყანაზე?

ილბათ, მაშინ ზედმეტად ბედნიერი... ჰო, ზედმეტად ბედნიერი მეჩვენებოდა ჩემი უშფოთველი ცხოვრება, რომ ის ამბავი ზუმრობად მიმელო, და დიდი იყო ბედნიერების შენარჩუნების სურვილი, რომ სინამდვილე მერწმუნა.

მთლად ვკანკალებდი, ყოველი ჩემი ნერვი წინათგრძნობით იყო დანაღმული. ვგრძნობდი, შინ ვეღარ გავჩერდებოდი, დეიდა პელოსთან ვეღარ განვფა-

რძობდი ჩვეულებრივ საუბარს. ისე ერთბაშად და ყოველი მხრედაწმენილი სიენ ფიქრები, ისე შეცვლილად გამოუშვებდა თვალწინ ჩვენი წარსული დღეების უმნიშვნელო სურათიც კი, რომ სულ სხვა შინაარსი მიეცა ყველაფერს. ბაქარის ღიმილი, ბაქარის ალერსი, ყოველი „მივდივარ“, თვითველი „დამაგვიანდება“, სხვაგვარად გამოჩნდა, ნიღაბი აეხადა თითქოს, და ღიმილი გათვალთშავებულა, ალერსი გაორპირდა...

— რა მოხდა, ელიკო? — მომესმა დეიდა პელოს ხმა და ფიქრები დამეფანტა. არ ვიცოდი, საიდან მოვისახრე ისე უცხრად:

— ჩემი მძა იყო... ბავშვი ვახდომია ავად (ყასიდად ავღელდი), ექიმის მიყვანას მთხოვეს, გარეთ ვერ გამოვდივარო...

— წადი, შვილო, წადი ჩქარა, ნეტარა დაემართა იმ საწყალს?.. ეხლა ისეთი გრიბი დადის, რომ...

არ ვიცოდი, დამიჭერა თუ არა დეიდა პელომ, მაგრამ არ შემეძლო იმ წუთში ბაქარი არ მენახა, არ დავრწმუნებულყავი, რომ ყველაფერი ტყუილია, რომ მე ისევ ბედნიერი ქალი ვარ, ჩემი საყუთარი ოჯახი გამაჩნია, მყავს ლამაზი ბიჭუნა და მოსიყვარულე ქმარი.

ზუთი წუთის შემდეგ უკვე ცირკისკენ მივქროდი, სანაპირო ქუჩით. აღარც მახსოვს, რა ჩავიცვი, როგორ ჩავიცვი არც ის ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ბაქარისთვის, როგორ დამეწყო, ან როგორ დამემთავრებინა. იქნებ იმ ქალს უნდა შეხვედროდა ცირკში? მაშინ გოგიტას რატომღა წაიყვანდა?.. ჩემი თვალის ასახვევად? ვინ არის ის კაცი? საიდან იცნობს ბაქარს? ან საიდან გაიგო, რომ ბაქარი შინ არ იყო?

უთვალავ, შემაშფოთებელ შეკითხვას მისევამდა ჩემი გონება, შეკითხვები მოდიოდა ლაღად და არ ილეოდა, როგორც მღვლევარე ზღვას არ ელევა მღვრიე ტალღები, მაგრამ ყველა უბასუხოდ რჩებოდა, ყველა აღწევდა უცნობ ნაპირს და იმსხვრეოდა. და მეჩ-

ვენებოდა, რომ მე ვთამაშობდი: რომ ოდესმე მართლა ასე დამირეკავს ვინმე, მართლა ასე შემამოფოთებს, მართლა ავლელდები და ბაქარის საძებრად გამოვევარდები ქუჩაში, მაგრამ ახლა... ახლა ვთამაშობ მხოლოდ, ახლა არაფერი მომხდარა... ახლა, უბრალოდ, ცირკში მინდა წასვლა...

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის შენობას ჩავუარე. რამდენჯერ მოვსულვარ აქ ხელფასის დარიგების დღეს, რომ ბაქარი გამომეძახა და სადილის ფული გამომერთმია...

აღარ დარჩა ბაქარი ასპირანტურაში, დაუსწრებლად დაამთავრა მექანიკური ფაკულტეტი და გამომგონებლობამ გაიტაცა, ამ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, ეკვე ექვსი მოწმობა აქვს გამოგონებისა, იქნებ მეშვიდეც აიღო, არ ვიცო, მეორე თვეა აღარაფერი ვიცი ბაქარზე... რად გინდოდა ფილოლოგიურზე რომ შედიოდით, მეუბნებოდა ხშირად ბაქარი, გესწავლა უცხო ენები, გარეთ ფეხის ვადგმა არ დაგვირდებოდა (ვითომ ახლა ვადგამ), მოწაფეები თვითონ მოგაკითხავდნენ შინო...

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საამქროები დღესათვის იყო განათებული, ისმოდა დაზგების შეწყობილი ხმაური, ყოველი ფანჯრის იქით ფერადი ძაფების ცისარტყელა ირხეოდა.

გმირთა მოედანზე გავედი და ცირკისკენ ავიხედე. მთიდან ამოზრდილ ცირკის მრგვალ შენობას ენასავით გადმოეგდო გრძელი კაბე, ორივე მხრიდან ლამპიონებით განათებული. კიბეზე ხალხი ჩამოდიოდა. ხის ჩრდილში შევიძალე და გაფაცვიცებით დავიწყე თვალთვალი...

მთელმა საუკუნემ გაიარა, კიბე დაცარიელდა. ბაქარი კი არსად ჩანდა. საშინელმა ეჭვმა შემიპყრო. ნუთუ მომატყუა და სხვაგან წაივინა? მერე გოგია? უეცრად შიშმა ამიტანა, ექვის დადასტურების შიშმა, მაგრამ რას ვეფიქრებდი, რომ ბაქარის დანახვა უფრო შემაშინებდა...

ისინი ძვაბიკეებით მოლახლანდარობდნენ, ვეებერთელა, ბეჭებგადამსკდარი ბაქარი და პატარა, კონტა გოგია. ჩემი საყვარელი, ყველაზე საყვარელი ადამიანები... ბაქარი პაპიროსს აბოლებდა, გოგია რაღაცას უამბობდა მამას, აპყურებდა და გატაცებით ლაპარაკობდა, ისეთი კმაყოფილება, ისეთი სიხარული იშვიათად მინახავს ჩემი შეილის სახეზე. და უეცრად შევკრთი, დავფრთხი, აღარ ვიციოდით როგორ ამეხსნა ჩემი იქ ყოფნა, რით დამეკმაყოფილებინა მათი მოსალოდნელი განცვიფრება, და გამოვიქეცი. გამოვიქეცი შერცხენილი, გაწბილებული ბავშვივით, რომელიც შეუგნებლად გრძნობს, რომ დამალვისთანავე სირცხვილი თავისთავად გაქრება.

გვიან, ღამით, როცა წიგნების კარადასა და ბუფეტს შორის გაქიმულ ფარდის იქით მოისმა გოგითა მშვიდი, ღრმა სუნთქვა, ბაქარმა თავისი ლოგინიდან წამოიწია და ჩურჩულით მკითხა:

— რატომ არ იძინებ?

— რა ვიცი... არ მეძინება.

— ამ საღამოს რაღაც უგუნებოდ

იყავი, ავად ხომ არა ხარ? რატომ მომეჩვენა მაშინ ბაქარის ხმა ისეთი თბილი, მოალერსე, სინდისის ქენჯნა ხომ არ ბადებს ზომავზე გადასულ თანაგრძნობას?

— არა, ავად აღარ ვარ... მოვრჩი!

საწოლი აქრატუნდა, მეგონა ჩემთან გადმოსვლას აპირებდა, მაგრამ შევეცადა. ბაქარი ისევ წამოწვა.

— სამსახურში ვფიქრობდი, ფეხმძიმედ ხომ არ არის-მეთქი.

— არა, ბაქარი! — უნებურად ისე მწარედ ჩამეცინა, ბაქარი რომ არ მიმზვდარიყო ჩემს ფიქრებს, სასწრაფოდ დავუმატე, — ხომ გეტყობდი!

გულში კი ვთქვი: „რა გულუბრყვილო ხარ, ჩემო საყვარელო ქმარო... რა გულუბრყვილო ხარ...“

— დეიდა პელომ მკითხა, როგორ არის ელკოს ძმის შვილიო, ექიმმა რა თქვაო... რა დაემართა?



— არაფერი არ დამართნია — ვთქვი მე, რადგან უეცრად ვიგრძენი, თუ ყველაფერს არ ვეტყოდი და ყველაფერში არ გავერკვეოდი, მოსვენება დამეკარგებოდა და თეთრად გავათენებდი ღამეს.

— აბა, რატომ დაგირეკა?

— ჩემს ძმას არ დაურეკავს... ვილაც კაცი იყო!

— კაცი? რა ჯანდაბა უნდოდა!

— რა ვიცი, რუსი იყო ვილაც.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, ვიგრძენი, ბაქარს სუნთქვა შეეკრა.

— ვინ რუსი... რა უნდოდა?! — ძლივს ამოიღო ბოლოს ხმა.

— არაფერი, ბაქარ.. — ჩუმი სიცილი დაეწყო მე, როგორც მხიარული ანგვლოტის თქმამდე ეცინება ხოლმე ზოგიერთ მთქმელს, — შენს ქმარსო...

სულელი იყო ვილაც... შენს ქმარს ყური უგდებო... ალბათ, მისამართი შეეშალა...

ყური უგდებ, ვილაც ქალთან დაღის ყოველდღეო... ღმერთო, რამდენი მოკლილია ამ ქვეყანაზე... ქალაქგარეთ დადიანო... კინალამ სიცილით გავიგუდებ, ბაქარ...

მხოლოდ საათის წიკწიკი ისმოდა ოთახში, მხოლოდ საათის წიკწიკი და გოგიტას ფშვინვა.

— კარგი ახლა, დაიძინე... ზვალ ადრე ვარ ასადგომი, — მოისმა ბაქარის ჩამქარალი ხმა, — ყველას კი არ უნდა გაუბა მასლაათი!

— რა მექნა, ბაქარ, — ვითომ ძლივს ვიკაეებდი სიცილს, — რა მექნა, ყურმილი დაეუკიდებ და ისევ დარეკა, რეკდა, რეკდა, არ ეშვებოდა ტელეფონს...

— კარგი, ჰო, დაიძინე...

სიბნელე იყო და მიხაროდა, რომ ბაქარი დიდი მადლობელი იყო ამ სიბნელის, რომ მე ვერაფერს შევატყობდო სახეზე. სიბნელე იყო, თითქოს ისევ ტელეფონით ვლაპარაკობდი.

კარგახნის დუმილის შემდეგ ბაქარმა თქვა:

— ამხანაგი იქნებოდა ფაბრიკიდან, დათვრა, ალბათ, და ჩემი გამასხრება

გადაწყვიტა... ერთი გავიგო, ავახვე ყურებს...

ისევ დადუმდა და მერე-ვითომ ძილში წასული ხმით დაუმატა:

— ანდა, შენ მოსწონხარ, ვილაცა...

ღრმად ამოიხვნეშა და თანაბარი სუნთქვა დაიწყო, „ჩამეძინაო“, მანიშნა.

მაგრამ გათენებამდე თვალი არ დაუხუჭავს.

ორმა დღემ გაიარა და ყველაფერი სისულელედ მომეჩვენა, ეჭვი გამეფანტა, ისევ გავმხიარულდი, მიხდოდა რაღაც კარგი გამეყეთებინა ბაქარისთვის, რომ ამით ბოდიში მომეხადა მის წინაშე, იმ გაუმქდავებელი ცილისწამებისათვის თავი დამესაჯა. თითქოს უფრო შემოყვარდა ბაქარი, გულში დავცინოდი იმ ვილაც ტელეფონის ლაზღანდარას, უფრო მეტად კი ჩემს საკუთარ თავს დავცინოდი.

მაგრამ მეოთხე დღეს დეიდა პელოს ოთახში ისევ აწკრიალდა ტელეფონი. ის უცნობი ახლა გაბრაზებული მელაპარაკებოდა — ხომ კარვად გეცნობო რუსულიო, ხომ გაიგეთ მაშინ რაც ვითხარითო...

ჰოდა, თუ გაიგეთ, რას გაჩუმებულხართ, რატომ უცდით ასე გულზელდაკრეფილი საკუთარ უბედურებასო... ვინაობა არ გამიმეღაენა თვისი, არც იმ ქალის...

და ასე მირეკავდა ყოველ კვირას, თითქმის ორი თვის განმავლობაში. გაბრაზება ბოლოს ხეწწანა-მუღარით შესცვალა, მეჩვენებოდა, თითქოს მუხლებზე დაჩოქილი მელაპარაკებოდა... იმ დროს ბაქარი არასოდეს არ იყო ხოლმე შინ.

და მე მივხვდი, რომ უცნობმა იცოდა ბაქარის ასავალ-დასავალი, მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი საქციელი, ბაქარის და იმ ქალისაც...

და მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, რომ ლაზღანდარობისთვის არავის ეცალა, რომ მე ნამდვილად უბედურა ვიყავი.

ბაქარი ზუმრობაში მიტარებდა ყველაფერს. „დღეს არ დაურეკავს შენს თაყვანისმცემელს?“ მეკითხებოდა სიცილით სამსახურიდან დაბრუნებისას.

თუ „არას“ ვეტყვოდი, „მითანაგრძნობდა“ და „გამამხნევებდა“, „იმედი იქონიე, არ დაგივიწყებსო“. თუ დამირეკავდა, მაშინ მე თვითონ ვეტყვოდი, ზუსტად გადაცემული ხოლმე ჩვენს დიალოგს, და ბაქარი ისევ სიცილით იგერიებდა: „მადლობა მაინც უთხარი იმ კაცს, რომ გართობსო“.

ახლა, როცა ეს მახსენდება, თითქოს შეცოდება ბაქარი, რას არ ცდილობდა, როგორ არ მსახიობობდა, რომ ჩემი ექვი გაექარწყლებინა.

ბოლოს იმ კაცმა შეწყვიტა რუკვა, გადიოდა კვირები და ტელეფონი დუმდა. მე ის-ის იყო მზად ვიყავი კიდევ დამეცინა საკუთარი თავისთვის, მასხრად ამეგლო ჩემი შიში და ექვი, მაგრამ ერთხელ...

ერთ მშვენიერ დღეს გოგიტას სკოლაში დამიბარეს, მეოთხედის ნიშნებს არიგებდნენ. გოგიტა კარგად სწავლობდა მაშინ, ყოველმხრივ ხელს ვუწყობდი. სკოლიდან ლენინის მოედნისკენ გავესწიეთ, მინდოდა „ბავშვთა სამყაროში“ შემეველო და გოგიტასთვის რაიმე საჩუქარი მეყიდა. გოგიტამ იცოდა, რომ ადრე შეპირებულ ორთელიან ველოსიპედს ვერ ვუყიდდი და ახლა იმაზე ფიქრობდა, რა იაფფასიანი საჩუქარი ამოურჩია თავისთვის.

ტროლეიბუსი ხალხით იყო გაქედილი, ჩვენ ფეხზე ვიდექით, თან მწყინდა, თან მიხაროდა, რომ ბოლო დროს მგზავრები ადგილს აღარ უთმობდნენ გოგიტას, უკვე აღარ მიჩანდათ ბავშვად. გოგიტაც იფერებდა ამას და თუ ვინმე ადგილს დაუთმობდა, გაჩიუტდებოდა, თავს ჩაღუნავდა და არაფრით არ დაჯდებოდა.

ჩემს უკან კონდუქტორი ქალი ვილაც მგზავრს წვრილ ფულს თხოვდა, მანეთიანს ვერ დაგიხურდავებთო. აღარ მახსოვს ამ სიტყვებს მაშინ მივაქციე ყურადღება, თუ მერე გავიხსენე, ალბათ, მერე გავიხსენე...

— რა ვქნა, წვრილი ფული არა მაქვს, ძვირფასო! — უპასუხა კაცმა.

ამ ხმის გაგონება და ჩემი გაფიქრება ერთი იყო. სწრაფად მოვიხედე მგზავრებს შორის და ვინახე მადლიერი წვერულეაშგაპარსული კაცის პროფილი, კონდუქტორს შეჰყურებდა დამანაშავის ღიმილით და, ეტყობა, ჯიბეებს იქეჭავდა.

— როცა ტროლეიბუსში შემოდიხართ, წვრილი ფული უნდა მოიძარაგოთ! — ისეთი ხანჯასმული ნიშნისმოგებით შენიშნა კონდუქტორმა ქალმა, თითქოს საბედისწერო შეცდომაში დაიჭირა მგზავრი.

— მე მგონი, თქვენც ვალდებული ხართ... — კვლავ დამანაშავესავით გაიღიმა კაცმა.

„ის არის! — გამიელვა გონებაში. — მისი ხმა!“

მთლად აეკანკალდი, გოგიტას ხელი ვუჭვი, რომ არ შეემჩნია ჩემი აღელვება.

— ახლა, სულერთია, ჩამოვდივარ, — უთხრა უცნობმა კონდუქტორს, — ვეცდები, სხვა დროს არ გაწყენინოთ კონდუქტორი გაბრაზებული იყო და ყურადღება არ მიუქცევია მისი სიტყვებისათვის.

ტროლეიბუსი ბორჯომის წყლების მალაზიასთან გაჩერდა. ჩემი უცნობი უკანა ჩასასვლელთან გაუჩინარდა. გოგიტას ორივე ხელი ჩავჭიდე მხრებში და აჩქარებით, ცოტა უხეშად, წინ წავიმძღვარე კარისკენ.

— დედა, აქ რატომ ჩამოვდივართ? — ამომხედა განცვიფრებულმა.

— ფეხით წავიდეთ, გზად სხვა მალაზიებიც არის!

ფართო ტროტუარზე, გაზონსა და სახლებს შორის, წიგნები გამოვფინათ გასაყიდად. საბავშვო წიგნის კვირეული იყო. უცნობს ხელები ზურგსუკან შემოეწყუო და დახლს დაჰყურებდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თვალწინ რომ აგეცალათ მისთვის დახლიც, წიგნებიც და გამყიდველიც, რომ გამქრალიყო ეს აბაურებული ქუჩაც და ქალაქიც, იგი ისევ ისე ზურგზე ხელებშემოდებული

და გაშტერებული დარჩებოდა. არ ვიცოდი, რა მექნა, დამეწრო თუ არა გოგიტა ჩვენს საუბარზე, რომელიც, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა. მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო, უცნობი შეიძლება წასულიყო...

მკლავზე ფრთხილად შევახე ხელი, გაკვირვებულმა შემომხედა. ცისფერი, ჰკვიანი თვალები ჰქონდა, ჭადრაგარეული წარბები...

— ბოდიში... — ვთქვი მე და ენა დაჰგება.

— გისმენთ, ქალბატონო!

„ქალბატონო!“... ის არის!

— ბოდიში, რომ გაწუხებთ, მე... მე ბაქარის ცოლი ვარ... ელიკო... ელენე... თქვენ მირეკავდით ზოლმე, თუ არ ვცდები...

მისმა თვალებმა ერთბაშად გამოამჩვლენა აჩქარებული, სწრაფად ამუშავებული ფიქრის უამრავი სახეცვლილება, მაგრამ გონებამ მაშინვე გამოძებნა საჭირო პასუხი:

— გეშლებათ, ქალბატონო, მე თქვენ არ მიცნობთ, ამ ქალაქში მე არავის ვიცნობ! — და ზურგი შემაქცია.

საშინლად შემრცხვა, გაეწითლდი.

— მბატიეთ... — გამეცინა სულელურად, — რამდენი მოცილილია ამ ქვეყანაზე, საქმე არა აქვთ და რეკავენ უმისამართოდ... ერთობიანი!

უცნობი სწრაფად შემობრუნდა, მისი მშვიდი სახე სულ ერთიანად შეცვლილიყო, რისხვა და სინანული დაუქვრებლად შეხმატბილებულიყო მის ტუჩებსა და თვალებში.

— ერთობიანი?!... თქვენ თქვით, რომ ერთობიანო? — მწარედ ჩაეცინა.

— დიახ... ხმა მივამსგავსე თქვენი და... შევეცი, ბოდიშს ვიხდი!

— არ შემცდარხართ, მე გირეკავდით! — თქვა საოცრად უბრალოდ, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ისე იქცეოდა, ვითომ დიდი ხანია მიცნობდა, იცოდა ჩემი ხასიათი, წინასწარ გრძნობდა ჩემს შეკითხვებს და პასუხებს, და არაფერი უკვირდა, ბოლოს დაუმა-

ტა, — კარგი სმენა გქონიათ... მაგრამ ჩვენს შეხვედრას ახლა აღარავითარი აზრი აღარა აქვს! — ისევე შეხებულა და წასვლა დააპირა.

— რატომ, რა მოხდა?! — წამოვიყვირე შუა ქუჩაში, გამვლელთა ყურადღება მივიქციე უნებურად.

— როგორ გთხოვდით, როგორ გვეუბრებოდით... — უცნობმა ხელები წინ გამოიწვინა და ენით უთქმელი საყვედური გამოეხატა სახეზე, საყვედური იმისა, რომ მე სულ ადვილად შემეძლო მისი დახმარება და არ მოვისურვე. მაგრამ იმ წუთშივე შეეცვალა გამოხედვა, უსახელო, მოუნათლავი გამომეტყველება აიკრა ნიღაბით, — ახლა გვიანია, მაიამ თავისი გაიტანა, არ ვიცი როგორ მოახერხა, მაგრამ გამეყარა... უკვე სამი კვირა გავიდა მას შემდეგ.

— ვინ არის მაია?!

— ჩემი ყოფილი ცოლი!

— ის ქალი, ვინც ბაქართან...

— დიახ, „ის ქალი, ვინც ბაქართან...“

— გამომაჯავრა, ცივად დამიკრა თავი და წავიდა.

მიწა იძრა, იძრა და აღარ შეჩერებულა, ირხეოდა ჩემს ფეხქვეშ ნიადაგი. რომ არ წავტეულიყავი, ხელი წაებთანე გოგიტას და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე მისი უმწეო, გადიდებული თვლები, სრულიად უცნობი, ახალი გამომეტყველება, მომავალი პირველი ნაოკის პირველი გადარბენა.

რუსული ენა კარგად არ ესმოდა გოგიტას, დარწმუნებული ვიყავი, ბოლომდე ვერ ჩახვდებოდა ჩვენი ლაპარაკის აზრს. მე თვითონ მინდოდა მეთქვა ყველაფერი, პირველად ჩემი შვილისთვის შემეჩვილა ჩემი მწუხარება. მაგრამ ამით ბოროტებას ჩავიდენდი...

გოგიტას თავდავიწყებით უყვარს მამამისი, ბაქარია მისი ყველაზე, ყველაზე საყვარელი ამხანაგი. მახსოვს, შეეყურებდი ზოლმე მათ და ვფიქრობდი იმ საოცრად ძლიერ გრძნობაზე, რომელსაც მამაკაცთა მეგობრობა ჰქვია. ეს

არის ერთადერთი უნო სიყვარული სიყვარულთა შორის, ამ სიყვარულმა გააბატონა ადამიანი ქვეყანაზე.

ბაქარს არაფერი გაკვირვებია, პირიქით, მგონი გაეხარა კიდევ, რომ უკვე ყველაფერი ვიცოდი, მე ვერასოდეს გამოგიტყდებოდიო, მითხრა.

— რაც გინდა, იფიქრე ჩემზე, შემოძულე, გამლანძლე, სასიკვდილოდ გამოიმეტე, ოღონდ ერთი დამიჯერე — ყველაფერი ჩემს უნებურად მოხდა, დიდხანს ვებრძოლე თავს, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ამხელა კაცი ვარ და მე თვითონ ვერ ვხვდები, რა დამემართა, დამიჯერე, ელიკო, ვფიცავ ყველაფერს, გოგიტას ვფიცავ, მე თვითონ ვერ ვხვდები, რა დამემართა...

— წადი! — ვუთხარი მე — წადი და ბაქარი წავიდა.

ღმერთო, ნუთუ არსებობს ქვეყნად ამაზე დიდი ტყვილი? გამოგარჩიონ სხვებს შორის, გითხრან, რომ შენ ხარ ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჰკვიანი და ყველაზე სასურველი, და იამაყო ზედნიერებისგან ცრემლმორეულმა, რომ ასე საჭირო და სიხარულის მომტანი ხარ მისთვის... და მერე დარწმუნდე, რომ თურმე ტყუილი ყოფილა ეს... თურმე ქვეყნად იმ ერთი კაცისთვისაც კი არ წარმოადგენდი რაიმეს, იმ ერთი კაცისთვისაც კი... სხვისი სიყვარული, სხვისი ღიმილი და სხეული ყოფილა შენაზე სასურველი, იმ სხვას ჰქონია შენზე მეტი მიმზიდველობა და მომზიბლობა, ის უფრო მდიდარი ყოფილა თავისი სულით, მასთან ცხოვრება უფრო საინტერესოდ მიუჩნევიათ... და იცხოვრებენ ახლა ისინი, არასოდეს ჩაგახედებენ საკუთარ გულში, ველარც მათ სიხარულს გაიგებ, ველარც მათ ტყვილს, როგორც დღემდე შენს ტყვილსა და სიხარულს ფარავდი ავი თვალისაგან. ეს ცოცხლად საკვდილს ჰგავს, შენ აღარ არსებობ, ნამდვილად აღარ არსებობ, გაქრი... ანდა, გეჩვენებოდა, რომ ცოცხლობდი...

ვიცოდი, რომ ბაქარი შემოვივლიდა, თავისი წიგნებისა და ტანსაცმელის წასაღებად მაინც შემოვივლიდა: *მეცხრამეტი*

იმ დღეს მარტო ვიყავი შინ. დეიდა პელოს პენსიას უმატებდნენ და რალაც ცნობის ასაღებად იყო წასული რკინიგზის სამმართველოში. გოგიტა ტელევიზორს უყურებდა მუზობელთან. აბაზანა უკვე ცხელი იყო, მაგრამ გოგიტა არაფრით არ წამომყვა ტანის დასაბანად; კრივის ტრანსლაცია იყო სპორტის სასახლიდან და სიკვდილი ერჩია ტელევიზორთან განშორებას. დედიკო, ჯერ შენ დაიბანე და მეც ახლავე მოვალო, მეხვეწებოდა. ბინაში შეგებრუნდი. დერეფნის კარი გამოვკეტე, სააბაზანოს მივაშურე და გავიხადე.

ცხელმა წყალმა სულ ერთიანად დამიწითლა კანი, სააბაზანოს სარკმელი ორთქლით გადათეთრდა. არ ვიცი, რამდენმა წუთმა გაიარა, შხაპის ხმაურში კარის ჰრიალი მომესმა, დერეფანში ვილაღ შემოვიდა. ნაბიჯების ხმაზე ვიცანი, ვიცანი ნაბიჯების ხმაზე... სააბაზანოს კარი ღია იყო... მაგრამ... შხაპი საშინლად ხმაურობდა. შხაპი ხომ გამაყრუებლად ხმაურობდა... მე ვერ გავიგონებდი კარების ჰრიალს, ვერც ნაბიჯების ხმას გავიგონებდი, რადგან შხაპი ხმაურობდა... საშინლად ხმაურობდა შხაპი.

— უჰ!.. — წამოიძახა დაბნეულად ბაქარმა, სწრაფად შებრუნდა გარეთ გასვლას აპირებდა, მაგრამ უეცრად თითქოს თავბრუ დაეხვა, რალაც ძალამ ადგილზე შემოატრიალა, მე შემომაქქერდა და გაშეშდა.

— გადი! — ვთქვი მე, — გადი ახლავე!

მინდოდა მიმეხალა, მომშორდი-მეთქი, მაგრამ ვერ გაზედე.

— ელიკო!... — თავი დახარა, მერე ისევ შემომხედა, ერთი გაუბედავი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ და ხმის კანკალით ჩაილულულა, — მამატიე!

რალაც უცნობმა, იღუმალმა ნერვმა მაგრძნობინა, რომ ეს პატიება სააბაზანოში უნებური შემოჭრისათვის არ იყო

ნათქვამი, ეს იყო დიდი პატიების თხოვნა. თითქოს იმ წუთში საგანგებოდ ამისთვის გაჩენილმა ახალმა გრძობამ მიქარანხა ეს. მივხვდი, რომ ბაქარს აქ დაებადა ეს სიტყვა, მანამდე არასოდეს უფიქრია მონანიება. მაგრამ მაინც უსაზღვროდ ბედნიერად ვიგრძენი თავი, იმ ერთ წამში, ერთ თვალისდახამხამებაში თოფის წამალივით აფეთქდა ჩემს სხეულში სიხარული და სხეულის ყოველი კუნჭული საამოდ დამიწვა...

— გიდიმეთქი! — გაუშეორე უკვე გამაყვებული ხმით და ტანზე გრძელი, ჩინური პირსახოცი წავიდარე.

— გიცდი! — წაიხურჩულა ბაქარმა, გვიდა და სააბაზანოდან ორთქლის ბოლქვი გაიყოლია.

და იმ წუთშივე, როგორც კი ის კარებში გაუჩინარდა, ცრემლები წამსკდა, სიმწრისგან ტუჩები დავიკვირბე. შესაძლებელი რომ ყოფილიყო გამოცოცხლებული ჩემს მაცდურ ნახევარს, ალბათ, ნაკუწ-ნაკუწ დავფლეთდი. მე არ მინდოდა, არ მსურდა ასეთი გზით შენარჩუნებული და მითვისებული ქმარი.

ბაქარი წასულიყო... რა კარგი ჯნა, რომ წავიდა... გაასწრო თავის უნების-ყოფობას, თან გაიტაცა წამიერი ვნება, რომ ახალი სიყვარული შეენარჩუნებოდა და ძველს აღარ დაბრუნებოდა, მცორე დაფიქრების საშუალება მიეცა და გონს მოვიდა...

ერთი თვე ბაქარისგან არაფერი ისმოდა, არც არავინ შემხვედრია, არც კაბიკი გამოუგზავნია ჩვენთვის. ბოლოს სასამართლოდან უწყება მომივიდა. ბაქარს განცხადება შეეტანა გაყრის თაობაზე. მე ავადმყოფობა მოვიმიზუნე და სასამართლოს წერილით თანხმობა შეგატყობინე, მიზეზებსაც ვუსახელებდი, შოგიბოვდი, ბავშვი ჩემთან დაეტოვებინათ. სადღაც, გულში, კიდევ მქონდა იმედი, ჩემი გამოუცხადებლობის გამო არ გაგყრიდნენ, სხდომას გადასდებდნენ.

ღმერთო, რა უსულგულო აღამიანები

სხედან ზოგჯერ იმ სასამართლოში. რა ჯნან, მსახურობენ. შეიდ საათს იმუშავენ, სამ-ოთხ ოჯახს დამლოინ, დამერე საკუთარ ოჯახებს მიაშურებენ სიამაყითა და ღირსების გრძობით აღვსილნი. მრავალ გაუბედურებულთა თანაგრძნობით უზომოდ დაღლილ გულს მოასვენებენ და დიდი წარმოუდგენელად დიდი მოუცლევობის მიზეზით დაცარიელებულ კუჭს ამოივსებენ. დარწმუნებული ვარ, შინ რომ სადილი მზად არ დახვდეთ, მაშინვე სასამართლოს კოდექსის იმ მუხლს ამოკარავენ ცოლს, რომელიც გაყრას ეხება... როგორ გეკადრებათ, ვანა სამუშაო საათების დამთავრება იმას ნიშნავს, რომ თავიანთა დიდი მოწოდებაც დამთავრებულად ჩასთვალონ იმ დღეს? გაგყარეს, დაგვაშორეს, კაკალივით გატეხეს ჩვენი ოჯახი და ლეხნები ერთ მანეთს დააცილეს...

რა მეთქვა გოგიტასთვის? მას ხომ თავდავიწყებით უყვარდა მამა. სამსახურიდან მოსვლას როცა აგვიანებდა, ფანჯარას ველარ მოვაცილებდი ზოლმე, პირველბოდა და წუწუნებდა, მამა რატომ არ მოდისო, ხანდახან ცრემლიც მოადგებოდა თვალეზზე. ეს იყო შეიდრეა წლამდე. მერე ისე აშკარად აღარ ამქლავებდა სიყვარულს, თავს იკავებდა, ვაკეცობდა. თვითონ ეგონა ასე თვითონ ეგონა, რომ არ ამქლავებდა. მე კი ყოველთვის ვამჩნევდი გოგიტას ამ დიდსა და ჩუმ სიყვარულს მამისადმი. ეს იყო ანგარიშმიუცემელი ლტოლვა ძლიერი მფარველისადმი, ღონიერი კაცისადმი, რომელსაც მიმართავ ყოველი გაჭირვებისას და რომელიც დაგიცავს ყოველი გაჭირვებისაგან, რომელიც ავბნისის ცხოვრების ყველა ამოცანას და რომლის გაუზიარებლად არაფერი ფასი არ ექნება შენს სიხარულს და სიამაყეს უდიდეს წარმატებათა შემთხვევამდე. ამას ჯერ გუშანით გრძნობდა გოგიტა, როგორც შელის ნუკრი გრძნობს ხარ-ირმის სილიადეს.

რა მექნა? როგორ დამემცირებინა

გოგიტას თვალში ასე ძვირფასი ადამიანი? დამცირდებოდა კი? გაამტყუნებდა კი მამამისს? ამაში არ ვიყავი დარწმუნებული. უნდა მომეგონებინა რალაც საოცრად მართალი ტყუილი...

მაგრამ ტყუილის მოგონებას სიმართლემ დაასწრო: გოგიტას მეზობლების ლაპარაკისთვის მოეკრა ყური, იმ დღეს დაბღვერილი მიყურებდა, მებუტებოდა, საჭმელს არ გაეკარა. მაკვირვებდა მისი საქციელი: ასე ჭირვეულობდა, როდესაც რაიმეს მითხოვდა და არ შეევესრულებდი ხოლმე, როდესაც ამხანაგის დაბადების დღეზე არ გაეუშვებდი, ან იმდენ ფულს არ მიცემდი, რამდენიც სჭირდებოდა მოკრივის ხელთათმანების ან თხილამურების ყიდვას. მალე გავიგე მიზეზი — გოგიტას თურმე ეგონა, რომ ჩვენ უბრალოდ წავეინკლავდით, მამა გაბრაზდა და წაეიდა. ასე მოხდა ამ სამი წლის წინათაც. და გოგიტას სჯეროდა, რომ ბაქარი ერთ-ორ კვირაში დაბრუნდებოდა, როგორც დაბრუნდა მაშინ, იმ უბრალო წავეინკლავების შემდეგ.

მაგრამ დრო გადიოდა, მამა არ ჩანდა. თანდათან შემფოთება იპყრობდა ბავშვს. მე არაფერს მეუბნებოდა, ჩემი ბრალო ეგონა ბაქარის წასვლა, სჯეროდა, რომ ამის გამო საშინლად ვწუხებოდა, ეტყობა, არ უნდოდა ზედმეტი ტენა მოეყენებინა. ერთი-ორჯერ დარეკა კიდევ ფაბრიკაში, მაგრამ ვერ დაელაპარაკა. მერე მითხრა, მე თვითონ მავალ და ენახავ მამას...

იმ საღამოს ლანდივით შემოვიდა დერეფანში, კინალამ შევკოვლე, როცა ქარი გაეულე. არ ვიცო, რა შევამჩნიე ისეთი, რამ შემამჩნუნა. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ეტყობოდა, არც აღელვებულსა და შემფოთებულს ჰგავდა, არც მოულოდნელი, საშინელი ამბით თავსარდაცემულს. მაგრამ ჩემს წინ სხვა გიტა იდგა. თითქოს მისი თვალებიდან გულმოდგინედ ამოეკენათ ყოველგვარი ბავშვური, ერთი ნაპერწკალიც კი არ დაეტოვებინათ უმანკობისა და გულუბრყვილობისა...

— ნახე მამა?
— არა... შევბუღებამო წასულა... ფესხაქმელები წაიძრა და დედოქა ცივით (ნუთუ მომეჩვენა?) ტახტზე წამოწვა.

— აბა, ამდენხანს სად იყავი?
— საამქროს უფროსი ვნახე... გული შემეკუმშა: „ვაი, თუ უთხრეს ყველაფერი“.

— მერე რა თქვა, სად წაეიდაო?
— არ იცოდა...
— აბა, რა იცოდა?
— არაფერი... ისიც არ იცოდა, ფულს ვიღებთ თუ არა!

შურისმაძიებელი თუ გადმომხედავდა ისე უღმობლად, როგორც გოგიტამ გადმომხედა.

— რა... ფულს? — ვითომ გავიკვირე.

— შენ ჯერ სრულწლოვანი არა ხარო, თერამეტ წლამდე ვალდებულია ფული გიხადოსო!

გოგიტას ხელები თავქვეშ ამოედო და ჭერს შეჰყურებდა. მე ვგრძნობდი, რა უბედურად თელიდა იგი თავს. მამამ უღალატა, უსაყვარლესმა ადამიანმა, ყველაზე ღონიერმა კაცმა მთელ ქვეყანაზე...

ახლა გოგიტამ ყველაფერი იცის, იცის რატომ და რისთვის წაეიდა მამა, დარწმუნდა, რომ მე არა ვარ დამნაშავე. მაგრამ საოცარია — იგი ელოდება მამას. მე არ მიძედავენებს, მაგრამ ვატყობ — მისი ყოველდღიური საქმიანობა: რაც შეიძლება მეტი წიგნის წაკითხვა (მერე უამბობს), თვითნაკეთებ „მექანიზმებთან“ ჩხირკედლაობა (მერე აჩვენებს), მამასთან შეხვედრის მზადებას ჰგავს. მხოლოდ ერთი თვე გავიდა მას შემდეგ და იმედი აქვს...

— დედა, შევბუღებამო რამდენდღიანია ხოლმე? — მკითხა წუხელ, როცა ფილარმონიის ბაღიდან ვბრუნდებოდი...

...უპ, თერთმეტის ნახევარი შესრულებულა!

ისე სწრაფად წამოვხტი, სკამი გადამიბრუნდა, კიდევ კარგი, ტახტს დაეცა

ზურგით, თორემ გავადვიძებდი დეიდა პელოს.

მაკიდაზე ნამცხვარს მოვკარი თვალი, არც შემიმჩნევია, როდის შემოიტანა დეიდა პელომ, ნეტავ, მადლობა თუ მინც ვუთხარი... ჰო, ვუთხარი, კი არ შემოიტანა, კარები შემოაღო და დამიძახა... კარგია, გოგიტას დაეახვედრებ, პირს ჩაიფეხრელებს.

ახლა უქანასკელი სეანსი მთავრდება, ოც წუთში გოგიტა თავისუფალი იქნება. არ წავიდოდი მოსაყვანად, მაგრამ არ უცდის ხოლმე გურგენას, დაადებს თავს და ამ შუალამისას მართო ბრუნდება სახლისკენ. მეშინია.

ვერ ვუთხარი უარი, ახლა მინც არ-დადგებიანო, უფასოდ ვნახავ კინოებსო.

ჯამაგირი? რას მიზამს მისი ჯამაგირი, მაგრამ... დღემდე სულელივით მჭერა, მჭერა, რომ რაღაც შეიცვლება. ასე მგონია, თუ ბაქარი გაიგებს გოგიტას მუშაობის ამბავს, გაგიჟდება, სინდისის ქენჯნა დაახრჩობს, მიხვდება, რა შეცდომაც დაუშვა. და მოვა.

ჩემი საყვარელი ბიჭუნა ვერც ხვდება, რომ მისი გართობა და მისი ნაშოვნო ფული, ჩემთვის ახლა მთავარი არ არის.

საესე ჩაიდანი ელექტროლუმებზე შევდგი. კარი ფრთხილად გამოვიხურე და კიბეებზე დავეშვი, უნდა ვინჩარო, არ გამომასწროს გოგიტამ.

როგორ დაცარიელებულა ქუჩა. ნუ-თუ ასე გვიანაა?

2

მანქანას სინჩარე შევეუცვალე და აღ-მართს ავუყუვი. ბიძგმა ძილი შეუშფო-თა მაიას, ღრმად ამოისუნთქა და რბილ საზურგეზე ადგილი მოინაცვლა. ჩემს წინ მიმაგრებული სარკე თითქოს დაბ-რმავდა. შევაბრუნე, ისე ვაპოვინინე სა-რკეს მაია. ახლა უფრო კარგად ვხედავ-დი მის თეთრ, გადატყეცილ შუბლს, ოდნავ მალა აწკიპურტებულ თხელ ცხვირსა და მეტყველ ტუჩებს. ამ მე-ტყველებამ მიმახვედრა, რომ მაიას არ ეძინა.

გამთენიისას გამოვედით საირმედან. ხეალ სამსახურში უნდა გამოცეხადდე-დამთავრდა ჩვენი შევბუღება... ნი... საქორწინო მოგზაურობა.

როგორ გავურბივარ ამ სიტყვებს, ვცდილობ მივიწყებას, მაგრამ, ალბათ, სწორედ ამიტომ მახსენდება ყოველ წუთს.

მე და ელიკოს ქორწინების შემდეგ არ გვიმოგზაურია, სად გვქონდა ამის თავი... მერე ყოველ წელს ვპირდებო-დი, აუცილებლად წაიყვან-მეთქი ლე-ნინგრადში ან რიგში, იქნებ საზღვარ-გარეთაც წავიდეთ-მეთქი საგზურით... ჰოდა, წელს ავიღე შევბუღება, დავიჭი-რავე მანქანა და გავემგზავრეთ. გავემ-გზავრეთ თოთხმეტი წლის შემდეგ, მაგ-რამ ჩემი ცოლი ისევ ისეთი ახალგაზ-რდა და ლამაზია, ისევ თავდავიწყებით მიყვარს, ისევ ვეფიცები, რომ ქვეყნად ყველაზე ძვირფასია იგი ჩემთვის, რომ სიკვდილის გარდა ჩვენ ვერაფერი ვერ დაგვაშორებს... მაგრამ ჩემ ცოლს ახლა მაია ჰქვია, მას სხვაგვარი გამომეტყვე-ლება აქვს, სხვა ხასიათი და სხვა ეროვნება...

მე არასოდეს ვიტყვი, თითქოს ელიკო არ მიყვარდა, თითქოს შევეციდი მაშინ და ვერ ავირჩიე ტოლი და სწორი. ვინ იცის, იქნებ სწორედ ახლა ვცდები... ამას მერე მიხვდები, გვიან, ალბათ, ისევ თოთხმეტი წლის შემდეგ.

მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი. მოვ-ჯადოვდი. ჯერ ხომ არავის უნახავს მო-ჯადოებულო ადამიანი. ამ სიტყვას ისე ვხმარობთ ხოლმე, შთაბეჭდილების გა-საძლიერებლად. მე კი, ალბათ, პირვე-ლი კაცი ვარ ქვეყანაზე, რომელიც ნამ-დვილად მომაჯადოვა ქალმა. ალბათ, მართლა ასე მოხდა, რადგან სრულ გონ-ზე ვარ და ვხვდები, სად არის სისუ-ლელე და სად არის სიბრძნე. მე მგონი, პატიოსანიც ვარ, მესმის ოჯახის ფასი, მისი ღირსების შეუღალაობა, რას ნიშ-ნავს ცოლ-შვილის უპატრონოდ მიტო-ვება. ვიცი, რომ მელის გაკიცხვა, ვგრძნობ, ყოველდღე მახსენებენ და

მწყველიან კიდევ. მაგრამ არაფერს დავერიდე, არაფერს...

მაიას სიამაყე იყო ყველაფრის მიზეზი. ვის არ უნახავს თავისი არამიწიერი სილამაზით გაამაყებული ქალი. ეს სიამაყე შექმნილ-შეყოწიწებული არ არის, იგი სილამაზესთან ერთად იბადება და სილამაზესთან ერთად კვდება, როგორც სინათლე იბადება და კვდება ცეცხლთან ერთად. მაგრამ მაიას სულ სხვაგვარი სიამაყე ჰქონდა, მკაცრი, გაუღიძვარი სალამი იცოდა, არც ცივი, არც თბილი. სახის ისეთივე გამომეტყველებას ინარჩუნებდა, როგორც, ალბათ, ჩემთან შეხვედრამდე ჰქონდა. თითქოს აუცილებელ ვალდებულებას იხდიდა, მესალმებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ, საერთოდ, ნაცნობებს ესალმებიან ადამიანები. ოდნავ დახრიდა თავს, არცერთი ნაკეთი არ შეერხეოდა და გზას განაგრძობდა.

ეს უბრალო რამ, ეს შეუღწეველი, უსახო და უსახელო სალამი მოგსპობდა, გაგაარაავეებდა და გაფიქრებინებდა, რომ შენ არ არსებობ ამ ქვეყნად, და თუ არსებობ, აჯობებდა, არ დაბადებულ იყავი, რადგან ეს იყო არა ჩვეულებრივი ქალის — ულამაზესი ქალის სალამი, მისი აზრის გამოხატვა შენი უმამაკაცესობის მიმართ. ეს აზრი სიტყვებად ასე გამოითქმოდა: „შენ არაფერი გაქვს ისეთი, ჩემი თუნდაც მცირედი ყურადღების ღირსი რომ გახდე“.

გვიან შევამჩნიე, რომ არა მარტო მე, სხვასაც ასე ეპყრობოდა ფაბრიკაში მაია, მისთვის თითქოს გამქარაიყო მამაკაცთა სამყარო, არავინ იყო ღირსი მასთან სიახლოვისა. შეუბრალებლად ვიჩაგრებოდი. თავს ვაღარებდი ერთ-ერთ იმ ურიცხვ მონათაგანს, რომელნიც ერთგულად ემსახურება ბატონს, მაგრამ მისი არსებობის შესახებ ბატონმა არაფერი იცის. და მონა თანდათან იესებოდა შურისძიებით, რადგან შელახული და მიწასთან გასწორებული იყო მისი ადამიანური ღირსება. მას ჰაერით სწყუროდა უღლის დამსხვრევა და გა-

თავისუფლება, ელანდებოდა ფერხით განრთხმული, დამონებული ზატონი და ეს მოლანდება სანეტარო სიტუაციებს იწვევდა მის ცოდვილ სულში.

ერთხელ წარმოვიდგინე, რომ სადღაც, შორეული ქვეყნის შორეულ ქალაქში ასევე ამაყად დადიოდა ვიღაც ჰაბუკი, მასაც არაფრად მიაჩნდა იმ ქალაქის ქალები. ეს ისე ნათლად წარმოვიდგინე, რომ იმ ჰაბუკის სახეც შევთხზე, გამომეტყველებაც, როგორი სიარული ჰქონდა, როგორი სიცილი. ჩემთვის დაუჭერებელი იყო ეს წონასწორობა რომ არ ყოფილიყო ქვეყნად, რომ არ ყოფილიყო სადმე მაიას ტოლი და ღირსი კაცი. მაგრამ მერე თანდათან გაქრა ეს შორეული ქვეყანაც და ქალაქიც, გაქრა ჩემგან შეთხზული ჰაბუკი, და მისი სახეც, სიცილიც და სიარულიც, ჩემს სახეს, სიცილს და სიარულს დაემსგავსა.

მთვარეულივით დადიოდი. მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდებოდი, როცა მაიას შევეჩხებოდი, მისი შეუბრალებელი სილამაზე წყალივით გადამაღვროდა ტანზე სიცივეს და მე ავკანკალდებოდი, რადგან ვგრძნობდი, ჩემი ვაქაცობა ლუკმად არ ეყოფოდა მის მშვიდ თვალს. მშვიდს-მეთქი... სიმშვიდე პირველი ფარდა იყო, მის იქით, უძირო გუგებში იმალებოდა მეორე, ელვარე ფარდა, რომელსაც მხოლოდ ვნებათა თამაში თუ გახსნიდა. და მე მინდოდა ამ თამაშის დაწყება, მთავარი როლის ხელთ ჩაგდება მსურდა ძალით თუ ნებით, ეშმაკობით თუ პატიოსნებით, არას დაგიდევდი, მეკუთვნოდა თუ არა ეს როლი.

მაია მუდამ კოხტად ჩაცმული მოდიოდა ფაბრიკაში, შევიდოდა თავის საექიმო კაბინეტში, თეთრ ხალათს გადაიცვამდა და ელოდებოდა ავადმყოფებს. მაგრამ ამ სიკოხტავეს თითქოს ოდნავ აუხეშებდა მისი ძვირფასი სამკაულები,...

ახლაც, ამ წუთში, მანქანის საარკში ვხედავ ბრილიანტი აკიაფებულ მის

ყურის ბიბილოს, ოქროს წვრილ ძეწვეს, რომელიც კისერზე შემოხვევია და გულამოჭრილ კაბის ქვეშ გაუჩინარებულა. სარკე რომ ოდნავ დავხარო, დავინახავ მის ხელებს ბეჭდებითა და ვერცხლის სქელი სამაჯურით მოჭედილს... დავაპირე კიდევ სარკის შებრუნება, რომ უფერად საყურეში ჩასმული ბრილიანტი ბროწეულის მარცვლივით წითლად აელვარდა. გზას გავხედე, ისეთი ლამაზი სურათი დავინახე, ალტაკებისგან სუნთქვა შემეკრა.

— მაია, მაია! — განწირულივით დავუწყე ძახილი, რომ გაელვობა და ისიც დამტკბარიყო ამ სილამაზით.

მთის მწვერვალს ვუახლოვდებოდით. ცოტაოდენი აღმართი კიდევ გვქონდა ასავლელი. მწვერვალზე ურემი გადადიოდა, ისე ზანტად, თითქოს ადგილიდან არც იძროდა. გზასა და ურემის ბორბლებს შორის მომწყვდეული ცის ნაჭერი დიდ, წითელ მზეს ამოევსო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ხარები პაერში მიაბიჯებდნენ, მზისკენ.

— მაია, მაია, გაიღვიძე-მეთქი, გესმის?!

მანქანა გავაჩერე: მეშინოდა, სწრაფად არ წამოვწეოდით ურემს და ეს სანახაობა არ შეცვლილიყო. მაიასკენ გადავიწიე და ხელით შეეხე ლოყაზე.

— მაია, გენაცვალე, გაიღვიძე... ნახე, რა გაჩვენო!

მაია შეიშმუნა, ბალღივით მუშტები ამოისვა თვალბში, მერე სწრაფად წამოიწია.

— რა მოხდა?

— გაიხედე! — ნიშნისმოგებით ვუთხარი მე და თითი მწვერვალისკენ გავიშვირე.

მე აღარ ვუყურებდი ურემის ბორბლებს შორის გაქედილ მზეს, მე მაიას შევეცქეროდი. არასოდეს არაფერი მანიჭებდა ისეთ დიდ ბედნიერებას, როგორც მისი განცვიფრებული თვალების ციმციმი. ახლაც არ მინდოდა მომეკლო ჩემი თავისთვის ეს სიზარული. მაია მზეს შესცქეროდა, მე — მაიას, ვერ

ვიტყვი, ვინ უფრო დიდ სიამოვნებას განიცდიდა ამ დროს.

— უპ... ბაქარ... უპ! — კი არ წამოვიძახე, წამოიკვნესა მაიამ, ნეტარებით შექმუნვნილი შუბლი თითებით მოისრისა, თითქოს ტვინში ალტაკების ნერვი ატყვიდა.

— უპ, ბაქარ... რა არის... ხედავ, რა არის, ბაქარ? — თითქოს მისი აღმოჩენილი იყო ეს სილამაზე და უფრო მეტს ამჩნევდა, ვიდრე მე.

ურემი თავდაღმართისკენ დაეშვა... ხარები გაქრნენ, მზის დისკოს ჯერ კოფოზე წამომჯდარი მეურმის სილუეტი აეწება, მერე ურემის ტალღებზე გადმოგორდა მზე და მწვერვალზე რბილად დაეცა, მომეჩვენა, თითქოს ბურთივით აკენწლავდა და გაშეშდა.

ორივენი სულგანაბლუნი ვუცქერდით მწვერვალზე წამოსკუპებულ მზეს, რომელმაც ურემი შთანთქა და ახლა ჩვენს მანქანას ელოდებოდა.

როდესაც მწვერვალზე ავგრიადდით, მზე ერთბაშად გაფრინდა შორს, შორს და ჩვენსა და მნათობს შორის უსახლდრო სამყარო ამოტივტივდა. ამოტივტივდა იმერეთის ამწვანებული დაბლობი და მთაგორებზე შეფენილი სოფლები.

ლიხს აქეთ ეწვიმა. მზეზე მიფიცებული დაღმართი ახლა ორთქლად ადიოდა და გზა ჩვენს თვალწინ შრებოდა. ქათქათა, პირდაბანილი ღრუბლის ფთილები თეთრი პეპლებივით მიფარფატებდნენ მზისკენ.

მანქანის მორტორი გამორთული მქონდა და დაღმართზე უხმაუროდ მივგორავდით. რაღაც წვეთებიდა დარჩენილიყო ბენზინის ავზში, მინდოდა როგორმე მიმეღწია ხაშურამდე და გზაში არ გავჩერებულყოფი. მაია ახლა ჩემს გვერდით იჯდა, ძილის შემდეგ შესცივნოდა და მხრებზე ჩემი პიჯაკი მოეხურა, ხეობას გადასცქეროდა და რაღაცაზე ფიქრობდა.

— ბაქარ!

თავი მივაბრუნე, ვისმენ-მეტქი, ვანიშნე. მათა დიდხანს დუმდა, ალბათ იგრძნო ეს და უტბად ალაპარაკდა.

— ბაქარ... სწორ გზაზე რომ გავალთ, დამსგამ საქესთან?

— ხაშურის შემდეგ, — ვუპასუხე და მივხედი, რომ სულ სხვა რაღაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ არ შევიმჩინე და ლაპარაკი განვაგრძე, — მათა, ვინ ვასწავლა მანქანის ტარება?

გამოცოცხლდა, ადგილზე შეტოკდა, მაგრამ მაშინვე სევდამ მოუჩრდილა სახე. მისი გამომეტყველება საოცარი სისწრაფით ასურათებდა ხოლმე განწყობილების ყოველ ცვლილებას.

— მამამ! — თქვა-მან, სახურავს მიეყრდნო და ისევ ხეობისკენ გაიხედა, — მეორე კურსზე ვიყავი...

„მამამ“, გავიმეორე გულში.

მაიას მამის სიკვდილმა ამომახსენეეინა იმ სიამაყის საიდუმლო, რომელიც მიუწვდომლად მისახავდა მათთან დაახლოებას და მისი სიყვარულის ოცნების უნარსაც კი მართმევდა მაშინ...

როდესაც მამის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა რუსეთიდან, მათა ატირდა. მათა ტიროდა! ეს წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. მის მკაცრს, თითქოს უინულიდან გამოქანდაკებულ სახეს ცრემლები ალბობდა. ტიროდა მათა და არ მჭეროდა. ჩემი აზრით, მშობლის სიკვდილსაც კი ვერ უნდა გამოეყვანა იგი წონასწორობიდან. და როდესაც ათი დღის შემდეგ მათა ისევ თბილისში დაბრუნდა, მე ხელში შემრჩა სათნო, გულწრფელი, მოსიყვარულე ქალი. ისეთი დაჩაგრული ჩანდა, შემეცოდა კიდევ. განცვიფრებული ვიყავი. ყველა განცვიფრებული იყო. რა მოხდა? ნუთუ ნიღაბი იყო ის სიცივე და მოუკარებლობა? თუ პირიქით, მხოლოდ იმ ერთ ქალს არ ჰქონდა მთელს ქალაქში ნიღაბი? ნუთუ სიკვდილმა ასე საოცრად იმოქმედა და ადამიანური თვისებები დაუბრუნა? მხოლოდ გვიან მივხედი, რომ ეს თვისებები იმალბოდა, მათ მალაფა და სიამაყე მდიდარი ოჯახისა და

უზრუნველყოფილი ცხოვრებისა. სანამ მათა ცოცხალი იყო და ოჯახი ფეხზე იდგა, მათა თავისი თავის სწავლას ბატონად თვლიდა თავს. მას არავის დაზმარება, არავის შეცოდება და სიყვარული არ სჭირდებოდა ქვეყნად. ალბათ, გულში დასცინოდა კაცებს, რომლებსაც თავიანთი ოთხნიშნა ზელფასითა და სახელიანი თანამდებობით სურდათ მისი სიყვარულის მოპოვება...

— ბაქარ! — მომესმა მათას ხმა.

„ახლა მეტყვის“, გავიფიქრე მე.

— ბაქარ... მეშინია!

— რა მოხდა?!

— მეშინია თბილისში ჩასვლა...

მე გამეცინა.

— ასე მგონია, სერგეი დაგვხვდება ქალაქის შესასვლელთან და რამეს დაგვმართებს...

ავხარხარდი. კინაღამ საკე გამოვიარდა ხელიდან, მაგრამ ვიგრძენი, ეს არ იყო გულიანი სიცილი, ცრემლით რომ შეგისველებს გაბრწყინებულ თვალებს. ეს ჰგავდა გამოცდილი მსახიობის სიცილს, რომელიც პარტიზორის რეპლიკას ელოდებოდა, რომ ხარხარად ქცეულიყო.

„სერგეის აქვს ამის უფლება“, გავიფიქრე გულში.

ვდუმდით. მერე მე ვკითხე.

— გიყვარდა ოდესმე სერგეი?

— მხოლოდ ერთი დღით, როცა...

— ვიცი, — შევაწყვეტინე მათას, — იმ დღეს, როცა ხელი მოაწერეთ... გათენებამდე.

— ჰო, გათენებამდე! — გაიმეორა მათამ და სწრაფად შემომხედა.

მათა სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსზე სწავლობდა, როცა სერგეის გაპყვა ცოლად. სერგეი მაშინ საავადმყოფოში მუშაობდა მათას მამის ასისტენტად. არ ვიცი რა მოხდა. ოჯახმა თუ ქმარმა, ალბათ, მიწამდე დასცა ის პაეროვანი ოცნებები, რომელსაც ყოველი ქალიშვილი თავისებურად თხზავს გათხოვებამდე. იშვიათად სრულდება

მათი ფანტაზია, მაგრამ სულეზად ძლიერი და მდიდარი კაცი, თუმცა მიწით, მაგრამ სრულიად ახალ სამყაროს ახვედრებს ქალს. და მაშინ ქალიშვილობის დროინდელი ყველაზე სასურველი ოცნებაც კი მივიწყებას ეძლევა.

ასეთი სამყარო სერგეის, ალბათ, არ გაჩნდა. იქნებ ეს ასაკთა დიდი სხვაობის ბრალიც იყო, მაგრამ სერგეი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რომ „თავისი ანგელოსი“ (ასე ეძახდა თურმე მათს) არ გასწყრომოდა. განქორწინებაზე ხომ სიტყვას ვერავინ ეუბნებოდა. მაგრამ „ანგელოსმა“ ფრთები აიჭნია და კავკასიის გადმოდმა, თბილისს შეაფარა თავი. სერგეი თურმე ზშირად ჩამოდიოდა მის სანახავად და სალოცავად...

ერთხელ ელბაქიდის დაღმართზე შემხვდა მათა, საშინლად აღლევებული იყო, ლოყები დაწითლებოდა სიბრაზისაგან. მაშინ ახალი დასაფლავებული ჰყავდა მათა. შეეჩერე.

— რა დაგეშართათ?

— არაფერი! — მიბასუხა და გზა განაგრძო, თუმცა ოდნავ შეანელა ნაბიჯი.

არ უნდოდა თქმა და მეორედ აღარც შე მინდოდა შეკითხვა, ჩემს წინ მიბობებდა და ნელსაცხებლის ზედმეტად მძაფრს, მაგრამ სასიამოვნო სურნელუბას მიტოვებდა.

— რა კარგი „დუხი“ გქონიათ, მათა, რა ქვია?

ეს ვთქვი თუ არა, უეცრად შედგა, ვრძელსახელურიანი ყავისფერი ხელჩანთა სწრაფად გახსნა და შიგ ჩაიხედა. უფრო გამაფრდა ნელსაცხებლის სუნით.

— უჰ, გატეხილა! — სინანულით წაშოიძახა მან, ორი თითით ფრთხილად ამოიღო შუშის ნატეხი და ხის ძირში დააგდო ტროტუარზე. სწრაფად იღებდა ნამტვრევებს და ჰყრიდა, მაგრამ შუშის ნატეხები არ ილეოდა.

— ასე არაფერი გამოვა, — ხელჩან-

თიდან სავარცხელი და პატარა, ოთხკუთხა სარკე ამოიღო და გამთმწიწოდა, — მბატიეთ, ბაქარ, ცოტახნით დამიკავეთ!

შე გამოვართვი, მერე უსამაჯურო ოქროს საათი და პასპორტი გამომიწოდა. ბოლოს სულ ერთიანად ნელსაცხებელში ამოსველებული ვარდისფერი ცხვირსახოცი და ქალაღლის ფული. დაცარიელებული ჩანთა გადმოაყირავა და დაბერტყა. რბილად აწკრილდა ასფალტზე შუშის უწყვილეის ნამსხვრევები.

— დაგივარდათ ხელჩანთა?

— არა!

— აბა გაკარით რამეს?

— პო... თავს! — თქვა განაწყენებული ხმით.

— თავს?! — გამიკვირდა.

— წყალს ვსვამდი, — რუსთაველის ქუჩისკენ გაიხედა, — თქვენი ბიჭები შემომხვებივინენ, ლაზლანდარობა დამიწყეს.

— მერე?

— აღარ მომეშვენენ...

— მერე?

— მერე და მერე... ავიღე და თავში ჩავარტყი... მომეცი!

ხელი გამომიშვირა, რომ გადმოცემული ნივთები ისევ ჩანთაში ჩაეღაგებინა. დაეუბრუნე. მხოლოდ პასპორტი დავიტოვე.

— შეიძლება შენი... თქვენი სურათის ნახვა?

— ნახე!

პასპორტი გაეშალე. ისეთი ბავშვური, ისეთი გულუბრყვილო გამოხედვა ჰქონდა მათს ქალიშვილობის დროინდელ სურათში, რომ იმ წუთში, მგონი, ერთი-ორად შემოიყვარდა. თვალს ველარ ვაცილებდი. მაშინ მეგონა, მეტად ვეღარ ვნახავდი ამ სურათს და მინდოდა დამემახსოვრებინა მათს ახალგაზრდული სახე.

— რა კარგი ყოფილხართ! — წამომცდა უნებურად.

— მომეცი! — ეწყინა, ალბათ, მათს,

პასპორტი გამომართვა და ჰაერში ქნევა დაუწყო გასაშრობად.

— გაშალე, თორემ არ გაშრება! — ვურჩიე მე.

მაიამ პასპორტი გაშალა, ფურცლები დააცალკალებდა და უცხად თვალბოთანი ახლოს მიიტანა პასპორტი. მერე წამით შემომანათა ერთბაშად გაცივებული და თან ალტაცებული სახე და უჩვეულო ხმით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, თავისუფალი ვარ, თავისუფალი ვარ! ბაქარ, მე თავისუფალი ვარ! — იძახდა და ბავშვივით ადგილზე ტრიალებდა, თითქოს ცეკვავდა, მისი კაბის ქვედაწელი მომხიბლავ სპირალებს ხაზავდა ჰაერში.

მე გაოგნებული ვიდექი და აქეთ იქით ვიყურებოდი, გამვლელთა ყურადღება ხომ არ მიიპყრო-მეთქი მაიას უცნაურმა საქციელმა. ბოლოს ჩემთან მოიბრინა მაიამ. სულ ახლოს მოვიდა, კინაღამ ლოყა შემახო ლოყაზე, პასპორტში ჩამახედა და თითი დაადო:

— ნახე!.. აღარაფერია!..

ჭორწინების დამადასტურებელი ბეჭედი პირწმინდად ამოეშალა და გაეჭრო ნელსაცხებელში გახსნილ სპირტს.

— ბენზინი ხომ არ გათავდა? — მომესმა მაიას ხმა და ფიქრებიდან გამოვერკევი. ისარი ნოლზე იდგა.

— გათავებულა!

— აბა, როგორ მივდივართ?

— ჩუ! — ვთქვი მე და ტუჩებზე თითი მივიდე. — ალბათ, ჭერ არ იცის მანქანამ! მაიამ გაიცინა, პატარა ხელებით მიმიზიდა და უღვაშებთან მაკოცა.

ერთი წუთის შემდეგ შუაგზაზე ვიდექით და ორივე მხრიდან ჩვენსკენ მომავალ მანქანებს შორიდანვე ხელებს ვუქნევდით.

— მართლა არ უნდა მეთქვა და მანქანა ვერაფერს მიხვდებოდა, — თქვა დიმილით მაიამ.

— ჰო, არ უნდა გეთქვა... ხანდახან აღმიაწვებაც არ უნდა უთხრა ხოლმე, თუ რამე ნაკლი აქვთ და ვერ ამჩნევენ...

— როდის „ხანდახან“?

— როცა ჰგონიათ, რომ თავიანთ წუხილს კარგად მალავენ, სანებზე კი წუხილის გარდა არაფერი აწერიათ.

— სცდები! — მაია გზის პირას დაიხარა, ბაბუაწვევრა მოწყვიტა ფრთხილად, — მე არაფერზე ვწუხვარ, მე ვფიქრობ ხოლმე.

— ეგ ერთიდაიგივეა!

— არ მინდა და მაინც ვფიქრობ, სულ ვფიქრობ... სერგეი არ იგულისხმო... რაც უფრო ამქადავენებს სერგეი თავის სიყვარულს, მით უფრო... — მაიამ აღარ დაამთავრა, ბაბუაწვევრას მძლავრად შეუბერა და ჭადოქარივით გააქრო ყვავილი.

— აბა, ვიზე ფიქრობ?

— ელიკოზე! მე გავაუბედურე ის ქალი!

— სისულელეა. შენ არ გიყვარს სერგეი, მე — ელიკო. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, აქ არავინაა დამნაშავე...

— გოგिता?!

— ჩემი ბიჭი?

— ჰო! ის ხომ გიყვარს?

— მერე?

— „მერე“? ორი თვეა აღარ გინახავს... ბაქარ, მე არ მინდა ვინმე მწყევლიდეს!

— სისულელეა!

— ქუჩაში ყველა კარგი ბიჭუნა გოგिता მგონია, შემომაცქერდებიან ხოლმე და აღარ ვიცი რა ვიფიქრო, იქნებმათ შორის რომელიმე მართლაც იყო გოგिता!

— შეიძლება, მაგრამ რომ არ გიცნობს?

— ე, შენ არ იცი პატარების ამბავი!

— მოიცა, ახლავე... — მე ადგილიდან მოვწყედი, რადგან მოშორებით საბარგო მანქანა დაამუხრუჭეს. როგორც იქნა, გასჭრა ჩემმა უსიტყვო ხეყწამ და ხელების ქნევამ.

ოცი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე ხაშურის რესტორანში ვისხედით, მუქი და სქელი ქსოვილის კედლებიან პატარა

კუბეში და საუზმეს შევექცეოდით. ოფიციალტმა ერთი ბოთლი „სვირი“ შემოგვიტანა. ჩვენ შევავსეთ ჭიქები და ერთმანეთზე მივაჯახუნეთ. სასიამოვნოდ გაიწკრილა ბროლმა. მაიამ ნახევრად მოსვა და ჭიქა მაგიდაზე დადო.

— ბაქარ, არ მიაბნინა შენთვის?... ჩემი მოწაფეობისას ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობდა მეზობლად, მორწმუნე იყო, რამდენჯერ შემისწრია ოთახის კუთხეში დაწოკილისთვის, კედელზე ჩამოკიდებულ ხატს ებუტბუტებოდა ხოლმე რაღაცებს. მე ძალიან ვუყვარდი... ერთხელ შემიყვანა თავის ოთახში და საიდუმლო გამანდო — ყოველ ღამით, ძილშიო, ზარების რეკვა მესმისო... ისეთი წკრიალი გააქეთ, ოქროს ზარები უნდა იყოსო, უკვე ერთი წელია, რაც ასე ხდებოდა...

— მერე?

— მას შემდეგ სულ დაბლვერილი მიყურებდა, ხმას იშვიათად მცემდა. ბოლოს გამომიტყდა და მითხრა: რაც ის ამბავი გაგანდე, ზარები აღარ რეკენო, მეშინია, სხეულში ავი სული არ გყავდეს დაბუღებულიო.

— რატომ გაგახსენდა?

— იმ ზარებს რომ შეეწუხებინათ მოხუცი, ნერვები აშლოდა და ძილი გასტეხოდა, დარწმუნებული ვარ, მთელი ქალაქისთვისაც რომ ეამბნა. ზარები რეკვას არ შეწყვეტდნენ, უფრო აუშლიდნენ ნერვებს. მაგრამ რადღაან ზარები სიამოვნებდა მოხუცს, მიზეზი იშოვნეს და...

— ზარებმა?!

— ჰო, ზარებმა... როგორც შენმა მანქანამ იშოვნა მიზეზი და გაჩერდა.

— მაია, ყველაფერს ვფიცავარ, თუ ვხვდებოდე, რისი თქმა ვინდა, ალბათ, უკვე დავთვეერი... არ გეწყინოს და ამიხსენი... ვთხოვ...

— ბაქარ, — მაიამ ჭიქა ბოლომდე დასცალა, — ბაქარ, რატომაა ასე, რომ კარგი და კეთილი თავისთავად არასოდეს არ ხდება. ყოველთვის შენ უნდა იბრძოლო, იწვალო, შეაბერდე, თავი

შეაკლა, რომ კეთილი საქმე გაკეთდეს. ცუდი და ბოროტი კი თავისთავად არ სებობენ, არაფერი ძალის დახარჯვარ სჭირდება... თავისთავად, ხომ გესმის?... თავისთავად ატყდება ქარიშხალი და დანგრევს ყველაფერს, თავისთავად აღიღდება მდინარე და წალუკავს ყანებს, თავისთავად დანგრევა სახლი და ქვეშ მოგიტანს, მაგრამ თავისთავად აღარ აშენდება და აღარც შენ გაცოცხლებდი.

— თუ ახლოს გაიარე, რა თქმა უნდა, ქვეშ მოგიტანს, — გამეცინა მე. — აგური მალა არასოდეს მიფრინავს, ქვევით ვარდება.

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნები, ყველაფერი ქვეშით რატომ ვარდება, რატომ მივექანება...

— არც ეგრება საქმე — ხომ არსებობს თბილი, მზიანი დღე... თავისთავად, მინდვრის ლამაზი ყვავილები თავისთავად, ჩვენ არაფერ ძალასა და დროს არ ვხარჯავთ მინდვრის ყვავილების ასაყვავებლად...

— სამაგიეროდ, მინდვრის ყვავილების ცქერისთვის რომ მოიცალო, უფლებია საჭირო. მთელი შენი ბავშვობა, ახალგაზრდობა, უნდა ისწავლო, იშრომო, შექმნა ოჯახი... — მაიას ხმა გაუწყდა, ნერწყვი ქლივს გადაყლაპა, — შექმნა რაიმე... რომ მერე მინდორში წამოგორღე და ბალახის სურნელება შეიყნოსო.

— ჰოდა, შენ თვითონ უპასუხე შენსაკვი კითხვას.

— არა, რადგან ამ ქვეყნად გაჩნდი, ჩემი წილი ყველაფერი უნდა მერგოს გაუქირვებლად.

— ცდები, ლამაზო ფილოსოფოსო, ბუნება ეგრე არ ფიქრობს. ბუნებას უნდა, რომ შენს გარდა სხვაც გაჩნდეს ქვეყანაზე, მერე კიდე სხვა, კიდე სხვა და ასე დაუსრულებლად... თავისი ანგარიშები აქვს, არ დაგიღვეს ოჯახისა და საზოგადოების კანონებს... ბუნებას შენ ვერ მოატყუებ, — ვთქვი და ვიგრძენი, რომ ჩვენმა საუბარმა უნებურად საზიფათო ბილიკზე გადაუხვია.

მაიამ უცნაურად შემომხედა, თითქოს სხვა ვიყავი ვილაღ.

— ესე იგი... მე და შენ ბუნებამ მოგვატყუა?

ერთხანს ვდუმდი, მერე ვუთხარი:

— ალბათ...

— რომ გაჩნდეს კიდევ სხვა და კიდევ სხვა ჩვენი მსგავსი?

— ალბათ, ასეა, მაია...

— და გვაფიქვებს იმას, ვინც უკვე გაჩენილია და ცოცხლობს? — მაიას თვალები გაშეშებოდა.

მე ღვინო დავასხი ჰქებში.

— ვის გვაფიქვებს?

— და არ დაგიდევს, რა გვაკეთებ და რა ჩავიდინებ?

— რა ჩავიდინებ, მაია?!

მაიამ ღვინო შესვა და წამოდგა.

— ჩვენ — არაფერი, ბუნებამ ჩაიდინა... ჩვენ რა შუაში ვართ! — დაცინვით ჩაილაპარაკა და კარებისკენ შებრუნდა.

— წავიდეთ?

— წავიდეთ, თორემ... მგონი, მართლა დავთვერი!

მივხვდი, ახლაც სხვა უნდა ეთქვა მაიას და სხვა თქვა.

ჭუჩაში გავედით. ჩემს წითელ „მოსკვისს“ გარშემო უტრიალებდნენ ბავშვები, ალბათ, ფერი მოსწონდათ, ანდა კარზე თეთრი საღებავით წარწერილი „გაქირავება“ იყო მათთვის ახალი. სადგურიდან ისმოდა ბაქანზე აწრიალებული მგზავრების ყაყანი და ორთქლმავლის ქშინვა. წვიმით გაგრილებულ ქალაქს თანდათან უშრებოდა ქვისა და ასფალტის თეთრი პერანგი.

მაია წინ წავიდა. რამდენი ხანია აღარ მითვალთვალნია ასე შორიდან. ალტაცებული გავყურებდი და ვფიქრობდი, რომ ხელოვნებათა შორის პირველად ალბათ, მხატვრობა და ქანდაკება გაჩნდა-შეთქი.

თვალწინ დამიდგა ლექცია ჩვენი ფაბრიკის კლუბში. ეს იყო ერთი წლის წინათ. სამუშაოს შემდეგ დაგვტოვეს. დაესწარიითო, ლექტორი მოვიწვიეთ და

უხერხულიაო, გვითხრა პროფესორის თავმჯდომარემ. კლუბი გაეცხო. ხანშიშესული, უპრეტენზიო და უწყინარი ლექტორი თავისთვის რალაციას ბუტ-ბუტებდა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ. არ დაეძებდა, ვუსმენდით, ათუ არა. წყალწყალა სიტყვებით ჰყვებოდა ცეცხლის საშიშროებაზე. ალბათ, ასეთი ლაპარაკი შესაფერიოდას მიიჩნდა იმდღევანდელი თემისათვის. ცეცხლი თურმე უხსოვარ დროსაც აჩენდა ხანძარს, თურმე ხე უფრო ადვილად იწვოდა, ვიდრე რკინა, და სხვა ამისთანები. ალბათ, პროფესორის თავმჯდომარემ იცოდა მისი მკვევრეტყველების ამბავი, თადარიგი დაეჭირა და დარბაზის კარი ჩაეკეტა. მაგრამ ახალგაზრდებს სკოლისა და სტუდენტობის დროინდელი ოინები გაახსენდათ ძალაუნებურად; ნელნელა, შეუმჩნეველად ფანჯრიდან გადადიოდნენ და იქვე, ბაღში ხტებოდნენ. ბოლოს მოქნარებას თავი მივანებე და მეც გადავხტი. როცა მუხლებში გავიმართე, უნებურად ფანჯრისკენ გამექცა თვალი. რაფაზე მაია შემომდგარიყო მუხლებით, ცდილობდა დავერ ჩამოდიოდა. უსიტყვოდ მთხოვდა მიშველებას. ფეხის წვერებზე ავიწიე, ხელები წელთან მივუწვდინე. მომენდო, ჩემსკენ გადმოიხარა და გადმოჰყვა ხელებს... მას შემდეგ ჩემი ათივე თითი მაიას დაეძებდა...

ახლა კი, ავერ, ჩემს წინ იდგა მაია, მანქანას მიყრდნობოდა და ცას გაჰყურებდა. ვხვდებოდი, რაზედაც ფიქრობდა. ჩვენი საუბარი მოულოდნელად ჭებირს მიადგა, რომლის შემჩნევა არცერთს არ გვსურდა. და შეწყდა. მაგრამ გულში ცალცალკე განვაგრძობდით იმ საუბარს, ცალცალკე ვცდილობდით იმ ჭებირის განგრევას. მაია თავისთვის, მე ჩემთვის და, ალბათ, ორივენი ერთხანად და ერთი დღიამდე სიტყვებით:

— მე უშენოდ ერთ წუთს ვერ გავძლებ, მაია!

— ვერც — მე, ბაქარ!

— ამიტომ ყველაფერზე უნდა დავ-
ბუქოთ თვალი...

— მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ
ძალიად დახუჭულ ჩემს თვალებს და მე-
ხილება...

— მერე რას ხედავ?

— გოგირას გადიდებულ თვალებს,
ელიკოს ცრემლიან თვალებს, სერგეის
მრისხანე თვალებს და კიდევ ვიღაცის
საშინლად დიდ თვალს...

— სისულელეა, მაია, არავისა აქვს
უფლება... რაღაც საზღვარი ხომ არსე-
ბობს... რვა კარი ღია მაქვს, „შემოიხე-
დეთ, შემობრძანდით“, არავის ვუშლი,
მაგრამ მეცხრე კარში ვერაფერს ვერ ვხე-
ვ, მეც ხომ შემიძლია ჩემი მხრივ რაიმე
აეუკრძალო ხალხს...

— ჰო, მაგრამ არავინ უნდა გეგულე-
ბოდეს ისეთი, ვისაც იცი, რომ უფლება
აქვს იმ აკრძალული კარის გაღების.

— მაია...

— რა, ბაქარ?

— ნულარ ვილაპარაკებთ უფლებებ-
ზე... ნულარფერზე ნულარ ვილაპარაკებთ.
ჩვენ ერთად ვართ, სიყვდილის გარდა
ვერაფერი დაგვაშორებს...

— ჰო, ბაქარ, სიყვდილის გარდა...

— მაიამ სწრაფად მოაცილა ტუჩები
ჩემს ტუჩებს და წაიჩურჩულა:

— სირცხვილია, ვინმე დაგვინახავს!
მანქანის საარკმლიდან ქურდულად
მოვათვალიერე ხალხით სავსე ქუჩა. იქ-
ნებ მართლაც დაგვინახა ვინმემ, მაგრამ
ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქო-
ნდა ჩემთვის, ისე ვიყავი გაბანგული და
გაბრუნებული მაიას კოცნით, ისეთი
მტკივნეული სიამოვნებით მქონდა მო-
ღუნებული მთელი სხეული.

მანქანა სწრაფად დაეძარი. სულ მალე
გავედით ქალაქიდან და სწორ, მოასფა-
ლტებულ შოსეს დაეადექით. თანაბრად,
გამბულად გუგუნებდა მორტორი. გზა
შორბოდა ჩვენსკენ და თითქოს ბორ-
ბლებზე ეხვეოდა. შორს მოჩანდა მთის
მწვერვალები, ისინი საათის ისრებივით
შეუქმნევლად ინაცვლებდნენ ადგილს.
ჰიქტროდით აღმოსავლეთისკენ, თითქოს

ვეჯიბრებოდით დედამიწას, როგორც
სისხლი ეჯიბრება მორბენალს.

მაია რაღაცას ღიღინებდა და ვე-
ყებით, თითქოს მე აღარც ვახსოვდი,
მაგრამ ჩემს ზურგზე აცოცებული
გრძელი თითები გამუდმებით მატყობი-
ნებდნენ მისი სხეულის იღუმალ სურვი-
ლებსა და ფიქრებს. მანქანაში უბერავდა
ღია სარკმლებით ათლილი ქარი და
მაიას თმებს უწეწავდა, ალუწილ ლო-
ყებს უგრილებდა. თითქოს მესმოდა,
როგორ კისკისებდა მაიას ძარღვეებში
სისხლი, ყრუ გუგუნით თანდათან რო-
გორ უახლოვდებოდა მის თვალებს შიგ-
ნით აგიზგიზებული, გადამბუგველი
ცეცხლი... თავბრუდამხვევი სიჩქარე,
ქარის ნაფლეთებით შეკრული სუნთქ-
ვა, ღვინის ნისლით შემობურთული ტვი-
ნი, და სიყვარულისგან ყალყზე შემდგა-
რი ვნება... ყველაფერი ერთად დააცხრა
თავს მაიას, მისი ღიღინი სიმღერად აქ-
ცია, თვალები — სურვილად, არ ვიცი
მე მინდოდა და მეჩვენებოდა ასე, თუ
მართლა ასეთი იყო მაია იმ წუთში.

რადიო ჩართო. თითქოს იგრძნო, რომ
აუცილებლად მუსიკა იქნებოდა რადიო-
ში და აუცილებლად ისეთივე ცეცხლო-
ვანი და მბორგავი, დამუხტული და და-
უცლელი, როგორც მისი სხეული იყო.
ლისტის „პრელუდიების“ შუა ნაწილს
წავასწარი. დაეინებული, თავის სიმ-
ლიერეში დარწმუნებული მუსიკალური
ბრძანებები, ათასგზის განმეორებული
და სპირალივით მდლდა ამავალი, და ყო-
ველი განმეორებისას უფრო მეტად შე-
მბოქავი, სიტკბოების მომთხოვნი ყოვე-
ლი ნერვისა... ახლა ვეღარც მე შევიკა-
ვე თავი, ორივენი ავეყვით მუსიკას,
ვმღეროდი და არ მესმოდა ჩემი სიმღე-
რა. მღეროდა მაია და ელავედა თეთრ
კლავიშებივით ჩაწიკწიკებული მისი
კბილები, და ამ კლავიშებთან ხანდახან
გაივლევებდა მისი ვარდისფერი ენა.

უეცრად გზაზე ჩამობნელდა, მაგრამ
ჩვენ სიმღერა არ შეგვიწყვეტია. თავი
მხრებში ჩაიფიქრინე და წინა სარკმლი-
დან ცას ავხედე. დიდი, თეთრი ღრუბე-

ლი წამოგვეწოდო, გადაესწრო ჩვენთვის, უკან მოტოვებული საკუთარი ჩრდილი შლეიფივით მიწაზე მიჰყვებოდა. მალე ჩრდილმაც გადაგვასწრო. მანქანის წინა ბორბლებსა და ღრუშლის ვეება ჩრდილს შორის მზის ვიწრო ზოლი გაჩნდა, რომელიც თანდათან იზრდებოდა. თითქოს სხივებით რწყავდა ჩრდილი გზას. ჩვენს წინ გარბოდა უგუნური, უზარმაზარი შავი კურდღელი და ვერ მოეფიქრებინა გზიდან გადახვევა.

— ბაქარ, გადავასწროთ, ბაქარ! — წამოიყვირა ბავშვივით ალტაცებულმა მაიამ, მხრებზე თითები ჩამავლო და ხელების სწრაფი ძიგძიგით მანიშნა დიდი სიჩქარის სურვილი.

მანქანა გაფრინდა. გზა იყო ლარივით სწორი, უზიგზავო. ჩვენს წინ მისრიალებდა ჩრდილი, ფეხქვეშ სატყუარასავით გვიფენდა შზეს, თითქოს ხელს გვიქნევდა, საითქენლაც გვიხმობდა და კვლავ გაგვირბოდა.

— ჩქარა, ჩქარა, ბაქარ! — იძახდა მაია.

ციფერბლატისკენ გავაპარე თვალი, ისარი ას კილომეტრთან ირხეოდა. „ასე სწრაფია ღრუბელი? — გამიელვა გონებაში, — თუ ჩრდილსა აქვს სხვა სიჩქარე?“

— ვეწვეით, ბაქარ, ვეწვეით! — ტაში შემოჰკრა მაიამ, — ვეწვეით ღრუბელს... ბუნებას, ბუნებას, გესმის?!

მზის ზოლი ბორბლებსა და ჩრდილს შორის მართლაც შემცირდა, მაგრამ ჩრდილი ახლოს არ გვიკარებდა, თითქოს უფრო თავგამოდებით გაგვირბოდა ჩვენი მიაბლოების გამო დამფრთხალი.

შორს, რკინიგზის ხაზთან, შლაგ-ბაუმს მოვკარი თვალი. გადასასვლელს მატარებელი უახლოვდებოდა. მერე დავეინახე, როგორ გადააკეტა ჩვენი გზა ისარმა, როგორ ჩაიჭროლა ელმავალმა, და ყველაფერს — შლაგ-ბაუმს, პატარა ჯიხურსა და მწვანე ვაგონებს როგორ გადაეელო თავზე ჩვენი მოჭნილი, გალანდებული ღრუბლის ჩრდილი. როცა

მანქანა დავამუხრუჭე, მატარებელი უკვე ჩავლილი იყო. მაგრამ წვერგაუქმარსავი, ნახშირივით შავი რკინიგზის ხაზი ჩქარობდა შლაგ-ბაუმის განსნანა.

— ჩქარა, ამხანაგო, ჩქარა, რას უყურებ! — ისეთი განწირული ხმით დაუყვირა საკმელში თავგაყოფილმა მაიამ, თითქოს რალაც დიადი მიზანი, დიდი სიმართლე გაუტრბოდა ხელიდან. რკინიგზელი სირბილით მიიჭრა ხრახნთან.

— ბაქარ, ახლა მე დავვადები, გესმის? ხომ დამპირდი, დავსვამო! — კარი გააღო, გადახტა და მანქანას შემოუარა.

— ველარ დავეწვეით, მაია, შორს წავიდა...

— დავეწვეით, აი, ნახე, თუ არ დავეწვიო. შენ... შენ ძალიან ფრთხილობ, ბაქარ!

ვიცოდი, მაიას კარგად დაჰყავდა მანქანა, მაგრამ ისიც მახსოვდა, რომ ახლაცოტა აღზნებული იყო და წინ ისე სწორი გზა აღარ გვედო. მაგრამ უარის თქმა არ შემეძლო.

აქამდე მანქანის განუყოფელი ნაწილი ვიყავი, ახლა მაია შეადნა საჭეს. მე კი უსარგებლო ნივთივით აქეთ-იქით ვაწყდებოდი, ძალაუნებურად გამირბოდა საჭესკენ ხელები. ვფითრდებოდი, როდესაც მაია რალაც საოცარი შემთხვევის წყალობით ძლივს აუტაცვდა გვერდს შემგვედრ მანქანას... მახსოვს, პატარა, ფუნჩულა ხელით წყლით სავსე ჰიქას დაითრევა ხრლმე გოგოტა და ტუნებთან მიიტანდა, ჰიქაში ჩაეკარგებოდა მთელი პირსახე. თუ შორს ვიდექი, თვალებს ვტუქავდი და ველოდებოდი ჰიქის მტვრევის ხმას... ასეთი განცდა მქონდა ახლაც.

ერთ ფიქრად და სურვილად აწყობილიყო მაიას ყოველი ნაკეთი, ხანდახან თვალეში გაუელვებდა თავნება ბავშვის ცელქი ნაპერწკალი. ვეწოდით და ვერც ვეწოდით ღრუბლის ჩრდილს. ჩვენს ხელთ იყო ადამიანის გენიის სამი საოცრება — ცეცხლი, ბორბალი და მოტორი, მაგრამ ღრუბელი, რომელიც სიცოცხლეზე დიდი ხნით ადრე ამოვიდა

წყლიდან, ეტყობა, უფრო შეგუებოდა, უფრო ლალად გრძნობდა თავს დედა-მეიწაზე.

და მე მიხაროდა, რომ ვერ ვეწეოდით, რომ გვჯანბნოდა ღრუბელი, უსაზღვრო ნეტარებას მანიჭებდა ეს დამარცხება. მაია კი თითქმის ვადამწყვეტი წუთის წინ იდგა, როგორ უნდოდა გაემარჯვნა, განთავისუფლებულიყო, ამღლებულიყო და მერე ნიშნისმოგებით გადმოეხედნა ზევიდან...

სწრაფად გამოსწია მარჯვენა ხელი და რადიო გამორთო. და მე მივხვდი, რომ მუსიკის ტემპი ჩამორჩენოდა მისი სურვილის სიჩქარეს და ხელს უშლიდა. და მივქროდიტ ქარის, აღმართების, ოღრო-ჩოღროების შესახვედრად, მაგრამ ღრუბელი დროსავით გაგვიბრუნდა წინ.

— არ გადაასწრო, თორემ დაგვაჯარიმებენ! — ხუმრობას ვცდილობდი მე.

— უნდა გავიტანო, უნდა გავსრისო! — ამბობდა მაია.

და მე თვალწინ ისევ გოგიტა მედგა. რა ამბავში იქნებოდა, ახლა რომ აქ ყოფილიყო, რამდენს იცინებდა, იცისკისებდა, სიხარულისგან თვალზე ცრემლი მოადგებოდა...

...ერთხელ, გამთენიისას გამეღვიძა. გარეთ ჭერ კიდევ ბნელოდა. მაგრამ ოთახში, ბუფეტსა და წიგნების კარბდას შორის გაკეიმულ ფარდის იქით, სინათლე ენთო... ალბათ, გოგიტას დარჩა — გავიფიქრე მე. — კითხულობდა ძილის წინ...“ ფარდის კალთა გადავწიე და რას ვხედავ — საწოლზე წამომჯდა-რიყო გოგიტა, სქელტანიანი წიგნის უკანასკნელ ფურცლებს ჩაშტერებოდა და თვალებიდან დააღუპით ცვივოდა ცრემლები, ტუჩები და ნიკაბი უთრთოდა. მთელი დამე გაუთენებია კითხვაში, „სპარტაკს“ კითხულობდა... ალბათ, სპარტაკის სიკვდილის სცენას... ფარდის კალთა ფრთხილად ჩამოვუშვი.

— გადავასწარი, გადავასწარი! — წამოიძახა მოულოდნელად მაიამ, საჭეს წუთით ხელი უშვა და მკლავები მალა-

პყარა. — ხომ ვითხარი, ხომ გეტყუებოდი, გადავასწარებ-მეთქი?!

მდინარე ფცის ხილზე მივქროდი, გრძელ თეთრმოაჯირებიან ხილზე. მართლაც აღარსად ჩანდა ღრუბლის ჩრდილი. საღლაც გამჭარალიყო ის შავი, უგუნური კურდღელი. ის იყო უნდა აყოლოდი მაიას სიხარულს, რომ მარცხნივ, მთის ფერდობზე ჩემს ჩრდილს მოეკარი თვალი... ზო, ჩემი იყო მაშინ ის ღრუბელი, რადგან ისევ წინ მიგვიწლოდა, ისევ მიქროდა და პურის ყანებს მოთიბავდა გზადაგზა. ოღონდ ახლა ოდნავ ეცვალა გეზი, ანდა ჩვენი გზა გაპყროდა თვითონ საღლაც. მივახედე. ფერი ეცვალა მაიას, უცნაურად აკვესებული თვალებით შემომხედა, მომეჩვენა, რომ... არა, ვფიცავ ყველაფერს, სხვა არაფერი, გარდა საყვედურისა, არ იყო მის გამოხედვაში, ვფიცავ ყველაფერს. მოეშვა, ჩქარა, ლაპარაკის ხალისი დაჰკარგა. და მე მივხვდი, რომ იგი დამორჩილდა ბედს.

მაია ბედს დამორჩილდა!

მერე თბილისამდე მე ვუყეკი საჭეს. ქალაქის ახმაურებულმა, ხალხით სავსე ქუჩებში ისევ დაუბრუნა ხალისი მაიას, ჩემსკენ გადმოიხარა, მხარზე მაკოცა და აელტრტულდა:

— ბაქარ, წავიდეთ ამ საღამოს საღამე, რამდენი ხანია არაფერი გვინახავს, წავიდეთ, ბაქარ?

მე გავუღიმე.

3

სანამ პირველი საპროექციო კინოაპარატი საბოლოოდ გაჩერდებოდა, ძია გურგენას აპარატი აშრილოდა, ამუშავდა, სინათლის ვიწრო კონა თვალისდახამხამებაში გაძვრა კედელში ამოჭრიალ ოთხკუთხა სარკმელში, თითქოს ტყვეობას თავი დააღწიაო, ზღაპრული დევივით ერთბაშად გაიხარდა, გაფართოვდა და დარბაზს გადაღმა ეკრანს მიეხალა. მაყურებლები ვერც ამჩნევენ, როგორ ცვლის ერთი აპარატი მეორეს, ვერც გოგიტა ამჩნევდა აქამდე. კინომექანი-

კოსის ჯიხურიდან კი ყველაფერი შესამჩნევი ყოფილა. ოთხეუთხა სარკმელში გამძვრალი სინათლის ვიწრო კონა გზაში სხივებად იშლება, ხელის თითები-ვით ცალცალკეედება, ხერტენ ეს თითები პარტერიდან აბოლებულ თამბაქოს ცისფერ ვამლს და ეკრანზე დაფოტურებენ, ტუჩებს ამოძრავებინებენ, თვალებს ახამხამებინებენ ადამიანებს.

გოგიტა მუხლებით შემდგარიყო სკამზე და კინომექანიკოსის სამეთვალყურო სარკმლიდან ეკრანს გაჰყურებდა. იქ უკვე რამდენი ხანია დიდ ოთახში ჩაკეტილან ადამიანები და არაკეფენ, ვინაა მათ შორის დამნაშავე. პირველ სენსზე ფილმის მხოლოდ ორი ნაწილის ნახვა მოახერხა გოგიტამ ამ სარკმლიდან. ოთახში შეკრებილთ ჯერ ის კაცი ეგონათ დამნაშავე, სულ რომ იცინოდა და ხარხარებდა, მერე მღვდლის ანაფორაში გადაცმულ ლამაზ კაცს დაჰკითხეს, მაგრამ ორივე მართალი აღმოჩნდა. ახლა კი სულ სხვას აბრალებდნენ ლალატს და გოგიტა სუნთქვაშეკრული გაჰყურებდა ეკრანს.

— წადი, გოგიტან, ვეღარ მოასწრებ!
— უსიამოვნოდ ჩაესმა ძია გურგენას ხმა, მუჭლუფუნად მოეჩვენა მისი ხელის ოდნავ შეხება, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— წადი, კაცო, მეც ვერ მესმის, შენ რას გაიგებ, წადი. კვირას სხვა იმუშაოს, შენ თავიდან ფეხებამდე გაჩვენებ...

გოგიტას ასე არასოდეს დაწყვეტია გული, ძალისძალათ ჩამოვიდა სკამიდან.

— ძია გურგენ, „კამინ“ რა არის?

— „კამინ“? ბუხარი რა... შენ ქვა გეგონა? იმ ბუხართან იღვა პადპოლნის ხელმძღვანელი, როცა ფაშისტებმა მოგარდნენ... აბა, ჩქარა, მისული არ იყო, რომ მოსული იყო, გაიგე? თორემ ბაბინა თავდება!

გოგიტამ ლითონის თეთრსა და მრგვალ კოლოფს ხელი დაავლო და კიბეებზე დაეშვა. მალე ღია საზაფხულო კინოთეატრის პარტერში გაჩნდა, უკანასკნელ რიგსა და ლოქებს შორის მ-

ნძილი წელში მოხრილმა გაიბრინა, რომ ეკრანი არ დაეფარა ლოქებში მსხდომთათვის. თუმცა ფეხისთირებზეც რომ ევლო, არავის შეუშლიდა ხელს. საზაფხულო კინოთეატრი ხის მესრით იყო შემოღობილი. დეიდა მარგო ღია კარებში იდგა და პირდაღებული გასცქეროდა ეკრანს. არც შეუმჩნევია, როგორ გაუარა გვერდით გოგიტამ.

„გავდივარ და იმიტომ, — გაიფიქრა გოგიტამ, — აბა, შემოსულიყო ვინმე, იმ წუთში კისერში წააელებდა ხელს და შეაქანჯლარებდა“.

ბაღში ვეღარ ეტეოდა ხალხი. ფილმონის საკონცერტო დარბაზში შესვენება იყო და მსაყურებლები გასაგრილებლად გამოსულიყვნენ. გოგიტა ძლივს მიიკვლევდა გზას მოსეირნეთა შორის, მგონი, ვიღაც კაცს შეეჯახა კიდევ, ათი-თხუთმეტი ნაბიჯის გავლის შემდეგ მოიხადა ბოდიში და ახლა თავისი უადგილო ზრდილობით განაცვიფრა სულ სხვა კაცი. მისი ფიქრები ფილმსა და იმ დიდ ოთახში ჩაკეტილ ადამიანებს უტრიალებდა გარშემო. ცდილობდა წარმოედგინა, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ეკრანს თვალი მოაცილა.

„ჩვენების ხელმძღვანელი ვიღაც პადპოლნის წევრმა უშპიონა, — უხსნიდა გოგიტას ძია გურგენა, — ხოდა, ფაშისტებმა მოვიდეს და მოკლეს... ეხლა, ათი წლის შემდეგ, ის ქალი ყველა წევრი დაუძახა, რომ... ვიასანიც, კტო პრედატელ, გაიგე?“

„ჩვენების ხელმძღვანელი?“ — გაუკვირდა მაშინ გოგიტას.

„ხო, ფრანგები კომუნისტები, რა...“

„ათი წლის შემდეგ?“

„მააშ! — გააგრძელა ძია გურგენამ, — პრედატელ, ესეგდა პრედატელ!“

„ის ქალიც ფაშისტებს ეომებოდა?“

„ა, კაც შე, ქალი კაცი არ არი, რო?“

„იატაკქვეშ რატომ იმალებოდნენ?“

„რომ მერე ფაშისტები განადგურონ, ისტრებიც... და შენისთანა წიპუკები გაიზარდონ, ბევრი გაიზარდონ...“

გოგიტას რატომღაც სჯეროდა, რომ

ოთახში შეკრებილთა შორის არავინ აღ-
მოჩნდებოდა დამბეზღებელი. „მოლალა-
ტე არ მოვიდოდა“, — გაიფიქრა მან,
მაგრამ მომდევნო ფიქრმა გაუქარწყლა
ეს მოსაზრება. „რომ არ მოსულიყო,
მაშინ ყველა მას დააბრალებდა, მიხვდე-
ბოდნენ.. არა, მოვიდოდა, ვითომ არა
ვარ მოლალატეო და მოვიდოდა“.

— ეე, ქინაქინი! — მოესმა უეცრად
გოგიტას და მალლა აიხუდა.

ხეიარა მცენარეებით სულ ერთიანად
ამწვანებულ ქვეთყირის მალალ კედელ-
ზე ბონდო ჩამოდიოდა, მისი თითები
მცენარის ხლართებს ჩაფრენოდა, ცალი
ფეხი ბრმასავით ეძებდა დასაყრდენს.
ბოლოს მიწაზე ჩამოხტა.

— დაგეხმარები, ოღონდ მერე კინო-
ში შემიყვანე, არ გინდა? — თქვა ბონ-
დომ და შარვალი ჩაიფერთხა.

— მოვალ ახლავე, მეჩქარება! —
ხელი დაუქნია გოგიტამ და გზა სწრა-
ვად განაგრძო.

ბონდო გოგიტას სკოლის ამხანაგია.
ყველა კინოფილმი აქა აქვს ნანახი. მგო-
ნი, სხვაგან არც არასოდეს წასულა. ან-
და, რატომ წავა, აქვე ცხოვრობს, ბა-
ლის გადაღმა. გადმოძვრება ქვეთყირის
მოაჯირზე, მიადგება კინოს ღობეს და
თუ არავინ გაავდო, ღამის თორმეტ სა-
თამდე ფეხს არ ინაცვლებს.

გოგიტა ხალხით სავსე პროსპექტზე
გამოვიდა და მარჯვნივ გაუხვია. საკონ-
დიტრო მალაზიის ელემტრო-რეკლამა
თითქოს ვახლისდა, თითქოს გაეთამაშა
ქუჩაში გამოსულ ბიჭუნას. ჩაქრა, განა-
თდა, თვალი ჩაუკრა, დაემალა და მერე
ერთბაშად გაკაშკაშდა მყვირალა ფერე-
ბით, ყურადღება მომაქციეო, სულ ააჭ-
რელა ბიჭი. მერე სხვა მალაზიის რეკ-
ლამებიც გაეთამაშნენ გოგიტას. და მიი-
ჩქაროდა ტროტუარზე ხან წითელი, ხან
მწვანე, ხან ნარინჯისფერი პატარა ბიჭი.

საზამთრო კინოთეატრის შესასვლელ-
თან შედგა, დიდი, ფერადი აფიშის
ქვეშ. აქაც იგივე ფილმი გადიოდა,
მხოლოდ ნახევარი საათით ადრე იწყე-
ბოდა სეანსი. აფიშაზე ის გრძელწამწა-

მებიანი ქალი იყო დახატული, რომელ-
მაც ათი წლის შემდეგ ყველა შეკრება
დამნაშავის აღმოსაჩენად

„იქნებ თვითონაა მოლალატე?“ —
გაუელვა უეცრად გოგიტას და გული
აუტგერდა — მივხვდიო.

გამჭვირვალე, თხელი ჰაერი თითქოს
რძესავით აიჭრა, მერე შეიკუმშა და სა-
იდანაც ლანდივით ამოსევტა ცბიერი
ევტიბიდა, რომელმაც გზა-კვალი აუბნია
სპარტაკის ლაშქარს, დალუბა გლადია-
ტორები... სპარტაკიც... იმიტომ, რომ
სპარტაკს არ უყვარდა, სპარტაკს ვალე-
რია უყვარდა...

გოგიტამ ხელმოკრედ ახედა აფიშაზე
დახატულ გრძელწამწამებთან ქალს, და
ქალმაც შეხედა გოგიტას, თუმცა მაშინ-
ვე აარიდა თვალი.

„დამნაშავეა, — გაიფიქრა გოგიტამ,
— ნამდვილად ეს ქალია დამნაშავე“.

ხუთი წუთის შემდეგ ისევ იმ აფიშის
ქვეშ გამოჩნდა გოგიტა. საზამთრო კი-
ნოთეატრის მექანიკოსის გამოტანებუ-
ლი ლითონის ორი თეთრი კოლოფი
ილიებში ამოეჩარა, მკლავებით ნეკ-
ნებზე მჭიდროდ მიეკრა და მორბოდა.
აფიშისკენ აღარ აუხედავს, აღარც მო-
გონებია. კინოშენობის ფოიემ და ამ-
ფითეატრისკენ ამავალმა მრგვალმა კი-
ბეებმა მამა გაახსენა. აქ იყვნენ შარ-
შან დღის სეანსზე. მაშინ მამამ თქვა:
„ჩააპევის“ შემდეგ ამ კინოში აღარ
ვყოფილვარო. „ჩააპევი“ ძველად უნა-
ხავს, გოგიტა დაბადებულიც არ იყო.
ღამის ორი საათის სეანსზე მქონდა ბი-
ლეთიო, ისეთი ამბავი იყო, გამთენიისას
თავდებოდა უკანასკნელიო...

გოგიტა მირბოდა, მირბოდა, რადგან
ემინოდა, ძია გურგენას აპარატში ფი-
რი არ გათავებულიყო და ხალხს ყვი-
რილი არ დაეწყო. ტროტუარიდან ჩა-
მოსულიყო და ქუჩის პირს მიჰყვებო-
და, რომ გამვლელებს არ შეეფერებო-
ნათ.

უეცრად მოეჩვენა, რომ მამა შინ მი-
ვიდა. დედამ კარი გაუღო. ხელები გა-
შალეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

„დღეს გაუთავდა შვებულებს!“ — გაუღელა გოგიტას და ალღევებისგან სუნთქვა შეეკრა.

„სად ხარ აქამდე?“ — ჰკითხა დედამ.

„განა არ იცი?“ — გაიღიმა მამამ.

„ვიცი, მშვენიერად ვიცი!“ — სახე მოედუნა დედას.

„არა, ჩემო ელიკო, ცდები.. მავას ტყუილად ნუ ფიქრობ, რა სისულელეა, ვინ მოიგონა... შე ახალ გამოგონებაზე ვმუშაობდი!“

„მერე?“

„მინდოდა მარტო ვყოფილიყავი... შინ გოგიტა მიშლის ხელს!“

„რა გამოიგონე?“ — დამცინავად გაეღიმა დედას.

„ოო, ისეთი მანქანა, ისეთი, რომ... დახატავ ქალღმერთს ბურთს, ჩადებ მანქანაში, გადმოხტება ნამდვილი ბურთი თავის ბუცებიანად... დახატავ თხილა მურებს, ჩადებ მანქანაში, გადმოხტება ნამდვილი თხილამურები... გოგიტა, სად არის?“ — იკითხა უეცრად მამამ და ოთახში შეიხედა...

— ტროტუარზე ადი, ტროტუარზე! — ყურში ჩაესმა გოგიტას მილიციელის ზმა, მისი ხელის შეხებაც იგრძნო.

ტროტუარზე ავიდა და ახლა ჩქარი ნაბიჯებით განაგრძო სიარული. მალე შიალწია ბალის თაღოვან შესასვლელს და ისევ გაიქცა.

„ჩემი მამა...“

უეცრად მტკიცე, შეურყეველი პირობა დასდო საკუთარ თავთან: თუ ბოლომდე იტყვის ამ სიტყვებს, თუ არ შეეშლება და ძია გურგენასთან შეხვედრამდე მხოლოდ ამ სიტყვებს გაიშეორებს გულში, მაშინ მამა აუცილებლად მოვა შინ, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად მოვა.

გოგიტამ თავი ჩაღუნა, რომ თვალი არ გაქცეოდა ვერანდისაკენ, სადაც სასულე ორკესტრი უკრავდა, ვინმე ნაცნობი არ დაენახა ბაღში, არავის და არაფერს მიექცია მისი ყურადღება. და დაიწყო დიდი, ყველაფრის გადამწყვეტი

ფიქრი, რომელიც ორი სიტყვისაგან შედგებოდა:

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“
სწრაფად მიაბიჯებდა და ბუნდოვნად ჩაესმოდა შემხვედრ მოსტირნეთა საუბრის ნაგლეჯები.

— ჩაეფრინდი, დავესწარი მატჩს და მეორე დღეს ისევ თბილისში ვიყავი, — ამბობდა ვიღაც.

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“

— კაი თამაში იყო?

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“

— გია, არ მოწყვეტო, თორემ დაგჭერს მილიციელი!

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“

— გამარჯობა, ბატონო თედო...

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“

— ბიჭო, წესიერად ვერ გაივლი? თვალები სად გაქვს?! — შეუღრინა ვიღაცამ გოგიტას.

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“

— გოგიტა, ეი, გოგიტა!

ბონდო ეძახდა.

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“

— გოგიტა, დაყრუვდი? — მოსდევს ბონდო, მაგრამ გოგიტას თავის აწვევის ეშინია, გამალებით მიაბიჯებს.

„ჩემი... მამა...“

— მართლა დაყრუვდი, თუ ჩემი შეყვანა არ გინდა? — ბონდომ ხელი წაავლო მკლავში, შეჩერება უნდოდა, მაგრამ გოგიტამ გაშმაგებით გაკერა იდაყვი და გზა განაგრძო.

— ე, ცალტვინა! დიდი რამე გგონია შენი ლენტები!

„ჩემი მამა... ჩემი მამა...“

გოგიტა მუხლებით სკამზე შედგა და უზომოდ კმაყოფილმა და ბედნიერმა კინომექანიკოსის სამეთვალყურო სარკმლიდან ეკრანს გაჰხედა — ბოლომდე თქვა, არ შეეშალა, მამა აუცილებლად მოვა შინ, დღეს თუ არა, ხვალ მოვა...

— რატომ იგვიანე? — გაბრაზებული ჩანდა ძია გურგენა.

გოგიტას რატომღაც უნდოდა ეთქვა, მამა შემხვედო, ეს სიტყვები მოადგა პირველად ენაზე; მაგრამ შეიკავა თავი.

უნდოდა მხოლოდ თვითონ სკოდნო-
და, რომ ამ ღამით, ან ხვალ დილით მა-
მა უთუოდ მოვიდოდა შინ.

— ბევრი ხალხია ქუჩაში და ვერ გა-
მოვიქეცი! — უბასუხა გურგენას.

— ადრე წახვალ — ადრე მოხვალ,
არ გაგიგონია? ცოტაც და ლენტი გა-
თავდებოდა! — უსაყვედურა გურგენ-
ას.

მაგრამ გოგიტას ყურადღება უკვე
ეკრანს მიეტაცნა და აღარათფრი გაუ-
გონია.

— ძია გურგენ! — ჩაიჩურჩულა მან,
— მე მივხვდი, ვინცაა მოლაღატე!

— მიხვდი თუ იქ უყურებდი, ჰა?
მიტომაც იგვიანე!

— არა, მივხვდი — ის ქალია მოლა-
ღატე!

გურგენამ საპროექციო აპარატში
ახლომოტანილი ფირი გამართა, ავტო-
მატური გადამყვანი ჩართო და გამომ-
ცდელი თვალით გახედა გოგიტას, ხომ
არ ეშმაკობსო, ამ მცდარი პასუხით ხომ
არ უნდა დამარწმუნოს, საზამთრო შე-
ნობაში კინოს არ ვუყურებდით.

— ის ქალი უკვე ჰკითხეს... ის ქალი
დამნაშავე არ არი!

— უკვე დაკითხეს და დამნაშავე არ
არის? — წამოიძახა გოგიტამ და თაფ-
ლისფერი თვალები მიაპყრო გურგენას.
გაეხარდა, რომ მოტყუვდა, რომ ის ქა-
ლი არ აღმოჩნდა მოლაღატე...

ახლა უფრო მეტი ინტერესით მიაც-
ქერდა ეკრანს, არცერთი სიტყვის,
არცერთი მოძრაობის გამოტოვება არ
უნდოდა, რასაც ვერ გაიგებდა თავმო-
უბრუნებლად ჰკითხავდა ძია გურგენ-
ას, განმარტებას მოსთხოვდა, და ისიც
უთარგმნიდა თავისებურად, მაგრამ გა-
საგებად და ამომწურავად. ბოლოს ისევ
მოაწია ფირის მოტანის დრომ, ისევ
უსიამოვნოდ ჩაესმა ძია გურგენას ხმა
— ბოლო ორი ნაწილია დარჩა, ბარემ
ვაიქე, მოიტანეო.

გოგიტა უხალისოდ მოსცილდა სარე-
მელს, აღარ უნდოდა ხელმოკრედ მიე-
ლო მექანიკოსის საყვედური.

— მაშინ, მიაშვებ როგორ თავდებო! —

„გასამრჯელო“ მოსთხოვა გურგენას.

— არა, ეგრე გემო არ ექნებოდა შრი-
ტანე, შენ თვითონ ნახამ!

ამჯერად გოგიტამ სწრაფად გაიბრა-
ოთ კინოთეატრის შორის მინძილი, ბალ-
ში მოსიერიანენი სადღაც გამჭარალიყუ-
ნენ, ქუჩაშიც შეთხელეებულყო ხალხი.
სწრაფადვე დაბრუნდა უკან, გვერდზე
ჩაუარა დეიდა მარგოს და უნებურად
წელში მოიხარა, რომ ლოქაში მსხდომ-
თათვის ხელი არ შეეშალა. მხოლოდ
იმაზე ფიქრობდა, დედა ადრე არ მო-
სულიყო მის წასაყვანად და როგორმე
მოესწრო იდლიებში ამოჩრილი ამ ორი
უკანასკნელი ნაწილის ნახვა.

შემთხვევით მაყურებელთა თავებს
შორის ეკრანს ჰკიდა თვალი და უნე-
ბურად შედგა, თითქოს იმ ცბიერთვა-
ლებიანმა კაცმა მოაჯადოვა, რომელიც
აქამდე ჩუმად იჯდა იმ ოთახში, ახლა კი
აღაპარაკებულყო და ხელების ქნევით
რალაცას ამტკიცებდა, ირწმუნებოდა,
ცოფებს ყრიდა. „იქნებ ეს არის?“ გაი-
ფიქრა გოგიტამ და ადგილი მოინაცუ-
ლა. მთლიანად არსიდან ჩანდა ეკრანი,
მაყურებელთა თავები ეფარებოდა ხან
ერთ, ხან მეორე კუთხეს.

გოგიტამ უკან მოიხედა, მრგვალ ლო-
ქის ქვემოთ კიბის საფეხურივით შვე-
რილი გასდევდა. ლითონის ორივე კო-
ლოფი ცალ ხელში მოიმწყვდია, შვე-
რილზე ფეხი შედგა და აიწია. აქედან
მთელი ეკრანი მოჩანდა. ფართოდ გა-
ხელილ თვალებით ლოქის სიბნელეს
ჩასჭვრიტა, ხომ არავის ვეფარებო,
და ლამაზი, ძალიან ლამაზი ქალი დაინა-
ხა. ასეთი ლამაზი ქალი, მგონი, არასო-
დეს ენახა გოგიტას. ქალი გატაცებით
გაყურებდა ეკრანს. ცალი ხელი ლო-
ქის მოაჯირზე ედო, მისი თითები ვი-
ლაც კაცის ფართო ხელს დაეფარა. გო-
გიტამ თვალი გააყოლა კაცის მკლავს
და უეცრად იცნო. იცნო და შეჰყვირა.
მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოსულა, დიდ-
მა სიხარულმა თუ ელდამ ენა წაართვა,
კიდევ დაუყვირა, დაუძახა იმ კაცს, მაგ-

რამ სიზმარივით მუნჯი იყო ეს ძახილი. ეგონა, ვიღარჩობიო, ჰაერი აღარ ყოფნიდა, სული ეხუთებოდა... გადმოხტა და ბალისკენ გაიქცა, თითქოს თავისი დაკარგული ხმის საპოვნელად. რეტიანივით ჩაუქროლა კარებში მდგარ დეიდა მარგოს და მისი განცვიფრებულ სიზმარა გაიყოლია.

გურგენამ ჯიხურის კარი გამოაღო, სამ საფეხურზე ერთბაშად ჩაალაჯა და ჩაბნელებული პარტერის გაღალმა ბაღს გახედა. გოგიტა არ ჩანდა. „გამაგიყვებს ეს ბიჭი, ხვალიდან, მორჩა, აღარ მოვიყვან!“ გადასწყვიტა მან და სასწრაფოდ უკანვე ამოიბრინა კიბე, კარი ღია დასტოვა, საპროექციო კინოაპარატის ცალ დისკოს ხელისგული წაართვა, ხუფი წაადრო და დახედა. მუშტისოდენა გორგალიდა დარჩენილიყო, ისიც სწრაფად ილეოდა, თხელდებოდა, ბურბუშუმელასავით ეცლებოდა ფირი და ცეკვა-ცეკვით, კლავნითა და შარიშურით მეორე დისკოში იმალებოდა. „ნახევარი წუთი... თუ არ მოვიდა, ლენტები გავთავდება“, გაიფიქრა გურგენამ. ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელში გაჰყო ცხვირი და ახლა აქედან სცადა ბალისკენ გახედვა, მაგრამ ვერ მოასწრო, აპარატის ნაცნობი ხმა შემოესმა; ასე აფართხალდება ხოლმე კინოფირის კლდი, როცა ერთ დისკოს წაძვრება და მთლიანად მეორეზე გადაეხვევა.

— ფუჰ! — ჩააქნია ხელი გურგენამ, ჩამრთველს წასწვდა და დარბაზში სინათლე ჩართო.

თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, პარტერი ახმაურდა, აყაყანდა, კინომექანიკოსის ჯიხურისკენ შემობრუნდა მყაურებელთა სახეები. ჯერ მორცხვად, კანტიკუნტად გაისმა სტვენა, მერე სხვებიც აჰყვებენ.

— რა დროს გაწყვიტა!

— მეხანიკ — ჩომბე!

— კი არ გაწყდა, ლენტი არ მოუტანიათ.

— მოიცა, მოდის! — იცნო ვიღაცამ პარტერში ჩამოსული გურგენა.

— ალბათ, დანარჩენს ისე გვიამბობს.

გურგენა დეიდა მარგოს მივარჯიშა, თითქოს მისი ბრალი იყო ყველაფერი, ცისკენ აბრუნებული, ერთმანეთთან შეერთებული ხელისგულები წინ გაიშვირა და ყვირილნარევი ხმით ჰკითხა:

— კაცო, სად არის გოგიტა?!

— აბა, რა ვიცი... შემოვიდა და ისევ გავიდა!

— რაა?! გავიდა? ლენტები თან იყო?!

— არ დამინახავს, ალბათ, თან ჰქონდა. აი, იქით გაიქცა, — ბაღის სიღრმისკენ მიაშვირა ხელი მარგომ, — ვიფიქრე, ბავშვს გაუჭირდა-მეთქი...

გურგენა ადგილს მოწყდა, ირიბად გადასჭრა გაზონი და ხეივანს გაედევნა. „ახია ჩემზე, — ფიქრობდა იგი, — გაერთობა, გაერთობა... მე კი, პაიდა, მომხსნიან! გარგი გართობა იქნება“.

საპირფარეშოში გოგიტა არ იყო. ხმამაღლა დაუძახა გურგენამ, მერე ფრთხილად და სათითაოდ გამოაღო ყველა კარი. არა, არ იყო. „ხათაბალა თუ გინდა, ეს არი“. გარეთ გამოვარდა და „გოგიტა, გოგიტას“ ძახილით ისევ ხეივანს გამოჰყვა. სიმწრისაგან ოფლი გადასდიოდა, გოგიტა რომ დაენახა, ალბათ, ვერ მოითმენდა და შეაგინებდა, ყარგა ლაზათიანად შეაგინებდა და ალიყურსაც აჰმეგდა.

უეცრად იასამნის ბუჩქებთან მიწაზე ჩამხოზილ შავ ლანდს მოჰკრა თვალი, ბნელოდა, მაგრამ სიბნელეზე შავი იყო ის ლანდი. მაკრატლით გადაკრევილ მწვანე ბუჩქს გადაალაჯა და იასამნებთან გაჩნდა.

გოგიტა იჭდა მიწაზე და ჩუმად სლუჟუნებდა. თავიც არ აუწევია მალა.

— ბიჭო, რას გდებულები ხარ აქ, სად არიან ლენტები?! — ცეცხლად იქცა გურგენა, ბიჭს მხრებში ხელეუბი ჩაავლო და შეაჯანჯლარა, — მაიტა ლენტები, ხალხი შემჰამენ, კაცო!

ლითონის ორი თეთრი კოლოფი ბა-

ლახებში ეგლო მოშორებით, მაგრამ რადგან გურგენამ ვერ დაინახა, გოგიტამ იცრუა.

— და-დავმალე! — ჩაისლოკინა მან.

— დამალე?! შენ თავში ქარი გაქ? მიიტა ახლავე... — და კიდევ ერთხელ შეაჯანჯღარა ბიჭი, ასწია და ფეხზე წამოაყენა.

— არ... არ მოგცემ... —

— ვაია, ეს ვინ უოფილა, მოგზავნილი ხარ? ლენტები მომე, თორემ მოგკლავ, ჩემმა მზემ!

— წა... წავიდეს... — სლოკინებდა გოგიტა.

— ვინ წავიდეს, კაცო, არ გამაგიყო!

— ის ქა-ქალი!

— გეძინა? სიზმარი ნახე? — თავს ძლივს იკავებდა გურგენა, ხელისგულე-ბი ექავებოდა.

გოგიტა უეცრად აზღუქუნდა, ცხარე ცრემლები წამოცვივდა თვალთაგან, მთელი სხეულით ათრთოლდა.

— წა-წავიდეს ის ქალი, წავიდეს...

მამასთან ლოქაში... წავიდეს... — სლოკინ-სლოკინით ამბობდა იგი.

მამასთან... ის ქალი...

გურგენას ელვისუსწრაფესად წარმოუდგა თვალწინ, რა მოხდა და როგორ მოხდა. იგრძნო, ვინც იქნებოდა ის ქალი. ქუჩაში უნახავს კიდევ ბაქართან ერთად. შეეცოდა გოგიტა, ხელი უშვა, ხმა დაუამდა და დაუბოდიშდა:

— კარგი, პო, ლენტები მომე, ის ქალი ჩემი ხელით ვავაგლო.

გოგიტა გულამოსკვნით ტიროდა, ვედარ მორეოდა ერთმანეთზე ტალღებად დაღვევებულ ქვეთინს.

— გესმის, კაცო? გინდა გამაგლონ? დამიპირონ? ძია გურგენას ხათრი არა გაქ? სად არიან ლენტები?!

— წავიდეს ის ქალი... წავიდეს... — ჯიუტად იმეორებდა გოგიტა და მუშტებით ცრემლებს იწმენდა, რომ გურგენა დაენახა.

გურგენა დაინახა და ბალახებში ძებნა დაიწყო. ჩაცუქული დაბაჯბაჯებდა და ხელებს ბრმად აფათურებდა. მერე

იასამნის ბუჩქს შემოუარა, ტოტები გადასწია და სირაქლემასავეთ ბუჩქში თავი შემალა. კოლოფები არსად ჩანდა. დენივით დაარტყა სიბრაზემ, კინაღამ მივარდა ბავშვს, რომ გული და ხელის-გულეები დაეამებინა, დაგროვებული ბოღმა გადმოეთხია. მაგრამ თავი შეიკავა. მიხვდა, ამით უფრო გაართულებდა საქმეს — იმ აკვიატებულ სურვილს ვერ გადაათქმევინებდა გოგიტას.

კინოთეატრიდან მაყურებელთა ერთობლივი, გუნდური შეძახილები მოისმოდა, კინოს გაჩენის დღეს წყევლიდნენ.

— წამო, წამოიღე ლენტები, — მოისახრა უეცრად გურგენამ, — შენი თვალით ნახამ, ის ქალი როგორ ვავაგლო! — და მეტი დამაჯერებლობისთვის უკანვე გადალაჯა გადაკრევილ მწვანე ბუჩქებს, დაფხვნილი აგურით მოკირწყულულ ხეივანზე გადახტა და კინოსკენ გაეშურა, — ადექ-მეთქი, რაღას ზიხარ, წამოიღე ლენტები და შენი თვალთ ნახამ!

მთელმა დარბაზმა შეამჩნია, რა ხელცარიელი დაბრუნდა კინომექანიკოსი, მაგრამ სტვენა და ყვირილი კი არ გაძლიერებულა, უეცრად შეწყდა, და მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი სიჩუმე ჩამოვარდა — კინომექანიკოსმა ლოკის კარი შეაღო და ვილაც კაცს ლაპარაკი დაუწყო. ცნობისმოყვარეობამ კისერი წააგრძელებინა პარტერს.

— ბატონო, ბაქარ!

ბაქარმა და მიაიმ მექანიკური თოჯინებივით სწრაფად და ერთდროულად მიაბრუნეს თავები კარისკენ.

— გურგენ?! — წამოიძახა ბაქარმა, წამოდგომისას სკამის ფეხებში გაეზლართა ფეხი, — გურგენ, შენ აქ რა გინდა, აქაც მსახურობ?

— ზაფხულში აქა ვარ... ერთი წუთი საქმე მაქ, ბატონო ბაქარ!

— გამარჯობა, გურგენ! — მივიდა და ხელი ჩამოართვა ბაქარმა, — ჩემთან გაქვს საქმე?... ახლა?

„ოჯახის ამბებს მეტყვის“, გაიფიქრა გულში.

— ერთი წუთი, — გაიმეორა გურგენამ და ლოყიდან გავიდა.

ბაქარმა მათსკენ მიიხედა, ანიშნა, ახლავე მოვლო და გურგენას გაჰყვა.

— ბატონო ბა-ბაქარ... — ენა წაუბორძიკდა გურგენას, — ახლა ისე მოხდა, რომ უნდა წახვიდეთ... დრო აღარ არი... უნდა წახვიდეთ თქვენ და ის... ვინც თქვენთან ქალია...

ათასი გული აუძგერდა ერთბაშად და ათასი გონება აუმუშავდა ბაქარს.

— რა დრო აღარ არი... სად უნდა წავიდე... რას ამბობ, არ მესმის!

— ეგრე მოხდა, უნდა წახვიდეთ, თორემ კინო არ დაიწყება... გოგიტა ლენტები არ მაძლევს!

„გოგიტა?!... ლენტები?!“

— ჩემთან მუშაობს, ცოტა ფული აკეთებს... ბატონო ბაქარ, როგორც მეზობლის ხათრი, წადით მალე... და ის ქალიც, ვინც თქვენთანაა... გნებავთ მარტოკა ის ქალი... თორემ მომხსნიან!

— გოგიტა?! ლენტები?! — ხმამაღლა გაიმეორა ბაქარმა.

იგი ყველაფერს მიხვდა, აღარ გრძნობდა საკუთარ თავს, სხეულის სიმძიმეს თუ ფორმას, ვეღარ ხედავდა წინ გაშვებულ საკუთარ ხელებს, ვეღარ წარმოედგინა, ჰქონდა თუ არა პირსახე, იყო თუ არა იმ წუთში იქ და ნამდვილად ესმოდა და ხედავდა თუ არა ყველაფერს. და სანამ ასე გაქრებოდა, მანამდე მოფიქრებული და ენაზე მომდგარი შეკითხვა წამოცდა მხოლოდ:

— გოგიტა... მუშაობს?!!

გურგენას ეჩქარებოდა, მას ახლა არ ცხელოდა ბაქარის გაკიცხვისა ან თანაგრძნობისათვის, თუმცა ეს ორივე სურვილი თანაბრად დაუფლებოდა.

— ლენტები დამალა... ხედავთ, ხალხი რა დღეშია, მომკლავენ... ის ქალი წავიდეს, მამისთან რომ არისო... ბატონო ბაქარ, როგორც მეზობლის ხათრი... ღირეტიკარი გამავდებს...

ამ დროს ლოყიდან მათა გამოვიდა, ბაქარს შეხედა და შეკრთა.

— რა იყო? — მერე გუბნებს გაღიზიანებდა, — რა მოხდა?

საიდანღაც მილიციელიც ამოძვრა. ხმაურსა და ლოყის გარშემო მითერთებულ მაყურებელთა მოძრავე ჯგუფს მიექცია მისი ყურადღება. ხალხი მისწი-მოსწია, ორი საფეხური აიარა და ერთმანეთის პირისპირ გაჩერებული გურგენა და ბაქარი შეათვალიერა, მერე მათზე გადაიტანა მზერა და მაშინვე შეაფასა შექმნილი მდგომარეობა. თავი რაღაც დიდმნიშვნელოვნად გადააქგაღმოაქნია, მის გონებაში ლოლიკურად დაკავშირდა კინოსეანის შეწყვეტის მიზეზი და განაწყენებული კინომექანიკოსის წინ მდგარი კაცი და ქალი.

— რატომ არღვევთ წესრიგს, მოქალაქე?! — ეკვეთა მილიციელი ბაქარს და ცალი თვალი გურგენასკენ გააპარა, ხომ არ შეეცდით. მაგრამ კინომექანიკოსის გამომეტყველება ადამტურებდა მისი ჩარევის საჭიროებას.

— ბატონო ბაქარ, წადით... ეს ქალი მაინც წავიდეს, რომ გოგიტამ დაინახოს, თორემ ხათაბალა იქნება...

— აბა, გაბრძანდით ახლავე, მოქალაქე! — გამხნევედა მილიციელი და ბაქარს მკლავში ხელი წაატანა.

— უუუ! — თითქოს მილიციელის ამ ნიშანს ელოდაო, აგუგუნდა ერთბაშად დარბაზი, მოისმა სტვენა, სიცილი, ხორხოცი.

— უუუ!

— სსს!

— მაგანაც ნახა რა ადგილი!

— გაუშვი, გაიხაროს!

ბაქარს თავი სიზმარში ეგონა. საშინელ, თავზარდამცემ სიზმარში. ერთი წუთით დაიმედდა, რომ სადაცაა გაიდვიებდა და ყველაფერი გაქრებოდა — მიწასთან გამასწორებელი ეს შეძახილებიც, ეს ტლანჭი მილიციელიც, ეს წარმოუდგენელი სირცხვილიც, მაგრამ სიზმარი სინამდვილესავით დაუსრულებელი იყო.

— ეეე!
— უუუ!
— სსს!

ქვებივით ისროდნენ დარბაზიდან.

— ნახონ კინო და მერე დაიჭირონ, კაცო, ფული აქვთ გადახდილი! — ირონიულად ესარჩლებოდა ვილაც.

მაია სირცხვილისაგან დაპატარავებულიყო, აღარ იცოდა სად დამალულიყო, ვერსად იმალებოდა და ცდილობდა ისეთი სახე მიეღო, ყველას ჰგონებოდა, ვითომ არაფერ შუაში იყო თვითონ. ხან ზედმეტი გაკვირვებით გადახედავდა ხალხს, თითქოს ეუბნებოდა, თქვენი ხმაურისა და ყვირილის შესაფერი აქ არაფერი მომხდარაო. მაგრამ გრძნობდა, ამაო იყო მისი თამაში. ბოლოს ხოქოსავით თავი მოიშველარუნა, კედელს მიეყრდნო და გაშეშდა.

— მოქალაქე, წამოხვალთ განყოფილებაში, იქ გავარკვევთ! — არ ცხრებოდა მილიციელი...

ბაქარმა სწრაფად გამოგლიჯა თავისი მკლავი, ერთი მრისხანედ შეხედა მილიციელს. იგრძნო, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა, უფრო გაართულებდა საქმეს. უნდა ეკამა დიდი სირცხვილი, უნდა ეკისრა ბრალდება, რომელიც არ ეკუთვნოდა. ხელი ხელში ჩასჭიდა მაიას, თავი ჩაღუნა და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა ტიშკრისკენ.

მილიციელს წინ გურგენა აედობა, რაღაც წასჩურჩულა და ერთბაშად დაამშვიდა.

ერთსულოვანი დამცინავი ტაშით გააცილეს მაყურებლებმა ლოჯიდან გასახლებულნი.

— ეეე!
— უუუ!
— სსს!

ისმოდა ყოველი მხრიდან.

მიცვალბულთა ლანდებივით ჩაიარეს დეიდა მარგოს წინ ბაქარმა და მაიამ.

გურგენა კი ისევ ბაღში გამოვარდა და იასამნის ბუჩქებისაკენ გაფრინდა.

მაღე კინოსტანისი განახლდა. დარბაზი

ისევ სიჩუმემ მოიცვა. ახლა მხოლოდ ეკრანის გამაძლიერებელიდან ისმრდა აღამიანთა ხმები. კინოფილმში აღამიანთა შავე ჭერ კიდევ არ იყრ აღმოჩენილი!

გოგიტა ბუჩქების უკან ჩაცუცქულიყო და მშრალი, გაქვავებული თვალებით ვაჟყურებდა მამას. სუნთქვა შეეკროდა. წამწამი არ ერხეოდა. ახლა სადღაც, შიგნით ტიროდა, ტიროდა უხმოდ. ეს სინანულის ტირილი იყო: „რა გქენი... როგორ შევარცხვინე მამა... სულ აღარ მოვა... არასოდეს აღარ მოვა, — ტუჩებს იკვნეტდა გოგიტა, — ოღონდ დედა არ გამოჩნდეს ახლა, არ დაინახოს ის ქალი... ოღონდ დედა არ გამოჩნდეს“...

მამა მთვრალივით მიბარბაცებდა. ეს იყო მამა, გოგიტას მამა! რამდენი ხანია აღარ უნახავს. ის მაღალი, ლამაზი ქალი უკან მისდევდა. მამას ახალი კოსტუმი ეცვა და ბეჭები უფრო ფართო მოუჩანდა. მამა მიდიოდა თავჩაქინდრული, ისე მიირხეოდა, თითქოს პატარაპატარა ორმოვებში უვარდებოდა ფეხი. მაგრამ ეს მამა იყო, გოგიტას მამა. ის ქალი მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით მისდევდა მამას, თითქოს გასწვრება უნდოდა, მაგრამ არ ასწრებდა. რაც უფრო უახლოვდებოდა მამა გასასვლელს, მით უფრო ხშირ-ხშირად ჩერდებოდა და აქეთ-იქით იყურებოდა, ალბათ გოგიტას დაეძებდა, და, ალბათ, არ იცოდა, რომ გოგიტა აქვე, სულ ახლოს იყო... მამამ არ იცოდა, რომ გოგიტა აქვე იყო...

— მა-მამა! — შეაზე გააპო მდუმარე ბალი გოგიტას ყვირილმა.

მამა სწრაფად შემობრუნდა და გაშეშდა. ბუჩქებისკენ დაიწყო მზერა. ის ქალიც შეჩერდა.

იმ ქალმა, იმ ლამაზმა ქალმა, რომლის მსგავსი გოგიტას არასოდეს უნახავს, არ იცის, როგორ უყვარს მამას გოგიტა. იმ ქალს ალბათ ჰგონია, რომ მამას მხოლოდ... არა, იმ ქალმა არ

იცის... დარწმუნდება და წავა, თვითონ წავა...

მამა გაშეშებული იდგა და სიბნელისკენ იკვირებოდა.

გოგიტა ბუჩქებს შორის გამოძერა და გამოიქცა. იგი იღიმებოდა, იღიმებოდა და მორბოდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ისე მორბოდა.

მამა კი უცდიდა, ელოდებოდა, მაგრამ ისევ ისე გაქვავებული იდგა, წარბიც არ ერხებოდა...

ის ქალი თვალს არ აცილებდა გოგიტას... ის ქალი ახლა ნახავს, ახლა დარწმუნდება, რომ მამას გოგიტა... როგორ უყვარს მამას გოგიტა... და წავა.

მამას ალბათ უყვირს, გოგიტას რომ ასე სწრაფი სიბრძნე სცოდნია, მამას არასოდეს უნახავს გოგიტას ასე სწრაფი რბენა, და, ალბათ, უყვირს...

ათი... ხუთი ნაბიჯი და რჩა, გოგიტამ ხელები გაშალა, რომ მამას ჩახვეოდა. უცერად რაღაც უხილავს შეასკდა, თვალთ დაუბნელდა და მიწას დაენარცხა. უკუნ დამეში ნაპერწკლები აცვივდა, დატრიალდა, გაღვივდა, მერე გაიფანტა, და ერთბაშად თავში შეცვივდა ყველა, დატრიალდა და აფეთქდა, ქალა ააგლიჯა გოგიტას...

მერე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა და მიხვდა, რომ მამამ გაარტყა...

მამამ გაარტყა!

„ეს რა ჰქენი, რა ჩაიღინე, ბაქარ!“

სულ ახლოს, ყურისძირთან მოესმა ქალის შეშფოთებული ხმა და ნაზი, ნაზი, მაგრამ ათრთოლებული ხელის შეხება იგრძნო თავქვეშ, კისერთან.

„ბავშვს რას ერჩოდი, ბაქარ, ბავშვს რას ერჩოდი... მერე შენი ხელი, კაცის ხელი!“

...მამამ გაარტყა!

„ვაიმე, შეილო, ვაიმე, ჩემო ბიჭო!“ ახლა სხვა ქალის ხმა მოესმა შორიდან, სხვა კი არა, ეს დედა იყო. ალბათ, მის წასაყვანად მოვიდა უკვე, მაინც მოვიდა... გოგიტამ თვალების გახელა სცადა, მაგრამ ვერ გაახილა, ანდა, იქნებ გაახილა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

...მამამ გაარტყა!

„რას მერჩოდი, — ყვიროდა და ტიროდა დედა, — რატომ მომიკალი ბავშვი, რატომ დამლუპე!“


და ახლა დედა ეფერებოდა ლოყებზე თითებთ.

„მომშორდით! — დაუღრიალა მამამ დედას და იმ ღამეს ქალს, — მომშორდით ორთავენი!“

და გოგიტა უცერად მიწას მოწყდა. აქანავდა. და მან იცნო მამის სუნი, პაპროსის სუნი. ეს მამა იყო, მხოლოდ მამას შეეძლო მისი ხელში აყვანა, მხოლოდ მამა იყო ასე ღონიერი. მისი მამა, გოგიტას მამა... ხელში აიტაცა გოგიტა და სადღაც გააქანა...

და გოგიტამ აკოცა. პიჯაკის სახელო იყო ეს, თუ მამის მკერდი, თმა თუ ლოყა, ვერ მიხვდა, მაგრამ აკოცა...

და უცერად ყველაფერი გაქრა, ველარც მოასწრო იმის გაფიქრება, თუ როგორ გაქრა უცერად ყველაფერი.



პარო ქაღამი

მეღინადი

(აფხაზური პოემა)

• • •

ცისკიდემდე იისფერი ზღვია მხოლოდ,
იისფერი ზღვა... და ნისლი.
ხოლო დაბლობს
თვალი შორს რომ გააყოლოთ —
ღელავს ლერწამ-კალმის ჩალა,
ღელავს ისლი.

ღელავს ტალღა
და კაპარჭა ტანმორჩილი,
გადაღლილ მკერდს მიგრძობს
ცისკრის ქარი
და შავ-ზღვაზე
თეთრად გზა-კვალ ამოშლილი
ნიჩნის მოსაძით მივიჩქარო.

ფერ მოვითმენ,
პორიზონტზე ფერ ვიდგები,
მეც ხომ აღვის ხე ვიქნები,—
ეგ რომ მსურდეს, —
შორს გააოჩნდა
ტაძარივით თეთრი გემი,
ანაკლის ზღვაში უნდა შემოცურდეს!

დადა კიდევ, და მზადაა მიესიოს
ზეიგენს ჩვენი კაპარჭები პაწაწინა.
მე თუ არა
უცხო თვალი ვინ ეძიოს,
ვინ ეძიოს, თუ განგება ამაცილა!

გემს „მარსელი“ აწერია და გემბანი
სართულ-სართულ
ამართულა ცაში თითქოს,
იქნებ
თვალ წარბ-გაბნეულიც განგებ არი,
ზანივით კაცმა რომ ვერ გადაიკითხოს...

მოსჩანს ასი წყვილი თვალი,
თვალი კილო-განიერი, კილო-ვიწრო,
და როგორღაც
გულმა ჩუმი ნაპერწკალი
ერთი ქალის წაწმამებში მაინც იცნო!

იცნო. მაგრამ
იცით ჩემი გულის მანკი:
აღმოჩენა არც თუ ისე გამახარა,—
მე თმა წითურ ქალს ველოდი სტუმრად,
მან კი
ხმელ თითებით გადისწორა
თმაქალარა!..

ატლანტიის უცხო გემი
მიწასაა ძიჯაგვეული და ირწყევა.
ჯაკვის კიბეს უდარაჯებს ფიქრი ჩემი,
ისე კმევით,
ისე, თითქოს ზღვის ფსკერზე ვარ.

— ჰეი, ჩემო სიყმაწვილე,
არ იფიქრებ
სიყვარული აიტაცო ნება-ნება?
ამ გადაღლილ წაწმამებში არის იქნებ,
ლიმილის და ცრემლის იქით გემალება...

ხედავ?
მოდის კიბეებზე ფერთა ფენით,
ნიავეს ფრთხილი კაბის ჩ-დლილი მიაწება,
ჩამწკრივებულ მეზღვაურთა მკერდებს
შეენით
მისი ჩამოშრიალება.

მე და ჩემი ნავეც ისე დაგმარბაცდით—
არა დაგვრჩა რა, ნიჩაბთა მოსმის მეტი.
გადმოვ-და მივესალმე.
და მკლავ-გაწვდით
მოსვლის უმაღ მიაპასუბა:—მისის მედი

— ო, შერ ამი!

ჩვენ ერთმანეთს ვეძებთ, მგონი!—

თქვა ღიმილით

და თა—ჯიძანს თხოვა შეველა,
საუბარი სულ უბრალოდ გასაგონი,
წმინდა ვერცხლის წყრილივით
მომაჩვენა.

და აეჩქარდი,

ამ უცაიედ არჩევანით

წინასწარი თვალისწუნვი დაივიწყე.

მისის მედი მიჰყავს მისი თარჯიმანით
ჩემს კაპარტას ანაკლიის ნაპირისკენ!

აქ ერთბაშად ეგებება ზღვას ენგური,
არა კი არ ე—გებება—

ღელვით ე—თვის!

დარჩელს აქეთ

თუ არაა მხარშეკრული—

თარგ-მულთან

დროც არა აქვს მიმოხედვის...

ახლა უკვე ანაკლიის გზებზე მივქრით,
ქარი ივლებტყვებ მოჰყავა,
ისე გვეჯიბრება.

მივადექით ალვის ხეებს

და ამ კივკრით

გზა

კოლხეთის ჩრდილნარებში შეიჭრება!

სურათს

გავლით შეაჩერდა ფრანგის ქალი,

ულიმილოდ

ნაწვიმარი ტბაც არ დათმო,—

სარკეებად დგას აქა-იქ წვიმის წყალი,

შეგ ტოტები ჩახატულა გარდი-გარდმო.

საით წახვალ რომ ენგური არ ივულო,
ყვლგან

ფაფარ წამ-შლილი ჩქერებია,

რა ტევრია და რა ჭალა უენგურო—

წყალი მიწას ველარ მოუგერებია.

სულკალმახის დროს რომ ჩაწვა
მდინარეში

ამ გულ-ბოყვით ჩაწვა მუხა,

ამ ბეჭებით,

ეს რა ნისლი მოწყვეტილა საიდანღაც!

რა მსუბუქი სულის თქმარაქვს უსული

და რა მძლავრი,— გიზლირთხანა

როგორც ჯავრი

გაეთიშა ტალღა ტალღას—

უცხოეთის გეის კი უცხო თანამგზავრი.

ისმის

ზღვიდან ლუზა როგორ ამოხობდა

და შორსაა ხელის რხევა, ჭრიაშული,

ლამე-ნათვე გემსაც ბოხი ხმა აღმოხდა

გასაოცრად ყრუ და ადამიანური...

და თუ შემდეგ მიეყარა სილა ხრეში—
იყოლიოს გუბე-გუბე კამბეჩები!

უცხო ქალი უცხო თვალით იხედება,

მაგრამ ირგვლივ

დასაწუნი არეინ არი—

ცაში, ძარჯვნივ,

მოაჩვენეს ციხე მთებმა,

ტაშით, მარცხნივ,

დახვდა მინდვრის ყვავილნარი.

სტუწრად

ხალში მიიწვიოს ბაღს თუ უნდა,

ნაკადს ყველგან

სიხარულით ზვირთი უჩქეფს,

დაუსწრიათ გუნდის—ხეებს

და გუნდ-გუნდად

თავს ადგანან თმა-ხუჭუკა ჩაის ბუჩქებს!

ჯერ ზომ დიდის ნახევარი ეწვის

მიოლოდ

და ის უკვე გულსაგნება გალღებით...

თარჯიმანსაც

ალარ გვინდა ვაფუგონოთ—

ჩვენ ერთმანეთს თვალთ ველაპარაკებით!

მაგრამ რაი,

კაცმა როგორ არ იცოდეს

ახლა, ასე აღ ტაცებით ვინ ეციტკერის!—

თუა ფრანგი მსახიობი, არასოდეს

ფრანგს სახელი არ ექნება ინგლისელის!

მას კი ნისის მედი ჰქვიან!...
 აბა ჯერ ეს
 თითქმის უცნობ სტუდენტისთვის რა
 ნაკლია,
 და მით უფრო მიკვირს,
 რატომ არ ნომწერეს.
 მიკვირს რატომ აიბრჩია ანაკლია?

— ნუთუ არსად
 გემს ა- ჰქონდა ზღვის იმედი,
 ბათუმთან გალენჯიკის კანდელამიდი?!
 თქვენს გემს ყველგან დავხედდებოდი,
 მისის მედი,
 ბილიკს ყველგან ვაგოვლავდი...

აქ ხომ დენთში მთების მკერდი
 გაანგრია
 სად სკალია სასეირნოდ ახლა ენგურს,
 მაინც რატომ აიბრჩიეთ ანაკლია,
 მისის მედი,
 მაინც მინდა ვკითხო თქვენს გულს...

— რატომ?
 ერთხანს გაინაბა ქალი, - რატომ? -
 დამკრა ხელი და მანქანა გამიჩერა.
 შერე მდელი ვადაქკრიფა
 მარტოდ-მარტომ,
 საჭე მინდვრის ყვავილებით ამიჭერელა.

ამბობს:
 — როცა მეც არ ვიცი რატომ, რა
 ვენა?
 მირჩენია არაფერი დამიჯეროთ.
 ჩემ ენიც რომ ყვავილებშია
 ჩაეკლა,
 თქვენ ჩემს უცხო სიწმინდეზე არ
 იმსჯელოთ!

ყვავილებსაც მინდვრის ჭარი ურჩენიათ
 სადარბაზო მარათთა ფრიალ-
 ფრიალს,
 სიკვდილს განა იმით გადაურჩებიან

თუ ავუგებთ
 საყვავილეს მინანქრიანს,
 ვეფერები მათ სიხარულს,
 მათ მიწყენას,
 ეს მი ამაო ახლა ჩემი სიკენაც არი,
 მგონი, აქ ჩემს უკანასკნელ წარპოდგენას
 ვთამაშობ და თვალი ამათ შევასწარი.

წამი ყვავილს
 რტო-ლოწყვეტილ წამივით ჰგავს,
 მათი ეშხი მხამიცაა!
 ამიტომაც
 საყვარულის ბედისწერად წამიკათხავს,
 ისე როგორც
 კოლხის ქალმა დამიტოვა!
 თქვენთვის რაა,
 მაგრამ კოლხეთს როცა ვხედავ,
 მე კი არა
 ჩემს ქალარას ენატრება:
 კვლავ მდღეა მერქვას ნეტავ
 და ხელახლა მომისპინონ თეატრებმა!..

სადღა არის ახლა ის დრო,
 ის იმედი,
 ის ეშხი და ის ქალობა!
 სამი ღამის სტუდენტი ვარ მისის მედი,
 საფრანგეთის ელჩმა როგორც
 მიწყალობა.

ახლა ჩემი სიხარული,
 ჩემი ვნება
 ყრუა უფრო ვინემ დრტვინვა
 ქალაქური, —
 ტყეს თუ შერჩა აფხაზური შევიღებმა
 და ცხენების განწირული თქარათქური —

გამაგონეთ,
 გამაგონეთ, ერთხელ მაინც! —
 უცნაურად მეხვეწება მისის მედი.
 „გამაგონეთ“ იმეორებს თარჯიმანიც
 და თან უკვირს დატინება მეტისმეტი.

• • •

რა სწრაფვია, ვერ გავიგე, რა ენია,
 აქვს ათასი რამ გაგონილ წაკითხული
 და რატომღაც,
 რომ დაუთმოს ეშინია
 თითო-ს თითო წაბით გული.

მთხოვა:
 „წინ არ წამოძლოლოთ
 ალტაკება ბუქისა და ნალარისო, —
 გზა სად მიდის თუ გუმახით იცი
 მხოლოდ
 მაშინ არის საამო და სახალისო!“

ძველმანს ეძებს.

აღბათ ძველი დღის ერთგული,
და წარსულის გახსენება სად არ ისმის!..
მაინც ვინდა ნახოს

მღვღინე ტანს ენგური
რომელ მთიდან რომელ მთაზე
გადაისვრის!

და ვუხატავ
კლდეებზეა ჩადგმულ კედელს,
სადაც დიდი ზღვა ჩადგება,
ჩაიძინებს,
მშენებელი,
როგორც ღელვას განუწყუტელს—
მიწისფერასაც როგორ გაითვალისწინებს.

მოსწონს, მაგრამ არ აკვირვებს
ენგურაქესი,

არად უღირს
რომ დასავლეთს ვეჯიბრებით,
ციხე-კოშკებს უფრო ეძებს მისი გეზი,
ის ღიმილით ჩიმიხაფრდა — მე
ციფრებით!

— ისე მიყვარს თითო წვეთი ახალ
ტალღის —
ვით ძველ ქვებში ჩაძანგული სისხლის
წვეთი,

ჩვენს განუყრელ
ახალსა და ძველს ვინ გაჰყრის—
ერთი დიდი სიციოცხლეა, მისის მედი!

თქვენ კი ფიქრობთ დროა დარდის,—
თქვენთვის აგერ,

ვცდილობ სტუმარს გაუფგონო,
ის კი უფრო
ორლოვებს ეტანება, ვიწრო შუკებს,
და მანქანაც
ისე როგორც უგზოუკვლო
სოფელ-სოფელ
გადაკაფულ აღმართს ჯუფს.

ჩემთვის უკვე სულერთია სად, ან საით,—
მივისწოაფი საითკენაც მიმიპოთეს,
გზა ხან წყდება
ვაუგებარ სიზმარსავით,
ხან აწყდება კიდით-კიდის!

დადიანებს შერჩათ ცალკე:
ბონაპარტის ნილაბი და მონაპარტის
მედიდური გამოხედვის შაფრე! სარკე..

სად ვერსალი, მისის მედი,
სად ზუგდიდი,
მაგრამ ფრანგი აქაც ნახავს თავის
წარსულს!..
მთელი დილა ამ შერჩეულ წუთს
ვეცდიდი

წუთს კი ბალში შეჩერება,
ვატყობ, არ სურს!—

— არ სურს... არ სურს!—
უარის თქმით მომაგონებს
ფრანგის ქალი,
და თარჯიძანს აღარ უცდის,
მე მანიშნებს აწეული წარბით გორებს—
ჭგონია რომ გადაუწვდის...

და რომ ურჩი არ გაეწირო
დასატანჯად,
რომ არ დარჩეს გულში ხინჯი,—
უკვე რუხის ციხე რაა...
განზე დარჩა
სატანჯო და ქუბურხინჯი!

გალი რაა, წყალი რაა, კიდევ რამდენ
ხიდს გადივლის
აღბად ჩვენი გზა და კვალი...
ვიცი გვიცდის ღალიძგიდან კოდორამდე
ასი გორა და მინდორი ათასგვარი!

• • •

რომ ჰრელია ეს ქვეყანა —
სიტყვა-სიტყვით
დასტურდება წითელ-ყვითელ
მიწისგანაც,
გზა ამ მთიდან გადაგვიყვანს
იმ მთის იქით,
მაგრამ რატომ, ჩვენზე უკეთ იცის განა?

აგერ,
მკლავებ-დაკორძებულ ხეებს ცაში
თეთრი ღრუბლის ფრენა შეუკავებიათ.
აგერ. აგერ,
ტოტით-ტოტზე ლაზურ ვაზის
გრძელი დაღალ-კავენბია!..



სად მიდიხარ მოგზაურო,
სად იქარო,
რა გუშანი გინდა კიდევ, რა მიგნება,—
აქ იგვარად ეგებება გზას კიშკარი—
არ შეჩერდე არ იქნება!

მთის ფერდობზე
მწვანე ბოლი გ უშლიათ
ყველა გამგულ-გამომგლეხის
საამებლად,
მივანებე ს-ჭის ხელი და იშვიათ
სილამაზით გზა ამებნა...

ედგევიართ.
უცებ, ვილაც ბიჭი გაიძახის:
— სტუმარია ჩვენს ეზოში, სტუმარია!—
თვითონ არ ჩანს,
გიდგულების თოკზე დახრილს
ხშირ ფოთლებში თავი გადაუშალია,
— სტუმარია! — იმეორებს
გულმინდობით

მთელი ეზო,
და ქვის-ოდის აიენიდან.
მასპინძელმა(უ დაიჭეკა ფილთა-თოფით
სანამ წუთი ჩაივლიდა.

ლობის იქით
ქათმის ფრთხილ-ფრთხილია,
ჩვენ კი ლალი მასპინძელი გვეგებება,
ისე დგას და ისე ომანბანია—
მურზაყანი ძმად ეზგება.

შენის შავი ჩაბალახი
ბეჭზე
ვანზოახ განზე გადაკიდებული.
შენის დინჯი მიმოხრა და ლაპარაკი,
ვლენია და გვეგონება დიდებული!

ოდის მაღალ აივანზე ასვლა გვთხოვა,
მაგრამ ოდას,



ო, როგორი კმაყოფილი იყო მედი,
კერის პირად
მისი ჯირკო-სკამიცი იღვა,
თქვა რომ. აჰა,
თურმე რისთვის ჩამოვიდი.
მე ეს რომელ წიგნში უნდა წამეკითხა!

აგრე ღიმილ-განაბული გოგონები
მხოლოდ ჩუმ-ჩუმ სიხარულზე
მაფიქრებენ

მედიმ ფაცხა ამჯობინა,
შუა-ცეცხლი ალბათ უფრო ეცხობა,
ხედავს: ტერიც ნაპერწყლებით
დაქორფლილა!

ჩვენი ფაცხა.
წერილი წყნელით ჩახლართული!
შუა-ცეცხლი, ჩვენი ყამარ-ქალის კერა!
ლომს ზელს ვილაც
მარჯვედ კაბა-აკალთული
და ნაქვერჩხლებს
თვალს უხეთქავს მისი მზერა!

შესაბოლად ჩანგლებზეა ხარის ხორცი,
და სულგუნეც ბოლში მოსჩანს
მთვარესავით.
რა თავშეყრა არის ირგვლივ,
რა ხორბოცი,
ფეხზე ადგა ყველა და-ძმა-ნათესავით!

მხარში როცა უხუცესი ზელს
ჩაგვიდებს,
ჩვენც უმცროსებს ხელ-გადასმით
ვეფერებით,—
შერჩენიათ
მწითლე ყურძნის ფერი თითებს,
გვიყურებენ ჩუმად ყურძნის
მკრეფელები.

უხარიათ.
მუხლ-დაბალი სუფრა დადგეს,
ქურსაც ღვინო აღმოაჩნდა,
ხალამს წინაღი.
სხვა რა გზაა ჩაფუჯდებით,
რადგან ამ დღეს
ვეუმღეროდეთ გვინდა ლალად
ხელაწედილი!

როგორები იქნებიან. როგორები,
შემოდგომის ბაღში როცა ოქროს
კრეფენ!

გამიგია, რომ ეს კერა
ვარსკვლავების ცეცხლით არის
ანთებული,

ვარსკვლავების,
ამ პატარა ბიჭსაც სჯერა,
არის მათთან ჭლბად შეკამათებული!

და ვერც რწმენით დავეწევიტ,
ვერც ოცნებით,

თვალი მოვკარ,—
ჩანახატი უკვე ჩანდა,
ფურცელ-ფურცელ,
კოსმიური ფრენოსნებით
სავსე არის მისი ჩანთა.

რა ახლოა კაცის გულთან ცა და მიწა!
აქ, დღისა და ღამის სუნთქვას
არ გრძნობთ. განა?
მთებს თუმცა-ღა
წლებიც ახსოვთ ადამისა—
ხვალინდელი დილისაა ეს ქვეყანა!

რომ შემეძლოს,
ბალახივით, რომ შემეძლოს
გაგჩნდე ისევ და ისევე გადავიწვია,
არასოდეს დავტოვებდი
შე თქვენს ეზოს,
დღეს კი რა ვთქვა,
რა გავწირო, რა დავიცვა?!

სხვა ადვილად წარმოიდგენს ახალ
სურათს,

მე კი ვიციდი, არ ვინჭარი.
მასპინძლები
ფეხზე დგანან აფხაზურად,
დაძინებით შემოგვეყურებს
ფრანგის ქალი.

— ხვალ-ზეგ დიდი მარულაა,
ლიხნის მინდორს
სანახავად რა სჯობია!—
სულ ამიდ ვეუბნები, სულ არ მინდობს:
ენი გულში ისარივით ჩარკობია!

— ეს პატარა ბიჭი მიინც ვნახოთ,
მედი,
თქვენ რომ დღეს აქ ნახატებით
გაკაცინათ,

შეუძლია
დაიმშვენოს ნიშნით შკერდი
მარულაზე.
ისე როგორც ამასწინად!

არა. არ სჯობს.
და მე უკვე იმ კაცს ვკიცხავ

მე ზღაპრული დღეგრძელობაც ვამოვია,
მზიბლავს
უკვდავ მოხუცების ხმა და კილო,
მათი სიტყვით —
„კაცს ცოცხალი არა ჰქვია,
როცა თვითონ სიცოცხლეა სათაკილო“

ეგრძელო-გამთან ვაგვაცური დავაც არი,—
ვკრძნობ და ვხედავ...
მაგრამ არა გვერდის ჩავლით,
გალიმეზას გალიმეზა დავა წარი
თავი რომ არ წავეშალო ჩემი ჯავრით!

აქ სიცოცხლე სიმღერაა თავისთავად,
ასთამურიც აქ ცხოვრობდა ალბად,
არა?—

უბასუხეს:
— ასთამურის გვარისა ვართ,
ისევ ცხოვრობს,
ცოცხალია, არ მომკვდარა!

• • •

სიჭარმავე სასწაულად ვინც აქცია,
ჩვენი წყნარი მოხუცების
წელთაღრიცხვამ,

მიკვირს კიდევ,
პარიზს როგორ მიაღწია!..

ასთამური თ-მც არჩევანს მიადვილებს,
უნახავი არე-მარე არ დამრჩება:
შვიდი სოფლის
დას. ხლებულ შვილთაშვილებს—
სიცოცხლე და გამარჯვება!

ა იმ გორას თუ გადავალთ,
ა იმ მალღობს,
სამი ჰადრის ხე დაგვხედება დიდებული,
ასთამური
იმავე ხეთა ჩრდილში სახლობს
ას ათს გადაცილებული!

პირზე როგორ ავიფარო ხელი მკაცრი,
აბა, დღეგრძელ ამბით ვინ არ
გაჩხარებს,—

მაგრამ ახლა, როგორ ვნახოთ,
მერიკაცი
ზნელში ზის და აღარავის არ იკარებს!



არც კი ახსოვს მოხუცს კარგად,
როდის იყო.
იქნებ ცხრაასწიდედმეტწიაღ,
მაშინ როცა შეიღო შეიღი დაიკარგა
ის, რომელიც შეიღს ერჩია...

იღგა მძიმე წელიწადი.
ვერ უშველა.
დაიკარგა. და გლეხური სიმართლითა,
საგანგებოდ,
ბაღლი ვიღაც, ფეხშიშველა,
შეივრდომა
და საყვარელ შეიღად ზრდიდა.

ვისი იყო ვინ იცოდა,
გვარს არც ხალხი ჰკითხულობდა,
არც გამდელი,

• • •

ის დღე ისე დაგვიღამდა.
დაგრჩით სტუმრად.
აბა, სტუმრის უკეთესი
ვინ ჰყავთ ჩვენებს?!
ფიქრი გვიდევს და ოცნება
თავსასთუმლად,
ჭრელნაჭრება საბნისპირი
შვერდს გვიმშვენებს.

ვწევართ ჩვენ ჩვენს ოთახებში
და მე ვგონებ
ახლა უკვე ტკბილი ძილით გვძინავს
ყველას,
მაგრამ ფიქრის ფუსფუსს მაინც
გაიგონებ —
საფეთქელთან უდევს ბუღე ჰიანჭველას!

ჯავრიც მიკვირს
და ლომილიც მე ამ ქალის,
განა ერთხელ გამაღვიძებს ხოლმე
ლიღვა,

რა გაეფუგო
ჩაუჭრობელ წვას და ხალისს —
როცა ხელთ მაქვს მხოლოდ "ელვა"

და ჩაეკქერი ამ შეფრთხით თავისებურ
ანბანს:
ჩემი მისამართი, ჩემი გვარი,

უთვისტომო ბიჭი ყველამ შეიცოდა,
წამიც აღარ გაახსენეს აქამდელდემლი
გოდინალი

ოცდაათი წელიწადი
სტამდა ჩვენს პურს!
და გამჩენია ბოლოს მაინც არ აცალა:
მითთვისა რაც ებადა მოხუცებულს
და გაიქცა...
ვახდა ისევე მაწანწალა!

ახლა ჯავრობს
ასთამური ას ათი წლის,
რომ ეს ერთი
კაცად ვეღარ აგვიზარდა,
სხვას არაფერს არ განიღდის,
სხვას არაფერს არ განიღდის ამის
გარდა!

და ქვეშ ჩემი პატივცემულ
ფრახვი ნწერლის
ორი სიტყვა, ორი ბწყარი:

„რა ოქტომბერს,
ანაკლიის ახლო, გემით,
მოვა ქალი, ხელოვანთა ლივის წვერი.
და ვინ დახვდეს უკეთესი პატივცემით,
თქვენზე უფრო გულუხვი და ენამწვერი...“

თვითონ არ სურს,
და ტურისტად ნურც თქვენ ჩათვლით,
დახვდით როგორც პირად სტუმარს...“
სულ ეს არი —
ხელმწერით,
მოკითხვით და ნახვის ნატვრით
ელვა, ანუ გაფრთხილება უცარი.

აკი დაგებდი სტუმარს კიდევ,
და ოცნება
მე მგონია, ზედმიწევნით აისრულა.
უნდა ვთქვა რომ,
საკვირველი დღის მოწმე ვარ, —
ჩვენით ასე ჯერ არაფერ დაისრულა!

მოეწონა, სიანს, აფხაზთა უხუცესი,
და რაც უფრო მეტი სიტყვა მოიძმინა,
მისი
გულის ტკივილი და აღზრდის წესი
მთელი ქვეყნის სწრაფვას
დაუპირისპირა...

თქვა რომ—დადის ქვეყანაზე
შიშის მგერელი
რკინის ჯოჯო

და ვერავენ შეაჩერა.—

არა, ვილაც მეთომე ბლენძის ხელი
რომ მანქანას კაცად აქცივს მე არ
მჯერა!

მე არ მჯერა...

აღალია უფრო ზრუნვა
გაწეული თუნდაც იმავე გარეწართან,
ას ათი წლის კაცმა როცა მოისურვა
უთვისტომო კაცი კაცად აღეზარდა!..

ძილშიც

აღბად ასე ფიქრობს მისის მედი,
მაგრამ არა, ახლა ძილის გამოც არა—

• • •

შეუკანმეს ლურჯა-ცხენი მოხუც პაპას,
ულამა ზესს
კაცის თვალი ვერ იხილავს,—
სულ უკროსი შეილიშვილი
ვარცხნის ფაფარს,
ლაგამ-აგმარ უნაგირის
ვერცხლი ბრწყინავს!

მოხუცს ვინ არ მიეუგზავნე,
ვცს არ ვთხოვე,
სულ ამაოდ დაშვრა ჩენი რაინდობა,—
შორი დარჩა ამდენი ხნის სიახლოვე—
უცხოელთან გამოჩენაც არ ინდობა.

მაგრამ

გულით რაც გვინდოდა მაინც ახდა
და ქურდულად ჩავუაფრდით
ამ ეველ ეზოს,—
სამი დღეა,
სოფელს ვილაც გამოაკლდა,
არ იქნება, ასთამური არ დაესწროს...

ვდგევართ. ვუცდით.

ვნახოთ გვინდა
და როდესაც გადმოლაბა კარის ქრილი—
აქეთ უცებ მისის მედი გაირინდა,
იქით შეილის რომელიღაც ქალიშვილი.

მის შავ თვალებს
მინდა შერჩეს ვით სიზმრეთი
ამ ერთი დღის აუხანელი გამოცანა:

ამ ერთი დღის გზა
თოკივით რომ გააბა—
ერთი კაცის
მთელ სიკოცხლეს გადასწვდება!
დაე, მწუხრის ნისლი ერქვას,
ნისლის კაბა
ისე დადის—არემარეს არ აჩნდება.

თუმცა დარდი გამიმრავლა,
ჩემად მაინც მადლიერი ვარ ამ წამის—
ღირს: ერთ ქალად
მწუხანე მოლზე მისი გავლა,
და ერთ ქალად—
მწუხრი მისი თვალწამწამის!

თავდახრილი დაგხედით მოხუცს.
მოგვესალმა...
და ჩასჭიდა ფაფარს ხელი,
ცხენს უხანგი დაუწია დაბლა რძალმა,
შეკრთა
აღერსს დაჩეული ლურჯა-ცხენი!

ლურჯა-ცხენი და მოხუცი ასათი წლის,
რომ ინატრო აფხაზეთის იქით კიდევ,
სად შეგხვდება ხეალ-ზეგ,
თუნდაც დედაშიწის
მოიარო კიდით-კიდე!

ჰეი, როგორ მოიქნია წელი პაპამ!
შეწყდა ირგვლივ ჩამიჩუქი საუბართა,
ლაგამს უნდა მიჰყოლოდა ცხენი
მაგრამ,
იკრძნო უცებ:
ფებთქვეშ ვილაც ჩაუვარდა...

მოულოდნელ შეკვივლებამ და ჩოჩქოლმა
შეგვაჩერა მხოლოდ ერთი წამით ყველა,
დედა-კაცმა თ ვმალგამლით
როკორც ქორმა
ლონე-მიხდილ მე ვის ფრთები შეაშველა

ძალით ჩავსვით მანქანაში.
ვწუხებარ. ვუკლი.

მივაშურე უკვე ქიშკარს.
სდუმს კუთხეში
მედი როგორც გულმოკლული.
მოსხუცს თითქოს არაფერი შეუნიშნაეს.

მხოლოდ შეკრთა
მისი ხმა რომ გაიგონა,
მხოლოდ შუბლი შეიქმუნხა,
შედგა კიდევ.

შორიდანვე შეცხადების ხმა მოგვესმა,
ხის ტოტები ირწყოდა ცაში მხოლოდ.
თითქოს ხალხი
წწუხარებაჲ უშორესმა
ამერთ საბლთან გამოიხმო საჩოჩქოლოდ.

ღობეგზე მიზმულ ცხენებს,
ჭადრის ხეთა
ჩრდილი თაის ნაფლეთებად მოჰფენია.
ყველა გზა და მისადგომი ჩაიფტა—
მთა მანქანებ-წესეული სოფელია!

დაბადება დამბაჩების დაკლით ახსოვთ,
შორეული შეკვივლებით კი—სიკვიდილი!
თუ ღელავთ
ფერი ჭარბობს სადარბაზოდ
თვითთულის
ჭირს ხედებიან ფერმიხდილი!

მოვლენ,
ცისქვეშ გამოტანილ ტახტზე ჰყრიან
გზადგანყრელ მათრახებს და
ჩაბალახებს,
ღია შუბლი ხელს იმგვარად შეუპყვრია—
გეგონება მზის სინათლეს არ ანახებს.

ასი ქალის ხმა გაისმის.
ასი ქალი
თავს რომ გვადგას
გაწეწილი თმების გაშლით—
ხან დაეწივის
როგორც შორი ქარიშხალი,
ხან გუგუნით მიუჯრდება სულსიტქმაში.

მე მგონია
ამ ეზოში ამ შავ კარავს
დგამდა თვითონ ბედისწერა,
სუღმარ-ქალის შუბლი
ქმუნვას დაულარავს,—
შავი ძაბით მორთულია ისევ სცენა!

გადმოგვხედა, მაგრამ ვერა გაიგო. რა—
იყო ორი საუკუნის გადაშქვდუნული
გინჯლიქოთხა
მიდის ხალხი სატირაღში,
მოდის ასე,
შავთავმლიან მოტირაღთა შავი
გუნდით,
ფეხით, ცხენით, მანქანებით,
მთიდან მთაზე
ალმართები ავიარეთ, ავგუგუნდით...



იგი მართლაც ჰგავს
ათინელ ქალთა ხოროს,
გული მტკველ შელონებით ავეიჩვილდა,
და ფერმიხდილთ,
რომ სანთლები მოგვეგონოს—
იწვის შუქი ჭირისუფალ ქალიშვილთა...

სვეტთან იქვე
დგას ლანდივით ჩუმი ვაგი,
წვერ-მოშვებულ სახეს ელდა
უფერმკრთალებს.

კარვის თავში
თუთის დიდი ხეც დგას, ვაზი
ხეს ეხკვევა
და ფოთლებში მალავს თვალებს!

ვის დასტირის,
ვის დასტირის ხალხი, ნეტავ,
ვინ წევს ჩვენ წინ,
ასე ცივი და ამაყი?
გულზე ხელმბდაკრევილო, ტკბილო
დღედავ-
სჩანს
რა ღვაწლი დასდე ოჯახს, რა ამაგი...

ვხედავ ხეხილს დაუკრეფელს,
ვხედავ ისე
დიასახლისს როგორც დარჩა.
გამრჯე ხელი და-ჩენია ძალის ელფერს,
ხალხიც ალბად მისი ცქერით და ოტანჯა.

აჰა, მოდის ასთამურიც.
მოდის ნძიმედ,
ხალხიც მოჰყავა, ხალხი განაგაარღვია,—
ჰგავს სიცოცხლის მუღმივ იმედს,
ამ კაცს მართლაც ბერკაცი არა ჰქვია!

არც არასდროს წართმევია დედა-ენა,
 სათვალავში
 არც არასდროს დაკარგულა.
 ამ ცხოვრებამ
 ისე როგორც ცრემლთა დენა,
 სადღეგრძელოდ მოსალხენი ხმაც
 არგუნა!

მოდის მძინედ
 დიდი ეზო გასჭრა თითქმის,
 ბიბლიური აღნაგობით მოაბიჯებს,
 შედგა ბოლოს,
 საკინის ნელი ხელით იხსნის
 და ნაბადი როგორც ლახდი შერჩათ
 ბიჭებს!

მას რომ უკებ
 გულუბრყვილოდ შეეკითხა:
 — ეის დაეტირით, ასე ერთხმად,
 ვინ დაგვტოვა?! —
 იტყვის: — გ. მრჯე ქალი იყო,
 და მით უფრო
 ალაღია ხალხის გლოვა!..

თქვენ კი... რაა,
 ს. კვიციანი მისის მედი,
 თქვით, ამ წვიმას
 თქვენი ცრემლიც რატომ ერთვის?!
 ვისი ბედი გენატრებათ, ვისი ბედი, —
 რომ დასტირით, რაა თქვენთვის?!

(დასასრულა იქნება)

პირობა მისხარაძე

ბატალიონი მიღის

(მოთხრობა)

მოქმედების ლაშქრობის შემდეგ ჩვენი ბატალიონი სტაროკორსუნსკაიაში შევიდა, შტაბი კოლმეურნეობის კანტორის ყოფილ შენობაში მოთავსდა, ჩვენ კი, მებრძოლები, მის ფართო ეზოში გავიშალენით.

მარტის შუა რიცხვები იყო. ზოგჯერ კარგა გვარდანი სიცივე იცის ამ დროს ყუბანში, მაგრამ იმ წელს ისეთი თბილი ზამთარი იდგა, საქართველო გეგონებოდათ. კრასნოდარისკენ გადახრილი მზე ბლუჯა-ბლუჯა აფრქვევდა სხივებს დედამიწის და ირგვლივ გაზაფხულის ხალისიანი სუნთქვა იგრძნობოდა.

ლამაზია სტაროკორსუნსკაია თავისი მდებარეობით. სხვა სტანიცებივით ესეც მდინარე ყუბანის სანაპიროზეა შეფენილი და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხშირი, ვაუვალი ტყე ეკვრის.

როგორც სხვაგან, აქაც, სტაროკორსუნსკაიაშიც იწვევდა შეინიშნებოდა ერთი რამ: ამ ვეებერთელა სტანიცაში მამაკაცს ჰკაუნება არ იყო. ვისაც თოფის ხელში დაჭერის თავი ჰქონდა, ყველა ომში წაუყვანათ და სტანიცა ქალების ამარა დარჩენილიყო.

ჩვენს მისვლას სტანიცაში დიდი სიხარულით შეხვდნენ მცხოვრებლები. სად იყო და სად არა, თითქმის ყველამ ჩვენთან მოიყარა თავი და კოლმეურნეობის კანტორის ყოფილი შენობის დიდი ეზო ქალებით გაივსო.

იმ დღიდან, სამ თვეს, ფეხი არ მოგვიცვლია ამ სტანიციდან. დანჯღრეული და ჯაბახანა ორი საბარგო მანქანა, რო-

გელიც ჩვენ გვამარაგებდა საჭირო სურსათსანოვავით, გზაში დაგვემტვრა. ცხენებიც გზაში დაგვეხოცა. სამზარეულოს ერთხანს ხელით ვათრევდით ბიჭები. მერე ველარც ჩვენ შევეძელით მისი ზიდვა და, ისიც გზაში მივატოვეთ.

დავრჩით ბედისანაბარად. ტრანსპორტი აღარ გვექონდა, რომ ბატალიონისათვის საჭმელი მოეტანათ. როგორც სჩანდა, ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოქტის შტაბს ჩვენთვის არ ეცალა. ფრონტი ახლოს იყო. წითელი არმია მტერს ფეხდაფეხ მისდევდა და ურტყამდა, მთელი ყურადღება ახლა იქით იყო მიპყრობილი და ჩვენ ჯერჯერობით არავის ვაგონდებოდით.

ამიტომ თავი უნდა შეგვეფარებინა მოსახლეობაში და ჩვენი შრომით გვეცხოვრა. სტანიცაში მუშახელი არ იყო. მოსახლეობას საკარმდამო ბაღჩა-ბაღები დასაბარი ჰქონდა. თუ კი ჩვენ მათ ბაღებში ვიმუშავებდით, ისინი სიამოვნებით დაგვთანხმდებოდნენ და არც საჭმელს მოგვაცლებდნენ. კაპიტანმა ზენინმა საჯაროდ გამოგვიცხადა სამუშაოზე გავსულიყავით, რადგან ხალხსაც დავეხმარებოდით.

იმავე საღამოს თითო ოჯახში ორ-ორი კაცი დავნაწილდით. მე და ჩემი მეორე ნომერი ზაქრო კოტორაშვილი ერთ მღვდლის ოჯახში მოვხვდით.

— ახლა ჩვენ მღვდელი გვეპირებოდა? — წამოცხაბა ზაქრომ და თავი გააქნია, — ვაი ჩვენი ცოდვა, ვაი ჩვენი ცოდვა...

• • •

ზაქრო მცხეთელი კოლმეურნე გახლდათ. ბრიგადირად ეწუშავნა კოლმეურნეობაში და კაი მუშაკაცის სახელიც ჰქონდა. გავარდნილი სოფელში.

იგი ყველაზე უხუცესი იყო ჩვენს ბატალიონში. ორმოცდაათ წელს გადასცილებოდა, მაგრამ თავისი ენერგიით, თავისი ჯანღონით არც ერთ თავგამოდებულ ვაჟაკს არ ჩამოუვარდებოდა. ახლაც, ჩვენს ბიჭებში, ტოლს არავის დაუდებდა. სანჯარის გათხრას სხვა თუ სამ საათს მოანდომებდა, ის ნახევარ საათში გათხრიდა.

ტანად მაღალი იყო ზაქრო, ახმაზი, აყლაყუდა. თმები საფეთქლებთან შექადარავებოდა და შესამჩნევად შესთხლებოდა. გრძელი, კეხიანი ცხვირი არწივივით მოკაუჭებოდა და მის მარილიან სახეს უფრო მეტ ვაჟაკურ შესახებდობას აძლევდა.

— ქმასავით მომესწროო, — მასხრობდა ბიჭებში და თავის ცხვირზე ყველას აციენებდა. მართლაც, არ შეიძლებოდა მისთვის შეგებდეთ და თქვენი ყურადღება არ მიეზიდა.

ჩვენი ბატალიონი ახალბედა ბიჭებით იყო შევსებული და ზაქარას ყველა მამასავით ვუყურებდით. მართლაც, მამის ტოლი იყო. ორი ვაჟი ჰყავდა და ორივე ომში წაყვანათ. ცოლი ომის წინ მოკვდომოდა, აღრეულად დაქვრივებულიყო. ოჯახი ამჟამად გამოკეტილი ჰქონდა და მეზობლები პატრონობდნენ.

იგი ჯერ მეფორნედ მუშაობდა ჩვენს ბატალიონის სანეო ოცეულში, თან ცხენებს უვლიდა, ცხენების დახოცვის შემდეგ, ჩვენთან გადმოიყვანეს და ვინაიდან რუსული ერთი ლერი არ იყო, ჩემს მეორე ნომრად დამინიშნეს: შენს მკვდარს შენ მოუარე, შენ უფრო გააგებინებო.

იგი ძალზე კეთილი კაცი გამოდგა. ხუმრობა არა სწყინდა. არც წუწუნნი იყო, ყველა მდგომარეობას ადვილად

ეგუებოდა. უყვარდა მასხრობა, სიტყვილი. სულ ერთთავად კარგად ხსენებდა იყო და წარბეჭერულს ეშვებოდა და დაინახავდით. ისიც მაშინ, როცა შეიღების წერილი დაიგვიანებდა.

ზაქრო მთელს ბატალიონში ყველაზე საუკეთესო მსროლელად ითვლებოდა. რომ იტყვიან, ბუკედში აძვრენდა ტყვიას და იშვიათად თუ ააცდენდა მიზანს. იგი ამჟამად მეორე ომში ღებულობდა მონაწილეობას. პირველად მენშევიკების დროს ქართველებსა და სომხებს შორის ატეხილ ბრძოლაში მოხვედრილიყო.

ერთი სიტყვით, ეს ხანშიშესული კაცი თავისი ალალი გულით, თავისი ჯარისკაცური საბრძოლო თვისებებით დიდი პატივისცემით სარგებლობდა მთელს ბატალიონში. ყველას უყვარდა, დაწყებული კაპიტან ზენინით, გათავებული რიგითი ჯარისკაცებით და დიდმუცელა მხარეულით, რომელიც ყოველთვის მეტ კერძს უსხამდა ხოლმე. მას „გრძელცხვირა კაცოს“ ეძახდნენ ბიჭები.

ცოცხალი გატეხილი სჯობიაო, ნათქვამია. სხვებიც მუ და ზაქროც ვფიქრობდით, ესეთ ოჯახში მოვხვედრილიყავით, რომელსაც საკმელ-სასწავლი ექნებოდა და ჩვენც იოლად გამოგვიყვანდა, მაგრამ მოეტყუებდით.

ოჯახი, რომელსაც ჩვენ შევეყვდით, ძალზე ღარიბი აღმოჩნდა. ეს ოჯახი ოთხი სულისაგან შესდგებოდა. ესენი იყვნენ: მოხუცი ცოლ-ქმარი, მათი შვილი მარუსია და შვილიშვილი გენადი. გენადი შეიღირვა წლისა იქნებოდა.

მარუსია ქვარევი იყო. ქმარი ომის წინ ტუბერკულოზით მოკვდომოდა. იქნებოდა ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლისა, ძალზე ღამაზი შესახებდობა ჰქონდა და ნახვისთანავე ჩვენი ასეულის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა სოკოლოვმა დაადგა თვალი.

ოჯახის უფროსი კუზმინი, როგორც მოგახსენეთ, სასულიერო პირი გამოდგა, ოკუპაციის დროს ეპისკოპოსად ემ-

სახურა კრასნოდარის ერთ-ერთ დიდ ეკლესიაში. ახლა კი, როცა ჩვენებმა განათავისუფლეს ეს მხარე გერმანელებისგან, ანაფორა გაეხადა და, ცოტა არ იყოს, შეშინებული სახლში იჭდა.

ფოფოღია ლამაზ-ლამაზი, ფაშფაშა ქალი იყო, თავშენახული. სახეზე ერთი ნაოქი არ ემჩნეოდა. ეტყობოდა, ახალგაზრდობისას ძალზე ლამაზი უნდა ყოფილიყო.

იგი ლენინგრადელი იყო. იქ შეერთო ცოლად კუზმინს, იმეამად სასულიერო აკადემის სტუდენტს. მისი ორი და კი, მაშინდელ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებზე გათხოვილიყო და ამეამად ქუთაისში ცხოვრობდნენ.

როგორც კი გაიგეს, რომ ჩვენ ქართველები ვიყავით, მაშინვე სიამოვნებით გაგვიღეს კარი.

მოხუცები ძალზე კეთილი ადამიანები აღმოჩნდნენ, ნამდვილი მორწმუნენი, ღეთისმოსაენი. მართალია, თვითონაც უჭირდათ, ნახევრად შიმშილობდნენ, მაგრამ თუკი რაიმეს გააკეთებდნენ, ისე არ დაგეტოვებდნენ, ჩვენც გვაკმევდნენ.

ასე ცხოვრება მაინც არ შეიძლებოდა. როდემდის უნდა გვეცქირა სხვისთვის ხელეგში? ორ დღეს კარგად დავისვენეთ მე და ზაქრომ, სული მოვითქვით, მესამე დღეს კი პირდაპირ განვუცხადეთ ფოფოღიას, სამუშაო ეშოვნა ჩვენთვის.

ფოფოღია მაშინვე მეზობლებში გაცუნცულდა და ცოტახნის შემდეგ ერთი ცალთვალა მოხუცი მოიყვანა.

შევთანხმდით. დილაზე საბარავად უნდა გაეყოლოდით.

• • •

ცალთვალა ბერიკაცი მეტად საზრიალი გამოდგა. ოკუპაციის წინ ორმოში გადაემალა თავისი სარჩო-საბადებელი და მტერს ერთი ძროხისამარა დახვედროდა.

ფაშისტებს დაეპირებინათ მისთვის ამ ძროხის წართმევა, მაგრამ თავისი ცოცხალი თავით არ დაენებებინა. სწორედ მაშინ გამოეთხარათ ხიშტით მარჯვენა თვალის.

გამწარებული ახლაც ხშირად იგონებდა ამ ამბავს და წამდაუწყუმ სართულ-სართულიან გინებას უგზავნიდა მტერს.

იგი მესამე კაცი იყო, რომელიც ჩვენ ვნახეთ სტაროკორსუნსკიაში, იმ ორი თვის განმავლობაში. მეორე კი, ახლო მეზობელი, ბებერი კახაკი ხარაზი იყო. მის ოჯახში ჩვენი ოცეულის მეზობლები მაშედ ზაიდოვი და ოსმან ალიევი ცხოვრობდნენ.

ცალთვალა და მისი მეუღლე ფროსია მეტად გულუხვი მოხუცები აღმოჩნდნენ. მათ დილაადრიანად მივადექით სახლში: მე, ზაქრო, მამედ ზაიდოვი და ოსმან ალიევი. მათ სამხედრო სასწავლებლიდან ვიცნობდი, კარგი ბიჭები იყვნენ და ახლა ჩვენი სურვილით მივიამხანაგეთ.

ცალთვალა არ მოგველოდა ასე ადრიანად. რომ დაგვინახა, სახე გაეხადრა და მაშინვე კარებში შემოგვეგება.

— აბა, მოგვეცით ბარები და შევეუდგეთ მუშაობას! — მივმართე მე.

— მოიცათ, რა გეჩქარებათ, ბიჭებო! ჯერ პური შევკამოთ, მერე ისე შევეუდგეთ მუშაობას, დასაბარი სად გაგვეტყევა!

ჩვენ ხმა აღარ ამოვიღეთ.

— ფროსია, — გასძახა ცოლს, რომელიც სახლის გვერდით ძროხას სწევლიდა, — ჩქარა ჰქენი, სუფრა გააწყე!

ცოლს თვითონაც დაეხმარა ბერიკაცი, დატრიალდნენ და ხელდახელ ისეთი სუფრა გააწყეს, ჯარისკაცი უკეთესს რომ არ ინატრებდა.

იმან უფრო გაგვაკვირვა, როცა ფროსიამ, ამ კეთილმა დიასახლისმა, ამბრიდან ერთი ლიტრა ჯარხლის არაყი ამოიღო და მაგიდაზე შემოიდგა.

ბიჭებს სახე გაეხადრა. ზაქრომ ქვეშ-ქვეშ გამოხედა და ჩუმად თვალს

მიყო. მერე ზაიდოვისა და ალიევისაკენ მიბრუნდა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

იმ წუთს ძალზე ბედნიერად მოგვეჩვენა თავი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, რამდენი ხანია ჩვენი კუჭი არ გამძღარიყო; საქართველოდან რაც ფული გამოგვეყვა, გროზნოში დაგვეხარჯა, საქმელი რომ არ გვეყოფნიდა, ბაზარში სიმინდის ფქვილს ვყიდულობდით, ფაფას ვაკეთებდით, შაქრით შევაზავებდით და ვჭამდით. ეს უფრო იაფი გვიჯდებოდა. ფაფის გაკეთება პირველად მე შემოვიღე ბატალიონში. მალე სხვებმაც მომბაძეს და მერე ყოველთვის რიგი იყო კედლის ღუმელთან ფაფის გაკეთებაზე.

არაყი ხომ თვალითაც არ გვენახა, რაც აქეთ წამოვედით. ჯერ ერთი, ფული არა გვქონდა და გინდაც გვქონოდა, სად ვიშოვნიდით?

არაყმა ერთი ათად აგვიშალა შადა, იხედაც დანატრებულ ჯარისკაცებს. ჩვენც ბევრი ხვეწნა არ დაგვიკრებია. მოუესხებდით მაგიდას და ლაზათიანად მოვიქნიეთ ყბა.

შაქრო გულდაგულ ილუქებოდა. იმხელა პირს აღებდა, შეგეშინდებოდათ: ვმანდ მეც არ გადამყლაპოსო. ორივე ყბით ღეჭავდა საქმელს და მოთმინება რომ არ ყოფნიდა, დახარბებული, ნახევრადდაუღეჭავ ლუქმას სწრაფად აგზავნიდა ცარიელ სტომაქში.

ამ მგელ კაცს ან კი რა საქმელი გამძღობდა, მერე ისიც ახლა, ასეთ დროს. რომ შეგეხედათ, იტყოდით: ერთ ჯერზე, ერთი „ბუხანკა“ არ ეყოფათ.

შაქროს არც ჩვენ ჩამოვარჩებოდით. მამედ ზაიდოვი კამეჩივით აბრიალებდა დიდ შავ თვლებს და ავტომატივით აქნევდა განიერ ყბებს. ალიევის კი თავი ჩაელუნა და „გახურებულ მუშაობაში“ გართულს ერთხელაც არ მოუხედიო ჩვენსკენ. ჭამაში ოფლი მოსვლოდა და შუბლზე წინწყლებივით დასხდომოდა.

ცალთვალა მოხუცს არაფერი ენანებოდა ჩვენთვის. ამოქონდა და ამოქონდა ამბრიდან პურები. დაპურას ვერ

ასდიოდა. გაკვირვებული თან თავს აქეთ-იქეთ აქნევდა, თან წერა-ბეჭე-უბნებოდა.

— Ешьте на здоровье, хлопцы. ешьте...

გავეძხით!
გავეძხით, მაგრამ ორგანიზმი მაინც მოითხოვდა საქმელს, თუმცა კუჭი უარს ამბობდა, ადგილი აღარ არისო.

შაქრომ უკანასკნელად მოიქნია ყბა, სიმინდის ცომით გულგაყურებულ ინდურევიტ ძლივს გადასანსლა თევშზე დარჩენილი რძეში მოხარშული ქაშა, მერე დათვის ტორის მაგვარი გაუხეშებული პეშვით პირი მოიწმინდა და ბედნიერი კაცის ტონით წარმოთქვა:

— ავაშენათ ღმერთმა! მოდი, დაგვნიძღავებით, ბიჭებო, რომ ჩვენი დაპურებისათვის, ეს მოხუცი ადამიანები საიქიოში ცხონდებიან!

მის გულუბრყვილო სიტყვებზე გიჟივით გამეციანა. თვითონ შაქროსაც გაეციანა. მერე ზეზე წამოდგა. ერთს ლაზათიანად გაიზმორა და განაგრძო:

— ისე გავეძხი, სინდისს გეფიცები, ტანკი რომ დამეჭახოს, ადგილდანი ვერ დამძრავს!

მე რუსულად ვუთარგმნე ოჯახის უფროსებს შაქროს ეს სიტყვები. მათ გულიანად იციანეს.

— Ешьте на здоровье хлопцы. ешьте...—არ გვეშვებოდნენ მოხუცები.

წამოვიშალენით. ბარები, რომლებიც გუშინვე გაემზადდებინათ ჩვენთვის, მხარზე გავიდეთ და ცალთვალა ბერიკაცს ვუთხარით, წინ გავეძლოლოდა.

გავიარეთ ერთი უბანი და მეორე უბანში გავედით. უბნის დასაწყისში, გზის ნაპირზე, ერთ ცარიელა ნაკვეთს მივადექით, ნაკვეთი ათასხუთასი კვადრატული მეტრი იქნებოდა. შემოუღობავი იყო, ხალხი ზედ დადიოდა და ბილიკი გაეკეთებინათ. ეს ბილიკი ზედ შუაზე სჭრიდა ნაკვეთს და ერთი უბნიდან მეორე უბანში მანძილს ამოკლებდა. გაზა-

ფხულის მზეზე, მიწის ისე გაფუებული-
ყო, თითქოს საფუარი უქნიათო.

— აი ეს არის ჩემი საბოსტნე, —
გვითხრა ბერიკაცმა, — ძალას ნუ დაი-
ტანთ. როგორც გენებოთ, ისე იმუშა-
ვეთ! სულ ერთია, დღეს მაინც ვერ
მორჩებით ამის დაბარვას და ხვალ ისევ
აქ მოგიწევთ მოსვლა.

ბერიკაცმა გაიარ-გამოიარა ნაკვეთში,
თითქოს ფიქრობს, რა უფრო სჯობია,
რომ დათესოსო. მერე ისევ ჩვენთან
მოვიდა და მხიარულად მოგვმართა:

— მაშ ასე, ხლოპცი, მე ახლა წავალ
ხაზლში, პატარ-პატარა საქმეები მაქვს,
შუადღისას ისევ მოვალ და საქმელსაც
წამოგიღებთ, კარგი?

— მაგას რა სჯობია! — თავისთვის
წაიდუღუნა ზაქრომ.

ბერიკაცი წავიდა, ჩვენ კი ბარვას შე-
ვუდგეთო.

სამართლედ გითხრათ, თუმცა ნახევ-
რად სოფელში ვიყავი გავრდილი, მაგ-
რამ მამულში მუშაობა ჭირივით მეჭაფ-
რებოდა. ვერ ვეგუებოდი ვერც ბარვას,
ვერც თიხნას. კალო ხომ სიყვდილი
ყო ჩემთვის! რამდენჯერ წავუყვანი-
ვარ მამას ვენახში საბარავად, ცოტა კი
მიშველია და მერე გამოგვეუფლვარ.

განა ჩემი შველა უნდოდა მამას, მაგ-
რამ უყვარდა მამულში ფუსფუსი. უნ-
დოდა გაეგო, როგორ შემარჭებოდა
შრომა, როგორი მუშაკაცი დაედგებო-
დი ცხოვრებაში.

— სახარე ხარს სასკორეში შეემჩნე-
ვო, — მეტყოდა ხოლმე ხშირად, —
აქედანვე გემჩნევა, შენგან მუშაკაცი არ
დადგებაო.

ახლა კუჭამამძლარი ისეთი მუშაობის
ხასიათზე მოვედი, მეგონა, კლდეს და-
ვანგრევე-მეთქი. ბელტი-ბელტზე ამომ-
ქონდა და შავად ვაბრუნებდი მიწას.

ისე ოსტატურად ვხმარობდი ბარს
და ისე ენერგიულად ვებრძოდი საქმეს,
მამჩემს რომ დაეენახე, ალბათ, გაკვირ-
ვებნსაგან თვალები შუბლზე დაასხდე-
ბოდა.

— ეხ... მამაჩემო, — ვლუდუნებდი

გულში, — რა არის აქ გასაკვირვი, გა-
პირვება მიჩვენე, გაქცევას ვაჩვენებო.
მე ხომ შენს ხელში არაფერი გამჭირვ-
ბია.

ასევე ხალისიანად მუშაობდნენ მა-
მედ ზაიდოვი და ოსმან ალჩევი. მთელი
ძალით ურტყამდნენ ბარს აფუებულ მი-
წას და ცდილობდნენ არ ჩამოგვრჩე-
ნოდნენ.

ზაქროს ნულარ იყითხავდით! ეს შრო-
მაში დამწვარი და შრომისთვის დაბა-
დებული გლენი-მებრძოლი ლომკაცად
გადაიქცა. როგორც დილას ბერიკაცის
სახლში აეშალა ქამის საღერლედი, ისე
აქ მუშაობისა. სატერფულანდე დაყავ-
და ბარი და ისე ანგრევდა მიწას, რო-
გორც კარგი ბულდოზერი.

— აბა, ბიჭებო, ყოჩაღად! — დაგ-
ვწყვილებდა და ისე ათამაშებდა მძიმე
ბარს ხელში, როგორც ლერწმის ჯოხს.
ურტყამდა და ურტყამდა მიწას მთელი
ძალით და შავად აბრუნებდა იქაურო-
ბას. რაც ჩვენ სამ კაცს ფართობი მიგ-
ვექონდა, ამდენი მარტო იმას არა ჰყოფ-
ნიდა. ასეთ კაცზე იტყვიან სოფელში:
მუშაობის გიყიანო. დიახ, სწორედ რომ
მუშაობის გიყი იყო ეს დალოცვილი!

ყველა, ვინც კი გზაზე მიდი-მოდიო-
და, ჩვენს წინ ჩერდებოდა და გაოცე-
ბით მოგვჩერებოდა.

— Молодые хлопцы, молоды!

— იძახდნენ და გაკვირვების ნიშნად
თავს აქეთ-იქეთ აქნევდნენ.

ჩვენ კი, ცალკე ხალხის ქებით წახა-
ლისებულნი, ცალკე მუშაობის აზარტ-
ში შესულები ისეთი ტემპით ვაბრუნებ-
დით მიწას, რომ თორმეტ საათამდე ნა-
ხევარზე მეტი დაებარეთ და ერთი საა-
თის შემდეგ შესამედილა გვექონდა დარ-
ჩენილი. ხოლო სამ საათზე, როცა ცალ-
თვალა ბერიკაცი მოგვადგა თავისი კე-
თილი ფროსიათი და სადილი მოგვიტა-
ნეს, მათ განცვიფრებას საზღვარი არა
ჰქონდა. ერთი ეტილა გვექონდა დარჩე-
ნილი.

შით გზაშივე გაეგოთ ეს ამბავი, და არ დაეჭვრათ, ახლა თვითონ რომ შეხედეს ჩვენს ნამუშევარს, სახტად დარჩნენ. ცოლმა გაოცებით პირჯვარი გადაიწერა, ხოლო ქმარს თვალის გუგა გაუფართოვდა და ცოტა გასწყდა, ის ერთად-ერთი საღი თვალიც ბუდიდან არ გადმოუვარდა.

— ოი, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... — თავს აქეთ-იქეთ აქნევდა ფროსია, — ნელა იმუშავეთ, ხლოპცი, ნელა იმუშავეთ!..

— ძალას ვინ გატანთ, — მოსთქვამდა ბერიკაცი, — უკან ვინ მოგდევით! ნებაზე იმუშავეთ და როცა დაამთავრებთ, დაამთავრებთ!..

ისინი სიხარულით დაჰყურებდნენ შავად გადახნულ მიწას და ერთ ადგილას ვერ ისვენებდნენ. ნაკვეთს ხან აღმა ჩაუვლიდნენ, ხან დაღმა.

— თქვენ გაიხარეთ, თქვენ დაუბრუნდით მშვიდობით თქვენს ოჯახებს, თქვენს ცოლშვილს, თქვენს მშობლებს! — გვლოცავდნენ კეთილი მოხუცები.

ვისადილეთ. ცოტაც შევისვენეთ და დასვენებულებმა ახლა ახალი ძალით შეეუტიეთ საქმეს.

ორი საათის შემდეგ იმ ერთ ეტსაც მოვრჩით. ზაქრომ უკანასკნელი ბელტი ამოიღო, მერე მოიქნია ბარი და გაბრაზებულმა ისეთი ძალით დაანარცხა მიწაზე, რომ კინაღამ შუაზე გადატყდა.

— რას შერები, კაცო! — გაკვირვებით შეეძახე მე, — ამ სიკეთის დროს გვლუპავ?!

ზაქრომ სინანულით თავი გააქნია.

— რამდენი ხანია მამულში აღარ მიმუშავია და სიმართლე გითხრა, მომენატრა. როგორც წყალი მოგწყურდეს, ისე მწყურია ახლა მუშაობა! აფსუსს, რა დროს გათავდა ეს ოხერი!..

— არაფერი არ მინდა, — განაგრძო ისევ მცირე ღუმლის შემდეგ ზაქრომ, — ერთხელ კიდევ დამალა ჩემს მამულში, ჩემს ვენახში ნუშაობით, ერთხელ კიდევ ამბატარ-ჩამომბატარა ჩემი დახლართული ვაზების გვერდით და,

მერე, თუგინდ მომკლან, არაფერს ვინალვლებს!..

არქონული
ნიშნით

იმ დღიდან ჩვენ სტანიცაში კარგი მუშის სახელი გაგვივარდა. „გრძელცხვირა კაცოს“ მთელი სტაროკოროსუნსკაია იცნობდა. მცხოვრებლები მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ყველა ჩვენ გვეხეწებოდა საბარავად გავყოლოდით.

როგორც კი სამუშაოდან ხელს ავიღებდით და სახლისაკენ გამოუწევდით, გზაზე უამრავი მუშტარი გადაგიდგებოდა. სახლში რომ მივიღოდით, მთხოვნელები იქაც დაგვხვდებოდნენ. ზაქრომ რუსული ლაპარაკი რომ არ იცოდა, მე შემომხებევოდნენ და ხევწნას დამიწყებდნენ:

— ვაჟა, ძვირფასო, წამოდით ხვალ ჩვენთან, არაფერს მოგაკლებთ, კარგად გაგიმასპინძლებით, სამის მაგერად ოთხჯერ გაჰმევთ დღეში საჭმელს. თქვენ კი, როგორც გენებოთ, ისე იმუშავეთ, ძალას არ დაგატანთ!..

ჩვენ მაშინვე ფოფოდიას შეგხედავდით. ვისზეც ის გვეტყოდა, იმას წავევებოდით. პატივს ვცემდით დიასახლისს. ისიც იმ ხალხს იმადღიერებდა, ვისგანაც დავალებული იყო, ვინც მას სურდა. ამით ძალზე კმაყოფილი იყო და ჩვენგანაც ნასიამოვნები რჩებოდა.

ასე გაიარა ერთმა კვირამ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი სოკოლოვი რამდენჯერმე მოვიდა კუზმინების ოჯახში, ვითომდა ჩვენს დასათვალისწინებლად. მერე თანდათან უმატა სიარულს და ბოლოს მარუსიას ხშირი სტუმარი გახდა.

ახლა უკვე აშკარა იყო, ამ სახლიდან მალე სხვა ადგილას მოგვიწევდა გადაბარება. ეს ამბავი არც მე მესიამოვნებოდა, არც ზაქროს. ჩვენ უკვე შეჩვეულები ვიყავით კუზმინებებს ოჯახს და

დღეიდან სხვაგან გადასვლა არაფრად გვეპიტნავენბოდა.

ჩვენს გადაღმა, ქუჩის მეორე მხარეს, ერთი მარტოხელა, ლამაზ-ლამაზი, ფაშა-ფაშა ქალი ცხოვრობდა. მეზობლები როხროხა დონიას ეძახდნენ. მაღალი იყო, მოსული, ზორბა ტანისა. ის რომ ქალებში ლამაზობდა, გეგონებოდათ ჩხუბობსო. ბუხუნა ხმა ჰქონდა. მის სიცილს ერთ კილომეტრზე გაიგებდით.

დონია ორმოცდაათ წლანდე იქნებოდა მიღწეული. მოხდენილი სახე მთვარესავით ჰქონდა გაბადრული, კბილები სალი და ჩამძიებული. ხოლო ცხვირი არ უვარგოდა. ვეება სახეზე ტყირპივით მიჰკროდა და ერთი ბეწო მოუჩანდა.

ორმოცდაათ წელს შაინცდამაინც ვერაფერი გავლენა მოეხდინა მის გარეგნობაზე. ახალგაზრდასავით ერჩოდა გული. ცოცხალი იყო, მოძრავი. კარგად ჩასუქებულ ვეება ტანს ისე მსუბუქად ამოძრავებდა, თექვსმეტი წლის გოგო გეგონებოდათ.

ვინც არ უნდა ყოფილიყო, იგი ადვილად არავის დაეჩაგვრინებოდა. საამისო ღონეც მოსდევდა და ფხაც. კაცივით ამაყი იყო. ვისაც დაუბუხუნებდა, იმ წუთას ხმას ჩააწყვეტინებდა. ერთხელ თურმე ერთ გერმანელ ოფიცერს ისეთი დღე აყარა, მთელი სტანიცის მასხარა გახადა.

ის ოფიცერი მთვრალი მიადგა თურმე დონიას სახლში და არაყი სთხოვა. დონიამ რატომღაც უარი ვერ უთხრა. განჩინიდან ერთი ბოთლი არაყი გადმოუღო და მისცა.

გერმანელს ეფიქრა: ამას არაყი ბლომად ექნებაო და მეორე ბოთლიც მოსთხოვა.

დონიამ უარი უთხრა. გერმანელი გაუძალიანდა.

— ეგრე კი არ უნდაო, — შეუბუხუნა თურმე დონიამ, — არც აცია, არც აცხელა, ეცა, ის ბოთლიც წაართვა და სულ კუჭსკემით გააგდო უკან.

— უნდა გენახათ, — გვიყვებოდნენ ზოლმე სტაროკორსუნსკიაში ქალები,

— როგორი როხროხით მისდევდა დონია იმ ოფიცერს უკან და როგორ ურტყამდა წიხლს. შეშინებულად და წინაწამხდარი ოფიცერი კი კუდამოძებული სასაცილოდ მირბოდა უკანო.

ამის გამო სტანიცაში დიდ პატივს სცემდნენ დონიას და მის წყენინებას ყველა ერიდებოდა.

ისეც ეტყობოდა, რომ დონია დიდი მშრომელი ქალი იყო. ეზო კოხტად ჰქონდა დაგვილ-დაკრიალებული, სახლი თეთრად შელესილი, ვეებერთელა ბალი თავისი ხელით დაბარული. მის სახლში ჩვენი ბიჭებიდან არავინ ცხოვრობდა.

იგი ყოველ ცისმარე დღეს, დილა-ადრიაანად, თავის ეზოში გვხვდებოდა ცოცხით ხელში, ან სხვა საქმეზე მოფუსფუსე და სანუშაოზე თვალებით გვაცილებდა.

სადამოთი რომ დავბრუნდებოდით, კვლავ თავის გაკრიალებულ ეზოში იდგა. როგორც კი დაგვინახავდა, სახეს გახსნიდა და ღიმილს შემოგვაფრქვევდა.

ეტყობოდა, ბუნებით კეთილი ქალი იყო. დანახვისთანავე მოკრძალებულ სალამს ვაძლევდით. არც ის რჩებოდა ვალში, მაშინვე თავს დაგვიკრავდა და მზერას გამოგვაყოლებდა. ვინ იცის, თავისი ერთი ციკქნა, პაჭუა ცხვირის პატრონს, ზაქარას ცხვირი ეხარბებოდა და იმიტომაც არ გვაშორებდა თვალს.

გამართლდა მე და ზაქარას იმდამინდელი ფიქრი. ჩვენი ასეულის უფროსმა სოკოლოვმა, მე კაზაკის ოჯახში გადამიყვანა მამედოვთან და ალიევთან, ზაქარო კი როხროხა დონიას შეუსახლა.

• • •

გახურებულე საგაზაფხულო მუშაობა არ წყდებოდა სტაროკორსუნსკიას საკარმიდამო ბაღებში. საითაც გაიხედავდით, ყველგან შრომის დაძაბული მუსიკა ეღერდა. ჩვენი ბიჭები მთელს სტანიცაში გაშლილიყვნენ და ისეთი

ფერული დაებათ, თინას მამითადი გეგონებოდათ.

იქნევენ და იქნევენ ბარებს, სატერფულამდე დაჰყავდათ მიწაში და ღრმად აბრუნებდნენ საბოსტნეებს.

და ამ საერთო ორომტრიალში ვეღარ შენიშნავდით ერთ აღამიანს. ეს იყო „გრძელსხვირა კაცო“, ჩვენი ზაქარა.

იმ დღიდან, რაც ის როხროხა დონიას სახლში გადაიყვანეს, თავი კარში არ გამოუყვია. არ ვიცით, მიწამ ჩაყლაპა, თუ ცაბ. რა დაემართა.

ვეღარც ჩვენ მიუვადებთ მას. უკანასკნელ ხანს ძალზე ვიღლებოდით და საამისოდ არც დრო გვქონდა, არც ხალისი.

მე იმედი მქონდა, რომ თვითონ მომავითხავდა, იმიტომ უფრო არ გადავდიოდი მასთან.

რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოქცეულიყო, ის უნდა მოსულეყო პირველად და ეთქვა როგორ მოეწყო ახალ ბინაზე, კმაყოფილი იყო თუ არა.

— მოდი და გაუკეთე კაცს სიკეთე, — ვბრაზობდი გულში, — მეორე ნომრად არავინ ლებულობდა, მაგის ჭიჭდინის თავი სადა გვაქვს, ვერაფერს გავაგებინებთო. მე კი შემეცოდა, შევიცდელე, სიკეთე ვუყავი და იმან კი ასე გადამიხადა, ერთხელ აღარ მიხანტულა.

ბიჭები წარამარა მეკითხებოდნენ, „კაცო“ სად დაიკარგაო, მაგრამ ვერაფერს ვპასუხობდი. ყველას თვალში აცლდა მისი აყლაყულა ტანი, მისი გულუბრყვილო ღიმილი, გრძელი, არწივივით მოკაუჭებული ცხვირი, უნებურად ყველას ყურადღებას რომ იზიდავდა.

მეორე დღის, შუადღისას, შესვენების დროს, ბიჭებში უცბად ერთი აღიქოთი ატყდა:

— კაცო, კაცო მოდის! კაცო მოდის! — გაისმა ყვირილი და ყველა ზეზე წამოიშალა.

ძახილზე მერჯობე წამოვეარდი და პირდაპირ გზისკენ გავიხიდი. თვალებს არ დაუჯერე. თავი სიხმარში მეგონა. ზაქარა წმინდაგიორგივით თეთრ ტან-

საცმელში გამოწყობილიყო და თავისი აწოწილი ტანით ჩვენსკენ მოხალაჭნდა.

— კაცოს გაუმარჯოს, კაცოს გაუმარჯოს! — ისმოდა ბალებიდან ბიჭების ყვირილი და თან გაკვირვებით აცქერდებოდნენ ზაქარას.

— კაცო კი არა, წმინდა გიორგია, წმინდა გიორგი! — ხარხარებდნენ სხვები.

— ბიჭოს, ეს რა ამბავია?! — გაცეცხით წამოვიძახე და ზაილოვსა და ალივეს გადავხედე, — ხომ არ გაკივდა, კაცო, ამას რას ვხედავ!..

მათ გაკვირვებისაგან პირები დაეღოთ და დაჰყვტილი თვალებით გასცქეროდნენ ზაქაროს, რომელიც თანდათან უფრო გვიახლოვდებოდა.

მხედველობა დაეძაბე და ზაქარო ხელახლა შევათვალეერე შორიდან. მე ხომ არ მომელანდა და მისი ტურტლიანი, ჭუჭყით გასიბული, გახუნებული ტანსაცმელი თეთრად არ მომჩვენა-მეთქი.

მაგრამ, პოი საკვირველებე! არაფერიც არ მომჩვენებია. მას ახალი თოვლივით თეთრი, უმანკო შარვალ-ხალათი ეცვა. შავი ტოლღები ლამაზად დაეხვია მაღალ კანკებზე და ხავერდით უბზინავდა. ფეხსაცმლებიც შავად უპრიანებდა, თითქოს გულშინ შეუკერიათო. პირი გაეპარსა, თმა შეეკრიჭა, უღვაშები კობტად დაეყენებინა. ეტყობოდა, კიდევაც ებანავა. კროლა კაკალივით გამოვარდნილიყო ჭუჭყის ლენჯოდან და გათეთრებული, გალამაზებული, დიდკაცურად ჭიბკებში ხელებჩაწყობილი, გენერალივით მოაბიჭებდა ჩვენსკენ.

ამის დამნახავეებს ყველას სიცილ-ხარხარი აგვიტყდა.

— წმინდა გიორგი... წმინდა გიორგი... — კვლავ ყვიროდნენ ბიჭები.

ზაქარო ღიმილით დაგვიახლოვდა ჩვენ, ჭუჭყში და ოფლში გაქონილ ბიჭებს. ახლო მოსვლისას ჭუსლი ჭუსლს მიართყა, გაგვეჭიმა, ხელი მაღლა ასწია, პატაკი გაგვიკეთა და სამხედრო წესით მოგვესალმა.

— სადა ხარ, კაცო, რა ამბავია შენს თავზე, ვინ მოგცა ეს ტანსაცმელი? — გაკვირვებით შევძახე და ერთხელ კიდევ თავით ფეხებამდე შევათვალიერე.

— ზაქარამ მცხეთურად გაიკრიჭა.

— ეს ჩემი ტანსაცმელია! გარეცხვის შემდეგ დადგა ასეთი! — მოკლედ გვიპასუხა მან.

— რას მეუბნები, ასე გათვთრდა?

— მაშ, ამერიკელები კარგ საქონელს ჩვენ გამოგვიგზავნიან? პირველად რომ ჩავიცივით, მაშინვე ეტყობოდა, რა ხარისხისაა იყო.

— მერე და, რატომ ერთხელ არ გადმოიარე ჩვენსკენ, არ გვითხარი, როგორ მოეწყე ახალ ბინაზე?

— დიდებულად! დონია ძალიან კეთილი ადამიანი გამოდგა. სიმართლე გითხრათ, სულ არ მოველოდი... გადასვლისთანავე მაშინვე წყალი გააცხელა და თუ რამე მაცვია ზედ, ყველაფერი დამირეცხა, კარგად დამირეცხა...

— მერე?

— მერე და, მეორედ კიდევ გააცხელა წყალი და ახლა მე მახანავე... კი არ მახანავე, მე თვითონ ვიბანავე! — ზაქარო ესე გაიკრიჭა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, — მეორედ დღე ამ ტანისამოსის დაუთოებასა და წესრიგში მოყვანას მოანდომა. მესამე დღეს მე თვითონ ვერ მოვიცალე; თავი გავიკრიჭე, გაბურღლული რომ მქონდა წიწამურის ძეძვის ბუჩქივით, პირე გავიპარსე, ფეხსაცმელები დაეკერებინე, კარგად გაეპრიალე და აი, როცა მოვიცალე, კიდევ გადმოვიარეთ სანახავად.

— ბიჭოს, შენ აღარ ხუმრობ, აი! — სიცილე ველარ შევიკავე მის ლაპარაკზე, — საქორწილოდ ხომ არ ემზადები? ფრთხილად იყავი, დონიას არაფერი აწყენინო, თორემ იმ გერმანელი ოფიცერივით მთელი სტანიცის მასხარად გაგხდის!

— რას ამბობ, კაცო, როგორ გეკადრება! — შეტუბუნებულივით წამოიძახა ზაქარომ და ჩემთან ერთად იმანაც გულთანად გადინარხარა.

ზაიდოვსა და ალიევს, რომლებიც მოსვენებას არ მაძლევდნენ ჩვენს ვებოთხარი კაცოს ამბავით, მრკლედ ვუქმარგმნე. იმათაც ბევრი იცინეს.

— ლმერთიც უშველის, — წამოიწყო ბოლოს ზაქარომ, — ძან ღვთისნიერს ქალი გამოდგა. არ ვიცი, რითი გადავუხადო ეს პატივისცემა. ოცი თუმანი გადავუმალე ჩემს მუცელს შავი ღლისათვის, მერე იქნებ როგორ დამკირდეს-მეთქი. ამოვიღე ის ფული და ვაძლიე. მაგრამ არ გამომართვა. არ გამომართვა კი არა, სასაცილოდ არ ეყო. შენი ფული რათ მიწნაო, მითხრა, ჯიბეში კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოსო.

საქმეზე ხელს არ მახლებინებს. არც თქვენთან მიშეებს სამუშაოზე, თორემ აქამდე რა გამაჩერებდა, სხვამ თუ არა, შენ მაინც კარგად იცი ჩემი ხასიათი. დაისვენეო, დაღლილი ხარო, ჟანზე მოდიო.

მიკეთებს და მიკეთებს ნაირნაირ საქმელებს. ჩიტივით ვკვებავს, არაფერს მაკლებს. მოსვენებას არ მაძლევს, უამეო, ფერზე მოდიო არაყი ხომ გამოუღვევლი აქვს ჩემთვის.

— ალბათ, კარგად ცხოვრობს, ჰა?! — საღერღელი ამიშალა ზაქაროს ლაპარაკმა და მისი ბედი, ცოტა არ იყოს, კიდევაც შემსურდა.

— რას ამბობ! — კინალამ თვალები გაღმოუვარდა ბუდიდან ზაქაროს და ხელი სიბრტყლივ ყელთან მიიტანა, — აი, ასეა, აი! საღამოზე გაღმოდით ჩემთან და თქვენ თვითონ ნახეთ.

— რუსულად თუ აგებინებ, რამეს! — სიცილით ჰკითხა ზაიდოვმა.

— ნიჩაო, ვახერხებ გაჭირვებით, ხელების დახმარებით. გადმოხვალთ ჩემთან საღამოზე?

— კი მაგრამ, რატომ უნდა გადმოვიდეთ?

— ისე... დონიამ მითხრა, მოიყვანე შენი ამხანაგებით!

— კარგი, მოვალთ!

საღამოთი ზაქაროსთან გადავედი მე, ზაიდოვი და ალიევი.

ზაქროსთან ერთად დონიაც კარებში შემოგვევება.

— მობრძანდით, ხლოპცი, მობრძანდით! — კეთილი ღიმილით მიგვიწვია შინ დონიამ.

შევედით. ორი ოთახისაგან შესდგებოდა დონიას სახლი. ამ ოთახებს შუაზე აღიზის რუსული ღუმელი ჰყოფდა. იატაკი თიხისა ჰქონდა, კოხტად იყო დამჯდარი და ფიცრისას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ოჯახი უბრალოდ იყო მოწყობილი, ისე, როგორც სჩვევია საერთოდ რუს გლეხს, მაგრამ რაც იდგა, ყველაფერი სუფთად და ფაქიზად გამოიყურებოდა.

როგორც ყოველი ყუბანური ოჯახი, დონიას სახლიც ხატებით იყო სავსე. კუთხეში ვეება „ღეთისმშობელი“ ვკიდა.

გამახსენდა ჩემი ბავშვობა. ჩვენს ოჯახშიც იყო მაშინ დასვენებული ღეთისმშობლის ხატი, და არა მარტო ჩვენსას, ყველას ოჯახში. რევოლუციის შემდგომმა წლებმა ყველაფერი რელიგიური თან გაიყოფა, აქ კი, დღემდე ისევე ხელუხლებელი დარჩენილიყო.

სანამ ჩვენ ოჯახში მივიხედ-მოვიხედვდით, დონიამ სუფრა გააწყო.

— არაფერი არ გვინდა, ახლა ვისადილეთ! — ხელები გაავატანეთ ბიჭებმა.

— მოიცათ! — მოგემართა ზაქრომ და ისედაც მაღალი კისერი ყანჩასავით წაიგრძელა. თან ისეთი იერი მიიღო, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყოს, — დონია ახლა ისეთი საკმლით გავრმასპინძლდებათ, კარგახანი გემოთი რომ არ გენახოთ!

— უყურებ შენა? — ყურში ჩუმად წამჩურჩულა ზაიდოვმა, — პირველად კაცოზე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს მჰადიდან ნახშირს ვერ გამოიღებსო, აქ კი...

— რას მოესწარით!.. — სიტყვა შეაწყვეტინა ზაქრომ ზაიდოვს, — გუშინ შიმშილით კუჭი გიწყოდათ, დღეს კი, არმინდასაც გაიძახით! მართლაც, რომ

დალოცვილი ხალხი ყოფილა, ყუბანელი ხალხი.

ჩვენთვის სადილი გამზადებული ჰქონდათ. დონიამ ჯერ პური და არაყი შემოდგა სუფრაზე, მერე თუჯის დიდი ტაფით ხახვში ბლომად შემწვარი ღორის ხორცი მოიტანა. მათ ახლა სხვა საკმელები მოაყოლა და ბოლოს ისეთი ბარაქიანი სუფრა გაგვიწყო, თავი საკუთარ სახლში გვეგონა.

— ნუ გრცხენიათ, ხლოპცი, ჰამეთ! გემრიელად ჰამეთ! — მოგემართა დონიამ და ჩვენთან ერთად თვითონაც მაგიდას მოუჭდა.

შემწვარმა ღორის ხორცმა, რომელიც ვინ იცის, რამდენი ხანია იყო გემოთ აღარ მენახა, ისევე ჰამის ხასიათზე მომიწყვანა. სუნმა ხომ, მთლად თავებრუდამახვია. აიღე-მეთქი, მუჭლუფუნნი წავკარი ბიჭებს და რომელიც დიდი ნაჭერი იყო ტაფაზე, იმას ვაძგერე ჩანგალი.

ზაიდოვმა და ალიევმა ღიმილით შემომხედეს. პირველად მეგონა ჩემზე გაიცინეს-მეთქი, მაგრამ უცბად გაგვახსენდა, რომ ისინი ღორის ხორცს არ სჰამდნენ.

დონიამ არ იცოდა მუსულმანური რჯულის ამბავი. როცა მას ამის შესახებ ვუთხარით, გაკვირვებით შემოგვხედა. სხვა საკმელებს არ დასჯერდა, წამოხტა მაშინვე და ბიჭებს ხელდახელ ერთი ტაფა ერბოკეცრებში მოუწვა.

ზაქრომ ბოთლს წამოაგლო ხელი. ზაიდოვმა შეაჩერა.

— კაცო, ეგ ის არაყი ხომ არ არის, დონიამ რომ წაართვა გერმანელს! — უთხრა და ამ სიტყვებმა ერთი ხარხარო გამოიწვია ჩვენში.

— ის არის, ნამდვილად ის არის! — წამოიძახა ზაქრომ და ბოთლი მაღლა შეათამაშა, — დიახ, იმას წაართვა და ჩვენ შეგვინახა. მას დასაფასებელი არ არის ასეთი ადამიანი?

ჩვენთან ერთად დონიაც გულიანად იცინოდა. „თქვენ ვიღამ ვითხრათო“, როხრობა ხმით გვეუბნებოდა. მერე

მსხვილი მკლავები დაეკარწახა და ჰაერში შეათამაშა.

— აი, სულ ამითი ვურტყი! — თან, ფეხები ააბაკუნა და დაუმატა, — ბოლოს ესეც მოვიშველიე, მანძაღლები, ბანდიტები, კაცისმკვლელები!..

ღონიამ ლაშათიანი ლანძღვა-გინება გაუგზავნა მათ.

ზაქრომ არაყი დაასხა.

— ამ ჭიქით, ბიჭებო, — დაიწყო მან, — ქვეყანაზე სიმართლეს გაუმარჯოს, სიკეთეს გაუმარჯოს. მტერი დაგვემარცხებინოს!

— გაუმარჯოს! — წარმოვთქვით ერთხმად და ჭიქები ჭიქებს მიეუჯახუნეთ.

მას შემდეგ ზაქარა საბარავად აღარ გამოსულა. საქორწილო ბიჭივით კობტად გამოწყობილი, ყოველთვის წვერ-მოპარსული და გაწყრივებული დასეირნობდა ხოლმე სტანიცაში.

ხან აღმა აივლიდა ლიღინით, ხან დაბლა. დღეში ერთხელ ბაღებში გაშლილ ბიჭებსაც მოგვინახულებდა. ჭიბებიში ხელბეჩაწყობილი გენერალივით დაგვადგებოდა ხოლმე თავზე, დაგვხედავდა, გვესაუბრებოდა. მერე ისევ მიბრუნდებოდა და კვლავ მხიარული, ქართული მელოდიის ლიღინით არხვინად გასწევდა შინისაკენ.

ბიჭები თვალს გააყოლებდნენ ზაქარას, გაკვირვების ნიშნად თავს აქეთ-იქით გააქნევდნენ, მერე ერთმანეთს შესცივებდნენ და იტყოდნენ:

— უყურეთ ერთი კაცოს, რა დღეშია! ვინ იცის, სახლშიც არა ცხოვრობდა ეგრეთ!..

• • •

„გრძელცხვირა კაცოს“ ამბავი ელვახავით გავარდა ჩვენს ასეულში, მერე სხვა ასეულებსაც მოედო და ბოლოს ბატალიონის შტაბამდეც მიალწია.

ერთ მშვენიერ დღეს კაპიტანმა ზენინმა თავისთან გამოგვიძახა, მე და ზაქარა. მე უფრო იმიტომ, რომ თარჯიმნობა გამეწია.

კაპიტან ზენინთან ერთად შტაბში

მთელი ჩვენი ბატალიონის ოფიცრობმა დაგვხვდა. აქ იყვნენ: შტაბის უფროსი სოშკინი, ზენინის მოადგილე კალაუცი, უფროსი ლეიტენანტი სოკოლოვი, ჩვენი ოცეულის მეთაური ტრეტიაკოვი, კომისარი ვინოგრადოვი და სხვები. მათ დაგვინახეს თუ არა, ერთი სიცილ-ხარხარი ასტეხეს და გარშემო შემოგვეხვივნენ.

— Ну как живёшь, кацо! — მიმართა კაპიტანმა ზენინმა და ეს „უცხო ფერის ფრინველი“ თავით ფეხებამდე შეათვალღერა.

— ოჩენ ხარაშო, ტავარიშჩი კაპიტანი! — დამტვრეული რუსულით სხაპასუხით მიუგო ზაქრომ.

— გეტყობა, რომ კარგად ხარ, — სიცილი ველარ შეიკავა ზენინმა, — მაგრამ ეს ტანსაცმელი ვინ მოგცა?!

ეს სიტყვები კი ველარ გაიგო კოტორაშვილმა.

— გარეცხვის შემდეგ ასეთი გახდა, ამხანაგო კაპიტანო! — მის მაგივრად ვუპასუხე ზენინს.

— ხედავთ? — მიუბრუნდა ზენინი ოფიცრებს, — კაცომ გაცომათ ყველას, რომელი გამოიყურებით ასე სუფთად?

ოფიცრებს ჩემჩუმად ფრუტუნე შეუდგათ.

— სენა! — გაისმა უცხად კაპიტან ზენინის მკაცრი ბრძანება და როგორც ერთი კაცი, ყველა გაისუსა.

კაპიტანი ზაქროსაკენ შემობრუნდა.

— გიცხადებთ მადლობას ასეთი სანიმუშო სისუფთავისათვის, ამხანაგო კოტორაშვილო!

— გმადლობთ! — იყო პასუხი.

— თავისუფლად!

ყველამ ამოისუნთქა.

კაპიტანი ზენინი ისევ ოფიცრებისკენ შემობრუნდა.

— ამ კაცმა ერთი დიდი შეცდომისაგან გვიხსნა!

— როგორ?! — ყველა გაკვირვებით მიაქეკრა მას.

— გუშინ ექიმი მელაპარაკა ჩვენი

ბატალიონის სანიტარული მდგომარეობის შესახებ, — დაიწყო კაპიტანმა ზენინმა, — ამ მხრივ ძალზე ცუდად ყოფილა საქმე. მე ბრძანება უნდა მომეცა დღეს თქვენთვის, რათა მომავალი კვირა სანიტარულ დღედ გამოგვეცხადებინა. გვეთქვა მებრძოლებისათვის, რომ იმ ოჯახების დახმარებით, სადაც თვითონ ისინი ცხოვრობენ, მთელი ტანსაცმელი მდულარე წყლით გამოეხარშათ, და თუ შესაძლებელი იყო — კიდევაც ებანავათ! გიცხადებთ, მომავალი კვირა ისევ სანიტარულ დღედ დარჩება, მხოლოდ განუმარტეთ მებრძოლებს ზედა ტანსაცმელს ნუ გარეცხავენ. მის სისუფთავეზე სხვანაირად იზრუნონ. ეს ბრძანება თქვენც გეხებათ, ამხანაგო ოფიცერბო!..

ზენინი გაჩუმდა.

— თეთრი ბატალიონი... — მცირე ფიქრის შემდეგ განაგრძო მან, — ოო, რა საშინელება იქნებოდა ამ მწვეანედ აბიზინებულ გარემოში ასეთი ტანსაცმელი. მერე ისიც მაშინ, თუ ფრონტზე მოგვიწევდა გასვლა და ყუბანის ამწვანებულ ჭეჭილებში თეთრი ბატებივით გავიშლებოდით!..

კაპიტანმა ზენინმა ბეჭებზე ხელი დაკრა ზაქროს და ახლა შინაურ ამბებზე დაუწყო საუბარი.

ბევრი ვიმასხრეთ, ვიცინეთ. ოფიცრებს ეუბნებოდა: კაცომ ყველას გაჯობათ, აბა რომელი ცხოვრობთ ასე და რომელი გამოიყურებით იმასავით კოხტადო.

მართალი იყო კაპიტანი ზენინი. მე მგონი, თვითონაც ვერ შეედრებოდა ამ მხრივ ზაქარას. ისინი საბარაყად არ გადიოდნენ და არც არავინ აქმევდა მუქთად. თავიანთი ხელფასით ცხოვრობდნენ. ფულს კი, მოგეხსენებათ, რა კურსიც ჰქონდა ომის დროს, და მერე ისიც ყუბანში, რომელიც გერმანელების მიერ კარგა ლაშათიანად იყო გაძარცული და არსად არაფერი იშოვებოდა.

ისინი ნახევრად შიმშილობდნენ, ზაქ-

რო კი, იმათთან შედარებით, რომ იტყვიან, ღმერთივით ცხოვრობდა.

კიდევ კარგახანს ვისაუბრეთ კაპიტან ზენინთან. ბოლოს მადლობა გადავუხადეთ ყურადღებისათვის და წამოვედით.

• • •

კახაკი ხარაზი ერთი აჯამი კაცი გამოდგა. იგი არც ცალთვალა ბერიკაცს ჰგავდა, არც კუჭმინს. ხელმოკერილი იყო. თუმცა თავიანთთვის ყველაფერი საკმარისად ჰქონდათ, ერთ ჰქია უშაქრო ჩაის არ მოგაწვდიდა.

სამაგიეროდ ცოლი იყო კეთილი. ქმრის ჩუხად სულს არ დაგიჟერდით.

მათ შვილები არა ჰყავდათ, უნაყოფოდ დაბერებულყვენ. ხარაზი ინვალიდი იყო, წელს ქვემოთ დამბლა ჰქონდა დაცემული. სახლიდან კარში არ გადიოდა. იქდა ერთთავად თავის სახარაზო დაზვასთან და დახეულ ფეხსაცმელებს აყერებდა.

ჩემს გადასვლას იგი შუბლშეკრულს შეხვდა:

— ყახარმა კი არა მაქვს აქ, რომ ყველა ჩემთან მოდიხართო! — მომახალა პირში.

მას შემდეგ ხარაზი სულ ბუზლუნებდა, იგინებოდა, ვილაცას ლანძღავდა, მაგრამ ვერ გაგვეგო ვის.

ერთხელ ზაიდოვიმა მითხრა:

— ეს მოხუცი კაი სულის კაცი არ უნდა იყოს, ჩვენ გვაგინებსო.

ზაიდოვი მართალი გამოდგა. მალე დაიწმუნით, რომ მას განმათვისუფლებელი წითელი არმია მაინცდამაინც გულზე არ ეხატა.

შემძულდა კახაკი. მისი დანახვა ყოველთვის გულს მჭრევდა. ვიფიქრე: მოდი, წავალ აქედან, გავეცლები, დაეღუნე თავს და ვისაც მივადგები, მივადგები, ამაზე უარესი ხომ არ იქნება მეთქი.

ასეც მოვიქციე. ავიკარი გულანაბადი და ჩვენი ქუჩის მეორე მხარეს, როხრობა დონიას სახლიდან ორასი

მეტრის დაცილებით, ერთ-ერთ ეზოში შეეყავი თავი.

ერთმანეთზე მიდგმული ხის სახლების ერთ-ერთ კარზე დაეაკაუნე და გავინახე.

კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო, მშვენიერი შესახედადი იყო, ზღვასავით ლურჯი თვალები ჰქონდა. ოქროსფერი თმები ღამაზად შეენოდა მის მოხდენილ სახეს. მის დანახვაზე ელდა მეცა და უნებურად ტანში გამაეროლა.

თვალწინ წარმომიდგა უცბად ცირა, ოქროსფერთმიანი ცირა, ჩემი პირველი გატაცება.

ამის წინ, შემოდგომაზე ერთ ჩემ მეგობარს სოფელში ვესტუმრე რთველში. ატმისა და ჩამაქრული ყურძნის თავბრუდამხვევი სურნელებით იყო გაქვნილი ქართლი.

იქ გავიციანი ცირა, იმეამად თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

ისიც სტუმრად იყო ჩამოსული იმ ოჯახში, მეგობრის დასთან. სამი-ოთხი წლით უფროსი იქნებოდა ჩემზე. ზღვასავით ლურჯი თვალები ჰქონდა, ნუშივით მოყვანილი დიდი თვალები და მეგონა, რომ იმ თვალებში მთელი სამყარო მოსჩანდა. ოქროსფერი თმები ღამაზად შეენოდა მის მოხდენილ სახეს და პირველ დანახვისთანავე სული ამიფორიაქა.

ჩვენ მეორე დღეს უნდა დაებრუნებულიყავით თბილისში, მაგრამ გადაუღებელი წვიმის გამო, სოფელში ერთ კვირას ჩავრჩით.

იმ ერთი კვირის განმავლობაში სულ ერთად ვიყავით. ერთად ვსაუბრობდით, სახლიდან კარში ძნელად გავდიოდით. როცა მოგებზარდებოდა სახლში ჯდომა, საწვიმრებს ვითხოვდით, წამოვისხამდით, თავზე მოვიბურავდით და ვენახში ჩავიდოდით.

ვენახში თივის ქოხი იყო გამართული, წვიმა ვერ ატანდა. იმ ქოხში შეეძებრებოდით, ყურძენსა და ატამს შევი-

ტანდით, კაკალსაც შევიყოლებდით, ხმელ თივაზე წამოეწებოდით, ვამაშდით, ვსაუბრობდით, ვმასხრავდით, ვეცინოდით.

ცირას კაკალი უფრო უყვარდა. შევუმტვრევდი, ვურჩევდი, ვაძლევდი.

მე ყოველთვის მის გვერდით ვწვებოდი თივაზე, ანდა მოპირდაპირე მხარეს ჩამოეუჯდებოდი, რომ პირისპირ მეტყირა სახეში.

ცირა ამპარტავანი არ იყო, არ მერიდებოდა, ყველაფერზე მაღლობას მეუბნებოდა, მისი თმების სურნელება ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მგერიდა და ტკბილი ოცნების ბურუსში მხვევდა. მე იგი მაშინვე შემეყვარდა, შემეყვარდა მთელი გრძნობით, მთელი გატაცებით.

პირდაპირ რომ ვერ გაუბედე, თბილისში წერილი გაუუგზავნე მეგობრების ხელით და სიყვარულს ეუმეღავენდო. მას სასაცილოდ არ ეყო თურმე ეს ამბავი და მიწოდა „პატარა ბიჭი“. იმის შემდეგ იგი ყოველთვის „პატარა ბიჭად“ მიხსენიებდა და მეგობრებს ასე აბარებდა: გადაეცით „პატარა ბიჭს“ ჩემი მოკითხვაო.

ერთადერთი, რაც მისგან გამომყვა სახსოვრად, ჯიბის პატარა, მრგვალი სარკე იყო. მან ეს სარკე მატარებელში მისასოვრა, როცა სოფლიდან თბილისში ვბრუნდებოდით.

თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი ამ სარკეს და ხალათის მარცხენა ჯიბეში ვინახავდი, გულთან, მაგრამ ერთხელ ტაქტიკურ მეცადინეობაზე გამოიტყდა და ნამსხვრევებად იქცა.

მაინც ვერ გავიმეტე გადასაგდებად. ხელსაბოცში გამოვკარი და კვლავ ჯიბით ვატარებდი. თავისუფალ დროს ყოველთვის გავხსნიდი ხელსაბოცს, ნამსხვრევებისაგან ისევ მთელ სარკეს აღვადგენდი და ამით ვიგონებდი მშვიდობიან დროს, ბედნიერ ხანას, წვიმიან შემოდგომას სოფელში, როცა პირველად გავიციანი ცირა.

თვალწინ წარმომიდგებოდა თივის

პატარა ქოხი, ჩემს წინ, იქვე, წამოწოლილი ცირა, დიდი, ნუშის მოყვანილობის ლურჯი თვალებით. დიახ თვალწინ წარმომიდგებოდა ყოველივე ეს და მეც ვივიწყებდი არსებულ მდგომარეობას, წუთიერად დაბრუნებული ბედნიერებით ვატკობდი ჭარისკაცის სულს.

დიახ, ახლა სწორედ ის გამახსენა ამ ქალმა და კინალამ ვიყვირე, ცირა-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, ცირას რა უნდოდა აქ.

იმანაც შემატყო დაბნეულობა. ლურჯი თვალებით დამაქცერდა. მიყურა, მიყურა და ბოლოს მკითხა:

— რა გნებავთ?

მე მოკლედ ვუთხარი ჩემი გასაქირი.

იგი ერთხანს შეყყოყმანდა. თავი ჩაიკიდა. ალბათ, ფიქრობდა, მიველე თუ არა. მერე ისევ გამისწორა თვალი, მგონი, შევეცოდე; კარი ფართოდ გაიღო და მითხრა:

— მობრძანდით!

ოთახში ხუთი წლის პატარა ბიჭუნა შემომეგება ტიკტიკით. იარაღი რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა და სიხარულით შეჰყვირა:

— ძია, ძია... მითხარი, ეს რა იარაღია?

მე ქერა თმაზე ხელი გადავუსვი, მოვეფერე, მავთულხლართების დასაჭრელი დიდი მაკრატელი მივეცი.

ბიჭმა მაკრატელი გვერდზე გადააგდო და აეტომატს სწვდა.

— მომეცით ეს, მე ამით მინდა ვეომო გერმანელებს!

ჩვენ მხიარულად გაგვეცინა ბავშვის ამ მოსწრებულ სიტყვებზე.

ასე გავიცანი ინგა და მისი პატარა კოლია.

ინგა ოცდაშვიდი წლის იქნებოდა. წარმოშობით ივანოვის ოლქიდან იყო. მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი დაემთავრებინა ომის წინ და ქალაქ ივანოვო-ვოზნესენსკის ერთ-ერთ საფეიქრო ფაბრიკაში ემუშავა ინჟინერ-ტექნოლოგად. აქვე გაჰყოლოდა ცოლად ამ ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ვინმე ევ-

გენი მარკოვს. ომის დაწყებისთანავე მარკოვი ომში წაეყვანათ და დაღუპულიყო. ინგა აქეთ გამოქცეულა და ერთბაშე დაეწყო მუშაობა მუშაკთა კომუნალურ გერმანელებს და თავის ძუძუმწოვარა ბიჭით ყუბანში გადმოხვეწილიყო. მას აქეთ აქ ცხოვრობდა.

ინგას პატარა ოთახი ჰქონდა დაჭირავებული. ოთახში ერთი ძველებური ხის საწოლი, ერთი დანჯღრეული კამოდი და ერთიც გრძელი, ორფეხა სკამი ედგა. ეტყობოდა ესეც სახლს პატარონს მიეცა მისთვის. ეს იყო მისი მთელი ავლადიდება. როდესაც ვკითხე: რას საქმიანობ, რითი ცხოვრობ-მეთქი, მას ცრემლები მოერია. ჭერ დამიმალა, მერე გამომჩყდა და მითხრა, რომ ვაჭრობდა. სხვა სტანიცაში იათად ყიდულობდა, აქ ცოტა ძვირად ყიდდა და ასე ირჩენდა თავს.

შემეცოდა. გული ამიჩუყა ამ ქალის მდგომარეობამ. საშუალება რომ მქონოდა, მისთვის უკანასკნელ ლუკმას არ დავიშურებდი, მაგრამ რით, რითი გამეწია დახმარება?

როდესაც მას ვუთხარი, რომ მეც უნივერსიტეტის მესამე კურსიდან ვიყავი წამოყვანილი, საზე გაეხსნა, თვალები გაუბრწყინდა, გაეხარდა. ალბათ თავისი სტუდენტობა გაახსენდა.

ინგამ მითხრა: წელან, როდესაც დაგინახე, ერთი ჩვენი ყოფილი სტუდენტი მეგონეო. ქართველები ბევრი სწავლობდნენ ჩვენთან მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში და შემდეგ ევანოვო-ვოზნესენსკშიც იყვნენ პრაქტიკაზეო.

მეც ჩემის მხრივ ცირას ამბავი ვუამბე.

• • •

ნელა მიიზღაწნებოდა დღეები. მე, ალიევი და ზაიდოვი ყოველდღიურად აღარ გავდიოდით საბარაყად. ახლა ნარდად ვლებულობდით სამუშაოს და იქიდან აღებული სურსათ-სანოვავით საქმელს ჩვენ თვითონ ვამზადებდით სახლში.

როგორც გვინდოდა, ისე ვიზოგავდით

იმ საქმელს და როცა გვიხდოდა, მაშინ გავდიოდით სამუშაოდ, მუშტრები ბევრი გვყავდა სტანიცაში და საქმეც არ იყო.

მე და ინგაც თანდათან შევეჩვიეთ ერთმანეთს. მას აღარც რცხვენოდა ჩემთან საუბარი და აღარც ერიდებოდა. კვირაში ორჯერ მაინც უხდებოდა ხოლმე წასვლა მეზობელ სტანიცებში. ყიდულობდა ზეთს, კარტოფილს, ხახვს, სხვადასხვა ხმელ სურსათს. ჩამოჰქონდა სახლში და მეზობლებში ასაღებდა. ზოგჯერ ბაზარშიც გაჰქონდა.

ახლა მას ჩვენი ერთ სახლში ცხოვრება კი აღარ ეუხებრბულებოდა, პირიქით, სიმხნევეს შატებდა მამაკაცის გვერდით ყოფნა. გარდა ამისა, მას სახლის გაქურდვის აღარ ეშინოდა და ბავშვის ჭავრიც აღარ ჰქონდა.

მე და პატარა კოლია ნამდვილი ძმაკაცები გავხდით. აღარც მას შეეძლო უჩემოდ ყოფნა, აღარც მე — უმისოდ. როცა დედამისი სახლში არ იყო, იგი სულ ჩემთან იმყოფებოდა. ერთად ვამზადდებით საქმელს და ერთად ვსაღილობდით. ერთად ვწმენდით იარაღს, რომელიც მას ყველაზე ძლიერ იზიდავდა. სადაც წაედიოდი, თან დამყავდა და ბოლოს ისე შემეჩვია, უჩემოდ ვეღარ სძლებდა, ტიროდა...

თავისუფალ დროს თანდათან უფრო მეტს ეშოულობდი. ამ დროს ინგაც ოჯახური პირობების გაუმჯობესებას ვანდომებდი. ხან სახლში ვტრიალებდი და წვრილმან საქმეებს ვაკეთებდი, ხან მდინარე ყუბანის გაღმა ტყეში დავდიოდი და ზურგიტ ხმელ შეშას ვეზიდებოდი.

ნავთი არ იშოვებოდა და ხალხი ყველაფერს თითქმის ცეცხლზე ამზადებდა.

ტყიდან შეშის მოტანა არც ისეთი იოლი საქმე იყო, მერე ისიც ქალისათვის. ერთი კლომეტრის სიშორიდან გვიხდებოდა ზურგიტ ზიდვა. ხშირად ზაქროს, ალიევს და ზაიდოვს ვიზარებდით. ზაიდოვი ზაქროსავით ღონიერი იყო, ძვალშხელი. ისინი კამეჩბივით

დაითრევდნენ სამ-სამ, ოთხ-ოთხ დიდ ლატანს და ისე მოიტანდნენ სახლამდე, ერთს არ დაისვენებდნენ.

იმდენი შეშა მოეუზიდე ინგაცს, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. რითი გადაგიხადო ეს სიკეთეო, მეუბნებოდა ხშირად და აღარ იცოდა, როგორ ეცა ჩემთვის პატივი.

მისმა მეზობლებმაც კეთილი თვალით დამიწყეს ცქერა, პირველად უნდოდ რომ მიყურებდნენ. თუკი შემეძლო, არც მათ ვაკლებდი ყურადღებას. უკაცო ოჯახები იყვნენ, ზოგჯერ სახლში ისეთი საქმე გამოუჩნდებოდათ, დედაკაცს არ შეეძლო მისი გაკეთება, შევირბენდი მათთან და არაფერზე დავზარდებოდი.

ერთხელ ტყეში შეშაზე ყოფნის დროს ტანქსაწინააღმდეგო გრანატი ვიპოვე, გრანატი გერმანული აღმოჩნდა. იგი საღი იყო და მისი აფეთქება საქირობის შემთხვევაში ყოველთვის შეიძლებოდა. გადავწყვიტე შტაბში მიმეტანა, მაგრამ შევჩერდი. უცბად გამახსენდა, რომ ამ გრანატით ჩვენ თევზს ვიშოვნიდით.

მაშინვე სტანიცაში გავიქეცი და ეს ამბავი ზაქროს, ზაიდოვსა და ალიევს ვახარე. ისინი იმ წუთას ყუბანზე ჩავიყვანე და გრანატი ვისროლე. გამსკდარმა გრანატამ იმხელა ლოქო ამოაგდო, ოთხმა კაცმა ძლივს მოვათრიეთ სახლში.

დავჭერით. ვინ იყო მისი მკამელი. ზოგი ზაიდოვსა და ალიევს გავატანე სახლში, ხარაზსაც ჩაახეთხეთ-მეთქი, ზოგი ზაქრომ წაიღო, დონიას გავახარებო. ბოლო ნაწილი ჩვენ დავიტოვეთ და ინგამ მოხარშა. დანარჩენი ინგაც მეზობლებს გავუწაწილე.

მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჩემი სახელი ყველას პირზე ეკერა. იმ დღიდან უფრო განიმსჯვალენ ჩემდამი პატივცემით. ადრე ეპკის თვალით რომ მიყურებდნენ, ბოლოს ისე შევეუყვარდი, თვალში რომ ჩავევარდნოდი, ხელს არ მოცხამდნენ.

თანდათან ინგაც სულ შეიცვალა, გამ-
ხიარულდა, გამიშინაურდა. აღარც
რცხვენოდა ჩემი, აღარც მერიდებოდა.
ერთთავად ღიღინებდა.

თავის მხრივ ისიც სულ იმის ცდაში
იყო, რაიმე ესიამოვნებინა ჩემთვის, ბო-
ლოს იმდენად მომენდო, რომ ერთხელ
კიდევაც გამომიტყდა, მითხრა, რომ მას
ცოტაოდენი ფული ჰქონდა შეგროვილი
და ივანოვში დაბრუნებისას მასზე ამყა-
რებდა იმედს, სანამ დანგრეულ ოჯახს
აღადგენდა და ცხოვრების ნორმალურ
პირობებს დაუბრუნებდა.

მან ისიც კი მაჩვენა, სად ინახავდა
ამ ფულს საიდუმლოდ, ვინაცობაა სახ-
ლი გაეტეხათ, ქურდს ვერ მივგნო.

იგი ერთი წუთითაც კი არ დაფიქრე-
ბულა, რომ მის სახლში ვიღაც დროე-
ბით შემოჭრილ გადამთიელს არ მოეპა-
რა ის ფული.

ყველაფერში მენდობოდა. გაფრთხი-
ლებული ვიყავი, თუკი მისი აქ არყოფ-
ნის შემთხვევაში ჩვენს ბატალიონს
სტაროკორსუნსკაიადან წასვლა მოუბ-
დებოდა, სახლი კარგად დამეკეტა და
გასაღები დანიშნულ ადგილას შემენა-
ხა, ისე რომ არავის დავენახე.

• • •

ფრონტი კი წინ მიიწევდა...

წითელი არმია შეუსვენებლივ ურ-
ტყამდა ჰიტლერის შერყეულ დივი-
ზიებს, ამოსუნთქვებს საშუალებას არ
ძლევდა.

გერმანელები დინჯად, მაგრამ შინც
იხევდნენ უკან, კრიმსკაიას და ნოვო-
როსიის მიმართულებით. ნაბიჯს არც
უმატებდნენ, არც უკლებდნენ, თითქოს
არ ეჩქარებათ და როცა მიადრეკენ ბერ-
ლინამდე — მიადრეკენო.

ჩვენი აქ ყოფნის დროს ყუბანში კი-
დეუ განთავისუფლდა მრავალი სოფე-
ლი და სტანიცა. ეს ამბავი ბიჭებს სიხა-
რულის ფრთებს გვასხამდა, მაგრამ
ჩვენი ბატალიონის მდგომარეობის
გაუმჯობესებაზე შინც არავინ ფიქ-

რობდა. ყველას დაეწყებოდა მისი/ამ-
ქვეყნიური არსებობა, ყველა სტარო-
კორსუნსკაიაში იღდა და ~~დაბრუნდებოდა~~ კვერ-
ცებზე ზის წიწილების გამოსახედადო,
ფეხს არ იცვლიდა.

როგორც სჩანდა, ჩრდილო-კავკასიის
სამხედრო ოლქის შტაბს, სულაც არ
ენაღვლებოდა ჩვენი მდგომარეობა. მას
უფრო ღიღი საქმე ჰქონდა და ამ საქმეს
აკეთებდა. ამ მრავალმილიონიან
ფრონტის განმგებელს ერთ ბატალიონ-
ისათვის სად ეცალა. ჩვენც ხელი ჩავი-
ქნიეთ და ძალაუნებურად მივეყეთ ჩვენს
ბედის ბორბლის ტრიალს.

ერთხელ გაეარდა ხმა: გვეშველა,
ტრანსპორტი აღსდგა და ახლა საჭმელს
თავზე საყრელად მოგვაწვდიანო, მაგ-
რამ წუთიერი გამოდგა ამ ამბით გამოწ-
ვეული სიხარული. ეს ხმა არ გამართლ-
და და ისევ ჩვენს მდგომარეობას შე-
ვურიგდით.

ზოგიერთს არც უნდოდა ამ სტანიცო-
დან ჩვენი ბატალიონის წასვლა და არც
მისი ტრანსპორტის აღდგენა. ისინი
აქაც კარგად გრძნობდნენ თავს და მშვე-
ნიერად გაჰქონდათ თავი.

მაგრამ ჩვენი ოფიცრებისათვის თან-
დათან უფრო მძიმე შეიქმნა მდგომარე-
ობა. ჯერ ერთი, შიმშილს შეჩვეულ-
ნი არ იყვნენ და მეორეც, ფული არ
ყოფნიდათ. ამიტომ ზოგმა საკუთარ
სინდისს უღალატა.

ერთხელ ჩვენი ბატალიონის ზემდეგა-
რეშეტნიკოვი მოვიდა ჩვენთან და მით-
ხრა:

— „კაცო“ უნდა გადავიყვანო დონიას
სახლიდან სხვაგან და წამოდი, ქართუ-
ლად გააგებინე რამეო. მე მას რამდენ-
ჯერმე ვუთხარი და უარს ამბობსო.

რეშეტნიკოვი კარგად ჩასუქებული,
დაბალ-დაბალი, ორმოციოდე წლის გან-
ზე გადგმული კაცი იყო. მენახეს უფრო
ჰგავდა, ვიდრე სამხედრო პირს. თავის

დღენი არმიამი ემსახურა და ზენდგზე უფრო მაღალი თანამდებობისათვის ვერ მიეღწია.

სამაგიეროდ, მაღა ჰქონდა მაღალი. მას ბატალიონის საწყობი ებარა. ვირთხასავით სულ ამ საწყობში ტრიალებდა და პირის გაუჩერებლივ ნთქავდა ბატალიონის სურსათს.

ბიჭები მასხრობდნენ მასზე: დივიზიის უფროსად რომ დააყენონ, მაინც არ წავა, საწყობს არ დასთმობსო.

მაგრამ რეშეტნიკოვისათვის რომ გეკითხათ, არც ასე იყო საქმე. იგი ძილშიაც კი ოცნებობდა, ოფიცერი გამხდარიყო. დიდი წარზოდგენა ჰქონდა თავისთავზე. ისე გაქიშული და გაბღენძილი დადიოდა, თითქოს გენერალ-ლეიტენანტიყო. ერთს არ გაიღიებდა.

განსაკუთრებით მაშინ უყვარდა თავის დაფასება ხელქვეითებთან, როცა მასზე მაღალი წოდების იქ არაფერ იყო. მამალი ინდაურივით აიფხორებოდა, მხრებს წინ წამოსწევდა, თავით-ფეხებამდე შეგათვალიერებდა, ჩაცმულობის მხრივ თუ ცოტა რაიმე უწესრიგობას შეგნიშნავდათ, მთელს თავის მრისხანებას გადმოგაფრქვევდათ თავზე და დაუმსახურებლად მოგაკრავდათ რივგარეშეს.

მაგრამ უფროსებთან კატის კნუტივით მოიკაცებოდა, ისე გამოიცვლებოდა ეს ვაჟბატონი, ველარ იცნობდით.

ბიჭებს ათვალწუნებული გეყავდა თავისი ცუდი ხასიათის გამო და მთელს ბატალიონში არავის უყვარდა. ახლაც არ მესიამოვნა ჩემთან მოსული რომ დავინახე. მივხვდი, რა შუცლის გერემაც ჰქონდა. „კაცოს“ გადაყვანა დონიას სახლიდან მას იმიტომ უნდოდა, რომ მის იდგილას თვითონ მისულყო, რადგან დონიას საქმელ-სასმელს აგულვდა.

— ღორმუცელაე! — გუნებაში შეეძახე მას, — ბატალიონის საწყობში ხომ იღარაფრე გადაგრა და ახლა დონიას ქონება გინდა შექამო? მოგაკლდა განა სანთქაი!

მეტი ძალა არ იყო, უნდა გავყოლოდი.

— შენ რას იტყვი „კაცო“ კიდევ არ დამთანხმდება? — მკითხა მან გზაში.

— შენ დონიას უნდა ჰკითხო!

— რატომ დონიას?!

— აბა მე?

— დონიას კი არა, „კაცოს“! დონიას შე თვითონ მოეურიგდება!

— მაშინ კაცოს ელაპარაკე!

— რა უფლება აქვს, რომ არ დამთანხმდეს. შენ უნდა განუმარტო მას, რომ უფროსის ბრძანება კანონია, და ვინც ამ კანონს არ შეასრულებს, მკაცრად ისჯება.

— ასე უტოლინარი და რეგენი ნუ გგონია, ამხანაგო ზემდეგო, ეგ „კაცო“! მან ჩემზე და შენზედ კარგად იცის ყველა კანონი!

— ნამდვილა?

— ნამდვილა!

— ძალიან კარგი, მით უკეთესი!

ზაქროს თითქმის ყოველდღე ვხედავდი, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს ჩემთვის. დონია კი ერთი კვირა იქნებოდა, რაც არ მენახა. ველარ ვიცანი. დაკობილი დაგვხვდა სახლში და ისეთი თვალებით შემოგვხვდა, მეგონა, საცაა მეხვივით იქეჭებს და წაგვლეკავს-მეთქი.

— აბა „კაცო“, აიკიდე შენი ბარგი-ბარხანა და წამოდი ჩემთან! — უბრძანა რეშეტნიკოვმა მისვლისთანავე და პატარა ჯოხი, რომელიც ყოველთვის ხელში ეჭირა ხოლმე და გაწკრილებულ ჩექმებზე ატყაბუნებდა, ახლაც ასე აატყაბუნა.

ზაქარა დაიბნა. ჯერ მე შემომხვდა, მერე დონიას.

— რას უყურებ, იღე შენი ბარგი და წამოდი ჩემთან! — გაუმეორა ბრძანება რეშეტნიკოვმა, ცოტა უფრო მაღალ ხმით.

ზაქრო სდუმდა.

— არ გესმის? — ინდაურივით აიფხორა რეშეტნიკოვი და გასკდომასზე გაიბღინა. მერე ოთახში ბოლთა დაარ-

ტყა. კედელზე ჩამოკიდებული შაშხანა და საველე ჩანთა თავის ხელით ჩამოიღო და ზაქროს მიაჩეჩა.

ზაქრო შეინძრა. საველე ჩანთა ზურგზე მოიგდო და მხარზე ავტომატი გადაიკიდა.

— მოიცა, არსადაც არ წახვალ შენი — დარბუხუნა დონიამ და კუთხეში მიყუდებულ ცოცხს ხელი სტაცა, წვერიდან მოიჭყია და ერთი ორად გაბერილ ზემდეგს მიუბრუნდა:

— უსინდისო, ცივანო, მამაძაღლო! რამდენჯერ უნდა დაგიბოხოვო სახლიდან! ძალით გინდა შემომივიარდე?! აი თუ ძალით გინდა — მოუქნია ცოცხის ტარი და გვერდებზე თუ თავში ეპაყუბი აუტეხა. სადაც მოარტყამდა ცოცხის ტარს დონია, რეშეტნიკოვი იქ იტაცებდა ხელს. ბოლოს რომ მძხვდა, ეს აღარ ხუმრობსო, ხელიდან გაუსხლტა და ქუდმოგლეჯილი გიყვივით კარში გავარდა.

დონია უკან გაჰყვა.

— ღორო, წვინტლიანო, მამაძაღლო, კიდევ მოხვალ ჩემთან?! აი, ასე გინდა! — ეს გააგებულე: ქალი როხროხით მისდევდა უკან და ახლა ბეჭებში სთავაზობდა ცოცხის ტარს.

ეზოს კარებში გასვლისას რეშეტნიკოვს ერთი-ორჯერ კიდევ მოხვდა ცოცხის ტარი კეფაში. თვალეზიდან სიმწრის ნაპერწკლები გადმოსცვივდა და გაფითრებულმა ქუჩაში გავარდნისას ჭიშკარი მაგრად გაიჭახუნა, რათა დონია იქაც არ გაჰყოლოდა.

მაგრამ დონია ქუჩაშიც გაჰყვა.

— ეს რა ამბავია, ამას რას ვხედავ! — შემოგვესმა უცბად ქუჩიდან კაპიტან ზენინის ხმა.

მე და ზაქრომ თვალეზი გვეყიტეთ და კარში გავედით. იქ ნართლაც კაპიტანი ზენინი დაგვხვდა ჩვენი ბატალიონის ოფიცრებთან ერთად. ისინი ბეჭების სანახავად დადიოდნენ სახლებში და ახლა სწორედ ზაქროსაკენ მოეშურებოდნენ.

ქუჩაში გავარდნილი რეშეტნიკოვი პირდაპირ კაპიტან ზენინს რეშეტნიკოვი შენიშნა.

— რაშია საქმე, ამხანაგო ზემდეგო? — გაოცებით მიმართა მან და თან დონიას გადახვდა, რომელიც ცოცხის ტარს ატრიალებდა ხელში.

— თქვენ ბრძანდებით ბატალიონის უფროსი? — მიმართა დონიამ და კაპიტანს წინ ჩამოუდგა. სახეზე აღმურის ასლიოდა და სიბრაზისაგან თვალებს აბრიალებდა.

— დიახ, მე ვახლავართ!

— მერე რატომ არაფერს ეტყევით ამ რეგვენს, რომ ძალით სიყვარული არ შეიძლება?

— რაშია საქმე?!

— ზახარ, — მიმართა დონიამ ზაქროს, — მოდი აქ ჩემთან!

ზაქრო დონიას ამოუდგა გვერდით და კაპიტანს გაეჭიმა. დონიამ ხელი მოკიდა ზაქროს.

— აი ეს მებრძოლი მომიყვანა თქვენმა ოფიცერმა სოკოლოვმა და მთხოვე მიმეღო. მივიღე. უარი არ მოთქვია. მეტი რაღა გინდათ ჩემგან? ეს ვაებატონი ჩამციებია, გინდა თუ არა, „კაცო“ უნდა გადავიყვანო სხვაგან და მე უნდა მოვიდე შენს სახლშიო. რამდენჯერმე უარი ვუთხარი, მაგრამ არაფერმა გასჭრა მასზე. არ გასჭრა და მოხვდა კიდევ.

ოფიცრებს ჩუმჩუმად სიცილი აუტყდათ. კაპიტანსაც გაეცინა. რეშეტნიკოვს მკვდრის ფერი დასდებოდა სახეზე. წელან ერთი-ორად გაბერილი და გათხლეშილი ზემდეგი ახლა გუდასავით დაჩუტულიყო და მხრებჩამოყრილი, თავლაფდასხმული მუშტისოდენა გამოიყურებოდა. მიწა რომ გასკდომოდა ახლა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა.

— ამხანაგო კაპიტანო, — ველარ დაფარა დონიამ, — გააფრთხილე თქვენი ოფიცრები, რომ ყველას ასე დაემართება, ვინც კი „კაცო“ გაოყვანას მოისურვებს ჩემგან და მის მაგივრად თე-

თონ იფიქრებს ჩემთან მოსვლას. აი, ამ ვაჟბატონებმაც სცადეს ბედი, მაგრამ არ გამოუვიდათ! — დონიამ ტრეტიაკოვსა და ასეულის მეთაურის მოადგილეს უფროს ლეიტენანტ იაროშევს გადახედა, რომლებსაც დონიას უკანასკნელ სიტყვებზე ფერი წაუვიდათ და სირცხვილ ნაჭამებს ენა მუცელში ჩაუვარდათ.

— ქალბატონო დონია, მე უსათუოდ მივიღებ ზომებს ამ ვაჟბატონებზე! — ღიმილით მიმართა ზენინმა და დონიას მოფერებით მხარზე ხელი დაჰკრა, — გისურვებ შენს „კაცოსთან“ ერთად წარმატებას!

— გმადლობთ, ამხანაგო კაპიტანო, — მხოლოდ ახლა გახსნა კუშტად შეკრული სახე დონიამ, — მაგრამ მე არ მინდა თქვენს ოფიცრებს რაიმე სასჯელი დაადოთ. მათ ჩემს წინაშე ისეთი არაფერი დაუმსახურებიათ. ისე კი გეტყვით, რომ არც შენზე, არც სხვაზე და თუნდაც გენერალ-ლეიტენანტაც მომიყვანოთ, ამ „კაცოს“ არ გავცვლი.

ხმამალაღმა ხარხარმა იქაურობა გააყრუა. კაპიტანი ზენინი სიცილით კინდამ გაიგუდა. სული რომ მოითქვა, მოფერებით დონიას კიდევ მოუთათუნა მხარზე ხელი და ახლა ზაქროს მიუბრუნდა:

— ყოჩაღ, „კაცი“, ყოჩაღ! ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ! გაძლევ პირობას, რომ ამის შემდეგ უბატონოდ ხმას ვერაფერს გავცემს ჩვენს ბატალიონში!

— გმადლობთ, ამხანაგო კაპიტანო, გმადლობთ! — ტელეგრაფის ბოძით გაეჭმა ზაქარა ზენინს და მადლობისა და სიყვარულის გამომხატველი გრძნობით შესცინა.

• • •

ეს ამბავი ტყვიასავით გავარდა არა მარტო ჩვენს ასეულში, მთელს ბატალიონში. რეშეტნიკოვის გალახვას ყველა მოწონებით შეხვდა და ბიჭებში ზაქროსადმი პატივისცემა კიდევ ერთი ათად გაიზარდა.

იმ დღიდან სულ გამოიცივლა რეშეტნიკოვი. აფხორილი აღარავის დაუნახავს. ნირშეცვლილი იყო, იცოდა რომ ახლა მთელი ნაწილი მასზე იციხროდა და მხრებზე ამოყრილი დადიოდა.

განსაკუთრებით ვერ იტანდა ზაქროს. სადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორც კი თვალს მოჰკრავდა მის აწოწილ ტანს, იმ წუთში ტყვიანაკრავით შეტრიალდებოდა და ზურგს შეაქცევდა. ამის დანახვაზე ბიჭები ხმაშალდა ხარხარებდნენ და გაიძახოდნენ:

— ღმერთიც უშველის „კაცოს“, ნამდვილად არგო დონიას ცოცხალი!

ამ ამბით გათამამებული ზაქრო ერთი-ორად გაიჭიმა, გაიბღინძა. ახლა ისე კი აღარ გამოიყურებოდა, როგორც ადრე, კუზმინების ოჯახში რომ იყო. გასუქდა, გალამაზდა, ჯანი მოემატა, სისხლ-ხორციით აივსო, სახეზე ნათელი დაადგა და წარმოიდგინეთ პატარა ლაბაბიც კი გაიკეთა.

აღარც ცხვირი მოუჩანდა დიდი, სიფრიფანა; გაქონილი ქალადივით შუჭი რომ გასდიოდა ზოლზე სიგამხდრის გამო. სახე საესე მთვარესავით გაებადრა, ცხვირიც თითქოს დაუპატარავდა, თვალელებზე ნათელი ჩაუდგა. ერთი სიტყვით, ეს კაცი სულ შეიცვალა.

ზაქრომ კარგად იცოდა, რომ მთელს ბატალიონში ერთადერთი ჯარისკაცი იყო, რომლის მდგომარეობასაც ყველა შენატროდა. ამიტომ შეიფერა. „მტრის ჯინაზე“ წინანდელზე უფრო მეტად დაიწყო კოსტაპარუწობა. მის თოვლივით თეთრ, უმტვერო ტანსაცმელზე ერთ პატარა ლაქას ვერ შენიშნავდით. ტოლადები და ფეხსაცმელები ყოველთვის გაწმენდილი ჰქონდა და შავად უბზინავდა. წვერსაც ყოველდღე იპარსავდა. უღვაშები ისე ლამაზად ჰქონდა დაგრეხილი, ადამიანს თვალე ზედ დარჩებოდა.

იგი ახლა უფრო ხშირად გამოდიოდა სტანიცაში სასეირნოდ და ქუჩებს ხან აღმა აუყვებოდა, ხან დაღმა.

ბაღებში საბარავად გაშლილ ბიჭებს

უსათუოდ მოგვიანებულბდა. პირველად ჩემთან მოვიდოდა, თუკი იქ დამიგულბდა. ილაპარაკებდა, გვაცილებდა, თვითონაც იცილებდა და წავიდოდა.

ამ ყოფაში გაიარა ორმა თვემ. ერთ მშვენიერ დღეს ამბავი დაირხა: — კაპიტან ზენინს კრასნოდარში გამოუძახეს და, მგონი, რალაც გვეშველაო.

ამ ამბავს პირველად უნდოდ შეხედნენ ბიჭები, ასეთი ხმა ადრეც გამოვიდა, მაგრამ ტყუილი გამოდგა, ჩვენთვის ვისა სცალიანო, ამბობდნენ ისინი.

მაგრამ მერე დაიჭერეს. პირველი მათის დღესასწაულამდე სამი-ოთხი დღე იყო დარჩენილი და ფიქრობდნენ: საპირველმაისოდ ისე არ დაგვტოვებენ, გაგვიხსენებენო.

ასრულდა ბიჭების წინათგარძნობა. ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა მართლაც გაგვიხსენა.

კაპიტანი ზენინი იმავე საღამოს დაბრუნდა კრასნოდარიდან სტაროკორსუნსკაიაში და თან მოიტანა მანქანები.

ამ ამბავმა ერთი სიხარული გამოიწვია ბიჭებში. აღსდგა ტრანსპორტი, ახმაურდა ბატალიონი.

მეორე დღესვე მოგვყარეს საკმელსასმელი.

დადგა ჩვენი წასვლის დროც. ბატალიონში ტყვიასავით გავარდა ახალი ამბავი, ხვალიდან ფრონტზე მივიღვართო.

ბიჭებში ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა. ზოგი სიხარულით შეხვდა ამ ცნობას, ზოგი მოწყენით. მაგრამ ამ სტანიციის დატოვება ყველასათვის მაინც ერთნაირად დასანანი იყო... რამდენი ტყბილი მოგონება უნდა გაგვყოლოდა თან.

მეორე დღეს, დალის ათ საათზე ჩვენი ბატალიონის ძებრძოლები შტაბის წინ, კოლმეფრანგობის კანტორის ყოფილი შენობის ეზოში უნდა შევგროვილიყავით. შე ცოტა დამაგვიანდა და იმდროს მივედი, როცა ჩვენ ბიჭებს, უკლებლივ იქ მოეყარათ თავი.

სანამ ახლოს მივიდოდით, შორიდანვე შევნიშნე ზაქარა. იგი აყლარწული იდ-

გა მწვანე მუნდირიან ჯარისკაცებში და თეთრი გელივით მოჩანდა.

მეორე ხნის შემდეგ, იარაღსმშუღნი, ჩვენ უკვე მწყობრში ვიდექით და წასვლის ბრძანებას ვუცდიდით. ჩვენს გასაცილებლად გამოსულიყვენ სტანიციის ქალებიც და მთელი ეზო აესილიყო. ისინი მოპირდაპირე მხარეს გაჩერებულყვენ მთელს სიგრძეზე, როგორც ჩვენი ბატალიონი და მოწყენილი სახით შემოგვეტყროდნენ.

მათ შორის, ჩემს გასწვრივ იდგა ინგაც, ჩემი ოქროსფერთმიანი ინგაც, ცირა რომ გამახსენა პირველად. მე ხომ ჯერ სიყვარულით არ დავმტკბარიყავ ზეირიანად, ისე გამომიტაცეს ომში. ცირამ „პატარა ბიჭი“ მიწოდა მათ შინ, ინგას კი არ უწოდებია ჩემთვის პატარა ბიჭი... ის ახლა ნაღვლიანი თვალებით შემომტყპროდა და მეუბნებოდა:

— მშვიდობით ძვირფასო. მშვიდობით!... ჩვენ ხომ ველარასოდეს შევხედებით ერთმანეთს... მშვიდობით!...

რამდენ წრთელ გრძნობას მატანდა ახლა იგი, რამდენ ტყბილ მოგონებას მაყოლებდა ფრონტზე.

ჩვენ ხომ მართლაც ველარასოდეს შევხედობოდით ერთმანეთს. ვინ იცის, ბრძოლაში გასვლისთანავე მოვიანხე ვერაგ ტყვიას და ჩემივე გათხრილი სანგარი გამხდარიყო ჩემი სამარე. ან იქნებ საქართელოში დაბრუნებისას, ახალი ცირა შემხეგთროდა და მისი ამტყვენიორი არსებობა სულ დამვიწყებოდა. რა თქმა უნდა, ეს ასე უნდა ყოფილიყო. ეს ამბავი კარგად იცოდა ინგამაც. მაგრამ მაინც არათერს იშურებდა ჩემთვის... არათერს... გოლამოსენილი შემომყურებდა და მწარედ დასტიროდა თავის მეორე სიყვარულს, რომელიც პირველსავით ხანმოკლე და უდღეურტი გამოდგა.

გული ამიჩოყდა. გელარ გავუძელი ინგას თვალიბის მზერას, ოდნავ გვერდით შევბრუნდი და თავი მოვარიდე, მგრამ ახლა დონიამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, როზროხა დონიაი.

რა კეთილი ქალი იყო იგი... რა დიდი გული ჰქონდა... სადღა იყო ახლა მისი მზიარული განწყობილება. სახე მოღუწოდა და ტირილით თვალები დასიებოდა. მზერას არ აცილებდა „გრძელცხვირა კაცოს“ და თან ატანდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ გაზაფხულს.

— ბატალიონ, სმენა!!! — გაისმა უცბად უფროსი ლეიტენანტის კადაცკის მკაცრი ხმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბატალიონის მოწყობა.

ყველამ სუნთქვა შესწყვიტა, ყველა გაისუსა. ოფიცრები გახევებულებივით იდგნენ თავიანთი ასეულებისა და ოცეულების წინ.

მოედანზე გამოჩნდა კოხტა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაპიტანი ზენინი, ახოვანი, წარმოსადეგი, ორმოციოდე წლის ლამაზი ვაჟკაცი. მას აქეთ-იქიდან მხარს უმშვენებდნენ ბატალიონის კომისარი ვინოგრადოვი და შტაბის უფროსი სოშკინი, ისინი მწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ ჩვენსკენ. სოშკინი დაბალი იყო, მხრებამდე ძლივს სწვდებოდა კაპიტანს და ჩანჩალით მოსდევდა გვერდით.

კადაცკი შუა მოედანზე შეეგება კაპი-

ტანს და სამხედრო წესით ბატალიონის მზადყოფნა მოახსენა.

კაპიტანმა თავისუფლად დგომის ნებართვა გასცა. ამის შემდეგ ჩვენთან მოვიდა, დაგვათვალიერა, ჩვენი მზადყოფნა შეამოწმა. მერე ისევ კადაცკის მიუბრუნდა და უბრძანა, დაეძრათო...

— ბატალიონ, სმენა! — ხელახლა გაისმა კადაცკის მკაცრი ხმა და ყველა დაიძაბა, — მარჯვნივ-სა-კენი ნაბიჯით იარ! ერთი-ორი-სამი!..

სამი ნაბიჯი კი გადავდგივით, მაგრამ ვაი იმ გადადგმას. უცბად ფეხი აგვერია, მუხლები მოგვიდუნდა, სახე უნებურად გამცილებლებსაკენ მოგვეღრიალა. ისინი ისევ იმ ერთ ადგილას იდგნენ, გაოგნებულნი და თვალცრემლიანი ხელებს გვიქნევდნენ.

მხოლოდ დონიას ველარ შეეკავებინა თავი, ვერ დაემორჩილებინა ზღვა გული. ის დიდი ნაბიჯებით მოჰყვებოდა ზაქარას გვერდით, რომელიც ჩემს უკან მოალაგებდა, განუწყვეტლივ ხელს უქნედა, თვალებიდან კურცხალა ცრემლები ჩამოსდიოდა, და თან როხროხა ხმით მოსძახოდა:

— Прощай, Захар! Прощай, светик дорогой... Прощай, Прощай!..



მ. ნიშნიანიძე

მ ს ა ხ ი ო ვ ი

ეს შერამდენედი..

თეატრთან ვნახე,
მხრებზე აყრია ლომის ფაფარი,—
კაცი შემქმნელი რა-დენი სახის!
რა-დენი ბედ ს თავვესაფარი!
არც ახალგაზ-და და არც ბებერი,
მოხრილი მხრები... სრული საყელო...
დიდების, ტანის მაძიებელი,
რჩება უკნობი და უსახელო.
მოხდის ქუდს და თავის საფიცარს
მიესალმება რჩეულ ტალანტებს,
მას სცენა უყვარს და ნუ გაკიცაევო,
თუ ამ სიყვარულს ვერ უღალატებს.
ზოგიერთები იცვლიან როლებს,
ესეც მფარველი ბედია სწორედ!
პალს უხეზბივით იცვლიან როლებს
და როლებივით იცვლიან ცოლებს.
მას კი ცოლივით ერთგული როლი
და ამ როლივით პატარა ცოლი
ყ-ველთვის აესკებს, ვით ლერწამს ქარი,
ახალი ზრუნვით, ფუფუნებით,
თრთოლვით.
ის სახეს იცვლის გრიშით და ნიღბით
და პარიკს ხმარობს როგორც
თილისმას,
რომ დაეშალოს როგორც ილაღს,
ბედისწერას და... იქნებ სიკვდილსაც!..

არსებობს სუსტი შემსრულებელი
და არ არსებობს პატარა როლი!
ამ აღმოჩენას, როგორც შეჭერის,
იწეორებენ შვილი და ცოლი.
ის ცა-ვრობს სხვისი კარკით და ავით
და გრინობებს იხდის როგორც
საბაფოს.
დავიწყებია თავისი თავი,
მთელი ცხოვრება სხვის თავს
თამაშობს.
იგი იცინის სხვისი სიცილით
და იგი ტირის სხვისი ტირილით,
იგი წითლდება სხვისი სიოკვილით
და გული ტკივა სხვით ტკივილით.
მაგრამ რა უყოს მან თავის სიცილს,
ან თავის ტკივილს, დარდს და
ბეაშიადს?
ხოლო ისინი როლებს რომ მისცეს,
მას ამის ძალა არ გააჩნია.
საქმე ის არი, რაც სათქმელია,
შეავსო მეტი აზრით და თრთოლვით
და ცოლმა იცის, თუ რა ძნელია,
თუ რა ჭირია პატარა როლი...
თეატრთან ვნახე. ათასჯერ ვნახე.
მხრებზე აყრია ლომის ფაფარი,
კაცი შემქმნელი მრავალი სახის.
მრავალი ბედის თავვესაფარი!..

• • •

ქალი თუ ბედმა სათაყვანო კერვად გახადა,
შეყვარებულს ეჩვენებათ ქალი ნახატად.

ქალსა და ნახატს საერთო აქვთ ერთი თვისება:
უნდა მრავალჯერ შეიცვალოს ჭერეტის მანძილი,
რომ უფრო სწორად შეათასო მათი ღირსება
და უფრო იგრძნოს სიღამაზე მათში განცდილი.

დასო მკადაშვილი

ყ ა ბ ა ხ ი *

4

კუპრაძემ დანა ტყავგახდილი, თავქვე დაკიდული თოხლის ბარკალში ჩაარქო, სისხლიანი ხელი დამუშტა და ძია ნიკოს ჩამოსართმევად მაჯა გაუწოდა.

— ძალიან გვიან-გვიან გამიხსენებ, ბოლშე, ძმობილო, ქოსმენივითა მყავს ნასყიდა.

ძია ნიკომ არა უთბრა რა, თვალით სავსადილოზე ანიშნა და იკითხა:

— მოვიდა?

— მოვიდა. ანდუ თუთის ქვეშ რომ ფანჯარაა, იმ კუბეში ზის.

— რატო ჩემთან არ მოდის?

ყასაბმა თოხლს ყაფაზი გაუქრა, შიგ მარცხენა ხელის ორი თითი ჩაყო და ჩამოსმულ დანას ოსტატურად ჩამოაყოლა.

— ჭკვიანი ბიჭია, ხალხისა ერიდება, არა იფიქრონ რაო.

— როგორ გუნებაზეა?

კუპრაძემ გამოყრილ ნაწლავებს ხელი შეაშველა და აჭრილი ჭიგარი ფრთხილად ჩამოხია.

— ივრეა, როგორც ძალღი სალაფთვით საფეკ გეჭასთან. მიდი, მეც ხელდა-ხელ მოვრჩები ამასა და მოვალ.

თავმჯდომარე გამოზრუნდა, ქას გვირდი აუქცია და ეზოში გამომავალ კარში შევიდა. შეძღვრე მარჯვნივ მოტრიალდა, ოდესღაც მწვანე, ჭუჭყისაგან გაზინთული ფარდა ცალი ხელით გასწია და კუბეში შეიხვდა.

ვახტანგს მარჯვენა იდაყვი მაგიდაზე დაედო. მოგრძო ნიკაბი მუჭაში მოქცევნა და კისერპიღრეცილი ეზოში იყუ-

რებოდა ფანჯრიდან. ფარდის გაწვევზე მობრუნდა და კარებთან მდგარს მიაჩერდა.

ძია ნიკოს ერთ წუთს ეჭირა ასე ფარდა და ჭრუტა თვალებით დაკვირვებით ათვალეირებდა ნათლულს.

ნათლულმა უკან გადაიწია, გრძელი ხელი მაგიდაზე გაშალა და თითონაც მდუმარედ მიაჩერდა ნათლიას.

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს.

ნიკომ ფარდა ზურგს უკან მოიქცია და მაგიდასთან დაჯდა. სკამის საზურგემ ოხვრით გაიჭრიალა და გვერდზე გადაწვა. თავმჯდომარემ სკამი გამოცვალა, ერთმანეთში გაყრილი თითები მაგიდაზე დადო და კარგა ხანს უცქეროდა. შემდეგ მარჯვენა წარბი ზევით აავლო, ერთი კიდეც გახედა კუბეში დახვედრილს. კეპი მოიხადა, თვალით ლურსმანი მოძებნა და კარის თავთან დაჰკიდა.

— არაფერს გასაყიდურობ ჩემი სახლიდან გაქცევაზე. არ ცოდნა, არ ცოდნა. პირდაპირ საქმიდან დაიწყოთ: რა ჰქენი?

ნათლულმა მაგარი ფრჩხილით მუშაშაზე ჩაყვდარი ჭუჭყის ლაქა აფხიკა, მერმე ძირს გადაბლერტა ანათხიკი და თავმჯდომარეს ცივი თვალი მიაპყრო.

— ბინა ეიშოვე სარდაფისთვის.

— რა ადგილას არი?

— კარგი ადგილია, ბაზრის პირას, სადგურის გზის გასაყართან.

ძია ნიკომ ნელა, სულ ნელა მოყუტა თვალები, მერე ისევ ნელა გაახილა და დაფიქრებით მოიწონა.

— ადგილი კარგი გამოვნია. სარდაფი დიდია?

— არა უშავა, სიღრმე კარგი აქვს, ზაფხულში ეგრილება. მხოლოდ კიბე არ უვარგა. უვარგა კი არა, სულაც არა აქვს, ხილის საკრეფი კიბეა ჩაყუდებული ჩასასვლელად.

— ჩასასვლელი საიდან არი?

— ქუჩიდან. სხვა საიდან უნდა იყოს? ერთი ბებერი სომხის დედაკაცია, ქმარი ყველის ვაჭარი ჰყოლია, ამ ოცი წლის წინ მომკვდარა, მას შემდეგ დაუეკტია. ათასი ხარახურა უყრია შიგა. სინესტი-საგან სული შეგეხუთება, ვირთაგვებით არი სავსე. ადგილი კი ძალიან მომწონა, — ვახტანგმა ჰაპიროსი ამოიღო და ტარი კოლოფზევე ააკაქუნა.

თავმჯდომარე ჩაიციებით უცქეროდა დაცენილ თამბაქოს ნამცეცებს და სუფთად გაბარსულ ყბებს ორი თითით იხელდა უღვაშების ძირში.

— ათგილი მენიშნა და ვიცი, სადაც არი. ხარახურა უნდა გამოიზიდოს, კარგად დაიწმინდოს სარდაფი, გაშრეს და განიავდეს. მასალას მოგკემ და ხელოსანსაც გაგატან. კიბე გააკეთე, დახლიც ავრეთვე. შეიძლება თაროები დაგჭირდეს, იმისთვისაც წაიღე მასალა. კასრები ბევრი არ გინდა, ნაფარულში იშოვი. ყველაფერ ამას ერთი კვირაც არ დასჭირდება. ეხლა კი ყური დამიგდე: განცხადება დაეწერე შენს მაგივრად და გამგეობაზე წვერად მიგიღეთ. რთვლამდე კარგი დროა, უსაქმოდ ყოფნა კი არ იქნება. შენ ჭალისპირს არ იცნობ. ხალხი იგრება გაფუჭებული, ჯამში გვივარდება, — აცა, რომელიმე ლუქმას სხვისი ნიშანი ხომ არ ატყვიაო. უნდა იმუშაო, დამაცა. ჩახმახივით ნუ ხარ ხოლმე! უნდა იმუშაო, რომ ხალხმა დაგინახოს, გაგიცნოს და ერთბაშად არ გაუკვირდეს ლეინის წერტის გამგედ შენი დანიშვნა... საწყობის გამგეს შეთავსებული აქვს საშრობის გამგეობა, ამ ერთ კვირაში დოს მარილი დააკლდება და გავათავსუფლებ საშრობის გამგეობიდან. ერთ კვირაში შენც მოათავებ საქმეს და შენ გაგიშვებ საშრობში. რთვლამდე იქ იქნები, მაშრობის შემდეგ კი ლეინის წერტში გადახვალ. აპა-პა-პა! არც ერთი სი-

ტყვია როგორც გუებუნები, ეგრე იქნება. თუ რამე დაგჭირდეს, კუჭრანასს უტყვი. ვახტანგმა ნიკაპი ისევე მუქსში მოიქცია და ფანჯარაში დაფიქრებით გაიხედა.

ეზოში სასადილოს გამგე ხანჯლითა კუწავდა ცხვრის ფეშხვას. რომელიღაც ძვალი გამოარჩია, თუთაზე ჯაჭვით მიმულ ქოფაკს გადაუგდო, შემდეგ ხანჯლიანი ხელი წინ გაიწოდა, ბალნიანი მარჯის ზურგით ცხვირი მოიქექა და მზარეულს გასძახა:

— რაუდენ! გამოდი და ხორცი შეიტა.

ძალმა თვალებითა და კუდიით მალლობა გადაუხადა პატრონს და გადმოგდებულ ძვალს მიეტანა.

— მანქანა? — უცებ მობრუნდა ნათლული და ნათლიას თვალი თვალში გაუქარა.

— მანქანას ზეგ წაიღებ.

— ზეგ რაღააო? ფული თან მოვიტანე, თუ გინდა აქვე დაგითვლი.

— თუ გინდა, დათვალე, მანქანას კი, როგორც ვითხარი, ზეგ წაიღებ.

— ადრე არ იქნება?

— არც ერთი საათით, რაიონს ზეგ მოსდის ლიმიტი და მდივანიც მაგაზე ადრე ვერ მომცემს. ზეგამდე კი მჭირდება მანქანა.

ვახტანგმა აღარა თქვა რა, ჯიბისკენ ხელი წაიღო და ფულის ორი დასტა დაავლო მაგიდაზე.

— მომიტანია, უკან რაღას ვათრიო? დათვალე.

— დათვლა არ უნდა. იგრეც გენდობი. რამდენია?

— რამდენიც კუბრაქას დააბარე.

— მაშ მოვრიგებულვარო.

— არც შე მიყვარს ვაჭრობა. მანქანა თითქმის ახლია, მხოლოდ საბურავები არ დამიგვიანო.

— ზეგ საღამოს წაიღებ ახალი საბურავებით

ძია ნიკომ ჯიბიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო, ასმანეთიანების ორივე შეკვრა შიგ კარგად გაახვია და გვერდით დაიდო:

— სამი მწვადი ააგე თათარიხნად, რაჟდენ, და აქ მოგვიტანე. — კუბეში თავი შემოყო კუპრაჰამ და იკითხა: — ჰა, რა გუნებაზე ხართ ნათლია-ნათლული, ვერ გაიყავით შაქი და შამშადილი?

შემოვიდა და მავიდასთან დაჯდა.

ძია ნიკომ ახალმოსულს გახედა და წარბი შეიკრა.

— იმ შენს ბიჭს ქუთა აქამდის ვერ ასწავლე?

სასადილოს გამგემ გახეთში შეხვეულის თვალი აარიდა და დაბანილ მკლავებზე აკაპიწებული სახელოების ჩამოშვება დაიწყო.

— რაო, სერგოშაო.

— იმ დღეს დავეალე: მარნიდან ღვიწხოს გამოგატანენ და ჩამომიტანე-მეთქი. ეგ დღისით-შისით გაქცეულა და შიგ მარნის ეზოში შეუგდია მანქანა.

— მთერალი იქნებოდა ეგ მამაძაღლი.

— იმ ბრიყვსაც, მე მარნეს, აულია და თავისი ხელით გამოუტანია. ჩაუდგამს კასრი შიგა და თითონაც ჩასჯღომია შარაგზამდე.

კუპრაჰას გაეცინა.

— მანქანას დაჰშურებია, სერგო კი მთერალი იქნებოდა.

მიმტანი ქალი შემოვიდა, თეფშები და ჩანგლები შემოიტანა და გაბრუნდა.

— ხალხი კი უკვე ლაპარაკობს მე-მარნის ქურდობაზე. კუპრაჰას ბიჭი იყო და სასადილოში წაიღო ღვინოვო.

კუპრაჰას გაეღიმა თავისი მიწობილი ღვინოთ და მაცებზე ღილები შეიკრა.

— ნადრმა იკითხოს, თორემ მონადირეს ტყვია-წამალი არ დაიოგვა. ესლა შენ ვინდა, რომ იარე გამაბრიყვო. გირჩიო რაჟე? ასი წლის ტახს რაღა წინ თბრა უნდა. სერგოს კი, კარგა გაგიჩოტკამ.

— ხმაც არ გასცე, იმას კი მე მოვუყვლი.

— რაო, ლუარსაბ სოლომონიჩმა დაგიპირა ლაყუჩი? — წამოდგა, ფარდის იქით თავი გაყო და მიმტანს გასძახა. — ცოტა ხანს კარები დაკეტე და არავინ შე-

მოუშვა. — მერე ისევე თავის სკამს მიუბრუნდა და იქ მყოფებს უძიბრა: — ამ დროს მუშტარი არ არი, მაგრამ სოფრთხილეს თავი არ აატყვია, შეიძლება ვინმე დაკარგული შემოეხეტოს.

მიმტანმა კარები რაჯგუნით დაკეტა და კუბეში ღვინო და ჭიქები შემოიტანა.

კუპრაჰამ შეხედა ბოთლს, ხელში აიღო, ფანჯრის სინათლეზე გახედა და თავი გაიქნია.

— მაშო!

ცოტა ხანს დაიცადა და ხმას უფრო აუწია.

— აი, დაგაყრუოს მამა-უფალმა და ჩემმა გამჩენმა, მაშო!

ქალი ისევ მობრუნდა და ფარდა ორივე ხელით გასწია.

— შე შენ ორმაგი სათვალე თუ არ გიყიდე, იგრე აღარც ვარგებარ, იქნება დურბინდი ჯობდეს?

სასადილოს გამგემ მიუხვედრელ ოფიციატს თავმჯდომარეზე მიუთითა და მოკლედ შეეკითხა:

— ველარა სენობ? აბა, ეს ბოთლები მოხვეტე და ბოფეტში უთხარ, ის ღვინო გამოგატანოს, გზის პირა კედელთან რომ აწყვია, სულ დაბლითა თაროზე.

და როცა ქალმა სასურველი ღვინო, პური და მწვანილი მოიტანა, გამგემ ჭიქები გაავსო.

— მოდი, ეს ხელახალი ნათლობისა დაკლიოთ და ამ ჩვეყანაზე მეორედ მოსკლისა. მაგ საქმეს კარგი დასაწყისი აქვს და ბოლოც კეთილი ჰქონოღია. მანქანაზე ხომ მორიგდით? — კუპრაჰამ ოღნაო მოწრება, ტოჩიბის ცმაცუნით დაიპაშნია, თავი მოწონიბით გადაიქნია და მერე ერთბაშად გათაჰკრა.

ძია ნიკომ სასმელი მოიწონა და მანც გამოიკალა ჰიძა.

— ვინაჟი რომ მოითბოს: ოღინო უფრო ძლიერია თუ ღმერთით, შე ვეტყოლი: ღვინო-მეთქი.

კუპრაჰა მიხედა და გაიხარა.

— მამასადამე, მაგ საქმიდან სუფთად გამოხვედი.

— არა, კარგებისა კი მიიზარა, მაგრამ ახალი საშრობის გაკეთებას შევპირდი და აღარ დამაწყვა.

— სარდაფი ინიშნე, სადაც გუებნება?

— კარგი ადგილია. მუშტარი იგრე ეყოლებმა, როგორც მეზადის ქოხს ბუზი.

— ღმერთს ექნას, ეს სიკეთე კისრად დიდხანს არა მწოლულეს და მალე გადაძებადოს, — ვახტანგმა ცარიელი სამსისი დადგა და მწვანისს გადასწვდა.

— შენ შენს თავს გამოადექი და სიკეთე გადახდილი იქნება. ზვალ კი კანტორაში ამოდი და მასალასა და კაცს გაგატან. საქმეს რომ იწყებს კაცი, არ მიყვარს გადადებმა.

ვახტანგმა ქიქები კვლავ შეავსო და ცარიელი ბოთლი იატაკზე მაგიდის ფეხთან ჩაღდა.

— ზვალ არ მეცლება. რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილესთან კარტი ჩაეწყვი და პური უნდა ვჭამო. მინდა, ზვალ ალაზანზე ჩავიდე და ცოცხალი დავიქირო.

— არც ეგ არი ურიგო საქმე, სერგოს ვეტყვი და ვალერიანს წამოიყვანს. პანკისიდან მინგეჩაურამდე იცის, რომელმა თევზმა სად გამოიზამთრა და ალავერდის თავში ჩაეარდნილი ქიყელა ველისციხის ბოლოში რომელმა დაიჭირა, — ახალი ბოთლი გახსნა კუპრაქამ.

— ზეგ კი აუცილებლად ამოდი. თუ მე არ დაგებვდე კანტორაში, ბუღალტერს ეტყვი და ის გააკეთებს.

მზარეულმა შემოიტანა ნერწყვის მომგვრელად ამიშხინებული მწვადები და სასადლოოს გამგეს დაუყუდა წვერიით.

— ეს ძველი და სხვა ახალი.

კუპრაქამ ცერზე დაღვენილი გემრიელი ქონი მაღიანად ვალოკა და რაყდენა შეაჭო.

— მწვადი ეგეთი უნდა, ქამას რომ დაიწყებ, ისევ სისხლი უნდა გასდიოდეს.

საუკეთისო ნაჭრები ძია ნიკოს წაუძრო თეფშზე და ვახტანგს მიუბრუნდა.

— შენ კი, ვახტანგ, ერთ რამეს გირჩევ: დღესვე ახვალ თუ არა თელავში, იმ დედაკაცს ქირაზე მოუტრეფდი და წინასწარ ბეც მიეცი. ეშმაკს თვალი დახუჭული არა აქვს. ადგილი სათვალიოა და სხვა ჭარბალაშვილმა არ დავასწროს.

5

შავლეგომ შორიდანვე იცნო მეთევზე. სანაპიროს შლამიდან ამდგარი ცხელი მტვერი ნაცრისფრად ედებოდა სქელ ტალახიან ფეხსაცმელებსა და აკარწყებულ შიშველ კანჭებს. თვალის მოპჭრელად ლალაპებდა მზეზე აპარჯვილებული მღორეები, წყალი ხმაურობდა ჩინჩილებში. ოღნავ, სულ ოღნავ ჩუჩუნებდნენ ვერხვთა კენწეროები და ვერცხლით მოსიგედიბოლი ფოთლების ქვედა ბირს აჩენდნენ დროდადრო.

საღდაც მოშორებით ველს გაკიდებული ტრაქტორი გუგუნებდა.

შორიდან ყრულ შოისმოდა აფეთქების ხმა.

მურყნის ქვეშ გრილოდა. ძლივს ემჩნეოდა წყალს მოძრაობა პატარა უბეში. უბის შუა თავქვე დაყარაგებულებო მოგლეჯილი ზე და დაკლანილი ფესვები ზედაპირზე უშნოდ გაეფარჩხა. სველი იყო უბისპირა ჭეგები. იატობას ნისკისა და ქვებთან მორიყული კეკოს სუნი ასდიოდა.

მითიზნეს ამკარად გაეხარა შაილეგოს მისვლა, და თითონაც მიესალმა.

— საით გივლია? — ახეღ-დახედა კანჭებზე და ოღნავ გაიღიმა.

შავლეგომ თოფი მოიხსნა, მურყნის ძირში დაღო და თითონაც ჩამოჯდა.

— ჭყანტობში დავდიოდი. იხის იესროლე თა ვერ გამოვიტანე. საზიზღარია და საშინელი, როგორც ასფალტი მტვერს, ისე იწოვს შიგნით. საოცარია, ამ მოკლე ხანში როგორ მოასწრო იმოდენა ადგილის დაჭობება?

— განა წინათ არ გინახავს ეს ადგილი? მანდ სულ იყო ჭყანტი-ფშის ბრაღია, სანამ ის არ დაშრება, მანამდე იქნება ეგრე.

— ფშას რა დაამრობს, ძია სანდრო? რაც თავი მახსოვს, არც მოჰკლებია და არც მომატებია. მიწის გულიდან ამოდის. წინათ კი ეგ ჰყვანტი უფრო პატარა იყო.

— პატარა იყო, — დაეთანხმა მეთევზე, — ახლა კი ჭალაშიაც შევიდა და საურმე გზა წაუბღენია.

ყურეში ჩაშვებულნი ანკესის ჯოხი შეტოკდა და ძირს ოდნავ დაიწია. აჩქარდა მეთევზე და ამოჰკრა. წყლიდან წყაბანით ამოვარდა ნეშსკაევი და ჰაერში შეხტა. მერე აქეთ-იქით გაქანდა და წვრილი წინწყლები გაყარა. მეთევზემ დაიჭირა და ჭიანჭველი გაანჩა.

— ზედავ, სად დაუტყავს? ადრე მომივიდა, უნდა დამეცალებინა.

ჭიანჭველა გაასწორა და ისევ წყალში ჩაუშვა.

— არ მეგონა, თუ თევზაობა ასე გეყვარებოდათ. დიდი ხანია, რაც მოხვედით?

— არა, ჭაბუკო, დღისით ხალხი თითქმის სოფლიდან იკრიფება, საექიმო პუნქტში ყოფნა კი ზოგჯერ მომაბეზრებელია. ჩიოვლებად მაქვს, დროდადრო ჩემი პატარა ჩემოდნით გავიდე მინდორ-გინახებში, და თუ რამეში ვჭირდები, გამოვალგე კიდეც. წედან ტრაქტორისტებს ჩამოვუარე და მერე აქეთ გამოვწიე. თქვენც ჩამოვჭექით, თუ დრო გაქვთ და თევზაობაც არ გეზარებათ, მე ყოველთვის თან დამაქვს მარჯაფალ ერთი-ორი ანკესი.

ექიმმა მორყენის ძირში მიდგმული ჩემოდანი ახლოს მიითრია და გახსნა.

შეღლეგო წამოდგა და ჭიბეში დანა მოჭბრიკა.

— გმადლობთ ნეშსკაევისთვის. ეგ კი კარგია, რომ ფეხთ არ დაგიხდიათ, თორემ მე აქ ერთხელ ფეხსაცმელთან ერთად შარვალიც დავკარგე, — შლამის გროვას გადააღაჭა და ანკესის ჯოხისთვის ჭალისკენ გასწია.

ექიმმა გაკვირვებული თვალი გააყოლა და ჩემოდანი ისევ ხის ძირას დადგა...

თევზებს ლაპარაკი არ უყვართ და მეთევზენიც კარგა ხანს ისხდნენ მტუქმარედ.

— დაიჭირეთ, რამე? — ეკო ზრითმონა ბოლოს შევლევგომ და იქაურობა მოათვალიერა.

— მხოლოდ ორი ჭიჭყინა. ექიმში გადასწვდა და ხის ძირში ბალახებიდან წნორის წკეპლა გამოათრია.

კაუტის ძირში ნაფოტა ჩამოკიდებულიყო და გამოცივებული თვალები გაშტერებოდა. მას ზევით მტრწა მოქცეოდა და ლაყუჩიდან პირში გამოტარებულ წკეპლაზე და გაშვებულ უღვაშებზე წკეპლის მტქო-შინდისფერი კანისთვის მიეკრა. მურწას მინდვრის მსხვილი შავი ჭიანჭველა დასჯდომოდა ყბაზე და რაღაცას ფათურობდა. როგორც კი აყორავდა წკეპლა, ჭიანჭველამ უკანა ტანი მათლა ასწია, დაახოთუაზით გადაიბინა თევზი და მიწაზე ჩახტა.

— წყალში უნდა ჩაგეკიდნათ, მაღლა მთლად გაგიფუჭდებათ — ურჩია შველეგომ.

ექიმს ჭკუაში დაუჭდა.

— თქვენ მართალი ხართ, ასე უფრო გრილად იქნება, — წყალში ჩაყო და წკეპლის წვეროს მაღლიდან ქვა დაადო.

— ალბათ უცხოეთშიც თევზაობდით, ესპანეთის მდინარეები განთქმულია კალმახით. ჰემინგუეის უყვარს კალმახის ჭერა, თავის „ფიესტაშიც“ ამბობს ამაზე.

ექიმმა ანკესს გადაუნაცვლა და კარგა ხანს არა უთქვამს რა. ოდნავ შეყრილ წარბებქვევიდან დაჰყურებდა წყალსა და სიმივით დაჭიმულ ღია-ნაჯრისფერ ღარს. მერე ტოჩიბი მაგრად მოკეჭმა, თავი ოდნავ დაიქნია და ალაზნის გაღმა აყუდებულ თიხისფერ კლდეს გახედდა.

— მაშინ სათევზაოდ ვის ეცალა, ჭაბუკო, მდინარეებსაც ცეცხლი ეკიდა. ჰემინგუეი კი დიდი ვაჟაკია. ერთადერთ, დანგრევას გადაარჩენილ ნომერში იღგა ფაშისტთა ყუმბარებით დაღუწილ სასტუმრო „ნაციონალში“ და „მეხუთე

კოლონას“ სწერდა ქურების ღმელისა და ტყვიების წივილში.

— მაშასადამე, თქვენ მას იცნობთ.

ექიმმა კიდევ გადაუნაცვლა ანკესს და ნაპირზე მოხერხებულად ჩამოჭდა.

— ლუღვივ რენის დაბადების დღეს გავიცანი. ხომ არ გაგიგიათ ასეთი გერმანელი მწერალი, ქაბუკო? მაშინ იგი გენერალ ლუკაჩის ინტერნაციონალური ბრიგადის შტაბის უფროსი იყო.

— არც ისე კარგად ვიცნობ, მაგ მწერალს, ლუკაჩი კი ვიცი, ვინც იყო. მაგრამ, ძია სანდრო, განა მაშინ დაბადების დღისთვის გეცალათ?

— მოიცალეს. მადრიდის ახლოს ქოხში შეიკრიბნენ, ქოხი თავისთვის მათე ზალკამ გაამართლინა. მოვიდა რუსი ფურნალისტი მიხეილ კოლცოვი, კინორეჟისორი და კინო ოპერატორი რომან კარმენი, ინგლისელი პოეტი ჯივოს პოვარდი, პოლანდიელი დრამატურგი, რომელი გვარიც არ მახსოვს, ამერიკელი ფურნალისტი, „ლინკოლნის“ სახელობის ბატალიონის უფროსი ჯოზეფ ნორტი, ჩემი მეგობარი უნგრელი მხატვარი იანოშ მადიარი და რამდენიმე სხვადასხვა ქვეყნელი. მხოლოდ მე ვიყავ აქ, რომელსაც ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა მქონდა, მე და ერთი მათე ზალკას სამხედრო კონსულტანტი პოლონელი ბატოვი.

ჰემინგუეის შეავგვიანდა და სწორედ მაშინ შემოყო ჩვენს ქოხში თავი, როცა მათე ეუბნებოდა ლუღვივს.

— დღეს შენი დაბადების დღეა, მეგობარო, და მინდა გულუხვად დაგასაჩუქრო. მახლობელი დანგრეული სახლის მეშვიდე სართულზე როიალია გადმოკიდებული, სრულად მთელი და უვნებელი მომიცია ის და ღმერთმა მშვიდობით მოგახმაროს. მხოლოდ როგორ და სად უნდა წაიღო, ამაზე შენ თითონ იზრუნე.

სიცილმა გააყრუა ქოხი და ჰემინგუეი იცინოდა თავისი უბაღლო სიცილით.

მერე დიდხანს დუმდნენ მეთევზენი.

შაველეგომაც გადაუნაცვლა ანკესს და დააკვირდა მეზობლის ნიკაპზე შერჩე-

ნილ წერს, რომელიც წყლის კიდებზე უმოძრაოდ ჩამომჯდარს, რძველ-ტყვინტურ ქანდაკებას ამსავსებდა.

— როგორა ვწუხვარ, ძია სანდრო, — შეეხმაურა გარინდულს ბოლოს, — როგორა ვწუხვარ, რომ იმ დროს ბალღი ვიყავი და თქვენთან ერთად არ მომიხდა ალკამბრით დატკობა. და თითონ ის ომიც, ამ უკანასკნელ ომთან შედარებით, რაღაც რომანტიულად მეჩვენება.

ექიმმა მოუხედა და მწარედ გაეღიმა.

— გრენადა ამზობებისთანავე ფრანკისტებმა დაიკავეს... კარგად ვიბრძოდით. ესპანელები ქართველებივით მამაცი ხალხია, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დაეცა რესპუბლიკა და მავრთა ხელოვნების შედეგამდე ველარ მივალწიე. ხოლო, რაც შეეხება ომს. ამაზე ვიტყვი, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერი დოზებით არი. მწერალი არ ვიყავ და მასში რომანტიული არა დამინახავს რა. მე ვიცოდი, რომ საქირო ვიყავი იქ და წავედი.

საღდაც ქვევით გაისმა გამაყრუებელი გრილი და მეთევზენი წყლის მიმართულეებით მიატრიალა.

— დინამიტი იყო. თევზაობენ ბიჭები,

— ექიმმა მოხერხებულად გაამაგრა ქვაზე ძირს ჩაუტრებული ფეხი.

ქვევით კიდევ დაიგრგვინა დინამიტმა და მოსუბრეებს პირი კვლავ იქით აქნევინა.

— ხედავ, ზევით მოსდევენ. წელან თქვენს მოსკლამდის, უფრო შორიდან მოისმოდა ხმა.

— ზევით მოსდევენ და მალე, ალბათ, ყურის ძირში გაგვიხეიქავენ...

— ვიღაც გამოცდილი მეთევზეა ხედავთ, ზევიდან ქვევით კი არ მისდევს წყალს, არამედ ქვევიდან ზევით, რათა წყლისაგან წაღებულმა გამსკლარი დინამიტის სუნმა თევზი არ დააფრთხოს.

— მე ერთხელ ვიყავი აქ და უკვე მოვისმინე ეს „მუსგა“ ნუთუ არავინ უშლის თევზის ასე მგლურად განადგურებას?

ექიმის თხელ ტუჩებზე ირონიამ გაი-

რბინა და მოკუტულ თვალებში გადაინაცლა.

— ვინ არი პატრონი? რაიონიდან იშვიათად დახედავენ, ხოლო ეგ ადგილები კერძოდ ვისაც აბარია, იმასთან შეთანხმებული იქნებიან.

— ასე ხომ სულ გაწყდება ალაზანში თევზი?

— მართო ეგენი არ არიან დამნაშავენი, მეგობარო, უფრო დიდ დანაშაულს ისინი ჩადიან, ვინც მავათ ამონალსა და ქლორს აძლევს. ერთ-ორჯერ მეც მომადგნენ ჩვენსოფლელი ბიჭები ქლორისთვის საექიმო პუნქტში, მაგრამ არ მივეცი. მპირდებოდნენ: ახალ თევზს არ მოგაკლებთო. არ მივეცი, ცოტა ვუქადაგე კიდევაც, მაგრამ ისინი მაინც ალაზნისკენ იყურებოდნენ.

შავლეგოს წარბი შეეკრა და ქვევით უკვე მოღრუბლული იცქირებოდა.

— განა ანკესით თევზაობა ახლა სასაცილო არ არის? რამდენი ხანია მოვედი და ჩემი ნემსკაეისთვის თევზს ჯერაც არ დაუკრავს. ამ საზიზღრობით ხომ წვრილი და მსხვილი ერთ ტაფაში ჰყვება?

— მაგაზე გუნებას ნუ გაიფუჭებთ, ჭაბუკო, ეგენი მხოლოდ დღეის ხალხია და დღევანდელიობით ცხოვრობენ. ხვალისაზე კი ხვალ იზრუნებენ. ეგ ის თაობაა, რომელიც ომმა უპატრონოდ დაყარა და თვითდინებაზე იყო მიშვებული წყალში მოხვედრილი ძელივით.

შავლეგომ ამოჰკრა ანკესი, ბალახებში ჩაეარდნილი თავგანწირულად აფართხალებული თითის სიგრძე გოჭა აიყვანა, ისევ წყალში ისროლა და ნემსკაეს ჰიაყელა შეუცვალა.

ისევ დაიგმინა დინამიტმა და ზედ მეორე მიიყოლია, მხოლოდ ახლა უფრო მოშორებით.

— ორი ერთად ისროლეს, ეტყობა, დიდი შორევია. ზედავთ, ჭაბუკო, მართლაც გამაოგნებელი მეთევზეა: ჯერ თავბოლოში დაურტყა, რომ აქეთ-იქიდან დამფრთხალ თევზს იმ ერთ დიდ შორევიში მოეყარა თავი, ხოლო შემდეგ თავმოყრილს ესროლა.

შავლეგომ არაფერი უბასუხა. მოკუტულხეზულ სახეზე მრისხანედ შეჭყრთოდნენ წარბები და მძლავრად დაწვრილთ სანაპიროს ქვებში ურტობდა ანკესის ჯოხს.

ექიმმა მოიხედა და შეიკვირვა, როცა მეთევზემ მკერდზე ერთი დიდი კიდევ შეიხსნა და განიერი ნაბიჯით ჭალისკენ გააღაჯა.

— საით, ყმაწვილო?

— მაპატიეთ, თუ მცირე ხნით დაეტოვებთ, ძია სანდრო. სულ მალე დაეტბრუნდები.

ჭალას ბილიკი მიუყვებოდა და ვერხვიანში შედიოდა. ვერხვიანს ხელმარცხნივ წისქვილის არხი გასდევდა. მის ნაპირზე მოჩანდა აკოკოლავებული მიწა და შავადაშიგ მასზე ამოსული და გამბული მაყელის ბარდები. არხს იქიდან ყალთაღზე სიმინდის მუქ-მწვანე ლერები ყელყელაობდნენ, ალაგალაგ წყლის სიჭარბისაგან სილურჯე დაჰკრავდათ.

მაყელის ბარდებიდან ამოფრინდა შავი და ჰახუხით მიამურა ტანზე ფათალოდაბორბლილ უზარმაზარ ვერხეს.

ვილაცას ცხენი გაეშვა ვერხვიანში და პირუტყვიც ზანტი ფრუტუნით წიწყნიდა ბალახს.

გადაწვერილ მზეს ჭალაში თითქმის ძალა დაეკარგნა და ჩრდილიან მიწას ოქროსფერი ხალებივით აჩნდა ხეთა გვირგვინებში თავწარგული სხივების ნათელი.

ოფიდან აფრინდა ჯაფარა. თავისი „ჩხი, ჩხას!“ ჩხავილით გადაუფრინა შავლეგოს თავზე, წისქვილის არხი გადასჭრა და სიმინდებს იქით დაიკარგა. დაკალთავებული ხარბატუხები ბილიკზე ნებვას რუხ-ნაცრისფერ გუნდას მიაგორებდნენ. მგზავრის დანახვაზე აჩქარდნენ და პირდაპირ კენჭს მიაყენეს თავიანთი ნაოფლარი. ერთ ხანს ეწვალნენ ზედ გადასატარებლად, მაგრამ ვერ შესძლეს, მერე ისევ მოიფიქრეს და შემოვლა ამჯობინეს.

საიდანღაც სიმინდისა და ჭალის იქით ყრულ გუგუნება ტრაქტორი.

ვერხვიანი გათავდა და წნორები დაიწყო.

წნორებს იქით ფართო კალაპოტზე ორ ტოტად მიცურავდა ალაზანი.

რიყის პირს შედგა შავლეგო და იქაურობას გაღმა კლდეებამდე თვალი მოავლო.

გაღმა, დიდი ტოტის მორევში, ათიოდე ბიჭი ბანაობდა. მათი სველი თავები წყალში მოცურავე იხვებივით მოჩანდნენ ზედაპირზე.

დიდ ტოტს გამოჰყოფოდა მომცრო ტოტი და ოუხ-მოლურჯო სადინარზე იკლაცებოდა. იგი ახალი დაწყვეტილი ჩანდა, რადგან ჩქერალებთან დაქურთლყო და მისი ნაპირების სველი შლამი და წყლიდან გამოჩენილი ქვეები შავ არშიად გასდევდა მთელ სადევარს. სადევარის ბოლოში ორი ბიჭი ფათურობდა. იქვე აჯდა მესამეც. იმათ მიემატა კიდევ ერთი, რომელმაც დაწყვეტილი ტოტი გამოტობა გაღმიდან და თან მოტანილი ვედრო დადგა.

შავლეგომ თავი დალუნა და პირდაპირ მათკენ გასწია.

ფეხსაცმლიანავე შევიდა წყალში და ჯერ მეორე ნაპირზე არც კი იყო გასული, რომ დაწყვეტილი ტოტის სათაიდან ვილაც წამოვარდა და ბიჭებისკენ დაეშვა. იგი ხელშინაპერ სველ ტომარას მოაფრიალებდა და თან ყვიროდა:

— ჩქარა, დოცლაბიებო, ჩქარა, თორემ წავიდა თევზი!

მიახლოვებისთანვე იცნო შავლეგომ რამდენიმე.

წინ გაუარა ლოდზე ჩამომჯდარ ზაქროს და საფაცრე წყალთან მოფუსფუსეთ მიესალმა.

ვარლამმა თავი ააღო და სალამი უწადინოდ დააბრუნა.

ვალერიანს გაუხარდა მისი მოსვლა, წამოდგა და წყალში დაშაშრული სველი მარჯვენა გაუწოდა.

— სიღერდს ჰყვარებინხარ, აი, ცოტა დაგიგვიანდა, მაგრამ არა უშავს. მოდი, ყორას გაკეთებაში მომეხმარე, თორემ თევზზე კბილს არ დაგადგმევიანებ.

შავლეგომ გვერდზე გაუარა ფაცრის

ჩასადგმელად წაბრილ უცნობს და ვედროსთან მივიდა.

შემცბარ ვალერიანს ხელი-პერსი გაწვდილი შეაცრედა.

შავლეგომ ვედროში მცირე ხანს იცქირა, მერე მობრუნდა და გასწორებულ ფაცერზე გადმოვარდნილ და აფართხლებულ ორიოდე ფიჩხულს დაუწყო ყურება.

— რამდენი დინამიტი ესროლეთ? — ჰკითხა ჩაცუცქულ ვარლამს და მერე ალმაცერად მაკვერალ ვალერიანს შეავლო თვალი.

— თერთმეტი, — ზოზინათ უპასუხა ვარლამმა და ფაცერს ბოლო უფრო მაღლა აუწია.

— და მხოლოდ ეს დაიჭირეთ? — თვალით ვედროზე ანიშნა.

— მაგის მეტი არ ამოვიდა.

ყორესთან ჩაცუცქულმა უცნობმა ახალმოსულის ხმაზე თავი აიღო და ყური ცქვრატა.

შავლეგომ მღვრიე-რძისფრად შეღებილ წყალს გადახედა.

— რაღა ამოვა, თუ ეგრე დედა-ბუდიანად გასწყვეტთ?

ვალერიანი ახალგადამოსულ თევზს იღებდა ფაცრიდან და ვედროში ჰყრიდა. იგი ვერაფრით ვერ მახვედრილიყო, რატომ მოვიდა მისი თანასოფელი და რაში სჭირდებოდა ეს არავისთვის საჭირო და უსაგნო კითხვები. იმაზე გულამღვრეულმა, რომ ალაზანზე პირველი მეთევზე სალამზე გატრიზავებული დატოვეს, ერთი-ორჯერ ქვევიდან მწყურალად ამოჰხედა.

— მალე ალბათ, ალაზანში თევზის ნასახი არ იქნება.

ვალერიანს მოსწყანდა მოცილილი კაცის ყბედობა.

— არ იქნება და ილტოზე წავალ.

— იქაც რომ გაუღეტო?

— იორზე გადავალ.

— იორზედაც რომ აღარ იქნება?

— არ იქნება და, დედას ვუტირებ. მინგეჩაურიდან ამოვიტან.

უცნობი უკვე წამომდგარაყო, თვლებით შავლეგოს უხარმაზარ ზურგს

ჩასციებოდა და რაღაცის მოგონებას ცდილობდა დაეინებით

სერგომ თითზე დახეული მანქანის გასაღების ძეწვევი მოიხსნა და თავიდან ბოლომდე შეათვალიერა მოსული.

— შენ რა გამოიმძიებელივით კითხულობ?

შავლეგომ შეხედა ბიჭს, ერთ ხანს უცქირა და მერე ისევ ვალერიანს მიუბრუნდა.

— აქ არავინ არ გიშლით ქლორისა და დინამიტის ხმარებას?

ვარლამმა ლოდზე ჩამომჯდარ ზაქროს გაჰხედა, რომელსაც მუხლებზე დაყრდნო იდაყუები, თითები ერთმანეთში გაეხლართა და გულგრილად უცქერდა ყველაფერს. მერე ფაცერთან გულდასმით მოფუსფუსე უცნობს შეავლია თვალი და ბოლოს თავზე წამომდგარს უბახუბა:

— ვინ უნდა დაგვიშალოს, ვინა აქვს ორი თავი?

შავლეგოს აღარაფერი უთქვამს, მძიმედ გადააღაჯა ყორეს, წყალში შევიდა, შეიგნიდან ძლიერად ჰკრა ქუსლა და გაანგრია. მობრუნდა იქიდან, ფაცერს მძლავრად ამოჰკრა ფეხი, გვერდზე ისროლა და ქლორისანი წყალი და ლასტზე გადმოსული ლიფსიტები სახეში შეაშხეფა ფაცერთან მდგარს.

იგრაილა განგრეული ყორიდან წყალმა და კედლად გაყოლებული ქვიშა და კენჭები თან წაიღო.

გამტყნარებულმა უცნობმა თვლები ვეება პეშვით მოიწმინდა, სიბრაზისაგან დაღრეჯილი სახე მომხვედურისკენ მიიქცია და ჩახრწწილი ხმით ძლივს წაიხიხანა.

— შენ... შენ ის ჯილი არა ხარ?

შავლეგომ უკვე მოასწრო ყორის მერე კედლის დანგრევაც და უცნობს ზედ მიადგა. შედგა და გაოცდა.

— აი, სად შევხვდით! — კბილთაღრქენით დაიხრიალა უცნობმა და მთელა ძალით მოუქნია სახეში მუშტი. — გახსოვს, მოსკოვი?

— მე კი მახსოვს, მაგრამ, გეტყობა, შენ დაგვიწყებია, — შავლეგო დაიხა-

რა, მუშტი აიციდინა, მერე მარჯვენა მოკლედ გაიქნია და ისე ძლიერ დაატყა ყაფაქვემით, რომ წაქცეულ უცნობი მუცლით გადაეკიდა თავის ნაშენებ ყორეზე.

— დაკათ... ამისი დედაც!.. მასხრად გვიგდებს, ბიჭებო! — ისეუბა აქამდე მოულოდნელობისაგან გამტერებულმა ვალერიანმა, მაგრამ წაუხდა ნახტომი. შავლეგომ მობრუნება მოასწრო, ერთი დარტყმით უკანვე გადაისროლა და ვარლამს მიუტრიალდა.

ვარლამმა მუბლში დაჰკრა დღევანდელი თევზაობის ჩამამწარებელს და მერე თითონაც ფერდში დარტყმული მძიმე ამოკენესით მიწვა წყლის პირას.

სერგომ გასაღები ჯიბეში იკრა და ქვას დაეწოდა ასაღებად.

შავლეგოს არ გამოჰპარვია ეს მოძრაობა, ნახტომი გააკეთა და უკანალზე წაართყა ფეხი წახრილს. სერგო ცხვირით წაერია შლამში და ორიოდ ნაბიჯზე პირქვე გატურდა. მერე ერთი დარტყმით ერთხელ კიდევ ისროლა ვალერიანი, წყალში, წამომხტარ სერგოს კისერში ჩააგლო ხელი და მგელივით გაუშეშა.

ამასობაში გონზე მოსულმა უცნობმა მოშორებით დაგდებული ნიჩაბი აიტაცა შავლეგოსკენ გამოქანდა, მაგრამ აქამდე წყნარად მჯდარი ზაქრო მძიმედ წამოდგა, ნიჩბიანს წინ გადაუდგა და მშვიდად უთხრა:

— დააგდე ნიჩაბი!

— გააფთრებულმა უცნობმა გაიწია და კბილები ნადირივით დაკრიჭა.

— გპიშვი, თორემ პირველად შენა გთხლებ!

— გეუბნები, დადე ნიჩაბი.

უცნობმა თვლები გადმოყარა და დაღმეკალი სახით მოუქნია.

— ერთი... შენი... დედაც!..

ზაქრომ მოქნეულ ნიჩაბს ტარზე ხელი უტაცა, მერე მოულოდნელად შუასარმა აჰკრა უცნობს და იქვე გულაღმა გადაჩენა შლამზე.

ხელიდან გავარდნილმა ნიჩაბმა ქვაზე გაიწკრიალა და გვერდზე დაეცა.

ზაქრო გაბრუნდა და გულგრილადვე ჩამოვდა თავის ქვაზე.

შველევომ სერგო მოატრიალა, სახეში მკვებედ ჩახედა და მძიმედ უთხრა: — როცა ნაგაზები ჩხუბობენ, ფინია ვანზე უნდა იდგეს.

მერე ისევ შლამზე ისროლა და ერთი ფეხიკ თევზიან ვედროს უთაქა.

ვედრო პაერში გადატრიალდა და წყალში მოადრინა ტყაპანი. თევზი მღინარეში გაიშალა და ვერცხლისფრად გაცურდა თავქვე ზოზინით.

შველევომ საფაცრე ლასტს გადააბოტა და წინ გაუარა თავჩაქინდრულ მოჭიდავეს.

— გმადლობთ, ზაქრო, როდისმე გადაგიხდი სამაგიეროს.

მხოლოდ მაშინ შენიშნა წნორებთან მდგარი ექიმი, როცა წყალში უკანვე გავიდა.

— წამოხვედით თუ არა, მაშინვე უკან დაგედვენეთ. ხომ არაეისა სკირდება, ჰაბუკო, პირველი დახმარების აღმოჩენა?

— მგონი, არაეის, ექიმო.

ექიმმა ჩემოდანი მარცხენაში გადაიტანა, მარჯვენით წყება დაიპირა, ერთხელ კიდევ მიჰხედა ალაზანს და შველევოს აედევნა.

შველევომ თოფი გამოართვა, თითონ გადაიკიდა მხარზე და თევზებიანი წყება შეათვალიერა.

— ჰო, მართლა, ძია სანდრო, ის ბავშვი თუ გადარჩა, იმ ღამეს რომ თევზით მოეწამლა დედაბერს?

თავი მეხუთე

დაუდევარი იყო მოდგმა შამრელანთი.

მათი წინაპრების ისართა წვიმის ქვეშ გარბოდა ზურაბ ერისთავის აყუმოს ყელთან, ხოლო ასპინძის სანახებში დავითფერულეებით ლეწდნენ თურქულ იატაკანებს.

ოღითგანვე თბილისის ყელზე იყო მიბჭენილა ისლამის მახვილი და კრწანისის სისხლიან ნადიმზე ზორასნულ რკინებზე დაეგო შვიდი ძმა ბუჩუყური,

ხოლო შინ დარჩენილ უმცროს ძმას დაუბარა, მაჰმადიანთა მუსტრაში გაქებნა სახელი.

გაიზარდა ბალათურა და თორმეტი „მოუნათლავის“ მარჯვენა დაჰკიდა ჩირდილის პირას ამართულ ქვა-ციხის კედელზე. თორმეტა ბრძოლის ბედს ხმლის პირით გადასჭრა და მხოლოდ ერთხელ მიმართა თოფს.

ერთხელ მიმართა და მაშინაც ინანა: ცბიერი იყო მისურაული: გადაიკვამდა ქისტურ ჩოხასა და მათხოში ჩააყლი ყოველ შემხვედრს ცალხელას აგზავნიდა შავეთში. უკან მობრუნებული არდოტის ხეებში მალაედა ქისტურ ტალავარს, ისევ ხევესურულ პერანგიანი გამოჩნდებოდა ჩირდილ-ბუჩუყურთის სანახებში და ხმებოდა მოჭრილი მარჯვენები ქაუხის წვეროვებზე შემომდგარ მზეში.

ერთხელ დაეიწყა ტანსაცმლის გამოცვლა გამახელას და, „ლაშქრობიდან“ შინმომავალი, ქისტური ჩოხით გადმოდგა ლიქოკის გორის ფერდობზე.

მეტად გააოცა ბალათურა ქისტის სითავხედემ და გაცოფებული ეცა თოფს. ჯაზაირის ქუხილი არაგვმა ჩაიხვია, ხოლო გამახელა ჩირდილის მიწამ.

მას შემდეგ ჩამოწვა სისხლი ორ გვარს შუა.

მშიშარა არ იყო ბალათურა, მაგრამ თავ-სისხლს მოერიდა და, კახეთში გადმოსულმა, საბუეს შეაფარა თავი.

ერთ ხანად ნადირობდა და მოთარეშე ლეკებს ედგა კრიჭაში. ხანდახან თითონაც გადაივლიდა ყადორის გაუვალ ფაფხებს, ხუფრის ხეობას გაივლიდა და ხიტრახოს აულამდე უწევდა. იქარგებოდა მაშინ საუკეთესო ცხენი იალაზე გასულ დიდოვლთა ჯოგიდან.

ხოლო, რაც ნადირობისას შემთხვევით შეხვედრილი ჯორჯამე ჩიქისაგან გაგლეჯას გადაარჩინა, სოფელში ჩამოვიდა.

მადლიერმა თავადმა ცოლად თავისი მოახლე მიათხოვა, ერთი დღიური ხირხატი მიწა მისცა ინწობის პირას და სამარადეამოდ დაწყველა, „რამაც და ვი-

ნაც ძემან კაცისამან დავა ჰყოს მას ნა-
ბოძვარსა...
მას შემდეგ წვიმდა და თოვდა.

ჰქროდა ქარი და თვლემდა ჭეჭილი
მყუდრო ამინდში.

სუსხავდა ყინვა და იწვებოდა კვერ-
ცი მზის გულზე...

და ერთხელ ჯორჯაძის შვილიშვილმა
ბალათურას შვილიშვილს უთხრა, ჩა-
ლისფერი კვიცი ან მიეყიდნა, ან სამ
იაბოში გაეცვალა, მაგრამ რაკი მტკაცე
უარი მიიღო, კარგი ცხენი არც გაიყი-
დება და არც გაიცვლებაო, მიაღდა და
ღალა მოსთხოვა.

ყორეზე პაპისეული მაყარი გადმო-
უჩინა მაშინ ხირჩლამა და გოგმანით
მოსული მოურავი ოთხახმით გააბრუნა
უკან.

გაფთრდა ჯორჯაძე, ერთხელ უყელა
და, როცა ის სახლში არ იყო, მის ცოლ-
ზე ძალა იხმარა და ჩალისფერი კვიციც
სახლში წაიყვანა.

ქალმა შერცხვენას ვერ გაუძლო და
ინწობაში თავი დაიხრჩო.

დიღხანს იგუბებდა გულში ბალღამს
ხირჩლა და ერთ ღამეს გადმონათხია:
მისივე სახლის აივანზე თავადს ყელი
გამოსჭრა, ჩალისფერი კვიცი გამოიტა-
ცა, თელამარანი ცეცხლში გაახვია,
თავისი მცირეწლოვანი შვილი გოდერ-
ძი ცხენზე შემოიგდო და საბუიდან
გაქრა...

ჰქროდა ნაივი და ღელავდა ჭეჭილი.
ბედს დამდურებულებით მოღუდუნებ-
და ალაზანი და თეთრად იღვსებოდნენ
კავკასიონის ლურჯი მწვერვალები...

დავაჟაკებულები ჩამოვიდა გოდერძი
გომეწრის ხეობიდან. ვახვანიშვილები-
საგან მიწა იყიდა, ცოლად შამრელაანთ
ქალი შერთო და ჰალისპირში დასახლ-
და. ხოლო, ჯორჯაძეებისთვის კვლი
რომ აებნა, გვარი შეიცვალა და შამ-
რელაშვილებს ერთი ვაჟაკი კიდევ მი-
ემატა.

სამ წელს დადიოდა წარბშეყრილი
გოდერძი და მხოლოდ მაშინ გაეხსნა
შუბლი, როცა ცოლმა შავთმიანი ბიჭი
შესძინა.

მამისეული მაყარი დასცალა გოდერ-
ძიმ და მეორე ღღესვე, მიუხედავად
ბებიაქალის ხეწნისა და დედის ტრირ-
ლისა, თბილად გახვეული პირმშო,
თუშებთან დოდში მოგებულ ყორნის-
ფერ ულავზე შესვა და ტახტი-გორამ-
დის ჰენებით მიაყვანა, რათა ჩვილს
ცხენოსნობა დაჰკვებებოდა.

ქროდა ქარი და ბიბინებდა ისევე ჭე-
ჭილი...

ჩილაგმა თავისი მოითხოვა და საუც-
ხოო მხედარი დადგა ბიჭი.

დაიქუხა მსოფლიო ომმა და ახალ-
გაზრდობა იარაღს მიაყარეს. გოდერ-
ძიანთი მხოლოდ ცხენი წაიყვანეს და,
რადგან თავისი ქურანა ძალიან უყვარ-
და, თედოც თან გაჰყვა.

სამ წელს დააგვლევბდა თეჭურ ია-
ბოს ყარსისა და არდაგანის მიწაზე
თედო და, როცა თავისი ცხენის მომ-
კვლევი ასკერი მხარიღლივ გასხიბა,
დაიფიცა, შინ უცხენოდ არ დაბრუნე-
ბულიყო.

და როდესაც რუსეთ-ოსმალეთის
ფრონტი დაიშალა. თედომ სადღაც
ნაშოვნი ოთხიოდე ხელყუმბარა დაი-
კიდა ქაშარზე, საეახნეები სამპირად
შემოირტყა, ყარა-ყურდანთან თურქი
ოფიცერი თავისი მხლებლით „იმ გრძე-
ლი ქვეყნის“ გზას გაუყენა და ორი
ულამაზესი ცხენი გაიყვანა სარიყამი-
შიდან.

თბილისში ჩასულს ორივე ჩამოარ-
თვეს მენშევიკებმა. მაგრამ დრო იხელ-
თა, იმ ორიდან საუკეთესო ახსნა, ცხე-
ნით დადვენებული გვარდიელი ორი
ნასროლით გადმოავდო ძირს და ბნელ
ღამეს მისცა თავი.

ჰალისპირში დაბრუნებული თედო
გააკვირვა თავისი სახლის უკაცურობამ:
ეწო და ბაღა აშამბებულოც, ვენახში
გაუსხლეელი ვაზები უჭიგოოდ ეყარნენ
ბალახმომხორებულ მიწაზე, ღობე აქა-
იქ გაღალეწილ-გადაჰქეპილიყო, სახლის
საყუზე კრამიტები გადახდილიყო და
მზე წვიმისაგან მთლად გაშავებულიყო.
მპიდროდ დაგმანულ კარებზე კი დაქან-
გებული კლიტე ეკიდა.

მხოლოდ მეზობლებისაგან ვაიგო, რომ დედა ფილტვების ანთებას ემსხვერპლა, ხოლო მამა „ბუნტოვნიკებთან“ კავშირის გამო ერთ ღამეს მოსულმა მთავრობის კაცმა საღდაც წაიყვანა. მერე ის კაცი ლაპოტის პირას იპოვეს იარაღაყრილი და შუბლგაჩეხილი.

მას შემდეგ დაიკარგა გოდერძის კვალი და მხოლოდ მამინ გამოჩნდა, როდესაც მეტეხის ხიდზე მეთერთმეტე არმია გადმოვიდა თებერვლის სუსხიან დილას...

გადიოდნენ წლები და გოდერძიანთ ეზოში ყოველთვის ება საუკეთესო ჯიშის ულაყი და პატრონის თვალს ახარებდა.

მაზრის პოლიტსამმართველოს უფროსმა ერთხელ თვალი მოჰკრა ცხენსა და კაცა მიუგზავნა: უნდა დამითმოო.

თედომ თავ-პირი ჩამოიღამა და ყრუდ წაიღრონა:

— მოველავ, მაგისი!..

მამამ ურჩია, გაპრიდებოდა და თედომაც ორა შეეტუხა ბიჭა ცოლს მიანდო, თითონ კი თავისი შავრა შეკაზმა, საგულისგულოდ გაწმენდილი თოფი მხარზე გადაიგდო და კოლექტივის ცხვარს გაჰყვა მთაში.

ბარად ჩამოსულა გვიან მოდიოდა სახლში. გათენებისას კი ჩაპბუნ-ჩაპკონიდა ყინადაღერილ ბიჭებსა და ისევ უკან გაბრუნდებოდა.

და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ „წყველი“ უფროსი საღდაც მალრანის ტყეში შეაკლავდა თავს „გასულ ბიჭებს“.

არც თედოს უცოცხლია მას შემდეგ დიდხანს. ცხვარში გარეულმა ნადირმა დააფრთხო შავრა და დილანგის ხევში გადაჩეხა ნარიან-გორის ძირას.

კვალდაკვალ მიჰყვა ნადირს ცხენის პატრონი.

მეტყვარეებმა მეორე დილით ხევის ძირას შაბიანში იპოვეს მწყემსი, ხანჯალგაყრილ ვეება წაბლისფერ დათვთან ჩახვეული...

და როდესაც კი შევლევო მამას გა-

იხსენებდა, ყოველთვის ენაზე ადგებოდა:

საქონის
გადასახლება

ლომო, შე ლომის მოკლულო,
ბუნის ჭაღის პირსაო.

ამ დილითაც რატომღაც გაახსენდა და თითონაც მოუნდა მთაში ყოფნა და დათვზე ნადირობა. ახლა ბევრი იქნება და სულ აღხაჭებებს გარშემო იტრიალებენ, თუმცა კი ზაფხულში ბევრი გამოცვლილი აქვთ და ბალანი მოკლე.

შვერა მოსწყვეტა განთიადის მტრედისფერ ბურუსში აზიდული კაცკასიონის კუწუბიან მწვერვალებს და გვერდზე გადაბრუნდა.

აივანზე ნინო გამოსულიყო და პირს იბანდა.

ეზოში დედას ღორისთვის საკმელი დაედგა ტაშტით, შიგ ჯოხს ურევდა და თან ზედ მოსეულ ქათმებს განზე ერეკებოდა. არა დრკებოდნენ მაინც ქათმები. პირდაპირ ტაშტში უფარდებოდნენ და თათრულა მხალში არეულ მჭადის ფქვილს იტაცებდნენ ერთი კრიახითა და ფრთების ფართხუნით. დროდადრო გაბრაზდებოდა დინჯი და დარბაისელა ღორი, გამეტებით ამოჰკრავდა დინგს რომელიმე თავხედს, ბუმბულის ნაბღღვენს გაშლიდა ჰაერში და მერე ისევ მიუბრუნდებოდა გემრიელ ულუფას.

უცებ შევლევომ იდაყვზე წამოიწია, ძირს ჩაიხედა საწოლადან და გაოცდა.

სკამის ფეხებთან, სიცხასაგან მოშუშულ ბალახზე, აღხანთან დაკარგული ფეხსაცმელები ეწყო და ზედ დადებულ იწესიერად დაკეცილი შარვალი სანახევროდ ფარავდა მათ. თავთან ერჭო თხალის გრძელა წკებლა, რომელზედაც დაკიდებული ანკესი ოდნავ ირხეოდა დილის გრილ სიოზე. ანკესის წვერზე მოლიბრო ფერის ბურუსუნა ჭიაყელა იკლავებოდა.

შავლევო წამოდგა და გასინჯა დანაკარგი. მერე შარვალში გაუყარა ფეხები და ჩაიცვა.

—პატრონსად არი მოტანილი. ჭია-

ყველა კი არ დავიწყებიათ, — ფრთხილად მოხსნა ნემსკავედან საცოდავი და ბახლანში ისროლა.

გახსენდა გუშინდელი შემთხვევა, ყველაფერს მიხვდა და აივანზე რძალს ასძახა:

— თამაზმა რომ გაიღვიძოს, ილო-პაპანთსა გაგზავნე და იმათ შაქრისა უთხრას, სადამოთი აქ ამოვიდეს.

2

ღია ფანჯრებიდან დილის სიგრილე შემოდოდა. ოდნავ აღწევდა კაბინეტამდე ქუჩის ხმაური. მას შემდეგ, რაც ძველი დამლაგებელი გაათავისუფლეს, ახალი მიხვდა საქმის ვითარებას და იატაკსაც კი სარკესავით გაუდიოდა კრიალი. პატარა მრგვალი მაგიდის თავზე შავად ლაპლაპებდნენ ტელეფონები და წერილი ზონრებით კედელზე მიჯაჭვულნი მყუდროებაში თვლემდნენ. სხდომას მაგიდას ლამაზად შემომწკრივებოდნენ ბრტყელზურგანი სკამები და მღუმარედ მისჩერებოდნენ წითელი მუღის შუა მინის სახოვან ტოლჩას, რომელსაც აღერილ ყელსა და სწორ მუცელზე უცხო ყვავილები ერტყა. საიდანლაც ქურდულად შემოპარული მზის სხივი ირიბად ეცემოდა შიგ ნადგამ წყალსა და ზედ წითელ-ყვითელ ფერებად იმტვრეოდა. იქვე იცინოდნენ: ლავარდი, საფარონი და ზურმუხტი. მედიდურად გაფუყულიყო მინისავე ბაღია ნარჩენი წყლისათვის, ხოლო თლილი ჭიქა მოკრძალებით დამხობილიყო ტოლჩის გვერდით, თეთრი ფაფურის პატარა თეფშზე.

ლუარსაბ სოლომონიანი კმაყოფილად შებრუნდა და ფანჯარაში გაიხედა. ქუჩის გადაღმა უზარმაზარი ცაცხვის ფოთლებში გაბლანდული მზე სხივთა შუბებს ამოდ უშენდა მწვანე ფოთლების ხეებს. აქა-იქ მაინც პოულობდნენ ნემსის ყუნწის ოდენა ხერხელებს და შიგ თავწარგულნი ისე ანათებდნენ, როგორც მტრედისფერ განთიადზე ცისკრის ვარსკვლავმა იცის.

მდივანმა თავის მანქანას ჩაპხედა და გაუკვირდა: შოფერს კაბინეტისკენ გაედლო, საპისკენ ზურგიით დამჯდარიყო, ფეხები ტროტუარის კიდეზე დაეწყო და წიგნს კითხულობდა.

მაინც რამდენსა კითხულობს? და განა მარტო ესა? სოლომონის შემჩნეული აქვს, რომ ახლა თითქმის ყველა შოფერი კითხულობს. შეხედავ, რჯულზე დატვირთულ შვადტონიანი „მაზინდან“ გადმოძვრება მახუთსა და ზეთში ამოგანგლული ვირგლა ბიჭი, დანჯღრეული სავარძლის გაცვეთილი საზურგოდან დააძრობს გაპოხილ ყდიან წიგნსა და სანამ მუშემა ძარას გადმოსცლიან, თავაუღებლად კითხულობს. გაზეთები ხომ ჯიბით დააქვთ და ზოგჯერ ახალი ჟურნალებისთვის ჯიხურების წინ რიგშიაც კი დგებიან, რა არის ეს? — ცივილიზაცია, თუ ნერვების დაძაბულობა? თითონ ხალხი გამოფხიზლდა, ყური გაიბღერტა და ახლა ყოველ ოჯახს თითქმის საკუთარი ბიბლიოთეკა აქვს. იქნებ ჩემი რაიონია ასეთი? აი, მაგნება! — საქმეს ვიღამ უნდა მიხედოს, თუ ყველამ წიგნი იკითხა? არა, მაინც და მაინც თავებს არ იხეთქავენ ბევრი კითხვით. მაშ საქმე რატომ არ კეთდება? რატომ ვერ აეაწყვე ვერაც რიგთანად ყველა შრომის ორგანიზაცია? გასკვირიან გვეგების შესრულებაზე, — მიხვალ ადგილზე და ხელში ცარაელი ქალღლი შეგჩრება. ყოველ მათგანს აქვს თითო რამეში წარმატება, მაგრამ განა ეს კმარა? აი, ხვალ ალავერდაშვილი ჩამოდის ოლქიდან, თათბირი იქნება რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა, შემდეგ რესპუბლიკური კანდიდატურები უნდა შეირჩეს. მერე ვინ უნდა გავგზავნო? რა თქმა უნდა, ისევე აკურა. მაგრამ ყველაფერში აკურას ხომ არ ჩაენრი? იქნებ კისისხევი სჯობდეს? არა, კისისხევის მუღამ დაეა აქვს შალაურთან მიჯნების გამო. ვერ იქნა და ვერ გაიყვეს ხევის გადაღმა მინდორი. შემოდგომაზე კისისხევა მოხნა და ხორბალა მოაბნია, გაზაფხულზე შალაურელებმა გადახნეს შიგ ამოსული

მშვენიერი ჭეჭილი და სიმილი დათესეს. აი, სიგიჟე! ვინ იზარალა? — რაიონმა. მარტო საყვედური არ უნდა მკარებინა, უნდა მომეხსნა ორივე თავმჯდომარე. იმათ შემყურე, სხვა ჭკუას ისწავლიდა. საქმე კი წინ არ მიდის: მეცხოველეობა ჩამორჩა, მემინდერეობა ჭერაც დაბალ დონეზეა, მაგრამ არა უშავს, ერთი-ორი წელიც და ჩემი რაიონი თავზესაყრელ ხორბალს დაამზადებს. ყველა კოლმეურნეობას დატოტვილს დავათესინებ. ეს გოგო პირდაპირ თავის წონა ოქროდ მიღირს. მაგრამ მეცხოველეობა? მწყემსები ამბობენ, გვალვისაგან მთებზედაც კი ხმება ბალახო. ტყუიან, მთას გვალვა ვერას დააკლებს, თითონ არა ზრუნავენ რიგონად! მეტი რა უნდათ? — ჩემები მოითხოვენ და მივეცი, საწვიმრები მოითხოვენ და მივეცი, ნაბდები მოითხოვენ — მივეცი, ყოველ კოლმეურნეობას საკუთარი ვეტეკიმი გავუშვავნე. სილოსის ჩადება კი ჭერაც არ დაუწყიათ ბევრგან. მარტო ჭალისპირსა აქვს ერთი ორმო და მეორესაც ეხლა ჰკუწავენ... იქნებ მატყუებს ბებერი მგელი? ერთი უნდა თითონ ჩავიდე და ადგალზე შევამოწმო.

მდივანი გამობრუნდა ფანჯრიდან და კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო. ერთხანს, თავჩაქინდრული, წინ და უკან მიჰყვებოდა ვეება კლავიშებივით ირბი მიჯრით მიწყობილ პარკეტს, რომელსაც ჭერ კიდევ ახლადწამული მასტიკის სუნი ასდიოდა, მერე შედგა და დიდხანს უცქეროდა მორცხვი ფერების ლიცლიცს ტოლჩაზე.

განებებერებ კაცს და ყურზე მიიძინებს. არა და მოითხოვს: საქმე იმიტომ არ კეთდება, რომ ესა და ეს გვაკლიაო... უცნაურია, სახელმწიფოებს როგორ უძღვებიან, როცა რაიონის გაძლოლა პირს? არც თანამდებობიდან და სამსახურიდან მოხსნა შევლიათ და ბევრს ვერც პარტიიდან გარიცხვამ ასწავლა ჭკუა. ყოველთვის ვიჩხირებოდი ამ ორი დიღემის შუა: მოხსნა და სამსახური აღარ მისცე, ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი

ამოავდო ცხოვრების კალაპოტიდან, დაუნგრიო ოჯახი და არაკაცად დეცყო. მისცე სამსახური მოხსნის შემდეგ ეს იმას ნიშნავს, სხვაგან გადაიყვანო ძველი ადგილიდან. იქ კი ძველებურად იწყებს ყველაფერს, იმით წაქეზებული, რომ თუ აქედანაც მოხსნიან, ახლა სხვაგან გააშწენებენ. აი, რევიზორ-ბუღალტერი, ძველს შარშან ავუკარ გუდანი-ბადი, ახალი მოვიდა. ჭერ ერთი წელი არც კი გასულა, რომ ქალაქის ცენტრთან ახლოს მოიგდო მიწის ნაჭერი და ზორბა სახლს იშენებს. რა აქვს ხელფასი? რას ჰვამს, რას სვამს, რას იცვამს და ცოლ-შვილს რითი არჩენს? მალე სხეებივით მანქანასაც იყიდის. ან იქნებ, თუ წინანდელზე ჭკვიანი აღმოჩნდა, რაიონის თვალის ასახვევად არც იყიდოს მანქანა და მომავალი „შავი დღისათვის“ ფული სალაროში დააქუჩოს? გუშინ კი რუისპირის ნოქარი მომადგა და მეუბნება:

— ტყუილად მომხსენით, მაღაზიის რევიზიისას რაც დანაკლისი აღმომაჩნდა, ეს ცარიელი ტომრებისაა, რომელიც კოლმეურნეობამ ნისიად წაიღო. საქულას დუქანია, ნისიად წაიღო? ცნობა და ხელწერილიც მაჩვენა, თავმჯდომარის ხელმოწერილი და ბეჭედდარტყმული. ალბათ, ყალბი იყო ერთი უნდა დავებარო აქა და კარგად გავჯორო ცნობების თვალეხუჭველა დარიგებისათვის. ან, იქნებ, არც მისცა თვალეხუჭველამ? ხელი ხელსა ბანსო, ნათქვამია, რას გაუგებ ვინ საით უსტვენს? სანდო კაცმა კი მაინცნობა: ყური მოვკარი, როგორ უთხრა ნოქარს რევიზორმა, რომელიც ეხვეწებოდა აქტი დახიეო, — „რატომ უნდა დავხიო, შენგან მწარე არაყიც არ მახსოვსო“... ტყუიან, მამაძაღლები! ორივე ტყუის. ელოდა, ელოდა და რაკი ის „მწარე არაყი“ არ ჩააცეცხლა, დაეცა თავზე... საშინელებაა პირდაპირ, საშინელება! იქნებ თითონ გარემო მოქმედებს აღმინის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და თავისდა უნებურად იწყებს არა საჭირო ავზნებებს და მიდრეკილებას?

ნათუ ყველას ასე ემართება, ვისაც ფულთანა და საქონელთანა აქვს საქმე? რაიკავშირის გამგე წინათ პარტიკაბინეტის გამგედ მუშაობდა, ჭკვიანი ბიჭი იყო, მუყაითი, საქმიანი. გადავიყვანეთ რაიკავშირში და შოფერი მეუბნება:

„ან მავას მიეცით სხვაგან ბინა და, ან შე მომამორეთ იქაურობას, დალამდება თუ არა, გატენილი ხურჭინები და ღვინის კასრები ხშირად შეცდომით ჩემთან შემოაქვთო“.

მდივანი გაბრუნდა, თავის მაგიდასთან დაჯდა, ბეჭებით საზურგეს მიაწვა და კისერი უკან გადაავლო. ჭერზე დიდ, ძველებურ ჭადს მინის გრძელი მრგვალი წკირება გამჭვირვალე ჩურჩხელე-ბივით შემორტყმოდნენ ირგვლივ.

მცირე ხანს უცქირა, მერე შურა ფანჯრისკენ გადაიტანა, მარცხენა ხელი სკამის ზურგს გადახვია და მარჯვენით მაგაღაზე ხმელი თითები ააკაქუნა. ცივ თვალეში სითბო ჩაუდგა, ოდნავ მოკუტა, ჩუმად, თავისთვის რალაცის სტვენა დაიწყო და თანაც თითები ტაქტს ააყოლა.

მანც ყოჩაღ, ლუარსაბ სოლომონიჩი, შენი რაიონი მოწინავედ ითვლება და იმ გოგომ ხომ ქვეყანას ყბაზე მიაკერა. ეხლა მგონი სიმინდს უკირკიტებს. ამბობენ, ცხრა ტარო აქვს თითო ძირსო. ტყუილი იქნება, შეიძლება ხუთი-ექვსი აქვს. მანც ყოჩაღ! ერთი, როგორც კი მოვიცილი, უნდა წავიდე და დავხედო. კულავისთვის ცალკე საცდელ ნაკვეთს მიგაცემინებ კოლმეურნეობაში და დაე, იქა სცადოს. ხორბალი ბლომად იქნება მალე, წვევრებზედაც კარგად განაწილდება. წითელწყარომ ხუთი კილოგრამი შარტკლეული გაანაწილა შარშან შრომადღეზე, ფული სხვა იყო. არა, ჩვენი რაიონი მანც მევენახეობის რაიონია. ვახს უნდა დავაწვე. დალოცვილს დიდი ბარაქა აქვს. პექტარზე ვადატანით ოცდასუთჯერ მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ხორბალი... მაშ, რალატომ ვჯახირობთ ხორბალზე? თხის ჭკუაა?.. არა, ხორბალიც საქირთა, სახელმწიფო

თავისას მოითხოვს, „ზაგოტზერნოს“ ყურძენს ხომ არ ჩაებაბარეზში? მალაღუცქლუარსაბ სოლომონიჩი, ზოგნი ოჯახს უკრუძღვება და შენ რაიონსა პატრონობ... მდივანმა უცებ შესწყვიტა სტვენა და თითები მაგიდის მინას მიეყინა.

ოჯახი. სად არი ახლა ჩემი ოჯახი? თემოს ითრევედა, იშინი მაქვსო, და თორღვას აბანოს მაგიერ ზღვაზე საბანაოდ წავიდა. გაასულელა ის გოგოც. ცხრამეტი წლისას ცხოვრებისა განა ესმის რამე? სულ მაგისი ბრალი იქნება იმ ბიჭის გადაკიდება. მანც რა ეშმაკმა შეუღლიტინა და ხელი მოაწერინა ეგრე ალახ-შალახ? ველარ დაიცადეს ჩამოსულიყვენენ აქა და შემკითხებოდნენ? შემეხედნა მანც, რა კაცი იყო, სიძედ ვინ ვიცნობ, მაგრამ საინტერესოა, მეორედ ვინ ზის. რა გააძღვებინებს თელავში გაზრდილი გოგოს აღიგენში? ახალგაზრდააო, მარიფათიანი, ყოჩაღი. უფალმა ქნას. თუ ეგრე არი, მალე დაწინაურდება და მერე იქნებ ჩემზე ადრე ამოყოს ოლქკომში თავი. სად არიან აქამდის? რატომ არ ჩამოდიან? დიდი ქარაოცია ეს ჩემი თანამეცხედრე, დამტყუა ფული და, მგონი, ფეხქვეშ გაიგდო რიწა და ბიჭვინთა, სოქა და სოხუმი. მე კი გამოფყრუვდი მარტო სახლში გდებით, კლავას იმარა დარჩენილი. აი, დღეს დილაადრიანი გამოვედი, არ მიდგება გული ცარიელ სახლში. აქ კი შესრულდება ათი საათი და დაიწყება, ვისაც თავი აუღია და რაიკომს მოსწვდენია, ხევწნა და მუდარა. ყოველდღიურად ერთი და იგივე. საშინელებაა პირდაპირ, საშინელება!..

მაგიდის ქვეშ დილაკს თითი ამოსდო.

ზარის ხმაზე მოსაცდელ ოთახში სკამი გახრაგუნდა, ცოტა ხნის შემდეგ შავმუშამბიანი კარი გაიღო და მდივანი ქალი შემოვიდა. ფოსტა შემოიტანა, გრაფინი და ჭიქა გაასწორა მაგიდაზე.

— ხომ არავენ მოსულა? — იკითხა მდივანმა.

— მარტო ვარდენია და თქვენ გლოდებათ.

მდივანმა გაშლილი გაზეთიდან თავი აიღო და გაიოცა:

— მოვიდეს, როდის აქეთ გახდა ვერე თავაზიანი?

ქალი გაბრუნდა.

— რა გაუჭირდა ისეთი, რომ ამ დილაადრიან მომადგა: ალბათ, ისევ იმაზე ირჩება. დათვმა თავლის სუნი იკრას და მერე იმას მოეშვება? ეტყობა, ჯეროვანად ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი. ჯერ იყო და ჰალისპირის კოლმეურნეობას გაუხდა მუყაითი, მერე თბილისიდან საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობებს გადაჰყვა. ახლა კიდევ აუღია თავი და, ეშმაკმა იცის, სად არ დაეხეტება. არა, უნდა კალაპოტი მიეცე, თორემ ძალიან წავიდა თავს.

ვარდენი შემოვიდა, კარები ფრთხილად შეხურა და ზურგიით მიაწვა.

— შეიძლება, სოლომონი?

მდივანი გაზეთის კიდრიდან გაჰყურებდა ინსტრუქტორს. მერე თავი აიღო და გაკვირებულმა იკითხა:

— შემოხვედი და ესლა ჰკათხლობ?

შემოსულს აღელვება ეტყობოდა. მოხდილი შლიაბა ბარძაყზე მიეკრა და მასთან ერთად ადგამდა ნაბიჯებს.

— სად დაიკარგე ეს ორი-სამი დღე?

თბილისში ვიყავი, — დაძაბული მოლოდინით შეხედა თვალბში მდივანს ინსტრუქტორმა.

— თბილისში? — გაოცდა მდივანი, — მე მითხრეს, ავად არი, მუცლის გვრემა აქვსო. ვინ გაგიშვა თბილისში? — წარბი შეიკრა და მაგიდაზე გადმოიხარა.

— სოფრომინს დაებარებინა, ჩამოვიდესო და წავედი. ვერ მოვასწარ თქვენი გაფრთხილება. დიდი მოკითხვა დამაბარა თქვენთან სოფრომინმა... მოკითხვა და აი, წერილი გამომატანა.

ვარდენმა საჩქაროდ ჩაიყო ჯიბეში ხელი და კონვერტი გაუწოდა.

მდივანმა გამომცდელი მზერა მიაპყრო ინსტრუქტორსა და ტუჩის კუთხე ოდნავ შესამჩნევმა ზიზღმა აუგრიხა. მიხედა, რა მუცლის გვრემაც ჰქონოდა

„ავადმყოფს“. გაზეთი გვერდზე გადადო. მოსუბრისთვის თვალში აქრე მოუშორებია, ისე გამოართვა — გაწვდილ ხელში აცახცახებული წერილი.

— აქაურმა ექიმებმა ვერ გიშველეს და თბილისში გაიქციე? — ნელა, დაყოვნებით ხსნიდა კონვერტს ლუარსაბ სოლომონიჩი და თან ამაზრხენ მზერას. არ აცილებდა წერილის მომტანს.

ყოველი კუნთი დაძაბოდა ინსტრუქტორს. ცდილობდა იმ საშინელ მზერის აცილებას და თანაც გველისაგან მონუსხული მყვარივით მისჩერებოდა წერილს.

მხოლოდ ერთხელ აიღო კითხვისას თავი მდივანმა და ინსტრუქტორს შეხედა... ახლა შეამჩნია, რომ უზარმაზარი ყურები და გადმოკარკლული თვალბი ჰქონდა თავის ხელქვეითს.

ვარდენს კიანჭველები შეუსხდნენ მსრებში.

წერილი წაიკითხა ლუარსაბ სოლომონიჩმა და ისევ კონვერტში ჩადო. დიდხანსა და გამოუცნობი მზერით უცქეროდა კონვერტზე გაკრული ხელით გამოყვანილ თავისი სახელის შემადგენელ ასოებს. მერე გამოერკვა ფიჭვებიდან და ვარდენისათვის არ შეუხედიო, ტელეფონს გადასწვდა.

ინსტრუქტორმა ცხვირსახოცი ამოიღო. ათრთოლებული ხელით დიდხანს იწმენდა უხვად ოფლდასხმულ სახეს.

მდივანმა სამჯერ სცადა აეკრიფა საჭირო ნომერი. მერე მოურიდებლად დაახალა ყურმილი ზედვე და მდივანი ქალი მოიხმო.

— ესლავე ხელოსანი მოიყვანე და გააკეთებინე! რა არის ეს, მდივანს ტელეფონია თუ ლეჩურის სატყეოსი?

— გუშინ გააკეთეს, ლუარსაბ სოლომონიჩ, დედას გუფიცებით, გუშინ გააკეთეს.

— გააკეთეს? ვინ? შეგირდებმა? ოსტატი გამოიძახე და ესლავე გააკეთოს. ფოსტაშიაც სხედან რაღა!

ქალი გავიდა და კარი გაიხურა.

მდივანი კიდევ კარგა ხანს იჭდა დაფიჭვებული. მერე ინსტრუქტორს ახე-

და რბილი, დაღლილი თვალებით და დუნედ უთხრა:

— მადლობა სოფრომიჩისაგან მოკითხვისათვის. ეხლა წადი და ხვალ შემოიარე.

ინსტრუქტორი მიხვდა: — რუბიკონი ვადაღაშული იყო...

მდივანმა ქალმა გოცეებით გახედა კაბინეტიდან გამოსულსა და მოსაცდელიდან აჩქარებით გასულ გაბადრულ მახიან ვარდენს.

პირველად მოხდა, რომ ჩვეულებრივი ქათინაურის უთქმელად დატოვა ინსტრუქტორმა იგი.

3

ბულალტერი შემოვიდა და უწყისები შემოიტანა.

ძია ნიკომ გამოართვა ქალაღდების დასტა, წინ დაიწყო და სათვალე გაიკეთა.

„მაინც რა ეშმაკად გადავიტანე ცხენებზე ლაპარაკი? მინდორში წასასვლელი ვარ, ტრაქტორებს უნდა დავხედო, ეს კი აქ ლექციას მიკითხავს მეცხენეობაზე. კვიცი გვარზე ხტისო, სულ იმის წაჭერია, იმ უთოფო ყაჩაღისა. ვახტანგი გადარეულია, — იმუქრება, მოკვლავო. მაინც რამ დაბოცა იგრე ეს ახალგაზრდობა, რომ ერთმა კაცმა ოთხს ერთადა სცემა? ზაქრო ჩხუბში არ ჩარეულა. ნიჩაბიც კი წაურთმევია იმ ბიქისთვის. ტყუილია! — ეხლანდელ ახალგაზრდებს ეშმაკიც კი ვერაფერს გაუგებს... მაინც რა რჯიდა, წყალი ყველასია და თუ უნდა, თითონაც ითევზაოს. წესრიგს იცავს? თევზს უფრთხილდება? ამას ვინა ჰკითხავს? გამოვიდა კანონიერების დამცველი! გავარდებიან თბილისში, ორიოდე წელს იღლაბუცებენ. იქა და მერე აქ მომადგებიან ბაქო-ბუქით... ამას კი ამას, ბალღობისასვე ეტყობოდა სამამულე რქა... არა რაღა შაინცა და მაინც ცხენებზე ჩამოვუგდე სიტყვა?“

დინჯად აწებდა კალამს სამელნეში

თავმჯდომარე, ყოველ ფურცელს დინჯად სინჯავდა და მერე ბოლოში დინჯადვე აწერდა ხელს.

„რა დემართა ამდენ ხანს, რას ჩაპკირკიტებს? უცხო კაცს რატომ აჩვენებს, თითქოს იქ საეჭვო რამ იყოს?“

ბულალტერი ცივად იჯდა სკამზე, იცდიდა და არაფრით არ ამქლავებდა მოუთმენლობას.

თავმჯდომარემ მოათავა ხელმოწერა და დადასტავებული ფურცლები ბულალტრისაკენ მისწია.

— მაშასადამე, გამოდის, რომ მარტო ბიჭების ბრალი არ არა, — მიუბრუნდა ძია ნიკო ფანჯარასთან მჯდარს, როცა ბულალტერი გავიდა.

შავლეგო გერანის ალისფერ ყვავილს მისწვდა და ერთი ფურცელი შეაცალა.

— რა თქმა უნდა, კარგ მზედარს კარგი ცხენი შეეფერება. შეჯიბრება ცხენზეა უმეტესად დამოკიდებული.

— რას იტყვი, კოლმეურნეობაში წმინდა სისხლის ინგლისური ცხენი რომ გავიჩინო? — შემპარავად გახედა თავმჯდომარემ მოსაუბრეს და სათვალე მოიხსნა.

შავლეგომ დაიჭირა ეს გამოხედვა.

— მე ცხენი მიყვარს, და ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მათს მოშენებაზე არასოდეს არ ვიტყვი უარს, რა ჯიშისაც არ უნდა იყოს, მაგრამ, როცა მოშენებაზე სერიოზულად ფიქრობენ; ადგილმდებარეობასაც ითვალისწინებენ. რა სარგებლობის მოტანა შეუძლია თქვენთვის წმინდა სისხლის ინგლისურს?

— აკურელებმა ჯილღო მიიღეს, აღვანელებმაც. კარგი ცხენი კოლმეურნეობის სიამაყეა.

— მართალია, ძია ნიკო, მაგრამ მარტო სიამაყეზედაც არ არაი საქმე. ჯერ ჩვენში ისე შექანიზებული არ არაი სოფლის მეურნეობა, რომ ერთბაშად შეცვალოს ცხენი მანქანამ. შეცვალოს და მხოლოდ სპორტისთვისდა დატოვოს. რა საჭიროა ინგლისური, როცა

თერგის ცხენსაშენი საუკეთესო ჯიშებს ქმნის? შარშანწინ იქ გამოზრდილმა ცხენმა, „ბესკარნმა“, ჰიპოდრომზე ჯირითისას ორი ათას ოთხასი მეტრი მანძილი ორ წუთსა და ოცდათვრამეტ წამში დაფარა.

— აღვიღმდებარეობა რაღა შუაშია? — თავმჯდომარემ სათვალეს ბუდეში უკრა თავი და ხალათის ჯიბეში ჩაიღო.

— აუცილებლად შუაშია, — ყვავილის ფურცელს ფრთხილად ახვევდა ხელში შავლეგო. — ჩვენი ქვეყანა მთავგორიანია. ცხენს ხშირად უხდება კლდე-ღრეზე სიარული. ცხენს ააქვს საზაფხულო საძოვრებზე ბარგი და ჯერი მწყემსებისა და ძაღლებისათვის. თითონ მწყემსებიც ცხენებით დადიან. იქიდან ცხენებითვე მოდის მატყლო, ყველი, კარაქი, ერბო და, საერთოდ, ყველაფერი. განა აქ წმინდა სისხლის ინგლისური ჯიში გამოდგება? რა საჭიროა ინგლისური? თუშური ცხენი გამძლე და ღონიერია, ყაბარდოული — მოქნილი, სწრაფი და ამტანი. აიღეთ და, თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლიათ, შეაჯვარეთ ესენი და სასპორტო ცხენსაც მიიღებთ და მთაში მავალსაც. განა ის ზერდაგი, ყაბახზე რომ მოიყვანეთ, ინგლისური იყო? რომელი ჯიშისას ჩამოუვარდება, თუ გაწვრთნი და მოუარე? ხოლო, რაც შეეხება ინგლისურის სისხლის სიწმინდეს, — ზღაპარია! ბრიტანელებმა ეს ჯიში მეთვრამეტე საუკუნეში შექმნეს არმიისა და სპორტისათვის. და მათ ძარღვებში სამხრეთ ამერიკულის, ესპანურის, არაბულის, თურქულისა და კიდევ მრავალი სხვა ქვეყნის ცხენების სისხლი დის.

ძია ნიკო წამოდგა, ხელები წელზე შემოიწყო და ბოლთის ცემა დაიწყო. თავდალუნული უცქეროდა იატაკის ფიცრებშუა გაჩენილ ღრიტოებს და ყურს უგდებდა მძიმე ნაბიჯების ქვეშ მათ ყრუ ჭრიალს.

„დავაჩქარე და ნეღლი დავაგებინე. ერთი, რთველსაც რომ მოვრჩები და ყველაფერს დავაბინავებ, უნდა აყა-

რო და მჭიდროდ დავაგებინო“.

მერე უცებ მობრუნდა და მაგიდის იქიდან მიაჩერდა შავლეგოს: როგორც თვალს ადევნებდა მის ყოველ ნაბიჯს.

— შენ მართალი ხარ, შვილო, ცხენზედაც ბევრი რამ არი დამოკიდებული და კაცზეც. მე თითონ მინახავს ცირკში, დათვები მოტოციკლით როგორ დადიან. ყველაფერი წერთნა არი, მაგრამ შენს გაზრდას, ერთი მითხარი, ვისა სცალიან ეხლა საბტუნაოდ და საჭირითოდ? გაზაფხულიდან მოკიდებული ზამთრამდის გახურებულ მუშაობაში ვართ, თავი მალა ვერ აგვიღია და ცხენზე ჯდომა ვის აგონდება? არც ზამთარში ვართ გულზელდაკრეფილინი, ზამთარშიც უამრავი საქმეა, — ვინ მოვაცდინო? ცხენზე ჯდომა ახალგაზრდა კაცის საქმეა, ახალგაზრდობა კი მთავარია შრომაში. თავი დავანებებინო ვაზისთვის ძირების გამოთონას და ცხენზე შევსვა? აი, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, განათლებული, ცხენებისაც იცი და ადამიანებისაც, ხომ არ მირჩევდი იმ ბიჭებისთვის მიმეცა ის ცხენები, რომლებიც დღე და ღამე საბჭოს ეზოში ყრიან და მშობლებსაც კი თავი მოაბეზრეს? ვიცი, არ მირჩევდი. ცხენებსაც გააგაყებენ და თითონაც უარესად დაგიყდებიან.

— მოცლით ეგენი არიან და ეგენი უნდა გამოიყენოთ მაგ საქმისთვის.

— არა, შვილო, მე უკვე ვცადე და შედეგიც ვიწვინე. ფეხბურთის ფორმა ვუყიდე. თელავიდან შემაწუხეს; გუნდი უნდა გყავდესო. მეც ავდიქი და ვიყიდე. ახლა სტადიონი არ მომთხოვეს?! საუკეთესო მიწას ითხოვდნენ სოფლის ბოლოში. მე კი ვენახებისთვის მიწა არა მყოფნის. არც საყანედ. ყოველ წელს კვავწებებიან რაონიდან და გვიმატებენ და გვიმატებენ გეგმებს. საიდან უნდა შევასრულო, თუ არ მოვხანი და დაეთესე? მე მანქანებიც ცის ქვეშ მიყრია. გარაჟის ასაშენებლად მიწა არა მაქვს. მაგათ კი საუკეთესო მიწა მომთხოვეს. ჩაიცვეს ფორმა და გაიგდეს

ბურთი. კოლმეურნეობა ვილას ახსოვდა. მეც ავდექი, წავართვი ფორმა და საწყობში ჩავკეტე. არც მივეცემ, სანამ ერთ-ორ წელიწადს კოლმეურნეობაში არ წაიშუშებებენ, ვერც ფორმას დაინახვენ და ვერც ცხენებს. რამდენი მეხვეწენ ჩვენი კომპაევშირელები, აქტიური ბიჭები, არ მივეცი. იმიტომ არ მივეცი, რომ იმათაც ათამაშებენ. აქ კი კომპაევშირის კრებაზედაც არ მოდიან.

შავლეგოს იდაყვი რაფაზე ჩამოედო და დაფიქრებით ისრესდა ცხვირის ძვალს წარბთა შესაყართან.

— მე რომ გირჩიოთ, ძია ნიკო, რომ ეგ ფორმა სწორეთ იმ ყალბაბანდებს მისცეთ?

თავმჯდომარეს არც თავი აუღია და არც ნაბიჯი გამოუცვლია გაცემებისაგან. მხოლოდ რუკასთან შედგა და დაჯვირვებით უცქერდა ცხენის ყურით აცქვეტილ სომალის ნახევარკუნძულს. იღგა, მარჯვენა ფეხს ათამაშებდა მუხლის სახსარში და წელზე ხელებდაწყობილი უცქეროდა რუკას. მერე მძიმედ მობრუნდა და თავდახრილივე წამოვიდა თავისი მაგიდისაკენ.

— რასაც ამბობ, ისიც ვიცი, შვილო და, რაც უნდა სთქვა, ისიც... შვიდი წელი იდო ძაღლის კუდი დახვავში და რომ გამოიღეს, ისევე მოიკაჯვა. შენ კი ჰკვირავნი ბიჭი ხარ და მაგას არც უნდა მეუბნებოდე. განა ბალები ჩვენ არ ვიყავით? განა შენ ბალები არ იყავი? თუმცა მაშინ შენც დაუსვენარი იყავი.

ძია ნიკომ თვლები მხიარულად მოქუტა და გულიანად გაიციინა.

— გახსოვს, კამეჩების გუბეში რომ ჩავარდი და კინაღამ არ დაიხრჩვი? იქვე ვიჯექი, კალოს პირზე. ჯავახიანთ იას ვირისთვის ბზე უნდა წაედო და გოდორი მოეტანა. წაქცეულ გოდორზე ვიჯექი. ბელურა კი ყვირის:

„არჩქა, სარიას ზაქი მოუგიაო“.

მივიხედე, გუბიდან ლაფში ამოთხვრილი რაღაც წამოიწია, პირი დაალო და ბლავის. ბელურა კი იძახის:

„სარიას ზაქი მოუგიაო“.

როგორ შეეძლო ხარ-კამეჩს ზაქი მოეგო? მოვეარდი, ამოგატრე და მივეხანძრისთვის დადგმულ წყლიან კასრში გიკარი თავი. მხოლოდ მაშინ გიციანი, როცა დედაკაცებმა გულიანად გაგბანეს და პურის ყუთი განუგეშეს.

— იქნებ ასეთები არ ყოფილიყვნენ მაგათთვის, რომ ფორმა მიგვეცა და კლუბი აგვეშენებინა.

თავმჯდომარის სახეზე მხიარულების კვალი არ წაშლილა, დაუდასტურა.

— მართალია. იგეთები აღარ იქნებოდნენ, ალბათ ძირფესვიანად მოთხრიდნენ მაშინ ჰალისპირს.

— მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?

— არავის, როცა დრო და საშუალება გვექნება, ავაშენებთ.

— ფორმას რაღას ალბობთ საწყობში? თუნდ მკედარი და თუნდა შინ მოუსვლელო.

— მირჩვენია ჩემი ძროხა ჩემს ბაგაზე მოკვდეს, ვიდრე სხვის ეზოში იწველოს.

— მე რომ გთხოვოთ?

— არა გამოვა რა. ჯერ ერთი, შენი მოსარგი იქ არაფერია, მეორეც: შენი ბურთი და მოედანი სხვა არი. რაც მთავარია კი, იმ დამთხვეულებს უფორმოდაც არ აკლიათ სიგიჟე. წვერიკმაზაანთ საბედის ძაღლი არ დაჰყუფავს, ეგენი კი ბაღჩას უტიალებენ.

— ძალები არა, მაგრამ ლომები უყუფენ საბედისაო.

ძია ნიკომ ხელები კვლავ უკან დაიწყო.

დადიოდა თავჩაქინდრული. სიარულში ოდნავ ბუქნავდა. ენით ულვაშის ბლუჯას მისწვდენოდა და ოდნავ ლეჭავდა წინა კბილებით. მერე ერთბაშად მოტრიალდა მოსაუბრისაკენ.

— ლომს თუ დასჭირდა, ყეფაზე მეტად ქუხილი ემარჯვება. შენ კი, აი, რას გეტყვი, შვილო: მოსულხარ? გულგაშლილად და პატივისცემით მიგვილიხარ, გაიარ-გამოიარე, დაისვენე, თვალს წყალი დააღევი, კაი პური ჰამე და წადი.

ბიჭ-ბუჭების აყოლა რა ხელს მოგცემს? ყური მოგკარი, კიდევ სწავლას აპირებ-სო. განა ცუდია? სოფელს სასახელოდ ეყოლები. მაგათ მარაქაში გარევეთ კი, მხოლოდ სახელს წაიხდენ. ციყვმა თხილი და კაკალი უნდა ამტვრიოს, ხოლო თხამ ნეკერი ჭამოს. ამ ქვეყანაზე ყველას თავისი საქმე აქვს. შენ ვინა გითხა ლაზარეს პაჭიკები აკლიაო? თუ მაინცა და მაინც უსაქმოდ ვერ ისვენებ, მოდი კოლექტივში, ხელი წაგვახმარე და მუქთად არა გვინდა რა. შრომადღებებს დაგიწერთ. სხვები თუ ერთ ჰემქტარ ვენახსაც ვერ უვლიან, შენთვის სამიც არაფერი იქნება. ხალხი კი იტყვის: აი, ნასწავლი კაცია და ჩვენთან მუშაობას არა თაკილობსო.

შველევო მიხვდა, რომ მისი ხმა ხედებოდა „ყურსა ბამბისასა“, და გაიფიქრა: „შორიდან ცულის ქნევით ხე არ წაიჭევა, უნდა ახლო მიხვიდე და შიგ ძირში დაჭკრა“.

მერე ჰრუტა თვალების გამჭირდავ მზერას მასზე არა ნაკლებად სასიამოვნო მზერით უბასუხა და წამოდგა.

კაბინეტიდან გასული კიბის თავთან შედგა და გამცილებელს მოუბრუნდა.

— მაშ, განცხადება რომ დავწერო, წვერად მიმიღებთ?

— შენ მოდი და, თუ გინდა, ხვალვე ბრიგადირად გაგიშვებ. კომუნისტს და ვასწრებ, მაშინ ხომ ყველა ბრიგადირი ნასწავლი უნდა იყოს.

— მარტო ბრიგადირი კი არა, წვერებიც ბიჭ.

— რა თქმა უნდა, წვერებიც.
— მაშინ სოფელში საბედები აღარ იქნებიან.

— აღარც სოლიკოები.
— ნახვამდის, ძია ნიკო.
— კარგად იყავი, შვილო.
— კიდევ ერთხელ მადლობა გუბიდან ამოყვანისთვის.

— ეგ არაფერი, ჭკვიანი ბიჭი ხარ და სხვა გუბეს უფროთხილდი. თორემ ბელუ-რა იმდენად სულელია, ახლა კიდევ ზაქის მაგივრად სპილოს იტყვის.

მეორე სართულის აივნის სვეტზე მიყრდნობილი რუსუდანს თვალმოილულული გადაპყურებდა მთვარიანში გაშლილ სოფელს. შორს ციყ-გომბორის ბუნდი მოხაზულობა მოჩანდა, ახლოს ალავერდის თეთრი ტაძარი და შავი ჭალა, ხოლო ზედ მომდინარი ალაზნის ალუშინის ზოლივით ანათებდა. ირგვლივ დაეანებულ სიჩუმეს ვალიების კრიჭინი და ბუს საწყალობელი კივილი არღვევდა. მონაბერ ნიავზე იღუმალად შრიალებდა ეზოში ბებერი მუხა. ნელად ირხეოდნენ საცდელ ნაკვეთზე სიმინდის ღერები და ყვითელ კვადრატებად მოჩანდა ხორბლისა და ჭვავის ნამკალი.

კარგა ხანს გასცქეროდა რუსუდანი ჭალისპირს და ტკებოდა მისი სილამაზით.

მთვარეს ღრუბლების ქობა გაერღვია, სატალის წვერზე შემდგარიყო და იქიდან დაპყურებდა ქვეყანას.

კრიჭინებდნენ კრიჭინები და კიოდა ბუ ბალის შორეული კუთხიდან.

დროდადრო ალაზნის პირისკენ ჩფენილი სოფლიდან შორეულად აღწევდა ადამიანთა ხმები.

ირგვლივ მაინც მყუდროება იდგა.

უეცრად დუმილი „ურმულმა“ დაარღვია და ქალი იშულებული გახდა ყური წაეგდო.

ვიღაც ტალიკი ბიჭი, ალბათ, თივას ეწიღებოდა პირიშვისიდან სოფლის ბოლოში და მუხლმაგარ კამეჩებს თუ მყუდრო ღამეს, თავის გულის დარდს უმხელდა.

სიმღერამ თანდათან აიწია და ქალი სმენად იქცა. და რათა უფრო უკეთ მოესმინა, ოთახის კარი შეაღო, გახსნა ბალის მხარეზე ფანჯარა და ზედ გადაეყრდნო.

მონანობდა სიმღერის ხმა და სათუთად ელამუნებოდა ქალის ნახ ყურებს. იგი ხან ნელი შრიალით გადაუვლიდა ბალს თავზე, ხან მიწაზე გაეფინებოდა ბიბინით და ხან ტოროლასავით ცაში

აჭრილი, მთვარის ნათელში ლივლივებდა გულისწამლებად.

ისეთი ტკბლი იყო სიმღერა, ისეთი კარგი, ისე სულამდე ჩამწვდენი, რომ ადამიანს სისხლს უღუღლებდა და ალაუნებურად იმ დასაწველი ბიჭის ბედის მოზიარეს ხდიდა.

ბიჭი კი ჩიოდა, მოსთქვამდა და მთელ ქვეყანას შეღალადებდა, რომ ის დასწყევლა ქალმა ლამაზმა, ახლოს აღარ იკარებს და მასთან გატარებულ ტკბილი ღამეები აღარ ახსენდება, რომ მან სხვა იშოვა და ის კი ირემივით უცალოდ დადის ამ სიტკბოთი და სიყვარულით სავსე ქვეყანაზე.

კარგა ხანს შესჩიოდა ბიჭი ღამეს, მთვარეს, მთებს, ველებს, ხეებს, ბუჩქებსა და თავის ღომა კამეჩებს იმ „დასაწვევი“ გოგოს უგულობას, მაგრამ ზოლოს უფრო აუწია ხმას და მუქარით განაცხადა, რომ მას ცხენი ჰყავს ისეთი, მიმინოს ფრენაში გაასწრებს; ნაბადი აქვს ისეთი, ნამი არ გავარდება; თოფი აქვს, — ნასროლი კლდეს გაანგრავს, ზოლო თითონ ვეფხევივით ბიჭი ბნელ ღამეს იძიობს, მოუკლავს საქმაროს, თითონ მას ცხენზე შემოიგდებს, ნაბადურ გახვეულსა, და წაიყვანა შორს, შორს, მთებში, სადაც ღრუბლები ერთმანეთს ხარჯიხვებივით ეჯახებიან და ელვა ქამანდივით იკეცება ფრიალოებზე.

კიდევ კარგა ხანს იყო ქალი განაბული, მაგამ სიმღერა თანდათან მისწყდა და მოშორებით ჩამომდინარე ბერხევის დუღუნ-ჩხრიალში ჩაიკარგა.

ირგვლივ ისევ დუმილმა დაივანა. მხოლოდ ჭრიჭინები აგრძელებდნენ თავიანთ ერთფეროვან და მოსაწყებ კონცერტს.

მხოლოდ ბუ კიოდა ბადის შორეული კუთხიდან.

მხოლოდ ბერხევა გარბოდა თავქვე შეუწყვეტელი ლიკლიკით და დღე-ღამე-ღამე-ღამე სასიყვარულო დუღუნითა და ალერსიანი მურმორით იკრავდა გულში საყვარელ პირმშოს.

ამაოდ ელოდა სულგანაბული ქალი სიმღერის გამეორებას და, რაკი აღარ დაირხა ღამეში ახლახან შეწყვეტილი ხმა, მოგონებებში გადაეარდა.

ნეტა ვინ არია ის მეურმე, რა მშვენიერი სიმღერა სცოდნია. დასანანი მაგრამ განა თითონ კი აქამდე ცაღად არ დადის? სად არ ყოფილა, სად არ იარა. საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი ისე დაამთავრა, რომ ვერც ერთმა ვაქმა ვერ მიიტაცა მისი გული, ხოლო აურაცხელი თაყვანისმცემლებიდან ვერაიენ მიიჩნია სულის სწორად. აქ კი, რაიონში, სოფლის თავში განმარტოებით მღგარ სახლში ერთ ხანს ძალიან აწუხებდა რამდენიმე თავზეხელაღებული. მაგრამ ზაქრომ დაიფიცა: ვინც აგრონომის თმის ერთ ღერსაც ხელს ახლებს, დაღესტანში გადასულიც ვერ დამემალებაო.

ხოლო ვინც ამ ბიქს იცნობდა, ყველამ კავად იცოდა. ნათქვამს აასრულებდა.

ქალის მამამ, თელაველმა აგრონომმა, თავისი მუდამაძიებელი ნიჭი ქალაქს ვერ შეუგუა და, მას შემდეგ, რაც მოსკოვში საკავშირო გამოყენაზე მოხვდა და იქიდან მოსავლის გადიდებისათვის ვარი იღებოდა გატენილი თავი და შემთხვევით ხელში ჩაგდებული დაროტილი ხორბლის ერთი თავთავი ჩამოიტანა, გადასწყვიტა, სოფელში დასახლებულიყო.

აგრონომმა ჭალისპირში გინერალ ვახვახიშვილის ნასახლარი აირჩია. საძირკობამდე დანაგრეული კედლები მოასწორა, სოფლის ნახირისა და ბაღებისაგან გაპარტახებული ბაღი აოადგინა და წინ ორსართულიანი სახლი ჩადგა. ეზო კიოებოდ დაჰყო და შიგ სხვა საცდელ მარცვლეულ კულტურებთან ერთად იმ დატოტილ ხორბლის მარცვლებიც ჩაფლა. ბერხევიდან გამოყვანილ რუში საქონლის დამწვარ ნაქელს ხსნიოდა და იმითი რწყავდა. მარგლიოდა, თოხნიოდა და ჩვილივით ეფერებოდა.

მთარ ჭიდაკა

გალაკტიონის ხსოვნას

ქუჩებში წვიმდა. მე ვიყავ მარტო.
ვუსმენდი წვიმას და თუთუნს ვწევდი
და ოთხ კედელში მოქცეულ ფართობს
წვიმა ავსებდა საკუთარ სევდით.


მე ჩემი მქონდა და მსურდა მშვიდად
მეძებნა ჩემი სევდის მიზეზი,
მაგრამ ვილაცხა სახურავს მზდიდა
და ჩამდიოდა წვიმა კისერში.

მე ვფხიზლდებოდი და დიდი ბალი
ბრწყინავდა წვიმის ყალბი მძაფებით,
ბრწყინავდა კუბოც, რომელსაც ხალხი
ნელა მისდევდა, როგორც იმედი.

მე აღარ მახსოვს რა მოხდა აღრე,
ან ჩენს სიყვარულს ვის ვაძალებდი.
მე მახსოვს მხოლოდ, რომ ბებერ კადრებს
ეკიდათ წვიმის მძიმე ზარები.

და გარეუბნის ნაცრისფერ ღრუბლებს
შეშფოთებული უცქერდა ხალხი,
უცქერდა ჩუმად და სველი კუბო
მიქონდა, როგორც ჩამქრალი ქალი.

ქუჩებში წვიმდა და მღვრიე წვეთებს
არ აწუხებდათ ცოცხლების ხვედრი
და ყველაფერი მოჩანდა მკვეთრად
წვიმით საღღნთილ სიკვდილის გვერდით.



პახანს ჯაპახძე

* * *

ციდან მიწამდე ეკიდა წვიმა
და აპურებდა აუზის თევზებს,
ასტრონომები სდუნდნენ და ხშირად
ფიქრობდნენ უქაად დაკარგულ დღეზე.
მე არ ფიქრობდი...

მხოლოდ ვუსმენდი
გაჭინებული წვიმის ნაბიჯებს,
მიხმაურობდნენ წვიმის ქუსლები
და მეძახოდნენ ნაცნობ ნაპირზე.
მე კი მიზეზის მიზეზს ვეძებდი,
წვიმა ეძებდა გატეხილ კრამიტს,

და მისი სიტყვა,
როგორც ბეჭედი,
ბევრს პირდებოდა სასურველ ამინდს.
მალე ცისფერი ფარდა დაეშვა,
ჩამოიცილა საესე სურები,
და წვიმასავეთ დადგა ჰაერში
გადაღებულნი წვიმის სურნელი.
მიწყნარდნენ ქუჩის ნაკადულები,
წვიმამ ქალაქი დასთმო დროებით,
და ცაში ხელებს აფათურებდნენ
ცნობისმოყვარე ასტრონომები.

* * *

თითქოს კი არა,
ნამდვილად სძინავს.
ზღვამ თავის თავი იპოვნა თითქოს,
დიდი ღუმელი სჭირდება იმას
და იგი ღუმელს ღუმელით ითხოვს.
მე მხოლოდ ღამით მივდივარ

ზღვასთან,

აგზედავ ცას და შევურჩევ ამინდს,
არ ვიცი,

ასე როდემდის გასტანს,
მაგრამ მე მაინც მივდივარ ღამით.
მე ხელში ამაყავს ფიქრით ჩუმი
ტალღა
და უცნობ მამაკაც ვაჩვენე,
და ვუფრთხილდები ნასესხებ ღუმელს,
როგორც დედები მძინარე ბავშვებს.
თავს დავიმწვინებ პატარა რამით
და ღამის ღუმელს ვვალერსები

არა იმიტომ,
თითქოსდა ღამით

იწერებოდეს კარგი ლექსები.
მე ზღვასთან სული მთვარით მევსება
და მთვარეც ზღვაზე დაფენილია, —
ხოლო

ყველაზე კარგი ლექსები
უკვე კარგახნის დაწერილია...

მე მხოლოდ ღამით მივდივარ

ზღვასთან.

და ზღვა გულისკარს თამაშად მიხსნის,
მე მხოლოდ ღამით მივდივარ, რადგან
ზღვა მარტო ჩემი არ არის დღისით,
ზღვას მე დღისითაც გაგამხნეებდი,
მაგრამ სურვილი მაშინებს სხვისი:
თავისი წილი ზღვა და ხმელეთი
აღამიანებს ეკუთვნის დღისით.
დღისით ეძებენ მიზანს საჭიროს
და იღლებიან მძლავრი ხელები,
რათა თანაბრად გაინაწილონ
მღელვარე ზღვა და წყნარი ხმელეთი.

ჯონ სკინნერი

გამთარი ჩვენი მღვდლები*

— რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო. ერთნაირი თითქმის არაფერია, მაგრამ როგორ შევიძლია დავგმო ის, რაც არ გესმის.

— უფრთხილდით მავას, — თქვა მე-
რამ, — სიტყვის მახეში არ ვაგაბათ.

— ეგ რა მოსატანია. მკითხაობა-მარ-
ჩიელობისა შე არაფერი გამეგება. რო-
გორღა შემიძლია დავგმო და არ ვირწ-
მუნო? ვხედავ, როგორ მკითხაობენ და
მჯერა კიდევ.

— მაგისი სიმართლე რომ არა გჯე-
რა?

— მილიონობით ხალხს ხომ სჯერა,
და ფულსაც კი იხდიან. ეგვეც საკმარის-
ია, რომ კაცი დაგაინტერესოს.

— მაგრამ შენ ხომ...

— დამაცადე! განა არა მჯერა — უბ-
რალოდ, არ ვიცი. ეს სულ სხვადასხვა
ცნებაა. არ ვიცი, რომელი რომელს
უსწრებს წინ: ჯერ გიმკითხავენ და
მერე აგინდებ, თუ ჯერ აგინდებ და
მერე გიმკითხავენ.

— მგონი, მივხვდი, რასაც ამბობს.

— ვითომ? — მერი ნაწყენი ჩანდა.

— ესე იგი, მკითხავს წინაგრძობა
ეუბნება, რაც უნდა მოხდეს, არა? ეს
გინდოდათ ხომ, გეთქვათ?

— მკითხავს, ვთქვათ, ეუბნება. კარ-
ტმა საიდანღა იცის?

— კარტი ხომ თავისით არ გაიშლე-
ბა — ვილაყამ უნდა გაშალოს, —
ვთქვი მე.

მარჯის ჩემთვის არ შემოუხედავს,

მაგრამ ვატყობდი, გრძნობდა მერის
მოუსვენრობას.

— იქნებ, გვეცადა, პა! — ვთქვი მე.

— როგორ ვითხრათ, სასაცილოდ
მოგჩვენებთ, მაგრამ ამისთანა რა-
მეებს გამოცდა არ სიამოვნებს, აღარა-
ფერი გამოდის ხოლმე. მაინც ვცადოთ.

— ჭიქისთვის ხელიც არ გიხლიათ, —
ორთავემ ასწიეს ჭიქები, ტუჩები შეა-
ხეს და უკანვე დასდეს. მე გამოვცადე
ჩემი ჭიქა და ისევ გამოვიღე სურა.

— ითენ, კიდევ გინდა, ვითომ?

— მინდა, ჩემო კარგო. — ჭიქა გა-
იგე, — თვალი რომ დახუჭოთ და ისე
გაშალოთ კარტი?

— როგორღა წავიკითხო?

— მაშინ მე გამაშლევივინეთ, ან მერის,
და თქვენ წაიკითხეთ.

— კარტი მხოლოდ იმას უბასუხებს,
ვინც შლისო, ასეა ნათქვამი. მაგრამ რა
ვიცი... მაინც ვცადოთ.

— თუ კარტის გაშლას ვაპირებთ, ბა-
რემ წესებიც დავიცვათ, — თქვა მერიმ.
ასე იცის ხოლმე. წესის შეცვლა არ უყ-
ვარს. ესე იგი, პატარა წესების შეცვლა
არ უყვარს, დიდ ცვლილებებს კი კარ-
გად იტანს, ვერაფერს შეედრება. გაჭრი-
ლი თითი რომ დაინახოს, თავგზას და
კარგავს, გამოღადრული ყელის დანახ-
ვაზე კი, თითქოს არაფერია, წარბსაც
არ შეიხრის. საშინლად ვლელავდი —
ჩვენ აქი წინასწარვე შევთანხმდით, რომ
კიდევ ერთხელ გვეცადა და გაგვეშალა
კარტი. აქი ვუთხარი კიდევ მერის; ახ-
ლა კი ისე გამოვიდა, თითქოს ამ წუთში
მოგვეფიქროს.

— ამაზე ხომ დილითაც შევთანხმდით.

— დიახ, მე რომ ყავისთვის მოვედი. მთელი დღე ეს მიტრიალებდა თავში. კარტიც მოვიტანე.

— მოდი, ნულარ გავამასხრებთ, — ვთქვი მე, — ბარემ კაზინო გვეთამაშა. მარჯი მიმიხვდა ეშმაკობას. ეტყობა, პირველად არ მოსდიოდა ასეთი რამე.

— როგორც გენებოთ.

— ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია. გამდიდრება მელის. მეტი რაღა მინდა.

— აკი ვითხარით, არა სჯერა-მეთქი. სულ ასე იცის — გაგაწვალბს, გაგტანჯავს და მერე აღარ ეთამაშობო, გეტყვის. ლამის გამაგიჟოს.

— მე ვაგიჟებ? რატომ აქამდე არ მი-თხარი? შენ მუდამ ჩემი საყვარელი ცოლი ხარ.

უკნაურია, როგორ იგრძნობ ზოგჯერ საწინააღმდეგო მიმართულებით დაძრულ ორ ნაკადს, ერთმანეთის გადაწყვეთ დენს; ყოველთვის კი არა—ზოგჯერ. მერის დიდად არ უყვარს თავის შეწუხება, რომ ყველაფერი კარგად და-აღაგოს გონებაში, იქნებ ამიტომაც, ხელად აწყდება ხოლმე შთაბეჭდილებებს. აღმოსფერო სულ უფრო და უფრო იძებებოდა ოთახში. ეგრძნობდი, რომ მარჯის და მერის მეგობრობას ბზარი გაუჩნდა და აღარაფერი უშეგელიდა.

— ძალიან კი მაინტერესებს კარტით მკითხაობის ამბავი, — ვთქვი მე, — ამეუბრისა არაფერი გამეგება. გამიგონია, ბოშები მკითხაობენო. თქვენც ბოშა ხრმ არა ხართ?

— მარჯის რუსული გვარი აქვს, ალი-ასკიდან არის, — მითხრა მერიმ..

ახლადა მივხვდი, რატომ ჰქონდა ასე გამომბერილი ყვრიმალეები.

— მე თქვენთვის არ გამინდვია, მერი, ჩემი საშინელი საიდუმლო — ალი-ასკაზე საიდან გავჩნდით, — უთხრა მარჯიმ.

— აღრე რუსებისა იყო ალიასკა, — ვთქვი მე. — მერე ჩვენ მოგვეყიდეს.

— ჰო, მაგრამ, ის თუ იცით, რომ საბურობილედ ჰქონდათ, ციმბირივით.

ოლონდ ყველაზე საშინელი დანაშაულისთვის.

დანიშნული

— რა დანაშაულისათვის? — ვთქვი მე. — ყველაზე საშინელი დანაშაულისთვის. ჩემი პაპის დედა ჯადოქრობისთვის გადაასახლეს ალიასკაზე.

— ასეთი რა გააკეთა?

— ქარიშხალი გამოიწვია.

გამეცინა.

— მაშ მეშვედრეობით გადმოგყოლიათ.

— ქარიშხლის გამოწვევა?

— მკითხაობა — სულერთი არაა!

— თქვენ ხუმრობთ. ეს მართალი არ არის, — უთხრა მერიმ.

— იქნებ ვხუმრობდე, მერი, მაგრამ მართალი კია. ეს იყო ყველაზე საშინელი დანაშაული, კაცისკვლაზედაც საშინელი. აქამდე შემომარჩა ჩემი დიდების წერილები, ოლონდ რუსულად, რა თქმა უნდა.

— იცით რუსული?

— ცოტადა.

— იქნებ ახლაც ყველაზე საშინელ დანაშაულად ითვლებოდეს ჯადოქრობა, — ვთქვი მე.

— აკი გუუბნებოდით! — თქვა მერიმ, — ხან აქეთ გახტება ხან იქით. ვერ გაუტება, რას ფიქრობს. წუხელ... დღეს გათენებამდე ადგა და სასეირნოდ წაბრანდა.

— დიდი გარეწარი ვინმე ვარ, — ვთქვი მე, — პირწავარდნილი და გამოუსწორებელი არამზადა.

— მართლა გაშალეთ, მარჯი, კარტი... ოლონდ შენ არ ჩაერიო. ნულარ გავაქიანურებთ, თორემ ბავშვები მოგვისწრებენ და მერე ველარ მოვახერხებთ.

— ერთი წუთი დამიცადეთ, — ვთქვა მე. საწოლ ოთახში ავედი, ზემოთ. ხმალი ლოგინზე იდო, ქუდის კოლოფი კი იატაკზე ეგდო, ხუფმოხდილი, სააბაზანოში შევედი და უნიტასში წყალი ჩამოვეშვი. წყლის ხმა მთელს სახლში ისმის. ტილო ცივ წყალში დაეასველე და შუბლზე მივიდე, სულ დაეფიჯარე პირისახე. თვალები გამოვარდნაზე მჭონდა.

ციემა წყალმა დამიამა. უნიტასზე ჩამოვვარდნი და სახე ცივ ტილოში ჩაერგე. როცა გათბა, ისევ დაეასველე. მერე ისევ საწოლ ოთახში შევბრუნდი, კოლოფიდან ტაძრული რაინდების ფრთებით გაწყობილი მუხარადი ამოვიღე, თავზე დავიდე და კიბეზე დავეშვი.

— სულელი! — მომძახხა მერიმ. გამხიარულებული და მოსვენებული ჩანდა. დიძებულობა უკვე გამქრალიყო.

— ნეტა ეს ფრთები არ გაათეთრდება?

— ვთქვი მე, — როგორ გაყვითლებულა!

— მე მგონი კი, მისტერ შულესა ჰკითხეთ.

— ორშაბათს წავიღებ.

— გაშალეთ მარჯი, კარტი, — უთხრა მერიმ, — ძალიან მაინტერესებს.

ქუდი კიბის მოაჯირს ჩამოვაცვი. მთვრალ აღმირალს დაემსავსა.

— ბანქოს მაგიდა გამოიტანე, ით. დოდი ადვილი სჭირდება.

საუქუნაოდან მაგიდა გამოვიტანე, გავშალე და ფეხები დავუმაგრე.

— მარჯის მაღალი სკამი უყვარს.

მეფუნოჩე სკამი.

— ჩვენ რაღა უნდა გავაკეთოთ?

— გულისყური უნდა დამაბოთ.

— რას უნდა ვუყუროთ?

— ეცადეთ, არაფერს არ უყუროთ. ჩანთაში მაქვს კარტი, ეგერ, დივანზე.

სამარჩიელო კარტი მუდამ გაზინთული, სქელი და დაქმუქნული წარმომედგინა, ეს კი სულთა იყო და პლასტმასასავით პრიალა. სათამაშო კარტზე უფრო მოკრძო და წვრილიც ჩანდა, ოღონდ ორმოცდათორმეტ ცალზე გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა. მარჯი გაჭვიმული იჭდა მაგიდასთან და დიდის ამბით შლიდა კარტს — ბრუყვილა სურათებსა და უცნაურად დახლართულ ფიგურებს. წარწერები სულ ფრანგული ჰქონდა: l'empereur, l'ermite, le chariot, la justice, le mat, le diable ნიწა, ნზე, ნთვარე, ვარსკვლავები, ხმლები, ფინჯნები, კეტები და ფული; ჩემის ახრით, denier ფულს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ სურათი ჰერალდიკურ ვარდს

უფრო ჰგავდა, და ყოველი ფერის კარტსაც თავისი roi, reine და chevalies ჰყავდა, მერე რალაქნიარაქნი უცნაური კარტებიც შევნიშნე. სამინელი კარტები — ელვით გააბილი კოშკი, ბედის ფერსო, სახარბოელაზე ფეხით დაკიდებული კაცი, რასაც le pendu, მწერა, და სიკვდილი la mort ხელში ცელმომარჯვებული ჩონჩხი.

— საშინელი სურათებია, — ვთქვი მე, — მართლაც იმას გულისხმობენ, რაც ზედ ახატიათ?

— გააჩნია, როგორ განლაგდებიან. თავდაყირა თუ მოხვდნენ, მნიშვნელობაც საწინააღმდეგო ექნებათ.

— სხვადასხვანაირად თუ შეიძლება აჩნა?

— შეიძლება. გააჩნია, როგორ ამოხსნი.

აიღო თუ არა ხელში კარტი, მარჯი ოფიციალური გახდა. სინათლეზე კარგად დადასტურდა ის, რაც აღრევე შევნიშნე: ვიდრე ჩანდა, იმაზე უფრო ხნიერი იყო.

— სად ისწავლეთ? — ვკითხე მე.

— ბებიჩემს ვაკვირდებოდი ხოლმე, მერე კი, სტუმრად რომ წავიდოდი სადმე, კარტიც თან მიმქონდა, ალბათ ყურადღების მისაქცევად.

— თქვენ თვითონ გჯერათ?

— რა ვიცი. ზოგჯერ საოცარი რამე მოხდება ხოლმე. არ ვიცი.

— იქნებ კარტი ჩვენს ყურადღებას ამხვილებს — ერთგვარ ფსიქიკურ ვარჯიშს წარმოადგენს!

— ზოგჯერ მეც ასე მგონია. ზოგჯერ ისეთ მნიშვნელობას მივცემ კარტს, რაც აღრე არასოდეს არა ჰქონია, და მიმართლებს კიდევ. — მისი ხელები თითქოს ცოცხალი არსებებად იქცნენ — სწრაფად ურევდა და ჰრიდა, ურევდა და ჰრიდა, მერე კი მე გამომიშვირა მოსაქრელად.

— ვისზე ვიმკობხარ?

— ითენზე, — შესძახა მერიმ, — ნახოთ, გუშინდელს თუ დაემთხვევა. მარჯიმ შემომხედა.

— ქერა თმა, — ჩაილაპარაკა მან, —

ცისფერ თვალები. ჯერ ორმოცისაც არ იქნებოდა!

— სწორედ ორმოცისა ვარ.

— კეტის მეფე, — დასტაში მოძებნა და გამოარჩო, — ეს თქვენ იქნებით, — გვირგვინოსანი და ტოგამოსხმული მეფე, რომელსაც ხელთ ეყურა დიდი ცისფრად და წითლად აჭრელებული კვერთხი, ქვეშ კი წარწერა — Roi de Bâton მაგიდაზე დადო და კვლავ აურია კარტი. მერე ჩქარ-ჩქარა ჩამოალაგა, თან კი თითქოს ღიღინით ამბობდა. ერთი ზედ ჩემს მეფეს დაადო — „ეს დამფარავი“, ერთიც ჭვარედინად — „ეს ჭვარი“, მესამე ზემოდან — „გვარგვინი“, მეოთხე ქვემოთ — „საძირკველი“. ეს წინ, ესეც უკან. — ისე დაალაგა მთელი კარტი, რომ მაგიდაზე ჭვარი გამოისახა. მერე სწრაფად აკრიფა ჭვრის მარცხნით დალაგებული ოთხი კარტი: „თქვენ თვითონ, თქვენი სახლი, თქვენი იმედი, თქვენი ბედ-იღბალი“. ბოლო კარტი სახრჩობელაზე თავდაყირა დაკიდებული კაცი იყო, le pendu, მაგრამ მე მაგიდის მეორე მხარეს ვიჭექი და რომ შევხედე, უკუღმა არ ჩანდა — პირდაპირ იყო.

— კარგი ბედ-იღბალი მქონია.

— იქნებ ხსნაც ამან მოგიტანოთ, — თქვა მან და სალოკი თითი ქვემო ტუჩზე გადაისვა.

— ფული არ ჩანს? — იკითხა მერიმ.

— ჩანს... როგორ არა, — დაბნეულად უპასუხა მან. მერე უცებ მოხვეტა მთელი კარტი, სწრაფად აურია და ისევ გაშალა, თან კი ჩვეული ღიღინით ულოცავდა. ეტყობოდა, ცალკეულ კარტებს კი არ აკვირდებოდა, არამედ ყველას ერთბაშად, თვალები თითქოს დანისლული და რაღაც შორეული გაუხდა.

კარგი სეირი კია ეფიქრობდი მე. ქალების კლუბში — და თუნდაც სხვაგან, საცა უნდა იყო — მთელ საღამოს დაამშვენებდა. თუკი მოახერხებ, რომ ხალხი სუნთქვაშეკრული და დაძაბული ამყოფო დიდხანს, რაღაცის მოლოდინში, ალბათ ყველაფერს ირწმუნებენ; არა იმდენად მოქმედება, არამედ ტექ-

ნიკია მთავარი, დროის გამოზომვა. ეს ქალი ტყუილუბრალოდ ფლანგავს თავის ნიუს ვილაც კომფორიუტრებთან, მაგრამ ჩვენგან რა უნდა, ჩემგან რა უნდა? უცებ ისევ მოხვეტა კარტი და წითელ ბოხნაში ჩადო, რომელზედაც ასეთი წარწერა იყო:

J Muller et Cie, Fabrique le Cartes.

— არ გამოდის, — თქვა მან, — ზოგჯერ იცის ზოლზე ასე.

— იქნებ რამე ნახეთ და თქმა გერიდებათ! — უთხრა სუნთქვაშეკრულმა მერიმ.

— აჰ, არა, თქმას რას მოვერიდები ერთხელ, სულ პატარა გოგო რომ ვიყავი, გველი ენახე — პერანგს იცვლიდა; დიდი, ჩხრიალა გველი. თავიდან ბოლომდე ენახე ეს სურათი. ახლა, მაგიდას რომ დაეშტერდი კარტი სადღაც გაქრა და ის სურათი დაეინახე — გველი რომ კანს იცვლიდა; ნახევარი კანი დამტვერილი და ქეციანი ჰქონდა, ნახევარი ახალი და პრიალა. წარმოგიდგინათ!

— ეს ტრანსსა ჰგავს — ვუთხარი მე.

— აღრეც მოგსვლიათ?

— სამჯერ.

— არ იცით, რატომ?

— არა, არ ვიცი.

— სულ გველი?

— ო, არა! სულ სხვადასხვა რამეები, ოღონდ ასეთივე სულელური.

— იქნებ, ეს ითენის ბედის შეცვლას მოასწავებდეს! — მგზნებარედ შესძახა მერიმ.

— რომელი ჩხრიალა გველი ითენია?

— ვიცი, მიგიხვდით, რისი თქმა გინდათ.

— მეც ამბურძგლა ტანში, — თქვა მარჯიმ, — ჯერ იყო და თითქოს მიყვარდა გველები, მერე კი, როცა გავიზარდე, საშინლად შევიძულე. რომ წარმოვიდგენ, ურუანტელი დამიფლის ხოლმე ტანში, ჯობს, შინ წავიდე.

— ითენი გაავაცილებთ.

— გულშიაც ნუ გაივლებთ.

— სასიამოვნოც კი იქნება.

მარჯიმ მერის გაუღიმა.

— მაგრად ჩასკიდეთ ხელი და ნურსად გაუშვებთ, — უთხრა მან, — თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რას ნიშნავს მარტოობა.

— სისულელეა, — მიუგო მერიმ, — ერთი რომ გაანძროთ თითი, ხელად ქმარი გამოგიჩინდებათ.

— ეგეც მიცილია. რა ფსი აქვს. ასე იათად შექნილი, თვითონაც იაფი იქნება. შინ იყოლიეთ. არავინ წაგართვათ. — ხელადვე გაუყარა პალტოში ხელები. დიდი ცერემონიები არ უყვარდა. — დიდებული სადილი იყო. იმედი მაქვს, კიდევ მომიწევთ. ვწუხვარ, რომ მკითხაობა არ გამომივიდა, ითენ.

— ხელ ეკლესიაში ვერ გნახავთ?

— ვერა. ამაღამ მონტოკს მივმგზავრები.

— ამ სიცივესა და სინესტეში!

— დიდილაობით ზღვაზე გასვლა მიყვარს მონტოკში. ღამე მშვიდობისა. კარის გაღება ძლივს მოვასწარი, რომ გაქრა, თითქოს ვინმე მისდევსო.

— არც კი ვიცოდი, სადმე წასვლას თუ აპირებდა ამაღამ, — თქვა მერიმ.

მე კი არ შემეძლო თქმა, მეც არ ვიცოდი-მეთქი.

— ითენ, რას იტყვი მაგის ამაღამინდელ მკითხაობაზე?

— როდის იმკითხავა!

— დაგავიწყდა? აკი თქვა, ფული იქნებაო, მაგრამ მაგას კი არ გეკითხები! მე მგონი, რაღაც შენიშნა და დაგვიმალა. ისეთი რაღაც ამოვიდა, რომ დააფრთხო.

— ალბათ ის გველი ჩაეჭედა თავში.

— როგორა გგონია — არაფერს მოასწავებს ეს?

— მე საიდან უნდა ვიცოდე — მკითხაობის ოსტატი შენა ხარ, ჩემო თაფლის კვერო.

— კიდევ კარგი, რომ არ აითვალწუნე. სულ მაგის მეშინოდა.

— მე ეშმაკი ვარ, — ვუთხარი, — ჩემს გულისპასუხს ყველა კი ვერ მიხედვდა.

— მე მაინც ვერ დამიფარავ. ალბათ სეანსზედაც დარჩებიან.

— ვინ დარჩება? ბიზნოროთქა

— ბავშვები. სულ ასე არ შერებიან? რა ბედზე გადამირჩინე თეფშები.

— დიდი მამაძალი ვარ, — ვთქვი მე, — როცა იქნება, შენს პატიოსნებასაც მოვდგები.

თავი მთავარი

ასე ვიცი — გადავდებ ხოლმე საქმეს უფრო კარგად მოვიფიქრებ-მეთქი. მერე ერთ მშვენიერ დღეს, როცა ვიხელთებ და დაფიქრდები, აღმოჩნდება, რომ ეს საქმე უკვე კარგად ამიწონ-დამიწონია და გადამიწყვეტია კიდევ. ალბათ, სხვებსაც ასე მოსდით, მაგრამ მე საიდან მეცოდინება. თითქოს გონების ბნელსა და დაუსახლებელ მღვიმეებში ვიღაც უსახო მსაჩუღები შეყრილან და გადაუწყვეტიათ. ეს უძირო და იღუმალებით მოცული სივრცე მე მუდამ წარმომედგინა შავ, ღრმა, დამღვარ წყლად, ერთგვარ ოჩხად, საიდანაც ზედაპირზე იშვიათად თუ რამე ამოცურდება. ანდა, იქნებ, დიდი ბიბლიოთეკა იყოს, რომელშიაც ყველაფერი ინახება, რაც კი გაჩენის დღიდან ცოცხალ მატერიას მოსვლია.

მე მგონი, ზოგიერთები უფრო ადვილად ახერხებენ იქ შესვლას—პოეტები, მაგალითად. ერთხელ, გაზეთების დამტარებლად რომ ვმუშაობდი და მაღვიძარა საათი არა მქონდა, თვითონვე გამოვიმუშავე სასიკინალო ნიშნების გადაცემისა და პასუხის მიღების საშუალება. ღამით, ლოგინში რომ ვიწეჭი, ასე მეგონა შავი წყლის პირას ვდგევარ-მეთქი. ხელში თეთრი ქვა მიჭირავს. მრგვალი ქვა. დაგაწერ ამ ქვას კუპროვით შავი ასრებით „4 საათს“, წყალში ჩაუშვებ და თან თვალს არ ვაშორებ. როგორ ტრიალ-ტრიალით იძირება და უჩინარდება. კარგადაც ქრება — სრულ ოთხ საათზე მეღვიძებოდა. მერე ამავე ხერხით ათი წუთით უფრო ადრეც

ვიღვიძებდი — ოთხს რომ ათი აკლდა, ხუთის თხუთმეტზედაც. ერთხელაც არ უმტყუნია.

ზოგჯერ უცნაური, შემადრწუნებელი რაღაცა ამოტივტვადება ხოლმე წყლის ზედაპირზე — ზღვის გველი, ანდა დიდი სიღრმებიდან დაძრული ურჩხუ-ლი.

ერთი წელი იქნება გასული, რაც მერის ძმა დენისი მოკვდა ჩვენს სახლში, ფარისებური ჭირყვლების დაავადებით. ჭოჭოხეთურ ტანჯვაში დალია სული. მთელს სხეულს ელექტროდენით მოედო შიში და, საშინლად შეძრწუნებული, მთლად გამშარდა და გაღირია. მის კეთილ, ცხენის თავის მოყვანილობას ირლანდიურ სახეს მხეცის იერი დაედო. ბოლოს მეც ჩავევიდებდი ხოლმე ხელს, ვამშვიდებდი, სიკვდილის შიშს ეუფანტავდი, და ასე გავრძელდა მთელი კვირა, მანამ სულმთლად არ დაებერა ფილტვები. არ მინდოდა მერის ეყურებინა მისი სიკვდილისათვის. თავის დღეში არ ენახა მომავლადი, და ეცოდი, რომ ამნაირ სიკვდილს შეეძლო სულ გაეფუტებინა ტკბილი მოგონება კეთილსა და სათნო ადამიანზე. ერთხელ, სასთუშალთან რომ ვუქუქე ამ მომავლადე კაცს, იმ ჩემი შავი წყლიდან უცებ ურჩხული ამოტივტვდა. ერთბაშად შევიძულე ეს კაცი. მინდოდა მომეკლა, ყელი კბილებით გამომეღადრა. ყბებზე დამეჭიმა, მგონი, კბილებიც დავკრივე სანადიროდ გამოსული მგელივით.

როცა ყველაფერი გათავდა, დანაშაულის შიშით შეპყრობილმა, სიკვდილის დაამოწმებლად მოსულ მოხუც ექიმ პილს გავანდე ეს ჩემი გრძნობა. — ეს, მე მგონი, არც თუ ისე იშვიათი განცდაა, — მითხრა მან, — ბევრის საეზე წაიკითხავს, მაგრამ ყველას არ უნდა, რომ გამოტყდეს. — საიდან უნდა გამჩენოდა ასეთი გრძნობა? — ვკითხე მე.

— იქნებ ატავისტური მოგონების ბრალი იყოს, — მიპასუხა ექიმმა, — იმ დროს 7. „მნათობი“, № 1

იდან გამოყოლილი, როცა დაძრულიან ავადმყოფი ადამიანი საშინლად უქადდა ხოლმე მთელს სხეულს, ზოგჯერ ერთი ცხოველები და თევზების უმრავლესობა გლეჯენ და ნთქავენ თავიანთ დაუძლურებულ მოძმეებს.

— მე ხომ ცხოველი არა ვარ... არც თევზი.

— არა, რა თქმა უნდა, არა. და იმიტომაც გეჩოთირებათ. მაგრამ მთელს არსებაში გაქვთ გამჭდარი, მთელს არსებაში.

კარგი კაცია ეს ექიმი პილი, გადალასლასებული ბერიაკი. აგერ ორმოცდაათი წელიწადი იქნება, ამ ქვეყნად მოსულუბსაც გვეგებება და საიქიოსაც მიგვაცილებს.

მაგრამ ისევ იმ წყვილიაღის სამსჯავროს დაეუბრუნდეთ — იქ, ეტყობა, ისე მუშაობენ, რომ დროს არც კი უწევენ ანგარიშს. ზოგჯერ ისე შეცვლილი გეჩვენება კაცი, რომ იტყვი: „აჰ, ამას როგორ იზამდა, ეგ მაგისტანა საქმის გამკეთებელი არ არის“. ხომ არაფერი გვეშლება. იქნებ სხვა კუთხით წარმოგვიდგა, ან ზევით—ქვევიდან დაწოლამ გაქვლიტა და ფორმა შეუცვლა. ომში სულ ასე არ არის! ლაზარი უცებ გმირი ხდება, ხოლო გულოვანი ადამიანი ცეცხლის ალში გაეზვევა ხოლმე. ან არა და, გაშლა აგერ დილის გაზეთს და წაიკითხავ, რომ ვიღაც პატიოსან და სათნო ოჯახის კაცს ცოლისთვის ყელი გამოუღადრავს და შეილება ნაჯახით დაუჩხვია. ჩემის აზრით, ადამიანი განუწყვეტელ ცვლილებას განიცდის. მაგრამ ზოგჯერ უფრო თვალშისაცემი ხდება ასეთი ცვლილება. უფრო ღრმად რომ გაშეთხარა და კარგად მეძებნა ამ ჩემი ცვლილების თესლს, ალბათ, ჩემივე დაბადებისა დროინდელ ან უფრო აღრანდელ ფესვებში ენახავდი. დიდი ხანი არ არის, რაც მრავალი პატარა საგანი თუ მოვლენა შენივთდა და რაღაც დიდი თარგი შეიქნა. ათასნაირმა მოვლენებმა და გამოცდილებებმა თითქოს ხელს მკრეს, წამიბიძგეს და ამაცდინეს ჩემს

ნორმალურ გზას, თუ იმას, რასაც მე ნორმალურ გზას ვეძახი — ჩემს ნორმალურ ცხოვრებაში გაუზარებლობას, უიმედობასა და უპერსპექტივობას, ოჯახის ჩაცმა-დახურვისა და გამოკვების ზრუნვით ხელღებშემორკილობას, ჩვეულებებითა და მდგომარეობით შეზღუდულობას, რაც მე მალაღნიშნობადა და სათმობადაც კი მიმაჩნდა. ვინ იცის, იქნებ თვითმკაცრობის გრძობაც დამეუფლა, რადგან თავი იმად წარმოვიდგინე, რასაც „კარგ კაცს“ ეძახიან ხოლმე.

რალა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცოდი რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა. სულაც არ იყო საჭირო მართლოს ახსნა-განმარტებანი. როგორ შეიძლება, ნიუ-ბეიტაუნისხელა ქალაქში ცხოვრობდე და მისი ასავალდასავალი არ გესმოდეს. ბევრი არც მიფიქრია ამეგებზე. მოსამართლე დორკასი ნაცნობებს მოძრაობის წესების დარღვევის ჯარიმისაგან ათავისუფლებდა. და არც მალავდა ამას. სიკეთეს კი სიკეთით იხდიან ხოლმე. ქალაქის მერი, რომელიც, ამასთან, „ბად სამშენებლო კომპანიის“ გამგებელიც იყო ქალაქს კარგა ძვირად ჰყიდდა სრულიად უსარგებლო და გამოუსადეგარ საგნებს. ახალი ქუჩის მოკირწყვლას თუ დააბიურებდნენ, ხელადვე გამოირკვეოდა, რომ მისტერ ბეიერს, მართლოსა და კიდევ ექვსიოდე იმათთანა გავლენიან საქმოსნებს ჯერ კიდევ მანამდე შეეძინათ ამ ქუჩის გაყოლებაზე მდებარე უბნები, ვიდრე გეგმის გამოცხადებას მოასწრებდნენ. ამისთანა ამბები სავსებით ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩემთვის თითქოს სულ სხვა წესები და ჩვეულებები არსებობდა. მართლომ და მისტერ ბეიერსმა, კომიოვიაციერმა და მარჯი იანგ-სანტმა, აგრეთვე ჯოი მორფიმ, ყველამ თავისებურად მიბიძგეს, ხოლო თუ ერთად წარმოვიდგინებ მათ ცალკეულ ხელისკერას, კარგა მაგარი წაბიძგება გამოვიდა, ასე რომ „საჭიროა დრო გავივებნო და კარგად ავწონ-დავწონო ყველაფერი“.

ჩემს საყვარელ ცოლს სახეზე არქაული ღიმილი გადაფენოდა, და მწუხრუნებდა, ეტყობოდა, მისი გუნდით განცხრომით ეძინა, როგორც ყოველთვის, საყვარულის შემდეგ, როცა სრული სიმშვიდე მოიცავს ხოლმე.

წინაღამით გარეთ ნახტიალევს ახლა მინც უნდა მიძინებოდა, მაგრამ არ მეძინა. დაკვირვებული ვარ, როცა ვიცი, რომ დილით ადრე არ უნდა წამოვხტე. საღამოზე ისე ადვილად როდი მომეკიდება ძილი. თვალწინ წითელი ლაქები დაცურავდნენ, ქუჩის ფანარის სინათლე თელის ხეებს ეცემოდა და შიშველო ტოტების გამოსახულება პერზე ნელა და მიძინებ ირწერდა, რადგან ქუჩაში გაზაფხულის ქარი ქროდა. ფანჯარა შეღებილი იყო და თეთრი ფარდები ღუზაჩაშვებულ ნავის აფრებივით იბერებოდა. მერის თეთრი ფარდები უყვარს და ხშირ-ხშირად რეცხავს ხოლმე. თეთრი ფარდები უფრო დარბაისლურადა და წესიერად მიაჩნია. მე რომ ვეტყვი, ამ მაქმანიანი ფარდების საყვარულით შენს ირლანდიულ სულს ამქვლავებ-მეთქი, მოსაჩვენებლად გამებუსხება.

მეც მშვიდად და მოსვენებულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ჩემი მერი ხელად მიეცემა ხოლმე ძილს, მე კი თვალეზღ რული არ მეკარებოდა. რაც კარგ გუნებაზე ვიყავი, მინდოდა, ბარემ დავმტკბარიყავი ამ კარგი განწყობილებით. მინდოდა მეფიქრა იმ კონკურსზე, რაშიაც ჩემი ბალები აბირებდნენ მონაწილეობის მიღებას. მაგრამ ამ დღეს ამისთანა ფიქრებს მიღმა კიდევ ერთი ფიქრი ტრიალებდა—რა მომდის, რა შემართება და როგორ უნდა მოვიქცე. რალა თქმა უნდა, ეს ფიქრი ყველაზე წინ გადმოვიწიე და მაშინვე მივხვდი, რომ იმ ბნელი მღვიმის მსაჯულებს ჩემი საქმე უკვე გადაეწყვიტათ. მზად იდო გადაწყვეტილება — მტკიცე და გარკვეული. ეს შეჯიბრებისათვის მზადებასა ჰგავს. როცა გამოხვალ და სტარტზე დადგები, არჩევანი აღარ



არსებობს. გაისვრიან თუ არა დამბაჩას, ადგილს უნდა მოწყდეს. ვგრძნობდი, რომ ახლაც მზად ვიყავი, დამბაჩის გასროლას ველოდი. ეტყობა, ამას ყველაზე ბოლოს მე მივხვდი. ვინც კი შენახდა იმ დღეს, კარგად ხარო მითხრა, არასოდეს ასე არ ყოფილხარო, უფრო თავდაჯერებული და შეცვლილი ჩანხარო. კომივოიაჟერი ამჟამად შეცბუნებული ჩანდა. მარულომაც რაღაც მოუხსენარი თვალებით დამიწყო ყურება. ჯოი-ბოიმ საჭიროდ ჩასთვალა, ჩემივე მოქმედების გამო დაეწყო მობოლოება. ახლა მარჯი იანგპანტიც, თავისი ჩხრიალა გველით! ალბათ, ის იყო ყველაზე მაგარი. ასე თუ ისე, მან პირველმა აღმოაჩინა და შთამინერგა თავდაჯერება, ვიდრე ამას მე თვითონ მოვახერხებდი. ამის სიმბოლო ჩხრიალა გველია. ვიგრძენი რომ სიბნელეში ვიჭყანებოდი. მარჯიმ უძველესი ხერხი იმარა — ურწმუნოების მუჭარა, ეს სატყუარის წყალში გადაგდებას ჰგავდა, იმის გასაგებად, თუ რა თეგზი იცის იქ. მე აღარ მახსოვდა მისი სხეულის იდუმალი ჩურჩული, არა, თვალწინ სულ სხვა სურათი მიოცხლდებოდა — კლანჭებივით ხელის მტევნები, რაც ერთსა და იმავე დროს მის ხსოვნებასაც ამქლავებდა, ნერვიულობასაც იმ გულქვაობასაც, რომელიც მაშინ იმძლავრებს, როცა აღამიანი გავლენას ჰქარავს.

ზოგჯერ მინდა ღამეული ფიქრების არსს ჩაეწვედ. ისინი სიხმრების უახლოესი ნათესავები არიან. ზოგჯერ ჩემს ნებაზე შემძლია მათი წარმართვა, ზოგჯერ კი გაუხედნავი ცხენებივით გამოვარდებიან და თავაწყვეტით მიჰქრებიან.

დანი ტეილორი გამომეცხადა. სულაც არ მინდოდა მასზე ფიქრი და გუნების გაფუჭება, მაგრამ ჩემდაუნებურად გამომეცხადა. იძულებული გავხდი ერთი ხერხი გამომეყენებინა, რომელიც ჩემმა სერჟანტმა მაწავლა, მაგრამა და გამოცდილმა მეომარმა. ერთხე-

ლაც არ უმტყუნებია ამ ხერხს, ომის დროს როგორღაც ერთმანეთში შეჯიბრებოდა ერთი დღე, ღამე, კიდევ ერთი დღე. ხოლო ამ მთლიანის ყოველი ცალკე ნაწილი შემადარწუნებელი საშინელებებით იყო სავსე. მაშინ, ალბათ, ვერ ვგრძნობდი მთელს იმ სატანჯველს, რადგან, ვერ ერთი, ფიქრის დრო არ მქონდა და მეორეც — დაღლილობისაგან გასავათებული ვიყავი. მაგრამ დრო გადიოდა და მთელი ეს მასა — დღე, ღამე და დღე — თავიდან აღარ მშორდებოდა, დამის ფიქრებს მიწეწავდა, ბოლოს კი იმ ავადმყოფობად მექცა, რასაც უწინ კონტლუზის ეძახდნენ, ახლა კი რაღაც სხვა სახელი შეარქვეს. როგორც ვცდილობდი, როგორმე თავიდან ამომეგდო. მაგრამ არა და არ მშორდებოდა. დღისით მადროვებდა ხოლმე, მაგრამ დაბნელებოდა თუ არა, ხელად მეტაკებოდა ერთხელ, ვისკით შეხურებულმა, ჩემს სერჟანტს შეეჩივლე. გამოცდილი და გამოწრთობილი მეომარი იყო, იმდენ ომი გადაეხადა, ჩვენ ვერც კი ჩამოვთვლით. ორდენების ბაფთა რომ დაეკიდა, მეკრძნე ღილების ადგილი აღარ დარჩებოდა — მაიკ პულასკი, ჩიკაგოელი პოლონელი, ოღონდ იმ ცნობილი გმირისა არაფერი ყოფილა. ბედზე თვითონაც გადაკრულში იყო, თორემ სმასაც არ გაიღებდა, რადგან ისიც დაკანონებულ რწმენას მისდევდა — ოფიცერთან დამმაცხება არ შეიძლებაო.

მაიკი შუბლში მომშტერებოდა და ისე მისმენდა.

— ვიცო, — თქვა მან, — ეგ მეც ვიცო. მთელი უბედურება ის არის, რომ გინდა თავიდან მოიშორო ეს ფიქრი და ვერ იშორებ. ვერც მოიშორებ. პირიქით. სიხარულით უნდა შეხვდე.

— როგორ, სიხარულით?

— აღექი და შენ თვითონ სცადე. თავიდან ბოლომდე მოიგონო ყველაფერი — როგორც მოხდა იმ თანმიმდევრობით. გეწვევა თუ არა მაგნაირი ფიქრი, თავიდან დაწყებული სულ ბოლომდე აღადგინე გონებაში. მალე

თვითონვე მოსწყინდება და ჯერ ნაწილ-ნაწილ მოგშორდება, მერე კი სულაც დაგანებებს თავს.

ვცადე და მართლაც მიშველა. არ ვიცო, ექიმებმა თუ იციან ეს, მაგრამ ურიგო არ იქნება გაიგონ.

გამომეცხადა თუ არა დანი ტეილორი, მაშინვე სერჯანტ მაიკის ხერხი ვიხმარე.

მასხოვს, ბავშვები რომ ვიყავით — ერთი კბილა, სიმაღლითაც ერთნაირი, წონითაც — თივა-ქერის დუქანში შევიდოდით, მთავარ ქუჩაზე, და სასწორზე შევდგებოდით. ერთ კვირაში მე გავასწრებდი ნაბეგარი გირვანქით, მეორეში — დანი დამეწეოდა. სულ ერთად ვიყავით — ერთად ვთევზაობდით, ერთად ვნადირობდით, ერთად ვბანაობდით და გოგოებიც საერთო გვყავდა. დანი-სანი შეძლებული ხალხი იყო, როგორც ნიუბეიტაუნელი ყველა ძველი ოჯახი. სწორედ ის თეთრი, მაღალსვეტებიანი სახლია მაგათი, პორლოკ-სტრიტზე რომ დგას. ერთ დროს სოფლადაც ჰქონდათ სახლი, ქალაქიდან სამიოდე მილის დაშორებით.

ჩვენს ქალაქს მთავორიანი ადგილები აკრავს — დაბალი ნაძვანარი, ცოტა უფრო მოზრდილი მუხნარი, ზოგან კაკალი და კედარიც მოშენებულა. ოდესღაც, ჩემამდე დიდი ხნით ადრე, უზარმაზარი მუხები ყოფილა ამ ტყეებში. სკრიდნენ და სკრიდნენ თურმე — იქვე ჰკრავდნენ გემებს, შორს წასვლა არ სჭარებოდათ, მანამ სულ არ გააჩანაგეს. ერთადერთი პატარა მდელი იყო ამ მოშობილავ გორაკებს შორის, და სწორედ იქ ედგათ სახლი ტეილორებს. ეტყობა, ძველად აქ ტბა იყო, რადგან მინდორი მაგიდასავით გლუვი და სწორია, ხოლო ირგვლივ პატარა-პატარა გორაკები აქვს შემოჭარული. სამოცი წლის წინ ტეილორების სახლი გადაბუგულა მერე აღარავის ძოპგონებია აშენება. ბავშვობაში, შევხდებოდით დანი და მე ველოსიპედებზე და იქითკენ გავსწევდით ხოლმე. ჩაძვრებოდით ქვის სარდაფში და

ვთამაშობდით, ძველი საძირკველის აგურისაგან მონადირის ნივთებს ვაგებდით. ეტყობოდა, ძლიერებული ბალები ექნებოდათ. უკან მოპარუხებულ ტყეების ბუჩქნარში მაშინაც ვაძინევდით ძველი ხეივნების კვალსა და საზღვრებს. აქა-იქ აშკარად ჩანდა ძველი ბალუსტრადების ნანგრევები, ხოლო ერთხელ პანის ბიუსტსაც წავაწყდით. პირნამზობილი ეგდო, რქები და წვერი მიწაში ჰქონდა ჩაფლული. ამოვიღეთ, გავწმინდეთ და ისევ კვარცხლბეკზე წამოვასკუპეთ, ერთ ხანს დიდი პატივისცემითაც ვუპყრობოდით, მაგრამ შემდეგ სიხარბემ თუ გოგოების ინტერესმა იძმალავა და პანი გადაგვაფიწა. ბოლოს, ურმით, ფლადამპტონში წავაბრძანეთ ის ჩვენი პანი და ვილაც მეძველმანეს ხუთ ღოლარად მივეციდეთ. ეტყობა, კარგი ნამუშევარი იყო, იქნებ ძველისძველიც.

დანი და მე კარგი მეგობრები ვიყავით. ბიჭები, საერთოდ, ადვილად უძმაკაცდებიან ხოლმე ერთმანეთს. მერე ის საზღვაო აკადემიაში შევიდა. რამდენიმე წელი ისე გავიდა, მხოლოდ ერთხელ ვნახე ფორმაში გამოწყობილი. ნიუ-ბეიტაუნის პატარა ქალაქია, ყველამ იცის ერთმანეთის ასავალ-დასავალი. დანის გამორიცხვის ამბავიც ყველამ გაიგო, მაგრამ სალაცხოდ არავის გაუხბია. ტეილორები გადაშენდნენ, ისევე როგორ პოულები. მთელი გვირიდან მელა დავრჩი, და ჩემი შვილი აღენი, რალა თქმა უნდა. მანამ მთლად არ გადაშენდნენ, დანი არ დაბრუნებულა, ხოლო როცა დაბრუნდა, უკვე გალოთებული იყო. ერთი პირობა, დავხმარებდი-მთქი, ვიფიქრე, მაგრამ არ გამოიკარა. არც არავინ გაიკარა. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ახლობლები ვიყავით, ძალიან ახლობლები.

ყველაფერი გავისხენე, რისი გახსენებაც კი შეიძლებოდა. იმ დილას რომ დლოარიანი მივეცი პირის გასასველებლად, არც ის დამვიწყნია.

ჩემი ასეთი შეცვლა რამდენიმე რა-

მემ განაპირობა — საკუთარმა გრძნობებმა: გარედან დაწოლამ, მერის სურვილებმა, ალენის მოთხოვნამ, ელენის გაგულისებამ, მისტერ ბეიკერის რჩევამ. მხოლოდ ბოლო წუთებში, როცა ყველაფერი შხად არის, ფიქრი სახურავს დადგამს იმ შენს შენობას და თავის-გასამართლებელ სიტყვებს გამოგიძებნის. ვთქვათ, ეს ჩემი პატარა სამსახური — ნოქრობა — რასაც ბოლო აღარ უჩანს, სათნოება სულაც არ არის და მხოლოდ სიზარმაცითაა გამოწვეული? უოველგვარ წარმატებას გულოვნება სჭირდება. იქნებ მე ბუნებით ლაჩარი ვარ, სულ იმის მეშინია, ვაი თუ სხვაგვარად გამოვიდეს-მეთქი... ერთი სიტყვით, იქნებ ზარმაცი ვარ, ვისაც კი წარმატებისათვის მიუღწევია ამ ჩვენს ქალაქში, განა ბევრი დაეიდარაბა დასჭირვებია, ან განსაკუთრებული საიდუმლოებით ყოფილა მოცული. კაცმა რომ თქვას, არც ისე უსაშველოდ დიდი წარმატება ეთქმის, რადგან მოქმედების გზაზე თვითონვე იქმნიან ხოლმე ხელოვნურ ზღუდეებს. მათი დანაშაული წერილი დანაშაულია და ამიტომ წარმატებაც წერილი გამოსდით. ვინმე რომ ჩაუჯდეს და საფუძვლიანად გამოარკვიოს ნიუბეიტაუნელ ხელისუფალთა და ფინანსისტთა საქმიანობა, კანონის ასობით დარღვევასა და ათასობით ზნეობრივ შეცოდებას აღმოაჩენს, მაგრამ სულ წვრილმანი იქნება ყველაფერი, ღიბის ქურდობას არც ერთი არ აღემატება. მხოლოდ ერთი ნაწილი უგულუბელუკვეს ათი ცნებისა, დანარჩენი არ შეუბღალავთ. როცა რომელიმე ჩვენი საქმოსანი თავის დასახულ მიზანს მიღწევდა და საჭირო თუ სასურველ წარმატებას მოიპოვებდა, ისევე ძველ სათნოებას დაუბრუნდებოდა ხოლმე, ვითომც არაფერიო. თითქოს პერანგი გამოეცვალოს და სხვა არაფერი. ზნეობრივად არავითარ შეწუხებასა და შევიწროებას არ განიცდიდა, რადგან დარწმუნებული იყო, საწადელს ისე ეწვია, არავის შეუნიშნავს. დაფიქრებუ-

ლა კი რომელიმე მათგანი ამაზე? არ ვიცი. მაგრამ თუკი წვრილმანი ცოდვებს აპატიებენ თავიანთივე თავს, დიდმა ვერტანად, მამაცურად ჩადენილმა ცოდვამ რაღა დააშავა? ტანჯვა-წამებით ადამიანისათვის სულის ამორთმევა უფრო კარგია, თუ დანის ერთი მადლიანი მოქნევით გათავება? მე, პირადად, სულაც არ მიმაჩნდა თავი დამნაშავედ, გერმანელებს რომ ვხოცავდი. ვთქვათ, ცოტა ხნით სულ დაეარღვიე, რაც კი კანონები არსებობს, და არა რამდენიმე მათგანი. ნუთუ მიზნის მიღწევის შემდეგ ველარ აღვიდგენ მათ? ბიზნესიც ხომ ერთგვარი ომია, ეს ცხადზე უცხადესია. მაშ მშვიდობის მისაღწევად რატომ ტოტალურ ომს არ გამოაცხადებენ? მისტერ ბეიკერსა და მის მეგობრებს მამაჩემისთვის თოფი არ უსვრიათ, მაგრამ რჩევა მისცეს, ხოლო როცა მისი აშენებული შენობა დაინგრა, თავად ხელი მოითბეს. ესეც ხომ ერთგვარი მკვლელობაა! ნუთუ ის დიდი სიმდიდრე, რასაც ჩვენ თავყანსა ვეცმთ, საშინელი გულქვაობისა და სისასტიკის გამოუჩენელად დაგროვდებოდა? არა მგონია.

ვთქვათ ავდექი და დროებით სულ დავივიწყე მთელი კანონები. ვიცი, რომ დავიჭრები, ისე ამას ვერ მოვახერხებ. მაგრამ რითია ეს ჭრილობა გამუდმებული მარცხის ჭრილობებზე უარესი, რასაც მე ავტო რამდენი ხანია ვატარებ? თუ ცოცხლობ, ჭრილობებსაც ვერ მოიშორებ, ისე არ იქნება.

ჩემი ფიქრები მღელვარე და მოუსვენარი შენობის თავზე დადგმულ ფლოუგერსა ჰგავდა. ასე უნდა მოხდეს, რადგან მუდამაც ასე ხდება. მაგრამ ერთხელ რომ გავაღებ იმ კარს, მოვახერხებ კი მერე მის დაკეტვას? არ ვიცი. და სანამ არ ვისინჯავ, ვერც გავიგებ... მისტერ ბეიკერმა იცოდა ნეტა? ან ოდესმე თუ უფიქრია მისტერ ბეიკერს ამაზე?.. ძველი კაპიტანი დარწმუნებული იყო, რომ ბეიკერებმა დაზღვეულობის გამო დასწვეს „ბელ-ადერი“. იქნებ სწორედ ამან და მამაჩემის გაუ-

ბედურებამ აფიქრებინეს მისტერ ბეიკერს მე დამხმარებოდა! ეს არის ნეტა მისი კრილობები?

ჩემი ახლანდელი მდგომარეობა დიდ გემს შეიძლება შეადარო — ეწევიან, არყევენ, ატრიალებენ, ათასი ბუქსირი დასევიან და უნდათ როგორმე დასძრან. ერთი თუ დაიძრა და ტალღებს მიყვავ, მერე თავის გზას დაადგება და ძრავებიც თავისით იმუშაებენ. შენ შუაში იღვები, კაპიტნის ბოგირზე და საკუთარ თავს ეტყვი: დიახ, ახლა კი ვიცი, საითაც მივდივარ. მაგრამ საქმე ისაა, როგორ ჩავალწევ, წყლით დაფარული მეჩჩები სად არიან, ან ამინდო რას მიმზადებს?

ერთ-ერთი საბედისწერო რიფი — უბედობაა. ეს ვიცი. დიდების გამწარებით ძებნაში, — როგორი დიდებაც არ უნდა იყოს ეს, თუნდა სიყვდილის მომასწავებელი, — რამდენს გაუცია საკუთარი თავი, ვიდრე სხვა მოასწრებდა მის გაცემას. მარტო ანდერსენის ჰას თუ შეიძლება ენდოს კაცი — ანდერსენის ჰას.

ძველ კაპიტანსაც გადავძახე: „მივპყვე ამ დინებას, სერ? უხიფათოა? მივალწევ ბოლომდე?“

და პირველად მოხდა, რომ ძველ კაპიტანს გარკვეული პასუხი არ მოუცია. „შენ თვითონ უნდა გადასწყვიტო. რაც ერთისთვის კარგია, მეორისთვის იქნებ ცუდი გამოდგეს. წინასწარ ამას ვერ განსჭვრეტ“.

კი შეეძლო რამე ერჩია იმ გადამღრძვალ ბერიკაცს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ არც ამით შეეკლილიყო რამე. რჩევა არავის არ ეპიტნაეება — ყველას კვერის დაკვრა ურჩევნია.

თავი მეთხუთე

როცა გავიღვიძე ჩემი ძილისგულა მერი უკვე ამდგარიყო და გასულიყო, ყავასა და ბეკონს ამზადებდა. სუნი ლოგინში მომივიდა. მერე რა დღე იყო! აღდგომისათვის ამაზე უკეთესს, სანთლით რომ ეძებო, ვერ ნახავ — სულ

მწვანე, ცისფერი და ყვითელი დღეოთახის ფანჯრიდან ვხედავდი ყველაფერს ფრთა შესხმოდა და ამდმდგარიყო — ბალახებს, ხეებს, მართლაც რომ შესაფერი დრო გამოუქებნიათ ამ დღესასწაულისათვის. ჩემი საშობაო ხალათი ჩავიცვი და ფეხები დაბადების დღეს ნაჩუქარ ფანჯრებში ჩავყავი. სააბაზანოში თმის ვაზელინი ვნახე, რომელსაც ალენი ხმარობს ხოლმე, წავითხიანე. და ისე გამიხდა თმა, თითქოს მაგრად შემოკერილი რეზინის ქუდი ჩამომეფხატოს თავზე.

სააღდგომო საუზმე ნამდვილი ორგიაა — სუფრაზე დახვეწებული კვერცხები და მაკაატები, შეწვის დროს დაგრეხილი ლორი. მერის წამოვეპარე და აბრეშუმის კაბაში გახვეულ თეძოზე მოვუთათუნე ხელი. „Kurie eleison.“

— ოჰ! — შეპყვილა მერიმ, — როგორ მომეპარე! — ჩემი შოტლანდური ხალათი შეათვალეირა, — კობტად გადაგას, — მითხრა მან, — რატომ არ იცვამ ხოლმე?

— როდისღა უნდა ჩამეცვა? მჭონდა მაგისი დრო?

— მართლაც ლაზათიანია, — თქვა მან.

— რატომ არ უნდა იყოს. შენი არჩეულია. ბავშვებს კიდევ სძინაეთ? საჭმლის სუნმა მაინც არ გააღვიძა!

— რას ამბობ. ეზოში გავარდნენ, კვერცხებს მალავენ. ნეტა მისტერ ბეიკერს რა უნდა?

ამისთანა მოულოდნელი შეკითხვა მუდამ გამაყვეჩიებს ხოლმე.

— მისტერ ბეიკერი, მისტერ ბეიკერი. ჰო! ალბათ უნდა, რომ ცხოვრების მოწყობაში დამეხმაროს.

— უთხარი? კარტის ამბავი უთხარი?

— მაგას როგორ ვეტყოდი, ჩემო ძვირფასო, იქნებ თავისით მიხედა, — მერე უკვე სერიოზულად ვუთხარი, — მოიხედე, ჩემო ხაჭაპურო, შენ იქნებ გგონია, რომ მე დიდი საქმოსნის ტვინო მაქვს?



— ვითომ რაო? — ტაფაზე მაჭკატა აბრუნებდა და პაერშივე გაუშეშდა.

— მისტერ ბეიკერი აღარ მეშვება — უნდა, რომ შენი ძმის ფული დაეზანდო.

— მისტერ ბეიკერი თუკი გეუბნება...

— დამაცადე. მე მაგას არ ვიზამ. შენი ფულია და შენ სახელზევე უნდა დარჩეს.

— მისტერ ბეიკერმა შენზე მეტად რისკის, ძვირფასო?

— არა მგონია, მამაჩემი ასე ფიქრობდა. და იმიტომაც, მარულოსთან რომ ვემუშაობ.

— მე მაინც მგონია, რომ მისტერ ბეიკერი...

— მე არ მენდობი, ჩემო საყვარელო?

— როგორ თუ არ გენდობი...

— ყველაფერში?

— ისევ შენებური დაიწყე?

— სერიოზულად გეუბნები... სახსვებით სერიოზულად!

— მჯერა, მაგრამ მისტერ ბეიკერზე მაინც არ უნდა დავეჭვდე. ბოლოს და ბოლოს... ის კაცი...

— ის კაცი მისტერ ბეიკერია. ჯერ ზოგუსმინოთ რას გეტყვის. მერე კი... ის ფული ისევ ბანკში იდოს.

ალენი შურდულივით შემოვარდა უკანა კარებიდან.

— მარულო, — იყვირა მან, — მისტერ მარულო მოვიდა. შენი ნახვა უნდა.

— ნეტა რა დაესიზმრა? — იკითხა მერიმ.

— სთხოვე, შემოვიდეს.

— ვთხოვე. მაგრამ გარეთ გამოვიდეს.

— ნეტა რა უნდა, ითენ? ხალათით ხომ არ გახვალ ამ აღდგომა დღეს!

— ალენ, მისტერ მარულოს უთხარი, ჯერ არ ჩაუცვამს-თქვა, ცოტა უფრო მოგვიანებით შემოვიაროს. თუ საჩქარო საქმე აქვს და ცალკე უნდა ჩემი ნახვა, წინა კარებიდან შემოვიდეს.

ალენი მაშინვე გაქრა.

— ნეტა რა უნდა? ლექანი ზღმდარ გაუქურდავო!

ალენი ისევ შემოვარდა.

— წინა კარებიდან შემოდის.

— თუ ღმერთი გწამს, საუხმე არ ჩააშხამებინო. გესმის?

გავედი, მთელი სახლი გავიარე და წინა კარები გავაღე. პარმალზე მარულო იდგა, სააღდგომოდ საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი, მისი საუკეთესო ტანსაცმელი კი აი რა იყო: შავი შევიოტის კოსტუმი თავისი ყილვითი ყილვით ღიღი ოქროს ძეწვევი საათისა. ხელში შავი შლიაპა ეჭირა და საცოდავად მილიმოდა — ძაღლს რომ გაუჭაერდები და შემოგხედავს.

— მობრძანდით.

— არა, — მითხრა მან. — ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი... გავიგე, იმ გაეხატონს რაღაც შემოუთავაზებია.

— ჰოო?

— ისიც გავიგე, როგორ გიფრენია.

— ვინ გითხრა?

— მაგას ვერ გეტყუო — ისევ გამიღიმა.

— მერე? მგონი, იქითვე უმიზნებო, რომ უნდა დაეთანხმებოდი.

ნაბიჯი წინ წამოდგა, ხელი ჩამომართვა და ერთი-ორჯერ შინაურულად მაგარად ჩამომწია.

— კარგი ბიჭი ხარ, — მითხრა მან.

— იქნებ ცოტა შემომძლია?!

— რას ბეშვობ? შენ კარგი ბიჭი ხარ. მორჩა და გათავდა. კარგი ბიჭი ხარ. — გამობერილ ჯიბეში ხელი ჩაიყო და პატარა პარკი ამოიღო. — აჰა, გამომართვი, — მერე ბეჭებზე ხელი მომითათუნა და, საშინლად დაბნეული, შებრუნდა და სწრაფად წავიდა. თავისი კოტიტა ფიხებს სასაცილოდ მიაჩაჩუნებდა, ჩამსხვილებული ქეჩო თეთრ გახამებულ საყელოს ზევიდან გადმოქლომოდა.

— რა მინდაო?

პარკში ჩაიხიდე — სააღდგომო კვერცხებივით აჭრელებული მრგვალი

კონფეტი. დუქანში მთელი დიდი მინის ჭილა მქონდა გამოტენილი ასეთი კონფეტებით.

— ბავშვებს საჩუქარი მოუტანა.

— მარულომ? საჩუქარი მოუტანა? რალაც არა მჭერა.

— ნამდვილად.

— რა დაესიზმრა? როდის იყო საჩუქრები მოქონდა!

— ეტყობა, ძალიან ვუყვარვარ.

— ისეთი ხომ არაფერია, მე რომ არ გიცოდე?

— იხვის ჭუჭულს, რვა მილიონი რამეა ქვეყნად, რისიც ჩვენ არაფერი გავგეგვება.

ბავშვებს სამზარეულოს კარებში გამოეყოთ თავი და შემოგვეყურებდნენ. ჰარკი გავუწოდე.

— აგერ, თქვენმა პატივისცემელმა საჩუქარი მოგართვათ, ოღონდ ახლავდნენ მივარდებით. ჯერ ისაუბრეთ.

ეკლესიაში წასასვლელად რომ ვემზადებოდით, მერიმ თქვა.

— ნეტა გამაგებინა, რა მოხდა, რა დაესიზმრა?

— მარულოს? უნდა გამოგიტყდეს, ჩემო ძვირფასო, რომ მეც ძალიან მაინტერესებს, რა მოხდა.

— ეს უბრალო კონფეტები...

— ალბათ, თავის უბრალოება უნდოდა ეჩვენებინა.

— ვერა გამიგია რა.

— ცოლი მოუყვდა. შვილი არა ჰყავს და ძირი. სიბერეში შედის, იქნებ... ვინ იცის, იქნებ მარტობამ შეაწუხა.

— ერთხელაც არ მოსულა ჩვენთან. ძანამ მარტობა აწუხებს, შენც ადგილი და ხელფასის მომატება სთხოვე. მისტერ ბეიკერთანაც არ დადის. მთლად ამაფორიაქა.

მინდვრის ყვავილივით მოვერთე — დიდებული შავი სააგლოვიარო კოსტუმო, თეთრი პერანგი და საყელო — ისე გახამებული, რომ მზის სხივებს ირეკლავდნენ და მზესავე უბრუნებდნენ, ცისფერი წინწყლებიანი ყელსახვევი.

ამ მარჯი იანგ-ჰანტს რა მოუყვდა — ბებიაშისივით ხომ არ ჯალოჭრობს? ან მარულომ საიდან გაიგო ის ამბავი? ერთ დღერთი გზა ეს არის: მისტერ ბეიკერსმა — მისის იანგ-ჰანტს, მისის იანგ-ჰანტსა კი — მარულოს! ვერ გენდობი. მარჯი იანგ, არ ვიცი რატომ, მაგრამ ვერ გენდობი, მისის იანგ, თითქოს გონებაში წავიმღერე ეს და ბალში გავიარე, რომ მკერდზე დასამაგრებლად რამე თეთრი ყვავილი შემერჩია. სახლის საძირკველსა და სარდაფის კარებს შორის ერთი პატარა კუთხე გვაქვს, ზამთრის მზის სხივები სულ იმ კუთხეში ეცემა ხოლმე, თან სათბური ქვაბიც იქვე ახლოს არის და მიწას ათბობს. აქ ყოჩივარდები ხარობს, ოდესღაც მამა პაპათა საფლავებიდან გადმორგული ხამი პაწაწინა ღობისთავა ყვავილი ჩემთვის მოვწყვიტე გულზე დასაბნევად. და ბარე თორმეტი — ჩემი საყვარელი მერისათვის. გარშემო თავისივე მომწვანო ფოთლები შემოვუწყე და ქვემოდან ვერცხლის ქაღალდი შემოვუჭირე.

— რა ლამაზია! — თქვა მერიმ, — დამაცადე, ქინძისთავს მოვკებნი და დავიბნე.

— ეს პირველი იაა, ჩემო თეთრო ჩიტუნია, პირველი მახარობელი. მე მონად მიგულე. ქრისტე აღსდგა. რა კარგია ეს ღვთის გაჩენილი ქვეყანა!

— ჩუმად, ჩემო ძვირფასო, ამ წმინდა რამეს ნუ ამასხარავებ.

— თმისთვის რა გიქნია?

— მოგწონს?

— დიდებულია. სულ ასე დაიყენე ხოლმე.

— ვითუ არ მოეწონოს-მეთქი, შეწინოდა. ვერც კი შენიშნავსო, მარჯი მეუბნებოდა. ნახე, რა ვუთხრა! — ყვავილების მთელი ვაზა დაიდგა თავზე — ეოსტერეს ყოველწლიური საგაზაფხულო ძღვენი. — მოგწონს.

— ძალიან.

ამის შემდეგ ნორჩი თაობის შემოწმება დაიწყო: ყურები, ცხვირი, ფეხსაცმელები. მაგრად გვიძალიანდებოდნენ.

მაგრამ მაინც გაფაციცებით შევამოწმეთ. ელენს ისე წაეთხიპნა წამწამები, რომ დახამხამებაც აღარ შეეძლო. ფეხსაცმელის ქუსლები გაუწმენდავი დარჩენოდა, სამაგიეროდ თმა დაემუშავებინა გულმოდგინედ; ქოჩრის ერთი სერელი წამოელღო და გამობურცულ შუბლზე ტალღასავით დაეწყო.

ელენი ნამდვილი გოგონაა. ყველაფერი კობტად და კოპწიად ადგას. მე ისევ ვცადე ბედი.

— ელენ, — ვუთხარი, — თმისთვის რა გიქნია, სულ სხვანაირად დაგიყენებია. ვიხდება კი. შენ არ მოგწონს, მერი, გენაცვალე?

— ო! ელენმა უკვე კობტაობა დაიწყო.

ჩვენი პროცესია დაიძრა და თელის ქუჩას დაუყვა. მერე პორლოკზე გავედით, საცა ეკლესია დგას, ჩვენი ძველი

თეთრსამრეკლოიანი ეკლესია. მთლიანად ქრისტეფორ ჩენისგან გადამოდებულს. შევეუერთდით საერთო მდინარეს და ახლა ქალებს საშუალება მიეცათ ეოთმანეთის შლიაპის ცქერით ესიამოვნათ.

— სააღდგომო შლიაპის ფასონი მოვიგონე, — ვთქვი მე, ოქროს ეკლები-საგან შეკრული სადა გვირგვინი და წინ ნამდვილი ბადახშის თვლები.

— ითენ! — გამიჯავრდა მერი, — ვინმემ რომ ყური მოკრას!

— თუმცა დიდი გასავალი არ ექნება ამ ფასონს,

— საძაგელი კაცი ხარ, — მითხრა მერიმ. მართლაც რომ საძაგელი ვარ. საძაგელზე უარესიც. მაგრამ უცებ თავში გამიელვა — მისტერ ბეიკერს რომ თმის დაყენება მოეუწონო. ნეტა რას იტყვის-მეთქი.

თარგმანი ინგლისურიდან მახბანს ხელიძინა.

(გაგრძელება იქნება)

გრიგორ ჩიქოვანი

საზამიანი მიღის წინ

1

ამ კოლმურერნობაში შვიდ წელიწადში ათი თავმჯდომარე გადაირჩიეს. წელიწადში ორჯერ სცვლიდნენ არტელის ხელმძღვანელს. მიხეილ ორაგველიძე მეთერთმეტე თავმჯდომარე იყო...

მისი არჩევის შემდეგ ორა კვირაც არ იყო ვასული, რომ მეზობელ სოფელში წაენიოდა გლეხი გარდაიცვალა. თავმჯდომარესთან ერთად ტირილში მისა მოადგილე ბენია აბულაძე წავიდა.

მიცვალებული ეზოში, ბებერი ცაცხვის ჩრდილში ესვენა. ცოლა მოთქმით დასტიროდა თავის თანამეცხედრეს.

— ამბაკო, ჩემო უბედურო ამბაკო, ეს რა გვიქნენი, კაცო! ვიხი იმედით დაგვტოვე! სად მიდიხარ, თუ იცი! საქმელი იქ არ ვექნება და ხასმელი. გზა იქ არ არის და კვალ, სინათლე და სიმთელე. გაჭირვებაში და სიღატაკეში რა გაგაძლებინებს, შე საცოდაო!...

თავმჯდომარის მოადგილემ შიშით გადახედა მიხეილ ორაგველიძეს.

— რაა ეტკობ, მიხაკო, ჩვენს კოლმურერნობაში ხომ არ მოასვენებენ ამ ცხობებულს? — ჩერჩულით ჰკითხა თავმჯდომარეს.

ეს ხუმრობა როდი იყო. ცხედართან როდი ხუმრობენ. ასეთი უგზო-უყვლო, ღარიბ-ღატაკი, დაქცეული და მიწასთან გასწორებული იყო მაშინ მიხარაძის რაიონის სოფელ შრომის სერავ ორჩონიკიძის სახელობის კოლმურერნობა. ასეთი დახედა 1938 წელს მეთერთმეტე თავმჯდომარის, ქერ კიდეც ახალგაზრდა კაცს, მაგრამ საქმეში უკვე გაწაფულს, გამოყვეოს.

1921 წელს თორმეტი წლის ბავშვი კომკავშირში შევიდა. დუხის ადგიმის დღიდან შეება შრომის უღელში. მუშაობდა წელგაუმართავად. მუშაობდა შინ და გარეთ. დედასთან ერთად ჩაის ფოთოს კრეფდა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და თან სწავლობდა. ათი წლისამ მოათავა ბავშვობა. 1926 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. ხუთი წელიწადი მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ განათლების ინსპექტორად,

რაიკოლმურერნობაში კავშირას თავმჯდომარია მოადგილედ. აქედან რაიონის ჩაის სექციის თავმჯდომარედ გადაყავთ. შემდეგ მტს-ის დირექტორად ნიშნავენ.

კოლმურერნობების ჩამოყალიბების პირველი წლებიდანვე დაიწყო საქართველოში ჩაის პლანტაციების გაშენება. ამ საქმეს მაშინ ბევრი მეურნე ჰყავდა. მიხეილ ორაგველიძეს შოთადა ნათლადა არა, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რა პერსპექტივა ექნებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩაის წარმოებას. მაშინ სოფელ შრომისა, რომელიც ტყესა და ჭობის ჰქონდა წაღებული, გლეხთა მხოლოდ სიმინდს იწვედა და ისიც იმდენს, რომ მეორე მოსავლამდე სული ძლიეს გაჰქონდა. სხვა შემოსავალი არაფერი გააჩნდა შრომელ გლეხს. ჩაის მრეწველობა კი შესცვლიდა მის ღუბჯირასა და უკუღმართ ცხოვრებას, წელში გააძრავებდა საქართველოს სოფლის მეურნეობას.

„ჩაის პლანტაციის მეტი ჰექტარები“ იყო მიხეილ ორაგველიძის ფიქრი ჩაის სექციის თავმჯდომარედ ყოფნისას და შემდეგ მტს-ის დირექტორად მუშაობისას. ვერ გააჩვენებდა ტრაქტორისტისაგან. მათთან ერთად ხნავდა და რგავდა.

რაიონის ხელმძღვანელებმა მალე შენიშნეს მისი ორგანიზატორული ნიჭი, საზოგადო საქმის საყვარელი, დაინახეს, რომ ცოდნა ჰქონდა, ნიჭი უჭირდა. დაფიქრდნენ, ასწონდას წონეს და გადაწყვიტეს: ეს დაეცხრომელი, თავზეხელაღებული კაცი იქ გაეგზავნათ, სადაც ათმა თავმჯდომარემ საქმეს თავი ვერ გაართვა.

ამ სოფელში გაიზარდა მიხეილ ორაგველიძე. აქ დააარსა 1931 წელს კოლმურერნობა. კარგად იცნობდა თანასოფლელებს, შრომის ერთგულ, პატიოსან გლეხებს. ბევრი მათგანი მხარში უდგა კოლმურერნობის ჩამოყალიბებისას, მაგრამ მათთვის წინა თავმჯდომარეებს გულა გაეტეხათ, არწმუნა დაეკარგათ, ჩამოეცილებათ საკოლმურერნო აქტივიდან.

„მათი იმედი მქონდა. გადაწვევით, მომინა-
ხა ისინი, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა ვატეხილი
გულის შობრუნება, დაკარგული რწმენის აღ-
გენა“ ამბობს მიხეილი.

კოლმეურნეები შემოაბდნენ პატიოსნად,
ჩალ-ღონის დაუზოგავად და, ბოლოს, მხოლოდ
მუშაობა შერჩათ. შრომადაღებები გამოაშუშავეს,
მაგრამ არაფერი მიიღეს. ყოველი ახალი თავმ-
დომარე პირდებოდა შრომაღლის კარგ ანაზ-
ღურებას და ყველამ მოატყუა.

რა უნდა ექნა მიხეილ ორავევლიძეს, რით
ღაერწმუნებაა ისინი, რომ სხვებივით არ დაუ-
კარგავდა ნაამაგირს. მოსვენებას არ აძლევდა
ვამრჩე გლეხის — კირილე მგაფანაძის სიტყვე-
ბი. კირილეს ბაზარში ძრახვა ეყიდა. საღამოა
კამყიდველის ნაქებ პარტუცეს თხაზე ნაკლები
მოუწველია.

— კირილე, გვიგე, ძროხა გიყიდა, მაგრამ
ამბობენ, არ იწველისო, — უთბრა ერთხელ
უნავალესილმა ბრავადირმა.

— მტრე შენ რა, ნენა!
— რა და აქამე, კირილე, — გაიცინა ბრიგა-
დირმა, — კარგად მოუბრე, მაგრად გააძლე და
მოიწველია.

— არა, ნენა, — გაიქნა თავი კირილემ, —
ასე მატყუებდით შენ და შენი თავმქდომა-
უები შეიდი წელიწადო, მაგრამ იმეშავე და
შრომაღლეს არ დაეკარგავითო. ახლა ძროხას
ჰაინც არ მოგატყუებინებ თავს ჭერ მოიწველოს
და მტრე ეკუმე.

ასე ფიქრობდა სოფელ შრომაში ყველა კო-
ლმეურნე. გვეყუთა აზღენი ტყეილი, მექთად
ღარ ეიმეშავებთ, მექთად მებატონე არ გე-
მეშავებდა თავის მიწაზეო, ამბობდნენ ისინი
და თანდათან ჩამოშორდნენ კოლმეურნეობას,
სხვა საქმეს მოეიდნენ.

პოლა, წანასწარ რა უნდა მიეცა ახალ თავმ-
დომარეს, როცა კოლმეურნეობის სასიშინდეში
ვირთხაც ვერ გააძლებდა ექვს. მიუცმა მაშინ
შეძლო, თუ კოლმეურნეები აყვებოდნენ ერთ-
მეულად და პატიოსნად იმეშავედნენ. მაგრამ
აზღდაკარებულებს მტრება უფრო იოლად
აყოლიებდნენ. მიხაკო რა ოქროს კოვხია, ისიც
ასე მოურეეს ქოთანს, როგორც სხვა თავმქდო-
მარეებიო. ჭაფით ტყლიას გაგავდებინებთ,
წლას ბოლოს ისიც ცარიელზე დატოვებთო —
აზღებდნენ გლეხებს კოლმეურნეობის ორგუ-
ლები.

— მომეტე და ეიმეშავებ, — ეუბნებოდნენ
გლეხები.

— იმეშავე და მიიღებ, — პირდებოდა თავ-
მქდომარე.

— მაგ ანეკსზე ველარ წამოგეაგებ, ვერა,
კუთა ვისწავლეთ, აწი აღარ მოეტყუებდებითო, —
და შეზღმეკრულა გლეხები ზურგს აქცევდნენ
მიხეილ ორავევლიძეს.

აშკარა იყო, ლამაზი სიტყვითა და ცარიელ
დაპირებით ვერ შემოაბრუნებდა გლეხს, არე-
ვის საყთხავად მიაშურა იმ კოლმეურნეებს,
რომლებიც, როგორც ზევით ვთქვით, კოლმეურ-
ნეობის ჩამოყალიბებაში ესმარებოდნენ. ვაუხა-
რდათ, კიდევ ვყოფილვართ საქირიონი, ვაღაუ-
შალეს გული, ურჩაიეს, დაარჩეს, დაიშედეს.

მეორე დღეს ბრიგადირების ნახევარზე მეტი
განთავისუფლდა თავმქდომარემ, ისინი ლოთობ-
დნენ, სხვის ნაშრომს სკამდნენ და სეამდნენ,
საქმეზე გული არ შეესკოდათ, რადგან კოლ-
მეურნეობის საქმე თავისად არ მიიჩნდათ. მათ
საზრუნავი და საფიქრალი საყეთარი შემოსავა-
ლი იყო.

დაითხოვა სოფლის ფერშალიც, რომელიც
ქანართელსა და სნეულს ყველას აძლევდა ფად-
მყოფობის ცნობას, თეტი ქრთამს მისცემდნენ.

გადარჩინა ვამეკობა.

ყველა დადგენილება და გადაწვევითლება
კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გაქონდა და-
სამტკიცებლად. თუ წინათ წელიწადში ერთხელ
ან ორჯერ იწვევდნენ საერთო კრებას, ახლა
თვეში ერთხელ იწვევდა და აქ გაქონდა მთავა-
რი საკითხება, ხალხს საქმეს ხალხს ეკითხებო-
და და უთანხმებდა.

„ავადმყოფები“, რომლებიც ფერშლის ყალბ
ცნობას თავს აფარებდნენ და სამეშაოდ არ
გამოდიოდნენ, კოლმეურნეობიდან გარიცხა და
საკარმიდალო ნაკეთა შეუმეორა.

არავინ ელოდა, თუ მიხაკო ასეთი სასტიკი
იქნებოდა თავის სოფელში, ნათესავ მეზობელთა
შორის. მაგრამ ამ სიმკაცრეს საქმე მოითხოვდა,
საზოგადო ანტერესი, და აქ მამაკაც არ მოერი-
დებოდა.

ვინც დაუტერა და აქუვა, იმისთვის არაფერს
ზოგავდა, თავს ევლებოდა. თუ ასეთი კოლმეუ-
რნე ავად გახდებოდა, პირველი მიაკითხავდა;
თუ გარდაიცვლებოდა, ის იყო პირველი ქირა-
სუფალი. ქორწილსა და ღვინში ხომ ოჯახის
თავაკაცვით ტრიალებდა. თამადად უსაათოდ
მას ირჩევდნენ. უარს არასდროს ამბობდა,
ამიტომ კი არა, ღვინო უყვარდა. ან პატემოყ-
ვარე იყო, არა, თამადასაკაც თავისებურად
იწყებდა. ვინც კარგად მუშაობდა, ჭერ იმის
სადღეგრძელის შესვამდა, ვინც ყალბაანდობ-
და, იმის სადღეგრძელის ყველაზე გვიან იტყო-
და, არ ვალანდავდა, მაგრამ ქარაგმულად გა-
დაპკრავდა, გაეილავდა. ხალხმა ხუმრობდნენ,
მიხაკოს ქორწილი საწარმოთ თათბირი მგო-
ნიაო.

მეჭოვებთან რომ მივიდოდა, ვაზებო მიუ-
ტანდა, ახალ ამბავს მოუთხრობდა. მოქარგულო
ენა მქონდა. დღამდე რომ ესმინათ, არ მო-
ბეზრებდებოდათ. ღამე იქ დაჩრებოდა, მათთან
ერთად ცეცხლის პირას დაწვებოდა ნაბაღზე.
ღლით წველაში მიეხმარებოდა, ბოსელსა და

საკვებს დახედავდა, ჰკითხავდა, რა უქირდათ და გაუჩვენებს გაუჩენდა, გაუკეთებდა.

ასე შეიქნა მიხელო ორაგველიძე მათი ჰირვარაბის მოზიარე. შეუბრუნველდა, დღითი დღე მკვიდრდებოდა მათ შორის ურთიერთობა და პატივისცემა. რამდენიმე თვეში მიიმხრა გულგატეხილი და რწმენადაქარგული გლეხობა. თქამეს ეს გულმარიალი კაცი, ვეთილი, მოკუტეული თვალბათ, რომლებშიც, როგორც სარკეში, ისე დაინახა მის ღია სულს. დაიფიქრეს წინანდელი იმედის გაკრულება.

თუ გავგებ აღამიანის ტყვიას, უტრს მიღებდებ მის ჰირვარაბს, ანგარიშს გაუწევ მას, ბევრად წინ წასწევ საერთო საქმეს. ამ ჰუმანიტარებაში დარწმუნდა მიხელო ორაგველიძე არა მარტო თავმჯდომარედ მუშაობის პირველ თვეებში, არამედ უფრო ადრე, როცა დღესათნ ერთად ბაღი ჩაას ფოთოლს კრეფდა.

მიხელო ორაგველიძემ კოლმურნეები, პირველ რიგში, ჩაის პლანტაციებში შეიყვანა. აქ ჰირვარაბს ყველაზე უფრო. ბუნჯი ბარდასა და გვიმრას მოეზარო. ძნელი იყო წლობით გაერანებულ პლანტაციის გალაღება, მაგრამ მუყაითმა შრომამ პლანტაცია მოახება, ფერახორცი გაშალაბინა. ბუნჯმა იმდენი დეყა დაიყარა, კრეფის ველარ აუღიოდინენ.

საკირი იყო კიდევ ერთი ბიძგი, წახლისება. ხალხში უნდა გამოეტანა ამ შეჩაიეთა გმირული შრომის ამბავი, ვინც თავგანწირვით მუშაობდა და სხვებს მავალითს უჩვენებდა. მაგრამ მაშინ ამ კოლმურნეობას, როგორც ჩამორჩენილს, დაქველს, სახელგატეხილს, კორესპონდენტები სათოფედ არ გვარებოდნენ. ამა რა უნდა ენახათ აქ კარგი. ნაყლზე კა მაშინ, როგორც წესი, არ წერდნენ, გვერდს უვლიდნენ.

თავმჯდომარემ თვითონ დაიწყო ამ აღამიანებზე კედლის გახეთქი წერა. აი მათი გვარების ტატიანა ჩხაიძე, ელენე ზელაძე. ანა მგაფანაძე, ზანა კვაჭაძე და ნინო ბაბილოძე.

მიხელო ორაგველიძე წინასწარ ჰერტტდა მოახლოვებულ წარმატებას. ახლა საკირი იყო ამ წახლისებულ აღამიანთა რწმენის განმტკიცება არა მარტო დაპირებებით — ლამაზ სიტყვით, შეკებით.

„გადამწყვეტე სახელმწიფოსაგან კრედიტი აქლო და ამ ფულთ შრომაღლებზე ავანსი დამერიბებში. მაგრამ რანაირად! ჩაას პლანტაციის განახლებული ფული როგორ მიწეცა შრომაღლებზე! ეს ხომ დანაშაული იქნებოდა. მაინც, ვიყარე ეს დანაშაული. კრედიტი მკორე გვერგებოდა, რადგან რაიონის მიერ ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების გეგმა სულ რაღაც 3 ჰექტარი იყო. ადელქა და სამის ნაცვლად 15 ჰექტარის გაშენებას შეუდღეტი. ხეთეჩერ მეტი კრედიტი ავიღე და ამ ფულადან შრომაღლებზე 9 მანეთი დეგარიგე ავანსის სახით.

— რას სჩადიხარ, მიხელო! ეს ხომ დანაშაულია!

— ვერ გააშენებ 15 ჰექტარ პლანტაციას!
— კრედიტის დაბარჯვისათვის პასუხს გავებინებენ!

— არ გესმას, რა რისკზე მიდიხარ! მეუბნებოდნენ ამხანაგები და მეგობრები. მართლაც, რისკი იყო ეს ნაბიჯი, მაგრამ ვამიმართლდა. გავაშენე 15 ჰექტარი პლანტაცია. ამ რისკმა კოლმურნეობის ეკონომიკა ერთითად განამტკიცა და ამ ხელმეყნობით და დახმარებით ხალხის გული შევიკვი.

ფრთები შეესხათ კოლმურნეებს, წახლისდნენ. განმტკიცდა მათი რწმენა. თუ ერთვულად იმეყვებ, საზოგადო საქმეს დაუდღერად არ მოყვადები და პირად ინტერესებს საერთო ინტერესებზე მალა არ დააყენებ, არ შეიკლება საზოგადოებრივი მეურნეობა ბარად კეთილდღეობის ძლიერ წყაროდ არ ვიგადიქვს. ჩაფიქრდნენ ის კოლმურნეებიც, აქამდე რომ განზე იდგნენ, ეჭვთ უყურებდნენ ახალი თავმჯდომარის დაპირებებს. ისინიც დაუბრუნდნენ კოლმურნეობას.

დაწინაურდნენ რგოლები და ბრიგადები. მათი წარმატება უფრო რომ განმტკიცებულყო, თავმჯდომარემ გამგეობის წევრები მიამგრა ბრიგადებს. ისინი გამოცდილი გლეხები აყვნენ, ხალხში დრობა მოპოვებულნი.

მაინც გაუქირდათ. შუა ზაფხული აყო. ჩაი უხებად მოვიდა, სიმინდი გასამარგლავი იყო მუშახელი არ ყოფნიდა ბრიგადებს. დაღუბვა ელოდა ჩაის ფოთოლს, სიმინდის ყანას.

ბობოლები ზეიმობდნენ: ახლა წყდება მოსავლის ბედი, ახლა უნდა მოიტეხოს კისერი თავმჯდომარემო.

ერთბედ, ალიონზე, ყანაში წასასვლელად რომ გამოვიდა, მიხელო ორაგველიძემ ჰიშკარზე შემოღებული წერილი დაინახა. კონკრეტულ კუბო ეხატა. სწრაფად გახსნა წერილი: „მოხატე, თუ სამ დღეში არ წასულხარ აქედან, მერე შენს თავს დააბარაღე“, — ეწერა წერილში.

თავმჯდომარემ წერილი გულჯიბეში შეინახა. შინ არ გააშლია, ჰიშკარი გაიხურა და, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ყანაში გაეშურა საღამოს გამგეობის წევრები შეკრება.

— ეინ დაწერდა? — ჰკითხა მათ.

— დაინახეს, მიწასთან გასწორებული კოლმურნეობა ფეხზე დეაყენეთ... — დაიწყო პირტორგანზაციის მღაენამა ვასო ზომერკივა.

— მე ვცი, ვისი დაწერილი იქნება, — არ აცალა სიტყვის მსარულება მღაენან მოუსყვენარმა და ფაცხმა ბენია აბულაძემ და წერილის დამწერის გვარი თქვა (დღეს ის აღამიანი პატროსანი და მოწინავე კოლმურნეა, ამიტომ არ ვასახლებ მის გვარს).

მიხელო ორაგველიძე ამავე დღეს შეაღამი-

სას მიადგა კარზე წერტილის დამწერს. იმ ოთახის ფანჯარაზე დააკაენა, სადაც სახლის პატრონი ეძინა. ფრთხილად დააკაენა, სხვები რომ არ გაეღვიძებოდა.

— რომელი ხარ? — გაისმა ოთახიდან ნამძანარევი ხმა.

— სტუმარი.

ეტყობოდა, მასპინძელს ხმა ეცნაურა. კარის გაღება შეაყოვნა. არ ჩქარობდა, მაგრამ გარეთ თამამად გამოვიდა. მთავარის შექუჩ გაფითრებული ჩანდა.

ერთ ხანს ჩემად იღგნენ ერთმანეთის პირისპირ.

— დაუბატრებელი სტუმარი არ მიყვარს, მა... საყო, მასპინძელმა შეკარად შეხედა თავმჯდომარის.

— დაუბატრებლად არ მოვსტევიარ, — ჯიქტი მიახალა მიხეილ ორაგველიძემ და კონკერტი გაუწოდა.

— გულადი ყოფილხარ, — მწარედ გაელმა მას პინძელს.

— ეკუბო ის დაბატრეინე? სკოლაში ხატვა არ ვეხერხებოდა.

— მოყლედ მოსტერი, მიხაკო.

— ლეინო გაქვს? — ჰეთობა მოულოდნელად თავმჯდომარემ.

— ჩემთვის არასდროს შემოგივითავაზებია შენი ლეინო.

— წერილი რომ მოიტანე, დაეკმახა. ზელმოკერილი კაცი რომ არა ვარ, კი იყო.

— შენს ლეინოს არ დაეღუდვი.

— შე კი დაეღუე შენს ლეინოს, — მიუგო ორაგველიძემ.

— მაგარიი ჩემი ლეინო, წაგაქცევს, — უთხრა ლეინოსთან მასპინძელმა. თავს ძლიერ აკავებდა.

— ენახით, თუ წამაქცევს ის შენი ლეინო.

მასპინძელი მარანში გაუძღვა. ლეინის და მათობელი სუნათ იყო გაბანგული მარანის გრილი პერი. მასპინძელმა ჰრავი ანთო. ნელ, მთროლოვარ შექუჩ ნაირფერად აბრკვეილდა კლდის განსწროვ ჩაშქრავებული ლეინისფერადკრული კოკები და დოკები, კუხთემში მიღებული კალათები და გიდელები.

ბურას თავზე ჩამოსხდნენ.

მასპინძელმა ტაბაჯზე მდგარი ლეინის ჰიქები განზე გააიონა, ორი დიდი კოპე ლეინით გაუხრა და ეთაა წინ დაუდგა უდროო სტუმარს. — დღესნის ვისხედით. არ მახსოვს რამდენი დავლიეთ. ორივეს მოგვეკოდა ლეინო. მართლაც მაგარი იყო ის დალოცვალი. გულაბლილად, მოულოდნელად ველაპარაკებოდით ერთმანეთს. მასპინძელმა ორი მისი თანამოხარისხი გვარად არ დამიშალა. იბიტომ კი არა, რომ შეშინდა. არა, ისეთი რყინისგან არ ვახლდათ ნაქუდი. ჩემმა წრფელმა, მართალმა სიტყვამ გაუხ-

სნა გული. დინახა, შეღამისას უიარაღო, მართომარტო იმატომ მივედი, რომ კარგი მიწოდოდა მისთვის. იქვე, ჰურის თავზე სწორედ სხვადასხვა ბრიგადამი გავანაწილე. იმ დღესვე უნდა დაეწყოთ მუშაობა... წინ ორა სავეს სისმისი გვედგა. მასპინძელმა ცას ახედა, თუნდებოდა. აღარ დალია თავისი სასმისი, თვალი აარიდა. მე კი შეესვი. არასოდეს არ მსიამოვნებია ისე ლეინო. მოვებრუნე კაცი, რომელიც ცუდ გზაზე იყო დამდგარი. მუშაობაში წარმატება ვუსურვე. ასე დავეცალის ჩემი საერთო საქმის მტერი-მეტი, ეუთხარი და ცარიელი სასმისი ტაბაჯზე დავაშე... იმ დღეს ჰეყენა ჩემი მეგონა, ისე მიფრინავდა გული, თითქოს მთავარი სიძნელე უკვე გადალახული მქონდა, კოლმეურნეობის საქმე გაწალდელი...“

რამ მიიყენა იმ ღამეს მიხეილ ორაგველიძე კაცთან, რომელიც სიყვდილოთ ემეტიკებოდა? რასაკვირველია, არა სახელის მოპოვების, თავის გამომჩენის სურვილმა, არამედ საკოლმეურნეო წყობალების ერთგულეზამ და საქმისადმი თავდადებამ.

2

წლის ბოლოს სულ რაღაც შეიდი თვის წინათ დამოღობ-დაქცეული კოლმეურნეობა უკვე მილიონერა გახდა. თავმჯდომარესაც არ სურებოდა ამ სასწაულის. თუმცა არ იყო არაერთიარის სასწაული. ეს იყო მტკიცე რწმენით დარაზმულა აღამანათა შეკრული კოლმეტიკი. მათ ჰეროდათ, თუ იმეშაეებდნენ სიწლისიგარად, მონღომები, რწმენით, ვაუმართლდებოდათ.

სანამ საკუთარი თვლით არ ნახეს, რაიონის ზელმწლავანელებმაც არ დაიჭერეს შრომელთა ეს წარმატება. არ დაიჭერეს, რადგან ვერ წარმოადგინათ, ასე უცებ თუ შეიცვლებოდა ხალხა.

ნუთუ ესენი ის კოლმეურნეები არიან? უხაროდა მიხეილ ორაგველიძეს. მაგრამ ყველაზე უფრო ას აფრთოვანებდა, რომ დაიჭერეს იმ გლეხებმა, რომლებიც ჰერ კიდევ განზე იდგნენ. დაიჭერეს იმატომ, რომ დაინახეს: შრომადღეზე 11 მანეთი განაწილდა, რომ ამ ოჯახებმა, რომლებმაც 1.000 და 1200 შრომადღე ჰქონდათ გამომეშაებელი, იმდენი ფული მიიღეს, რამდენსაც წინათ მთელა ბრიგადა არ ღებულობდა. დაინახეს, რომ კოლმეურნეობამ შრომადღეზე გაიცილებით იმაზე მეტი განაწილა, რაც მათ საკამიმიდამოზე მოიწაეს და ბაზარზე ივაჭრეს. დაინახეს და ბევრი ინანეს, აქამდე რომ არ დაეჭერეს თავმჯდომარეს. ახლა თვითონ ეხევემბოდნენ, კოლმეურნეობაში დაგვაბრუნეო.

კოლმეურნეობაში, სადაც მიხეილ ორაგველიძის მოსვლამდე ერთ ძროხას წელიწადში 85-

ლტარ რძეს წველიდნენ, ჰეტარ მიწიდან სა-
შუალოდ 7 ცენტნერ სიმანდს იწვედნენ და
შრომადღეზე 1 მანეთსა და 85 კაპიკს ანაწი-
ლებდნენ, შვიდი თვის შემდეგ 11 მანეთი გაა-
ნაწილეს.

მიხეილ ორაგველიძეს კიდევ იმიტომ უჭრი-
და საქმე, რომ უყვარდა ადამიანი, პატის
სტეშია მის შრომას, ისწრაფოდა მიეცა ადამი-
ანისთვის ყველაფერი კარგი, სასარგებლო, აღე-
ზარდა იგი. ახარებდა ყოველი კოლმეურნის
წარმატება, მისა ბედნიერება.

ამ წარმატებამ თავბრუ როდი დაახვია. უფ-
რო დაუახლოვა იმ ხალხს, ვინც მისივე დღეებ-
ში, როცა კოლმეურნეობის ბედ-იღბალი სას-
წორზე იდო, მზარში ამოუდგა, დაუყვრა, გაამ-
ხნევა, გაინაწილა მისი შრომა და დარდი.

წლებადღეა ჩვენი წარმატება გაისისთვის
არ გვეყოფოდა, ამბობდა ხშირად, თუ ასი ზელი
არ გამოვიხით, ასწილ არ მოვიინდომეთ, სხეე-
ში გვაყოლებენ, ისევე კულში მოვექცევთ მო-
წინაეებს. აქამდე ჩვენი მეზობელი კოლმეურ-
ნეობები დაეცინოდნენ. ჩვენი საქმე იმის მა-
გალითად მოჰყავდათ, თუ რაგორ არ უნდა
მეშობდეს. აწი მაინც ნუ მიცემთ ჩვენს სა-
ხელს საიჭყნად და სათრეად სხვას. ხომ გა-
ვიგონათ, სახელის ვატყვას, თავის ვატყვავ
სჯობიათ. ახლა მაინც ვავხდეთ მისაბანდი. იყო-
დეთ, სხვანაირად ცხოვრებას და მეშობას მე
არ ვაპირებ და არც თქვენ გამეშავებთო.

3

და აი, მეორე წელსვე შრომელთა კოლმეურ-
ნეობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მონა-
წილე ხდება. საქართველოს პავლიონში შრო-
მელების სტენდთან ყოველთვის ბევრი ხალხი
აყრიადა თავს. თვალს ტაცებდა მოსკოვის ცის
ქვეშ მოკიდებულ ფორთოსლოთ, ლიმონით და მან-
დარინით დახუნძლული ხეები, ჩაის ბუჩქები.

შრომელებიც დიდი ინტერესით თვალიერე-
ბენ მოძმე რესპუბლიკების პავლიონებს, ვც-
ნობიან მათ მიღწევებს.

აი ისინი ვრცელი პანოს წინ დგანან. პანოზე
გამოსახულია აზოე-სპარტის ველი ოქროს-
ფერი პურის უანებით, ცხერის ფარით, საქონ-
ლის ჭოვით.

— კარვად ცხოვრობენ. ეტყობათ, აქ შრომა
არ ეზარებათ, — უთხრა თავის ჭვუტს მახეილ
ორაგველიძემ.

— ვინც დაიზარა, ვერ გაიზარაო, ხომ ვაგო-
გონათ? — გამოელაპარაკა მიხეილ ორაგველ-
აძეს სტენდთან მდგარი კოლმეურნი.

— ეს ანაზაა ქართველებსაც ვეაქვს, — გაუ-
ღიმა უკრიანელს ორაგველიძემ.

— ეს ისეთი ანაზაა, ყველა შრომისმოყვარე

ხალხს ექნება. თქვენს სოფელს ხომ შრომა
ქვია!

— ახლან იციოთ! — შემოხევიანენ უკრიან-
ელი კოლმეურნეს შრომელებს.

— ჩვენ უკვე მოვასწარიეთ თქვენი პავლიონ-
ის ნახვა. მდადრულად ცხოვრობთ, ლამაზად.
ეს ციტრუსო, ეს ვენახიო, ჩაი, ხილი, ფუტყა-
რი... კარგი სანახავი აქნება თქვენი სოფელი.

— უკეთესს ვერ ნახავს კაცის თვალი, —
მიუგო ორაგველიძემ. — ჩამოდიო, გვესტუმ-
რეთ, — დააპტივა უკრიანელი, ზელი ჩამოართ-
ვა. — ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა — ძმო-
ბა...

უფრო ახლოს ნახეს, უფრო ახლოს ვაეცნენ
ერთმანეთის სოფლებს, კოლმეურნეობას, ცხო-
ვრებასა და მეშობას ზურსონის ოლივის ვენა-
ჩესკის რაიონის და მხარაძის რაიონის კოლ-
მეურნეები. ორმა ნახვამ მართლაც დაამოზი-
ლა ისანი.

გადაწყვიტეს თავიანთი ცხოვრება უფრო ლა-
მაში, უფრო მდიდარი და შინაარსიანი გაეხა-
დათ. ამის საუკეთესო საშუალება იყო სოცია-
ლისტური შეჯობება და მეგობრებმავე არ და-
ყოვეს. ორ კოლმეურნეობას შორის გაიშალა
სოციალისტური შეჯობრება. ბრიგადებმა, რგო-
ლებმა და ფერმებმა თავს იღვეს ვაზრდილო
სოციალისტური ვალდებულებება. ვენიჩესკე-
ლი და შრომელი კოლმეურნეები ერთმანეთს
უზარებდნენ თავიანთ გამოცდილებას, ცოდ-
ნას, ყველაფერ იმას. რაც ზელს უწყობდა მათ
საქმის წინ წაწეას.

შრომელებს არ აშინებდათ, რომ შეჯობრება-
ში ვენიჩესკელები აჯობებდნენ. პირქით, ყო-
ველიაირად ზელს უწყობდნენ მეგობრებს. ასე-
ვე ახერხებდათ ვენიჩესკელებს შრომელების
წარმატება. ეს იყო შეჯობრება, რომელიც კი არ
ამარცხებს ერთს; აღივირებს ორივეს, აქვზებს
და იყოლიებს ათასებს, ქმნის, ბაღებს ახალ
იდეაშიანებს. ეს ახალი ადამიანება ადგილზე ნა-
ხულობდნენ, ასწავლიდნენ, რჩევას აძლევდნენ,
ვზარებოდნენ ერთმანეთს. დიწკად და გულის-
ვნებით ამოწმებდნენ სოციალისტური შეჯობ-
რებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების
ხარისხსა და შედეგებს.

გენაჩესკელთა და შრომელთა მეგობრობა
კიდევ უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა ომის
მისივე წლებში ნათქვამია, მეგობრის გაკირე-
ბაში გამოიცილობათ. მართლაც, ომში ერთხელ
კიდევ დაიანაა ქვეყანას ჩვენი ერების მეგობ-
რობის ძალა.

როცა მტერი გენაჩესკის რაიონს შეესია,
შრომელებმა ეს დიდი უბედურება ისე ვანი-
ცადეს, თითქმის მათ სოფელში შემოჭრილიყვ-
ნენ დაშინტთა ურდოები. ქართველებმა არაფე-
რი დაიშურეს იმისთვის, რომ უბედურების
ყამს ზელი ვაემართათ მეგობრებისათვის. ისინი

წერილებს უგზავნიდნენ ევაკუირებულ გენიჩესკელებს, შინ ეპატავებოდნენ. შრომაში ჩამოდიოდნენ პოსტილიდან გამოწერილი უკრაინელი მებრძოლები.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ამადლე-ვებელი ამბავი: 1943 წელს შრომაში პოსტილიდან გაწერილი გენიჩესკელი დაჭრილი ლეიტენანტი ნიკოლოზ ლაერენტევიჩი ჩამოვიდა. მებრძოლად აღარ ვარგვიარ, ჩამოვედი თქვენთან, ჩემს მეორე სამშობლოში, იქნებ რამეში გამოვადგეთო, — უთხრა შრომელებს. შრომაში ლეიტენანტმა ბევრი ევაკუირებულა მესობებში წახა. დედაშობის ამბავი მოიყვანა. არავინ არაფერი იცოდა. მიხილთ ორგველიძემ უკრაინელი ფოსტის მთელი დასტა უჩვენა ლაერენტევის. ამ წერილებს შრომაში აგზავნიდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაფანტული გენიჩესკელები, რომ აქედან გავგოთ თავისიანები ადგისამყოფელი. ნიკოლოზ ლაერენტევიჩმა აქ ბევრი ნაცისტების ბარბის წახა. მაშინვე წერილი მისწერა მათ, ჩემი მშობლების ხომ არაფერი იცითო. პასუხა მალე მიიღო. თურმე მინი დედამაბ კოლმეურნეობის ფერმას გაპოლოდნენ და სტავროპოლის ოლქში საქონელს პარტონობდნენ სხვა გენიჩესკელ ოჯახთან ერთად. შრომელებმა მაშინვე გაამგზავრეს მშობლებთან შვილი. მგარამ მეორე დღეს ლაერენტევის მოხუცი მამა ავანე თვითონ ჩამოვიდა შრომაში. მას შვილის აქ ყოფნის ამბავი შეეტყო და ხასწრაფოდ წამოსულყო. მამა-შვილი გზაში აედნენ ერთმანეთს.

ფანე ლაერენტევიჩა ამ დღესვე მოინდომა უკან დაბრუნება. ფეი ფერმის პარტორგი იყო. თურმე ფერმის ოცი ოჯახი თვეზე მეტი იყო შიშვითობდა ერთა პარტეალი ხორბალი არ ჰქონოდათ. შეწუხდნენ შრომელები. დატრიალდნენ და რამდენიმე დღეში სამი ტონა ხორბალი შეაგროვეს. მგარამ როგორ გავგზავნათ შრომიდან სტავროპოლის ოლქში? გაპირებუბა რას არ გააკეთებინებს კაცს! აქაც მონახეს ვამოსავალი. ხორბალი მახარბის „ზავოტბერნოს“ ჩაბარეს, რათა სტავროპოლის რთველი მე „ზავოტბერნოს“ მიეცა იქ დამშვეულ გენიჩესკელებსათვის, რომლებიც ასე გმირულად უშოდნენ კოლმეურნეობის საქონელს.

შრომელების ეს საქციელი დიდი მეგობრობის გამოხატულება იყო. სარჩო ხორბალზე უარი თქვეს და თავის მიწიდან აყრილ, სხვა მხარეში გახიზნულ მეგობრებს გაუგზავნეს. ამით როდი ამოიწურა შრომელთა ძმურა დახმარება. ფაშისტებისაგან გენიჩესკის რაიონის განთავისუფლებისთანავე, მეგობრებისათვის ღომონახა და მანდარინის პლანტაცია გამოყვეს და „მეგობრობის ბაღი“ უწოდეს, დაუსტუმეს ღორები, შეურჩიეს ჭიშიანი ძროხები, ფრინველი, ცხენები, შეუკერეს ტანსაცმელი, თეთ-

რეული, შეუძინეს ჭირველი და 1944 წელს რამდენიმე ვაგონი დატვირთული გენიჩესკელების სამიწელმა განსაცდელმა გენიჩესკელებმა და შრომელთა მეგობრობა კიდევ უფრო შეედლეაბა და განამტკიცა. ომის დამთავრებისთანავე მათ კვლავ განაახლეს სოციალისტური შეყობება.

მალე გაიმართნენ წელში გენიჩესკელი მეგობრები. სულ მოკლე ხანში ისე გაძლიერდნენ, რომ შრომელებს მექანიზირებული ფერმა ჩამოეტანეს და აუშენეს, ჩამოაყვანეს ძროხები და ფერმას „მეგობრობის ფერმა“ უწოდეს. შრომელები ყოველ წელიწადს „მეგობრობის ბაღის“ მთელ მოსავლს გენიჩესკელ მეგობრებს უგზავნიან. გენიჩესკელები ხშირად ჩამოდიან შრომაში, რომ შესაქონლეობის საქმეში, რომელიც ვერ კიდევ წამგებიათა ქართული მეგობრებისათვის, მოეხმარონ, რათა გახადონ რენტაბელური, მომგებიათ.

4

1959 წლის გაზაფხულზე შრომაში ჩავედი. სსრკ სხალხო მეურნეობის განვითარების ხაკონტროლო ციფრებით გატაცებული ხალხა მხურვალედ მსჯელობდა გვეგზავნა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გამოცდილი პერიოდში შეჰყავდა.

ჩვენში ამბობენ, თუ კაცი გონიერია, სოფელი, ღონიერიო, ეს ანდაზა არასოდეს არ მჩვევებია ისე გონიერულად, როგორც შვილწლიანი გვეგის განხორციელების იმ პირველ ქვეშაბატ ნათელ გახალხულზე.

ყოველთვის, როცა რითიმე კმაყოფილი, ბედნიერი ხარ, ხარობ, გვაგახსენდება ყველაზე ახლობელი, საყვარელი ადამიანი, მეგობარი. დიო, შრომელებს არ შეეძლოთ არ ვახსენებოდათ იმ დღეს გენიჩესკელი მეგობრები.

— მოდი, წერილი მიეწეროთ ჩვენს მეგობრებს, — წინადადება შემოიტანა სოციალისტური შრომის გმირმა, მტავოლურმა ტატიანა ხხაძემ.

— ყოჩაღ, ტატიანა! კარგი აზრია, — კვერდაურა საზოცდათორმეტი წლის მოხუცმა მესხმინდემ ანტონ სირაძემ.

— ჩვენს სტუმარს ვუკარნახოთ, — შემომხედა ჩემმა ძველმა მეგობარმა სოლომონ ჭარბაგამ, მალაღმა, ცხვირკეხიანმა გლესმა, — ეს უბრალო წერილი არ იქნება... თქვენ გავეშალა-შინებთ, ისე დავვიწერეთ, როგორც ამ დიდ სიქმეს შეშვევს.

რასაკერაველია, — უარს ვერ ვიტყოდი. მთი უმეტეს, მე შრომელებზე არანაკლებ ვიუფავ აღდგებელი XXI ყრბლობის ამ ისტორიული დოკუმენტით.

„წლებინდელ გაზაფხულს სოფელ შრომაში,

ძვარფასო გენინჩესკლო მეგობრებო, რომელსაც თქვენ აგერ იცნობდით მეტია „ჩვენს სოფელს“ ეძახით, კომუნისმის გახადებულს ვუწოდებთ. შეიძლება ამ სიტყვამ დიმილი მოგვგაროთ, იფიქროთ, აქაბრებულან ჩვენს შრომელ მეგობრებოთ, ნადრევიან ქერ ამ სატყვის ხმარებოთ, მაგარამ წლებადღელ გახადებულს კომუნისმის გახადებული ჩვენს კი არ ვუწოდებთ, ეს სიტყვა წამოიძახა იმ კოლმურანემ, რომელმაც ამ გახადებულზე ჩვენს სოფელში პირველად უფასოდ მიიღო ელექტრონის შექმა, — დამწყო წერილის კარნახი ტატიანა ჩხაიძემ... — ამ კოლმურანის მამას, — ჩამოართვა სიტყვა და განავარძო თოხზე შეზრდილმა შეახნის, ჩასკენილმა შალვა ხომერგიმა, — პაპას და მთელი ჩვენი სოფლის წინაპრებს ტრაქტიც არ ენოთო. შეიაცხელი იყო მათი სანთელიც და სათბობაც. ამ გახადებულად ჩვენი სოფელი ელექტრონის შექმანს ერთოდ, რადიოსაც უფასოდ უსმენს, კონსაც უფასოდ უყურებს, წისქვილშიც უფასოდ ფშავს, ყანაში ცხელ სადილს უფასოდ იღებს და სოფლის ბავშვებს თერთმეტ საბავშვო ბავაში უფასოდ უწლიან და აქუვენენ.

შარშან ამაზე ფიქროც არ შეგვეძლო, მაგარამ მას შემდეგ, რაც შეიღწილანი გვემის საკონტროლო ცოდებების საფუძველზე. ჩვენი კოლმურანეობის შეიღწილანი გვემა შევადგინეთ, ესე რეალურად გვეჩვენა კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რომ გადავწყვიტეთ ჩვენს კოლმურანეობას უფასოდ ესარგებლათ ზემოთ ჩამოთვლილი მოსახლეობებით, — შეჩერდა შალვა, თავმჯდომარეს გადახედა, ხომ ასეაო, ეკითხებოდნენ მისი თვალები. მიხეილ ორაგველიძემ თვალი ჩაუკრა და თვითონ განავარძო: — ზოგი ჩვენგანი დაუფარავი სიამაყით ამბობს, ესენი ხომ კომუნისმის ყლორტებიო. შეიძლება ეს გულებრყვილობა... — მომჩერდა თავმჯდომარემის თვალებში ეჭვი იხატებოდა. დასტურას ნიშნად თავი დაუქნო და ახლა თვითონ განავარძო: — მაგარამ თუ ეს რაღაც მისი მსგავსი შინადა, მიიღეთ ჩვენგან, როგორც ჩვენს პურტველი წარმატება შეიღწილანი გვემის პირველი გახადებულისა.

— ძვირფასო მეგობრებო! — განავარძო ძველ თავმჯდომარემ, — აქას წინათ ჩვენს სოფელში და ჩვენს რაიონში — მახარაძეშო, სტუმრად იყო გენინჩესკის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დელეგაცია, რაიონის პირველი მდივნას გ. ვ. პაპოშოვის მეთაურობით. რაზეც უნდა დაგვეწყო საუბარი, ეს საუბარი, ყოველთვის შეიღწილანი გვემაზე, მის უმოკლეს ვადაში განხორციელებაზე და უხვი მოსაულის მოწვევაზე ვადადაოდ.

ჩვენი გენინჩესკელი სტუმრები, რომლებიც

ერთნაირად ახლობელი არიან, როგორც ჩვენთვის — შრომელებისათვის, ისე მთელი მახარაძის რაიონისათვის, დაწერილებილ გვეცნობდნენ თქვენი რაიონის შეიღწილანი გვემას, მისი განხორციელების ღონისძიებებს, რომლებმაც ასე აღგავრთოვანა და გავგახარა. თქვენი და ჩვენი კოლმურანეობათა მშერი, საქმიანი მეგობრობის იყო წლის მანძილზე არ განგვიცდია ისეთი დიდი სიხარული, როგორც ამ თქვენმა გვემამ და თქვენს მიერ აღებულმა გაბედულმა ვალდებულებებმა განგვიცდევანა. თქვენ არასოდეს ეკონით ასეთი დიდი გვემა, მისი განხორციელების ასეთი უტურარი შენაძლებლობანი, ასეთი ვრცელი პერსპექტივები.

— ყველაზე მეტად კი იმან გავგახარა, — შეეშველა მიხეილ ორაგველიძეს პარტორგანიზაციის მდივანი კუტერი ჩანჩიბაძე, — რომ თქვენ შეიღწილანი გვემის განხორციელების ამ თავრებთ არა 1965 წელს, როგორც ეს XXI ყრალობას მიერაა დასახელი, არამედ ორი წლით ადრე — 1963 წელს. თქვენი მაგალითი და ინიციატივა არა ერთხელ გავგვიცდია მისაბადა, და გადავწყვიტეთ, ჩვენც 1963 წელს შევასრულოთ შეიღწილანი გვემა.

— საქართველო საბჭოთა კავშირში ჩაის ძირითადი მწარმოებელი ქვეყანაა, — აღარ გაავრძელებინა ენაწყლიან ჩანჩიბაძეს ცნობილმა მენაიემ კარლო გარგილაძემ, — საქართველოს კოლმურანეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენს ქვეყანას მთელი ჩაის პროდუქციის 96 პროცენტს აძლევენ. საერთაო ჩაის წარმოების შექმნით ჩვენი სახელმწიფო გთავისუფლებდა ყოველწლიურად მალიონი კილოგრამი ჩაის შემოზიდვისაგან. გვემით საქართველოს მენაიეებმა 1965 წელს 170.000 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. მაგარამ ქართველმა კოლმურანეებმა ვალდებულება აიღეს, იმავე კაპიტალებდებით ჩაის ფოთლის მოსავალი 1965 წელს 200.000 ტონამდე აიყვანონ. ვარძელებთ რა თქვენთან სოციალისტურ შეჯობრებას, თუ ჩვენს 1965 წელს 1590 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოგვეკრიფა ახლა გადავწყვიტეთ ამდენი ჩაი 1963 წელს მოკრიფოთ და კიდევ გვემის გადამეტებით 210 ტონა.

— შარშან საქართველოს მეცირტუსებმა 554 მილიონი ცირტუსის ნაყოფი მოკრიფეს, წელს 560 მილიონი უნდა მოკრიფონ, ხოლო შეიღწილდის ბოლოს ერთ მილიარზე მეტო — ახლო მილიონი ჩემთან მეცირტუსებებს ბრავად არა ვალოლია ჩხაიძე, — აქაც დიდაა ჩვენი კოლმურანეობის წვლილი. გვემით ჩვენ 1965 წელს 20 მილიონი ცირტუსის ნაყოფი უნდა მოკრიფოთ, ვალდებულებას ვაღებთ, — შეუქდა თავმჯდომარეს. მან ანიშნა განავარძო, — 1963 წელს 23 მილიონი ნაყოფი მოკრიფოთ”.

თანდათან შიში მიჰყარობდა. შრომელები ერთობ გაბედულ ვალდებულებებს იღებდნენ, მაგრამ მათ ხომ ყოველივე წინასწარ ჰქონდათ აწინაღობა-დაწინაღობა, გაანჯარიშებული, მოფიქრებული. შრომელები ამქარბობით არც ერთ საკითხში არ წყვეტენ. ოცი წელიწადია ვაცნობ მათ და არ მახსოვს, როდესმე პირობა ვაგებებო, ალებული ვალდებულება არ შეესრულებინათ. ამიტომ მალე დაეშვიდდი. კარნახი ვაძლევდებოდა.

— დაწმენებული ვართ, ჩვენი ეს ვალდებულებები, გაგახარებთ, — წამოიღო ბულაღური — ყოველთვის მოლიმარო შოთა მუსელიანი, — ისევე, როგორც ჩვენ გაგახარებს და სიამაყის გრძნობით გაეყვებს თქვენი ვალდებულებანი შევენახებოდასა და მებაღეობაში. ახლან თქვენ ერთი ძირი ვახი არ გიდგათ. ჯალა კი, თქვენს მინდვრებზე ქართული ვაქონ ვაქონ თვალწივდენი ზერებია ვაშლილი...“

ბულაღურს შევენახე დანიელ კორბენაძემ შეაწყვეტინა სიტყვა, მან ხომ თვითონ წყულო გენიჩესკელებს ვახის ნერგები და ვაშენა იქ ვენახი:

— თქვენი წარმატება ისე დღია შევენახებოდა, რომ ზოგი ჩვენი მოწინავე შევენახებოდას რაიონი კი მოიწონებდა თავს. თქვენ თურმე ამ მაღლიან საქმეში ისე შორს წასულხართ, შეიძლება გეგმას 1960 წელს ამთავრებთ და 9,000 ჰექტარი ვენახი გექნებათ. მომაგალიტო, თუ ასე მოეყოლებით შევენახებოდას, ეს ერთიორად გაზრდის თქვენი შრომადლის ღირებულებას. ჩვენ კი ყოველთვის მზადა ვართ დაგვხმაროთ რითაც დაგვირდებათ.

— სიხარულით შევიტყუეთ, რომ შრომადლის თეიერი ხელფასით ანაზღაურება დაიწყეთ. დაეკარგებთ ვიდევნებთ თვალყურს თქვენს ამ ახალ წამოწყებას და ახლო მომავალში ჩვენს გადავალთ თეიერ ანაზღაურებაზე, — დაიწყო ისევ თავმჯდომარემ, — ღვირფასო მეგობრებო, რასაც ვაკეთებთ, ყველაფერი იქითყვანა მიმართული, რაც შეიძლება მეტად გაიზარდოს კოლმურჩინის შრომადლის ღირებულება, ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ძლიერება, 1963 წელს ჩვენ შრომადლებზე 45 პანეთს დაგვირდებთ.

ჩვენი კოლმურჩინეობა, კოლმურჩინე გლეხობა ერთსდებოდა დაარსებულია სკამ XXI ყრილობის მიერ მიღებული შეიძლება ჩვენს ვალდებულებებზე შეესაბამებოდეს. საქართველოს კოლმურჩინეობა შრომადლებს შემოქმედებითად, დიდი აღფრთოვანებით. ეს თავის კეთილისყოფელ გავლენას ახდენს საგანგებულ მინდვრის სამუშაოების როგორც ტემპზე, ისე ხარისხზე. ჩვენს კოლმურჩინეობაში შეიძლება ბირველი წლის გასულ სამ თვეში ისეთი წარმატებები მოვიპოვეთ, ასე თუ ვიმუშავეთ

მომაველწივად, პირანთლად შევასრულებთ ალებული ვალდებულებებს. მაშ, ასე, მეგობრებო. შეიძლება ზღუდულად ში ეს იქნება ჩვენი სოციალისტური შეჭიბრების დღეობი. ტყუილად რიდი უწოდა ამ ჩვენმა კოლმურჩინე ვლავანდელ ვახანდელ კომუნისმის ვახანდელი. ვაგრძელებთ შეჭიბრებას, მეგობრებო, დღე, ეს ძმური მეგობრობა იყოს სათქუნი, ეს შეჭიბრება იყოს ახალი გამარჯვებების შეჭიბრება, — დაასრულა წერილის კარნახი მიხეილ ორგანიზაციამ, — ხელს ხომ ყველა მოვაწერთ? — გადახედა ამხანაგებს.

— რასაკვირველია, ყველა!

5

ეს ვაძლავი წერილი იმიტომ ვავიხსენებ, რომ სოლომონ ქარჩავას თქმისა არ იყოს, იგი მართლაც უბრალო წერილი არ იყო. ეს იყო წერილი, რომელიც კაცს ახალ საგმირო საქმისკენ მოვიწოდებს. ამ წერილმა ბევრი გაუთვალისწინებელი საქმე გააკეთებინა ორივე კოლმურჩინეობას. ბევრი რეზერვი, მინადის უჩინარი თვალხილული ვახადა.

ორივე კოლმურჩინეობა ორი ათეული წლის მანძილზე ნამუცყა-ნამუცყად აგრძელებდა ერთმანეთის გამოცდილებას. ამ გამოცდილების გაუთვალისწინებლად დღეს ძველი წარმოსადგენია მათი მიღწევები!

9,000 ჰექტარი ვენახი. ამით კახეთი, შევენახებოდას ამ უძველესი კუთხეც კი მოიწონებდა თავს ამ ცოტა ხნის წინათ გენიჩესკის რაიონში არამეთუ ვენახი, ერთი ძირი ხეხილიც არ იდგა. დღეს კი მათ კოლმურჩინეობაში ვახ. თან ერთად შრომელთა მიერ ჩატანილი ხეხილის ნერგებით ვამუშავებულ შესახიშნავი ბაღებია ვაშლილი.

შრომელები ამ წერილში ალებული ვალდებულებებს, იგერ, უკვე მესამე წელია, ვადაძებებთ ასრულებთ. შარშან XXII ყრილობის დღეებში ვაგვიგ, კოლმურჩინეობის მეათე ბრიგადამ, რომელსაც ბრიგადისი პარამე კორტანოვი ხელმძღვანელობს, ბრიგადის ოცდაათე წევრი შექურაო. მამატიონ შრომელებმა და მე მაშინ ეს ვერ დაეცერე. ბრიგადის ოცდაათე წევრი შექურაი არავაგონილი ამბავია მამატიონ ვაგვიგავერ შრომამა. ბრიგადის თითოეული წევრის ვადაეწვივდა თითო ჰექტარ მიწაზე 60 ცენტერი სიმინდი მოეწია. როგორ, რანაირად! აქ ახალგაზრდებთან ერთად 75 წლის მოხუცებიც იყვნენ. ამ ხანში ისინი ფუხიფუხზე ვადაღებულები უნდა ისხდნენ და ისვენებდნენ. მათ კი პირობა ვადაღებთ, ჰექტარზე 60 ცენტერი სიმინდის მოეწივთო.

მე რომ ჩავედი, სიმინდის ვაბურებული ტეხ-

ვა „ქონდათ... ყანა ტყეხავით მალაღი და ხშირი იყო. ხუთ ნაბიჯზე ვერ დაინახავდი ადამიანს. საღლა, ახლო, ყრუ/ლაპარაკი ისმოდა. ასე ყრულ ადამიანს ხმა ტყეში ისმის. ბრმაღ შვიკელები გზას ხმებისკენ ზევიდან თითო ძარზე ორწყრთიანი სამსამი ტარო დამტყვროდა.

— ახლა რომ უღუაშს იგრებ, ყაძახო, და თავი მოგწონს, ვახსოვს, რას ამბობდი!

— შეგჩერდი. ეს არ იყო საყვედური ნათქვამი სიტყვები. ლაპარაკობდა კმაყოფილი, ვახარებული ადამიანი.

— მაშინ არც შენ დავისვამს ზეველი, ჩემო პაეღ. შეენ კე გილიტინებდა ბუვის ჭია.

— ცოტა ეჭვი, კალისტრატე ჩემო, ყოველთვის უნდა გქონდეს ეჭვი. თუ საღლაე შაინც გეპოქსება, მაშინ ვფრო გამოიღებ ხელს.

— მაი კარგად თქვი შენ, — მოუწონა პირველმა, — თუ კაცს გული საგულეს გიღვეს, არ შიშობ და არ ღელავ, აბ, შენი ეჭვის ჭია არ გილიტინებს, შეიძლება დამშვიდდებ ყაძახი, სკვირი დაბზუო... არა, ძაძვე, დამშვიდებული გულით გაყოფბული საქმე იმ ნაყოფს ვერ გამოიღებს. აღღლებული გულით, ცხელი გულით რომ თესავდი და თხნიდი, იმიტომ ტეხავ ეხლა 60 ცენტნერის ნაცვლად 77 ცენტნერს.

— ასე უნდა ვიმუშაოთ ყველამ, — დამოწმმა მეორე ხმა პირველს, — ხომ გაგვიგონია, სიმინდი რომ შემოკადლებათ, ძმები მაშინ ვაყოფიანო, თუ მაგ დალოცილი გვექნა თავსაყრელა, სხვა ვერაფერი ძალა ვერ გავყუოფს.

მინდოდა მერხაბა, ვინ იყო ეს ორი დიდბუნებოვანი ადამიანი. ის იყო მათთან მისვლა დავაბირებ, რომ ჩემს უკან სიმინდის ხმელი ფოთლების შრიალი და ძმომე ნაბიჯის ხმა გაისმა მიგბრუნდი. ჩემს უკან მიხეილ ორავველიძე იღვა.

— რაო, რას ამბობენ ის ყაძახები? — მკითხა ფარული სიამაყოთ, მაგრამ პასუხს არ დაუცადა, — ასე იცის ცხელი გულით გაყოფბულმა საქმემ... იცით, კიდევ რატომ იბრძობს ასე? მართო იმიტომ კი არა, რომ პირგრამაში წერია, უკეთ ვიმუშაოთ, მეტი მოსავალი მოგოწითოთ, კოლმეურნე პირადმა შემოსავალმა დააინტერესა: თუ სიმინდს 30 ცენტნერზე ზევით მოიწვეს, იმ ზევითის 40 პროცენტი მისია. ამას პრემიის სახით ღებულობს. გარდა ამისა, მთელი მოსავლის მეათედიც ხომ მისია. შრომის ასეთმა ანაზღურებამ დღად წავვესო წინ. აი, ამ ბრიგადას ყერ სიმინდის ტეხვა მოთავებული არ აქვს და უკვე ყველა წევრმა თითოეულმა ჰექტარზე 77 ცენტნერი სიმინდი მოტეხა.

დიდი ძალა აქვს მატერიალურ დაინტერესებანს მაგრამ სამწუხაროდ, ამ პრინციპს ხშირად არღვევენ. ეს კლავს, ახშობს კოლმეურნის ინი-

ციატაციას, გულს უტეხს, ხელებს უბორკავს. საუბარში გართულებმა ვერ გავიგეთ, როგორ შემოგვიერთდა ის ორი-ანდომინი, რომელთა საუბრის უნებლიე მოწმე უყავთ წყლან. ისინი ანტონ სირაძე და ვასო გაგუა აღმოჩნდნენ.

— გულგატეხილი კაცის მუშაობა, მართლაც, ძნელია, — ვეითხრა მოსალმების შემდეგ ვასო გაგუამ, — ასეთი კაცის არც მარჯვენა მუშაობს კარგად და არც გონება. აი, მე ჩემს ჰექტარ მიწაზე 90 ცენტნერი სიმინდი მოგტეხე. შრომაღღებების კუთვნილი ყანადან პირდაპირ შინ წავიღე. სასიმინდე ჰერაძე ვავესე...

— გადაწყვიტეთ გაისად 100 მოგიწით ჰექტარიდან, — გამოილო პირიდან ჩიზუბი და უღლაშზე ხელის გადასმით დაიწყო ანტონ სირაძემ. მოხტეს სახეზე ნაჭაფარი ოფლი. უბრწყინადა, თვალები კნაბტყოით უღმოდა, — რამ ვაგაბედენიაო, მკითხავთ. იმ ჩემმა საესე სასიმინდემ. იმან გამიწია ავტოკო. ყველაზე კარგი ავტოკოა გლუხკაცისთვის ხეავიანი შრომაღღეა. უკეთეს ავტოატორს ქვეყანაზე ვერ ნახავ, — ჩიზუბი პირში ჩაიღო, დინჯად გააბოლა და განაგრძო: — ჩვენს საესე სასიმინდეებს რომ შეხედეს სხვა ბრიგადებმა და რკოლებმა, გულზე სიხარული მოეფიანთ, გადაწყვიტეს, გაისად იმათაც მოიწიონ ჰექტარ მიწაზე 100 ცენტნერი...

ვეიან გამოვედით ყანადან. მზე გადახრილიყო. მდინარე სუღსის მარჯვენა ნაპირს მივყუბობდით. გონებლიან არ მშორდებოდა ანტონ, სირაძის სიტყვები: „ყველაზე კარგი ავტოატორს გლუხკაცისთვის ზევიანი შრომაღღეა“.

— იმ მარცხენა ნაპირის მიწები რომ ჩვენი იყოს, ჩვენს ზედს ძალლი არ დაყუფდა, — გამომიყვანა ფიქრიდან მიხაკო ორავველიძემ. — მაშინ ორჯერ მეტ სიმინდს დაეთესავდით.

— განა მიწები გაკლათ?
— დიდი შიმშილი გვაქვს მიწის.
— შერე რას ფიქრობთ?

— ფიქრი არ შველის საქმეს, თორემ ფიქრი კი კარგი გვაქვს. გლუხისთვისაც კარგი, კოლმეურნეობებისთვისაც კარგი და სახელმწიფოსათვის ხომ მთლად უკეთესი... ალბათ, გეყოღინებთ, რომ კოლმეურნეობებს 1935 წელს მიწა უსასყიდლოდ უფარო სარგებლობაში გადაეცა. აქტში წერია: „მიწა არის საერთო-სახალხო სახელმწიფო საკუთრება. იგი ემპგრება არტელს უფადო სარგებლობისათვის“.

— შერე რა არის ამისი ცული?
— ცული არაფერია. მიუზომეს არტელს მიწა, მიამარტეს უფადო სარგებლობისათვის, პოდა, სახელმწიფო აქტით ხელშეუეალი გახდა. ვერ მივხედი, რატომ გამიმეორა თაემქლომარემ უკვე ნათქვამი.
— როცა მიწებს უნაწილებდნენ კოლმეურ-

ხეობებს, მიწისთვის თავმჯდომარეების ერთი ახალი თავს არ იწუხებდნენ, არიქა, მეტი მოგვეცოთ. მარტო ერთს ცდილობდნენ — ცოტა და კანტორასთან ახლომდებარე მიწები მიეზომათ მათთვის, არც მიწათმომწეუბები იჩენდნენ დიდ ზრუნვას. იმისთვის, რომ მალე მოეთავეზინათ საქმე — შეედგინათ მიწის მიმავრების აქტი, ბუნებრივ საზღვარს ეძებდნენ მიწის მისამოქმედად. ბუნებრივ საზღვრებში ჩამდენი მიწა იყო მოქცეული, ეყოფოდა კოლმეურნეობას, თუ ბევრი იყო მისთვის, ეს მათ არ აწუხებდათ. მიწის ასეთმა უპასუხისმგებლო განაწილებამ დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას. რამდენია დღეს ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც შეუძლია მეტი დათვისოს, მეტი გააშენოს, მეტი საქონელი აყოლიოს, ტექნიკა აქვს, მონდობა და სურვილიც აქვს, მაგრამ მიწა არ აქვს. ჩამდენია ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც მეტის არც დათვება შეუძლიათ და არც გაშენება, რადგან ხალხი არა ჰყავს, არც დიდი სურვილი აქვს მუშაობის. მიწას კი იმდენს ფლობს, ორსამ კოლმეურნეობას ეყოფა. მე კოლმეურნებს ერთ ჰექტარ მიწაზე მეტს ვერ ვაძლევ. მას კი ოღონდ მიეცი და სამ ექტარს დასთესს. აი ვაღამ, — გაიშვირა ხელი მდინარის მეორე ნაპირისკენ, — მეზობელ კოლმეურნეობაში მიწა უქმად დევს, ცდება. ჩვენ კი პილიონად გვიღირს, სულს არ დავიშურებთ მისთვის.

— მეგრად, რატომ არ ვადაანაწილებთ მიწებს? რა გიწილთ ხელს?

— შიში.

— რა?

— შიში, — გაშიშვორა მშვიდად.

— რის შიში?

— მიწის სახელმწიფო აქტის.

— არ შესის?

— მიწის ვადაანაწილების.

პო, მაგრამ ეს აქტი ხომ ჩვენზე შედგენილია.

თავმჯდომარემ თავი დაიქინია.

— აბა რაშია საქმე? აუღვეთ და შეეასწოროთ.

— ვერა, ვერ შეეასწორებთ.

— რატომ?

— დიდი ხნის წინათ, თურმე, — მომიგო მიხედი ორაგველიძემ, — ერთმა ღურგალმა ლეთისმშობლის ხატი გამოჭრა და ქიხში დაეკიდა სალოცავად. ღურგალი ოცდაათი წლის შემდეგ სხვა ქიხში გადაიკადა. უნდოდა ხატიც გადაეტანა. მაგრამ მის მიერვე გამოჭრილი ფერის ისეთი შიში და რიდი ჩანარკოდა, ხატის დასწავლად ჩამოღება ვეღარ ვაბედა. ასეთი შიში გვჭირს ხოლმე ზოგჯერ ჩვენი გაკეთებული საქმის.

ყურადღებით შევეურებდი თავმჯდომარის,

მართლაცდა, რა გეშლის ხელს ვადაანაწილოთ მიწები, ვადასინჯოთ მიწის საკითხი?

— არა, არ უნდა გვეშინოდეს დღეს იმ ღურგალით!

ერთ ხანს ორივე ჩემად მივიდიოდი მდინარე სუფსის კალაზე. ჩამავალმა შხის სხივებმა მდინარის მომწველო ფერი გააშუქა.

— მიწა რომ გქონდეთ, რამდენის დათვისას შესძლებდით კიდევ? — ეკითხე თავმჯდომარეს.

— 300 ჰექტარის.

— იმ ტექნიკით, რომელიც აქამად გაქვთ?

— მიწა იყოს, და — იმ ტექნიკით.

შხის წითელი დისკო ჩაის პლანტაციების ხვევროვან გორაკებს მოეფარა. ფერდობზე შეეჩერდი. აქედან ხელისგულით მოჩანდა შავი ზღვა. მუჭად ლაპაპებდა შვეწან ჩარჩოში ჩამჯდარი, უმოძრაო, წყნარი. რომელიღაც ბრიგადის ფარდელის წინ გრძელ მერხზე ჩამოგვეჭმით, ვეკლიბეტის ხეივანში.

— უნდა ვადაანაწილოთ მიწა იმის მიხედვით, თუ რომელ კოლმეურნეობას რა საშუალება აქვს მისი დამუშავების, — კვლავ თავის მტკივნეულ საკითხს დაუბრუნდა ორაგველიძე. — 100 ათასობით ჰექტარი მიწა უქმადაა მიტოვებული, ცდება. — შემომხედო და შიშარულად გამოიხმა. — მე ვაპოვნისწორებელი ოპტიმისტი ვარ. დღეს თუ ხელ მიწებს ვადაანაწილებენ... მანამ კი ჩვენ გულხელს ვერ დავკარგეთ. შარშან აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოს კოლმეურნეობას, რომელსაც ათარება გამოუყენებელი მიწა აქვს, 30 ჰექტარი საყანე ვთხოვეთ სამი წლით. ომერამა უშველოთ, უარი არ გვითხრეს. პოდა მიწას დახარბებულმა ჩვენმა კოლმეურნეებმა 60 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს ყოველ ჰექტარზე...

— ასე შორს სხვა რაიონში გაქვთ ყანა?

— აბა რა ექნათ! შარშან კი გვექონდა, მაგრამ ნაესაკოვლებმა წელს უარი გვითხრეს, — თქვა თავმჯდომარემ იმედგაცრუებულ კაცის კილოთი, — ცუდი საქმე გაგვიკეთეთ, აღარ მოგცემთ მიწასო.

— მიწა გათხოვეს, პატევი გცეს, თქვენ რაღა ვაუკეთეთ ცუდი? — ეკითხე გაკვირვებით.

— ის, რომ ჰექტარზე სამოცი ცენტნერი სიმინდი მოვიწიეთ, — გავიცინა ორაგველიძე, — ერთ თაბიბიზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვასილ პაეღეს ძე მყავინაძემ თქვა: აბაშელებმა თავის მიწაზე 13 ცენტნერი სიმინდი ძლივს მოიწიეს, შრომელებმა იმავე მიწაზე 60 ცენტნერი აიღესო. იმაზე გააკვირვებდნენ ნაესაკოვლები... იმის შეგვირად, რომ ცენტრალური კომიტეტის მდივნის შენიშვნიდან სათანადო დასკვნა გამოეტანათ, ჩვენზე მოუვიდათ გული, კარგად რატომ იმუშავეს, ჩვენზე მეტი სიმინდი რად მოიწიესო? თუ ჩვენ შევძელით 60 ცენტნერი სიმინ-

დის მოწვევა, რატომ იმათ არ შეუძლიათ? იმით, რომ უგულლოდ შეშობენ, არა აქვთ საზოგადოებრივი ინტერესი, არ უფრობილდებიათ მიწას, მიწის მუშის ღირსებას. მიზეზი ის არის, რომ ნაესაკოვოში წლობის მანძილზე თითქმის არაფერი ნაწილდება შრომადღებზე. გულგატეხილები არიან და არ მუშაობენ. აბა, მიეციოთ პირობა, რომ აღუნახლარებთ შრომადღეს, მაშინ ნახეთ, როგორ გამოიღებენ ხელს.

— სანამდე იქნებიან მერე ცარიელ შრომადღებზე?

— ბევრჯერ დაფიქრებულვარ ამზე. ნაესაკოვლები თითქოს შეურიგდნენ ასეთ ცხოვრებას. მაგრამ ასე ცხოვრება არ შეიძლება. არა აქვთ ამის უფლება, რადგან ყველა საშუალება გააჩნიათ იმისთვის, რომ ჩვენსავით მდიდარულად იცხოვრონ.

ამ შემოდგომაზე უფრო სასიხარულო ამბავი გავიგე შრომადღებზე. მათ წელს 100 მუჭურა ჰყავთ. უოველმა მათგანმა ჰექტარზე 100 ცენტრერი სიმინდი მოიწია, აიყვანა თითო გოჭი, ვაასტედა და 100 კილოგრამი წონის ღორი დაუბრუნა კომუნერნიკებს, მოსავლულად მიიმაგრა ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციის და სამჯერ გაათხნაო.

ვერც ახლა დაევიწყე ეს. ოქტომბრის პირველი რიცხვების ერთ მშვენიერ დღეს შრომაში ჩავედი...

შე და მიხვილ ორაგველიძე ისევ იმ გზით ვბრუნდებოდი სუფსის ქალიდან. თითქოს ისევ ისეთი წითელი იყო შხის ღისკო და ისევე ეფარებოდა გორაკებზე შეფენილ ჩაის ხავერდოვან პლანტაციებს; ისევ იმ მერხზე ჩამოვყვებით ბრიგადის ფარდელის წინ, ისევ მრუმელ ლაბაზებდა მწვანე ჩარჩოში ჩამქდარი შავი ზღა, თითქოს არაფერი შეცვლილა აქ ადამიანების მეტი.

— ჩვენ ახლა იმაზე ვფიქრობთ, რომ ყოველი კომუნერნი ასე მუშაობდეს, — ევკალიპტების ჩრდილში ვერ ვხედავდი თავმჯდომარის სახეს, — ძნელია ეს, ძალიან ძნელი. მაგრამ უნდა მივალწითოთ ამას. ჩვენ ვერაფერობით ისეთებიც გვაქვს სოფელში, რომლებიც საზოგადო შრომას თავს არიდებენ.

გარემოდა. ეტყობოდა ეძნელებოდა ამის თქმა. სოფელს ზევადან დაეკვირვდი. იქ უკვე ნათურები აენათო. სადაღაც ახლოს ხეივანი იქით, სოფლის შიშვალზე მსუბუქი მანქანები მიმოქროდნენ. მათი საშუქების გრძელი სხივები ეკალიპტების ტოტებში იხლართებოდა. ორაგველიძე მანქანების ზეპირს უფლებდა ვერს.

— გესმით? — მკითხა მან, — ისეა, როგორც ქალაქში.

— მართლაც, როგორც ქალაქში, ბევრი მანქანა გყავთ. კარგია!

— არ არის კარგი, — მომიჭრა უკმაყოფი-

ლოდ თავმჯდომარემ, — უქნარების, მუქთამუქმელებისა ამ მანქანების მეტი წილი, — თქვა ბრაზით. მერე იმავე კილოთი დაუმატა: — ვინც არ მუშაობს, არ ეტყობორობს! სოფელშია, ამ ბოხს კანონი.

— კარგი კანონია.

— მაგრამ არ ხორციელდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მისი გატარება სოფელს აქვს დავალებული, — ვარწმუნა. ევკალიპტების მიღმა ისეთი სისწრაფით ჩიქოროლა მანქანამ, გეგონებოდათ, ასფალტს ერთი პირი აცაღაო, — აი, იმ ვაენატონის მეზობელს აქვს დავალებული, მე, პეტრესა და პავლეს, საერთო კრებას. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, დავა-სინდისით, შევქმნათ საზოგადოებრივი აზრით ვარწმუნო, მოვეწყობოთ ამხანაგური სასამართლოები, ვაიძლოთ იმეზონ. თუ არ დავა-ყვრებენ, ვაეპასხოთ სოფლიდან. მაგრამ ვერ ვეპასხოებოთ. როგორც ჩანს, ვერა ვართ ამისთვის მომზადებულნი. ვერ ვეუბნებით პირში სომართლეს მეზობელს, შეგობარს, ნათესავს. ვერ ვაყვებოთ მათ საეთხის იქ, სადაც საჭიროა. ვერიდებით, დასმენად, დღლატად არ ჩავვეთვალისო და იმას კი არ ვუფიქრებდით, რომ ამით ჩვენს სინდისს ვღალატობთ. ამით მარჯველ სარგებლობს მუქთამუქამელო.

— მერედა, ბევრი გყავთ ასეთი?

— არიან... რაიონი ვვთხოვს, მოგვეციოთ ცნობა, ვინ არ გამოიშეშევა შრომადღების მიწინაშე.

— ხომ აძლევთ!

— ვაძლევთ, — მიპასუხა მძიმედ, უხერხულად, — მხოლოდ ნაწილს ვაძლევთ იმათგან, ვინც არ გამოიშეშევა მიწინაშე... დანარჩენს ვფარავთ, — საყელო ვიხსნა, — ვატყუებთ რაიონს.

— გამოდის, რომ რაიონიც ატყუებს ზევით!

— ალბათ, — ხმა დაეხევა, — რალაც სხვა კანონია საჭირო. მეზობელო, თავმჯდომარე, საერთო კრება ამ მუქთამუქარებს ვერ ალაგავს. არადა, ეს ხალხი ისევე საშინაო დღეს. მართა ჩვენთან რაღაცა ასე. ასეა სხვა სოფლებში, სხვა რაიონებში, სხვა რესპუბლიკებში... ერთნი იოლი შრომით ცხოვრობენ, მეორენი — წელებზე ფეხს იდგამენ. ეს პატიოსანი კომუნერნეს გულს უტეხს, ენებს შრომის ღისკილიანს.

— მერედა, რა ეშველება ამას?

— უფრო ქმედითი კანონი, — მომიგონებოდა, — რომელსაც ამ საქმისთვის მიჩნეული ადამიანები გაატარებენ. ასეთი კანონი ახლავე უნდა მივიღოთ, წილსევე. მერე ვვიან იქნება.

მინდოდა გამეხსენებინა ნადეჟდა გრიგორის ასული ზავლადას ამბავი, მიმიხედა.

— ყველას როდი აქვს იმდენი სითამაშე.

როგორც ზაგლადას, არა ვართ ისეთი პრინცი-
პული და პირდაპირი. ამ ხანდაზმულ ქალს არ
ეუხერხებულა მოურიღებლად, პირში ეთქვა თა-
ვისი მგზობლებისათვის სიმაბოლო, გაეკრიტი-
კებია, დაესინდისებია, დამუქრებოდა კიდევ...—
წამით განუშდა და შერე ნაღვლიანად განაგრ-
ძო:— ვანა ცოტანი ფიქრობდნენ და ფიქრობს
ისე, როგორც ნაღვედა გრიგორის ასული!
ბევრს შესტავა გული საზოგადო საქმეზე, მაგ-
რამ იმის რადიოთ, მეზობელს, მეგობარს, ამხა-
ნავს არ ეაწყენინოთ, პირში წყალს იგუბებს...
ვახსოვთ, შარშან რომ მოგიყევით აბაშის რაი-
ონის სოფელ ნავსაკოვოს კოლმეურნეებზე. ეს
ამბავი ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ დაე-
ბეჭდუ, მაგრამ სანამ ამას გადაეწვეტდი, ბევ-
რი ვიუოყმანე — მოვიმდურებ, ეაწყენინებ ნა-
ვსაკოვოს კოლმეურნეებს, მათი რაიონის ხელ-
მძღვანელებს, სხვის საქმეში რად ყოფ ცხვირ-
სო, იტყვიან-შეთქი. მაგრამ ეს ზომ სხვისი საქ-
მე არ არის. საერთო, საზოგადო საქმეა...

ჩვენს საუბარში კარგა ხანი გასულიყო. ვაზუ

რომ გავედით, სავსე მთვარე სოფლის თვეზე
იღვა, აქაიქ სახლებში ნათურები ქრებოდა.
შრომით დაქანცული სოფელი იმინებდა. სოფ-
ლისკენ დავეშვით მოასფალტებულ გზით.

— შარშან, — განაგრძო შეწყვეტილი საუ-
ბარი მიხაკო ორაგველიძემ, სოფელში რომ
შევედით, — კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს, არ
კმარა ერთი ბრიგადის წევრები იყვნენ შუქუ-
რებრი, და ასმა კაცმა იყისრა 100 ცენტნერი
სიმინდი მოეწია თითოეულს. როგორც ხედავთ,
მოიწიეს კლდეც. ეს კარგია, დიდი წარმატებაა.
ჩვენ ვამაყოობთ უხვი მოსავლის ამ ოსტატობით,
მაგრამ სოფელი ამბობს, ეს ცოტააო. ვაფსად
ყველა მესიმიანდემ უნდა მოიწიოს 100 ცენტნე-
რი ჰექტარიდანო. არ კმარა ცალკეული შუქუ-
რები, ცალკეული მიღწევები. თუ ერთმა მოი-
წია უხვი მოსავალი, მამასადამე, იგი შესაძლე-
ბელია, და ყველამ უნდა მოიწიოს. ამის გარე-
შე ვერ განვახორციელებთ იმ დიდ ამოცანებს,
რომელიც პარტიის XXII ყრილობამ დაგვისაბა.
სოფლის მეურნეობის მეშვეობს.

ირაკლი კახიანი

საბჭო ბაზმის ნომერები

მწერალი, რომლის შემოქმედებაში მთავარია ისტორიული ეპიკი, თანამედროვე თემაზე წერს ხოლმე. მაგრამ თვით ისტორიული წარსულისადმი ინტერესიც როდი ნიშნავს, თითქოს მწერალი ხელს იღებდეს თანამედროვეობის სიაცხარის განსჯაზე ან უარს ამბობდეს სულიერი შემოქმედება მოახდინოს თავისი დროის ადამიანთა მორალურ მრწამსზე. აკაკი გაწერელია ჩვენი დროის საკითხებსაც ეხმაურება, როგორც თავისი ნოველებით შამილსა და ბარათაშვილზე, ისე მოთხრობებით დღევანდელი ცხოვრებიდან, სამოგზაურო დღიურებით და ჩვენს თანამედროვეთა პორტრეტული დახასიათებებით. აკაკი გაწერელია არ ივიწყებს, რომ ისტორიული ეპიკი დღევანდელი მხატვრული უფლებდელყოფა კი არაა, არამედ სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთი სახეობაა. როცა მწერალს აქვს რაღაც სათქმელი, როცა მას სურს რაღაც ჭეშმარიტება ამცნოს თავის თანამედროვეებს, ეს ყოველთვის როდი ხორციელდება დღევანდელი თემისათვის. „ოთხი სახარების დამწერებმა, უთუოდ, იცოდნენ, რომ უარესად ახალი და გასაოცარი ჭეშმარიტების მოციქულები იყვნენ, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ისინი ორი თაობის უკან მომხდარი ამბებით ასაბუთებდნენ“ (ლ. ფოიბტკანგერი). როცა ჩვენ ინტერესს ვიჩენთ მხატვრული სიტყვით წარმოსახული ისტორიული წარსულისადმი, ეს იმას ნიშნავს,

რომ ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა ის, რაც ეფემერულია, არამედ ის რაც მარადიულია, ყველა დროისათვის ნიშნული. ყოველივე ამას მწერალი თავისი თანამედროვეობის თვალთაშუშებს. აკაკი გაწერელიას ნოველაში „ჩირ-აურთი“ შამილი ამბობს — „მხოლოდ უზუნაესის კარნახით გადახდილი ომია ტყბილი და მწურეც“; დაახლოებით ამასვე იმეორებს იგი ნოველაში „ბოსკოს შეგარდი“ — „დავმარცხდი, მაგრამ საიქიოში პირნათლად წარვდგები უზუნაესის წინაშე“. ჩვენ ის კი არ გვალევენს თუ რომელი რელიგია სწამს შამილს, არამედ ეთიკური კატეგორია, გმირის (შამილის) ხასიათის სიმტკიცე, მისი ხასიათის რწმენით გამსჭვალულობა გვალევენს.

გარკვეული პირობითი გაგებით, არსებობს მხოლოდ ისტორიული ეპიკი: თანამედროვეობის თემაზე დაწერილი ნაწარმოების შინაარსიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ „ისტორიული“ ხდება. მაგრამ მთავარია არა ნაწარმოების მოქმედების დრო, არამედ მისი ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულებანი. ისტორიული ეპიკის მოთხრობებში პიროვნებათა ცხოვრების ქრონიკა როდია მთავარი. ისტორიული თემის მოთხრობა არაა ისტორიული შრომების შემცველი. მოთხრობაში „სიკვდილი ბარათაშვილისა“ აკ. გაწერელია დავაფიქრებს ისეთ პრობლემაზე, როგორი-

კაა სწრაფვა ადამიანურ შესაძლებლობათა „სამძღვრის“ გადალახვაზე. განჯაში მომავლად პოეტს „ლანდის მსგავსი რამ აეტუხება თვალწინ“, დელირიუმ. ჩვენი ყურადღება ბედის, ვადაულახავი „სამძღვრის“, მორალურ ღირებულებათა მიმართ წარმართება. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მოთხრობა რაღაც განსაკუთრებულ სვეუბნებოდეს, თითქოს რაღაც განსაკუთრებულ ჰემოზირიტებს ვგებულობდეთ. მაგრამ რაც მთავარია, იგი მოგვანიშნებს რაღაც განსაკუთრებულ ფიქრებს, რაღაც ნუგეშსა და შვებას, და ვთავისუფლდებით რაღაც ოლუზიებისაგან. მწერალს განსაკუთრებულ ტრავიკულ ვითარებათა გარემოში შეეყვარათ. აკაკი გაწერელის მოთხრობებში ყურადღება გამახვილებულია არა იმდენად მოქმედებაზე, არამედ მათ პერსონაჟთა საქციელზე, არამედ მათ განცდებსა და ფიქრებზე, სულის მდგომარეობაზე. იგი არ ეკუთვნის მოპასანის მსგავს მწერლის ტიპს, რომლისთვისაც მთავარია სიუჟეტური ფაქტი, როცა „გეჩვენება რომ მოვლენა ისე არსებობს, რომ არა აქვს მნიშვნელობა როგორ გამოხატავ მას“ (ჯ. კონრადი). აკაკი გაწერელია სხვა მიმართულებით წარმართავს ყურადღებას. ნოველაში „ბოსკოს შევირდი“ ჯამბაზის ოინებით გაოცებული შამილი ამბობს, რომ უხენაის კანონი „რწმენისათვის გადახდილ ომსა და ჯამბაზის თვალთმაქცობას ერთნაირად უაზროსა ხდის... ჩვენ ყველანი სათამაშო რგოლები ვართ განგების ხელში...“ ამ სიტყვებს არ გააჩნია რაიმე სიუჟეტური ფუნქცია. ლიტერატურაში ეს ერთ-ერთი თავისებური ხერხია; გავიხსენოთ როგორ მეტად არაპირდაპირ უკავშირდება სიუჟეტს დოსტოვესკის მარმელადოვის სიტყვები: „იციო, იციო თქვენ რას ნიშნავს, როცა არსად არაა ადგილი, რომ შეგეძლოს იქ მისვლა“. ხოლო ჩვენს ნოველაში შამილის სიტყვები, და უფრო მეტიც, ბოსკოს ოინებიც, იმამის სულის ვითარებას

წარმოგვისახავს. და თუმცა შამილი გრძნობს მოვალეობას „პარანთლად წარსდგეს უხენაისს წინაშე“, სიჭიყველაფერს უაზრობად აღიარებს და მოთხრობაში „იმამი ლოკაში“ იგი განაცხადებს — „ვალლაჰ, მთელ დუნიაზე ახლა არაიენაა ზრახვათა და ფიქრთა ჩემთა თანაზიარი“. და ასე მწერალი გვიჩვენებს სულიერ სიმართლევს ადამიანისა, რომელიც, განგების ძალით, იძულებულია შემტევობა მკვრეტელობით და მოქმედება — მორჩილებით შეცვალოს.

აკ. გაწერელია ხშირად ეხება ადამიანის მარტოობის საკითხს. შ. ანდერსონის მოთხრობაში „გაუჩადებელი ცეცხლი“ მოხუცი ექიმი „მუდამ სდუმს, რადგან ეშინია თავისი გრძნობების გამოძვლავნებისა“; მწერალი გვიჩვენებს ამ სულიერი დათრგუნვილობის, ამ გროტესკული მომენტის ზრდაზე ამახვილებს ყურადღებას. აკ. გაწერელია მოთხრობაში „ამბოხი“ აგრეთვე მთავარია მარტოობის საკითხი, მაგრამ აქ მთავარი ყურადღება ექცევა იმ წმინდას, ადამიანურს, რასაც გროტესკული ფერები ფარავენ. „ამბოხში“ დარეჯანი ვერ ჰპოულბს საერთო ენას ოჯახის წევრებთან, — ისინი, გამოჩნდებიან თუ არა, იშვამსვე სადღაც მიიჩქარიან. გულჩათხრობილი დარეჯანი რჩება მარტო. ამიტომ მოთხრობაში მწერლის მიერ დარეჯანის ფიქრებისადმი ძირითადი ყურადღებას აქვს თავისი დრამატული გამართლება. მაგრამ ზავგასმით უნდა ითქვას, ამ მოთხრობაში მარტოობის თემის გადაწყვეტა განსხვავდება ეგზისტენციალისტთა მარტოობის თემისაგან. ნოველაში „გარდასახვა“ კაფკა გვიჩვენებს სულიერი სიმართლევის საშინელებას: სიმართლით შეძრწუნებული გრეგორ ზამზა უზარმაზარ ზოქოდ გადაიქცევა. ზოქოს ფორმაში გარდასახული ადამიანის სიმართლევის განცდები — ესაა მუშინურ გარემოში ადამიანის გადაგვარების ჩვენება. მაგრამ კაფკა აქ არ ჩერდება: იგი ამბობს, რომ ადამიანის ცხოვრება არა-

ფრით განსხვავდება ზოქოს ყოფისაგან. გამრავლება, სიმარტოვეში ცხოვრება, სიკვდილი. აკაკი გაწერულია სულ სხვა თვალსაზრისით უდგება ამ თემას. იგი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ უგრძნობელი და ეგოცენტრისტი ადამიანი ეძებს მარტოობიდან მანკიერ გამოსავალს: დარეჯანის ჩლუნგი ქმარი საყვარელთან გარბის.. ხოლო მგრძნობიარე და მოსიყვარულე დარეჯანს მარტოობის ატანაში ეხმარება სიყვარული, სიყვარული ადამიანებისა და პატივისცემა მაღალი ეთიკისა. როცა მას ჩამოესმის თავისი ქმრისა და მისი საყვარლის ხმა, იგი მზადაა მიიჭრას შათთან, შეუტიოს, მაგრამ იგი ბოლო წუთებში უარს ამბობს ასეთ გამოსავალზე: „ვის მოუსმენია გ უ ლ კ ე თ ი ლ ი დარეჯანის ხმა მაღლა ლაპარაკი...“ და მარტოობის დამაუძღურებელი ზეგავლენისაგან დაეიწყებას სიყვარულში ჰპოვებს: იგი ომში წასულ შვილზე ფიქრობს — „საგულედან შვილის სურათი ამოიღო. დაუცდის გიორგის... არც ეს ომი იქნება და არც ეს დამე. სიხარული მოვა მის ოჯახშიც, მასთანაც...“ დარეჯანის მარტოობა ნათლით იმოსება: როცა ოთახში გაბმული თოკები მოეშვება და ზეწრები იატაკს ეფინება, იგი ისე დგას „ამ თეთრ იატაკზე, როგორც მარტოხელა მგზავრი თოვლიან ველზე“. საკუთარ თავზე ეგოცენტრისტული ფიქრის დაძლევა რაიმე მაღალი მიზნისათვის — დიდი ძალაა. ტოლსტოის მოთხრობაში ჰაჯი მურატს ძალას მატებს ის, რომ იგი შამილისადმი თავის სიძულვილზე უფრო მძლავრად მთელი ერის ზედს აყენებს, იგი დაბრკოლებას „წინააღმდეგობას უწევს და აღარ ახსოვს თავისი თავი“.

მოთხრობაში „საბედისწერო შემთხვევა“ ცხოვრებაში მარტოდ დარჩენილ გმირს აკაკი გაწერულია სულ სხვა თვალსაზრისით გვიჩვენებს, ვიდრე „ამბოხში“. თუ დარეჯანის გულში სიყვარული ჩაბუდებულია, ანაპოდისტე საწინააღმდეგო მოვლენაა: „არაფინ უყვარდა. არც იგი უყვარდათ“. არეულობის

წლებში მას პეტროგრადის უნივერსიტეტი აღარ დაუმთავრებია, მერე ცენტრ თავისი ცხოვრება მოუწესრიგებია, მარტოდ დარჩენილა. იგი საყვარელს მოხელეა, სამგლოვიარო ბაფთების წარწერებს ამოწმებს, და ასე ასაბუთებს თავის ცხოვრების ფილოსოფიას: „ყველაფერი თავდება ცხედართან ერთად, დასაქნობად გამზადებული გვირგვინების მოგზაურობის სამგლოვიარო კორტეის დღეს. შემდეგ კი — მიწა და დაიწყების ფერფლი... ყველაფერი თავის გამოსავალ წერტილს უბრუნდება და წრე იკვრება!“ მაგრამ ამაოების ამ თვალსაზრისს არღვევს „საბედისწერო“ შემთხვევა. ცხოვრებაზე გულგატიხილ ანაპოდისტეს საყვარელში უტოვებენ პატარა გოგონას, „ცინდალს“ (ასე უწოდებს მას გუნებაში ანაპოდისტე). ანაპოდისტე ფიქრებიდან გამოერკვევა და აღინახავს, რომ ბავშვი ოთახის მაღალ უმაჯირო ბალკონზე გასულა, — სულ მცირე აღმაცერი ნაბიჯი და ბავშვმა, შეიძლება, იატაკზე სული გააფრთხოს. ანაპოდისტე ევედრება ბავშვს ნელა ჩამოვიდეს, პირველად თავის სიცოცხლეში წარმოთქვამს ყველა საალერსო სიტყვას. ბოლოს, ბავშვი უვნებლად ჩამოდის. მარტოობისა და ამაოების „ფილოსოფოსი“ ბავშვს გულში იკრავს: „ენის უთქმელი და ჟრუანტელის მომგვრელი ბედნიერება იგრძნო... მას თითქო დარდი და ფიქრებიც გაუთხო ბავშვის მოხვევამ... თვალები მილულა და გაინაბა“. მაგრამ გადივლის ეს წამები და მის სახეზე ნეტარებას შეცვლის „ჩვეულებრივი და ცივი ნილაბი“. მხოლოდ სიყვარულმა, საკუთარ მეობაზე ამაღლების „საბედისწერო“ შემთხვევამ მინიჭა მას ბედნიერების განცდა.

მწერლის მორალური მრწამსი ჩავეგონებს, რომ ადამიანი როგორც ასეთი, თავისი არსით მაღალია და წმინდა. მოთხრობა „მოურავის“ დრამატიზმით ეფუძნება შეპირისპირებას ადამიანისა თავისი არსით და ადამიანისა, რომელიც

გულქვა მოურავად იქცა. მოურავი ბარ-
ნა შეუარაცხოფს პატროსან მოხუცს,
რომელიც სიღარიბემ აიძულა ორიოდ
მტევანი ყურძენი ფარულად მოეკრიფა
ჩიჩუების ბაღში. პატრონის ძალივით
ერთგული მოურავი მუშტს შემოპ-
კრავს მოხუცს. მოხუცი კი ბარნას პირ-
ში მიახლის: „ჩიჩუების ერთგული, თო-
რემ ჩემი მოძმე არ მიზამდა ამ სიყ-
თეს“ და მას მარჯვენას ულოცავს. ბარ-
ნა კი მიჩვეული იყო, რომ ბოროტებას
ბოროტებით პასუხობდნენ. ახლა კი
ბარნას ყველაფერი უკუღმა დაუდგა,
ახლა უცებ ისინი შეძულდა, ვინაც
სიყრმიდანვე სიყვარულს გადააჩვიეს:
„შორს, მონასტერში, ზარები არი-
სხდნენ, ახლა ბარნას სულშიც იდგა მო-
ნასტერი“. ბარნა-მოურავი არარობაა,
მაგრამ სულ სხვაა იგი, სიყვარულით
ამიღლებული. ასევე მოთხრობაში
„მხატვრის ნაამბობი“ აკ. გაწერელია
გვიხატავს მონეტიალე ბოშა ქალს —
„ციგანკა ტამარას“, რომელსაც რაღაც
შინაგანი ხმა, რაღაც ფსიქოლოგიური
მომენტი უყარნახებს თვითონ გაუმზი-
ლოს პატრონს, რომ მას ნივთები მოჭ-
პარა. ეს ბოშა ქალი თავისი არსით დიდ
ადამიანურ თვისებათა მატარებელია.
მწერალი დასძენს: „იმ ღამით მივაგენი
შტრიხს, რომელსაც დიდხანს ქვეშეც-
ნეულად ვეძებდი ჩემი სურათისათ-
ვის“. ეს შტრიხია: ადამიანი, როგორც
ასეთი, წმინდაა.

აკაი გაწერელიას მხატვრული პრო-
ზის სტილი — ესაა აღსარების მსგავსი
თავდაპირილი და დინჯი სტილი, რომ-
ლისთვისაც უცხოა ფუჟი მაღალფარ-
დოვანება. აქ არაა არც ზეშთაგონების
და არც მანერულობის პოზა. შექსპი-
რის ჯულიეტას შემსრულებლის ბაბა-
ნოვას თამაშის გამო, აკ. გაწერელია
შენიშნავს: ამ მსახიობის „იშვიათ მი-
მ-ტობასა და სისადავეს... ნატამალიც
არ მოეპოვებოდა იმ, თითქოსდა ბაე-
შვური, გულუბრყვილობისა, რომელ-
საც ძალიან ხშირად... მანერული ცუგ-
რუმელობით გადმოსცემენ ხოლმე

სცენაზე“. სადა და თავისუფალია მა-
ნერულობისაგან სტილი მაშინაც, როცა
აკ. გაწერელია ისტორიულ მთქმას-მო-
მართავს, იგი განსაკუთრებით გაურ-
ბის ეგზოტიკურ სცენებს, რითაც არა-
იშვიათად სცოდავს ისტორიული ეპირი
და სამოგზაურო დღიური. აკ. გაწერე-
ლია უბირისპირდება უცხო ქვეყნის ან
წარსულის ეგზოტიკურ წარმოსახვას,—
მან ორჯერ მთიარა შამილის ადგილები
დაღესტანში და დღიურში საგანგებოდ
ჩასწერა: „ყოველთვის ჰგონია მოგ-
ზაურს, თითქოს უცხო ქვეყანაში მთვა-
რეც სხვანაირია, მზეც და მგონი, ვარ-
სკვლავებიც“... ერთს მოთხრობაში მწე-
რალი ასე დასცინის იმ მაღალფარდო-
ვან სტილს, რომელსაც თვითონ უბი-
რისპირდება: „... ნერწყვიმორეული
სტუდენტი გატაცებით კითხულობდა იმ
ადგილს, უფლისწულმა როგორ დააბ-
ჯინა მუხლი მკერდზე ნუკრისთვალემა
და ღეთისმშობელივით უმანკო ასულს...
ამ დროს თურმე ილეკროსფერი ცა და
მთელი ბუნებაც თანაუგრძნობდა წყვი-
ლის ვენებიან ქიდილს...“. რა თქმა უნ-
და, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აკ. გა-
წერელია უარს ამბობდეს დახვეწილი
თქმების ან გარეგნულად ეფექტურ პა-
საყებზე. ასეთია შამილის პასუხი შე-
კითხვაზე, შეძლებდა თუ არა ვინმე კავ-
კასიაში სათავეში ჩადგომოდა შამილის
საქმეს: „არა. კავკასია ახლა კალუგა-
შია“, — ამბობს კალუგაში ტყვედ მყო-
ვი იმამი. მაგრამ ეს ეფექტური ფრაზა
კი არ ვნებს, არამედ ხელს უწყობს შა-
მილის ხასიათის ხატვას. ასევე გამართ-
ლებულია შამილის ლამაზი ფრაზაც:
„ჩემს ვაჟებს... ისეთ მემკვიდრეობას
ეუტოვებ, რომლის ბადალი თვითონ არ
წიმილია. ისინი შამილის შვილები
არიან“. არც ასეთი ლამაზი ფრაზები,
არც გარემოს ხატვის სახეები არაა ამო-
ვარდნილი თხრობის დინჯი ტონალობი-
დან: „იდგა ცივი, მაგრამ მზიანი დღეე-
ბი, იშვიათი ნოემბერში და ასე საოცნე-
ბო კალუგაში. ეკლესიის გუმბათის
ჯვარი ოქროსფრად ლაპლაპებდა. მღი-

ნარე ოკას ზვირთები უხმაუროდ და მწუკრად მისდევდნენ ერთმანეთს, ხოლო ბალებს ჯერაც არ განეძარცვათ სოსანისფერი ტანსაცმელი. ცაც გამჭვირვალე იყო, ოღონდ იქ სადაც ტრამპალი ცის თაღს უერთდებოდა, ღრუბლის ქულები იდგნენ. გეგონებოდათ დათვის თეთრი ბელები, ტორებს უღერდნენ ერთმანეთსო... აქ არსად არაა ხმის განზრახ ამალღება, არსად არაა სიტყვის სიღამაზით უაზრო თავმოშრონება. ყურადღებას იპყრობს ის, რასაც სიტყვა გადმოსცემს და ქმნის, და არა თვითონ სიტყვა. სამწუხაროდ, ჩვენს პროზაში ზოგი მწერალი ცდილობს ყურადღება მიიპყროს ლექსიკური მასალის სიუხვით და თავს იწონებს კოპია ფრაზებით, რათა ამით დაჰფაროს ის, რომ არ გააჩნია ღრმა ხედვა, დიდი მორალური მრწამსი. ასეთი მწერალი იმ მეზღვაურსა ჰგავს, რომელიც ველური ტომების გულს ინადირებდა იაფი, მაგრამ ბრჭყვიალა მძივებით.

აკაკი გაწერელია საინტერესოდ გვიხატავს პერსონაჟის გარემოს. ნოველაში „იმაში ლოკაში“ მწერალი გვთავაზობს იმამის ირგვლივ მყოფთა რეაქციას შამილის დანახვისას, „ფუ, მას კეთილშობილის გამომეტყველებაც კი არა აქვს“, — ამბობენ ერთნი; „რა უძირო სეღაა“, — გაიძახიან მეორენი, ისმის ფრანგული ფრაზები და ა. შ.; ხოლო „ფანრებიან ბოძთან ჩაელისას მკრთალი ნათელი. ეცემა შამილის სახეს. მას თვალები დაუხუჭავს, წარბებს შორის ღრმა ნაოჭი გაზრდია, კარგტა ირწევა და არხევს მის ჩაღმიან თავს. „გალიაში მთელმთარე ლომი, რომელსაც ძველი ბუნაგი ეზმანება“, — გაიფიქრა ტრამპოვსკიმ“. ცხადია, მწერლის სტილი თავისუფალი არაა გავლენებისაგან. ჩვენს ლიტმცოდნეობაში ზოგჯერ გავლენას ცოდვად და თითქმის დანაშაულად მიიჩნევენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეტად ნაყოფიერი ეპოქები მეტად დიდ გავლენათა ეპოქებია. გოეთეს ბიოგრაფია მის მიერ მიღებულ გავლენათა ის-

ტორიადაა აღიარებული. ზოგ ჩვენს მწერალში კი მიკროსკოპითაც ვხედავთ, ვერ პოვებ რაიმე ბრჭყვიალენას. მხოლოდ სუსტი მწერალი, რომელსაც არაფერი აქვს სათქმელი, არ პოვებს საჭიროებას ეძებოს შემწეობა ლიტერატურისა და მწერლობის ძეგლებში. შესაძლოა, უფრო ძნელი იყოს გარდასულ ეპოქათა და სხვა ერის მწერალთა გავლენის მიღება. შესაძლოა, უფრო იოლია ფორმის, ტექნიკის გავლენის მიღება. კლასიკოსი მწერლის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს გრძნობა მას უკარნახებს არ მიენდოს მარტო საკუთარ თავს, — ასე ყალიბდება ცნობიერი და ქვეცნობიერი გავლენები. აკაკი გაწერელიას პროზაში ყველაზე უფრო იოლი მისაკვლევია, ჩემი აზრით, დოსტოვესკის გავლენა. მოთხრობაში „სიკვდილი ბარათაშვილისა“ პოეტის დელირიუმის აღწერა თავის ანალოგიას პოულობს დოსტოვესკის „ძმების კარამაზოვების“ იმ სცენებში, სადაც ეშმაკი გამოეცხადება ივან კარამაზოვს, ბარათაშვილის პოეზიისათვისაც ხომ უცხო არაა ბოროტი სული. ივან კარამაზოვი ქიქას ესერის ეშმაკს, ბარათაშვილი ბოროტ სულს შესძახებს „განვედინ ჩემგან“.

„სტუმარი ზეიმობს:

— ამას გიქადდი, სიყრმითვანვე ჩაგძახოდი — მარტობა ხვედრი-ამეთქი სულით მიუსაფართა.

— ვიცი, ზრახვათა და საწადელთა ჩემთა მტრობდი ნიადაგ...

— ... ამიერიდან ველარ იხილო თმანი ნაშალნი, დედოფლის დიადემა უმშვენებს შუბლს, სოსანისფერი ატლასის კაბა აცვიო...

— არ გაპბედო სახელის წართმეა — ჰკივის ავადმყოფი და წიგნს უღერებს.

— აქ მომე, ყველაფერი აღსრულდება.

— განვედინ ჩემგან!...“ ეს დიალოგი უღერესად ეროვნული, ქართული მსოფლმეგრძნობითაა შესრულებული. აქ

არის მორალური მრწამსისა და დინჯი არტიტიზმის ნაზავი, — მწარე წუთებშიც არ იკარგება ნათელი ფერები. ამიტომ ამ მოთხრობაში „მარად მწვანე კვიპაროსი“, რომელიც არაერთგზის ხაზგასმითაა ნახსენები, რამდენადმე განმუხტავს დელირიუმის ატმოსფეროს, როგორც ლექსში „ფიქრნი მტკვრის პარას“ ახალი ნათელი ინტონაცია შემოაქვს სტრიქონებს: „მაგრამ რადგანაც კაცნი გექვიან...“

აკაკი გაწერელის მხატვრულ პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი დღიურებსა და გამორჩენილ მოღვაწეებზე პორტრეტულ ჩანაწერებს უკავია. ესაა დალესტანში ორჯერ მოგზაურობის და მოსკოვის ზოგ ადგილას ყოფნის ჩანაწერები. ესაა წერილები კორნელი კეკელიძეზე, ვანო სარაჯიშვილზე, ვერიკო ანჯაფაროძეზე, გერონტი ქიქოძეზე, ვასილ კახალოვზე, და სხვ. დღიურის, მემუარის და ნარკვევის მხატვრული ფორმა დიდ მწერლურ კულტურას მოითხოვს. შორს რომ არ წაივლიდეთ, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ ბევრი ქართველ მოღვაწის საუკეთესო პორტრეტს გვაწვდის. ამავე დროს, ჩვენში იწერება ბევრი ისეთი პორტრეტი მსახიობებზე, რეჟისორებზე, მწერლებზე, რომელიც ზოგჯერ საკითხის არსს ღრმად ვერ სწვდება და მახვილ დაკვირვებას ლამაზი სიტყვით ცვლის. მაგრამ აკაკი გაწერელია საკითხს ყველაზე ძნელი მხრით უდგება: „კორნელი კეკელიძის გარეგნობა უნებლიეთ განხენებთ გოეთეზე თქმულს: იგი თავისივე თავის ქანდაკებაა“, — ეს მოხდენილადაც ეღერს და სრულ ჰემშიარტიტებასაც გვამცნობს.

თავის დღიურებში აკ. გაწერელია გვანტერესებს იმითაც, რასაც არ მოელი მათში, და იმითაც, რასაც მოელი. რაიმე გულსამაჩუყებელი ტირადების გარეშე აგვიწერს იგი ქართველ მოღვა-

წეთა სასაფლაოს — ვსესვიატსკოეს: „დალილი მზე, სწორედ ჩნგთა, გზგოლის მოთხრობებში რომ შეუტყეს ხოლმე, სტეპებისა და ცის პორიზონტის შესახვედრ ზოლთან, თანდათან ეშვება... და ეს საღამო, აღსაყვ მსუბუქი და სახელდაურქმეველი მოწყენილობით, ისეთი ხმებით შემოდის სულში, თითქოს სულხან-საბა კითხულობს ფსალმუნს“. ასე, სულხან საბას ირგვლივ ავტორი ქმნის შესაბამის ფსიქოლოგიურ დამაბულობას. იგი აგვიწერს საბას საფლავის ეპიტაფიას, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება: იგი ჩერდება იმაზეც, რაც არც საბას ეპიტაფიაზე, სურათსა და არც მისი ცხოვრების მატრიანეებში არ აღინიშნება, — ეს არის „ლიმილი, რომელსაც საბა უწოდებდა „სიმშვიდითა სიცილს, ბაგეთა ოდენ რომ შეეტყობა“ ხოლმე „სოფლისა საქმეთაგან უცალო ადამიანს“, სკეპსისით შეპყრობილ კაცს“. აქ ნათლად ჩანს აკ. გაწერელიას უნარი თავისებური საშუალებებით შექმნას ამა თუ იმ ადამიანის პორტრეტი. სულ სხვა საშუალებებით გვაგრძობინებს ავტორი ლევ ტოლსტოის საშუალო ოთახის სილიადეს: „შიგ ამჟამადაც რაღაც უძრავი სიჩუმე ირხევა. ასეთი სიჩუმე დგას, ალბათ, ჩამქრალი ვეზუვის კრატერში“. ლევ ტოლსტოიზე გორკის წერილი შემთხვევით როდი სთარგმნა აკ. გაწერელიამ; იგი სხვადასხვა ერის დიდ მწერალთა არა მარტო პატივისმცემელი, არამედ მკვლევარიცაა. მანვე სთარგმნა ირლანდიელი მწერლის ჯ. ჯოისის „ღრუბლის ქულა“.

აკაკი გაწერელის ნოველებით, დღიურებითა და ათარგმანებით თავისი წვლილი შეაქვს ქართველ საბჭოთა მწერალთა მოღვაწეობის დიად საქმეში. თავისი ფართო ლიტერატურული განათლებით, დახვეწილი მწერლური კულტურით იგი ჩვენი პროზის ერთერთი ღირსეული წარმომადგენელია.

გზასიონ ხანაული

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხური საწყისები

ვაჟა-ფშაველა დღითიყო და მამითიყო ფშაველი იყო. როგორც დედის მხრივ, ისე მამის მხრივაც პოეტის წინაპრები კარგი მოლექსეები იყვნენ. ფშავე ვაჟა-ფშაველას დროს უკვე წინადადებული ფშავე არ იყო. ახალმა დრომ შეარყია მისი ქანმრთელობა; მისი უოფის მთავარი რგოლი თემი დამლის გზას ადგა. ახლა, სწორედ ახლა უნდა დაეხადა ფშავეს ვენიოსი. დეტოვებინა ანდერძად, ვადაცა მისთვის თავისი იარაღი. თომას შინა ამბობს: „თუ რომელიმე ტომი დიდხანს ცხოვრობს, ვიდრე ვადაშენდებოდეს, იგი შექმნის პიროვნებას, რომელიც თავს მოიფრის მისი წინაპრების ყველთვისება და მიადრეებს უფრო სრულ განვითარებას“. ეს სიტყვები, თითქოს, ფშავეს ვადაშენებასა და ვაჟა-ფშაველას დაბადებაზე იყოს ნათქვამი. მაგრამ რა დაუტოვა განვითარებისათვის პოეტს ფშავეა? — პოეზია, ესთეტიკა, მორალი!

ვაჟა-ფშაველასა და ფშავერი პოეზიის ურთიერთობის საკითხი, ძველი საკითხია. მას სხვადასხვა კრიტიკოსები მეტ-ნაკლები წარმატებით ეჭვობდნენ და ახლაც ეხებინან. ლამაზაკი არის ზოლმე გავლენაზე. ჩვენი ვაჟა-ფშაველასა და ფშავერი პოეზიის ურთიერთობა წარმოდგენილი გვაქვს პარამონად. საერთოდ, უკიდურეს ინდივიდუალისტი პოეტებიც კი არ არიან ზოლმე მარტოდმარტო საყუთარი თავის ამარა, ხოლო ისეთ დიდ მხარვედს, როგორიც ვაჟა იყო, არ შეიძლება და უმდიდრესი სალაროც კი მოკლე ხანში არ დეცარებებინა, თუ ამ სალაროს, თავის თავის გარდა, არაფერი ექნებოდა და არც შესავალი შეუვიდოდა. თუ დიდი შემოქმედი მარტო თავისი ნიჭის შეწყურებ იქნება და მას გარედან სკოლა, გავლენა და გაბათლება არაფერს მიუმატებს, ასეთი შემოქმედის ზოლმე ისევე მალე გამოირდება, როგორც ნივარდანი ამომავალ ლოკოინასა. ვაჟა-ფშაველას ფანტაზიას კი შესავალი შესდიოდა, გავლენისა თუ განათლებისა.

ვაჟა-ფშაველასა და ფშავეის ცხოვრებასა და პოეზიას შორის არსებულ პარამონისათან დაკავშირებით ხაზი უნდა გავსვას იმ უკიდურეს ტენდენციას, რომელიც მის ჩარგალში დაბინა-

ვებასა და გლუხურად ცხოვრების გამო ვაჟა-ფშაველას ცივილიზაციასთან გამოჩენულ პოეტად წარმოგვიდგენდა. გლუხად, გენიალურ ფეხშიშველ პოეტად, გაუნათლებლად! — ასეთი მოსახრებებით ზოგიერთი კრიტიკოსი ცდილობდა შეექმნა ეფექტი ვაჟას სასარგებლოდ. საბედნიეროდ წყალი მიდგა, მოდგა და დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა იყო უდიდესი განათლების მქონე პოეტი, რომ მან მსოფლიო ლიტერატურას ვათვალისწინებთ შესძლო გადმოეღო იქიდან კულტურული მეთოდები და გამოკლება-მიმატების წესით უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა ტრადიციული ფშავერი ლექსი.

ცნობილია, რომ მსოფლიოს მრავალი ხალხის ხალხური პოეზიის დამახასიათებელი ნიშანი მისი კოლექტიურობაა. ფშავერი პოეზიაში კი არსებობს ინდივიდუალური მოლექსის ენება ფშაველ ხალხს უყვარს თავისი მოლექსეები ღმთ კეთილად საერთო. პოეზიაში აღმდრეველად ინახავს. ყოველთვის არასწორად მიგვაჩნდა, რომ მრავალი კაფებისა და ლექსების ავტორებს პარასკეას, ყრვე გიორგის, ტოკას, ფრუშკას, ხელაშვილსა და სხვებს ხალხურ მითქმელებად ასაღებენ ზოლმე. ჩვენი აზრით, არსებობს ფშავერი პოეზია და არსებობენ ფშაველი პოეტები. ფშაველებისათვის ცნობილია გენიალური „ლექსო, ამოგვქვამ, ოხეროს“ ავტორი. ფშაველმა იციან მისი დანარჩენ ლექსებიცა და თუ მათ შევარებთ და წარუდგენთ ფართო საზოგადოებას, იგი ერთ დიდ პოეტს კიდევ გავიცნობა. ფშავერი პოეზიის ცუდმა კომენტატორებმა საფუთველი დაუდეს იმ აზრს, თითქოს ფშავერი პოეზიისათვის დამახასიათებელია მხოლოდ კაფია და გაცქეება, პუროს ჰუმისა ან ღრეობის დროს. ეს არ არის ასე. ფშაველი მოლექსეები, კაფიაობაში მონაწილეობის გარდა, თხზვენი ცალკეულ განუყნებულ ლექსებს, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული ოსტატობით. ფშაველების მიერ ინდივიდ მოლექსეთა შემოქმედების შენახვის ტენდენციას განახლებრავს მათი საზოგადოებრივ-ზენობრივი წესი. ფშაველებმა იციან ხიტყვის ფასი. შეიძლება თქვას, რომ აქ სიტყვა

ოჭროდ ფასობს. კარგი სიტყვისათვის შეიძლება მტერმა მტერს მტრობაც კი აძატიოს..

ვატას შემოქმედება სინთეზური ბუნებისაა. იგი სუამს წყალს სამი წყაროდან: ერთი ის წყაროა, რომელსაც პოეტები „ლეთისგან ნაბოძებ ნიჭს“ უწოდებენ. მეორე — ფშაურის პოეზია, მორალი, ეთიკა. მესამე — ისტორიულ-მხატვრული და კულტურული გამოცდილება.

ვატა-ფშაველასა და ხალხურ პოეზიის პარალელურმა შესწავლამ ბევრი მკვლევარი შეაჯიღინა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ ზომამზე მჭეტი მიუღწეს ხალხურ პოეზიას. ეს მკვლევარები ვერცდობიან ვატასა და ხალხურ პოეზიას შორის სტრიქონების დამთხვევას, ამბების, ლექსთწყობის, მხატვრული ხერხების მსგავსებას. ამგვარ მიმოხილვებში როგორც ზშირადაც არ უნდა აღნიშნოს მკვლევარმა პოეტის გენია, უპირატესობა მაინც ხალხურ შემოქმედებას უნიჭება. ცხადი ზღვაა, რომ არც ერთ დიდ მწერალს არ განუტყდა ისეთი დიდი გავლენა ხალხური პოეზიისა, როგორც ვატა-ფშაველამ განიცადა. მეორე ნაწილი მკვლევარებისა კი, არასიმპათიურად ეცილება ხალხურ პოეზიას და ჰგონია, რომ ამით სამსახურს უწევს ვატას გენიას. მათ ავიწყლებათ, რომ ვატა-ფშაველას ჩარგალში წასვლა იყო ანთოქოსის ნაბიჯი ჰესკენ, რომ მისი საჩარგლოდ გუდა-ნაბადის აერეფა თანამედროვე ცივილიზაციისაგან გამოიქვანა არ იყო. ვატა ზედაცა, რომ თავისი პოეტური არსებობისთვის მას აუცილებლად სჭირდებოდა ფშავეში ყოფნა. და, ბოლოს, ვატა-ფშაველა არც იქნებოდა. რომ ხელი არ აეღო ყველაფერზე და ფშავეში არ წასულიყო. ეს დაბინავება ჩარგალში, ტრაგიკული ხასიათისაა. ვატა-ფშაველას უნდოდა ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრება, მაგრამ არ შეეძლო. ალბათ, ამ მკაცრმა სინამდვილემ შეიტანა ვატა-ფშაველას შემოქმედებაში ტრაგიკული დამატებობა. წერ კიდევ ვატა-ფშაველას თანამედროვე კრიტიკოსები აღნიშნავენ ორი ენის არსებობას ვატა-ფშაველას შემოქმედებაში: ლიტერატურული ენისა — პროზაულსა და ფშაურ კილოს — პოეტურ ნაწარმოებებში. ჩვეულებრივ, პირველ იწოდებდნენ, მეორეს კი იწუნებდნენ. სალუსტრაციოდ ფრად გამოსადგევა პეტრე მირიანაშვილის სიტყვები: „...საკვირველია, ვატა-ფშაველას საქმე. თუ ვშშშია, მუზის შვევრ-მეტყველი, მაშინ ფშაური თვალსა და ხელს შუა უქრება და კაი ქართულითა სწერს, როგორც ჩანს მის პოემების ზოგიერთ ადგილებიდან, თუ არადა „ქალაქ რატუარ გინდან ვაქანე შავგვრემანაო“ — სებურიით აჭრელებს ლექსებს. პროზას მაინც ჩინებულის ენით არ სწერდეს! განზრახ ლექსის აჭრელება მიხინჯსთემო კილოთი აქაო და საერო მოშარე

ვარო, ვერაფერი გმირობა გახლავს, მით უმეტეს, თუ განზრახავს ხანდახან „ქალაქობის“ როგორ უცნაურად მოეჩვენებოდა ეს სიტყვებზე ვატა ფშაველას პატრიოტებს ახლა ზშირად ზოგიერთი ჩვენგანი ვერ ითმენს ხოლმე და შეუბღღერს პეტრე მირიანაშვილის მსგავს პირისან კრიტიკოსებს და მამულიშვილებს მხოლოდ ამიტომ, რომ მან უბოროტოდ მართალ სიტყვა უთხრა ჩვენს სათაყვანებელ მგოსანს. პეტრე მირიანაშვილის სიმართლემ რომ დაერწმუნდა, მართო შემოთმომყვანილი სიტყვები, რა თქმა უნდა არ გამოგვადგება, საინტერესოა აჭრელები 3. მირიანაშვილის მიერ 1888 წ. „ივერიის“ № 166-ში დაბეჭდილი წერილი „საერო ენა და სათემო კილო“, სადაც იგი ამ ბოძს: „დღეს ჩვენ მწერლობაში რამდენიმე მწერალია, იმდენი ენა, ესე იგი რა თემისა? არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთ ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს. ამგვარად, ენა მეტად აღურელდა და ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არაა ტამარა... რამდენად ბან შამხანელის ქიზიყურმა პროზამ ბევრი მეტბარჯად ჩასაიციბო სიტყვები შემოსძღვნა ქართულს საერო პროზას იმდენად ბან ვატა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ და დღევანდელს ქართულში შედარებით უკაზ ჩამორჩენილი გრამატიკები ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტბორცი სიტყვებიც. ჩვენი მწერლობა მოვალა, რომ სამწერლო ზელოვნება უმნიშვნელო და მეტბორცის პროზინცილობათ არ გაბზორცილიანოს. გასლფთავების მაგიერ!2 ყოველი სიტყვა ზემომოყვანილი ციტატიდან ამართლებს პეტრე მირიანაშვილს — ერთადერთი, რაც შეიძლება მის ესაყვედურის, ეს არის მიუზგედარელობა, რომლის გამოც მან ალლო ვერ აულო ვატა-ფშაველას გენიას და განიხილა იგი მაჩხანელთან ერთად. (ჩვენი ზბრით, ასეთი საყვედუროც უსაფუძვლო და ზედამართლო იქნებოდა). 3. მირიანაშვილი მაჩხანელსაც აკრიტიკებს, მაგრამ ვის მოუფა აზრად ამის გამო მისთვის აუგის თქმ-ქუშმარტივება, რომ არა ფშაური კილოს გამოყენების გამო ვცემთ პატევს ვატა-ფშაველას. თიანეთის რაიონში ახლაც ბევრი წერს ფშაურ კილოზე, მაგრამ ისინი თიანეთსადაც არ უნდა იყო. ცნობილია ილია ჭავჭავაძის სწორი დამოკიდებულება ვატა-ფშაველას მიმართ. კიდევაც მან გაუხსნა ასპარეზი ვატას თავისი ცნობილი სიტყვებით: „არა, ჩვენ ძველებმა, ახლა კალა-

1 მ. მირიანაშვილი, ზ-ნი ვატა-ფშაველა და ზ-ნი ურბნელი, ვატა-ფშაველა ქართული ლიტ. კრიტიკაში თბ. 1955, გვ. 100.
2 მ. მირიანაშვილი, ზ-ნი ვატა-ფშაველა და ზ-ნი ურბნელი, ვატა-ფშაველა ქართული ლიტ. კრიტიკაში, გვ. 95.

ში ძირს უნდა დაედგათ, ვხა ვაყას უნდა დევთომითო" — და თანაც თავისი ვახუთის ფურცლებიდან აკრიტიკებდა ვაჟა-ფშაველას ენას. საინტერესოა, გრძობდა თუ არა, ილია ჭავჭავაძე, რომ ფშაურთა დიალექტის გარეშე ვაჟა-ფშაველას პოეზია თავის მადლს აუცილებლად დაკარგავდა?

ჩვენი აზრით საჭიროა იმ ფასეულობათა შეფასება, რომლებაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ფშაურმა დიალექტმა შესძინა. თვითონ ვაჟა-ფშაველა ფშაურთა კილოს შესახებ ამბობდა: „ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირათ“.

ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური ექსცერისი. ვაჟა-ფშაველა „ჩემს წუთისოფელში“ ასე ახასიათებს თავისი ყრმობას: „სიყრმის დროს ერთი ზნე მჭირდა, — თუ ვისმე რაიმე უნარს ქვეყანა ღირსებად უთვლიდა, უეჭველად ამ ღირსების წარმომადგენელი მე უნდა ვყოფილიყავი. აქებდნენ კარგ მოკრივეს, მეც ვფიქრობდი, რომ კარგი მოკრივის სახელი მომეხვეჭა“.¹ ვაჟა-ფშაველას მიერ თავისი სიყრმის ასეთი დახასიათება საშუალებას გვძლევს დავასკვნათ, რომ ზემოთხსენებულ „ზნეს“ ვაჟა-ფშაველა ლიტერატურული სფეროს მიმართაც გამოიჩინდა. ყანბრთულ, მამაც, საგმირო ლექსებითა და ლექსებით ვაზრდილ ახალგაზრდას, რომელსაც იმავე დროს დიდი პოეტური ნიჭი ჰქონდა, არ შეიძლებოდა თავისი თავი არ წარმოედგინა დიდ პოეტურ პერსპექტივაში. ამ დროს ვაყას უკვე თავისი რჩული ჰქონდა: გმირული, რაინდული. თაოსი თავისებურებებით იგი მოწონებას და ვაჟაყირვებს იწვევდა ნაცნობებში. ფშაური ზნე, მორალი დომინირებდა მის სულსა და წარმოდგენაში. მის უნდოდა ყოფილიყო დიდი პოეტი, მაგრამ ისეთი, რომ გმირულ ლეგენდათა სულს არ დაეცინათ მისთვის. მან უნდა წეროს მაგრამ როგორ? მისი შემოქმედება უნდა იყოს ისეთივე რაიგინალური, როგორც მისი კუთხის გმირული ზნე. ამისათვის კი საჭიროა იმავე კუთხის ენა. მაგრამ ამას ახლდა თავისი უხერხულობანი, რომელთაც ვაჟა-ფშაველა გრძობდა და შემდეგ აღნიშნავდა არდევაც: „თუმც მამის შეგირდი ვახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიყოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩვენს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა, თუმც მამინაც ლექსებს ვწერდი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ვკლბნდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის ელოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მუყობდა. ვერ დღესაც ჰქირს ფშაურის კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის-

გდება და მამინ ზომ უფრო სამწელო აქნებოდა“.¹

მამასადამე, ვაჟა-ფშაველა თავის ყრმობაში ვერ ბედავდა ფშაურ კილოზე ლექსების წერას, თუმცა ამის მოთხოვნილება კი ჰქონდა. სხვა მოთხოვნილებაც ჰქონდა ყრმა პოეტს: თავისი ხმა გაეგონა სხვაგან. მაგრამ მას ვერ კიდევ არ ჰქონდა ის ძალა, რომელიც საჭიროა პოეტური მეობის გამოსაკვეთად. ჩვენ ნორმალურ მოყვანილ მიგვიჩნია ის, რომ ვაჟა-ფშაველამ ლექსების წერა დაიწყო სალიტერატურო ენაზე. ეს ფაქტი ისევე ნორმალურია, როგორც ამ ფაქტის გამო მარცხი. ეს მარცხი იყო მარცხი გამარჯვების წინ. ჩვენთვის ახლა დაუქვრებელიც არის, რომ დიდი ვაჟა ავტორია ლექსისა: „ნუთუ შევდარია ჩემი იმდით“. ვარაუდობენ, რომ იგი 1885 წლამდეა დაწერილი. ეს ლექსი არც ერთი თვისებით არ არის ვაჟა-ფშაველასი. იგი ლიტერატურული მიზანქვაა და მიუთითებს იმ გაურკვეველ მომენტზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, რომელიც ჩვენ არა მარტო ენის, არამედ სულიერი კრიზისის სახითაც წარმოგვიდგება.

ენის კრიზისი“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გრძელდება 1885 წლამდე. უკვე 1886 წლიდან ვაჟა-ფშაველა თავის პოეტურ ენად ხმარობს ფშაურ დიალექტს. ყველასათვის ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი პოეტური ენის გამო მიიღო სიცოცხლის განმავლობაში კრიტიკოსთა მოგერიებაში იყო. პირველი კომენტარები თავისი პოეტური ენის შესახებ ვაჟა-ფშაველამ მოგვცა პ. მიჩაინაშვილის პასუხად დაწერილ წერაში „მცირე შენიშვნა“ ვაჟა-ფშაველა ელოდა, რომ მის პოეტურ ენას გააკრიტიკებდნენ და ხმალსაც ლუსავდა. მის აღნიშნულ წერილს გაბრაზება ეტყობა. ახარა ზნის ვაჟა-ფშაველას არა მარტო ის, რომ პასუხის ვაცემა უხდება ჩვეულებრივი კრიტიკოსისათვის, არამედ ისიც, რომ მას არ შეუძლია თქვას გულსა. ზომ არ შეეძლო ვაჟა-ფშაველას, რომ ეთქვა: „მე არ შემიძლია სხვაგვარად წერა. ფშაურშია ჩემი პოეტური ენის ძალაო“. — ამის თქმა შეუძლებელი იყო. ეს ვაჟა-ფშაველამ კარგად იცოდა და ამიტომაც ლიტერატურული პაექრობა არჩია. ვაჟა-ფშაველას დასვენებში ლიტერატურულ ენასა და დიალექტზე ხშირად არასწორია. რამ მიიყვანა პოეტი აქამდე? — პრისხანებაში, ბრაზში, დარღმა იმის გამო, რომ ვერ გაუგეს, ვერ გაიგეს ფშაური დიალექტისა და ვაჟა-ფშაველას პოეტური ენის ჰე-ანთოსისებური დამოკიდებულება. ერთ-ერთი გარეგნული მხარე, რაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მეთოდში ნათლად გამოკეთილი,

¹ ვაჟა-ფშაველა, ჩემი წუთისოფელი, იყდა-გამოც. 1961, ტ. V, გვ. 438

¹ ვაჟა-ფშაველა, Pro domo sua, იქვე, გვ. 155.

არის ის, რომ ვაჟა-ფშაველა პოეტურ ნაწარმოებებს ფშურ კილოზე წერს, პარზულს კი სალიტერატურო ენაზე. რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველა განკუთვნილი არ იქცეოდა ასე. ფშავში ყველაფერი პოეზიის გავლენის ქვეშაა. ზნობა, სიტყვა-პასუხი, მსჯელობა, ფიქრი. ფშავში პოეტური ლოკია ბატონობს. ფშავური პოეზიის სიდიადე, შეიძლება ითქვას, პირველად ვაჟა-ფშაველამ შეივარა. თვითონაც ხომ ფშაველია. თვითონაც ხომ პოეტია. პოეტს საკეთარი ენა უნდა ჰქონდეს. მისი პოეტური ენა ფშავური კილო იქნება, მით უმეტეს, რომ სალიტერატურო ენაზე დაწერილი მისი ლექსები თარგმანებას ჰკავს. თბილისის თავისი თავი ჰყავთ მავალითად, როდესაც წერდა: „მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკეთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა-სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომია და უკეთესად რომ ეთქვას, — მწერლის სულია. ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „შე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები — თუ ერთი-ორი რამ წაგაითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერლადაც რომ შეგხედეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამს ეკუთვნის... ეს „ენა“ გახლავთ, რაშიაც უხედავ ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიდიდე და ავლად იმდება. ფესვები მწერლის ენისა, სტილისა, აქ არის ჩაქსოვილი, მწერალს უნდა ჰქონდეს საკეთარი ფრაზეოლოგია, საკეთარი წინადადებანი, საკეთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავსებურად უნდა იყოს გამოთქმული.“¹ ამ სტიტიკებშიდან ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჟა-ფშაველა მწერლის ენას. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის ის აღმოფხვრება ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც იწვევდა კრიტიკოსების მიერ მისი ენის უარყოფითი შეფასება.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ვაჟა-ფშაველას პოეტურ ენაზე? პოეზიაში ვაჟა-ფშაველა ხშირად ფშურ კილოს ის პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც ვაჟა-ფშაველას აღნიშნულ დიალექტზე არ შეუქმნია, ჩამორჩებიან დანარჩენებს თავიანთი მხატვრული ღირებულებით. არა მარტო კრიტიკოსები, თვითონ ვაჟა-ფშაველა ხაზგასმით აღნიშნავდა მის მიერ პოეზიაში ფშავური კილოს, ხოლო პარზულსა და სალიტერატურო ენას გამოყენებას. კრიტიკოსებისათვის გაუგებარი იყო ეს ფაქტი. ისინი მხოლოდ ამის აღნიშვნით და საყუდელით კმაყოფილდებოდნენ — ნაკლად უთვლიდნენ, უნიანობაში ართმევდნენ პოეტს მის მიერ პოეტურ ენად ფშავური კილოს ხმარებას. თვითონ ვაჟა-ფშაველა თავისი პოეტური ენის ამ თა-

ვისებურებას სხვადასხვა საბუთებით ხსნიდა. „ყოველი ეთნოგრაფი და სურათი მწერალის მოვალეა ყველა საფურადღებო ხალხურ სიტყვას ფორმად გააცნოს ლიტერატურულ ენას“,² ამბობდა ვაჟა-ფშაველა. მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მის მიერ პოეზიაში ფშავური კილოს ხმარება სცილდებოდა და არ ემსახურებოდა მხოლოდ ეთნოგრაფიულ მიზნებს.

მორიგ საბუთად თავისი პოეტური ენის გამართლებისათვის ვაჟა-ფშაველა იშველიებდა ისტორიულ გარემოებას: „... იმათ უფრო მეტსაშუალება ჰქონდათ ქართული ენა დაეცაო წმინდად, შეუზღავდად. ფშაველებზე (ფხოვლებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზემოქმედება სპარსთა და არაბთა და სხვ. ამიტომ იმათი სათემო კილო (თუ შეიძლება სათემო კილო დავარქვათ იმათს სასაუბრო ენას) და გრამატიკული ფორმების ზღვრისაშეღებვა, ღირსსაცოდნელი, ფშავურის საუბრის კილო და გრამატიკული ფორმება, როგორც ნამდვილი ძველი ქართული სრულად ჰკვანან ძველის მწერლების ნაწარმებისს, რის გამო იმათ უფრო ჩამორჩენა „არ ეკუთვნებათ“³ — როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველას, ჯერ ერთი, „ფშავური სასაუბრო კილო“ არც ეს მიორიე, სპირიოდ და სასუბარადე მიანიხი ფშავური კილოს გამოყენება იმ აზრით, რომ „ძველი“ „ნამდვილი“ „წმინდა და შეუზღავდავი“ ქართული ენა სწორედ ფშავშია შემონახული. ვაჟა-ფშაველას მიანიხი, რომ რამდენადაც უფრო ძველი ფორმებია შემონახული დიალექტში, მით უფრო უფლებამოსილია ეს დიალექტი ადგილი დაიმკვიდროს სალიტერატურო ენაში. რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი გააზრება. ცნობილია, რომ ძველი ენის ნაშთთა მეტნალები რაოდენობით არ განისაზღვრება ამა-თუ იმ დიალექტის მონაწილეობის უფლება სალიტერატურო ენაში.

ვაჟა-ფშაველა გაკვირვებითა და ჯერით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მისი პოეტური ენა არ იყო დაფასებული. ი. ამედაშვილთან საუბარში მას უთქვამს:

„ჩემო ენა არ ესმით? ვაი ჩვენს ყოფნას! ბარენო, ეს რა დაგმართიათ!... ეს როგორ მოხდა, რომ ნამდვილი ქართული ენად გაგიგიათ? — ვინ იცის ნამდვილი ქართული სადაო? — როგორ თუ სადა? ბარში რომ ქვედა დაიქარება, მთაში შეაბუღებსო, — ენას რაღა დაგმართა? თქვენ იქნება ქალაქური ალთაბალთაი ქართული გგონიათ?“⁴ ეს შეხედულე-

¹ ვაჟა-ფშაველა, მცირე შენიშვნა, აკად. გამოც. ტ. V. 1961, გვ. 55.

² ვაჟა-ფშაველა, მცირე შენიშვნა, V, გვ. 55.

³ სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 303.

⁴ ვაჟა-ფშაველა, ნიჭიერი მწერალი, აკად. გამოც. 1961, ტ. V, გვ. 259.

მა უკიდურესობებისაგან შედგება, შეიძლება მათში უფრო მეტად იყოს შენახული ძველი ქართული ენის ფორმები, მაგრამ, პ. მირიანაშვილის თქმისა არ იყოს, „რაცის ერთ სიღველელოში ისეთს ძველს ქართულს ლაპარაკობენ, რომ თქვენს მოსაწონს, და მას დიდი წარმატება იქნება ჩვენის ენისათვის, იმით რომ ავაჭრებოთ ლექსი თუ პროზა: საიდან სადაო? განა მოვალენი ვართ ეთხმარათ ყოველი ძველი სიტყვა ან კილო, სადმე მიყრუებულს კეთხემი ჩარჩინენი, რომელიც ვერ შერთოდა მოქალაქეობრივს ცხოვრებას და ენის ბრძნელშიაც არ გატარებულა?“.1 პეტრე მირიანაშვილის ეს აზრი სავსებით ემთხვევა დღეს არსებულ აზრს დიალექტისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობის შესახებ.

ვაჟა-ფშაველა იზრდებოდა არა მარტო ძველ ზღაპრებზე და საგმრო ლეგენდებზე, არამედ როგორც თვითონ ამბობს: „რვა წლამდე ეთხრდებოდი ძველ წიგნებზე: ვეფხისტყაოსანი, მზე-ქაბუქისა და ჩიმშიდის ამბავი (ჩუბინაშვილის ქრესტომატია), გრიბული ჟორჯ-ზანდისა შერქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებზე; ერთხელ წაკითხეას როლი ვეკრდებოდი, რამდენჯერმე უნდა ერთი და იგივე ვადაშეკითხა?2 ვაჟა-ფშაველას ამ განცხადებაში არის სიმართლის ნაწილი, და ის საგულისხმოა, უფრო მეტად ვაჟა-ფშაველა იქვე განაგრძობს: „საგმრო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყვანიდი და სწორედ ის ხანა დადებდა საძირკვლად, ლიბო ჩემს შემოქმედებასო.3 ჩვენ ვადაქარბებულად მიგვაჩინა იმის თქმაც, რომ რვა წლის ბავშვის ემოციები „ლოზოდ“, „საძირკვლად“ დაედოს დიდ შემოქმედებას. ვაჟა-ფშაველა ისეთი გენიოსია, რომ მას სრულადაც არ სჭირდება დიდი ერუდიტის სტაჟი 8 წლის ასაკიდან.

ყოველ შემთხვევაში მთის იდეალების ვაჟა-ფშაველას თელავშიც ამჩნევდნენ. უკვე მაშინ ვაჟა-ფშაველა გრძობდა იმ პასუხისმგებლობას, რასაც მას ფშავლობა აცხარებდა, და სხვადასხვა სასწავლებლებში სწავლის დროს ცდილობდა ვაჟაკობა და არაჩვეულებრივობა გამოემჟღავნებინა. ამას თავის მხრივ ხელს უწყობდა ის ცნობისმოყვარეობაც, რომელსაც ვაჟა-ფშაველას მიმართ იჩნდნენ მისი წარმომოხის ვამო, და ელექტი, რომელსაც მთის შვილობა ზადებდა. ვაჟა-ფშაველა ხომ ფშაველა-ხევსურთა იმ პირველ თაობას ვუთთენოდა, რომელიც სასწავლებლად ჩამოვიდა ბარში.

ლექსების წერა ვაჟა-ფშაველამ ჯერ კიდევ თელავში დაიწყო. ჩვენამდის მოღწეული ლექსების თბილისა და გორში სწავლის პერიოდს განეკუთვნება. არა მარტო ვაჟა-ფშაველას პოეტური გზის გასათვალისწინებლად, არამედ მისი შემოქმედების სწორი გაგებისთვისაც საჭიროა ვაჟა-ფშაველას ყრმობისდროინდელი ლექსების ვანილივა. მითუმეტეს, რომ ისინი ვაჟა-ფშაველას შემდეგდროინდელ ნაწარმოებთაგან მკვეთრად განსხვავდება. 1961 წლის ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში არის ცალკე განყოფილება ვაჟა-ფშაველას ყრმობისდროინდელი ლექსებისა. ამ ცალკე შედის 1885 წლამდე დაწერილი ლექსები. რატომ ვაუჭრებელს „ყრმობა“ ვაჟა-ფშაველას აკადემიური გამოცემის მესვრეებში? განა 23-24 წლის ადამიანი „ყრმად ითვლება“ ან რას ამბობს ვაჟა-ფშაველას ყრმობისდროინდელ ლექსებზე? აკად. გამოცემის 1 ტომის შენიშვნების ავტორი: „ვაჟას ყრმობისდროინდელი ლექსები მხატვრულად მართლაც წინასწარსულებს, მათში ვაჟას ჯერ კიდევ არ აქვს მოთენი თავისი პოეტური ხმა... მაგრამ მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში, ცხადია, აღრინდელი — თუნდაც სუსტი — ნაწერებიც უნდა შევევტანა, რათა დანეტარებულ მკითხველს საშუალება ჰქონდეს სრულიად გათვალისწინოს დიდი გეოსის შემოქმედებითი გზა“.4 თვითონ ვაჟა-ფშაველა თავის ყრმობისდროინდელ ლექსების შესახებ აღნიშნავს: „იმ ლექსებში ბევრი არა ყრიაო“. რა ვფიქრობს ჩვენ მათზე? ერთი ცხადია, თემატურად ისინი ვანიციანი იმ დროის ცნობილი პოეტების ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა ლიტერატურულია. ახალგაზრდა პოეტი უფროსი თაობის გამოჩენილი პოეტების ვაჟა-ფშაველით დიდ თემებს ჰკიდებს ხელს („თხოვნა“, „დროება“, „ყარასის ბოლოს“, „წინასწარმეტყველი“). მიუხედავად ამისა ყრმობისდროინდელ ლექსებში ზოგჯერ მაინც გამოიხედავს ხოლმე ვაჟა-ფშაველა. ამ მხრივ აღსანიშნავია „ყარასის ბოლოს“ შესავალი; აქ ჩვენ ვხვდებით შემდეგში გენალორად დამუშავებულ აზრებს ადამიანის ცხოვრებაში ბუნების ჩაურევლობის შესახებ. აქ თუცა არა მკვეთრად, მაგრამ მაინც ბუნების გასულიერებული სურათია დახატული. ყრმობისდროინდელი ლექსებიდან ასევე კარგ შთაბეჭდილებას სტოვეტენ: „ვართანას“ და „კაცი მას ჰქვინა“ ამ უკანასკნელში ვაჟა-ფშაველა აქვს აქვს „ყარასის“ თემას.

ვაჟა-ფშაველას ყრმობის ლექსები მხოლოდ ყრმობისა და ბალობის გამო არ დაუწერია (მით უმეტეს, რომ ეს „ყრმობა“, როგორც ზე-

1 პ. მირიანაშვილი. ბ-ნი ვაჟა-ფშაველა და ბ. ნ. ურბნელია. გვ. 99.

2 ვაჟა-ფშაველა, ჩემი წუთისოფელი, ტ. V, გვ. 437.

3 იქვე, გვ. 437.

4 ზ. კუმბურძე, შენიშვნები, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკად. გამოც. ტ. I, გვ. 540.

მითაც აღვნიშნეთ, 24 წლამდის გრძელდება). ვაჟა-ფშაველა განიცდიდა ორ გავლენას, —ლიტერატურულს და ფშაურს. თავდაპირველად მას არჩევანი საერთო სკოლაზე უნდა ეკეთებინა. სხვაგვარად რომ მომხდარიყო, ვ. ფ. თავიდანვე ფშაური თემებით და ერთ რომ ესარკებლა, მაშინ იგი ჩვეულებრივი ფშაველი მოლექსის რანგს ვერ გასცდებოდა. შემდგომშიტიტომ დაეწაფა ფშაურს ისე ხარბად, რომ კიდებანს იწენია უმისობა.

ვაჟა-ფშაველა თავის ლიტერატურულ საქმიანობას და ბედს თავიდანვე დიდი ზრუნვით ეკიდებოდა. 24 წლის იყო უკვე პოეტი, პეტერბურგი მოვლილი ჰქონდა და მაინც არ იცოდა, ორ რა გზას დასდგომოდა. ვაჟა-ფშაველა კრიზისს განიცდიდა. სცადა კიდევაც ფშაური თემები ლიტერატურულად გადმოეცა, მაგრამ ორი კურდღლის მღვვრის არაიკ გაახსენდა

პეტერბურგიდან ჩარგალამდე ვაჟა-ფშაველა სულ იმის ფიქრში იყო, როგორ წარემართათვისი შემდგომი ცხოვრება. ამ ხნის განმავლობაში ვაჟა-ფშაველამ ბევრი რამ ისწავლა. გაერყვა გუთვის, ტოლსტოის, პუსტინის ხალხურ პოეზიასთან და აზროვნებასთან დამოკიდებულებაში. გული გაიმავრა და გადასწყვიტა:

„რად რა დავკარგავ?
რად რა ჩაეცვამ შევება?
რა მავს მე სამგლოვიარო?!

1886 წლიდან იწყება ნამდვილი ვაჟა-ფშაველა, გენიალური, ვინც პოეტის 1886 წელს დაწერილ ლექსებს დავიკრებოა, იგი ავტობიოგრაფიულად დაიკვლევდა იმ ძალას დიდხანს დაგუბებული მდინარისას, რომელიც ახლახანს აფშავა ამ ერთი წლის ლექსებში დასმულია ოთხქმისველა ის საკითხი, რომელია გადაწყვეტასაც შემდეგ საკვლეულა ნაწარმოებები. მოანდომპოეტმა. ამ ლექსებში არ შეიძლება თავი არ ეჩინა სევდასაც. მაგრამ როგორი სევდა აქვს ვაჟა-ფშაველას? — მისი სევდა გვირუღია, მისი ტრაგიაში ოპტიმიზტური. ვაჟა-ფშაველა ზოგიერთი მკვლევარი განუწყვეტლივ „დილობს, დაამტკიცოს ვაჟა-ფშაველას ოპტიმიზმი და კიდევაც ახერხებს ამას. მაგრამ ეს არ არის ვაჟა-ფშაველასთვის კეთილი ოპტიმიზმი „კერძოებულ იყოს, სიხარული, მაგრამ „დაკ, კერძოებულ იყოს სევდაც — ისინი დეიძლი დები არიან“, ამბობდა რომენ როლანი. განა შეიძლებაოდა. ისეთ დიდ შემოქმედს, როგორიც ვაჟა-ფშაველა იყო, ეცხოვრა ტრაგიკული დაძაბულობის გარეშე? — რა თქმა უნდა, არა!

იმით პასუხად, ვისაც მისი სევდა არ ენმოდ, ვაჟა-ფშაველამ დაწერა დიდებული სიმღერა:
მე რომ ტირილი მეწაფდეს,
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა,
ერთი იციან, სხვა სტირის,
ასეთი არი ქვეყანა.
ვისაც არ მოგწონს ტირილი,
ის წუ დასძვდების ჩემთანა,
მტირალის სტიერის პატრონი
ფებს როგორ გავსწვდი თქვენთანა?!
მაგრამ გაიკვებთ ერთხელა,
ვინ ახლო ვდგევართ ღმერთთანა!!

გამოჩნდა თუ არა ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ასპარეზზე, კრტიკოსებმა მისი შემოქმედების ორ თავისებურებაზე დაიწყეს კამათი. ეს თავისებურებები იყო ენა და ხალხურ პოეზიასთან სიახლოვე. ვაჟა-ფშაველას პოეტურ ენასა და მის გარშემო წარმოებულ კამათზე ზემოთ ვეცადეთ ვაღმოგვეცა ჩვენი აზრი. ახლა შევეცადებით დავახასიათოთ ვაჟა-ფშაველას ურთიერთობა ხალხურ პოეზიასთან.

როცა ლ. ტოლსტოი ამბობს: „მოთვლ ჩემს სიციცხლეში მხოლოდ ორს რუსის მოაზრე კაცს ჰქონდა დიდი ზნეობრივი გავლენა, გამიფართოვეს აზრი და ნათლად დამხატეს ჩემი შეხედულება ქვეყანაზეო“ და ასეთ იდამიანებად გლუებეს—სიუტაევის და ბონდარევის ასახლებს, ამით უარყოფს თავის თავზე რაიმე ლიტერატურულ გავლენას, თუმც, რა თქმა უნდა, სიუტაევის და ბონდარევის დაკავშირებით მართლს ამბობს. ლ. ტოლსტოი იყო გრაფი, სიუტაევი და ბონდარევი — გლეხები. განსხვავება იმაშია, რომ ვაჟა-ფშაველას კავშირს თავის სიუტაევებთან და ბონდარევებთან არც ეთქმის ურთიერთობა. ეს იყო ერთიანობა. ერთად ბრძოლა არსებობისათვის, ერთად ღებნი, ერთად ქირვარამის გადაყრა, ერთმანეთთან კონფლიქტი.

სხვა გლუებთან ერთად ვაჟა-ფშაველასაც უხდებოდა ბუნებასთან ბრძოლა სწორედ ამ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ვაჟას წარმოდგენები ბუნებაზე და იმიტომაცაა ასე მართალი ეს წარმოდგენები, რომ ბუნება ვაჟა-ფშაველას მიერ დანახულია არა მარტო როგორც პოეტის, არამედ ბუნებასთან ყოველდღიურ ურთიერთობაში მყოფი და მებრძოლი ადამიანის მიერ.

ზემოთ ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ ფშაველების პოეტურობა. თვითონ ვაჟა-ფშაველამ ამბობს: „ფშაველება პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რისაც ფშაველის თვალს და განება მისწვდომია ამას ვეღაფერხედ უთქვამს ლექსი, — მოყო-

1 „ფშაველის სიმღერა“, ვაჟა-ფშაველა ტ. 1, გვ. 44.
9. „მნათობი“, № 1

1 „სიმღერა“, ვაჟა-ფშაველას თხზ. ტ. 1, გვ. 52.



ლებელი სიოცხლიდან სიკვილაშდ და სი-
ქიომღა¹. უფრო პოეტურად დატირება გარ-
დაცვლილისა წარმოუდგენელიც კია. ლხინში
ფშაველბის პოეზია სისაუბრო, მოსალზენ სა-
შუალუბადაა ქვეული. შესიკალური ინსტრუ-
მენტის ფშაველი საერთოდ არ იყო. ჩონგური,
ალმათ ერთი საუკუნე თუ იქნება, რაც შემო-
ვიდა. ფშაველი ლამის არის, ლეჰნად არ ფიქ-
რობს: მიდის, ვთქვათ, ფშაველი მოღვესე ერ-
თა სოფლიდან მეთრეში. წვიმიანი აზინდი-
თვითონ ცხენზე ზის. გვერდზე — ძალი წო-
ბანა მიჰყვება ტენძელით. მოღვესეს მოსწყინ-
და უბრობა და ძალიწ-წობანას შეუძღვრა:

ფრთხილად იარე, წობანავ,
აქ ცუდ გზებია ზოგანა
წობანა პასუხობს:

რალა ზენდაა ცუდ გზები,
სუ ვერე დადის ქოჯანათ.

ვაჟის ბევრი ფშაველი და ხევესური მეგობარა
ჰყავდა, მგარამ ზოგიერთისა განსაკუთრებულ
გამორჩევა იცოდა ხოლმე. გამორჩეულ, განსა-
კუთრებულად ნიჭიერ ფშაველებსაგან ვაჟ-
დედ და თავისებურ ცოდნას იძენდა. ერთ არს
აქ მოსჩარხავდა, მორარეს იქ; აერთებდა
მეშაველებს: „ნამი ნამს ხყარო, ალანან იქნე-
ბავ“ — ამბობენ ზეესურებთ.

ფშავესურეთი გამოირჩევა თავისი შკაც-
რი ეთოკური კანონებით. ეს კანონები ნაწილობ-
რივ პოეზიაშია ჩამოყალიბებული. როგორც
უნდა იყოს ვაჟკაცი, როგორი უნდა იყოს ჭა-
ლი, როგორი უნდა იყოს მათ შორის ურთი-
ერთობა, გვირობა, სიყვარულ-მასპინძლობა, სიკ-
ვილა, სიოცხლე. აი იმ თემები, რომლებზეც
ფშავესურებებს ყოველთვის აინტერესებო-
და მისის ვაჟა-ფშაველა ძირითადად იმავე ეთი-
კურ მოთხოვნებს უყენებს, რასაც ფშავესურ-
ული პოეზია. კაცო უნდა იყოს შამაკი და ჭა-
ლი პატიოსანი. — აი ის ძირითადი შორალური
კანონი, რომელიც ვაჟა-ფშაველასა და ფშავე-
სურულ პოეზიას ერთი აქვთ.

„კაი ყმას“ ფშაველიც უმღეროდა და ხევესუ-
რეთშიც. ხალხმა „კაი ყმას“ პირველ რიგში მე-
გობრები მოუძებნა — ენაეც კარგი ყმა ჰკავს
და ვინც კარგ ყმას ჰკავს, უნენი არიან მგელი
და არწივი, მიუხედავად იმისა, რომ მგელი
მესაჭიროლობას პირველი მტერია და თანაც ხა-
ლბი „მგლის პირის შესაკეარ“ რიტუალსაც კი
ასრულებს, ფშავესურული პოეზია. მაინც
პატივს სცემს მგელს, როგორც ვაჟკაცის პრა-
ტობის, არწივი ხომ გვირობისა და ვაჟკაცობის
სიმბოლოა ფშავესურეთში. იგი შეედარ ვაჟ-
კაცს მსრებთი ვადაუფარებდა ხოლმე და ყო-
რნებს უგვირვებს. ყორანი კი გლოვობს, რომ
კარგი ვაჟკაციის მკლავი ვერ გამოხრია:

ჩასვლა მინდოდა, ვერ ჩაველ,
არწივს ეხურნენ მხარნი¹...
კარგს ყმას, მგელსა და არწივს ერთად ახსენებს,
ფშავესურული პოეზია.

კარგი ყმა, მგელი არწივი,
არც ერთ არ გაიწურთინება,
მგელი არ მამაწლის მგლობასა,
არწივი ნადირობასა,
კაი ყმა — მამაკობასა.
მგელი ვაიელის მთის წვერთა,
ნამი ნაბერტყი ღარჩება,
დაიხუტუნებს არწივი,
მითუ მარად ჩამოვარდება,
შხად უნდა იყოს კარგი ყმა,
რამამავე შამეარდება.²

*არწივი კარგი ვაჟკაცის ჭირისუფალია:
როცა გიგლია კვდებოდა,
მთებ სატრალზე სხდებოდა,
ერთი ბებური არწივი
ზეით ეთობეში წყრებოდა
კაი ყმა არა მარტო ომში და გასაჭირში უნ-
და იყოს კარგი, მას სხვა თვისებებიც უნდა ამ-
ყვენებდეს:

რაის კარგია კაი ყმა?
რაის კარგისა მწენლია?
— წავალს მაჰკლავს ნადირსა,
ქალაში მწეადის მწველია
დააძლებს ამხანავეებსა,
თავად მშვიერი მგელია.³

განა კარგი ყმის ასეთსავე თვისებას არ უმ-
ღერის ვაჟა-ფშაველა თავის „კაი ყმაში“:
„მიძღვინოსა საუბროსოსა
ამხანავესზე სწარავდეს“.

ხაერთო, ვაჟა-ფშაველას გენიალური ლექსი
„კაი ყმა“ ხალხური „კაი ყმის“ თემებზეა აგე-
ბული.⁴ აქაც, ისევე, როგორც ხალხურ ფრაგ-
მენტებში, კაი ყმა „ცუდლასთან“ არის დაპირის-
პირებული.

სწორედ „კაი ყმის“ მავალითვე შეიძლება
დაეასკენათ ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება
ხალხურ პოეზიასთან. ვაჟა აყეთლშობილებს
ხალხური „კაი ყმის“ ფრაგმენტებს, აერთებს

1 ყორანო, ჭირის ბოლოსა, ხალხ. სიტყვიერე-
ბა, 111, მთ. ჩიქოვანის რედ. ჩაწერილი თედო
რაზიკაშვილის მიერ, გვ. 62, № 123.

2 იქვე, კარგი ყმა, გვ. 46, № 72.

3 ვაჟა-ფშაველა, გიგლია, აკად. გამოც. ტ. 11,
გვ. 14.

4 აბა რით არის კარგი კაი ყმა, ხალხ. სიტყ-
ვა, 111, გვ. 53, № 94.

5 ამის შესახებ იხ. ზ. ზანდუელი, ვაჟა-ფშა-
ველა, გვ. 294—299, დასაბუღებულ ნაშრომში
მთხ. ზანდუელს ვრცლად აქვს მოყვანილი ვაჟა-
ფშაველას „კაი ყმის“ ხალხური პარალელები.

¹ ვაჟა-ფშაველა. „ფშაველები“. პოეზია, ტ.
7, გვ. 17.

მით და დიდებულ პიზნად წარმოვიდგენს. — ვაჟა-ფშაველა ფერტის ბუნებისა იყო.

როგორც კარგი ყვის ქებაში, ისე ცუდის ძაგებასა და სასაცილო ავლებში ხალხური პოეზია და ვაჟა-ფშაველა ერთად არიან.

ხალხური ეთიკის კანონები მთლიანად შეისის-ბლბორცა ვაჟა-ფშაველამ. მისი ლექსებისა და პოემების გმირები „კარგი ყვის“ თარგზე არიან აგებულნი: გოგითური, ზეარღიური, ჭოყოლა, ალუდა ქეთღაური, მუცალი, ლუხემი, ზეზა ვაფრინდაული, კერია, ვიგლია. საერთოდ, ვაჟა-ფშაველას ეპოსში უპაყოფითი გმირები ნაკლებად გვხვდება. „უპაყოფითის“ როლსაც ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ხალხური „ეუღლა“, რომლის ნიმუშსაც წიწილა წარმოადგენს.

ფშაველური ზნეობის ერთ-ერთი დამამყენებელი ღირსებაა სტუმარ-მასპინძლობის ელტი.

მოსვლამც თქვა კარგის სტუმრისა,
წაიდეს, წესიმც არ იყოს,
დგამცა ქნა შავის ლულისა,
გათადეს, წესიმც არ იყოს!
სიკედილი ჩემ კვალათისა,
სიციცხლე თქვენ ფერასის!

(გვ. 237, № 222)

სტუმარნი, სტუმრების მშენა,
არცა უსტუმროდ ლახია,
უსტუმროდ პერ-ღ-ღვინოთ
შწარვა, განა ტკბილია?
შვიმც ნუ შვა უსტუმროდ,
შვალს გახა თბილია.

სტუმრის მოსვლა, მისი გაჯასპინძლება დიდი ღონია ფშაველურებისათვის. იმ რას გვიამბობს ხევსურულ სტუმარმასპინძლობაზე სერგი მკაალათია:

„სტუმარს ყველანი ფეხზე უდგებიან და კარგად უმასპინძლებიან. საპატიო სტუმარს მასპინძელი ზოგჯერ ცალ მუხზე დაიპოქილავსაბურება. სტუმრის შეურაცყოფა ან დაკეპნა არ შეიძლება და ამასვე სამაგიერო პასუხი მასპინძელს მოეთხოვება.“¹ ხევსურულ სტუმარ-მასპინძლობაზე აქვს აგებული ვაჟა-ფშაველას თავისი უკვდავი პოემა „სტუმარ-მასპინძელი“. ის, რომ წოყოლა არ უღალატებს თავის მასპინძელს კანონს, რაც შემდეგ მის პირად ტრაველიში გადაიზრდება.

დასასრულ, ვაჟა-ფშაველას ფშაველურ შერობის დასაბუთებლად გვინდა მოვიყვანოთ ერთი ფაქტი. ცნობილია, რომ ფშაველურულ ეთიკის მიხედვით ვაჟაკს არა აქვს სხვა გულმხერვალება გამოიჩინოს ქალიხადმი, თუნდაც ცოლისადმი, არა თუ თავისი ვენებები და სიმპატოები ლექსებსა და სიმღერებში გამოისთვის. ამ ეთიკურმა კანონმა XIX საუკუნეში დაიწყო რღვევა: ვაჟა-ფშაველა, აღნიშნავს რა ამას, ამბობს: „მოხუცებულები ემღერებიან ლექსების შინაარსის გამოცვლას: ჩვენს დროს, ამბობენ ისინი, წაწლობისასა და უწმაწურობისას არ იმღეროდნენ“¹ ის, რომ ფშაველებსა და ხევსურებს თავის ეთიკური კანონების მიხედვით ქალთან თავდაპირილობა და გულგრილობა მართებდა, ჩვენი აზრით, ამ ხალხის სპარტანულ მისწრაფებებზე მეტყველებს. ამის გამო ფშაველურულ პოეზიაში უკანასკნელ დრომდე არ იყო წარმოდგენილი სატრაგიკო ღირსება (თუ იყო, ისიც ძალიან ცოტა).

ამ მხრე საგულისხმოა ვაჟა-ფშაველას პოეზია. აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას სატრაგიკო თემაზე სულ 9-10 ლექსი თუ აქვს დაწერილი.

საერთოდ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასა და ცხოვრებაზე დამკვირვებელს თვალში ეცემა ერთი რამ: ვაჟა-ფშაველა, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაშიც დიდ ანგარიშს უწყევს ფშაველურულ ეთიკას, მის კანონებს, რასაც არ უნდა ეხებოდნენ ისინი, თითქოს ფშაველურეთი იყოს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი მოსამართლე.

ვაჟა-ფშაველას დიდი შემოქმედების შესახებ ფიქრობ, შეეძლო თუ არა ერთ ადამიანს ამდენი „ეოდება-ბარლის“ დატრიალება, ასეთი თვითშეფიქრი და თავისებური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. შეეძლო და შეეძლო მხოლოდ ისეთ შემოქმედს, რომელიც ხალხის აზრის პირნაბან წყალს არ დაიწუნებდა. ჩაპუდავდა, დამკვლევდა.

ჩვენი აზრით, თუ მკვლევარს უნდა, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მშვიდობიანად იმოგზაუროს, კარგად უნდა გაითვალისწინოს ფშაველა და ვაჟა-ფშაველას მჭიდრო ურთიერთობა მასთან.

¹ ს. მკაალათია, ხევსურეთი, ტფილისი, 1935, გვ. 104—105.

¹ ვაჟა-ფშაველა, „ფშაველები“, პოეზია, ტ. V, გვ. 17.

შოთა ძიძიძე

ილია ჭავჭავაძე და ქართული დემოკრატია

ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, წინაშე იმთავითვე მწვავედ დაისვა ქართული ლექსიკონისა და ფრაზეოლოგიის პრობლემა. ახალი ქართული სამწერლო ენის სტრუქტურის დამკვიდრება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა ლექსიკონის გადახალისებას და იმ დრომომკმული სიტყვობრივი მასალის უწყვეტებას, რომელიც სათავეებს არქაულ ლექსიკაში პოულობდა. იმდროინდელი ქართული ლიტერატურის მასაზრდოვებელი წყარო ძველ საუკუნეებში შემუშავებული ლექსიკური მარაგი იყო, ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე სიტყვებსა და გამოთქმებს მწერლობაში გზა გადაკეტილი ჰქონდა; არქაისტები თავგამოდებით ებრძოდნენ ისეთი ლექსიკური ერთეულების შემოტანას მწიგნობრულ ენაში, რომლებიც ნიშანდობლივი იყო ე. წ. „მდაბიური მეტყველებისათვის“ და არ ეგუებოდნენ ტრადიციული ლექსიკის ტრაფარეტს. ფეოდალურ-კლერიკალური იდეოლოგიის წარმომადგენლები აღიარებდნენ „მაღალი შტილის“ ფორმების დანერგვას და ენის დაქვეითების საწინდრად მიიჩნევდნენ ხალხური ძირეული სიტყვების ამოტივტივებას მწერლობის ენაში.

ახალი სალიტერატურო ენის კანონიზაციის ინტერესი მოითხოვდა, ერთი მხრივ, თეორიულად დასაბუთებულყოფიერ არქაიზებული სიტყვიერი ფონდის დრომომკმულობა და, მეორე მხრივ, ლიტერატურული პრაქტიკის გზით განხორციელებულიყო ქართული ენის ლექსიკის დემოკრატიზაცია. ეს ძალიან

რთული პროცესი იყო, და ილია ჭავჭავაძემ ამ მიმართულებით მეტად გაბედული ნაბიჯები გადადგა.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ, ილიას აზრით, ლექსიკაზე დაკვირვება, ძირეულად ქართული სიტყვების ანალიზი საგულისხმო დასკვნებს გამოგვატანინებს ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ; ბევრი ქართული სიტყვა „ცოცხალი მოწმეა“ გარდასული საუკუნეებისა, უტყუარი დამადასტურებელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვლილი საფეხურებისა. ამგვარი ისტორიული მიდგომის მშვენიერი ნიმუშია ისეთი სიტყვების ანალიზი, რომლებიც აგებულია „წყალ“ ფუძეზე. „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობლები არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მოწყალე, შემოწყალე, მოწყალეა“? — ამბობს ილია. — აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია! ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ეს „საუცხოო და გონება-მახვილი დაკვირვებაა!“¹

ასეთივე გონება-მახვილურია სიტყვების — „მიცვალება“ — „მიცვალებული“, „გათხოვება“ — „მითხოვება“ — გაგება. განა ამგვარივე არ არის „სიტყვა მიცვალება, მიცვალებული, რომელიც

¹ ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია: ენიშენის წიგნი, II, 1937, გვ. 12.

მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარაჩევნებს, არამედ გარდაცვლას, სხვა სახედ გადასვლას? ნუთუ ამაში ვონების ხელმოსაკიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტუყური აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია?" ან „ქალის გათხოვება, მითხოვება განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია? განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ?" (1889 წ., აი ისტორია. თხზ. ტ. V გვ. 98).

პირველად ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში გვაქვს მთელი რიგი რთული სიტყვები (კომპოზიტები), რომლებშიც მონაწილეობს სიტყვა „დედა“. „ქართველებისათვის დედა მარტო მშობელი არ არის.—ამბობს ილია. — ქართველი ღვიძლს ენასაც დედა-ენას ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს, მკვიდრ და დიდ ზოძს სახლისას— დედა-ზოძს, უდიდესს და უმაგრესს ბურჯს — დედა-ბურჯს, სამთაერო აზრს — დედა-აზრს, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — გუთნისდედას. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავლგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი“ (1898 წ., პატარა საუბარი, თხზ. IX, გვ. 245).

დიდად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა იმ სიტყვების თაობაზე, რომლებიც შინაარსობრივად გამოიფიტენ, გაღარიბდნენ და ვეღარ გამოხატავენ მათში ჩაქსოვილ ცნებას. ამგვარი სიტყვა, ილიას რწმენით, ჩვენი დღევანდელი ენის დაქვეითების მომასწავებელია და ამიტომ საჭიროა ზრუნვა მათი ისტორიული უფლებების აღდგენისათვის. „დადნა საგანი, დადნა სახელიცა“— ამ ფორმულით მონათლა ილია ჭავჭავაძემ ცნებაგაღარიბებული სიტყვები,

რომლებიც მკვერმეტყველური დადასტურებაა იმდროინდელი საქართველოებრივი ცხოვრების დაკნინებისა და ვადგავარებისა. ასეთია, მაგალითად, სიტყვა „მამული“. „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი მიწა წარმოუდგება ხოლმეო“, ამბობს ილია. ეს ზოგადი ცნების, სამშობლო ქვეყნის, აღმნიშვნელი სიტყვა გამოიფიტა, დავიწროვდა და ამ პროცესს ილია ჭავჭავაძე უკავშირებს იმ იდეის გაქრობას, რომელიც ჩამარხულია ხსენებულ სიტყვაში. „მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქალღმერთზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევა მოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტურქული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნებვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შეილობა — მხენელისა და მთესველის სახელი-ღაა“ (1876 წ., საქართველო. თხზ. IV გვ. 155).

ამ ამონაწერის ქვეტექსტი არაა ძნელი მისახვედრი და, ამდენად, ზემოხსენებული მსჯელობა არ შეიძლება გავიგოთ როგორც ტერმინის ვიწრო ლინგვისტური ინტერპრეტაცია.

სწორედ დიდმა ილიამ აღადგინა თავის მხატვრულ ენაში სიტყვა „მამული“ ადრინდელი გაგება და საბოლოოდ დააკანონა იგი ქართულ ენაში, როგორც „სამშობლოს“ სინონიმი.

ფორმულის — „დადნა საგანი, დადნა სახელიცა“ მშვენიერი დადასტურებაა აგრეთვე ქართული სიტყვა — დედა-კაცი. ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ეს მშვენიერი სიტყვა „დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა... დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია... დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელი-ღაა, თითქოს „კაცი-დედა“ მარტო მათლა შერჩენიათ... დღეს „დედაკაცი“ რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს“ უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, თა-

კილებს: „მე ქალი ვარ და არა დედაკაციო, თითქოს ქართული „დედაკაცი“ და რუსული „Баба“ ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი! „დედაკაცი“—ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი „ქალად“ დავანდეთ!.. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ დაჯარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ!“ („პატარა საუბარო“).

ეს მსჯელობა კომენტარს არ საჭიროებს.

უაღრესად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის „მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზე“ (ივ. ჭავჭავაძის შრომა).

ასე, მაგალითად, ილია არკვევს აჩუა სიტყვის წარმომავლობას და ამბობს: „ვთქვათ შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა აჩუა. საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვით. თუ კვალში ჩაუღვდებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოეჩხრკეთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად *arva*, ზენდურად *arpa*, ლათინურად *equus*, ირლანდიურად *eel*, ლიტუვურად *aszwa* ცხენს ნიშნავს და ყველაგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური აჩუა“ (თხზ. V, გვ. 22).

ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ივ. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებით მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაც... მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახვა, თუ რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკით-

ხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით! ილია ჭავჭავაძე მეთოდოლოგიურად უთუოდ მყარ ნიადაგზე იდგა, როდესაც მოითხოვდა ინტერნაციონალური ლექსიკის დანერგვას ჩვენს ენაში. ყოველი კულტურული ენა ივსება და მდიდრდება საერთაშორისო ტერმინებით, რომლებიც ზუსტად და ზედმიწევნით გამოხატავენ სათანადო ცნებებს. ძველი თაობის წარმომადგენლები ილიას უსაყვედურებდნენ, რომ მან, პირველმა, შემოიტანა სალიტერატურო ქართულში მთელი რიგი უცხოური სიტყვები: „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ენას არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებსო“, აცხადებდა ილია. „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგვარი სიტყვები..., მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს... არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ“ (1861 წ. თხზ. IV, გვ. 57). ილიას დაუწუნეს, მაგალითად, სიტყვა „კრიტიკის“ შემოღება. ილია ამბობდა, რომ „ამის თანასწორ-მნაშენელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ... „კრიტიკა“ არის განხილვა, გაჩხრკევა, გარკვევა, გარჩევა და დაფასება ერთად“. ილია, ამავე დროს, იმასაც მიუთითებდა, რომ მრავალი სიტყვაა ქართულში დანერგილი აღმოსავლური ენების გავლენით, — ისინი ჟამთა ვითარებაში შეიწოვა ჩვენმა ენამ, გავრცელდა და საბოლოოდ შეესისხლხორცა ენის ორგანიზმს. ასევე ბუნებრივი და ორგანული გაბდება ქართული ლექსიკონისათვის ევროპის ენებიდან მომდინარე ინტერნაციონალური სიტყვებიც, დაასკვნოდა, სავსებით სამართლიანად, დიდი ილია. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სიტყვების დანერგვის აუცილებლობა ილიამ დაასაბუთა ქართული ლექსი-

¹ ივ. ჭავჭავაძის, დასახულებული წერილი, გვ. 12.

კის ისტორიული განვითარების ფონზე.

მეცნიერებისა და ტექნიკის საერთაშორისო ტერმინების შემოღება არ ნიშნავს საკუთარი სიტყვიერი მასალის უგულვებელყოფას. თუ ვინის ლექსიკურ დაფენებაში მოიძებნება რომელიმე საერთაშორისო სიტყვის ეკვივალენტი, საჭიროა მისი ამოტივტივება და დანერგვა. ეს დებულება კარგად ჰქონდა შეგნებული ილ. ჭავჭავაძეს. ასე, მაგალითად, იგი ამბობდა: „ღალას ჩვენს წერილებში იმ აზრით ვხმარობთ, როგორც რენტაო“. მიწის ნაკვეთს გერმანიაში მორგელობით ანგარიშობენ. ილია ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „მორგენი დილაა ნემეცურად. როგორც ჩვენში ერთ დღეს მოიხვნის, ერთ დღიურს ეძახიან და უდრის ჩვენს ნახევარ დღიურს“.

ილია ჭავჭავაძე სასტიკად გმობდა ამა თუ იმ ტერმინის შემუშავებას სხვა ენის შესაბამისი ტერმინის ბრმა თარგმანის გზით. მაგალითად, მას არ მოსწონდა „უარყოფელობა“ რომელიც რუსული отрицание-ს მაგალითობაა შედგენილი. „უარყოფელობა“, ილიას აზრით, „არას“ თქმაა, ანუ, — მდებარედ რომ მოვახსენოთ, ჩვენებურად, ქართულად — ჰაშას კვრა და სხვა არაფერი“. ეს სიტყვა (აშას კვრა) მან ერთ-ერთ წერილში იხმარა: „გვიანლაა ასეთის აშის კვრა და მით უფრო განსაცვიფრებელი, რომ სწორედ იმავე ნომერში, საცა ამ ჩვენის ღრობების რაინდს ჩათუქესნობას უქებენ, ამ საგანზე რა სწერია“ (1893 წ.).¹ ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ილიას მსჯელობა ტერმინ „მონახევრობის“ შესახებ. მოუყვამინოთ მწერალს: „იმგვარს ადგილ-მამულის ჰერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწის-

მომქმედს წილში უდგას, ევროპაში, თუ რუსეთში „მონახევრობას“ ეძახიან, ჩვენში კი „წილზედ-ჰერას“ იტყვიან“. ილია იძლევა ევროპული ტერმინის ახსნას: „სიტყვა მონახევრობა ევროპაში წარმოსდგა იქიდან, რომ უფრო ბევრგან პატრონის წილად — ღალა ნამუშევრის ნახევარი იყო“. დღევანდელი გაგება ამ ცნებისა სხვაა. ილია განაგრძობს: „ეხლა კი ვგ სახელი საზოგადოდ წილზედ-ჰერას ჰქვიან, ნახევარი იქნება, მე-სამედი, თუ მეოთხედი — სულ ერთია“. ილიას ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილად მიაჩნია ვინმაროთ ტერმინი „წილზედ-ჰერა“ (თხ. VIII, გვ. 12).

ილია ჭავჭავაძე მკაცრ მომთხოვნელობას იჩენს მეცნიერული ტერმინოლოგიის დარგში და თავის პოლემიკურ წერილებში ხშირად მოკამათებებს უკუჩინებს ამა თუ იმ სიტყვის შინაარსობრივი დიფერენციაციის გაუთვალისწინებლობას, ტერმინის არასაკმარისი სიზუსტით გამოყენებას. მართალია, „ლექსიკონი ვულგარულს, თუ უკაცროდ არ ვიქნები, ქუჩურს მნიშვნელობასაც სიტყვისას ანგარიშს უწევს, მოვალეა ამ მხრითაც სიტყვა ახსნას“, მაგრამ „სიტყვა მარტო ამ მნიშვნელობით საგულისხმოა?“ ილია მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისაგან რომელიმე სიტყვის გამოყენებას ჩვეულებრივს სიტყვახმარებაში და იმავე სიტყვის ხმარებას მეცნიერული ტერმინის მნიშვნელობით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილიას შენიშვნა სიტყვა კაპიტალის გამო. იგი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა „საყოველღლეო, საყველ-პურო საუბარში ხშირად იხმარება ვითარცა ფულადი ქონება აღმამინისა“. მაგრამ ეს არ არის „მეცნიერული მნიშვნელობა ამ სიტყვისა...“ დებულების საილუსტრაციოდ მწერალი ამ საესებით მოხდენილად იმომებს კარლ მარქსის გენიალურ თხზულებას: „განა იგი „კაპიტალი“, რომლის ახსნასაც სახელოვანმა მარქსმა სამი ტომი თხზულება მოანდომა, და ეს საყველ-პუროდ

¹ შტრ. ს. მაკლობდიშვილი: „ღრობა გრება კნახმა ამა მკრახ ას თუმახსქ მითხრას, თურმე შენი არა მა. რთება-ოაო“ (თხ. II, გვ. 22). „აშა“ არარულია წარმოშობით და ნ. შნ. ვი: „ღმერთმა დაიფოო“, „ღმერთმა ნუ ქაა“, რაც იგივე უარყოფაა.

ხსენებული „კაპიტალი“ ერთი და იგივეა? (1900 წ. ახალი უმეცრებანი ბნოე ჟორდანიასი. თხ. IX, გვ. 141).

ილია ჭავჭავაძეს სწორი მოსაზრება აქვს გამოთქმული სიტყვათა მეცნიერული განმარტების თაობაზე. იგი, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლექსიკონი მოვალეა აღნუსხოს ლექსიკური ერთეულის—სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში.

განუზომელია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დარგში. იგი აქტიური წევრი იყო ტერმინების შემმუშავებელი კომისიისა და მის ავტორიტეტულ სიტყვას მეცნიერებისა და ტექნიკის ცნებათა ქართულად დადგენის საქმეში მუდამ ანგარიში ეწეოდა. საინტერესოა მიმდინარეობა ტერმინოლოგიური კომისიის ერთი კრებისა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართული ენის მოკირანახულე ჩვენი სახელოვანი მწერლები. აი ამ კრების მსვლელობაც: „20 ნოემბერს 1882 წ. ტფილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში შესდგა კრება, თ. რაფ. ერისთავის თავმჯდომარეობით. ბ. ღულაძემ მოახსენა კრებას, რომ ამ საღამოსათვის უნდა ყოფილიყო სჯა არითმეტიკაში და ფიზიკაში სახმარს ტერმინებზე. ეს ტერმინები მე კიდევ შევკრიბეო.“

ატყდა ბაასი, თუ როგორ შესდგომოდნენ ტერმინების შემუშავებას. თ. რაფ. ერისთავი, ავ. წერეთელი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ საჭირო არის თავიდან შევიტყოთ, თუ რა და რა ტერმინები გვაქვს ჩვენს ქართულს ენაზედ, ძველ წიგნებში ნახმარი, რომელნიც ახლა დავიწყებული არისო.

ამათ წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ ბ. ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი. მაჩაბელი, ღულაძე, ესენი ამტკიცებდნენ: თუ აგრე შევუდგეით ჩვენ საქმეს, შორს წავაო და სარგებლობა კი დიდი არ იქნე-

ბაო, რადგან შეიძლება ჩვენ ძველ წიგნებში ის სიტყვები ცუდად იყოს ნახმარი, რომელნიც ჩვენ გვეჭირვებოდა მისთვის უმჯობესი არის, კრება აქიდანვე შეუდგეს ტერმინების შემუშავებას და დრო არ დაკარგოს ძველის წიგნების ჩიჩქნაშიო.

ბოლოს კრება დათანხმდა ბ. ჭავჭავაძის აზრს და შეუდგა საქმეს. ტერმინების შერჩევა დაიწყო არითმეტიკიდან“ („შრომა“, 1882 წ., № 46, გვ. 3).

ბევრზე ბევრი სიტყვა გადმოაქართულა ილია ჭავჭავაძემ რუსული ენიდან. მის ნაწერებში გაბნეულია ქართულ-რუსული შესატყვისობანი, რუსული სპეციალური ტერმინების ქართული შესაბამისი სიტყვები, რომელთა დამკვეთდრება ილიას მიზანშეწონილად მიანდა.¹ ასეთებია, მაგალითად, შემდეგი პარალელური რიგები: ადგილობრივი თვითმართველობა местное самоуправление, აღებ-მიცემობა—обмен, ერთობა—земство, ეროვნება—народность, თვითმართველობა—самоуправление, მამრიგებელი შუამდგომელი—мировой посредник, მოხელე—чиновник, რწმუნება—верования, საკონლო—надел, სოფლობა—сход, ქცევა საქონლისა—обращение товаров, ღირებულება—ценность, ცალი—единица, ცილება—соперничество, წკრილმანი დანაშაული—маловажные преступления, ხელთმოქმედება—промышленность, производство, და სხვ. ამგვარი ნიმუშები დაახლოებით 85-მდეა ილიას ნაწერებში. რა ვუყოთ. რომ ამ 85-დან ზოგიერთმა ტერმინმენაში ვერ მოიკიდა ფეხი, — ახალ ტერმინების შექმნა საერთოდ დიდად საძნელო რამ არის, — მთავარი ისაა, რომ მრავალი ილიასეული ტერმინმარჯვეა და ქართული ენის ყაიდაზე აგებული, ამჟამად დამკვიდრებული და ფესვგადგმული ჩვენს მეტყველებაში.

¹ იხ. ა. შანიძე, ი. ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დაქვედრებისათვის „ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული“, 1939, გვ. 24.

შავალითად, მოქალაქეობრივობა ვერ პოვა სიტყვებმა „ცალი“ (единица ამჟამად მიღებულია „ერთული“). „ნამდვილი მკნიერება“ (точная наука. ამჟამად მიღებულია „ზუსტი მეცნიერება“) და სხვ.

პეტრე უმიკაშვილის ცნობით, ილია ჭავჭავაძემ შექმნა სიტყვა **მიმართულე**ბა. აი რას ამბობს უმიკაშვილი: „ილია ჭავჭავაძემ მისცა... ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურასა. იმის კრიტიკულ სტატიამდინ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა. თვით ამ სიტყვის შემოღება — „მიმართულება“ ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის“ (1872 წ. „კრებული“, №9. ვადმობეჭდილია ქრესტომათიაში: „ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის“, II ს. ხუციშვილის რედ., გვ. 161). იონა მეუნარგიას ცნობით, ილიას მიეწერება სიტყვები **ძალთა სწრაფვა**, **თვალთახედვის ისარი** (ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 195). ილიასეულია აგრეთვე სიტყვები: **შინაარსი**, **აგებულე**ბა და სხვ.

მიმართულება, **აგებულე**ბა, **შინაარსი** და სხვ. სიტყვები სამუდამოდ შევიდნენ ლექსიკონში, როგორც ქართული ენის მორფოლოგიური კანონების მიხედვით შემუშავებული ნეოლოგიზმები.

როგორც პროფ. ა. შანიძემ გამოარკვეია, ილია ჭავჭავაძემ შოთა რუსთაველის გავლენით გააცოცხლა უარყოფითი „არ“ ნაწილაკის ხმარება სიტყვათა საწარმოებლად.¹

მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ ხშირია ასეთი ფორმები: „**არ-გათენება** დილისა“, „**შენ არ-გატება** კარგი გვირს“, „**არ-გაშვებული** ხეხითა“, „**არ-გაწირვა** ჩემგან მტეციბოს“, „**არ-დავიწყება** მოყვრისა“, „**არ-დაჩენა** ქირთა, მალვა“, „**ჰამისა არ-მოწყენისა**“, „**მადირსა** აქამდის **არ-ღირსებული**“, „**ბოლოდ** მისი **არ-წახლომა**“ და მისთანანი.

ილია ხშირად ხმარობს მსგავს ფორ-

მებს: **არ-გახაწყვეტი**, **არ-დახაცალბე**ლი, **არ-გაითხული**, **არ-გაჯვთება**, **არ-ხმარება**, **არ-შესახლებელი**, **არ-ქონა**, **არ-მყოფობა** და სხვა.

ახალი სიტყვატერმინების დამკვიდრება, საერთოდ, არ ხდება ერთბაშად და უმტკივნეულოდ. შეჩვევის მომენტს, ამ პროცესში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ეს გარემოება კარგად აქვს გათვალისწინებული ილია ჭავჭავაძეს, როცა იგი მსჯელობს სიძნელეებზე, რომლებიც აღიმართება პირველხანად ახალი სიტყვის გავრცელების დროს, რაგინდ ეს ახალი სიტყვა ენის მორფოლოგიის კანონების მიხედვით იყოს შედგენილი და შემუშავებული. ილიას არ გამოჰპარვია ახლადდაბადებული სიტყვის თუ ტერმინის ფეხის ადგმის სირთულენი და მკითხველს ერთგვარი მობოდიშებით მიმართავდა: „**ბოდის** ვიხლით ჩვენს მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მიძიმა და აღვილად გასაგები არ არის; იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული“ (თხზ. VIII, გვ. 160), და შემდეგ: „**რაც უნდა** კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი იმ სიტყვას ახალს მნიშვნელობას მისცემ, ისიც გაუგებარი იქნება ჯერ ხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვების აზრს **შევეჩვევი**თ თავის დროზე, მაგრამ მანამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონი“ (ტ. IV, გვ. 401. ხაზი ჩემია—შ. ძ.).

მართალი ბრძანებაა! სიტყვის „**მოშინაურების**“ ხვედრი აქ ლაკონურად და სრული ჭეშმარიტებით არის დახასიათებული. ბევრი „**ბნელი**“ და „**ძნელად** გასაგონი“ ილიასეული სიტყვა-გამოთქმა, როგორც ვიცით, საბოლოოდ „**მოშინაურდა**“ ქართულ მეტყველებაში,

¹ ა. შანიძე, იგვე,

რაკი ისინი ჩვენი ენის ბუნებისა და თვისების მიხედვით არიან შექმნილნი.

იმდროინდელ სამწერლო ენაში ფხვს იყიდებდნენ არაბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციები, უცხოური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც არ ეგუებოდნენ ქართული ენის შინაგან კანონზომიერებას. რუსული ენის მეშვეობით ბევრი საერთაშორისო სიტყვა შემოვიდა ქართულ მწერლობაში, — პირველი გაბედული ნაბიჯები ამ სფეროში, როგორც ზემოთ დავარწმუნდით, თვით ილიას მიერ იყო გადადგმული. მაგრამ სხვა არის ლექსიკური ერთეულების შემოტანა და სხვა — წინადადებების წყობის, სინტაქსური კონსტრუქციების შეცვლა განსხვავებული სისტემის ენის გავლენით. სინტაქსური რუსიციზმის დამკვიდრება უთუოდ საზიანო იყო ქართული ენისათვის. იცვლებოდა ბუნებრივი ქართული გამოთქმები, ვრცელდებოდა სპეციფიკური რუსული ფრაზეოლოგიური შეხამებანი და დავიწყებას ეძლეოდა მათი ფარდი ქართული შესატყვისობანი, იბღალებოდა „ენის სული“, როგორც კარლ მარქსი იტყვოდა. ამ მავნე ტენდენციების აქტივობის უმთავრესად ხელს უწყობდა უხეირო, სიტყვასიტყვითი თარგმანები, სადაც ანგარიში არ ეწეოდა ჩვენი ენის ნიშანდობლივ თვისებებებს, საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ ბუნებრივ ენობრივ ფორმებს.

ილია ჭავჭავაძე სასტიკად გმობდა ქართული ენის შერყვნისა და დამახინჩების ამგვარ ტენდენციებს.

იაკობ მანსეცტაშვილი თავის მემუარებში საინტერესო ცნობებს გვაწვდის, თუ როგორ ასწორებდა ილია რედაქციაში შემოსულ მასალებს და როგორ „რანდავდა და აშალაშინებდა“ ქართული ენის ყაიდაზე რუსიციზმებით აღსავსე კორესპონდენციებს. ამ მხრივ გამოირჩეოდა თურმე ცნობილი პუბლიცისტის ილია ხონელის ნაწერები. ილია ჭავჭავაძე დაიწყებდა ილია ხონელის წერილების „ქართულად მონათვლას...

შევიდოდა სიტყვიერების სივრცესიღრმეში, დაიწყებდა მეტყველების „სალაროში კვლევა-ძიებას, ძებნას, მაღულო ძალებისას და ქართულ ენის სიმდიდრიდან... მარგალიტებს გადმოგვიფენდა ერთ-ერთ ამ საგანძურს ჩავსვამდით იმ ადგილს, სადაც... რუსიციზმი იჭდა, ფელეტონს სულ სხვა ფერი დაედებოდა, ქართული ნათელ-მირონი ეცხებოდა“ (მოგონებანი, გვ. 78).

ჩვენამდის მოაღწია ერთმა დოკუმენტმა, რომელიც, როგორც ა. შანიძე ამბობს, უთუოდ ილიას ფაოსნობით არის შედგენილი. ეს არის უწყება სხდომის შესახებ, რომელიც „ივერიის“ რედაქციაში უნდა შემდგარიყო და რომელსაც სადავო გრამატიკული საკითხები უნდა გადაეწყვიტა.

აქედან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ ენობრივ პრაქტიკაში ებრძოდა ქართულ ენაში არაბუნებრივი კონსტრუქციების გაბატონებას, არამედ თეორიულად განიხილავდა ქართული წინადადების აგებულების საკითხს და ასაბუთებდა ნიშანდობლივი სინტაქსური კონსტრუქციების დამკვიდრებას, ნაცვლად სხვა ენის სინამდვილეში შემუშავებული ფორმებისა.

როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძე აღგენდა ქართული ენის ლექსიკონს. ცნობა ამის შესახებ გამოაქვეყნა ა. შანიძემ. ივ. ჭავჭავაძის შანიძისათვის უამბია, რომ პროფ. სპ. ვირსალაძისათვის ილიას თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში უჩვენებია კარგა მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც ქართული ენის ლექსიკონს წარმოადგენდაო. ილიას უთქმავს: ლექსიკონზე დიდი ხანია ვმუშაობ, ახლა მინდა დავასრულო და დავბეჭდო და შემდეგ თუ მოკვდები, არა უშავს რაო (იხ. ა. შანიძის ზემოხსენებული ნაშრომი, გვ. 26). ეს ხელნაწერი დაკარგულად ითვლება.

1958 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ილიასეული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს

სალექსიკონო მასალას.¹ სავარაუდებელია, ეს არის ფრაგმენტები ზემოხსენებული ლექსიკოგრაფიული ნაშრომისა. ილია ჭავჭავაძის რომ აწუხებდა ახალი ქართული ლექსიკონის უქონლობა, ეს კარგად ჩანს შემდეგიდანაც: 90-იან წლებში „ივერია“ მოითხოვდა, რომ ლექსიკონის შედგენა მიენდოთ „მცოდნე და სანდო კაცთათვის“. გ. ზეთის სარდაქციო წერილში ნათქვამია (№ 118): ჩუბინაშვილის ლექსიკონების „მოთხოვნისებზე ჩვენს ქართულ საზოგადოებაში ამჟამად ფრიად დიდია და არსებული ძველი ლექსიკონებიც მრავალსაქირო სიტყვის უქონლობის გამო შრომისათვის ვერ გამოდგება. ამ მხრივ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები მცოდნე და სანდო კაცთაგან უნდა იქნას შევსებულ-შემუშავებული, რისთვისაც ქართველ საზოგადოების მოვალეობა იყო, აერჩია კომისია ენის საუკეთესო მცოდნეთა საქართველოს ყველა კუთხეში და ამათთვის მიენდოთ იმათი გადასინჯვა და შევსება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა“, და სხვ.

ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებულ სალექსიკონო მასალაში გვხვდება როგორც ბიბლიური ტექსტებიდან ამოკრებილი სიტყვები, ისე საერთო თხზულებებიდან შერჩეული ლექსიკური ერთეულები (დაწერილებით იხ. ჩვენი გამოკვლევა, რომელიც ერთვის ილიასეულ ლექსიკონს).

დასასრულ, ერთობ საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის დაინტერესება ერთ-ერთი ქართველური ენის — სევანურის ლექსიკონით.

ილიასეულ ხელნაწერთა ფონდში, სადაც დაცულია ქართული სალექსიკონო მასალა, მოქცეულია ქართულ-სევანური

ლექსიკონის მასალაც. აქ განმარტებულია 111 სიტყვა. ხელნაწერი შესრულებულია სხვა ხელით (ეს ლექსიკონი, ვა მოქვეყნებულია ჩვენ მიერ: იხ. ზემოხსენებული ილიასეული ლექსიკონი, შენიშვნები, გვ. 180-182). უთუოდ ეს ქართულ-სევანური შესატყვისობანი ილიას დავალებითაა შედგენილი. ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ამ მომცრო ლექსიკონის ავტორია ბესარიონ ნიყარაძე¹ (იხ. ჩვენი შენიშვნები, გვ. 181). აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: აქ შერჩეულია ქართულ-სევანური საერთო ძირის სიტყვები! ეტყობა, ილიას აინტერესებდა, სალექსიკონო მასალაში აღნუსხულიყო ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთი შეხედვითაც ერთმანეთის შესაგავსია, საერთო ძირეული ფონდის კუთვნილებია.

არ არის შემთხვევითი, რომ „ივერია“ ყურადღებას ამახვილებდა ქართულ-სევანური ლექსიკონის ერთობლიობაზე (სევანური „...ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია“. საილუსტრაციოდ დამოწმებულია ქართულ-სევანური საერთო სიტყვები, ოდნავი ფონეტიკური სხვაობით: № 28, 1904 წ.; 1891 წლის № 126-ში დაბეჭდილია იმავე ბეს. ნიყარაძის წერილი: „ქართული ენის გავრცელება სევანეთში“ და სხვ. და სხვ.).

ასეთია ერთი თვალის გადავლებით, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ქართულ ლექსიკო-ფრაზეოლოგიაზე და ის განუზომელი ამაგი, რომელიც დასდო დიდმა მწერალმა ჩვენი ენის სიტყვობრივი მარაგის გამომზეურებას.

¹ ახლ. ხან გამოქვეყნდა ბეს. ნიყარაძის „ისტორიულ-ეტიმოლოგიური ენობრივი“ აღწერის ორგანიზაციით. რედაქტორი ჩვენ მიერ გამოთქმულ ე. რაქვ ადასტურება: ნას მუყა რებია ილიასეულ ფონდში დაცული სევანური ლექსიკონის ახლანდელი ხელნაწერი ბესარიონ ნიყარაძის ხელნაწერებთან და შესაგავსება დაუდგენია (გვ. 25).

¹ ილია ჭავჭავაძის, სალექსიკონო მასალა. კუბელიკაცია და შენიშვნები შოთა ძ. ბაგრატიანი. „მნათობი“, № 10, 1958.

პროფ. ნ. ხარაგიშვილი

ილია ჭავჭავაძე და ყვარელი

დღესაც არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ვინაობა, რომ მას შემდეგ, რაც 10 წლის ილია ყვარელიდან წამოიყვანეს თბილისში სასწავლებლად, იგი სრულიად მოწყვდა ყვარელს, თავის შემოხმობიერ კერას. მათი აზრით, ყვარელს არავითარი საზარდო არ მიუტყია ილიას პოეტური შემოქმედებისათვის და ამიტომ ყვარელს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მნიშვნელობა არა აქვს.

ასეთი ადამიანები ილიას ცხოვრებას და მოღვაწეობას საგურამოსა და თბილისს უკავშირებენ. მათ ავიწყდებათ, რომ ილიამ პირველად ყვარლის პაერთი ისტუმბა, თავისი მოვლევარე თვალბოც პირველად ყვარელში აახილა და პირველად ყვარელის ლავარდოვან ცაბ შეზღა. თავისი კოშკის ბუდიდან პირველად ყვარლის ბუნებას გადახედა და დაინახა ტყით დაფარული ყვარლის ლამაზი გორები, ცამდო აწვდილი წინიკას ციხე და მის ფერდობიდან მომხმუნებ ანკარა წყაროები — მდინარე ბურსისა და დურტუის სათავეები.

ილიამ აქ აიღვა ფეხი, ყვარელში ამოიღვა თავისი მკვირმეტყველი, მეზარბოლი და მახვილი ენა, რომლითაც შემდეგ იცავდა სიმართლესა და კაცთმოყვარობას. ქაბუც ილიას გულს პირველად აქ, ყვარელში, მოხვდა სიყვარულის ნაპერწყალი, რომელმაც აათროლა მისი მღელვარე გული, ილიამ პირველად აქ ნახა პატრონობის ბორბტბანი, თავისფლებისათვის მეზარბოლი ზაქრო და კაკო, ილიამ ქართული ენა ასე ბრწყინვალედ ყვარელში შეაწავლა, მისი შესანიშნავი მასწავლებლები იყვნენ დედა, მამიდა, „ვეფხისტყაოსანი“ და სოფლის სკოლის მასწავლებელი.

ილიას ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა დედამ, — იმ დროისათვის განათლებულმა ქალმა მარამ (მადანა) ქრისტიანობის ასეულმა ბებურიფილმა, რომელმაც მომავალ პოეტს ქართული მწერლობა და ხალხური შემოქმედება შეაყვარა.

„დედაჩემმა, — წერს ილია, — მშენიერად იყოდა მამინდელი ქართული მწერლობა, სულ ზეპირად ჰქონდა დასწავილი თითქმის ყველა ნაწესები და ძველებური მოთხრობა... საღამო-

ბით დავცვამდა ბავშვებსა და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს“.

წერა-კითხვა ილიამ ოჯახში შეისწავლა და აქვე გაეცნო უცვადვი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

ილია დაიბლდა, შემდეგ მას ზრდიდა მამიდა მაკრინე, რომელიც აგრეთვე თავის დროისათვის განათლებული ქალი იყო. მანაც კეთილმყოფელი გავლენა იქონია ილიაზე.

ილია წერს მაკრინეს: „საყვარელო მამიდაჩემ! მე თქვენთან ყოფნა მინდა იმისათვის, რომ ბოლოს ვინც თქვენ პატარაობაში დიდი მზარუნველობით გამოშზარდეთ, ეხლა იმან თქვენის ათსანიარ შრომისათვის ხელის გულზე ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე დაუვიწყარია... და უცვადვი არის ჩემთვის, მე, რომ მინდა მანუ (ყვარელში) ვაღმოსვლა, იმიტომ უფრო, რომ თქვენთან ვაბლდვ და ჩემი დღენი თქვენს პატრვისცემაში, სიამოვნებაში დავლოო“...

8 წლის ილია მშობლებმა 1845 წელს მიამარეს სოფლის საშინაო კერძო მთავრის სკოლაში. წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად მთავარი (მასწავლებელი) მოსწავლეებს უთხრობდა ისტორიულ ამბებსა და თქმულებებს.

ილია იგონებს: „მთავარმა ძალიან კარგად იყოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული წიგნის კარგის მკითხველისა, ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხმობლავი თქმა იყოდა ამბებისა. გვიამბობდა უფრო სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა“.

ილია გლუბკაის კირეარას მთავართან სკოლაში გაეცნო. აქ იგი სწავლობდა თანასოფელ გლუბის შეილებთან, მათთან მეგობრობდა, მათთან თამაშობდა.

ილიას პაპა — პაატა ერეკლე მეფის სასახლის კარის აბლობელი იყო. პაატა იყო ერთდამირებულთაგანი ერეკლე მეფისა და მონაწილე დიდი გლოვისა, ერეკლეს ცხედრის თვალეიდან მცხეთაში გადასვენებასა.

ილიას სამი ბიძა სვიმონი, ვარსევანი და ალექსანდრე გმირულად დაიღუპნენ მტერთან ბრძოლაში.

ილიას მამა გრიგოლ პაატას ძე განათლებული ოფიცერი იყო. 1850 წელს გმირული ბრძოლა-

სათვის ის წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვეს.

ამ ძლიერ და გამირულ ოჯახიდან იყო ილია. სწორედ მამამ შეათურება ახარი: „როცა სამშობლოს უტირს, ძნელია მას კაცმა უმეტესონ და თავი არ გაიმეტოს“.

როცა ილია ყვარლიდან წამოიყვანეს, უკვე კარგად იცოდა გლეხკაცის ჰერაზამი, ბატონ-უმონის ბორალები და შთანერგილი ჰქონდა დიდი წარსულის მქონე სამშობლოს სიყვარული.

ისე მკიდროდა ილია დაკავშირებული ყვარელთან, რომ მას უტირს მისგან დამორება და წერს: „მეძნელება დატოვებს ამ ჩვენი ყვარელისა, ნამეტნავად იმ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მაგონებენ ხოლმე ჩემს დაუდგვარ ყმაწვილობის დროს, სადაც ყოველგვარ არს ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებებსა“. ამ სიყვარულმა დააწერინა მას ცნობილი ლექსი „ყვარლის მთებს“.

„სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი ვანებებთ თავსა,
მეგრამ თქვენს სსოვნას ვერ მივცემ მე
დავიწყებასა,
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული“.

ილია, მართლაც, ვერ აძლევს დავიწყებას ყვარელსა და ყვარლის მთებს. იგი პეტერბურგიდან წერს ცოლს:

„ჩემო სანატრელო და საყვარელო ოლიკო ნეტავ შენ, ეხლა კარდანახში ზიხარ და გადაუყურებ ჩვენს მშვენიერს და საკუთარად ჩემთვის საყვარელს ალანის მინდორისა და მთებსა და შთათა შორის ჩვენს ყვარელს! ნეტავი შეცმინდ ვიყო... „თავისი მიწა-წყალი დიდი რამ უოფილა კაცისათვის, ვინც თავის მიწა-წყალს არ მოშორება, ვე იმას ვერ უცენიო“.

ილია ანიკო ვანნაძეს სწერს: „რაც უნდა კარგი იყოს პეტერბურგი მე ყვარელში ყოფნა მირჩენიო“.

აგრეთვე ყვარლის სიყვარულია გამოთქმული ილიას ლექს „სიზმარში“.

„რაც ცხადად მწამდა... ვნახე სიზმარი,
ო... რა რიგ მტყნარი.
მესიზმრება მშობელ ქვეყნის მთაბარი...
ხვეწა მსურდა მთისა ჩემ ძველ ნაცნობისა...
გვერტედი ჩემს მშობელს,
მთის ძირში სოფელს...
ვით ჩემს დროს
ისევე მყოფელს.
იქ ვნახე სახლი,
სადაც მე თვალი
პირველად ვახილე“.

ლექსში „ალანას“ (1859 წ.) ილია ამბობს: „მდინარე ჩემი მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარი“.

აქ შენ კიდებ ვეგეპარ, დამცემიო მე,
მეგობარი და ა. შ.
...შენს წყალში ვეებ ჩემს წარსულს...
...შენც გამოცდილხარ, აღწახანო მტყნარს
გამხმარა...
გამხმარა...

შეც უღროთ-ღროდ გამერია თმებში ჭალარა...
...სადაც არის ის გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წასთარა, რად არ მიღის სსოვის
ბედკრული?*

პეტერბურგიდან ილია დაბრუნდა ყვარელში, და ახლა უკვე ჭაბუკს გაახსენდა ყრმობა-ბავშვობის დღეები, მშობლები, და სხვა საყვარელი ადამიანები, რომელნიც უკვე აღარ არიან... ისინი ყვარლის მიწას არიან მიბარებულიო. ილია წერს: „დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, სადა ამოდენა სახსოვარი უდგია ჩემს გულს, მარტო ხეთი სამარულა და ამ სამარეში მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ესე იგი, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ დაბრუნდება“.

რა თქმა უნდა, ეს ისე კი არ გამოიკოთ, თითქოს ილიას იდეალი მხოლოდ ყვარელი იყო. რასაკვირველია, არა ილია განარდა არამარტო ყვარელში, არამედ მთელში საქართველომ და ილიაც ამ მთელი საქართველოს მამა გახდა, მას მთელი საქართველოს ვარამი აწუხებდა და არა მარტო ყვარლისა. აი, რას წერს იგი შეუღლეს:

„რამდენადაც კაცს ვრცელი გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმდენად იგი დილია მე რომ მარტო ყვარელი მიყვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩვენზე დიდი იქნები და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს, ორთავეზე უდიდესი იქნება“.

ილია ამბობს, რომ ის ქართველია: —

„აქ მიმწონს თავი მეგობრებო, რომ
დაბადება
თქვენ შორის მხედა, ბუნებისა თქვენი ვარ
შვილი,
გრივალთა, მებთა, ქუხილთ შორის
დაბადებული ქართველად“.

როცა თანდამერია და რეაქცია ილიას წინააღმდეგ ამხედრდენ, ილია შეების პოვნას ყვარელში ლეკობდა. იგი ცოლს ეუბნებდა: „ყვარელში ჩავიკეტოთ თავი მე და შენ... რომ პატარა მოსვენებით დავტყებთ ერთად ცხოვრებითა, ქვეყნის ყაყანს მოშორებულნი“. მიუხედავად ამისა, ილია მაინც მთელ საქართველოზე ლეკობს და მის მოამაგებზე წერს: „თუ ვისმეს სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დარწმუნს და სხვას ვნა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შეიღწეონ ლმობიერებით პირველ უნდა დავეშოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუვლობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა“.

ილიას გმირი მამა-პაპა, საქართველოს ეთოლოგიის ხმელთა და მკერდით იყავდა. ილიამ ხმალი კალმით შეცვალა და სამშობლოსათვის ბრძოლაში თავი არ დაუზოგავს. ილიას აზრით, „წმინდაა იგი, ვისაც ელირსა მამული-სათვის თავის დაღება“.

ეს მამული მთელი საქართველოა და არა მარტო უფრო კალი. უფრო მას უყვარდა, როგორც იქნურ კაცს, იქ ფეხადგმულს, შემდეგ მასზე მზრუნველს.

ყვარელი ილიასათვის ყვავილია; მისი მშობელი მოსახლეობა, გლეხობის ზნე-ჩვეულებზე, ფილკლორი კი ის ტუბელი ნექტარია, რომლიდანაც ილიამ ერს მისცა თავლასანთელი მწიკრადის დასატკბობად და უკუნეთში გზის გასანათებლად. ილია უფროსი ხშირი სტუმარი იყო, ზამთრისა და ზაფხულის არადადგეგებს ყვარელში ატარებდა. ეს კარგადა ჩანს როგორც ილიას პირადი წერალებიდან, ისე მისი მოურავებისა და ნაცნობ-მეგობრების მოგონებებშიდან. ასე, მაგალითად, ილიას მოურავი ნოშრევან ჭადარაძე წერს: „ილია ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა ყვარელში, განსაკუთრებით შემოდგომასზე და რამდენიმე კვირას ცხოვრობდა აქ“. აგრეთვე ილიას მოურავი გიგო აფხაზი იგონებს: „გომიზიბის მოსწავლე ილია არადადგეგებს დროს ყოველთვის ყვარელში ჩამოდიოდა“-ო. თვით ილია სწერს მეუღლეს: „ხომ იცი, ჩემი ნატერა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვროთ და ხილად ქალაქში ჩამოვიდეთ“, მაგრამ ყვარელში ცხოვრებას ხელს უშლით შესადგირი ბინის უქონლობა“, და ამბობს 1874 წ. ცოლს სწერს: „ჩვენ, რომ ერთი ღზაბთიანი სახლი მოეხერხებოთ ყვარელში, ჩვენს ბედს ძალი არ დაუფრავს“. რაკი ამის სახსრები ვერ იშოვნა, ილიამ, კოშკის გადაცემა დაიწყო და 1903 წელს საცხოვრებელ ბინად გაიხადა.

ილიას განსაკუთრებით უყვარდა ყვარულბა რთველი, რომელიც აგონებდა ბავშვობასა და ყრმობას და ხელმოკლე კაცს შემოსავალსაც აძლევდა; ამიტომ რთვლობას იგი ყოველთვის ყვარელში იყო. ისევე ცოლს წერს: „ოღო, კოთხ-ხეთ დღის უკან ყვარულს წამოვიღ... ჭვერბი დაარტყნიე, უფრძენი არ დააკრფენო, შე პომიდადე“.

ილია არ იყო დიდი მემამულე და შემოსავალიც მცირე ჰქონდა, ხელმოკლედ ცხოვრობდა, რუსეთში წასვლის დროს ძალიან უჭირდა ფული და ვალეებში იყო ჩაყარდნილი. მაშინ ილიასათვის აუცილებელი იყო ყვარელთან კავშირი, რადგან სხვა საარსებო წყარო არ ჰქონდა, გარდა მამულის შემოსავლისა. 1873 წლის აგვისტოს დას ნინოს სწერს: „თუ როგორმე ერთს ოკიოდე თქმასს გამოხერხებოთ, სწორედ მაშინ-ლისიდან დამიხსნით, იქნება როგორმე და რაიმე შემოსავლიდამ გამოვიდოთ და ფული მომამშველოთ, თორემ ცუდათ არის ჩემი საქმე“.

შენი ჰირომე, ყოველი ღონე იწმარეთ, რომ მალე ფული მომამშველოთ“-ო.

ილია ყვარელში მარტო მარტო მარტო რეზბლად კი არ ჩამოდიოდა, მარტო მარტოს მისახლად, არა მას უყვარდა გლეხკაცთან შეხვედრა. მეტად საქმიანი, გულსხმიანი იყო გლეხებისადმი და მათგან სწავლობდა ცხოვრებას.

ილია, თვითონ მოქმედი, საქმიანი, გლეხობაში უფრო ბევრს ხედავდა საერთოს, ვიდრე უსაქმო თავადებში. ამიტომ მეტ დროს გლეხობასთან ატარებდა. ილიას ყვარელში ბევრ ახლობელი და საყვარელი გლეხი ყავდა. განსაკუთრებით უყვარდა: გლაზო ფეტიკაშვილი, გან-მეშული მოქობავე, რომელმაც ილია ასახლა საგურამოში, სადაც საგანგებოდ იყო წაყვანილი თვითმრავ ზუტაშვილი, რომელსაც ილიამ ნიშნად მეგობრობისა ვერცხლის საითი აჩუქა; მიხა სეფაშვილი, — მას იოვანე ანუჯა წარწერით: გუგენა ავახაშვილი, იორდანე წორიაშვილი, საბა ბეჭელიშვილი, ღზაზა დონიაშვილი, რომელიც პეტერბურგში ახლდა თან, ილიამ მას კელინარობა შეასწავლა, დააქორწინა და დაასახლა; კარის მეზობელი ქაბოსრო (ქახო) და დათა ხარატიშვილები, დათა თბილისში მრავალჯერ უწყალობა პატარა ბატონს, — როგორც ილიას უწყობდნენ.

თუ ილიას ყვარელში მრავალი მეგობარი გლეხი ყავდა, თავადებთან ცოტა იყვნენ ახეთები. არც ილიას მოსწონდა მათი „ღუარსამ თათქარძეობა“, და არც მათ ახარებდათ ილიას თანავარძობა „ოთარაანთ ქვირეების“ და კედღი-გორას გმირებისადმი.

ყვარელი თავიდანანურთობიდან ილიას მეგობრები იყვნენ მხოლოდ მოწინავე თავადები: იური ჭავჭავაძე, სანდრო მაყაშვილი, მიხეილ ჭავჭავაძე, გენერალი ნიკო ზურაბისძე ჭავჭავაძე (დიდი ნიკო), ნიკო ნოეს ძე ჭავჭავაძე (პატარა ნიკო).

ილიას დიდი უსიამოვნება ჰქონდა ლოთ, ზნე-დაცემულ, ფუქსაჯატ და მეზობელი გლეხების ამწიოკებულ გიორგი ჭავჭავაძესთან, რომელსაც ილიამ „მყრალი გიორგი“ შეარქვა. ილია გულისხმიერი იყო გლეხებს მიმართ, თავის ახლობლებს და მოურავს არ აძლევდა გლეხის დანაგვრისა და უსამართლო მოქცევის ნებას. თ, რა რიგ ნაწყენია თავისი მოურავის გიგო აფხაზის საქციელით და როგორ ტუქსავს მას: „ძალიან შეწყენა შენი უკანასკნელი წიგნი, მავ მეზურეებთან მორიგებინა... ძალიან ფინთო სენი უღის და საძაველი ფერი აქვს. თუ ღმერთი გწამს, გიგო, ეს ანდერძად ჰქონდეს ჩემ-გან: არა საქმეში უზნეობა უბატონისობა არ გუწიო. გასსოდეს ყოველთვის, რომ ჭვეყანა-ზედ ქალღმის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა ამ სიმკეთრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშ-

ლის და არ გააუქმებს... სამუდამოდ დამიხსოვრება, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ზოლო მოვალეობა ისაა, რომ პატრიოტის, დიპლომატიკის სხვისი უფლება და არ არსებით იგი. ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინდისის ბრძანებას ვასრულებ ზოლზე. ამის გამო ვენახის ჩამორთმევაზე მე თანახმა არა ვარ*.

ამ წერილით, შესანიშნავად არის მოცემული ილიას კეთილი და პატრიოტული დამოკიდებულება მშრომელ გლეხობისადმი.

ილია მუდამ ზრუნავდა ყვარლის კეთილდღეობაზე. მისი თაოსნობით და ხელისშეწყობით დაარსდა სკოლა და საეტიმო ამბულატორია ყვარელში. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ილიამ დამბების აგების საქმეს.

ამ სოფელში იორდანე ლომიძემ მამაბოი „როცა მდ. დურუკმა ყვარელი წაიღო, ჩვენ თბილისში გაგვგზავნეს მთავრობასთან თხოვნისათვის, რომ დაგვხმარებოდა დამბების აშენებაში თბილისში ჩაყვლილ ჩვენ, მაგრამ გზაკვალს ვერ შევაგენით. მაშინვე მიველით ილიასთან, უამბეთ ჩვენი ჩასვლის მიზეზი. ილიამ ძალიან კარგად მიგვიღო, ჩაგვსვა ვერსში და გუბერნატორის კანცელარიაში წავუყვანა. იქ ბუკრა ურუსელათ, და ბოლოს გვიხილა საქმე კარგად არის თქვენი თხოვნა დააკმაყოფილებინა. რამდენიმე დღეს ვიყავი ქალაქი, ვოველდლე ვერლი დაუყვანი გუბერნატორის კანცელარიაში და ბოლოს გვიხიბრა, თქვენი საქმე გუკეთდა, წადით ყვარელში, იქ მალე იხივინებები ჩამოვლენო. მართლაც, მალე იხივინერიც ჩამოვიდა და დამბებიც აშენდა*.

ილია ამბობს, რომ „მოგზა განსახიერებაა ჰემიარტი ცხოვრებისა“-ო და ეს ჰემიარტი ცხოვრება, რომელიც ილიას შემოქმედებაში განსახიერებელი, პირველად ყვარელში იყო ნახულ, აქ ჩაისახა ილიას ახალგაზრდა, მგზნებარე გულში. ილია ბავშვობიდანვე გაცივს ზაქაროსა და კაკოს პროტინებებს, მათ ჰერეარამს და დიდხანს იტარებდა მათ სახეებს სიყვარულით.

ლექსების დიდი ნაწილი ილიას დაწერილი აქვს პეტერბურგში, პავლოვსკში და ტიარუგოში (1857-60 წლებში). მაშინ ილია არც სავტრამიში იყო ნაცხოვრები და არც დუშეთში. ცხადია, ლექსების თემები და მოტივები ყვარელიდან აქვს აღებული და არა პეტერბურგიდან. ამ პერიოდს გუთუნის, კერძოდ, მისი ლექსი „გუთნის დედა“. რუსეთში გუთნის დედა არ არსებობს და ვერც ილია გვიგონებდა იქ; ვერც „ლამას“ და ვერც „ჰაპანს“ ნახავდა იქ, ცხადია, ესენი ყვარელშია ნახული.

სამშობლოს სიყვარული ილიას ნორჩმა გულმა პირველად ყვარელში იგრძნო; იგი ლვიდუბოდა, იზრდებოდა ილიას ინტელექტუალურ ზრდასთან ერთად, პავლოვსკში კი კოცონად იქ-

ცა ველარ დატია პოეტმა გულში და დრო ნახა მის „ქადაღლზე დასაბუტრად“. როგორც ვაჟა იტყობა. ასე რომ, ყვარელში გულსკაქრბასთან მეგობრობამ, შრომის მსახურებში უკარგესმა ცნობისმოყვარობამ, ილიას ზედმიწევნით შეაწავლა გლეხეაის ცხოვრება და სოფლის მეურნეობა.

ცხადია, ვერც როგორც მწიგნობარმა, გააფართოვა ვეს კონდა, რაც შესანიშნავად ჩანს როგორც მისი შემოქმედებიდან, ასე ვერც მისი მოქმედებიდან. ასე, მაგალითად, გიორგისთან არჩილის საუბარო ქართლში ვენახის გაშენების შესახებ, შესანიშნავი ლექსია, რჩევა-დარჩევაა, თუ გნებავთ, პრობანანდა დიდი სპეციალისტი შეევენახისა ქართლში მევენახეობის აღდგენისა და გავრცელების შესახებ.

ცნობილია, რომ ნაწარმოების ღირსება მართო თემითა და სიუვეტით კი არ ფასდება, არამედ გმირთა ხანათებით. სად ეძებდა და არა ჩევედა ილია თავისი ნაწარმოებებისათვის გმირებსა და ტიპებს? ცხადია, იქ, სადაც უფრო უფრო იცნობდა ხალხს, მათ სელისკვეთებს. სოციალურ ურთიერთობას. შეიძლება, „ოთარაანთ ქერავი“ ან „კაცია აღმაინი“ თბილისში დაწერა ილიამ, მაგრამ არც ერთი მათგანის პერსონაჟები თბილისელები არ არიან. ამა სადაურები არიან? რაღა თქმა უნდა იქაური, სხვა მწერალმა ისინი ნახა, სადაც ურთიერთობა ჰქონდა მათთან, — ეს იყო ყვარელი.

ილიას ნაწარმოებებში კარგად მოჩანს ყვარელი გლეხობის ენის სპეციფიკა და ყვარელი მეტყველების ნივანსები. ილიას მხატვრულ, ბუნდოცისტურ და მეცივირულ ნაწარმოებებში ბევრია ისეთი გამოთქმა, რომელიც მხოლოდ ყვარელშია გავრცელებული. უკანასკნელის ნიმუშებად დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს. „თი დღისა“ — მიწის ფართობის დღიური საზომია, უდრის ნახევარ ჰექტარს; „ლოდნა“ — ლოდინის მეგერი; „შორადამ“ — შორადანის მეგერი; „გულიდამ“ — „სამსახურიდამ“ — „ამრე-მოდამ“, „საიდამ“, და სხვა ამგვარები — ყვარულია; ასევე მიმართებებიც — ჩამოთავლობა, ნენე, მამადე, სანდროვ და სხვა. „დღის აქამამდე“, „შენმა გარდამ“, „ამთვენი“ (ამდენი მეგერი), „ნიკონას“ (ნიკონის მეგერი), „ადესწრას“ (დაესწრის მეგერი), — ილიას მშობლიურ სოფელში გავრცელებული ფორმებია. ასევე კახური გამოთქმებია „თავსუბუქად დაედო“ — როცა ტვირთი უკანა და ურეში აყარავდება; „თავშიმედ“ — როცა ტვირთი წინა და კმეჩებს თუ ხარებს კისრზე ძოჭრ აწევნით, „საყალბები“ — ასე ვწოდებდა კახეთის თბის ბაღნით მოქსოვილს დიდ ტომრებს ხორბლია და ფქვილისათვის; „ვენაკვალე იმასა სიყრმეში“ — ყვარელი ამბობს ასე. „მოგვიკვა ფანდი“, — ფანდი ე. ი. თანასწორი, მისმხარე თამაშის დროს. ამბობენ „ჩემი ფან-

ღია" — ე. ი. ჩვენ ერთ მხარეზე ვართ, ერთნი ვართ; „გომურში დამწყვიდეს" — უვარის მამასაბლის სოფლის გომური ჰქონდა საპრობილედ: „ტყუელი ღობე" ისეთს ეწოდება, რომელიც ხეთი და ათი ღერი წნელით იწნება და არა ერთი ღერი: „საძნე ურემი" — ყვარელში ეს არის ურემი მაღალი ჰალეებით, ხოლო „საბარო ურემი" — დაბალი ჰალეებით; „თიას... ბოძებზე შედგავს" — უვარის რაიონში თიას ოთხ მაღალ ბოძზე დგამენ.

„წყალი გადმოსულიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუღანა" — ეს ილიას ეზოა, წისქვილიდან წყალი პატარა ბაღში გადმოვარდებოდა ხოლმე.

„პეტრემ შეა ხარზე ჩამოხმულ წნელს მოკიდა ხელი", — ასეთი მაღალი სათიფე და „შეა ხარი" ყვარელში იციან და არა ქართლში, სადაც თიას მიწაზე დგამენ და არა ბოძებზე.

„ოთარაანთ ქვრივი" ვითობლობით — ერთს მუზობელ ბიჭს თავისზე პატარა ბიჭსათვის ქაბრის ღილები დაეტყუენ... ის კი ღილებს არ უბრუნებდა, რა ღილებზეა აქ ლაპარაკი?

ყვარელში და მთელ რაიონში ძალიან გავრცელებული იყო ბავშვებისა და უკანონო-კაცობისათვის შეტად გასართობი თამაში „ღილაობა", რომელიც ჩვენი სტუქენის ოკიან წლებში გადავიარდა, დავიწყებას მივცა.

„ღილებს" თამაშისათვის იხმარებოდა სამხედრო შინელები დაყვრებული ფოლაქები, როგორც შინელის ხარისხი დამოკიდებული იყო სამხედრო პირის წოდებაზე. ისე ფოლაქის ხარისხიც დამოკიდებული იყო შინელის ხარისხზე.

ყველაზე ძვირფასი I-ლი ხარისხის დიდი იყო გენერალისა, — გულიანი დიდი, II ხარისხისა იყო ოტაქის შინელის (ქორთუცს) დიდი; III ხარისხისა კი — საღათის შინელისა (ფრილა დიდი). თამაშის სამი სახე მახსოვს — „შეყრა", „შეფრიალება", „ამოსვლა", „გადავლება", ანუ „მისვლა". — შეყრა იმას ნიშნავდა, რომ მოთამაშე ფოლაქს ჰერში აისროდა იმხარად, რომ ფოლაქი მიწაზე დაეარდნისას უწინით ქვევით ეცეოდა, ე. ი. ისე, როგორც იგი მიყვრებული იყო შინელებზე. ეს მოგებას ნიშნავდა, და თუ ისე დაეცეოდა, რომ უწინი ზევით ექნებოდა, მაშინ წაგებას ნიშნავდა.

— აბა, ავღე, ბიჭო! აბა, შეაგლებდა, და თუ უწინით ქვევით დაეცეოდა, იტყოდა -- აბა! დაქდა ჩემია! აბა მეორე შეაგლებდა, და თუ

იმისი დიდი უწინით ზევით დაეცეოდა — „აბ დაქდა", მაშასადამე წაგო.

ყვარელში ზოგიერთი ღილებს „სნეთს უარგა" მოთამაშე იყო, რომ ფალანდ — ათქვამდა, თამაშის ბრტყელ ქამარზე ორ და სამ რიგად ჰქონდა ჩამწყრივებული ძვირფასი გულიანი და ქორთუკი ღილები. შინელის ღილები ძალიან წამდენენო იყო ყვარელი ვაჭარული ბიჭისა, ღილებიანი შინელით მოსული ბევრი სტუმარი წასულა უკან უღილებო შინელით.

ლილაობას თბილისშიც თამაშობდნენ, მაგრამ აქ შერყუნეს ფულზე თამაშით და მან ახარტული ხასიათი მიიღო.

ილია რამდენიმეჯერ ახსენებს თიას პრობაში დიდოელებს. „თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხტუე, ისე ვაგთოვავს როგორც დიდოელი ლეკი ნაბადა".

მოთხრობაში კაცია აღამიანი?!" ნათქვამია:

„პო, გეთყვანე! მოდი, იცი, რა ვთქვით: მოთამ ახლა ქორწილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდოური... მე განდიდურს..."

დიდოელები ყვარლის ქედის ჩრდილოეთ მთებსა და მათ ზეობებში ცხოვრობენ, თითქმის ერთი დღის საეალზე ყვარლიდან. ბევრი მათგანი ზამთარს კახეთში ატარებს: დიდოელებს კახეთის ყველა სხვა ადგილზე უფრო ყვარელსა და მის მეზობელ სოფლებში — საბეებსა და შილდამი ნახავთ.

აი, აქ, ყვარელში გაეცნო ილია ამ ტომის ლეებს, რომლებიც ნაბდის, მართლაც. შესანიშნავი მოხელები იყვნენ და არიან, მათი ნახელავი ძვირად იყიდებოდა კახეთში.

ყვარელში და არა ქართლსა და პეტრბურგში ნახა ილიამ ცკვა „დიდოური", იქვე მოისმინა „განდიდურის" შეძახილები.

თელეთის ხატში სალოცავად ურმით გამგზავრება ყველაზე უფრო ყვარელში იყო გავრცელებული; მერ წილად თელეთს იქაურები დადიოდნენ.

ილიას ბავშვობა და ყრმობა ყვარელთან არის დაკავშირებული, ამიტომ ყველაზე უკეთ ყვარელს იცნობდა და უყვარდა იგი. ცხადია, თავის მოთხრობათა გმირებსა პროტოტიპები ყვარელში ჰყავს ნახული.

ჩვენის აზრით, ილია ჭკვეუაძისათვის ყვარელი იგავია, რაც ალ. ვაზბეგისათვის — სტუფანწმინდა, ვაჟისათვის — ჩარგალი, დ. კლდიაშვილისათვის სიმონეთი, ნინოშვილისათვის ჩონხათი.

ქვეყნის მართვა

მ მ მ მ მ მ *

თავისი დროის თვალსაჩინო ეურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს დავით შიქელაძეს — მეველეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ქართული ეურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იგი ეკუთვნოდა ქართული ინტელიგენციის იმ პლეადას, რომელმაც უშწავლავო, გაბედული, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მოღვაწეობით ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში.

მეველე ნაიდაგ მხარში ედგა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მებრძობებისა და ამირბარს ილია ჭავჭავაძეს და თავისი ნიჭით, კალმით და საკურობების შემთხვევაში — მახვილითაც ფასდაუღებელი ამაგი დასდო ქართული კულტურის ისტორიას.

მეველის მებრძობლი სულით გაუფრთხილა პუბლიცისტური წერილები ისეა გაფანტული ქართულ პერიოდულ პრესაში, რომ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის თითქმის ხელმოუწყვდომელია. არა ვაჭქვს გამოკვლევა მეველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეც.

შ ე ს ს ვ ა ლ ი

„აგაციები, ბაკაციები,
მესხი, მეველე, მელიქ-ლები“.
გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ყოველი ერის კულტურის ისტორიას უკვდავ კორიფეებთან ერთად ჰყავს ნიჭიერ, მამაც, პატრიოსან მოღვაწეთა რაზმი, რომელიც ზურგს უმაგრებს, მხარს აძლევს და ესმარება წინამძღოლებს. რაივ სწორუპოვარიც არ უნდა იყოს ზეროთმომდარი, ის ვერ ააგებს დიდებულ ტაძარს, თუ გვერდით არა ჰყავს ნიჭიერი თანაშემწეები, თანამდგომნი და მშენებელნი, რომლებიც ხორც ასხამენ მის ქმნილებას. ასევე, გამოხენილი მოღვაწეები, მწერლები, წინამძღოლები და ბელადებიც კი ვერაფერს გასდებიან, თუ ხალხთან ერთად, უშუალო თანამებრძობებად არა ჰყავთ ღირსეული თანამოაზრეები. მეცსამებტე საუტუნის ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ასეთ უანგარო, შეუდრეკელ, ნიჭიერ და პატრიოსან მოღვაწეთა რაზმს ამშვენებს ერთი უსამართლოდ მივიწყებული პიროვნება — დავით შიქელაძე. იგივე დ. ზურაბისშვილი¹, იგივე კულაშელი, იგივე მეველე, იგივე W. „დროების“ მუდმივი კორესპონდენტი, ესაა რანდელი გამბედაობით, დიდი ცოდნითა და ნიჭით აღჭურვი-

ლი კაცი, რომლის დეაწლი უდავოდ სერიოზული ყურადღების ღირსია.

როგორც მისივე სიტყვით ირკვევა, მეველის ერთ-ერთი ფსევდონიმაა W, ასეთი ხელმოწერით იმეკუდებოდა მეველის ზოგი წერილი „ივერიაში“.

მისი ერთი სტატია „ივერიის“ 1894 წ. № 157-ში ასე იწყება: „წარსულ წერალში ჩვენ გამოთქვით ის აზრი, რომ შესაძლებელია ჩინეთსა და იაპონიას შორის ატეხილმა დაეამ... ნაპერწყალი დასაუღუმთაიკ გადმოიტანოს“ (W). წინა სტატიას ამ თემაზე ხელს აწერს მეველე.

ხშირად ხელმოწერადაც აქვეყნებს სტატიებს, რომელთა სტილის, ენისა და აზრთა მსგულლობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ხელმოწერელი სტატიები მეველეს ეკუთვნის (მაგ. წერილები საერთაშორისო ურთიერთობაზე „ივერიის“ 1894 წლის № 182 და 183-ში და სხვ.).

გ. წერეთლის ცნობილი განაზღვრით, მწერლის ვალაა გამოამკლავნოს თანამედროვე ცხოვრების ნაკლოვანებანი და თან საზოგადოებას „ურევნოს იმეგარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით, საუტეთესო არიან ამ ნაკლოვანებების მოსასპობლად“. მწერლის ამ ვალს იხდოდა მეველაც მთელი თავისი მოღვაწეობით.

მეველეს არ ჰქონია მწერლის პრეტენზია, მაგრამ თუ საქმე პუბლიცისტურ ნაწერებზე მი-

¹ ვაქვეყნებთ ნაწილს ე. მაღრაძის მონოგრაფიიდან — „მ ე ვ ე ლ ე“.

² ზურაბისშვილი — შიქელაძეების იმ შტოს ხელწოდებაა, რომელსაც დავითი ეკუთვნოდა: მისი წინაპარი ზურაბი — სლონისონ მუჭის მრჩეველი ყოფილა.
10. „მნათობი“, № 1

დგება, მისი სახელი მუდამ იქნება გახული სა-
უბუნის გამოხენილი ქართული პუბლიცისტე-
ზის სახელთა შორის.

ყოველ მაღალ კულტურულ დონეზე მდგომ
ერს ჰყოლია მეველის ტიპის დავებრომელი
მოღვაწეები, რომელთაც მცირე რაღი რაღი
თამაშის თავიანთი ქვეყნის კულტურულ თუ
ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს ის მოღვაწენი
აიან, რომელთაც ბევრი ყამირი გაუტყვისათ
ფროენული კულტურის განსალი და ნაყოფიერი
თესლისათვის.

კორესპონდენციაში, ფელეტონში თუ წერი-
ლში მეველის ფიქრი თავს დასტრიალებდა სა-
ქართველოს. იგი თავისი უპრეტენზიო რჩევით
გზმარებოდა თანამემამულეებს და მათთან ერ-
თად ემებოდა გზებს უყუთესი მომავლისაკენ.
ფსევდონიმიც უბრალო და ბევრის მიქმელი
ქონდა: მეველე! ასე ეძახიან... ნათესისა და
ველ-მინდერის მცველს, რომელიც დღე და და-
მე თავს დასტრიალებს მამულს, რათა საქონელ-
მა არ გააფუქოს, ქურდმა ვერ გაიჭიპოს, ავი
თავლი არ დაადგეს. გადატანითი აზრით მეველე
მამულის გუშავსა და მოამავს ნიშნავს, და დ.
მიქელაძემ ფსევდონიმიად ამ სიტყვის არჩევით
უდავოდ სამუდამოდ განუმტკიცა და დამყვი-
ლრა ამ სიტყვას იმთავითვე მიცემული ეს შა-
ლილი აზრი.

დ. მიქელაძე და მისი თანამებრძოლები სწო-
რედ ასეთ მგზანს ისახავდნენ: დაეცათ ქართუ-
ლი მიწა, ერგოთ რამე თავისი ხალხისთვის. ეს
იყო შეუპოვარ, თავმდაბალ, ნიჭიერ და უპრე-
ტენზიო მოღვაწეთა თაობა, რომელიც, სერგეი
მესხის სიტყვით რომ ეთქვათ, იმავდ რცენობო-
და, რა იქნება, „ერთი პატარა რევოლუცია
შინც გვენახაო!“ და არა მარტო რცენობოდა,

ბევრ რამეს აყუთებდა კიდევ ამისთვის, აქვა-
რად, ზშირად ჩვენი „მეველეები“ კიდევაც სტო-
ღლებოდნენ იმ მოვალეობას, რომლის შესრულებ-
მად არჩეული სიტყვა გულისხმობს.

იმ დროს, როცა ახალგაზრდობის დიდ ნაწილს
ოცნებად გაუხადა „მეტი სიტყვობისა და ნე-
ტარების მოპოვება ცხოვრებაში“, მეველის
„გულდამფიარად“ ლაპარაკ ქვეყნის ავ-კარგსა
და მომავალზე უყვაროდ არ იყარგებოდა. ისიც
ერთ-ერთ ბერყად უღვა ჩვენს ზნეობას, მიუღსა
და სადღესო საქმეს. ეს არის დამსახურება,
რასაც ხალხი არასოდეს არ იფიწყებს.

წინამდებარე შრომაში ამ დამსახურების ანა-
ლიზს ისახავს მიზნად.

როცა კვლევის საგნად ავიღეთ დავით მიქე-
ლაძის ცხოვრების, ღვაწლისა და შეხედულებო-
ბა რამდენიმე სრულ სტრათის აღდგენა, ამით
გვინდოდა პირველ რიგში მადლიერი შემკვიდ-
რის ვალის მოხდა უანგარო ადამიანის წინაშე,
რომ მისი სახელი დაეიწყების ფერღმა არ და-
ფაროს. დროა მეველის დავუსაყუთროთ თავისი
კანონიერი ადგილი ჩვენი კულტურული წარსუ-
ლის ისტორიაში, როგორც მოღვაწეს, რომელ-
ზედაც დღემდე საგანგებოდ არავის შეუხერჯე-
ბია ყურბადღება, როგორც კოლეგის საგანზე, თუ
არ ჩავთვლით აწ განსვენებული მკვლევარის
სოლომონ ცაიშვილის მცირე ზომის ნარკვევს
და რიოდ სხვა ცნობას, გზნეულს ჩვენს ძვე-
ლსა თუ ახალ პრესაში, არქივებსა და ბიბლიო-
თეკებში, ნათესაებებსა და მეგობრებში.

თუ ჩვენ მოვანერგეთ ამ მასალის საკმარე
სისტრული თავმოყრა, გარჩევა და მეველის
ცხოვრებისა თუ ღვაწლის რამდენადმე სრული
სურათის შექმნა, ამით ჩვენს მთავარ მიზანს მი-
ღწეულად ჩავთვლით.

ცხოვრების გზა

„ამ დღის ვარამს მედგრად ებრძვის
და მით ყოფა უჩინს შხამად“.
ნიკო დადიანი

დავით მიქელაძე, ახალი თაობის მებრძოლი
მოღვაწე, ქუთაისის თავადაზნაურობის წინამ-
ძღოლის ოჯახშია დაბადებული და გაზრდილი.
მეველე — მარშლის შვილია.

უძვე ამ კონტრასტიდან ჩანს „მამათა“ და
„შვილთა“ მიზნებისა და იდეალების სხვადასხვა-
ობა, მრავალ სფეროში მათი მისწრაფებების
ერთანობის მიუხედავად.

დაიბადა სოფელ კელაში, 1843 წელს, სწო-
რედ სამი წლით გვიან აკავო წერეთელზე და
ექვსი წლით გვიან ილია ტავჭავაძეზე, რომელთა
მეგობარი და თანამებრძოლიც იყო ათეულ
წლების მანძილზე.
გამოჩენილი მოღვაწის მამა, ალექსანდრე მი-

ქელაძე, ქართული მილიციის ვეტერანი, თერქე-
ბთან ბრძოლის მონაწილე, რუსეთის გვარდიის
პოლკოვნიცი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნა-
ურობის პირველი წინამძღოლი (მარშალი), არა-
ერთგზის ყოფილა დაჯილდოებული, არაერთ-
ხელ უსახლებობა მას ქართული იარაღი. სხვა
თანამოგვარებისაგან გასარჩევად, რომელთაც
აგრეთვე ალექსანდრე ერქვით, მას ჩვეულებრივ
„დედა ალექსანდრეს“ ეძახდნენ.

ნიკო მიქელაძე იფინებს მამის ნაამბობს, ყი-
რიმის ომის დროინდელ ამბავს, როცა დავითის
მამას, ალექსანდრეს, თათრებთან ბრძოლაში თა-
ვი გამოუჩენია: „საღდათის ყარი ჩვენ ნაკლე-
ბი გვეყავდა და მილიციამტრის შეტაცებას ვერ

უბედურად. ამ დროს, ვხედავ, საყდრის გაღვან-
ზე შეხტა თავის აღისფერი მუნდირით უზარმა-
ზარი ალექსანდრე მიქელაძე (მწერალ მეველეს
მამა) და საზარელი ხმით დავეიდრიალა: „თათ-
რები შირბიან, ბანაკი და ბარგი არ გვატანო-
თო“. მთელი მილიცია იმავე წუთში გაღვანს
გადახტა და სროლაში გართულ თათრებს ისე-
თი სიმაძაქით თავს დაესხა, რომ არა თუ ზარ-
ბანებში, თოფებშიც კი დაავიწყდათ...!

ცხადია, მხედრულად ნაწრთობი, ამაყი და მა-
მაყი ალექსანდრე შეიღწაიყ იმავე თვისებებს
წერავდა, მაგრამ ადრევე საგრძნობი ხდება,
რომ შეიღი არ ახირებს მამის კვალზე წასვლას.
დათას სძავს ომი, ხოცვა-კლვტა, პოლიცია, სა-
მაგიეროდ უყვარს წიგნები, თხზავს ლექსებს,
ოცნებას ეძლევა. მაგრამ კელაში ბევრს ვერა-
ფერს აძლევს ცნობისმოყვარე ყმაწვილს.

კელაში იმ დროს შეიღასამდე კომლი მცხო-
ვრები იყო, აქედან ასოცამდე — ეზრაულები,
შეტწილად ვაჭრები, რომლებიც უწყალოდ
უვლელდნენ ისედაც გაპირებებაში მყოფ მოსახ-
ლეობას. როგორც „დროება“ წერდა, მამა-
სახლისიც ამ ვაჭრებს ეკომავებოდა, რის გამოც
კლები უფრო და უფრო ღარიბდებოდა. ბინძურ
ქუჩებში მუდამ ეგდო ცხენის ან ძაღლის ლეში,
საშინელი უსუფთაობა აჩენდა მრავალ სნეულე-
ბას და ერთი ექიმიც არსად იყო, თუ არ ჩავთვ-
ლით გაიძვერა ხახამ ისხატა.

ბუნებით მგრძნობიარე ყმაწვილს აღაშფოთე-
ზდა ჩარჩ-ვაჭრების უსინდისობა და გულში ენ-
გრეგებოდა მჩავერელთა სიძულელი, რაც
მთელ მის ცხოვრებას აძლევს მიმართულებას.
თავადი, რომელსაც ელის დიდება, პატივი და
სიმიდირე, გვიან ვზას ირჩევს და არც ნანობს
თავის არჩევანს.

1853 წ. დათა მიქელაძე შეიყვანეს ქეთათისის
გინაზიაში, რომელიც 1863 წელს დაამთავრა.
იმავე წელს გაგზავნეს პეტერბურგის უნივერსი-
ტეტში. აქ რჩება 1867 წლამდე.

ამ ხანებში დ. მიქელაძე უკვე ყალიბდება,
როგორც მოწინავე ქერნალისტი და მოღაწე-
მან ი. მელიქიშვილისა (მელიქ-ალას) და ე. თე-
ლაშვილის თანამონაწილეობით დააარსა სტამბა,
სადაც იბეჭდებოდა ქართული ქერნალები და
წიგნები.

თვით დ. მიქელაძე ამ დროს უკვე წერს სტა-
ტიებსა და ლექსებს, რომელთა ნაწილი შემონა-
ხულია. 24 წლის დ. მიქელაძე ივ. კერესელიძის
„ცისკარში“ ბეჭდავს საკმაოდ გონებამახვილუ-

რისა და მსუბუქ სატირულ ლექსს „სოფლის მე-
ბატონე“. ამ ამ ლექსის ნაწყვეტი:

მარცხენული
გონჯილირთქნა

„არ მომდის ღვინო, გონჯილირთქნა
რით მოვიღვინო,
ღვინო არ არი,
რით გავიცინო?“

ნეტა იმ დღეს, რომ
გლებზემ მყავდნენ,
წითლის ყულუნს რომ
ბევრს მომიტანდნენ.

ახლა სადღა
ჩვენი ბეგარი,
ვის აღარ ახსოვს
ის დღე ნეტარი“

რაკი ღვინო არ არის, მებატონეს სიცოცხლე-
ზე ხელი აეღია.

ლექსი მხატვრულად სუსტია, მაგრამ მასში
უკვე ჩანს მომავალი მწერლისა და მოღვაწის
იუმორისტული ნიჭი, აგრეთვე მისი დამოკიდე-
ბულება მჩავერელებისადმი.

დ. მიქელაძემ დროზე შეინშნა, რომ ლექსე-
ბის წერაზე ფუჰად კარგავს ძვირფას დროს,
რაც შეიძლება გამოიყენოს უფრო სერიოზული
საქმეებისათვის, თავს ანებებს პოეზიას და დგე-
ბა იმ საქმის სამსახურში, რითაც, მისი რწმე-
ნით, მტრ სარგებლობას მოუტანს ხალხს. ბუ-
ნებრივია, რომ მალე მხედროდ უახლოვდება
სამოციანელთა მეთაურებს, მებატონე კი თავის
თანამოზრესა და მეგობარს სერგეი მესსს, გა-
სული საუკუნის ამ გამოჩენილ ადამიანს, რომ-
ლის სიცოცხლის მიზანი იყო საშრობლო ქვეყ-
ნის უანგარო სამსახური.

ს. მესსმა 1867 წელს დაამთავრა პეტერბურ-
გის უნივერსიტეტი და საქართველოში დაბრუ-
ნდა. ორი წლით გვიან შეადგინა „ახალი ახალ-
გაზრდების“ ჯგუფი, რომელმაც თავი მოიყარა
„დროების“ გარშემო. იგი 15 წელი განაგებდა
ამ გაზეთს, მას შესწირა წანმართულობა, ენერგია
და სიცოცხლე (მღკეით გარდაიცვალა აბასთუ-
მანში 1883 წელს).

ს. მესსთან სიახლოვემ გარკვეული ზეგავლე-
ნა მოახდინა ისედაც მებრძოლი ბუნების მოღ-
ვაწე დ. მიქელაძეზე.

დ. მიქელაძის ნაწერებიდან ჩანს მისი მაღალი
ეულტურა და კლასიკური განათლების მაღალი
ღონე, თუმცა, ბევრი მისი თანამედროვე სახე-
ლოვანი მწერლის მსგავსად, უმაღლესი განათ-
ლების დასრულება ვერ მოახერხა.

1 ნ. ნიკოლაძე, „რჩ. ნაწერ.“ ს. ხუნდაძის
არქივაციით, 1931, გვ. 26.

უმალესი განათლების დასრულების მიზნით დ. მიქელაძე შიღის პარიზში, სადაც ვახტანგ 1873 წლის ბოლომდე.

ზოგიერთ საყურადღებო ავტობიოგრაფიულ ცნობად დ. მიქელაძე გვაწვდის განცხადებაში, რაც წარუდგინა კავკასიის საცენზურო კომიტეტს ყოველდღიურ ვახუთ „რონის“ დაარსების საქმეზე. 1880 წლის 6 იანვარს, როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, მიქელაძისათვის მოუთხოვიათ შეცნობებთან კერძის დამთავრების მოწმობა, რაზედაც ის წერს, რომ მოწმობა არა აქვს, რადგან ასეთი კერძი არ დაემთავრებია, მიიღო შინაური განათლება, შემდეგ რამდენიმე წელს შევაღიანებდა პეტერბურგში, ბოლოს ერთი წელი ისმენდა ლექციებს პარიზში, სადაც, მისივე ცნობით, სწავლობდა ისტორიას, ლიტერატურას და „ზოგიერთ პოლიტიკურ მეცნიერებას“. სწორედ ამ „ზოგიერთ პოლიტიკურ მეცნიერებაში“ განსწავლის მიზნით მიუწევდა გული პარიზისაკენ დ. მიქელაძეს, და მართლაც ბევრი რამ შეისწავლა როგორც უშუალო დაჯივრებით, ასევე ლექციების მოსმენით და მოწინავე რევოლუციური აზრის მდროშე-თა ნაწერების კითხვით, განსაკუთრებით კი მარქსის შრომების გაცნობით.

უცხოეთში მყოფი დ. მიქელაძე უნებური მოწმე და ერთგვარი მონაწილეც ხდება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებისა, რომელთა ცენტრი იყო პარიზის კომუნა და მისი გამომახილი.

დ. მიქელაძე რომ პარიზის კომუნის მღვდლად დღეებისადმი გულგრილი არ ყოფილა და შემდგომაც, გამოსვლას თუ შეკრებაში რომ აქტიური მონაწილეობაც მიიღო, ეს ჩანს, სხვათა შორის, ისეთი ავტობიოგრაფიული პირის მოწმობიდან, როგორცაა გიორგი წერეთელი. წერილში „ქუთაისის ბანკის ისტორია“ ის მოგვითხრობს: როცა ქუთაისში ბანკის საქმეზე ჩასული ბენაჩიონი ღრღობებდა უახლოეს თანამებრძოლებს — სერგეი მესხსა და დავით მიქელაძეს ასახელებდა, მოწინააღმდეგეები აფრთხილებდნენ: „არა, ვგინი საშიში კაცები არიანო, მთავრობისგან შენიშნულნი: ზოგზე ამბობდნენ, რომ საზღვარს გარეთ გაეარდნენ კაცებთან ჰქონიათ შეგობობაო, ზოგზე — საფრანგეთში რომ იყო, იქაურს რევოლუციოში ერეოდო...“¹ ეს უკანასკნელი სიტყვები არაფერს არ ეხება, როგორც დავ. მიქელაძეს, ყველაფერს, სადაც კი თავისი მოგზაურობის ან ყოფნის

წერილებს გადმოგვცემს, უსათუოდ ვადა-რავს ხოლმე რეაქციონერებს და დავადავად გვაუწყებს თავის პოზიციას. მაგალითად წერს: „პეტერბურგიდან ეწვევებოდნენ...“² გილის ვახუთით: „დასრულდა, მადლობა ღმერთს, უკანასკნელი ბისმარკის სადიანვეგოდა გარდმოვიცილდი შევიცარიის საზღვარზე“. უხარია, რომ ევლარ ხედავს „შეე ორბსა დავიგრიგინს“ და სხვ.

დ. მიქელაძემ ევროპა მოიარა. პეტერბურგიდან ბერლინის, ვახუთისა და ენევის გაყლით-პარიზში ჩაღის 1872 წლის შემოდგომაზე (პეტერბურგიდან გავიდა სექტემბრის მეორე ნახევარში).³

პარიზში მანამდე იყვნენ ქართველი ინტელექციონის მოწინავე წარმომადგენლები, სო-გიერთ მთვანს რევოლუციურ გამოსვლებშიც მიღოა მონაწილეობა.

როგორც „დროება“ იუწყებოდა, კომუნარებს შორის კარაბიუბოი ხელში ქართველი მობალი-სეებიც იღვანენ⁴ აშკარაა, მაშაც დათა მიქელა-ძე კალმით თუ იარაღით თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის იქნებოდა იმ დღეებში, რომ პარიზის ბარ-ადებზე მოხვედრილიყო.

„მსოფლო გულში“ მყოფ მიქელაძეს, ნ. ნი-კოლაძეს და სხვა მოწინავე ქართველ მოღვა-წეებს თავისუფლების საქმისადმი სიკრთო სიმ-პათიის გარდა შორეული ფარული მისანიც აქვთ: სამშობლოს განთავისუფლება უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეების დახმარებათ.

ამ მიზნით დ. მიქელაძე თვალყურს ადევნებს ევროპის მცირე და დიდ ერთა ცხოვრების და ღვას იმ დროის ისტორიული მოვლენების ცენ-ტრში. იგი თვითონვე გვაუწყებს, რომ „მარ-ვაღვან დასწრება საზოგადო კრებას ბუხარსა და ევროპაში“.⁵

დავით მიქელაძე, ნიკოლაძე და იზმაილოვი-პარიზში იმ დროს იმყოფებოდნენ, როცა პარი-ზელები, პარიზის კომუნის მონაწილე დორიან-ასათლავებდნენ. „დორიანმა, — წერდა ნიკო-ლაძე თავის მომავალ მეგობარს ფენევაში, — პარიზის გარემოცვისას ის ვაჯეთა, რაც ვამბე-ტამ პარევიციოში. დორიანის დასაფლავებაზე პროცესიის თავში ღრმად მწუხარე ვამბეტა მი-დიოლა, რომელსაც მოსდევდნენ ლუა ბლანი, კონსიდერანი და სხვები, ერთი სიტყვით ყველა-რაც კი პარტიოში რაიმე როლს ასრულებდა... მი-ქელაძე თავდაფიყებულ იყო აღტიცებისაკენ, შე და იზმაილოვი რომ არა, ალბათ, გადაეხეცო-და ვამბეტას, მაგრამ ჩვენ ვაოყებდათ მის გუ-ლის წაღილს. მიქელაძემ, რომელსაც ხელა შე-ეშვით, რომ ნერეები როგორმე შეგვემარტა-

¹ ეს დოკუმენტი ინახება ნ. ნიკოლაძის არ-ქივში.

² „დროება“, 1879, № 82.

³ „დროება“, 1872, 26 იქტ. და 27 თქტ.

⁴ „დროება“, 1872, № 22

⁵ „დროება“, 1893, № 87.

ნა, უბნად დაიღრმავა — ვიე ლა რესპუბლიკა, უფრო კი ვიე ლია რესპუბლიკა და ისე დაიღრმავა, რომ ათათასიანმა ბრბომ შორეთო ღრმადი, ტანისცემა, ხმაური, თითქმის თვატრში ყოფილიყოს და არა დასაფლავებზე, მიწოდდა პირზე ზელი დამფარებინა, მაგრამ გვიანო იყო. დასაფლავებზე რომ არ ყოფილიყო, აღნათ შერთი განდიდებისათვის მეც დაივიყვარებდი: პატონებო შეთქი, ეს თავადია რესპუბლიკის გამარჯვების წარმომქმედი... „როცა აღაყუბეს კარებში გამოვიდოდით, მიქელაძემ, რომელიც გამხეტას ვერდით მოჰყებოდა, მოიხადა თავისი უცნაური ქვედი და დაიწყო: ვიე ლე სატონენ გამხეტა. ბრბომ, რომელსაც მიქელაძის აქცენტთან არა ესაქმებოდა რა, ამ ყვირილს მქუცარედ მისცა ხმა“.¹

პარიზში დ. მიქელაძე ბევრ გამოჩენილ ადამიანს ეცნობა და უახლოვდება. მის მებრძოლ ბუნებას იზიდავდნენ პრუდონი, ლუი ბლანი, ლანგლუა, გამბეტა, მეტადრე ვარიზალი.

განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტია დ. მიქელაძის მიერ ვარიზალდისთან ეცნობა. როგორც ცნობილია, ლუგენდარული გმირი 1871 წელს საფრანგეთის რესპუბლიკის სათაჯოზის დახმარებას გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამარცხებს გერმანელთა კრაპუსს.

ერთხელ პარიზს მყოფი დ. მიქელაძე ტირში შესულა და სრაოლში მონაწილეობის ნება უთხოვია. როცა იარაღი მიუღია, მის უკან მდგარ უცნობს შეუნიშნავს, არ გირჩევთ, ამ ნიშანში მოხვედრება გაგიჭირდებათ.

დათას მოუხედავს, არაფერი უთქვამს, უსვლილ და მიზანში მოუხედავდება. ზუსტი სრაოლით აღტაცებულ უცნობს მიულოცავს და ძლიერ ნასიამოვნები დასრენილა. როცა გაუვიდა, რომ ეს ახოვანი, ლამაზი ჩუბინი ქართული აღმოჩნდა. თავის მხრივ დათას სიხარულსაც საზღვარი არა ჰქონია, როცა დაწმუნებულა, რომ მას ესაუბრება თვით ვარიზალი.

უცხოეთს მყოფი დ. მიქელაძე არაერთ სტატიაში ამკლავებს მარქსის მოძღვრების ცოდნას, ხანდახან ახერხებს კიდევ მის ქადაგებას. მეველეს უთარგმნია კიდევ შესავალი ნაწილი მარქსის წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, მაგრამ სასტიკი საცენ-ზერო პირობების გამო არ დაბეჭდილა.² შეიძლება უდავო ფაქტად ჩაითვალოს, რომ

დავით მიქელაძე ერთი პირველთაგანი, რომელმაც საქართველოში მარქსისტული იდეების პოპულარიზაციის დაიწყო.

პარიზში დ. მიქელაძე, ზარღოვანს კრძალდ, ბინად დგას ს. მესხის პირდაპირ. მესხი ხედავს თავისი მეგობრისა და თანამოკალმის ღირსებებს და დიდ იმედებს ამყარებს მასზე. 1873 წ. 13 სექტემბერს პარიზიდან თავის დანიშნულს წერს: „მინდა მიქელაძე წაეთარიო აქედამ და ახალი წლიდამ სამეგრე გამოცხვე ვახეთი“.¹

1873 წლის ოქტომბერში მიქელაძე და ზარაფოვი ვენისაკენ მიემგზავრებიან. მესხი სულ ფიქრობს მის წაყვანას თბილისში.

1873 წელს „დროების“ ორი პარიზელი კორესპონდენტი ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) და მეველი (დ. მიქელაძე) ინაწილებენ საქმეს: დ. მიქელაძე დაწერს ზოგად საკითხებზე, სკანდელი — „ქალებზე, ბულვარზე“ და ა. შ. — ასეთია ფორმალური შეთანხმება. მაგრამ ორივე წერს საქართველოში საკითხებზე, რომელთა მიმართაც გულგრილი ვერ დარჩებოდა „დროების“ კორესპონდენტი.

1873 წელს ნ. ნიკოლაძესა და პ. იშხაილოვთან ერთად დ. მიქელაძე პარიზში სცემს მეტროგრაფზე დაბეჭდილ არაღვალურ ვახეთ „დროისს“, სულ გამოვიდა ათი ნომერი, ასას ცალად. ტირაჟი მცირეა, მაგრამ მნიშვნელობა განუზომელი და ჩანაფიქრიც — ისტორიული.

„დროისს“ სამი ნომერი ინახება თბილისში, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალში, ზოგი ნომერიც დაცულია (ნ. ნიკოლაძის ცნობით) ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში.

ამ ვახეთის გამოცემა დ. მიქელაძის ერთ უმათარეს ისტორიულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

„დროისს“ პირველი ნომერი გამოვიდა პარიზში 1873 წლის 1 აპრილს. ზევით გამოხატულია გაშლილი დროსა და ზედ წარწერილია ილიას სიტყვები: „აწმყო თუ არა გვეყოლოს, მომავალი ჩვენია“.

ეს იყო პირველი ქართული სოციალური ვახეთი არა მარტო უცხოეთში, არამედ საერთოდ.

„დროისს პირველ ნომერებში მოცემულია ვახეთის პროგრამა: „ყველა კაქასიელი ხალხის თავისუფალი ფედერაცია“ (№ 2); „მუშების კავშირების შედგენა, რომლებიც მომავალი ევროპის სოციალური შერთებელი რესპუბლიკის თესლად გამოდგებიან“ (№ 3); „პოლიტიკური ერთობა, რომელშიც საზოგადოებრივი განწყობილება სოციალური იდეალისამებრ შეიცვლება ისე, რომ შრომის უპირატესობა და მშრომელი ხალხი წინა ადგოლზე დააყენოს“ (№ 3).

¹ ნ. ნიკოლაძის ეს წერილი ციტირებულია ჟურნალ „დროისში“ გამოქვეყნებულ ს. ხუციშვილის სტატიიდან „დავით მიქელაძე“ („დროისში“, 1959, № 9).

² „Заря Востока“, 1947, № 112, 7 ივნისი.

¹ ს. მესხი, „წერილები“, სოხუმი, 1950, გვ. 49.

როგორც ვახუთის პროგნოზიდანაც ჩანს, „დროშის“ მესვეურებისათვის უქმად არ ჩაღე-ლია მარქსისა და პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობის ცენტრთან სიახლოვეს. ისინი სერიოზულ ამოცანებს ისახევენ. დ. მიქელაძე რევოლუციური იდეოლოგიის თვალსაზრისით მოღვაწედ წარმოგვიდგება. როგორც ირკვევა, იგი „დროშის“ ყველაზე აქტიური თანამშრომელი ყოფილა. სხვაგვარად ერთად ის დანიტურ-რესტრუქციონალიზმის სოციალ-პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლების საკითხებით. ამავე ხელისკეცებით არის გამსჭვალული, როგორც ჯერჯერობით ენახათ, „უცხოეთის ამბების“ ციკლის ყველა სტატია, შეტადრე ის წერილები, რომლებიც მკითხველებს ხელს ეხება.

ბოლოს პარიზში ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროც იწერება.

ახალგაზრდა დ. მიქელაძეზე დიდ იმედს ამყარებდნენ მისი გამოჩენილი თანამედროვეები. თუ რა ნდობით იყო გამსჭვალული სერგეი მესხი დავით მიქელაძისადმი, ეს ჩანს 1873 წ. 13 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან, რომელშიც გასული საუკუნის ჩვენი კულტურული ცხოვრების ეს ერთი საიმედო ბურჟუა მომავალ შევლეს კვებ (კატერინე) მელიქიშვილისას სწერს: „მომავალი წლიდან ახალი პლანები მკვებს ვახუთის თაობაზე... შინდა მიქელაძე წავართიო აქედამ და ახალი წლიდან სამყარ გამოვსცე ვახუთი. თუ მთავრობამ ნება მოგვცა, სხვა დამბრკოლება არა იქნება რა. ეს თუ შეუოლა, მეგრ არც შენი კირილი, არც ნიკოლაძე, არც წერეთელი, არც სხვა არაიან თანამშრომელი არ მინდა; ჩვენ ორნი ძალიან კარგად გამოვითყვანთ ვახუთს კვირაში სამყარ...“¹

შემდეგაც არაერთხელ ახსენებს ს. მესხი დ. მიქელაძეს, იმედს აქვს, რომ მასთან და კირილე ლორთქიფანიძესთან ერთად კვირაში, ერთს კი არა, სამ ნომერსაც კარგად გამოვსცემს. ერთ წერილში ვარაუდობს, „მოწინავე სტატეობს მე და მიქელაძე ვაფიყოფთ... სადაც ლოკურთსავეთ ვაცხარებულნი სიტყვა, ყვირილი, ბაქა-ბუჭი იქნება გამოსადეგი — იქ მიქელაძე მყოფიანა“.² მაგრამ მიქელაძის ისეთი დახასიათება მთლად სწორი არ უნდა იყოს... „ლოლიკა და დამედარი ლაპარაკი“ არც მიქელაძისთვის არის მიუწვედომელი ღირსება.

1873 წლის ოქტომბერში ს. მესხი პარიზიდან აცილებს მიქელაძეს და ზარაფთვის.

1873 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში „დროება“ მკითხველებს ახარებს, რომ პარიზიდან დაბრუნდა „პარიზული წერილების“

და „თანამედროვე შენიშვნების“ და სერათეზის“ ავტორი დ. მიქელაძე და „ამ წლებში“ „დროების“ რედაქციის შრომებში მსახიობი...“³ იმ ხანებში უცხოეთის იმყოფებლისა და გ. წერეთელი ამ დროებით დაეკლდის. ღირსეულად ავსებენ კირილე ლორთქიფანიძე და დავით მიქელაძე.

იმავე წლის 23 ნოემბერს შეველე უკვე იწყებს მოზრდილი წერილის გამოქვეყნებას შიორული სათაურით — „კიი გამარჯობა“, სადაც ისევ ჯვეუნის საჭირობითროტო საკითხებს ეხება.

იწყება შეველის კიდევ უფრო ცხოველი მოღვაწეობა „დროებაში“, რომლის უახლოესი თანამშრომელი, ფაქტური რედაქტორი და გამომცემელიც ის იყო 1873-1874 წლებში. საერთო ხელმძღვანელობის გარდა, ვახუთში წერს ქალბილი უფლებებზე, ახალგაზრდობაზე, პოლიტიკაზე, ბანკზე...

„დროება“ (1866-1885 წწ.) პირველი ქართული პროგრესული გაზეთია. მას რედაქტორობდნენ ჯერ გ. წერეთელი, მეგრ ს. მესხი და 1882 წლიდან — ი. მაჩაბელი.

დ. მიქელაძესთან ერთად ამ გაზეთში იბეჭდებიან ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ალ. ყაზბეგი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი... შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ყველაზე უფრო „შმაგი“ მინც შეველე იყო, ამ სიტყვის უკეთესი ვაგებიო.

ფრანგული ტემპერამენტი კეთილისმყოფელზეგაეყენას ახდენს დ. მიქელაძის ისედაც მგზნებარე ბუნებაზე. საერთოდ, პარიზმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა დ. მიქელაძეზე. ის აღტაცებულია ფრანგების პოლიტიკური ცხოვრებით და როგორც ს. მესხი ხუმრობით შენიშნავს, ჩვენს საბანკო კრებაზეც; ღამარაკის დროს „ცდილობს წამაძის ხელეზის ქნევითა და სიტყვის მანერით“.

თუ ნ. ნიკოლაძეს ექაზდნენ ისეთ თვინიერეფებს, რომლის ძარღვებშიც სისხლის ნაცვლად რძეაო, დ. მიქელაძე იყო ბუნებით ნამდვილი გამეხებელი ვეფხი, რომლის ძარღვებშიც ვეფხის სისხლი ჩქეფდა.

ის ვერ ეგუებოდა მორჩილებას, პესნიმისტურ წყწუნსა და უქმად ყოფნას. უიმედო ადამიანებზე სავანებო წერილსაც კი წერს:

„ნიადავ უიმედო და მოშიშარი კაცთან ბეჭითი და უდავო საქმეც კი გაგოფუძღება, თორემ თუ ცოტა საფრთხილო რამეა, მაშინ ხომ რაღა დაეკარგება ყველაფერი. უიმედო ადამიანი საბრლო სულდგმულია, ის ნიადავ, დატარულია. ის ყოველთვის ოხრავს, ხენშის, იმტრეებს თავს უსარგებლო წარმოდგინებებით, იხეთქს გულღვიპლს ათასნაირი ვაფრო-

1. ს. მესხი, „წერილები“, სონხში, 1950, გვ. 49-50

2. ს. მესხი, „წერილები“, გვ. 94.

1. „დროება“, 1873, № 40.

ხილვით და შიშით. იმის არსებობა უოველთვის გამოუღწევლად ბუდობს ურაცხვი მცირე დაბრკოლებანი, რომელიც სხვისთვის უმნიშვნელო იქნებოდა, მაგრამ ამ საბრალის და ჩაგრულს კი განუწყვეტლად უზერეტს გულს და ართმევს უკანასკნელს ისევე შემცირებულს სულის ძალას. წერილმანობა სდევნის მისის გულისგან უმადლეს მიზანს და რამდენიმე წლის შემდეგ კაცი ერთიანად მახინჯდება. ამას კიდევ რა ვაიწყობა. მაგრამ თავის ამნაირი საქციელით ის სხვესავე რომელიმე ხარისხით აზნავს გულში საკუთარ სიმშადადს. მტკიცე ტვინის და ხასიათის პატრონ კაცებზედაც უფრო ზედ მოქმედება აქვს ამ გლახა კაცების შეხედვას. ეს ვაუღენია იმ შთაბეჭდილებასა ჰგავს, როდესაც თქვენ მშვენიერ ზაფხულს დღეში, საესეს სიოცხლით და ნეტარებით, ერთბაშად სუნჯადენილ მკვდარს აღინახავთ... შექსიპირი ამ სივარულად აი რას ამბობს: „სასოწარაკვეთილება გვექმნის ჩვენ სულმოკლედო“.

სულმოკლე, მშოშარა, უიშველო აღამიანთა ფსიქოლოგიის ამ უბრალო და უზადო ანალიზიდან მვევლეს გამოკაყვანს ორიგინალური დასკვნა: აღამიანმა ცხოვრებას თვით უნდა გაუხსრობს და წუწუნის ნაცვლად იმოქმედოს როგორც გული და სინდისი კარნახობენ: „გასწი შეუპოვრად! რა გამოდგება იქიდან, ამის ფაქტში რომ იყო: აი ამას ლეხს წაეკრავე, ამას შუბლით შევეტაკებოი? თუ ცხოვრება ლოლიკური რიგით არ მიმდინარეობს, მაშინ, შენც რომ არაფერს წაყრა ფეხი და არც შუბლი შეახალო, მაინც ისეთს კინწს ვერაფერ, თუ კი სურთ, რომ ორივე ცხვირის ნესტოებიდან კოკასავით წამოხეთქას სისხლი... სტატიონთ ძალი, რომელიც შენს ხელში არ არის, იმ წამს ვაგსტრებს, რა დროსაც ენებება მას. მას სჯობია ისევ კეთილი საქმის დროს წამოგეწლოს გრიგალში, ჭარბშალში და ათასმა მოკვლევამ. ესენი ხომ მაინც უოველთვის შენს თავს ზემოთ დაგცქერიანი“

აღამიანი, რომელიც თანამემამულეებს ასე ამხნევებდა, თვითონ იყო სამაგალითო, იმედიანი მებრძოლი ქვეყნის წინსვლისათვის.

„დროების“ ერთ-ერთ ფელეტონში მოცემულია დ. მიქელაძის ისეთ დახასიათება:

„აი ხომპატიური, ყველასათვის და განსაკუთრებით ქალებისათვის სავეარელი უმწეოლი კაცი! კარგი ტანადი, ლამაზი, თვალად, კარგად გაზრდილი — წვერ-ცუკაში, მუქუნა თვალები, ფართო შუბლი... მაგრამ მალა ნულარ აიწვეით... ქუდი რა ეხუროს, ისე ნახეთ. ხასიათი საშუალო საუკუნის რაინდული თვისებანი და მეცხრამეტე საუკუნის ფეოდალური მიდრეკილება ერთად აქვს შეზავებული“.

უფრო ნათელი დახასიათება გვახსენებს დ. მიქელაძის ამ ერთ იშვიათ აღამიანსა სწორედ მწილი იქნებოდა. ოლნდაც! ფელეტონის ავტორია სერგეი მესხი (მეყენე).

უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ დ. მიქელაძემ შეირთო ელისაშვილი ირაკლის ასული, ლორთქიფანიძის ქალი (გარდაიცვალა 1943 წელს), რომელთანაც ოთხი შვილი ეყოლა. მის სამაგალითო ქართულ ოჯახში მუდამ მებრძოლი, პატრიოტული სული ტრიალებდა, ხოლო მისი სახლი იყო ერთგვარი სალონ, სადაც თავს იურიდენე გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, მსახიობები და მსჯელობდნენ ქვეყნის ავკარგზე.

მაინც დ. მიქელაძე საკუთარ საქმეზე მალა მუდამ თავისი მოწოდების საგანს აყენებს. ეს ჩანს თუნდაც ერთ ცნობილ „არჩილურ“ ლექსში, რომელიც ნიკო დადაშაძე უძღვნა.

აი ეს აკროსტიხი:

დროზე მქვერი სიტყვა იცის, წერილიცა
სწერს თანამად,
აწინდელის ცხოვრების სვე საზრუნად
აქვს და საწამად,
თავისისასა არას დასდევს, გოდება არაშეამად,
ამ დღის ვარამს მდღერად ებრძვის და მით
ყოფა უჩანს შხამად.

დ. მიქელაძე დამახებრებული ავტორიტეტით სარგებლობს თანამედროვეთა შორის. თუ იმ დროის ერთ-ერთ მოღვაწეზე, ბ. ლოლობერიძეზე „დროება“ სამართლიანად წერს, „დიდ ძველად“ არასოდეს არ მიგვიანდა, მაგრამ თავისი უკანასკნელი წერილებით ისიც დააწვრია, რაც მყარ ძველად ჩანდაო, — დ. მიქელაძეზე ამნაირი სასტიკი თავდასხმას ვერსად ვხვდებით. ის არ ებრძვის ჩვენს მოწინავე მოღვაწეებს, ღვას მათ რიგებში და შეაქვს საგრანობი წვლილი საერთო საქმეში.

ი. მანსვეტაშვილი იგონებს ერთ შემთხვევას, რაც მველის რაინდული ტაქტისა და ზემოქმედებითი ძალის უტუყარი საბუთია. ერთ მნიშვნელოვან შეკრებაზე თავადებს დავა მოსვლიათ. ...აქ წამოხტა კოლა ორბელიანი და რვეოლვერით ხელში გამოკეცა სცენისაკენ. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გაჩნდა თავზე ხელაღებული ლელო ანდრონიკაშვილი და ხანჯალ ამოწვდილი ვაეგება კოლა ორბელიანს. უსათუოდ უბედურება დატრიალდებოდა, რომ ამ დროს კორესპონდენტების ადგილიდან არ წამომბტარიყო მარდი დათა მიქელაძე (მწერლო-

1 „დროება“, 1876, № 51.
2. ივერია“, 1891, № 136.

ბაში ცნობილი „მეველის“ ფსევდონიმით) და შუაში არ ჩადგომოდათ.

— ბატონო, — მიუბრუნდა ორბელიანს, — მიბრძანდით თქვენს ალავს. როგორც ხედავთ, თქვენ იარაღის ხმარება არ გკოფინათ!

ეს ისეთი დიწიკი და მტკიცე გულით იყო ნათქვამი, რომ დარცხვენილი ორბელიანი უსტიკყოფდ უკან გამბრუნდა.¹

გ. ლასხიშვილიც თავის შემუარებში დადებით შეფასებას აძლევს დ. მიქელაძის განათლებას, პატრიოტულ სულისკვეთებას და ადამიანობას. „როგორც ადამიანი, უნდა ვთქვათ, პატიოსანი და პირდაპირი კაცი იყო, მეტად ზრდილობიანი, თავზიანი, არისტიკრატია. ახალგაზრდობაში, როგორც ვამიგონია, ის თითქმის რევოლუციონერიც ყოფილა, მაგრამ იმ ხანებში, როცა „იურიას“ განაგებდა, დაეთმო მეტად ზომიერი მწერალი და მოღვაწე იყო.“²

ამ უცანსეველ თვალსაზრისში გ. ლასხიშვილი ცალმხრივ პოზიციასზე დგას. თუ მხედველობაში მივიღებთ მეველის მხოლოდ ერთ სტატიას, რაც ჩვენთვის ახირებულ პრეტენზიას ეხება, და კიდევ ორიოდ გამოვაცლის, აგი მართალი გამოდის, მაგრამ ეს სტატია ერთგვარ გამოხატვისად ჩანს. მეველის შთაბეჭდილობაში პუბლიცისტიკურ მემკვიდრეობაში გაუკვრივებელი ავტობიოგრაფიული და გარკვეული კეთხილ გამიზნული ეს სტატია სულაც არ გამოხატავს დ. მიქელაძის საერთო შეხედულებებსა და მის პიროვნებას, რომელიც ერთიანად ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლების ცეცხლით იწვოდა.

დ. მიქელაძეს ყველა სხვა თანამედროვეც ახასიათებს, როგორც თავზიან, სასიამოვნო, განათლებულ ადამიანს.

ცოტა განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ს. მესხის დახასიათება. ის უფრო შფოთიანსა და მგზნებარე მებრძოლს ხედავს თავის თანამებრძოლში, ვიდრე თავზიან ჭეშულმენს და, ცხადია, ამ დაკვირვებაშიც იყო სიმართლის ნაწილი, გადამტებელია მხოლოდ მისი ამ თვისების განზოგადება, რაც ზემოთაც მოვიხსენიეთ:

„სადაც ლურჯახავით ვაცხარებელი სიტყვა, ყვირილი, ბაქაბუქო იქნება გამოსადეგარ, იქ მიქელაძე მეყოლებოა“, — წერს ს. მესხი 1874 წელს, — ხოლო „ფელეტონების წერა მისი საქმე არ არისო“ (შემდეგაც ჩივის, ვერ მოვაშლევინებო); მესხი გულისხმობს მეველის სტატიას: „გაიმიანდვრა ადვოკატმა“ („დროება“, 1873, 404), სადაც დ. მიქელაძე თავს ესხმის იმ ადვოკატებს, რომლებიც ისე

„მოურიდებლად ექცევიან ხალხს, როგორც დამშვეული მეველი თავის მსხვერპლს“, დღეს აშკარაა, ვინ არის მართალი ამ შეხედულებაში. საერთოდ, მესხის კეთილგანწყობილება მიქელაძისადმი ურყევი რჩება ბოლომდე.

1873 წლის ოქტომბერში მას იმედი აქვს, რომ მიქელაძე „დროებას“ მიხედვს, გახვდეს გამოაცხადებულს და თავს დაანებებს ქუთაისის ბანკზე დაუსრულებელი სტატიების ბეჭდვას.

მესხი კმაყოფილია მეველის „თანამედროვე შენიშვნებით და სურათებით“ და წერს, რომ „მიქელაძე, როგორც ეტყობა, ცოცხალი ებრუნალობის დიდგება.“¹

1873 წლის დეკემბერში მესხის ვარაუდს ხორცი შეესხა. მას უხარია, რომ გახვთი უკვე მიქელაძეს ჩაბარდა. მაგრამ გახვთის რედაქტორად ფაქტურად კირილე ლორთქიფანიძე ხდება. მიქელაძე მხოლოდ წერილებს აწვდის და საერთოდ იცავს გახვთის ღირსებას.

ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და დ. მიქელაძე არიან „დროების“ სული და გული, „მთელი მისი რედაქცია“.

ამ გამოჩენილი სამოციანელების გარშემო თავს იურიდა ბევრი ნიჭიერი კორესპონდენტი. დღით მიქელაძის და კირილე ლორთქიფანიძის „დროება“ ღირსეულ პასუხს აძლევდა ზოგიერთ მკითხველს, რომელსაც გახვთი პირად გასართობად მიიჩნდა და არ მოთხოვდა საზოგადო საკითხებზე სქას. აქ მიქელაძის პოზიცია მესხთან შედარებითაც კი უფრო სწორი ჩანს.

თუ რამდენად აუტოლებელი იყო დ. მიქელაძე გახვთისათვის, ეს აშკარა ხდება თუნდაც ს. მესხის წერილიდან. იგი ამ დაუდგომელადამიანის დროებით წასვლასაც კი გაუნაწყენებია.

1874 წ. ოქტომბერში ს. მესხი უკვე თბილისიდან სწერს მეველს, მიქელაძე იმერეთში წავიდაო დროებით, დალას უჩივისო, და ვმდღრისი, ვითომ ისეთი რა საქმე ჰქონდათ მას და კირილესო!

მეველე „დროებაშიც“ ისევე პირდაპირი კაცი და მგზნებარე პატრიოტია, როგორც ადრე იყო. პატრესა სცემს ყოველ ხალხსა და ყოველ ადამიანს, ქადაგებს მშვიდობას, თავისუფლებასა და განათლებას. მაგრამ სადაც საქმე პირადი ღირსების დაცვას ეხება, დ. მიქელაძე არც უკან იხევს და არც თავის ეინაობას მშლავს. ასე, „დროების“ რედაქტორისადმი მიწერილ ერთ წერილში ის იძლევა იმის ახსნას, თუ რა პირობებში გაჰყვა არაერთხელ დეულში მის შერტაცსყოფელთ და როგორ უთბრეს ერთი-ორჯერ უარი გამოწვევაზე უნ-

1 ი. მანსეტაშვილი, „მოგონებები“, გვ. 196.

2 გ. ლასხიშვილი, „მემუარები“ გვ. 101.

1 ს. მესხი, „წერილები“, გვ. 71.

2 „დროება“, 1877, № 34.

და ვიგულისხმობთ, რომ ესენი იყვნენ არა პირადი მტრები, არამედ იმ საქმის მტრები, რასაც შეველა ასე უანგაროდ ვმსახურებოდა თავისი კალმით.

შვეველ მოამბედ ველინება „დროებას“ და მოამბედველ ტოვებს მას.

„დროებას“ მედამ მალაღ შეფასებას აღ-
ლევს თავის უახლოეს კორესპონდენტს. ერთი
ცნობილი შემთხვევის გამო გახვთი წერს,
რომ ხშირად იბეჭდებოდა იმისი „ცოცხალი,
ჩინებელი და კეთილშობილური გრძნობით
აღსავსე კორესპონდენციები პარიედიამ, რო-
მელნიც ხელმოწერილნი იყვნენ „დ. ზურა-
ბაშვილს“ სახელობით. 1874 წელს დაიბეჭდა
იმისივე რამდენიმე სტატია, „შვეველს“ სვე-
დლონიით.¹

ანეთი დახასიათება და ხმაურთ დ. მიველაძის
ვარშემო გამოიწვია ერთმა პირადმა უსიამო-
ვნებამ.

1877 წლის 10 მარტს ქუთაისში დავით მო-
ქალაქის დედილი ჰქონდა თავად ალექსანდრე
სიმონის ძე წულუკიძესთან. პირველს ხმალი
ეჭირა, მეორეს — ხანჯალი. ორივე მძიმედ
დაჭრილა. მიზეზი, ეტუობა, ქალი იყო. თვით
დავით მიველაძე რედაქტორისადმი მიწერილ და
„დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში ამტ-
კიცებს, რომ ჩხუბის მიზეზი მანდილოსანი არ
ყოფილა, მაგრამ შეიძლება ეს მისი ვეაქცური
თავმოყვარეობით აიხსნას. თვით „დროება“ ამ
შეტყუებას „რაინდულ საქმეს“ უწოდებს.

დ. მიველაძის მოუხვეწარი სულა დიდხანს
ვერ ჩერდება ერთ ადგილზე.

1877-1878 წლებში ელაშშოა და წერილებს
უგზავნის ნ. ნიკოლაძეს, ითხოვს ბრძოლის ვე-
ლის რუკას. იმ ხანებში ქუთაისსა და რაჭაშიც
შოგზავრობს, ნ. ნიკოლაძეს შესჩივის თავის გა-
კორებებს და მამულის გაყიდვაზე ფიქრობს.²

მაგრამ პრესისათვის დაბადებული კაცი
დიდხანს ვერ გაჩერდებოდა განზე, უსაქმოდ,
პროვიციაში მყოფ შვეველს გული სხვაგან
მიუწევს.

1879 წლის შემოდგომაზე „დროება“ აცხა-
დებს, ქუთაისში ახალი გახვითი არსდება, რე-
დაქტორი და ინციტორი დავით მიველაძე
იქნებოდა... 10 ნოემბერს ახალი ცნობა: მიველა-
ძეს მართლა შეუტანია თხოვნა კვირეული გა-
ხვითის გამოცემაზე მეღის ნაცვალთანაო. გახ-
ვითის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „როინი“.
ცნობილია აგრეთვე გურგენიძის თხოვნა
ქურნალ „იმედის“ დაარსებაზე, მაგრამ ორივე
იმედი ჩაქრა. „როინის“ დაარსების დამაბრკო-
ლებელ მიზეზად ის დასახელეს, რომ სასა-

მართლო ქრთხიაც ექნებოდა, ნუთი ვახუშტის
ფასი წლიურად კანონით შეიღო მანეთი მაინც
უნდა იყოს, მიველაძე კი ექვემდებარება
დებდა. ცხადია, შეიძლება დასაშინებლობას
გადალახვა, მაგრამ თავი იჩინა უფრო
წლიერმა დაბრკოლებამ: „მოთავრების მიერ შე-
ნიშნულ“ მიველაძეს, ტირანიასთან გახედულ
მებრძოლს, აღარ მიაწინდს საშოში იარაღი.

ამის შემდეგ კარგა ხანს დ. მიველაძე ლიტე-
რატურულ ასპარეზზე ნაყლებად წანს, თმცა
ისევე „დროებას“ თანაშრომლად ითვლება.

1885 წ. თებერვალში ელაშშოდან ნ. ნიკო-
ლაძეს სახოვს საქმე ვაუტნიოს მასაც, დაა-
ვალოს ნახშირის გაყიდვის საქმე, და ამაშიაც
ერთგულდასა პირადება. მაგრამ იმ ხანებში
ჩვენი პრესის ცხოვრებაში ხდება ევლილება.

1885 წელს მოთავრობამ „დროება“ დახურა.
უგახვითობის გამო ილიამ ყოველთვიური
ტურნალი 1886 წელს ყოველდღიურ გახვთად
გადააქეთა, ამ დროს მიველაძე ილიას „ივე-
რიის“ იქნა მიწვეული. მალე იგი „ივერიის“
აქტიური თანაშრომელი ხდება. „დროების“
ძველი მოღვაწე კახეთური ენერგიით განაგრ-
ძობს ორი ათეული წლის წინ დაწყებულ საქ-
მეს. საქართველოშია თუ მის საზღვრებს გა-
რეთ, ფიქრით თავს დასტრიალებს მამულს.
მაგალითად, 1888 წლის პარილიმ ქვეყნდება
„წერილი პეტერბურგიდან“.

შვეველ ხან სტამბოლშია, ხან პეტერბურგში,
ხან პარიზში და ხან ქუთაისში, ყველგან
ეროვნული საქმიითაა დაინტერესებული და
ხალხის კეთილდღეობისათვის მეცადინეობაშია.

1888 წლის იანვარში დ. მიველაძე უკვე
სტამბოლშია. თავის წახვლას სტამბოლში მი-
ქვალად ასე ხსნის: „რადღაც უცნაური ინსტიტუ-
მამხილებდა, რომ ჩემს ქვეყანას, იმის ხალხს,
იმის ცხოვრების გარემოებას, იმის ზნეა და
იმის მიზიდულებას — გარეთგან, დამოუცილებ-
ლად შევეხედი, დაუფიქრდ და რაც აზრი შე-
ვადგინოთ, თამამდ ვილაირო“.¹

სტამბოლს დ. მიველაძე გამგზავრებულა ბერ-
ძენთა გემით „ალბანია“. კაპიტანი ნიკოლოზი
ილტაცებულა დარჩენილა, როცა მისი ქართვე-
ლომა ვაუტია, ალექსანდრე მაყედონელის
ლაშქრომა გაუხსენებია და უთქვამს, რომ ბერ-
ძენი და ქართველები გარეგნობით, ზნითა და
ჩვეულებით „ძალიან ნათესავი ხალხიაო“. მივე-
ლაძე თავის მხრივ აღტაცებულა ამ ახალ-
გაზრდა პატრიოტით, რომელსაც უსახლეროდ
უყვარდა დაჩაგრული სამშობლო.

სტამბოლი მიველაძეს მოსწონებია. იქ დარ-
ჩა შეუღლესთან ერთად თითქმის მთელი წე-
ლი. დ. მიველაძის ქალიშვილია, აწ ქალარა ნი-
ნომ დაგვიდასტურა დედამამის სტამბოლში

¹ „დროება“, 1877, № 30.

² ნ. ნიკოლაძის არქივი (13-137, 13-139, 13-140).

¹ „ივერია“, 1888 № 18.

ყოფნა და ღიმილით თქვა: „დაიხ, მე სტამბოლში ვარ დაბადებული!“

90-იან წლებში დ. მიქელაძე „ივერიის“ ფაქტობრივ რედაქტორია. ეს უკვდავო ორგანო მან აქცია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მიმართულების ცენტრად, და ეს არ ყოფილა ახალი რამ მეველის მოღვაწეობაში: ამავე ხასიათარება ადრე „დროებაშიც“.

ეს დაუცხრომელი ბუნების კაცი ზოგჯერ კალამს დადებდა, ხელში მახვილს იღებდა. მელიტონ ნაკაშიძესთან ერთად შექმნა საინფორმაციო ორგანიზაცია და მოწიწო რამდენიმე საბჭოელ მოხელეზე ტერორისტული თავდასხმა. ამას მოჰყვა მოაჯრობის სასტიკი რეპრესიები. მელიტონ ნაკაშიძე სტამბოლს გადაიხვეწა, იქიდან ბულგარეთში გადავიდა და უცხოეთში განაგრძო ბრძოლა ბნელი ძალების წინააღმდეგ. დ. მიქელაძე კი ისევ კალმით განაგრძობდა ბრძოლას და თანაუვარსობდა თავისუფლებისათვის ამბოჯობელ ბულგარეთს, სადაც მისი თანამებრძოლი იმყოფებოდა.

დ. მიქელაძე არა მარტო გაბედულად ეხმობდა თავს ვაგლენიან მოხელეებს, არამედ თავშესაფარსაც აღუვდა მებრძოლ პატრიოტებს.

კულაშში ახლებიოდა დათასთან მელიტონ ნაკაშიძე. გუბერნატორმა მისი სიუფუფულობის გადაცემა რთხოვა, დათას დახმარებით მელიტონი სტამბოლს გაიხიზნა. ვარლამ ჩერქეზიშვილიც ორი წელი ცხოვრობდა კულაშში, როგორც უცხო მხატვარი.

ბუნებით მღელვარე, შეუბოვარ, მუდამ ბრძოლის ხასიათზე მყოფ დავით მიქელაძეს ზოგი ლექიუს ცინცინატს აღარებდა, ამ სახელოვან რომაელ კონსულსა და სარდალს, რომელიც ცნობილი იყო თავისი უბრალოებითა და გულკეთილობით. მართლაც, ბრძოლით დაღლილი დ. მიქელაძე მასავით სოფელს უბრუნდებოდა ხოლმე.

ოთხმოცი-ოთხმოცდაათიანი წლების ჩვენი ქართული გაზეთების რომელი ნომერიც არ უნდა გადაშალეთ, თითქმის ყველგან შეხვდებით მეველის, იმავე დავით მიქელაძის, იმავე ზურაბის-შვილის სტატიებს, ფელეტონებს, წერილებს... სამი ათეული წელი იდგა დ. მიქელაძე ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების წინა პოზიციებზე და ემსახურებოდა ნათელ იდეალებს, იცავდა ხალხსა და ყოველ პროგრესულ საქმეს.

1893 წელს „ივერიის“ თითქმის ყოველ შეორე-მსამე ნომერშია მეველის წერილები ქვეყნის საქართველოტო საკითხებზე. დროდადრო ეხება უცხოეთის ამბებსაც (მაგალითად, საარჩევნო ბრძოლა გერმანიაში და სხვ.), მაგრამ მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო, — ესაა ერის კულტურული და ეკონომიური ცხოვრება, აღზრდა და ზნეობა.

ის ებრძვის ჩარჩებს, დიდი სარგებლით ფულის გამსესხებულთ, ამ სეკანტის შემთხვევაში ლამის შთანთქან ერის კეთილდღეობის მოვინისტებს, აყუია ვაეპატონებს, არჩევნებში ღირსეული მოღვაწის გამწაველებს, უჯულო მოხელეებს, მეჭრთავე მოსამართლეებს და ა. შ. თავით უმნიშვნელო, ყოველდღიური ხასიათის სტატიებში ვხვდებით რაიმე მტკივნეულსა და საგულისხმოს.

1894 წელს დ. მიქელაძე ბეჭდავს წერილების სერიას „ივერიაში“, იცავს „ივერიის“ ღირსებას. ზოგიერთი ავტორის ცილისმამებელი წერა... ლეღის გაბატონებით...

1894 წ. დ. მიქელაძე ისევ პეტერბურგშია (ნადეჟდინსკის ქუჩა № 23). მას მოწერა-მოწერა აქვს მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან. ერთ გამოქვეყნებულ წერილში ნიკო ნიკოლაძეს სწერს, რომ შენი დავალებით ვინახულე ვინმე მეტურიშვილი, ქაშვეთის ეკლესიასთან ყაზბეგის პანაშვილზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით; და რომ ორი ღღის ფიჭვის შემდეგ, მეტურიშვილმა ორკოფელი პასუხი გამოცაო.

ნიკო ნიკოლაძე და დავით მიქელაძე რომ ახალი მეგობრები ყოფილან, ეს უვლადფრიად ნაწნს, ერთადა მათი საშოღაფუო ასპარეზი და პრინციპული — ახრთა მსუღულობა. მათი ურთიერთობის ბევრ ნივთიერ და წერილობით საბუთს შორის საგულისხმია ლეე ტოლსტოის დრამის „მეუფეება წყუდიადისა“ მეველისეული თარგმანი, რომლის ერთ ცალს სატიტულო ფუცკელზე აწერია „მეფრფას მეგობარს ნიკო ნიკოლაძეს მთარგმნისისავან“. ეს ცალი ამჟამად თბილისის საჭარო ბიბლიოთეკაში ინახება.

დ. მიქელაძე ახლო მეგობარია აკაკის და ილიასი. ილიასთან ხშირად დაღის სტუმრად საგურამოში და ილიასაც არეერთებლ იწვევს თავის თავაზთან ოქაში. სიამოვნებით იგონებს ცოდ ილიასთან შეხვედრებს მიქელაძის ამჟამად ცოცხალი ქალიშვილი — ნინო მიქელაძე. მისივე მოგონებით, მამის ხშირი და სასურველი სტუმრები იყუნენ ვარლამ ჩერქეზიშვილი, ფილიმონ ქორიძე, მელიტონ ბალანიშვილი, კიტა აბაშიძე, გ. ზდანევიჩი, ნიკო თავდგირიძე (ცნობილი პატრიოტი, სოხუმის ქალაქის თავი), იაკობ გოგებაშვილი (რომელსაც უჩუქებია „დედაწინა“ გულთბილი წარწერით) და აკაკი. ამ უთანასწოელს სწორედ დავითის შვილისათვის, ივერისათვის მიუძღვნია უკვდავი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

ჭრელი პეგელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ივერი,
დიქარა და იამა“.

ამ ლექსში შემდეგ „ივერი“ შეიცვალა სხვა სიტყვით „ყმაწვილი“. მართალია, ეს უფრო გა-

ნაზოგადებს ამ მშვენიერ ლექსს, მაგრამ მაინც სანატრესთა მისი დაწერის საბაზი და პირველი ვარიანტი.

ნინო მიქელაძე იგონებს მეორე ეპიზოდსაც. აკაკი ჭაბუკი ეთამაშა დავითს. მიქელაძემ მოუტოო. მოლავია ივერისა. მაშინ პოეტს უთქვამს: მაშამ მოიგო, ძემ მოიგო, სული წმინდა-ლა დაშრია.

დავით მიქელაძის სხვა მეგობრებიდან აღსანიშნავია ცნობილი პოეტი ვრიგოლ ანაშიძე, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა და თანამშრომლობდა „ივერიაში“, აგრეთვე, შესანიშნავი მოღვაწე და პოეტი, კარგი მოქართველი და პატრიოტი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე. მათი ურთიერთობიდან ნინო მიქელაძე იგონებს ასეთ ეპიზოდს. ქუთაისის ბუღვარში მაისის ერთ მზიან დღეს გამოსულა ქალი, რომელიც ძლიერ მოსწონდა გიორგის. დათას, რომელიც ამ დროს ბუღვარში მოხედვრილა, ექსპრომტად მიუწერია მეგობრისათვის ფრანგულ-ქართული ლექსი:

„ღეპეშეუე ელე ტისი,
თუ რომ ნახუა გინდა მისი“.

(სასწრაფოდ მოდი, თუ ამ ქალის ნახუა გინდა).

შარვაშიძეს, ვიღრე გამოეწოზოდა, იქვე დაუწერია ასეთი პასუხი:

„ძე ვიენდრე სუიტ რა ბა,
არ გაუშვა, მოსწი კაბა“

(ახლავე მოვდივარ და სხე).

დამახასიათებელი ეპიზოდია. ბეგრი მსგავსი ფაქტი მიქელაძის ლალი, მღვღვარე, პოეტურა ცხოვრებიდან დაკარგულა, მაგრამ ძენწად შემონახული ცნობებიც მიუთითებენ ამ კაცის ხალისიან, მსქეფარე ბუნებაზე.

1895 წ. დასაწყისიდან მეველის ბელმოწერა „ივერიაში“ ფურცლებზე წყდება, თუმცა მრავალ ბელმოწერულ თუ სხვა ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ სტატიებში ძნელი არ არის მისი სტილის ცნობა. ამ წერილების ავტორი ქადაგებს ისევე სამართლიანობას, სიტყვის თავისუფლებას, ისეთი წესწყობილების საჭიროებას, რომელიც თითოეულ ეროვნებას აძლევს სრულს თავისუფლებას — „განათავისუფლებას თავის ბუნებრივი, ნიჭი, დამყაროს თავისუფლება, სიყვარული და თანაგრძნობა“.¹

1895 წ. ავერდიდან² დავით მიქელაძე თავისივე თხოვნით მიდის (ქუთაისში გადადის) და მის ადგილას ილია იქვეებს გიორგი ლასხიშვილს (1866—1933).

მომდევნო წლებში ომგადახდილი დ. მიქელაძის სახელი უკვე იშვიათად ისმის ზეენს პრესაში. ამ დავებრომელი კაცის დემილი თითქოს უჩვეულო ამბავია, რედაქციიდან წასვლისა და

სხვა სამსახურში ჩადგომის შემდეგაც იგი ნაკლებად შემოქმედებით მოღვაწეობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ზედმეტწინააღმდეგარეულია. მეველის მეგობრების სახელით შენიღბულმა უცნობმა პირებმა მოტყუებით წაიღეს ხელნაწერები გაურკვეველი მიმართულებით.

1900 წელს დ. მიქელაძე თავს ანებებს პრესას და გადადის ქუთაისში, სადაც აირჩიეს შვეიცების მრეწველობის საბჭოს წევრად, მერე, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრად, დასასრულ, დირექტორად. 1910 წლიდან 1916 წლამდე დ. მიქელაძე ბანკის დირექტორია, მერე მსოფლიო მოღვაწე პენსიაზე გადადის.

დ. მიქელაძემ ჩვენი ხალხის სამსახურს შესწირა სიმშვიდე, სიმდიდრე, მამული და კარგობა. მას ხშირად უპირდა. ეს ჩანს, მიუხედავად მისი სიამაყისა, წერილებიდანაც კი. არაერთხელ სთხოვს შეეწინას ნ. ნიკოლაძეს, რომელიც, როგორც ქალაქის თავს, შეეძლო დახმარების ხელის გაწვევდა.

საერთოდ, დ. მიქელაძე ხშირად სწერს ნიკოლაძეს კულაშიდან, ქუთაისიდან... ქუთაისიდან სთხოვს, დაიბაროს მისთვის ერთი ადგილი: „როდშელის საკურო სახლში“, გულშობილებებზე თავდებობას მასვე აკისრებს, რადგან „კარგად იცნობს“.

კულაშიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნიკოლაძეს შესწივის, რომ იქნა „ცხოვრების პრაქტიკა“ ვერ მიიღო, ხან ცხვირის იმტვრევს და ხან შებღს, ზოლო გარეგნობით „თუ ვინმე დასგავსებია ზვენს წინაპარს იღამს, უკანასკნელი მეც არ ვიქნებოი“.

ჩვენ გავეცანიით ადრეულ წერილებს ფოთის ქალაქის ათვანს. 1903 წელს მასვე მადლობას უთვლის გაპირებებში თანაგრძნობისათვის.¹

დ. მიქელაძის სახელი უწინდებურად აღარ ქნხს. მაგრამ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ვასული საუკუნის მოწინავე მოღვაწე ახალი დროის გარიყრატზე გულგრილ მეშხანად არ ქთუღა.

საუკროადლებოა, მავალითად, დ. მიქელაძის ღვაწლი 1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის პერიოდში. ეს ბუნებრივია. მას არ შეეძლო დემილი, როცა აღიხანოვ-ავარსკის პლასტრებზე თელავდნენ საქართველოს, წვადნენ დაბა-სოფლებს და შეურაცხყოფდნენ ქალებს.

1906 წლის 12 მარტს ხალხმრავალ მიტინგზე დ. მიქელაძე სასტიკი საპროტესტო სიტყვით გამოდის აღიხანოვის ველური მოქმედების წინააღმდეგ. შემდეგ ეს სიტყვა თავადა-ანაურთა საგანგებო ყრილობას გადასცა. ამ ყრილობაზე ირჩევდნენ დეპუტატს სახელმწიფო საბჭოში გასაგზავნად. მეველის ეს საპროგრაფო სიტყვა ბრწყინვალე ნიმუშია ოპორტუნული მშვერბერ-

¹ „ივერია“, 1895, № 43.

² ნ. ნიკოლაძის არქივი (40—848, 849).

ველებსა, მოქალაქეობრივ გაბედულებასა და კლასიკური დახვეწილობას.

დედანში ამ სიტყვას „განცხადება“ ეწოდება, მაგრამ იგი შორს სცილდება განცხადების ფარგლებს.

თი ამ დოკუმენტის სრული თარგმანი:

„მთავრობის წინადადების თანახმად, თქვენ, ბატონებო, შეკრებილი ხართ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩეველთა ასარჩევად, მაგრამ ვიდრე ამ სა მოქალაქო აქტის შესრულებას შეუდგებოდნენ, თავადანხატრობას, ერთადერთ წოდებას, რომელსაც ხმის უფლება აქვს, არ შეუძლია დემოლით აუაროს ვერცხი თავისი სისასტიკით უმაგალითო მოყვანა ქართველთა ხალხის ცხოვრებაში, უკანასკნელი ორი თვის მანძილზე რომ ხდება. ამ მოკლე ხანში ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა რაღაც ისეთი, რომლის მსგავს მკვლასაც ვერ ვიპოვნი ვერავითარ შემოსევებასა და კატაკლიზმებში, რაც კი საქართველოს განუცდია. როცა გამარჯვებული აობრებდა ქალაქებსა და სოფლებს, ძვრტდა მოსახლეობას, ცეცხლითა და მახვილით გადაუელდა ხოლმე ქვეყანას, მის წინაშე იდგა სარწმუნოებისა და ერთგული თვითმყოფლობისათვის ამხედრებული ქართველი ხალხი და ამ შემთხვევაში შემოსული ვიღური ურდოების ფსიქოლოგიას ჰქონდა ერთგვარი ახსნა. მაგრამ როგორც კი ქანცაყვეტილი ხალხი მორჩილების სიტყვას დამსრავდა, მტერი დაუყოვნებლად წყვეტდა დევნას და შერისიძებას აღვიდა აღარა ჰქონდა. ანე იყო უწინ საქართველოს დამპყრობელნი, მის საუფრო მტრებთან, მაგრამ სულ სხვა ახლა, როცა ჩვენ ვესწავნა არა მტრები, არამედ ისინი, რომელთაც ვალდ აწევთ ქვეყნის დამოშინება, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, თავისუფლების შენარჩუნება მათთვის, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ დანაშაულში, რისთვისაც რუსეთის კანონები სჯიან. თუკი ქალაქები, დაბები და სოფლები ეძლევიან ექვემდებარებას, ცეცხლსა და ხანძარს, მოსახლეობა თავს აფარებს მთებსა და ტყეებს, რათა თავი დაღწეოს შემოსულთა მახვილს, ხოლო შინ დარჩენილებს — მამაკაცებს მათრახით სცემენ, ქალებს კი საზიზღარ შეურაცხყოფას აყენებენ — შინაურების თვალწინ ნამუსს ხდიან. ვარსი იმისა, რომ გაუქმებულთა კანონი და გაუქმებულთა უფლება — გაუქმებულთა ყოველგვარი თანაგმარობა და ქველმოქმედებაც მორჩილი, დაუძღრებელი და უღარესად უბედური ხალხისადმი. მაინც რა დამაშვი ასეთი საქართველოს მოსახლეობამ, სრული გამარჯვებისა და შეურაცხყოფისათვის რომ განწირეს? ხომ არ ჩაუდენია რაიმე დანაშაული რუსი ხალხის სახელმწიფოს ან უზენაესი ხელმწიფის წინააღმდეგ? — სრულიადაც არა. საქართველოს სახალხო მოძრაობა მხოლოდ გამოხმარება იყო

მთელი რუსეთის განმანათლებლები მოძრაობისა, რაიმე განკერძოებულ ინტერესებზე უფლები ამბობების გარეშე.

მთელი ჩვენი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ზღვრებიდან მიერ ბოძებული თავისუფლება მივლეთ საბოლოოდ მომზადარ ფაქტად და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მას ვათვალავდა ის, ვისაც მართებდა მისი ცხოვრებაში გატარება. წუთუ ზელისუფლების წარმომადგენლებსა და ქარბზე მომზადარი ერთეული თავდასხმები, ისიც ცალკეული რევოლუციონერების მიერ... საკმაო საბაბია მთელი ქვეყნის აობრებისა და გამარჯვებისათვის?

სამწუხაროდ, იმელებული ეხდებით დავამოწმით ფაქტი, რომ ქართველი ხალხის საუკუნო ერთგულება, რუსი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა, მას არ ჩათვალა აქტივში. ჩვენი ერის ლიბალიზმამ ვერ შესწლო მისი დაცვა იმ საშინელებებისაგან, რომელთაც შერთა შეხედავდა თვით უღიღესი კაცთმოძველ — აღამაჰად-ხანი.

თქმულის საფუძველზე, თავადანხატრობის წინაშე წინადადება შემომაქვს, გამოხატოს თავისი აღმყოფობა უმინურო რეპრესიულ ღონისძიებებზე, რომელთა მიმართაც მხარეში და სთხოვოს კავკასიის მთავარმართველს იმეამდგომლოს საქმის გამოსაძიებლად სახენატორო რევიზიის დანიშვნაზე. მე ვეყოც არ შეპარება, რომ დიდი რუსი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც მალე შეიკრიბებიან, არ დარჩებიან ყრუ ქართველი ერის უფლებებისადმი, ერისა, რომელმაც დიდსულოვნად ანდო თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს. იმას, რაც ვერ მოგვცა ან არ სურდა მოგვცა ძველ რუსეთს, მოგვცემს ახალა (ხაზი ჩვენი. გ. მ.), რადგან მას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საერთაშორისო სამართალს, რომლი ძალითაც საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიის სამსახურში, რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი მოკავშირის და არა დამონებულ, ყოველგვარ უფლებას მოკლებული ქვეყნის უფლებით. დიდი ისტორიული ცოდვა, რაც რუსეთის ბიეროკრატიაში ასი წლის წინათ მოახდინა, უნდა გამოსყიდოს რუსი ხალხის წარმომადგენელთა პირველთა კრებამ. საქართველოს უნდა მიეცეს ფართო შინაგანი თვითმმართველობა, აღვალობრივი კანონების გამოცემაზე. ცხადია, სრულიად რუსეთის სახელმწიფოსთან სრული ერთიანობის საფუძველზე“.

ამ მიმართებაში, ცხადია, არ არის დაპარაკო რევოლუციაზე, მეფის ძალაუფლების ძალით დამხობაზე, და არც არის ეს მოსალოდნელი, მაგრამ მასში ბევრი რამ არის მინიშნებული, და საოცარი ძლიერებით, თანაც დიპლომატიური ტაქტიკით არის გამოხატული ხალხის საერთო აღ-

შფოთება რაქციის პერიოდში ალიხანოვის და მსჯელი რაზმების თარეშის გამო.

სიტყვით კი არა, საქმითაც შეუპოვარია „განცხადების“ ავტორი.

ერთბუნ და მიქელაძემ შინ მიუწყევია სიმონ წერეთელს, თავდაზნაურობის წინამძღოლს. როცა წვეთლებში ალიხანოვ-ავარაკი გამოჩნდა, მას დემონსტრაციულად დაეტოვებია სუფრა და მასწინაშისათვის უთქვამს, მე იქ არ დაერჩები, სადაც ქართველი ხალხის ჯალათი იმყოფება.

1907 წელს დ. მიქელაძემ ქართველ ხალხის სახელით დაწერა ტექსტი მეორანდომისა ზაღის საერთაშორისო კონგრესზე წარსდგენად.

1908 წ. მიქელაძემ თარგმნა და წიგნად გამოსცა ლევ ტოლსტოის ხეთმოქმედებანი დრამა „მეუღება წყვილიანია“. ერთი ცალი ავტორისათვის გაუგზავნია, თან წერილი დაურთავს, რომელშიაც წერია:

„...გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს სიფთისა და სამართლიანობის სასარგებლოდ, რაც ასე ესპირიტუალთ ადამიანებს და მეტადრე დამონებულ პატარა ხალხებს“.

ტოლსტოის დავალებით მისმა მდივანმა ნ. გუსემა მთარგმნელს მოსწერა თავაზიანი წერილი, რომელშიაც ნათქვამია.

„ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი დიდად მადლიერია თქვენი, რომ გითარგმნით ამეუღება წყვილიანია“ და თანაც გამოგზავნიათ, რაც შეგებმა საქართველოს მდგომარეობას, ამაზე ლევ ნიკოლოზის-ძემ მხოცვა მომხსენებნა თქვენთვის, რომ ის ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულად და ნათლად ზედაეს დიდ სახელმწიფოთა მიერ „მეორე“ ეროვნებათა ჩაგვრისაგან გამომდინარე ბოროტებას, დაინტერესებულა ამ ვითარებით და წერს ამაზე“¹.

საოარგმნი პეისის არჩევანშიც და ავტორისადმი მიწერილ წერილშიც ჩანს, რა ნათელი გონებით ჩასწავლობია მეველე ტოლსტოის შემოქმედების არსს და სწორად მოუხდენია არჩევანი.

1909 წლის მარტის დამდეგს, ქუთაისის თავადნაწიერთა დეპუტატების საკრებულო კრებაზე, სადაც იხილებოდა საქართველოს ავტორიტეტის საკითხი, სიტყვებით გამოვიდნენ კ. აბაშიძე, ნ. თავდგირიძე და დ. მიქელაძე.

რამდენიმე დღის შემდეგ სამივე დააპატიმრეს და მოათავსეს ქუთაისის „დიდ ციხეში“.

ქუთაისის სისტემა გენერალ-გუბერნატორმა სლავოჩინსკიმ, რომელსაც ხალხი გონებაშეხილურად ეძახდა „სეოლოჩინსკის“, დაპატიმრებულ ორატორებს წარმოთქმული სიტყვების დაწერა მოსთხოვა.

დ. მიქელაძემ დაუფარავად დაწერა ის, რაც თქვა, დამატებით კი ისიც, „რაც უნდა ვთქვა, მაგრამ არა სთქვა“. გენერალი, გააოცა თურმე მიქელაძის სიბრძნით და მისდამი პატივისცემით აღიესო იმდენად, რამდენადაც სიმაყიეს პატივს სცემენ თვითონ ტირანებიც.

მაგრამ ორატორების მდგომარეობას გენერლის სიმათია არ ამსუბუქებდა. სამივეს გაეცემიბრება ელოდა. ქუთაისის საზოგადოება აღშფოთებით შეხვდა თავის რჩეულ წევრთა ტყვევანას. მოხელეებმა დათმეს. ერთი თვის პატიმრობის შემდეგ სამივე გაათავისუფლეს.¹

ეს მხოლოდ ეპიზოდია, მაგრამ ეპიზოდი საგულსხმო და დამახასიათებელი.

ზეპირი ვადმოცემების ვარდა დ. მიქელაძის დაპატიმრებაზე მოგვიხსრობს ზოგი სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტიც.

1909 წლის სამ მარტს, ი. შენდარგია თავის მეგობარს ნიკო ნიკოლაძეს ფოთიდან პეტერბურგში სწერს ვრცელ წერილს. წერილის ავტორი ნ. ნიკოლაძეს ატყობინებს:

„სანამ დღისის ხბოდა დაიწყებოდა, ამაზე შემომიტანეს: ქუთაისში დაუქვრიათ დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე და კტა აბაშიძე. შგონი ხბოდას გამო, საცა უნდა ელაპარაკნათ ეპისკოპოს კირიონზე“².

დაპატიმრების შემდეგ, ცხადია, ისედაც უცნინუნელი დ. მიქელაძის ავტორიტეტი შთავრობის თვალში უფრო დაცა, სამავიეროდ ის ამაღლა მეგობარებისა და ხალხის თვალში. ეს ჩანს ორიოდე ვადარჩენილი ბარათიდანაც. დ. მიქელაძეს უპირის, დახმარებას საკურობეს როგორც პატერიალურად, ისევე სულიერად, და არც ერთს არ ამადლიან ძველი მეგობრები.

ამაღლეველია წერილი, რაც მადლიერმა დ. მიქელაძემ მისწერა თავის მეგობარს, ფოთის ქალაქის თავს — ნ. ნიკოლაძეს 1909 წლის 5 ნოემბერს:³

„მოგხევევი, ძმაო ნიკო, და დიდ მადლობას გიძღვნი შენი სიყვარულით აღსავსე წერილისათვის. თუმცა ჩვენი უმთავრესი რწმენა კარგა ხანია განსხვავებულა, და შენ ვებე იქ შევლას, სადაც მე დაღუბის მერს არას მოველი, მაგრამ, დამიგერე, შენი მეგობრობა და სიყვარული ერთს წამსაც არ შერყეულა ჩემს გულში. მე კარგად მახსოვს ის ძმური თანაგრძნობა და გამამხნევებელი სიტყვები, რომელიც შენ ჩემთვის გაგიწყვიდა და გითქვამს მაშინ, როდესაც ლამის სასოწარკვეთილებაში ვეარდებოდი! რაც

¹ „შინაური საქმეები“, 1909, № 9.

² ნ. ნიკოლაძის არქივის მასალები, XII, 192-207.

³ წერილი ინახება ნ. ნიკოლაძის არქივში.

შეხება ბესარიონისაგან გადმოცემულს ჩემს თხოვნას, ამაზე ის უნდა ვიხიროთ, რომ ამ მოხუცებულობის დროს სეკურტრობა ერთობ გამძინავებელია, არა იმტომ, რომა შრომა მაწუხებდეს და თავს ვერ ვართმევდე, არამედ თვით ხასიათი ამ თანამდებობის ყოვლად ადრანელი და საზარელია..." თან ზღვრისაც მითიერაო. რის გამოც ითხოვს თანამდებობის გამოცვლას.

დ. მიქელაძე მოესწრო დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ასე რომ, მას გადამტვრებით აუსრულდა ის, რაზედაც ოცნე-

ბობდა მისი მეგობარი სერგეი მესხი. „ერთი პატარა რევოლუცია მაინც შენახაო!“. მესამოციანელთა ევტრანდი წყნადი ცვალა 1918 წლის 25 ნოემბერს, ქუთაისში. დაკრძალულია საფლავის ხასაფლაოზე.

ასეთია, დღეისათვის ცნობილი მასალების საფუძველზე. დავით მიქელაძის ცხოვრებას გზა. ცნობები ძუნწია, მაგრამ რაც არის, ისიც ნათელ სურათს იძლევა ამ საინტერესო პიროვნების ღვაწლსა და აღამიანობაზე.

სოციალ-კოლიტიკური შემადგენელი

„რევოლუცია საყოველთაო ბედნიერებას აახლოვებს“.

დ. მიქელაძე

დავით მიქელაძის, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი იმ დროის მოწინავე აზრის გამოძახილია. მასში იცნობა იგივე გამბედაობა, იგივე მეტროლი და ნათელი სტილი, რაც ჰქონდათ დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს და მათს ქართველ თანამებრძოლებს.

შვედის მაღალ იდეალებზე, მის თავისუფლებისმოყვარულ სულზე ნათლად ლაპარაკობს მისი ვრცელი სტატია, რომელიც დ. ზურაბის-შვილის ფსევდონიმით აქვს ადრევე გამოქვეყნებული „დროების“ ორ ნომერში — „ბასტილის აღება და მისი დღესასწაულობა წელს“.¹

აქვე აუტლებლად უნდა შევნიშნოთ, რომ დავით ზურაბის-შვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების ავტორი არის დავით მიქელაძე და არა დავით ზურაბის-შე ჩქორტვა, როგორც ეს აღნიშნული აქვს „ლიტერატურულ ნარკვევებში“ აწ განსვენებულ მველვეარს სოლომონ ცაიშვილს.

„...კიდევ მრავალი იდეატური მასალის ჩვენება შეიძლება საკითხის ვარშემო, მაგრამ, ვფიქრობ მოტანილითაც შეგვიძლია დავასვენათ, რომ დავით ზურაბის-შე ჩქორტვა (ზურაბის-შვილი) ქართველ მესამოციანელთა ბრწყინვალე პლეადის ერთს აქტიურ და ანგარიშვასაწვე მოქმედ ძალას წარმოადგენდა.

დავით ჩქორტვას დასახასიათებლად მოტანილმა მასალებმა ცოტა დაგვაწინაურა და ამ მიზეზით გამოგვჩა — უფრო დაწერილებით ვაგვეჩა მისი სხვადასხვა ხასიათის სტატეიები ვაზეთ „დროებაში“, „სასაფლო ვაზეთსა“ და შურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებული.

მათ შორის საგულისხმოა 1872 წელს ვაზეთ „დროებაში“ (№ 29,30) მოთავსებული ისტორიული ხასიათის ფელეტონები „ბასტი-

ლის აღება“ 1789 წლის 14 ივლისს და ამისი „დღესასწაულობა წელს“, წერილი, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით ევტონის დავით ზურაბის-შე ჩქორტვას, გამოქვეყნებულია „დ. ზურაბის-შვილის“ ხელმოწერით და დაწერილია თექვსმეტი ივლისის თარღით პეტერბურგში, სადაც მაშინ იგი ცხოვრობდა როგორც სტუდენტი.

პეტერბურგიდან გამოგზავნილ სტატეიებიდან უნდა დავასთვლოთ აგრეთვე ფელეტონები სათაურით — „პეტერბურგიდან ვენეციამდე“... ვერ ვართი, ზურაბის-შვილი, როგორც ზვეითაც აღვნიშნეთ, მიქელაძეების იმ შტოს ზედწოდებაა, რომელსაც დავითი ევტონდა, მისი წინაპარი ზურაბი — სოლომონ მეფის მრჩეველი ყოფილა.

მეორე, „დროების“ 1873 წლის № 40-ში გამოქვეყნებულია დიღერი, რომელშიც ვკითხულობთ:

ჩვენი რედაქტორი ს. მესხი იმჟამად სამზვარს ვარეთ იმყოფება, პარიგში, სადაც ის რამდენიმე თვე დარჩება. მისი მავგერობა აქ კირილე ლორთქიფანიძემ იცისრა.

— ამ მოკლე ხანში სამზვარს ვარეთ მიდის ჩვენი თანამშრომელი გ. წერეთელი, რომელსაც მიზნათ დილოლოგიის და ისტორიის შესწავლა აქვს, ამ მიზნით, რომელიც ჩვენის ქვეყნის წარსულის ცხოვრებას შეეხება.

— მაგერათ ჩვენ შეგვეძლია ვასართ ჩვენს მკითხველებს მეორე ჩვენი თანამშრომლის დაბრუნება: „პარტიული წერილების“ დ: „თანამედროვე შენიშვნების და სურათების“ ავტორი დ. მიქელაძე, ამ ვერვა პარტიდამ დაბრუნდა და ამ დღეებში „დროების“ რედაქციის შრომაში ვაებმება“.

1 ს. ცაიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, ვ. 60, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962 წელი.

„დროების“ 1877 წლის 16 მარტის ნომერში დ. მიქელაძის და ა. წულუკიძის ჩხუბთან დაკავშირებით გამოქვეყნებულა ერთი ისეთი საგულუბნობო ცნობა, რომელიც საბოლოოდ პდენს შექს „დ. ზურაბისშვილის“ ფსევდონიმს მოფარებული პირთაგანების ვინაობას; ჩვენს ქალაქშიც კი ბევრს ლაპარაკობდნენ ამჟამად ერთს უბედურს შემთხვევაზე, რომელიც ამ თვის ათს მომხდარა ქუთაისში.

ორი ახალგაზრდა თავადი დავით ალექსანდრესძე მიქელაძე და ალექსანდრე სეიგონისძე წულუკიძე დატყვებიან ერთმანეთს ქუთაისის ბუღვარზე და ერთს ხრმლითა და მეორეს ხანჯლით დაუწყვიტო ერთმანეთის ჩხა...

...ამბობენ, რომ თ. დ. მიქელაძეს საში დაჭრილობა აქვს ხანჯლითა; ერთი თავში, მეორე მხარზე და მესამეც გვერდშია. თ. ა. წულუკიძე კი მარტო ორ ალაგას არის დაჭრილი: თავში და მხარზე. როგორც იმის, ორთავენი ისე მძიმედ არ არიან დაჭრილნი, რომ მათი მორჩენა შეუძლებელი იყოს... მიწაზე ამათი ჩხუბისა, როგორც ვაფიქრებთ, ქალი ყოფილა...

„დროების“ მკითხველი ერთს ამ დაჭრილობას — დავით მიქელაძეს კარგად იცნობს: 1873 წელს იბეჭდებოდა ჩვენს ვახუთში იმის ცოცხალი, ჩინებული და კეთილშობილერ გრძნობათ აღსაყვ კორესპონდენტები პარიჯადამ, რომელშიც ხელმოწერილი იყვნენ „დ. ზურაბისშვილის“ სახელით. 1874 წელს დაიბეჭდა იმისივე რამდენიმე სტატია „მეველეს“ ასევედონით.

ვფიქრობთ, „დროების“ რედაქციაზე, რომელშიც დაბეჭდა ზემოაღნიშნული წერილება, და მის რედაქტორს ს. მესხზე, რომელიც პირადად იცნობდა და მეგობრობდა დ. მიქელაძეს, უკეთესად და სარწმუნოდ არაფერს ეცოდინებოდა, ვინ იყო „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილების ავტორი. აქედან გამომდინარე, „დ. ზურაბისშვილის“ ფსევდონიმს მიფარებულ პირთაგანების ვინაობა, — რომ ის დავით მიქელაძეა, — საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

ამ დროს შევეულ პეტერბურგს იმყოფებოდა. მის მსჯელობაში ასახულია იმ დროის რუსეთის რევოლუციური-დემოკრატიული აზრაც და მისი ნათელი გამოძახილიც ქართულ სინამდვილეში.

ამ სტატიაშიც და შემდგომაც უყრადღებს იპყრობის შეველის ზოგიერთი რადიკალური შეხედულება, მისი მოწოდება სამართლიანობის დასაყვად, მისი „პრძოლა კაპიტალთან“ და ტრანაშა მხილება. ის უკმაყოფილოა, რომ XIX საუკუნის დასასრულს ყოველ წმინდა და მაღალ გრძნობას ვერცხლით ზომავენ.

მეველ ატრაცებით ლაპარაკობს გამბეტას

„სასტიკე შევრმეტყველებაზე“, ვერცხლ მიყვას მისი სიტყვის ეს ნაწილი, სადაც ლაპარაკია ძმობისა და თანასწორობაზე. „მეველეს“ მოვება თანასწორად უნდა შრომობდნენ ყველასათვის. ძველი ჩვეულება და წესი სამუდამოდ უნდა გაქრეს... და მის მაგიერით უნდა შობილყო ახალი ცხოვრება, რომელშიც იმყოფებოდა სიმართლე, გემშარბიტა, პირადი ღირსება, თავისუფალი აზრები... როცა მეველესე ვუღუბებად ახდენს „დროებაში“ გამბეტას ციტირებას, ცხადია, ის ველისხმობს ასეთივე რევოლუციური გარდაქმნის დროულობას თავის ქვეყანაში; ხოლო ზასტილის დანგრევაზე უყრადღების გამახილება კანონზომიერია იყო არა მარტო მეველის, არამედ იმ პროვრესული თანობის და მისი პრესის თვალსაზრისითაც, რომლის წარმომადგენელიც დავით მიქელაძე იყო.

მეველ იგონებს მირაბოს ისტორიულ სიტყვებს, დემულენის გმირობას და დასძენს: „ამ დღეს დაიღუპა კოროლის ძლიერება“. მოღვაწეები მეზღარბეები როდი არიან. ხალხის ნებით ლუღოიყვას დაღმებზე რომ ლაპარაკობს, მეველეს ნიკოლოზის დაღემას წინასწარმეტყველებს. მისი რწმენით, რევოლუცია „საყოველთაო ბედნიერებას აახლოვებს“.

ცხადია, ზომიერება იველისხმება მეველია მსჯელობაში: „გონიერი მშართველის ღირსება ის არის, რომ სანამდინ ხალხი რასმე მოითხოვდეს, მანამდინ უნდა დაემყოფილოს ის, თორემ როდესაც ხალხი აღელდება და მოთმინებიდან გამოვია, მაშინ ის ცოტა რასმეს კი არ დასყერდება; ყველა მშართებულობა, რომელიც ამ კანონს ვარდამხდარა, სასტიკათ დასჭილა თავის ჭიუტობისათვის“. მაგრამ თუ დავაკვირებხით, რომ აქ იველისხმება არა მარტო მეველების „თავაზი“ და სამართლიანობა, არამედ საერთოდ მშართველთა დამოკიდებულება ხალხისადმი, მის მსჯელობაში საყურადღებო აზრი და გამჭრიახობაა.

ნათელი და ისტორიულად ძირითადად სწორია მეველის დასყერა, რომ „14 იველისის რევოლუციის შედეგა მთელი ევროპის ცხოვრება ძირიანად შეაყვია; ძველი სახელმწიფო წყობილება მოსპო. მონობა და ბევრი ხალხის შემევიწროებელი კანონები სამუდამით გაქქრა“. ის კმაყოფილებით ლაპარაკობს ფრანკი ხალხის „ზნებობრივ და ნიეთიერ ძალაზე“, რამაც საფრანკეთი დიდი ხნით ევროპის საქმეების ფაქტიურ წარმშართველად აქცია. შესანიშნავია მეველის ალღო და ცოდნა, როცა ნაბოლენზე ლაპარაკობს: „ამ გასაოცარმა კაცმა“, მეველის სიტყვით, მთელი ქვეყანა გააკვრავა, „ნაბოლენი რევოლუციის შვილი იყო... მაგრამ როდესაც იმან უღალატა თავის სუფლესას (ზაზი ჩვენია, გ. მ.), მაშინ თეთონ მომხდა თავისი დიდების სამარჯე“

1 „ივერია“. 1893, № 141.

ამ მოკლე მსჯელობაშიც ნათლად იგრძნობა დ. მიქელაძის ერთდროეობა, საღი აზრი და უტყუარი აზროვნება, როგორც ცნობილია, თვით ნაპოლეონი ამბობდა ვატერლოოს შემდეგ: „ვეროპის მპყრობელები მე კი არ მებრძოდნენ, არამედ ჩემი სახით რევოლუციას ებრძოდნენ“. გამოდის, რომ თვით იმპერატორის შეგნებული ჰქონდა თავისი მისიის აზრი, და როცა მან გადაუწყვიტა ამ მისიას, როცა მან უარი თქვა ხალხის დახმარებაზეც კი, მისი მზეც ჩაესვენა, დ. მიქელაძემ ეს მშვენიერად იცოდა ამ ერთი საუკუნის წინ.

მეველეს არ სწამს შეშინებული ტირანების მიერ ხალხისათვის ნაბოძები კონსტიტუციები, საიდანაც შემდეგ თვითონვე შლიან ხოლმე მიცემულ უფლებებს, და იგონებს იგავს გველის, სათნოებაზე: ყმაწვილმა გველს ვაშლი გაუწოდა, იმან კიდევ გამორთმევის ნაცვლად დაგვლავა. ასევე იქცევიანო ზწირად გაბატონებული ადამიანები, რადგანაც ასიათმეცხრამეტისა და ნეტარების ღრუბლები ერთობ გაუძერტეულია უმრავლესობისათვის, რომ იქილგან შეეძლოს კაცს დანარჩენი უბედური ხალხის დანახვა.¹

უფრო ზატონად და თვალსაზრისად „თანამედროვე სურათების“ დახატვას ქნულად თუ რომელიმე მწერალი შესძლებდა, იქვე სტატიის მეველე ამოთარგმნოს ჭარბული ანდაზით: მაქლარს მწიგრიც მაქლარი ეგონათ, და ამ სიბრძნის დასადასტურებლად ფიბტეს სიტყვებსაც იშველიებს.

უცხოეთის მეოთხე ახალგაზრდა დ. მიქელაძემ მოხერხებულად არღვევს ცენზურის ბარიერს და „დროებაში“ ათავსებს სტატიების მთელ სერიას პარიზის ცხოვრებაზე, პარიზის კომუნაზე, რაც, მისი აზრით, „ლექსიპონისათვის ბრძოლა იყო“, აქვეყნებს აგრეთვე წერილებს საფრანგეთ-პრუსიის ომზე, ინტერნაციონალის დაარსებაზე და ა. შ.

I ინტერნაციონალს დ. მიქელაძე ეძახის „ხალხთა შორისი მუშების საზოგადოებას“, რომლის მიზანია „გამოიყვანოს მუშა ხალხი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ახლა იმყოფება და რამდენადაც ეს შესაძლებელია, პოლიტიკური ეკონომიის კანონების თანახმად“².

პარიზიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში დ. მიქელაძე წერს: აქ შედგაო კრება, რომელსაც განიხილა ქალებსა და ბავშვების შრომის პირობებზე დაბრკელება, და აღნიშნავს, რომ ფაბრიკებში შრომის აუტანელ პირობებს ვაიმეობებსა უნდაო. „წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირება, — წერს მიქელაძე, — როდესაც ერთი სწავლულის თხზულებაში შევხვდი ამნაირ სიტყვებს: ბევრ ფაბრიკებზედ ოთხი წლის ბავ-

შვებს რამდენსამე საათს ამუშავებენ დღეშიო. მაგრამ ეს კიდევ რა! გაიგონეთ, რას ამბობს მარსი: „ინგლისის ფაბრიკებზედ მტბორელები ერთი ვაჭორივებულ მდგომარეობაში არიან, რომ ორი წლის ნახევრის ხალხებს დააყენებ საიმუშაოზედ და რვა-ცხრა საათს დღეში ამუშავებენ. საბრალოთ საქმლის ჭამის დროც არა აქვთ და დედები შოშინასავით თავის ხელით უღებენ ბავშვებს პირში ლუქმასა, რომ არ ასცდნენ ისინი ხელთ-საქმარზედ. თითო ბავშვს იმდენი ჰაერი ერგება ამ სახარელ სადგომებში, რამდენი პაეროც დაეტევა ისეთ უჯრათი, სადაც ორი პატარა ბავშვი ძლივს ჩაეტევა“³.

სხვაგანაც, უველგან სამართლისა და პროგრესის რწმენას ქადაგებს მეველე. ეწვეოდან დ. ზურაბისშვილის ფსევდონიმით გამოგზავნილ წერილებში წერს: „რაც უნდა დახარბოთლო იგოს ახალდელი აზრი და ღღოლეა, შეუძლებელია ერთ წამსაც მივიღოთ ის, რომ ქვეყანაზედ სამართლიანობა და სიყვარული არ იქნება, რომ ფიციური ჭალა, მსეცური ინსტინქტები იმეფებენ დიდხანს არა! ამ აზრზედ ხელის დათანხმება თავის ხელით თავის მოკვლას ემსგავსება“. საუბრადღებო და ყოველი უუღმარო დროისათვის საველისბმო ამ აზრს შეველე განამტკიცებს საკვებით სწორი თვალსაზრისით: „სანატრელი დღის მოახლოება ჩვენზედვე არის დამოკიდებული... წინააღმდეგეთ მხნედ ბოროტებას და ევეი არ არის, ენახვეთ გამარჯვების დღეს!“

იქვე დ. ზურაბისშვილს ხაზგასმით მოჰყვინტერნაციონალის დევიზი: „არ არის უფლება, გარეშე ვალდებულებისა, არ არის ვალდებულება, გარეშე უფლებისა“. იმავე სტატიაში ნათლად და თითქმის ამომწურავად განმარტავს ინტერნაციონალის პროგრამას: „ახალთა შორის საზოგადოება ცდილობს: 1) რომ ყველა მუშა თვითონ თავის ღონით განათავსდეს უფლებული იქნეს, 2) რომ მუშები თავის შრომის პატრონი შეიქნან, ერთმა საზოგადოების ნაწილმა ბატონათ არ არ გაუხდეს მეორესა, 3) რომ მუშების დამოკიდებულება თავიანთ აღებზედ მავნებელია განათლებისათვის და ყოველი ზნეობით დამოკიდების, სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის მიზეზია, 4) რომ ეკონომიური განათვისუფლება მუშებისა დიდი საქმეა, რომლისთვის ყოველი პოლიტიკური შემთხვევა უნდა იხმარონ, 5) რომ ყოველი მეცადინეობა მუშებისა დღემდე უნაყოფო იყო, რადგან მათ შორის არ სუფევდა თანხმობა და მშერი სიყვარული, 6) რომ მუშა ხალხის განათვისუფლება არ არის ადგილობრივი, ან ნაციონალური, არამედ ეს არის მიზან-

¹ „დროება“, 1873, № 37.

² „დროება“, 1872, № 7.

³ „დროება“, 1873, № 6.

⁴ „დროება“, 1872, № 47.

ნი ყოველი განათლებული ქვეყნისა და ყველამ მონაწილესა უნდა მიიღოს ამაში“.

მეველ ანალოზს უყვებით ექვსი წლის წინ ჩატარებულ ენევის კონფერენციის, და აღფრთხილებულია, რომ ასეთი მაღალი იდეების მატარებელ საზოგადოებას, რომელსაც ამგებარი უმანყო და გონიერი მიზანი აქვს, ისე სდევნიან, „როგორც ძველ ქრისტიანებს ნერონის დროს“. საველისხშია შედარებამა მავარი მი-სი მეორე შედარება კიდევ უფრო საგულთს-მა და მიუთითებს არა მარტო მის რწმენა-ზე, არამედ განსწავლულობასა და აღლოზეც: „განა იმ კარდინალებს, რომელთაც არ სურთ მიიღონ კომპრომისის სისტემა და წინააღმდეგი სრულად — დაარწმუნებს ვინმე, რომ ისინი არღებია?“

„შეკარა, მეველე მტკიცედ დგას სამართლიანობის მხარეზე და სწამს, რომ კუშიარტე-ბას, რაც ვინდა ბევრი ედგეონ, თქვენი იარაღით ვერაფერს აენებენ. ხოლო თუ არსებული წყობილება „რამე პრინციპს თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს, ეს იმ პრინციპის სიყ-დილის ნიშანია: ცოცხალს რაღა წამლებით შეზავება სჭირია, რომ არ დაღებს?“

„ღრობის“ ენეველი კორესპონდენტი უფრადღებოდ არ ტოვებს შეეიარიაში არსებულ პოლიტიკურ თავისუფლებას და შეწყენარებლობას, იმ დროს, როცა „ხალხთა შო-რის საზოგადოებას (ინტერნაციონალებს) ყო-ველ საბელმწიფოში — გარდა ინგლისისა და ამერიკისა — სდევნიან, და... მინიფესტი კიდევ უფრო ამტკიცებს ბურჟუაზიის შიშს და თრთოვას ინტერნაციონალს პრინციპების წინაშე, ენეველაში ამ საზოგადოების წევრნი მართებლობის წევრთ რიგებში არიან და საქ-ვეერო საქმეებს განაგებენ“¹.

დ. მიქელაძე მოუტირდებლად შენიშნავს: აღ-ბათ ხალხი იკითხავს, რატომ უნდა სდევ-ნიდნენ ინტერნაციონალს? „მგრამ ჩვენს საუკუნეში სამართლის ტალახში გათელვა, თა-ვისუფლების შეგნება, ხალხის ბედით თამაში, როგორც ჰადრაკის კაცებითა, გულს აღარ გვიღლევებს... შეეწვიოდ!“

აღტაცების ღირსია მთელი ესა და შემდგომი მსჯელობა იმის შესახებ, რომ „გაბიბალდის საუკუნეში გვიწინდელი გამოცხვარი „რანდლი“ ვიამბის: „ქლიერება არის სამართალი“. ესაა არა რომელიმე დროებითი და მდარე მოწომ-ხილველის, არამედ მოაზროვნის, შვერლისა და პატრიოტის ტონი.

პრინციპი მეოფ, უცხო ენების მელონე, ნი-კოერ ქარბიელ კორესპონდენტს, ცხადია, უფრადღებოდ არ გამოარჩებოდა თავისი დროის მოწინავე და რვეოლუციური აზრი.

ერთ-ერთ კორესპონდენციასში, სადაც ენება ლეი ბლანის თავმჯდომარეობით შედგენილ კომისიის პროექტს, ვრცლად მოჰყვანს მისი სიტყვები: „ინგლისის უმარბიებულ ქვეყნებში ისევე გატირებულ მდგომარეობაში არიან, რომ ორი წლის ნახევრის ბაღლებს დააჯდნენ სამეშაოზე და რვა-ცხრა საათს დღეში ამუშავენ...“¹ ქვემოთ ციტატი შეწყვეტილია მრავალწერტოლით.

XIX საუკუნის მოწინავე ადამიანები, ქართ-ველი საზოციანელები კმაყოფილი არიან მევე-ლის შეუპოვარი მოღვაწეობით, თვალყურს ადევნებენ მის მუშაობას.

მეველე ს. მესხის „საყვარელი კაცია“. მესხი ხშირად ასხენებს და იმუშებს კიდევ მის ავ-ტორიტეტს. მაგალითად, როცა მსჯელობს ერთ კომიტეტზე, „რომლის მეთაური, როგორც მე-ველე წერს, ყოფილა ნემეცი კარლ მარქსი, რომელმაც კრებას საზოგადოების ანგარიში წაუკოხა. კრებამ გადაწყვიტა, რომ განსაკუთ-რებული ყურადღება საფრანგეთისა და რუსე-თის მუშებს უნდა მიექციოთო“².

ცხადია, მეფის მოხელეებს შეუშინეველი არა რჩებოდათ მეველის გაბედული გამოსე-ლები. მაგალითად, ცენზურას აქტრძალავს მე-ველის ერთი სტატია, რომელშიაც ციტირებუ-ლია მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრი-ტიკისათვის“.

მეველე შეზღვევრული ხელება ყოველ პირსა და კანონს, რაც ადამიანის, მწერლობის, მართლმსაჯულების თავისუფლებას ზღუდავს. მაგალითად, ხელოვნურსა და უღლეურს ემა-ხის საფრანგეთის პარლამენტის გადაწყვეტი-ლებას, მწერლობა და მართლმსაჯულება მთავრობისაგან უნდა იყოს დამოკიდებული, და ირონიულად შენიშნავს: „თუმცა მთავრობა გა-მარჯვებულია და თავის მოწინააღმდეგეების ასალავმავად დიდი ღონე უწყობს ხელთ, მაგ-რამ ვაი ამისთანა გამარჯვებას!“³

მეველეს აღმოუთობს ვაჭეოების აქრძალვა, სიტყვის თავისუფლების ჩახშობა, „სამხედრო მდგომარეობა“ შინ თუ გარეთ. ქვეყნად არ ეგულება ისეთი შარავნა, სადაც სიყდილის არ უნდა ეშინოდეს ადამიანს, ქვეყნად არ არისო კუთხე; სადაც არ მჭინეარებდეს ძალადობა, ინიფიციტა, დესპოტიზმი, სილატაკე და სი-დუხიტი, ლიტერატურის დევნა... მეველე ერთ ხელმოუწერელ სტატიაში მოჰყავს საფ-რანგეთის, კანადის, მექსიკის, ესპანეთის მავ-ლითები, მეტადრე დიდხანს ჩერდება იტალია-ზე, სადაც ხალხი არაერთხელ ამღვარა თავი-

¹ „ღრობა“, 1873, № 6. ხაზი ჩვენია. ე. მ.

² ს. მესხი, თხზ., ს. მერკვილადის რედაქციით, I ტ., გვ. 334.

³ „ივერია“, 1894, № 159.

1 „ღრობა“, 1872, № 47.

11. „მნათობი“, № 1

სუფლებს დასაცავად. მეველე აღტაცებულია რტაველთა მამაკობით, რომლებიც „ყოველთვის მზნედ და აღტაცებული ვარძობით შეხედებოდნენ თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის სიყვდილსა. ამ კეთილშობილი და თავგანწირული მამულის შეიღების სისხლი არ ეკარგებოდა უბრალოდ... ერთი დახერტილი ან ჩამოხრჩობილი პარტიოტის მავიერად ასე და ორასი სწნდებოდა...“¹ მეველე აღტაცებულად გარბიანდის სიმამული, ზიზღით იხსენიებს ვიქტორ ემანუელს, რომელმაც დახმარების ნაცვლად „ეროვნულ გმირს ტყვეა დაუწინა და ცოტეში ჩაავლო. მაგრამ იტალია მეფეებმა და პაპებმა ვერ დააპოვეს. ხალხი მეველეთით აღდგა.

უცხო ქვეყნებზე რომ ლაპარაკობს, დ. მიქელაძის ფიქრი მამულს დასტრიალებს.

უცხოეთის ამბების ხშირ მიმოხილვას მეველე თვითმიზნად როდი ხდის. ამ გარემოებას თვითონვე ირონიულად უყურებს: მეც ისე გამოშდის, როგორც ანდრეაშია, — მამის სული დაეიწყება და პაპის სულს ფიცილებოდა. მაგრამ ზოგჯერ ცხოვრებაში „სხვადასხვა დამოუკიდებელ გარემოებათა გამო“ ადამიანი იძულებულია ისევ შორეულ ამბებზე ილაპარაკოს, რადგან „თავის მამის მოგონება, თავის მღკომარეობის განჩნევა, „აწონა და დაფასება შეუძლებელია“.²

ფრიალ საუფრადღებო მსჯელობაა ისტორიაში თუ თანამედროვეობაში მეველე ნაცარს კი არ ქეპავს, არამედ ნალევრდას. თავის ამ მსჯელობას საქმით აშტაცებს, როცა უცხოეთის შეინაშენებში ჩვენი ქვეყნის ბედზე ჩამოავლენს ხოლმე სიტყვას. ის სულაც არაა მომხრე „ათორელი სიბრძნისა“. ემონე შენს ბელსაო. ევროპის ამბებში ბევრს ჭეუის სსაწვალელებსაც ხედავს და „გარემოებათა ნაცვლად შემავიწროვებელია“. სადაც განახლების სულა, სადაც რესპუბლიკა ფეხს იდგამს, სადაც მეფე ვასპირშია, — ჩვენი მიმოხილველიც იქით მიაპყრობს მკითხველის თვალს და გადაკერით თუ პირდაპირ ანიშნებს: „აი ჩვენი გზა და მომავალიო!“

მაგრამ მეველე არაა ყოველთვის თანმიმდევარი. ზოგჯერ თავის რვეოლუციურ ძახილს თვითონვე ფარავს მოწოდებით მშვიდობიანობისაკენ.

მართალია, მშრომელთა მზარეზე დგას, უხარია, რომ „მუშა ხალხი სახუმაროდ არ ამხედრებულა და ბოლოს და ბოლოს მიუგნია ნამდვილი საშუალებისთვის ახლანდელი უსამართლობის მოსასპობად“, მაგრამ ის მაინც მშვიდობიანი გზით მოაოვებულ უფლებებს აძლევს უპირატესობას და აძრწუნებს კიდევ რვეო-

ლუცია, რასაც „თან მოსდევს უსამართლობა და ადამიანთა მსხვერპლი“. ამიტომ მოწოდებით ხედება ნანტში პოლებულ მშვიდობისა უდასწყვიტებლას — პარლამენტში „უშვებესსაჲ სთცილისტი იყოს არჩეული და კანონებიც ხელსაყრელი გამოუშვანო.

მეველს თავისებური პოზიცია აქვს წოდებრივ საქითში საერთოდ, ცდილობს მოშალოს წოდებრივი ზღვარი და ყველას შეავგებინოს, რომ საჭიროა შეერთებული ძალით ქვეყნის წინსვლისათვის ზრუნვა. როცა მარტყოფელმა გლეხებმა ნასწავლი მამასახლისი აირჩიეს და ვასამრეველი დაუნიშნეს, მეველემ ამაში „ახალი სიოს ქართლ“ დაინახა. მართალია, მერე ვასამრეველს მიცემა ვაუტორდათ და ისევ უსწავლელად კაცი აირჩიეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგივე ნასწავლი აზნაური ამჟობინეს. მეველე კულუბრეველოდ იმედოვნებს, რომ ასეთი ნასწავლი აზნაურები თავიანთ ამოჩრჩეულებს გულს არ გაუტეხენ და დაუმტაცებენ, რომ „წოდებრივი უთანხმოება და სოჭლელი ჩვენი ახალი პუბლიცისტების მოჭორბული ამბავია“.² ცხადია, ახალი საქმისა და ერისათვის ზრუნვას ორივე წოდების შეიღები იჩენდნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა ისეთ წოდებრივ სიამტცილობას, როგორც მეველეს სურდა ყოფილიყო.

1894 წელს რაჭველ თავად კონსტანტინე ყოფიანს თავის მამული თავისივე გლეხობისათვის უწყალობებია. მეველე ამ ფაქტსაც წერაილით ეხმარება, აჭებს ამ თავადის საქციელს და გადამტებულ მნიშვნელობაზე აძლევს მას: ცდილობს ამით დასაბუთოს ბატონისა და ყნის მამაშვილური დამოკიდებულების დეგენდა და ვასათილის იმ მეველეთათა აზრი, რომელთაც ჩვენში ბატონყმობა ჟოჯობთად ესახებოდათ. ცხადია, ეს დ. მიქელაძის თვალსაზრისთა აქლევსის ქუსლია, მაგრამ ეს მას ესაჭიროება მოცემულ მომენტში, „როცა გვერბია საერთო შეთანხმებული სიომა ჩვენის ცხოვრების განსაყარებლად“. მართლაც, ვანა ე. წ. დიდგვაროვანთა წრიდან არ იყო ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, მოაზროვნე, მწერალი და ხალხის სიყვარულით გარემოცული ქომავი? ამ აზრით დ. მიქელაძე შორის დგას ხელაღებით რომელიმე წოდებისათვის უპირატესობას მინიჭებისა და მეორის კანონგარეშედ გამოცხადების უფნური მოთხოვნისაკენ.

საქმე ისაა, რომ მეველე არ ავლენს ზღვარს თავადსა და გლეხს შორის წინდაუხედვად, მხოლოდ წოდებრივი სხვადასხვაობის საფუძველზე. მისი აზრით, „ეკი ძლიერია მხოლოდ

1 „ღრობა“, 1873, № 36.

2 „ღრობა“, 1873, № 39.

1 „ივერია“, 1894, № 211.

2 „ივერია“, 1894, № 49.

მამინ, როდესაც ყოველი მისი ნაწილი ერთიან და განუყოფელ აგებულებას შეადგენს და რომელი ნაწილიც თვისთვის გამოსაყენებელ კაცებს იხოვის, იქნაღან მოიწვევს მოქმედებისათვის.¹ ეს აზრი, გამოთქმული მაშასაბლისად თავადანზაურთაგანის არჩევასთან დაკავშირებით, იმ დროსათვის პრაინციპულად გასაგებია და ბუნებრივი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მთელი თავისი მაღალი პუმანურობისა და ნათელი გონებისა, დავით მიქელაძის გულში მუდამ ცოცხლობს ერთგვარი თავადიშვილური თავმოყვარეობა და იგი მუდამ უყოყმანოდ იცავს თავისი წოდების ღირსებასა და დამსახურებას უსამართლო თუ სამართლიანი თავდასხმებისაგან. მაგალითად, როცა ოდესღაცმა პრაფესორმა თავის ლექციაში ნაპოლენოზე თქვა, რომ საფრანგეთის თავადანზაურობა ისეთივე თვალთ უყურებდა კორსიკის თავადანზაურობას, როგორც რუსეთის თავადანზაურობა უყურებს კავკასიის თავადანზაურობას, — შევედრე შეურაცხყოფილი კაცის პაქუბი ვასცა და აღწინა, რომ რაღაცეატიება მჭლანულებს, ის არ ეპატიება მეცნიერსო.²

სხვა შემთხვევებში შევედრე ერთნაირად კიცხავდა უფლას, ვინც ახალი დროის ქროლას ვერა გრძობს და განუწყველად ცდილობს ჩამოაგდოს მუდლი წოდებებს შორის. დ. მიქელაძეს ესმის, რომ „ასეთს მიმართულებას თავისი ისტორიული საფუძველი აქვს“, მაგრამ ბატონყმობა უკვე გაუქმებულია და ყოველი წოდების აღამიანს მოეთხოვება საერთო ძალით იბრძოლოს მჭეყნის კეთილდღეობისათვის. მართალია, შევედრეს აქ თითქმის ავიწყდება თავისივე აზრი უსამართლობის არსზე, თავის თავზე ეწინააღმდეგება, როცა ამტკიცებს, რომ ჩვენში აღრევე „გლუხისა და ბატონის ოჯახი შეადგენდა ერთს საერთო ოჯახს.“³ მაგრამ ასეთი ისტორიულად მიდარი თვალსაზრისი „ბატონყმობის სიამტკილობის“ შესახებ ბევრ სხვა პროგრესულ მოღვაწესაც ჰქონდა. პრინციპი შევედრის მოთხოვნისა — არა წოდებრივი, არამედ მიზნობრივი დამოკიდებულებისა აღამიანებს შორის — მხოლოდ სპერითი კეთილდღეობას გულისხმობდა და სულაც არ ამტკიცებდა, რომ უკვე დამყარდა საერთო თანასწორობა. არა, დ. მიქელაძე სულაც არ ჩქმალავს ჩაგვრის ფაქტს და არც ფიქრობს ზელი დაფაროს თავგასულ მებატონეებს, თავისი წოდების შეიღებს. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ თავის თვალსაზრისის წოდებრივი სიამტკილობაზე

თვითონვე არაერთხელ არღვევს. გაეხსენსოთ ლექსის სიტყვები:

„ვჭდებოდით ვაზშმაღ,
ზელს ვყოფდით სმასა,
ვინ კითხულობდა
გლუხთა ტანჯვასა!“

არჩვენულნი
გულშიერთიანი

დ. მიქელაძე გვიანაც მოფრიდებლად შენიშნავს, რომ თავადანზაურობამ „ვერ გამოიჩინა ის მცირე გაგება, რომელიც დანახებდა, თუ როგორ სკვიროს და სასარგებლო არის თვიონ მისთვის მჭერად ზელის მიწოდება ხალხისათვის.“

მიქელაძეს არაერთხელ უხდება შეტაკება წერილმან, ეგოისტ თანამემამულეებთან, თავადანზაურობის გაელენიან ბერყებთან. მისი სიტყვით, „თავადანზაურობამ ზოგიერთი წერილმანი ეგოისტების წყალობით ისეთი დანაშაულობა ჩიიდიანა, რომლის გადაღილება შეუძლებელია.“⁴ მიქელაძე იმორწმებს თავისივე აღრუხაბის სიტყვებს და საჭეყნოდ ამხელს იმ წოდებას, რომელმაც ვერ გამოიჩინა „ვერც ქრისტიანული გრძნობა, ვერც მამულის შევლობა, ვერც ერთგვაროვნობის და მშობის შეგობრობა, როცა თავისი სასტიკ ვადამყვეტილებას ადგენდა.“

იბრძვის რა ერის წინსვლის, განათლების, ეკონომიკისათვის, შევედრე მკითხველის თვალში არცხვენს წერილმანი შინაური მუღლითა და ყმებზე დავით გატაცებულ თავადებს, მავალითად, ამაშიძეებს, რომელდაც კაცის გლეხების დამაყუტრება მოუნდომებიათ, მთავრებს, რომ „ერთი საუყუნა, რაც ვერაბამ იცნობს, რომ მინობა საზოგადოების დამამცირებელი მოელენაა“, რომ ამერკიამ სისხლი დაღვარა და გაათავისუფლა მონები. „რომელი საზოგადო საჭიროება მოითხოვდა აღამიანის უფლების და შრომის დამოკიდებას მებატონისაგან?“⁵ — სვამს კითხვას შევედრე ცნობილ სტატიაში „აღივსო საწყეყოლ“ და სასტიკად კითხავს მებატონეებს, რომლებიც ახალ დროშიაც კი პირუტყვებივით ისაყუტრებენ მათსავით აღამიანებს, თან სამწუხაროდ მიაჩნია, რომ „აწინაირი ლამარაკი გვიხდება დღეს“. შევედრე აღმუთოებუღია ბატონყმობის აღღგენის მსურველთა საქციელზე და მწარე ირონით მოუხუტობს: „პროგრესია ესა?“

დ. მიქელაძე რომ, ზოგიერთი კომპრომისის მიუხედავად, ამადლებულია თავისი წოდების განურჩევლად დაცვის წერილმან ინსტიტუტებზე, ეს ჩანს თუნდაც მისი დამოკიდებულებიდან თანამედროვეებისადმი. თუ კაცებელ ამაშიძეებს

¹ „იერია“, 1893, № 181.
² „იერია“, 1874, № 77.
³ „იერია“, 1893, № 255.

⁴ დ., 1879, 116.
⁵ დ., 1873, 48.

უწყალად კაცებს, სამაგიეროდ მივსალმებო ხალხის ღირსეულ შვილს, დიმიტრი ყიფიანს, და იმედს აქვს, რომ მისი ავტორიტეტული სიტყვა, რაც ათი ათას სიტყვად ღირს, დაანერგეს იმ ხელოვნურ კედელს, რომელიც აღმართეს განდიდებულმა ეგოისტებმა თავადაზნაურობის უმრავლესობასა და მისსავე ღირსეულ შვილებს შორის, შებატონებესა და ხალხს შორის. „დროების“ კორესპონდენტი აქ ვრის ბედს ეხება ზოგადად, და მისი მსჯელობა არ გულმსხმობს, რომ განსაუკურებულ იმედებს ამუშაობს მხაგრელთა სათონებზე. არა, დ. მიქელაძე დაეძებს აღმართებს, მოღვაწეებს, პატრიოტებს, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა. ის პირუთვნელად ლაპარაკობს იმაზე, რომ თავადაზნაურობის წოდებებიდან გამოვლდა მრავალი ეგოისტი და მათი „გამომხეობელი“ — დ. ყიფიანის სახით. ის შობარულია ამით, რადგან „საზოგადოება, რომელსაც თითო-ორი კაცი არ ეუფლება, რომელსაც ამგვარი შემთხვევების დროს შექმლის აღამაღლოს თავისი ხმა და პირუთვნელად უთხრას ამ გზადანვეულ საზოგადოებას კემშიარტება, ასეთი ქვეყანა ყოფილიყო გადაიქცეოდა და ხალხი შიგ მცხოვრებ მხეცემათ! მაგრამ ჩერ ზვენი საქმე აქამდის არ მისულა“.

ამ სიტყვების ავტორის სახით ჩვენს წინაშე აღდგება არა რომელიმე საკვირაო ეურნალისტი, არამედ ფართო დიპლომატიის მოღვაწე, რომელსაც გული შესტკივა თავისი ხალხისათვის. ასეთი იყო დ. მიქელაძე.

ზოგიერთი მომომხილველი საქმეს ზერეულად ეხება და ბევრს ლაპარაკობს დ. მიქელაძის ღირსეულობაზე, ზომიერებაზე და ა. შ. ფაქტების უმრავლესობა არ იძლევა საამისო საბაბს.

ერთ-ერთი დელტონში შეველემ, მაგალითად, წერს: „რათ ივლებს რომელიმე საზოგადოება თავის თავს ეტლს გარემოებაში? მოსწონს მას დამნაგვრელი საფუძვლების ქვეშ სიცოცხლე? არაო! მამ თვითონვე გამოძვრეს ზაფანგიდამ“, აქ აშკარად არის დასმული აქტიური მოქმედების, ბრძოლით თავის გამოხსნის საკითხი.

(დასასრული იქნება)

შეველე დასცინის იმ ავტორიტეტს, რომელიც მაღალ მიზნებს ისახავს, მაგრამ შევლენ თუ არა საზოგადოებაში, ნსსაგან თუ არა მის დაყოფას მხაგვრულად და დამნაგვრულად, ენა ებმებათ, გზას ვერ პოულობენ. მაგრამ თუ შეიგნებენ თავის მაღალ ვალს, სიცოცხლეს კარგია და სიკვდილი კიდევ ეტობესი!

შეველე მოკლედ და ნათლად არჩევს ნამდვილ თავგამოდებულ მებრძოლთა და მხედართ, სუსტ, „უტერიო კაცს“, რომელიც პირველად ბრძოლისათვის მოწინააღმდეგის ბანაკში გადადის, თბილად ეწეობა და დამნაგვრელად ხდება. ფელტონისტი ნამდვილ ხობბას უძღვის მის გაუტყველთ, რომლებიც მალე ტოვებენ ქვეყანას, მაგრამ არ იცვლებიან. „მართო ამისათვის კაცები წაწვეენ კაცობრიობის სწავლასა და ზნეობას“. ცხადია, ამ სწავლისა და ზნეობის მიღმა შეველე უფრო სერიოზულ საგნებსაც გულსხმობს, მაგრამ ვუბრუნებს თავისი საზღვარი აქვს. შეველე მოხერხებულად გადადის პრაქტიკულ საქმეზე, ხალხისათვის მტიყენულ საკითხებზე, შეველე უფრო რაციონალურ, წმინდა ჰუმანურ პოზიციებზე დგას და თანაც ქვეყნის საკვირობისათვის ბრძოლაში ხშირად იძულებულია მოხერხებული გზა აირჩიოს, გადაეკრიო შევბოს მოვლენას ან პირუთვნებს, იმას რაც სძულს.

თავის წერილში, რომელიც შეფისნაცვალ აღქმანდრე დონდუკოვის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი, ჯერ ლაპარაკობს ამ თავადის სახელმწიფოებრივ ნიჭზე, ვორონცოვის ამ ღირსეულ, თუმცა დარღვიანდ, შემცველზე, შეველე კი გვანიშნებს, რომ გადაუხვია ვორონცოვის გზას, აღარ ჩათვალა საკვიროდ მრჩეველთა მოწვევა და სხვა გზას დაადგა. ამ „სხვა“ გზაზე შეველე იძულებულია გაიქმდეს, მაგრამ მისი ხასიათი უსიტყვოდაც ნათელია. არსებული წყობილების უკუმართობაში შეველეს ეჭვი არ ეგარება, ოღონდ მისი გარდაქმნის საქმეში უფრო მაინც გონებას, ზნეობრივი სრულყოფის, ჰუმანურობის და ბოროტებისადმი საერთო ძალით წინ აღდგომის გზას იჩრევს.



„კიტა აბაშიძე და მისი მსჯავრი ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ“

გრიგოლ აბაშიძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის საკმაოდ ნიჭიერი პოეტი იყო, რომლის შემოქმედებაში აისახა რომანტიული და რეალისტური ლირიკის მოტივები. ამავე დროს იგი უწრადღებას იქცეოდა, როგორც კარგი შთარემნელი რუსი და ევროპელი პოეტებისა (სანტიმელოსი შეიძლება დაეასახელოთ ლერმონტოვის „შჩირისა“ და სიუღლი პრუდომის „გატეხილი ვახას“ თარგმანები).

გრ. აბაშიძის პოეზია, რომლის ფორმირება და გაშლა ხდებოდა ქართველ მესამოციანელთა იდეური გავლენით, უმთავრესად, უმღეროდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს. შეიძლება პატრიოტიზმი წარმოადგენს გრ. აბაშიძის ლირიკის ლეიტმოტივს. სამშობლოსადმი უანგარო და მტკიცე სიყვარულით აღვსებული პოეტი ერთგან წერს:

„მიყვარს სამშობლო—ეს გვირთა მხარე,
მტრის ზარდამცემი, მოყვრის მოყვარე,
ის არის ჩემი სულისა ლოცვა,
ის არის ჩემი შვიცა და მთვარე!“

ცალკე უნდა აღინიშნოს გრ. აბაშიძის პუბლიცისტური წერილები. ისინი ამჟღავნებენ ავტორის თვრთვულ მომზადებასა და პოლემიკის უნარს. პოეტი თავის სტატიებში, რომლებიც „ოცრიასში“ იბეჭდებოდა, მტკიცედ იცავს ეროვნული თავისუფლების პრინციპებს.

გრ. აბაშიძის სტატიებიდან მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული კრიტიკული წერილის ავტოგრაფი (S 5147) ა.ბ. კიტა აბაშიძე და მისი მსჯავრი ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ, რომლის დასრულება და პუბლიკაცია პოეტს ვეღარ მოუწერია.

წერილში გარჩეულია და უარყოფითი ცნობილი ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის შეხედულებები ვახუშტი საუკუნის 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაზე.¹

კომპარატულ მეთოდზე აგებული კ. აბაშიძის თვალსაზრისი ასეთია: იგი ერთმანეთს ადარებს 60-იანი და 90-იანი წლების ლიტერატურულ თაობებს, მათ პოეტურ ტალანტს, ბრძოლის პა-

თოსს, გამარჯვების რწმენას და ცდილობს დამტკიცოს ქართული მხატვრული ლიტერატურის დეკადანსის ყალბი ეერსია. 90-იანი წლების ქართველ მწერლებს — ე.გ. ნინოშვილს, შ. არაგვისპირელს, ირ. ევდოშვილს, დ. კლდიაშვილს, ცხაველს, გრ. აბაშიძეს — ბრალად დებს პესიმიზმსა და სკეპტიციზმს. მოვითანთ კ. აბაშიძის სტატიიდან ერთ დამახასიათებელ ამონაწერს: „ეს ახალგაზრდობა ორ ჩვეუფად უნდა დაიყოს: ერთი მათგანი ტანჯულია, სიცოცხლე მოწამლულ-მომზამული, „იქვით ურწმუნო, გული უნდა. სულით მაშვარალი“, მთელი მათი სიცოცხლე ანთებული საყრავა, საცო იწვის უნაყოფოდ მთელი მათი სიშაათიერი და საბრალო არსება, იხრაკება და იტანჯება სული მეტად გრძნობიერი... ნიდავად დაღვრემილთ, ნიდავად მოქმუხვნილთ, ნიდავად მტრალთ, ყოველისფერი, რაც სხვისთვის ბედნიერებას შეადგენს, მათ მხოლოდ უორკეცებს ტანჯავს... ამ ჩვეუფის ყმაწვილთ სქირთ ეხლანდელი სენი აპატიისა, ენეკვიის არ ქონებისა, სულის უჭლურებისა და უზადრტკობისა. არ შეუძლიათ სიყვარული გატაცებული და თვდავიწყებული, რომელიც ავსებს და აცისკროვნებს მთელს ცხოვრებას. არ შეუძლიათ მეგობრობა თავგანწირული, არ შეუძლიათ მრობა, მოქმედება, მოძრაობაც კი ეძნელებათ... უმთავრესი უზედურება ამ თაობის ამ ჩვეუფისა არის ღრმა პესიმიზმი და აქედან წარმოიშობა ყოველივე მისი ნაკლი“.

კ. აბაშიძე 90-იანი წლების მხატვრული აზროვნების პესიმიზმური შეფასების დასაბუთებას ეერობის დეკადენტური ლიტერატურის ანალოგიით ცდილობდა.

კ. აბაშიძის თვალსაზრისის წინააღმდეგ პირველად კ. წერეთელმა გაილაშქრა. მან 1897 წელს „ვეაღში“ (№ 46) გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, სადაც მკვეთრად გააკრიტიკა კ. აბაშიძის მცდარი შეხედულებები. გ. წერეთელმა დასაბუთებულად უარყო კ. აბაშიძის მიერ 90-იანი წლების მხატვრული ლიტერატურის, ვერძოდ შ. არაგვისპირელის შემოქმედების, პესიმიზტური გააზრება. გ. წერეთელი წერდა: „ახირებული დასკვნა ის იქნება, რომ შიო არაგვისპირელი ვინმე მისი ეტრუდების მიხედვით რალაც უნუ-

1. კ. აბაშიძე, ჩვენი ახალგაზრდობა, „მოამბე“, 1897 წ. №№ 7, 9, 10.

გეშო პესნიმისტად გამოიყვანოს. განა მწერალი, რომელსაც ცუდი მხარე ზვენი ცხოვრებისა და ცუდი ხასიათები თანამედროვე ტიპებისა გამოჰყავს, მინიდანიაინე დაძაბუნებულ პესნიმისტად უნდა ჩაითვალოს? ზვენის აზრით, თვით ცხოვრების ასეთი ცუდი მხარეების დამახასიათებელი მწერალი მითი ნეტეშობს და იმედი უკეთესი მომავლისა შიით უთავყედემა, რომ ის ღრმით დარწმუნებულია: ჩემი მწერლობით თანამედროვე ცხოვრება გაუმჯობესდება და ერთ წარმატების ნაბიჯს წინ წადგამსო. ეს რომ ასე არ იყოს, განა შიო არაგვისპირელი ახლავ ხელს არ აიღებდა თავის მწერლობაზე? და თუ ეს ბანი კტა აბაშიძე ამდენათ ზერელეთ აფასებს თავის თანამედროვე ახალგაზრდობას და მწერლობას, როგორც მავალითად შიო არაგვისპირელს, დეტუ მეგრელს და სხვებს, მაშ ზვენი რაღათ უნდა დაეუფდროსო.

ვიორავი წერეთლის შეხედულებებს საესებით იზიარებდა აკავი წერეთელიც. მან გ. წერეთლის სტატიას „შესანიშნავი სტატია“ უწოდა.¹

90-იანი წლების ქართული ლიტერატურის დეკადანის ყალბი ვერსია, რველიციონერი მარქსიზმის პოზიციებიდან, პირველად ალ. წულუკიძემ დაარღვია. მან მეცნიერულად დასაბუთა აღნიშნული ეპოქას მხატვრული აზროვნების კანონზომიერი განვითარება და აღმავლობა.²

* წულუკიძე ერთ კერძო წერილში შენიშნავდა: „პესნიმისტმა არ შემიძლია, რადგან მარქსის უკეთესი მომავალი, მარქსის პროგრესი, ჩემად ვერტყვით, რომ ამ სიტყვებს კტას გასაგონად გეუბნებით, რადგან ყველა ჩვენი პოეტები და ბელეტრისტები თითქმის და მთელი ახალგაზრდობა პესნიმისტურად დასაბა. განა პოეტო თუ ცხოვრების სიმწარად დაქვლერის ჩანება — ეს იმას ნიშნავს, რომ მის ცხოვრებაში აღარათვრი საიმედო დარჩენია? თვით ის პოეტები, რომლებითაც კტა თავის აზრს ამტკიცებს, თუ ერთს ადვილას სტირიან, მეორე ადვილას მღერაიან სიცილით. იგივე ითქმის ბელეტრისტების შესახებაც. ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე ახალგაზრდის პესნიმისტურ წერალებიდან არ მგონია, კრიტიკას რაიმე მეცნიერულ დასკვნის გამოყვანის უფლება ჰქონდეს, იგრძლიერ სესტი საბუთია რაიმე საზოგადოებრივი მოვლენის ასახნულად.“³

რასაკვირველია, გრიგოლ აბაშიძეს, იდეალისტური მსოფლმხედველობის გამო, არ შეეძლო სწორი პოზიციებიდან ეწარმოება კ. აბაშიძის შეხედულებათა კრიტიკა. მიუხედავად ამისა, მაინე მნიშვნელოვანია პოეტის ვალსაქება პუბ-

ლიცისტის სექტატური და პესნიმისტური თვალსაზრისის წინააღმდეგ.

გრ. აბაშიძეს ესმის, რომ სრულად დაქვლევად და ვადპირა ისეთი რთული პრობლემა, როგორცია ამა თუ იმ ერის წარსულისა და აწმყოთა გააზრება, მისი მომავლის პერსპექტივებზე მარტებელი მსჯელობა, ლეტერატურულ თობათა მოღვაწეობის კრიტიკული შეფასება, მამიმე ამოცანაა, რაც ფართე ისტორიულ-ფილოსოფიურ ანალიზს მოითხოვს და რაც მის კომპენტენციის ფარგლებს ცილდება. მაგრამ „ჩემე თუ კალამს ხეარე მოვკიდეთ, — დასქენს პოეტი, — მხოლოდ იმისათვის, რომ როგორც ერთს ქართვებს ხმა ამოგველო ასეთს სასოწარკვეთილ ვოღების წინააღმდეგ და ამითი გამოვეწვია უფრო მომზადებულთა ამ საქმის შესახებ მსჯელობა, გომოკვლევა და მსჯავრი“.

ფერდინანდ ბრიუნტერიის შედარებითი მეოთღის დამცველი და გამტარებელი კ. აბაშიძე სახელმძღვანელო პრინციპულ დებულებად შემდეგს აღიარებდა: „სავნის შესახებ შეიძლება მხოლოდ შედარებითი მსჯელობა იქნაიოს კაცმა. შეიძარებე სავანს ან მასსავე მსჯავს სავანს და გამოარკვევ მათ შორის მსჯავსებასა და ვანსხევებას, ანა-და შედარებე სავანს შენგან შექმნილს იდეალს და იმისდამხებდეთ მსჯავრსა სღებ ამა თუ იმ სავანს.“¹

გ. აბაშიძის აზრით ეს სახელმძღვანელო პრინციპი არაა სრული. იგი მაშინ ვახდება სრულყოფილი, როცა მოვახდენთ სავანთა შედარებით შეფასებას აწმყოთა და წარსულში, რათაც შესაძლებლობა მოგვეცემა სწორი დასკვნები ვაკვეთით მათი პროგრესისა თუ რეგრესის შესახებ. ამ კანონს ემორჩილება ლეტერატურული პოეტისის განვითარების კანონზომიერებაც. არსებობთად პოეტისა და პუბლიცისტის მეთოდოლოგიური პოზიციები ანალოგიურია. ორივენი კომპარატული მეთოდის უცილობლო აღიარების პრინციპიდან გამოდიან. მხოლოდ პოეტის შეხედულება უფრო სრულია, რადგან მის მოვლენათა განვითარების პროგრესულობის პრობლემა აწმყოთა და წარსულის შეპირისპირებით სურს ვადაწყვიტოს. ქართველი ერის განვითარებასაც ამ ასპექტით იხილავს გრიგოლ აბაშიძე. პოეტის შეხედულებით თუ ერის დღევანდელი მდგომარეობა უფრო რთული და დაახლოებულია მოწინავე იდეალებს, თუ მისი ინტელექტუალური პოეტენცია ვაზრდილია მეცნიერების მიღწევებით, რასაკვირველია, იგი პროგრესის გზას ადგია. მაგრამ თუ ჩამოთვლილი ნიშნები ერის ყოფიერებაში არა ჩანს და მისი აწმყო უფრო დაწყვლებულია ვიდრე წარსული, მაშინ ერის წინაშე ერთადერთი საბედისწერო გზაა — ისტორიული ვადამენება და სიკვდილი. პოეტს ვააზრებელი იქვს თუ რა

1. აკავის კრებული, 1897 წ. № 4.

2. წულუკიძე, ახალი ტიპი ჩვენი ცხოვრებაში, „კვალი“, 1898 წ., №№ 44, 45, 48.

3. წულუკიძე, თხულებანი, გვ. 280-281.

1 „მოამბე“, 1897, № 7.

დიდი ღვაწლი, მოწამებრივი თავდადება, ნათელი ტალანტი და ბრძოლის პათოსი გამოავლინეს ქართველმა მესამოციანელებმა. ამ თაობის წარმომადგენლებმა შეუწარმინეს ქართველ ხალხს ეროვნული თვითმოყოფობა, განავითარეს ნაციონალური ცნობიერება. ამიტომ „მესამოციე წლების ჩვენი მოღვაწენი ქართველი ერის ველში უკვდავი დარჩებოან, რომ მათ მიუძღვით თავის ერის წინაშე წმინდა და დიდი ღვაწლი, რომ ერის საკეთილდღეო და სახედნადგრო საერთო ტრაგეზზე მათ დასდვენ მსხვერპლად თავისი გული, სული, ენერგია, სიყვარული და ყოვლად ძლიერი, მოუწყიდელი უმანკო გრძნობა მამულშვილობისა; არავის არ შეუძლიან სთქვას ის მძიმე უღელი, რომელიც შექმნილი და შეფოლადებული იყო ძლიერისა და უფლებამოსილ გარემოებათაგან და რომელიც მათ კისრის ძეალს უბრუნდა — ბრწყინვალე არ მოეტანოსთ აქამდე და სასიციცხლო იმედით არ გარდაეცოცხოსთ თავიანთ შემკვიდრეთათვის — შემდეგის ახალგაზრდობისათვის... რა თქმა უნდა, რომ მათი უღელის სიმძიმე იმ დროში უფრო სასახლო და საგრძნობი იყო, რადგან ერი ჩათვლებილი იყოწყებდა ყოველსავე მას, რაც მის მშვენიებასა და დიდებას შეადგენდა — ეროვნულს გრძნობას, ნაციონალურ თვითცნობიერებას“.

გრიგოლ აბაშიძე დიდად აფასებდა ქართველ მესამოციანელთა მიერ წარმოებულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას, მაგრამ ქართველი ხალხის ნაციონალური ცნობიერების შემუშავებაში ეს ბრძოლა არ მიაჩნდა ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. „აიღეთ ჩვენი ისტორიის საუკუნეები, შენიშნავს პოეტი, ძველი მწერლობა, ზეპირი ვადმოცემები, ძველი ნამუშები და ნანგრევები და ნათლად დავრწმუნდებით, რომ „ნაციონალური გრძნობა“, რაც ბ. კ. აბაშიძეს მესამოციე წლების ახალგაზრდობის ეთვნილებად აღუნიშნავს, შეადგენდა საერთო საღალადებელს ჩვენი ერისას“. ქართველი ხალხის ნაციონალური ცნობიერების განვითარებას საქმას ამაგი დასდო გახული საუკუნის 30-იანი წლების ინტელიგენციამ, რომელთა შორის პოეტი აბსენიებს გრიგოლ, ვახტანგ, აღქანაძე და დიმიტრი ორბელიანების, ვიორჯი ერასთავის,

იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილებს, სოლომონ დოდაშვილს, მამუკა ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანის, ნ. ბარათაშვილს, მოღვაწეობს, ვანსაკუთრებულ მნიშვნელობას ნ. ბარათაშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების მხატვრულ ქმნილებებს აუთენებს. იგი ხაზს უსვამს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაკარგულ პოემას „ივერიელი“, „ბედი ქართლისა“, „რომელშიც ეროვნული ტენდენცია ოქრომკერდით არის გატარებული“, ს: „... „სარწმუნოებრივი ერთგვარობა“ და „ყოველგვარი ფუფუნოვნება“ ცხოვრებისა, ვარემე „ათვისუფლებია“ ამოთა ქართველის დედისათვის“.

გრ. აბაშიძე, XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართული ლიტერატურის შეფასებაში ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის კონცეფციას. ილია ქართველი ხალხის ნაციონალური ცნობიერების ამოძრავებაში 33-იანი წლების ლიტერატურას მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიდა. ილია წერდა: „დაიწყო მეორე შეოთხედი ამ საუკუნისა თუ არა, ეს ნასკვი შეიკრა ახლა-კი საქვეყნოდ და ბოლოს გაიხსნა კიდევ: ცხოვრებამ თავისი უკეთესი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალ-ახილველნი, აქეთ-იქით მიახედ-მოახედა, ყოფილსავე თვალა გადააღებინა და არსებულსაც, მოიკითხეს — რა წილიო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა გონება და გული მაშინდელი ყმაწვილ-კაცობისა. მოძრაობამ კიდევ შეკრა ის ბრწყინვალე წრე გონება-გახსნილ ყმაწვილ კაცობისა, საიდანაც გამოვიდნენ თ. გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორნი ვიორჯი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, თ. ნ. ბარათაშვილი, ალ. და დიმი. ორბელიანები... და ბევრნი სხვანი, რომელთაც სახელოვანდ იჩინეს თავი ზოგმა ლიტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბიელზე. ამ წრის წმიდათა-წმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფილებამდე გაიწია მათდა სასახელოდ“!

ამგვარად, გრ. აბაშიძის უცნობი სტატია ადასტურებს, ქართველ მესამოციანელთა იღვერი გაველით შთავონებულ, პოეტის იმედსა და რწმენის პათოსს.

ნათია ჯაფარიძე

თეატრის დიდი რეფორმატორი

1963 წლის 17 იანვარი დიდი რუსი რეჟისორის, თეატრალური რეფორმატორის, მსახიობის და მოაზროვნის კ. სტანისლავსკის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაულია. ბუნება იშვიათად გაიმეტებს ხოლმე ერთი ადამიანისთვის იმ მრავალმხრივ ნიჭიერებას, რომლითაც ეს უდიდესი შემოქმედი იყო დაჯილდოებული. მას შეეძლო სხვადასხვა დროისა და ასაკის, სრულიად განსხვავებული ბუნების ადამიანთა სულიერი ცხოვრების ამოხსნა და სცენური განსახიერება, — კიდევ შექმნა ბრწყინვალე რიგი სახეებისა ტოლსტოის და შილერის, გუცკოვისა და გრიბოედოვის, გორკისა და იბსენის, ოსტროვსკისა და ტურგენევის და სხვა მწერალთა ნაწარმოებებში. მას შეეძლო ლიტერატურულ სამყაროში მცხოვრებ გმირთა სცენურ სამყაროში გადაყვანა. — და დადგა ისეთი წარმოდგენები, ოქროს ასოებით რომ აღიბეჭდნენ თეატრის ისტორიაში: ჩეხოვის „თოლია“, „სამი და“ და „ალუბლის ბაღი“, გორკის „მდაბიონი“ და „ფსევრზე“, მეტერლინიკის „ლურჯი ფრინველი“, ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“, ოსტროვსკის „მხურვალე გული“, ბულგაკოვის „ტურბინთა დღეები“, ვს. ივანოვის „ჯავშნოსანი 14-69“. ყველა ეს პიესა განსახიერდა სამხატვრო თეატრის სცენაზე, იმ თეატრის სცენაზე, თითონვე რომ შექმნა, როგორც სრულიად ახალი, თავისებური, ნოვატორული.

მხატვრული ინტუიციისა და ღრმა განცდის იშვიათი უნარის მქონე კ. სტანისლავსკი გასაოცარი ანალიტიკური აზროვნების უნარით იყო აღჭურვილი, მოვლენის ამოხსნისა და განზოგადოების ძალას ფლობდა. ამიტომაც შესძლო აქტიურულ მხატვრულ საქმეთა, სპექტაკლების და ახალი თეატრის გარდა, შეექმნა კიდევ თეორია სასცენო შემოქმედებისა, რომელმაც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მსოფლიო თეატრალურ აზროვნებაში.

კ. სტანისლავსკის სისტემა ხანგრძლივი შემოქმედებითი პრაქტიკის წიაღში, დაუღალავ, დაძაბულ ძიებაში დაიბადა. სისტემის ჩამოყალიბების ძირითად ეტაპებად აღიარებულია ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოება (1888 წ.), ა. ჩეხოვის „თოლია“ სამხატვრო თეატრში (1898 წ.), კ. ჰამსუნის „ცხოვრების დრამა“ (1906-7 წ.): და ი. ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“ (1909 წ.). ტურგენევის ამ პიესის სცენური ხორცშესხმით იწყება სისტემის დანერგვა სამხატვრო თეატრის შემოქმედებით პრაქტიკაში. მის რეპეტიციებზე სპექტაკლის მონაწილენი უკვე ხმარობდნენ სისტემით დადგენილ ტერმინოლოგიას. ორი წლის შემდეგ, 1911 წელს, კ. სტანისლავსკი და ვლ. ნემიროვიჩი-დანიჩენკო ერთად დგამენ ლ. ტოლსტოის „ცოცხალ ლეშს“. წარმოდგენას დიდი წარმატება ზედა წილად. ამ წარმოდგენასთანაა დაკავშირებული სისტემის გან-

ვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი — მისი ოფიციალური აღიარება სამხატვრო თეატრის კოლექტივის მიერ. იმავე წელს კუნძულ კაპრიზე კ. სტანისლავსკიმ მ. გორკის გააცნო სისტემის პირველი წერილობითი ნიმუშები. მაშინ მას „დრამატული ხელოვნების გრამატიკა“ ეწოდებოდა. მ. გორკისთან ამ შეხვედრისა და მისი მხარდაჭერის შემდეგ, კ. სტანისლავსკი მეტი დაბეჯითებით განაგრძობს სისტემის პრობაგანდას. სისტემის დანერგვა მაინც არ აღმოჩნდა ადვილი — „მსახიობები არ დაინტერესდნენ ჩემი ხანგრძლივი ლაბორატორიული მუშაობით“, — გულისტყენით აღიარებდა კ. სტანისლავსკი. მიზეზი მრავალი იყო; ის, რასაც სისტემა მოითხოვდა, ახალი და უჩვეულო იყო, დაუსრულებელ შრომას მოითხოვდა, წლების მანძილზე გამომუშავებული ჩვევების უყუგდებას და არავითარ ადვილ ეფექტს არ პირდებოდა. სამხატვრო თეატრს ამგვარი ლაბორატორიული ცდებისათვის არ ეცალა. ამ გარემოებამ ბუნებრივად დააყენა საკითხი საგანგებო სტუდიის შექმნის შესახებ, რომ ძიებათა გაგრძელება შესაძლებელი ყოფილიყო. ასე დაიბადა სამხატვრო თეატრის პირველი სტუდია 1912 წელს. ერთი წლის შემდეგ, პეიერმანსის „იქედის დაღუპვის“ დადგმამ ახალი მეთოდით აღზრდილი ახალგაზრდობის პირველი ბრწყინვალე წარმატება გამოაქვლინა.

წარმატების ძირითადი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ სპექტაკლში მონაწილე ყველა ახალგაზრდა დაუფლებული იყო აქტიორული ხელოვნების ძირითად კანონებს. ეს უღარესად ხელისშემწყობი აღმოჩნდა ყოველი მათგანის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გამოსავლენად. პრემიერასა და რიგით წარმოდგენას შორის ზღვარი წაიშალა — რიგითი წარმოდგენა პრემიერაზე უკეთესი უნდა გამხდარიყო თანდათან. ეს მიღწევა პრაქტიკული მნიშვნელობისა

იყო, ვინაიდან სისტემის დანერგულებასთან იყო დაკავშირებული მნიშვნელობა? რა მიზანს ისახავდა სტანისლავსკი, როდესაც მსახიობის შემოქმედების რთული კანონების ძიება იტვირთა? ის ეძებდა როლზე მუშაობის ისეთ გზებს, რომლებიც შთაგონებას მსახიობის ნებელობას დაუმორჩილებდნენ. მისი თქმით ის ეძებდა შთაგონების „შემოსატყუებელ“ ხერხებს. კ. სტანისლავსკის ღრმად სწამდა, რომ შემოქმედს შეუძლია ცნობიერი გზით, გონებისა და ნებელობის შემწყობით, საკუთარ თავში გამოიწვიოს ის შინაგანი აღმადგენა, ზეშთაგონებას რომ ვუწოდებთ ხოლმე ჩვეულებრივ. მწერალს, მხატვარს და მუსიკოსს, რომელიც მარტო ქმნის თავის მხატვრულ ნაწარმოებს, შეუძლია დაელოდოს შთაგონებას იმიტომ, რომ არც მისი შემოქმედებაა სხვაზე დამოკიდებული, არც სხვაა მის შემოქმედებაზე დამოკიდებული. მსახიობისთვის კი შთაგონება იმდენჯერაა საჭირო, რამდენჯერაც წარმოდგენაა გამოცხადებული. ამისათვისაა საჭირო ცნობიერი გზით არაცნობიერი და ხელშეუხებელი შთაგონება დაიმორჩილო. ეს კი თავის მხრივ მსახიობის შემოქმედების ობიექტური კანონების დადგენასა და დაუფლებას მოითხოვს. ამ მიზნით დაიწყო მან დაკვირვება დიდ მსახიობთა შემოქმედებაზე. ცდილობდა გაერკვია რა იყო ის განსაკუთრებული, ყოველი მათგანის მხატვრულ ნაწარმოებში რომ მეორედებოდა, როგორც საერთო და აუცილებელი. რა გზით აღწევენ ისინი ამგვარ შედეგს როლზე მუშაობის პროცესში. ამ კითხვაზე პასუხს ეძებდა კ. სტანისლავსკი, ეძებდა იმისათვის, რომ მსახიობის ხელოვნების ძირითადი ელემენტები ამოეცნო. შემდეგ კი მათი შესწავლის გზით ნიჭიერი ადამიანისთვის ხელი შეეწყო აუცილებელი ტექნიკის დაუფლებაში ისე, როგორც ეს ხელოვნების სხვა დარგის მუშაებს შეუძლიათ. მხატვარს და მუსიკოსს ხომ ხელთ აქვს მისი ბუ-

ნებრივი მონაცემების სწორად განვითარებისა და გამოვლინებისათვის საჭირო საშუალებები უთვალავი სავარჯიშოების სახით. ეს სავარჯიშოები ხელოვნების ამ დარგის კანონზომიერებათა ცოდნაზეა დამყარებული. კ. სტანისლავსკის აინტერესებდა არტისტული ტექნიკის იმ „საიდუმლოებათა“ ამოხსნა, რომელთაც ფლობდნენ დიდი მსახიობები პრაქტიკულად, მაგრამ არ შეეძლოთ გაეცნობიერებინათ ისინი და გადაეცათ სხვისთვის იმნაირად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ საიდუმლოებათა გამოყენება.

კ. სტანისლავსკიმ კარგად იცის, რომ ყველა სხვა ხელოვნებაში ტექნიკა ამ ხელოვნების ძირითადი თავისებურებებითაა გაპირობებული. ამიტომაც მის ძიებებში ამოსავალია ის მთავარი, რაც მსახიობის ხელოვნების ნიშანდობლივ თავისებას შეადგენს, — ცოცხალი მოქმედება, ქცევა. მსახიობის მხატვრული სახე წარმოსახულ ვითარებაში მოქმედი ცოცხალი ადამიანია. მისთვის საჭირო ტექნიკის მიზანია სცენური მოქმედების ბუნებრივობასა და დამაჯერებლობაში შეუწყოს ხელი მსახიობს. კ. სტანისლავსკი არ ოცნებობდა შთაგონების გამოშფევე უტოპიურ რეცეპტებზე, არც ისეთი „სამზარეულო წიგნის“ შექმნაზე რომელიც სარჩევში მითითებულ გვერდზე ამა თუ იმ როლისათვის გამზადებულ საშუალებებს მიაგნებ. ის ეძებდა ისეთ ხერხებს და საშუალებებს, „რომელთა მეოხებითაც შესაძლებელია შეგნებულად და ნებისმიერად მოვიყვანოთ ჩვენი თავი იმ შემოქმედებით განწყობილებაზე, რომელიც გენიოსებს ბუნებით ეძლევათ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. თუ შეუძლებელია ამის მიღწევა ერთბაშად, რომელიმე ერთი ხერხით, იქნებ მოხერხდეს ნაწილობრივი დაუფლება, თუკი ათვისებ იმ ელემენტებს, რომლებიც ქმნის შემოქმედებით განწყობილებას და რომ-

ლებიც ჩვენს ნებელობას დაემორჩილება?“

ერკენული

გონებისა და ნებელობის საშუალებით შთაგონებისათვის ნიადაგის შემზადება — ამაშია სისტემის უდიდესი შემეცნებითი და პრაქტიკული სიმძლავრე. მისი დახმარებით მსახიობს შეუძლია შეგნებულად მიაღწიოს შემოქმედებით წარმატებას. ამისათვის კი საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა იმ ელემენტების განსაზღვრა, რომლებისგანაც შედგება მსახიობის შემოქმედება. სისტემის ამ ელემენტებში შედიან, ერთის მხრივ, ისეთი შედარებით მარტივი ელემენტები, როგორიცაა კუნთების დაჭიმულობისგან განთავისუფლება, ყურადღების მოკრება და სხვა ე. წ. პირველადი ელემენტები. მეორე მხრივ, ისეთი რთული ელემენტები, როგორიცაა მოცემული ვითარებანი, ამოცანა, მოქმედება და ბოლოს უმთავრესი საფუძველი კ. სტანისლავსკის მოძღვრებისა — „გამჭოლი მოქმედება“ და „ზეამოცანა“, — ყველაფერი, რაც ადამიანის ქცევას განაპირობებს. ერთად თავმოყრილნი ისინი სამსახიობო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი გზით ნაწარმოების იდეის გამოვლენას ემსახურებიან. ეს გზაა გმირის სულიერი ცხოვრების გადაშლა სცენაზე, „როლის ადამიანური სულის ცხოვრება“, როგორც ამბობდა კ. სტანისლავსკი.

ელემენტების დაუფლებას დიდი შრომა ესაჭიროება იმიტომ, რომ სისტემის თეორიული, მწიგნობრული შესწავლა შეუძლებელია. სისტემა — ეს არის კულტურა, რომელზედაც უნდა აღიზარდოს მსახიობი წლების მანძილზე, რათა ამ სახის აზროვნებას შეეჩვიოს შემოქმედებაში. ამისათვის დაძაბული და დაუსრულებელი შემოქმედებითი შრომაა აუცილებელი. კ. სტანისლავსკის არ უყვარდა, როდესაც შემოქმედებასთან დაკავშირებით ხმარობდნენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „აღმაფრენა“, „დაცემა“, „ზეშთაგონება“

და ა. შ. უყვარდა თქმა „...შემოქმედების საფუძველი შრომაა“.

რას გულისხმობდა იგი ასეთ შრომად? უპირველეს ყოვლისა, საკუთარი შემოქმედებითი ბუნებისადმი მაქსიმალურ ყურადღებას, მის შესწავლას და დაუფლებას, ვინაიდან მსახიობი საკუთარი ადამიანური ბუნებისაგან ძერწავს თავის მხატვრულ ნაწარმოებს. სხვადასხვა დროისა და ეროვნების გმირები ერთმანეთისაგან ხშირად რადიკალურად განსხვავებული ხასიათის ადამიანები არიან. ამ გმირებს სხვადასხვა სურვილები, სხვადასხვა გრძნობები და მისწრაფებები ამოძრავებთ ცხოვრებაში, მსახიობს ხომ არ შეუძლია სხვას დაეხსნოს ამ გრძნობებს. მან საკუთარ თავში უნდა აღმოაჩინოს ყოველი საჭირო გრძნობა, გაზარდოს და მიიყვანოს იმ ზომამდე, როგორც ეს მისი გმირისთვისაა საჭირო. ამიტომ მოითხოვდა კ. სტანისლავსკი:

„...დაკვირვების საშუალებით ყოველი გრძნობის თავისებური ბუნების წვდომა, შესაძლებლობა შეგნებულად დაეუფლო შემოქმედებით განწყობილებას, — აი, ასეთი შრომა მიმართა აუცილებლად იმისათვის, რომ შენი დროის ქეშმარიტი არტისტი გახდე“.

ამგვარი შრომა მიაჩნდა მას აუცილებლად იმისათვის, რომ ელემენტების სრული დაუფლების შედეგად მსახიობი შემოქმედების ბუნებრივ პროცესთან მიებაზღოვებინა. სისტემა შემოქმედებითი პროცესის შესანაცვლებლად კი არ შეუქმნია კ. სტანისლავსკის, არამედ იმისათვის, რომ მსახიობის ბუნებრივი შემოქმედებითი პროცესისათვის, მისი ნორმალური და მათსადაჟე მაქსიმალურად ნაყოფიერი მიმდინარეობისათვის შეეწყობ ხელი. მისი სისტემა ცოცხალ სინამდვილეში, პრაქტიკაში ჩაისახა და მიზნად ისახავდა ამ პრაქტიკის გაუმჯობესებას. ამიტომ ამბობდა კ. სტანისლავსკი — სისტემა მაშინაა საჭირო, როცა არაფერი გამოვლით, ხოლო თუ როლი გამოვ-

ლის მასზე მუშაობის რომელიმე სხვა მეთოდით ან ყოველგვარი მეთოდის გარეშე, მაშინ სისტემა შედუმტურია; მატონისლავსკის თავისი სისტემა სრულიადაც არ მიაჩნდა უნივერსალურ გზად, არც ის უფიქრია, თითქოს სცენური სახის შექმნის ან ხელოვანის ჩამოყალიბების მხოლოდ ერთი სკოლა არსებობს. კარგად იცოდა, რომ ყოველი ხელოვანი თითონ იცვლევს გზას შემოქმედებაში, მისთვის დამახასიათებლად გამოავლენს თავის ნიჭსა და ინდივიდუალობას; რომ ერთი შემოქმედის „საიდუმლოება“ მეორისთვის არ გამოდგება, არც გადადის მემკვიდრეობით. მსახიობს სხვა ვერ ასწავლის მხატვრული სახის შექმნას, ისევე, როგორც ხატვას და ლექსის წერას ვერ გასწავლის ვერაფერს, თუ ეს შენ თითონ არ შეგიძლია. მაგრამ იმას ღრმად სწამდა, რომ ამა თუ იმ ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს თითონ შეუძლია დაეუფლოს საკუთარ საქმეს, შეგნებულად აითვისოს მისი ობიექტური კანონები, აუცილებელი შემადგენელი ნაწილები (ელემენტები) და გამოიყენოს ისინი შემოქმედების ამ სახისათვის საჭირო ტექნიკის შესწავლით. ერთი ასეთი ტექნიკა, ფსიქოტექნიკად წოდებული, შესთავაზა მან მსახიობებს, როგორც როლზე მუშაობის გარკვეული მეთოდი. სისტემას უწოდებდა იგი ამ მეთოდს იმიტომ, რომ მასში თანმიმდევრულად, სისტემატურად იყო დამუშავებული ის ზერხები და გზები, რომლებსაც, მისი აზრით, ქეშმარიტ შემოქმედებასთან მიხედვების ძალა გააჩნდათ. გააჩნდათ იმიტომ, რომ ისინი შემოქმედების ბუნებრივ კანონებზე, ყოველი სცენური მხატვრული ნაწარმოების აგების პრინციპებზე ლაპარაკობენ. ამიტომ ასე ხაზგასმით იმეორებდა ხოლმე კ. სტანისლავსკი: „რაზედაც მე ვწერ ეხება არა რომელიმე ცალკე ეპოქას და მის ადამიანებს, არამედ არტიზტული ბუნებით დაჯილდოებულ ყველა დროისა და ეროვნების ადამიანთა ორგანულ ბუნებას“.

სისტემის გარდა მსახიობს სჭირდება ყველაფერი, რაც აუცილებელია მისი შემოქმედებისათვის: შთაგონება, კეუა, მხატვრული გემოვნება, მომხიბვლელობა, ტემპერამენტი, ადვილი აგზნებადობა, მეტყველი გარეგნობა და ა. შ. ყველა ამ ღირსებით დაჯილდოებული ადამიანი უნდა დაეუფლოს როლზე მუშაობის გარკვეულ მეთოდს, რომელშიც თავმოყრილია არა ამა თუ იმ როლისთვის გამოსადეგი ცალკეული რეცეპტები, არამედ სპეციფიკურ სავარჯიშოების რიგი. ძინი ყოველდღიური მუშაობისათვის არიან აუცილებელი იმისათვის, რომ მათი ათვისების შედეგად სწორად მიუდგე ყოველი როლის ხორცშეხხმას სცენაზე (ისევე, როგორც გაშები და ვოკალიზები სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებთა შესასრულებლად აუცილებელი ყველა მუსიკისათვის). ეს დებულება მხოლოდ იმის საბუთია, რომ, მიუხედავად დიდი თეორიული მნიშვნელობისა, თვით კ. სტანისლავსკის მიერ სისტემას პრაქტიკული მიზანი ენიჭებოდა. ის ეძებდა ისეთ საყრდენს, რომელიც ყველაზე მეტად საიმედო იქნებოდა მსახიობისთვის გმირის სცენური განსახიერების რთულ პროცესში. ასეთად მან გონება მიიჩნია. გონების აზრის შთაგონებული მუშაობა მისი რწმენით, ფლობს ძალას შექმნას ის მყარი კალაპოტი, რომელშიც მსახიობის გრძნობები ჩაიდვრება. მაშინ დაიბადება გრძნობისა და გონების ის პარპონია, რომელიც აუცილებელია მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის, და თუ ის გონებას ანიჭებდა წამყვან როლს, მხოლოდ იმიტომ, რომ აზრით დაუტვირთავი შემოქმედება ხელოვნებად არ მიაჩნდა. გონებაში ის გრძნობის გაღვივების შესაძლებლობას ხედავდა. მისი მოძღვრების საფუძველია ადამიანის ცნობიერი და გრძნობიერი პროცესების მთლიანობაში აღქმა.

კ. სტანისლავსკის ერთ უდიდეს აღმოჩენად და მიღწევად ის ითვლება, რომ როლზე მუშაობის პროცესში მსა-

ხიობის ყურადღება საკუთარ შინაგან-ყაროში ხელშეუხებ გრძნობათა ძიებიდან გადაიტანო სცენური აქციონის კმედით გადაწვევაზე, ცოცხალ მოქმედებაზე, იმაზე, რაც ყველაზე მთავარია ხელოვნების ამ დარგისათვის და მის არსს შეადგენს. რომ მოქმედება, კმედითობა მსახიობის შემოქმედების საფუძველია, ეს დიდი ხანია ცნობილია და კ. სტანისლავსკის აღმოჩენას არ წარმოადგენს. მაგრამ კ. სტანისლავსკიმდე ასე ზუსტად და კონკრეტულად არავის განუსაზღვრია, თუ სახელდობრ რა არის ეს მოქმედება. ამაშა მისი მოძღვრების თეორიული პედაგოგიური და მეთოდოლოგიური სიახლე. მის მიერ შემოთავაზებული ფსიქოტექნიკის საფუძველებიც აქ უნდა ვეძიოთ.

ყოველი შემოქმედი აზრებსა და გრძნობებს მისი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მეტყველი საშუალებებით გამოხატავს. ამ საშუალებებს დაუფლება სჭირდება. შემოქმედად დაბადებული ადამიანი უთუოდ ოსტატიაა, რადგანაც მუდმივად განიცდის ნაფიქრალის და განცდილის უკეთ თქმის სურვილს. ამიტომაც მთელი სიცოცხლე წვალობს ტექნიკის დაძლევის საკითხებზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩანაფიქრის რეალიზაციაზე ეწვალება. რაც უფრო ნათლად და სრულყოფილად გამოხატავს იგი ამ ჩანაფიქრს, მით უფრო დიდი ოსტატია იგი, ე. ი. მით უფრო კარგად ფლობს თავისი საქმის, მოვლენათა ამ რიგის კანონზომიერებებს. ყოველ ხელოვნებას აქვს ასეთი ზუსტი და მკაცრი ძირითადი კანონები, რასაკვირველია მჭიდროდ დაკავშირებული მის სპეციფიკურ თავისებურებასთან. ამიტომაც მუსიკოსის ოსტატობა განსხვავდება მხატვრის ოსტატობისგან, მწერლისა — მოქანდაკისგან და ა. შ. ოსტატობა, რომლის დაუფლებსაცენაც მოუწოდებდა კ. სტანისლავსკი საკენო ხელოვნების სპეციფიკურ კანონზომიერებათა დაუფლებას მოითხოვს. რთუ-

ლია ეს ხელოვნება, ძნელია მისი დაუფლება — მსახიობი უნდა დაეუფლოს ინსტრუმენტს, რომელზედაც უკრავს — საკუთარ შინაბუნებას, სხეულს, მეტყველებას, ერთი სიტყვით ყველა შინაგანსა და გარეგან მონაცემებსა და შესაძლებლობებს.

შეიქმნა, თუ არა სისტემა მაშინვე წამოიჭრა საკითხი, რომელიც ზოგიერთებისათვის დღესაც გადასაწყვეტია. ვისთვისაა საჭირო სისტემა? ნიჭიერი ადამიანებისათვის, თუ უნიჭობებისათვის. შეუძლია თუ არა სისტემას მისი ცოდნით შეიარაღებული ადამიანი მსახიობად აქციოს? პირველ კითხვაზე პასუხი სულ ადვილია — ვისთვისაა შექმნილი კომპოზიციისა და ჰარმონიის კანონები? ნიჭიერებებისათვის თუ უნიჭობებისათვის? რა თქმა უნდა ნიჭიერებისათვის, იმიტომ, რომ უნიჭო ადამიანებს ხელოვნებაში არ აქვთ ადგილი. რაც შეეხება ცოდნით შეიარაღებული ადამიანის მსახიობად ქცევას სისტემის წყალობით, აქ უდაოა ერთი: სისტემა უძლურია იქ, სადაც აზრის შეზღუდულობა და უნიჭობა მეფობს. უნიჭო ადამიანისთვის არაფერი არ იქმნება. ამიტომ როდესაც კ. სტანისლავსკის მეთოდი გამოშროალი დოგმატიკოსების ხელში აღმოჩნდება და ვიწრო უტილიტარული დანიშნულების პედაგოგიურ ზერხებად იქცევა ფილოსოფიური სიღრმისა და აზრის მაღალი აღმაფრენის გარეშე, მაშინ წარმოდგენა სიცოცხლესაა მოკლებული და არ პასუხობს სისტემის ძირითად მიზანს — ადამიანის სულის ცხოვრების ამოხსნას სცენაზე. ხოლო ისინი, — ვისაც ახსოვს ამ სისტემით ჩატარებული კ. სტანისლავსკის რეპეტიციები, ამოწმებენ, რომ სწორედ სისტემის წყალობით შეიქმნა სამხატვრო თეატრში ის ახლებური ემოციური და შემოქმედებითი რეპეტიციები, რომლებიც აღრინდელ საქმიანი ხასიათის რეპეტიციების სანაცვლოდ შემოიღო კ. სტანისლავსკიმ. აზრი, გონება, რომელსაც ეყრდნობა კ. სტანის-

ლავსკი სისტემაში არ უნდა ავროთ მსჯელობითობაში, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხელოვნებაში, ისე როგორც არსად, აზრიც ემოციურია. რეჟისორი, რომელიც სისტემით კონსპექტის მსგავსად სარგებლობს ავტორის ნაწარმოებს სცენურ სიცოცხლეს ვერ ჩაჰბერავს იმიტომ, რომ სისტემა ცოცხალი, მოქნილი მეთოდია და არა მკვდარი კანონების კრებული. ამიტომაც მხოლოდ ნიჭიერი, დამოუკიდებელი და მღველვარე შემოქმედის ხელში შეიძლება რომ იმეტყველდეს. თვითონ კ. სტანისლავსკი მთელი თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით ეწინააღმდეგებოდა მსახიობის შემოქმედებითი პროცესის პედანტურ რეგლამენტაციას. როგორც არაფერი, ისე იცოდა მუშაობის ფორმათა მრავალფეროვანების გამოჩახვა, ავტორისა და შემსრულებელთა ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე. მუდამ ახსოვდა, რომ მოვლენის ელემენტებად დანაწევრება მთელის სრულფასოვანი ათვისების მიზნითაა გამსჭვალული. ამიტომ მისთვის მთავარია არა ანალიტიკური დანაწევრება, არამედ დიდი სინთეტური აზრი, რომელიც ამ ნაწილებს აწონასწორებს, აერთიანებს და ქმნის იმ მთლიანობას, რომელიც მშვენიერებას ანიჭებს სცენის ხელოვანის ნაწარმოებს.

როგორც აღვნიშნეთ, კ. სტანისლავსკი პრაქტიკულ მიზანს უსახავს სისტემას. ეს მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ნებელობის წყალობით მსახიობს შეეძლოს გამოიწვიოს ის გრძნობები და განწყობილებები, რომლებიც სჭირდება დღეს, სწორედ ამ როლისათვის, ამ პიესაში. ბუნებრივი მონაცემები, ნიჭი და კონონთა ცოდნა შთაგონებას მსახიობის შორილ მსახურად აქცევენ. თითონ მას, როგორც რეჟისორს, მსახიობის ფანტაზიის გაღვიძების და მისი შემოქმედებითი აქტივობის გამოწვევის იშვიათი უნარი ჰქონდა. სწორედ ამ უნარით არტისტული აღმაფრენის მაღალ წუთებს განაცდევინებდა მსახიობებს რეპეტი-

ციებზე. სისტემის ელემენტებზე ლაბაკაი არ უყვარდა, ზედმეტი თეორიითა და მსჯელობით არაგის აწუხებდა, არც იმას ხსნიდა თუ როგორ უნდა ეთამაშა მსახიობს ამა თუ იმ ეპიზოდში. სისტემის შემოქმედებითი მომარჯვების წყალობით მსახიობს მისი გმირის სცენურ მოქმედებათა ლოგიკისა და მათი ქვეშარტების დაჯერების გზაზე აყენებდა, ეხმარებოდა იმის ამოხსნაში, რაც ამ როლისთვის იყო მთავარი. ამავე დროს, მსახიობისათვის შეუმჩნეველად, ფრთხილად და ფაქიზად აგებდა ეპიზოდის ძირითად ჩონჩხს, როგორც დამდგმელი რეჟისორი.

სამხატვრო თეატრში შექმნილი და დადგენილი ეს მეთოდი სცენური განსახიერებისა თავისებურ უნივერსიტეტად იქცა და მსოფლიოს ყველა კუთხეში უამრავი თანამოაზრე და მიმდევარი მოიპოვა.

კ. სტანისლავსკის მოძღვრება ქართულ ნიადაგზეც დაინერგა. ეს საკითხი საგანგებო კვლევას მოითხოვს. მისი ფესვები რუსულ-ქართული თეატრის შემოქმედებით ურთიერთობათა მთელ მანძილზე უნდა ვეძიოთ, ყურადღებით შევისწავლოთ იმ ქართველ მოღვაწეთა შემოქმედება, ვინც სამხატვრო თეატრთან მჭიდრო კავშირში ყოფილა (ლადო მესხიშვილი, ვახტანგ მჭედლიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, აკაკი ფაღავა და სხვა.). შესაძლოა, ფრიად საინტერესო დასკვნებს მივაგნოთ. კოტე მარჯანიშვილი — ქვეშარტად ქართველი ხელოვანი, სამხატვრო თეატრის ხელოვნებას მის კედლებში ეზიარა და იქვე შექმნა რამდენიმე შესანიშნავი სპექტაკლი.

დღეს კ. სტანისლავსკის სისტემა ქართველი მსახიობის აღზრდის საფუძვლადაა აღიარებული. ჩვენ თეატრებში მსახიობებისა და რეჟისორთა მთელი თაობებია ამ სისტემაზე აღზრდილი. მათ წინაშე უამრავი საინტერესო, ჩვენი ეროვნული თეატრისათვის სპეციფიკური, ჯერ გადაუქრელი ამოცანები დგას. ისინი გადაწყვეტას მოითხოვენ. ყოველ

წამოკრილ კითხვაზე მოპოვებული პასუხი კ. სტანისლავსკის დიდი აღმოჩენის თავისებური შევსება და განხორციელება იქნება.

კ. სტანისლავსკის მიაჩნდა, რომ აქტიური ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანისათვის სისტემის ცალკეული ელემენტების შესწავლა არ არის ძნელი. ძნელია ამ ელემენტების შეერთება, შედუღება იმისთვის, რომ რეჟისორმა სწორი სცენური განწყობილება შეუქმნას მსახიობს სპექტაკლში. ძნელია იმით, რომ სისტემის ყოველი ელემენტი უმარტივესიდან ურთულესამდე, ნაწარმოების იდეას უნდა ემსახურებოდეს. ამისათვის საკმარისი არ არის იყო კარგი პედაგოგი. ამისათვის საჭიროა იყო რეჟისორი-შემოქმედი, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანი, სამყაროს რომ ფართოდ და სრულად, მღელვარედ აღიქვამს.

კ. სტანისლავსკი მოკრძალებით სთვლიდა, რომ სპექტაკლზე და როლზე მუშაობის მისი მეთოდი პრაქტიკულ საშუალებათა კრებულთა იმისათვის, რომ მსახიობმა ნებისმიერად შესძლოს მისი გმირის სცენური ცხოვრებისათვის აუცილებელი შემოქმედებითი განწყობილების შექმნა. ამ საშუალებებს ეძებდა იგი მთელი სიცოცხლე, თამამად უარყოფდა ერთხელ მიგნებულს, თუ კი შემდეგ რომელიმე ახალ, უფრო გამოსადეგს მიაგნებდა. იცვლებოდა გზები და საშუალებები, არ შეცვლილა მიზანი. თითონ დიდ მსახიობს, შთაგონებული აღმაფრენის წუთების განმცდელს, უნდოდა მსახიობის შემოქმედების საიდუმლოებათა ამოხსნა. იცოდა, რომ შეუძლებელია ქვეშარტი აღმაფრენა და შთაგონება, თუ აზრი შენი გაურკვეველია და მიხსლოვებითი. იცოდა, რომ შთაგონება აზრობრივ ჩანასახში იბადება, ნაწარმოების კონცეფციაში, შემდეგ კი ხორცს ისხამს მის ნაწილებში. ნაწილები კი მხოლოდ მაშინ ამეტყველდებიან, როდესაც მთელს ემსახურებიან, — იდეას, ჩანაფიქრს. ანალიზის გარეშე

სინთეზი არ სწამდა. სინთეზი კი, მისი აზრით, მხოლოდ საქმის მცოდნეს ემორჩილება. მისი ღრმა რწმენით, შემოქმედება ნიშნავს ხედავდღ და გესმოდეს. აღამიანს არ შეუძლია შექმნას რამე, თუ სინამდვილის ხედვისა და ამოცნობის უნარი არ გააჩნია. ნიჟიერება — საგნისა და მოვლენის სხვაზე უკეთ, ღრმად და სახიერად დანახვას ნიშნავს.

კ. სტანისლავსკის სიდიადე იმაშია, რომ თავისი სისტემა, რომელიც დღემდე კვლევისა და შესწავლის ობიექტია, ბევრისთვის დოგმა, თითონ მას სასცენო ხელოვნების რთულ და ძნელად ხელშესახებ კანონზომიერებათა დადგენის მცირე ცლად მიაჩნდა მხოლოდ. მან კარგად იცოდა რა შეფარდებითია მისი მიღწევა იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ საძიებელი და მისაღწევია. ამიტომ მოითხოვდა თავისი მეთოდის შემდგომ განვითარებას სხვების მიერ. მოითხოვდა დაუსრულებელ დაკვირვებას აღამიანის ბუნებრივი ქცევის თავისებურებაზე ცხოვრებაში. იცოდა, რომ მხოლოდ ასეთი დაკვირვებული თვალის წინაშე იხსნება ხოლმე საუკუნეების მანძილზე მიმალული საიდუმლოება ბუნებისა. მან იცოდა რა არის შთაგონებული აღმაფრენის წუთები. განცდილი ჰქონდა მოვლენის ჰემოარტი ხედვით მიღებული განსაკუთრებული სიამოვნება. ამიტომაც გენიოსი თავს ბუნების მუდმივ მოწაფედ გრძნობდა. 1937 წ.

29 აპრილს მოლიერის „ტარტიფუს“ ერთერთ რეპეტიციაზე ისევ ემეფრება: „... მივდივარ ცხოვრებდენი და მიწა და დაგიტოვოთ ჩვენი ფსიქოტექნიკის საფუძვლები. არც სიტყვიერად, არც წერალობით არ შეიძლება მისი გადმოცემა. მისი შესწავლა პრაქტიკულადაა საჭირო. თუ კარგ შედეგს მივალწიეთ, და თქვენ ამ ტექნიკას აითვისებთ, მაშინ გადაეცით იგი სხვას და უსათუოდ განავითარეთ“. არ ხედავდა იგი ამ განვითარების დასასრულს. ამგვარი მეთოდით აღჭურვილი მსახიობი ვილაციის მიერ ერთხელ დადგენილ წეს-კანონებს ვეღარ დაემორჩილება, იქნება უსათუოდ მოაზროვნე, თავისუფალი შემოქმედი, აქტიური. ვერაფერს დრომოქმულსა და ხავსმოდებულს ვერ შეეგუება. დამშვიდებული ვერ შევა სარეპეტიციო დარბაზში იმიტომ, რომ არ მოასვენებს აზრი — შესძლებს თუ არა დღეს შთაგონების დამორჩილებას, მის გამოწვევას! სხვაგვარ მუშაობას ის ვეღარ მიიღებს, ვერ დაკმაყოფილდება. ამგვარი შემოქმედის საუკეთესო ნიმუში თითონ იყო კ. სტანისლავსკი, — ბუმბერაზი მოაზროვნე და ხელოვანი, პოეტი ცხოვრებაში და შემოქმედებაში, დაუცხრომელი მაძიებელი, აღამიანის შემეცნებით შესაძლებლობაში მუდამ დარწმუნებული რომანტიკოსი, რომლის ცხოვრებაში არ მოიქმნება არც ერთი არასრულფასოვანი დღე.

დიდი მმცნიერი და მოღვაწე

(ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო)

როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თავისი დიდებული ცხოვრების მანძილზე ექვთიმე თაყაიშვილი იყო წარმომადგენელი საქართველოს იმ პროგრესული ძალებისა, რომელთაც ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს მიზნად ჰქონდათ ქცეული.

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წლის სამ იანვარს (ძვ. სტილით) სოფელ ლიხაურში.¹ ბავშვობა ამავე სოფელში გაატარა. პირველდაწყებითი სწავლა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში მიიღო. აქ პირველად იგრძნო ყმაწვილმა ექვთიმემ ის საშინელება, რომელიც იმ ხანების სასწავლებელში დაემყარებინათ. ცარიული გამარუსებელი პოლიტიკა სულს უხუთავდა იმდროინდელ ახალგაზრდობას. ამისდა მიუხედავად, ექვთიმეს დროს აქ მაინც მასწავლებლობდნენ ისეთი პატრიოტები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, სიმონ ქიქოძე. (ცნობილი მოღვაწის გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა), იოსებ თაყაიშვილი და სხვ. ამავე სასწავლებელში გაიცნო ექვთიმემ ნიკო მარი. შემდგომში ნიკოსა და ექვთიმეს არასოდეს უღალატნიათ ერთმანეთისათვის მეგობრობასა და საზოგადო საქმეში.

1875 წლიდან სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში. ამ ხანებში ხდება ექვთიმე თაყაიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირება. იგი ქართველი სა-

მოციანელების იდეების მძლავრ გავლენას განიცდის და მტკიცედ ითვისებს მათ ეროვნულ-გამათავისუფლებელ აზრებს.

1883 წ., გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილი მიემგზავრება რუსეთში და შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იგი გასაოცარი ენერგიით ეწაფება სწავლას. ის კი არა „მენდელეევისაც კი ვუსმენდი, როდესაც იგი თავისი პერიოდული სისტემის ცხრილებს უხსნიდა მსმენელებსო“, იკონებს ერთგან ექვთიმე თაყაიშვილი.

1887 წ., უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილი მოწვეულ იქნა ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში ლათინური ენის მასწავლებლად. შეთავსებით ლათინურს ასწავლიდა ვაჟთა მესამე კლასიკურ გიმნაზიაშიც.

იმ დროს, როცა ცარიზმი ქართულ ენასა და ყოველგვარ ეროვნულს დევნიდა, უფროსი თანამებრძოლების — ილია ჭავჭავაძისა და სხვათა გვერდით, ექვთიმე თაყაიშვილი მტკიცედ და ქედმოუხრელად დადგა იმ დროშასთან, რომელსაც ეწერა: „თავისუფლება, მომავალი“...

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა აზვირთებამ წარმოშვა საჭიროება, რომ ქართველ ხალხს ჰქონოდა შეურყეველ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობილი წარმოდგენა თავის წარსულზე. ისტორიის ასეთი მიზანი შესანიშნავად გადმოსცა თავის ნაწერებში ილია ჭავჭავაძემ.

¹ მამა — სიმონ თაყაიშვილი, სამხედრო პირი, მონაწილე იყო რუსეთის არმიის მრავალი ბრძოლასა. მამა რომ გარდაიცვალა, ექვთიმე ახალდაბადებული იყო, დედა კი მამინ მოუყვდა, როცა ხუთიოდე წლისა იქნებოდა.

მაგრამ მაინც სუსტი იყო ის ბალავარი საისტორიო მეცნიერებისა ჩვენში, რომელზედაც წარსულის ქეშმარიტი ცოდნაა ხოლმე აგებული. ქართული ისტორიოგრაფია დიდად ჩამორჩებოდა იმ დროის დასავლურ მეცნიერებას, ისტორიის მიზნის გაგებისა თუ წყაროების შესწავლისა და საისტორიო მეთოდოლოგიის მხრივ... ამგვარი იყო მდგომარეობა სამოციანელების დროსაც, და ჩვენმა მეცნიერებმა ეს ნაკლი XX საუკუნეს უანდერძა გამოსასწორებლად. სწორედ ამ ყველაზე დიდი ამოცანის შესრულება ხვდა წილად ივანე ჯავახიშვილს.

სამართლიანად იგონებდა შემდგომში ეჭვთიშე თაყაიშვილი იმ ამოცანებს, რომლებიც იდგა ქართველთმცოდნეობის წინაშე... „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი, — იგონებდა მსცოვანი მეცნიერი, — რამდენადაც შეიძლებოდა და გარეშობა ნებას მაძლევდა, შემეყრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლებოდა მეტი გამოუმეზურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმიჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში, — იმ რწმენით, რომ, როცა ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“...

სახელოვანმა მამულიშვილმა პირნათლად შეასრულა ეს ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე.

იმ ხანებში გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა გადაერჩინათ ის ისტორიული ნაშთები, რომლებიც გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილას და უპატრონობისაგან იღუპებოდა. არ არსებ-

ობდა არავითარი ორგანიზაცია, რომელიც გაჩანაგება-განადგურებისაგან დიფარავდა ისტორიულ სიძველეებს.

მოგვიანებით ამ საქმიანობას დიდი გულისყურით შეუდგნენ ცნობილი ორგანიზაციები: 1) 1889 წ. დიმიტრი ბაქრაძის თავმჯდომარეობითა და თაოსნობით დაარსებული „ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავის კომიტეტი“ (წევრები იყვნენ ცნობილი მოღვაწენი ჩვენი კულტურისა: თედ. ჟორდანია, ანტ. ნატროშვილი, კალისტრ. ცინცაძე, ილ. ფერაძე, მოსე ჯანაშვილი, პოლ. კარბელაშვილი) და 2) 1879 წელს დაარსებული უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ორგანიზაცია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. „კომიტეტმა“ და „საზოგადოებამ“ დიდი მუშაობა გასწიეს თავის დროს ჩვენი სიძველეთა მოვლა-პატრონობისათვის.

ე. თაყაიშვილი რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე დაულალავად ჩაება ხსენებული ორგანიზაციების მუშაობაში, როგორც წევრი და ერთერთი ხელმძღვანელიც. იგი დიდ დროსა და ენერჯიას ხარჯავდა, რათა საზოგადოებათა ფონდებში დაგროვილიყო ხელნაწერი წიგნები, საბუთები, სიგელ-გუჯრები, სხვადასხვა სახის სიძველეები.

ამავე პერიოდში უახლოვდება იგი ილია ქავჭავაძეს და მალე ერთ-ერთ მის ახლობელ ადამიანად ხდება ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1890 წელს გამოიკა ე. თაყაიშვილის პირველი სამეცნიერო შრომა, რომელმაც მაშინდელ საზოგადოებაში დიდი კამათი გამოიწვია. ეს წიგნი, რომელსაც ავტორმა „სამი ისტორიული ხრონიკა“ უწოდა, წარმოადგენდა თავისი დროისათვის ღრმად დასაბუთებულ კრიტიკულ გამოცემას ისეთი უმნიშვნელოვანესი საისტორიო ძეგლებისა, როგორიცაა: „მოქცევაჲ ქართლისაჲჲ“; სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა...“ და „მესხური დავითნის ქრონიკა“.

დასახელებულ გამოცემას ახალ სიმალლეზე აჰყავდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და არღვევდა ბეერს, მანამდე მიღებულ თვალსაზრისს ამ დარგში. ეს კი, რა თქმა უნდა, მკაცრ რეაქციას იწვევდა ჩვენი ისტორიის ბევრი მკვლევარის მხრივ. „სამი ხრონიკა“, როგორც შემოკლებით ეძახდა ხოლმე შემდგომში ამ შრომას ექვთიმე თაყაიშვილი, შეიცავდა შემდეგ დასაბუთებულ მოხაზრებებს: ა) სამივე გამოცემული წყარო ერთგვარ საძირკველს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრებისთვის“. ამ შრომაში პირველად იყო დასაბუთებული, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ხელნაწერი გადაწერილია X საუკუნის მეორე ნახევარში და არა IX ს-ში, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული. გამომცემლის აზრით, ამ ტექსტის გადამწერი იყო იოანე-ბერაჲ, რომელსაც 973 წლისათვის პარხლის ცნობილი სახარება ჰქონია გადაწერილი; ბ) სხვა მნიშვნელოვან საკითხთა გვერდით ნაჩვენები იყო, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ცნობილი წინასიტყვაობა „ქართლის ცხოვრებაში“, ვახტანგ VI სახელით რომ არის ცნობილი. ე. თაყაიშვილი ამტკიცებდა, რომ შემცდარი არიან ისინი, ვისაც ჰქონია, თითქოს ეს შესავალი თეიმურაზ ბატონიშვილის კუთვნილი იყო; გ) ვრცელი საუბარი იყო გამოცემაში, სხვათა შორის, პარხლის მონასტერზე, რომელიც X-ს-ში აუგიათ და სხვ.

ხსენებულ საკითხებს მეცნიერი არა ერთგზის დაპბრუნებია შემდგომ ხანებშიაც და უფრო მეტად გაუღრმავებია თავისი მოსაზრებანი: „სამი ხრონიკის“ ქართული გამოცემის შემდეგ (1900 წ. სრული რუსული თარგმანიც გამოიცა ამ შრომისა) მნიშვნელოვანი იყო წმ. ნინოს ცხოვრების, ჩვენთვის უძველესად აღიარებული რედაქციის გამოცემა. ესაა ცნობილი რედაქცია შატბერდისა. ექვთიმე თაყაიშვილმა კრიტიკულად გამოსცა იგი.

ძალზე დიდია ის ღვაწლი, რომელსაც

ექვთიმე თაყაიშვილი ეწეოდა ქართული სიძველეების მეცნიერულად თავმოყრა-სისტემატიზაციისათვის. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სიძველეთა ფონდი, მიუხედავად იმისა, რომ შემამჩნევად მდიდრდებოდა მასალით, მაინც ძალიან ცუდსა და არასახარბილო მდგომარეობაში იმყოფებოდა. არ არსებობდა კატალოგიც კი, და უბინაობის გამო ხელნაწერები საფრთხეში იყო. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ხელნაწერთა აღწერა და კატალოგიზირება. საზოგადოების დაეალებით ამ საქმის მოგვარებას შეუდგა ე. თაყაიშვილი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გულდასმით აწარმოებდა ხელნაწერთა მეცნიერულად შესწავლადამუშავებასა და აღწერას. ასე შეიქმნა ცნობილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა“. საფუძვლიანი და გულთბილი რეცენზიებით გამოეხმაურნენ ამ გამოცემას ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. ნიკო მარი ხაზგასმით აღნიშნავდა: ამ ნაშრომის სახით შეუძლებელია არ დავეინახოთ იშვიათი და ძვირფასი საგანძური ორიენტალისტურ მეცნიერებაშიო. რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვა ე. თაყაიშვილის ხსენებული აღწერილობა.

90-იან წლებში ექვთიმე თაყაიშვილი აქვეყნებს სხვადასხვა სახის მასალას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ისტორიის, მწერლობისა და კულტურის საკითხების შესწავლისას. სხვებთან ერთად ამგვარ ნაშრომთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: „ერისთავთა დაუჯდომლის ქრონიკა“ (1901), „ყანჩათის ჟამ-გულანის ქრონიკა“ (1901), „ქართველთა მეფის ბაგრატ IV-ის სიგელი“ (1893). „კათალიკობაქარიანი“ (1898) და სხვა...

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო გამოცემებს ახალ სიმალლეზე აჰყავდა ქართული საისტორიო მეცნიერების

ხერხემალი — წყაროთმცოდნეობა და ძვირფასი მასალებით ამდიდრებდა მას.

მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მეცნიერებას იმით, რომ 1906 წელს გამოისცა იმ დროისათვის უძველესი ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“, XVII ს. პირველ ნახევარში რომ იყო გადაწერილი როსტომ მეფის (1632-1658) მეუღლის მარიაშვილის მიერ გაწეული ღვაწლით. ამიტომ, რომ ამ ნუსხას „მარიაშვილის“ ეწოდება. დასახელებულმა გამოცემამ დიდი როლი შეასრულა მეცნიერებაში, რადგანაც დიდხანს რჩებოდა „ქართლის ცხოვრების“ უძველეს დაბეჭდილ ვარიანტად.

ამ დროისთვის ექვთიმე თაყაიშვილი საყოველთაოდ აღიარებული ისტორიკოსი ხდება. ჩვენი წარსულის შესწავლისათვის საქართველოში წარმოებული ყოველგვარი საქმიანობა თითქმის მისი ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით მიმდინარეობს.

1907 წ. ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით არსდება „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი წარსულის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ეს საზოგადოება დაარსდა ქართველი მოღვაწეების მიერ შექმნილი იმ მცირე სამეცნიერო ორგანიზაციის საფუძველზე, რომელსაც ეწოდებოდა „ქართული ისტორიის მოყვარულთა წრე“. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ძალზე დიდი მუშაობა აქვს გაწეული ქართველი ხალხის ისტორიის, მწერლობისა და კულტურის შესწავლის საქმეში. ამ ორგანიზაციის წევრთა ცხოველი მუშაობის შედეგად სისტემატურად ეწყობოდა სამეცნიერო ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ტარდებოდა მრავალრიცხოვანი ლექციები საქართველოს ისტორიიდან, სამართლის, ეკონომიკის დარგებიდან, ქართული ხელოვნების, ისტორიოგრაფიის, ლიტერატურისა და სხვა საკითხების შესახებ (წაიკითხე იქნა სულ 150-მდე ლექცია

ისეთ მეცნიერთა მიერ, როგორც ანან: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი და სხვა...).

საზოგადოება სცემდა სამეცნიერო სერიებს: „საქართველოს სიძველენი“ და „ძველი საქართველო“. პირველში ქვეყნდებოდა სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვადასხვა აქტები. „საქართველოს სიძველენი“ ოთხ ნაწილადაა გამოცემული. ამათგან პირველი ტომი ჯერ კიდევ 1891 წელს, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამდე ჰქონდა გამოქვეყნებული ექვთიმე თაყაიშვილს. საზოგადოების მიერ გამოცემული ბოლო სამი ტომი შეიცავს 1527 სიგელ-გუჯარს.

„ძველ საქართველოში“ კი იბეჭდებოდა გამოკვლევები, რეფერატები. სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, საზოგადოების ანგარიშები და სხვა (1917 წლამდე ამ სერიაში დაიბეჭდა 2000 შეკრებილი ხალხური ლექსი, 1385 არაკი, 115 გამოცანა, 16 სიმღერა, 33 ზღაპარი, 4 თქმულება, მრავალი გამოკვლევა თუ დოკუმენტური მასალა ჩვენი ისტორიიდან).

დასახელებულ სერიაში პირველად გამოქვეყნდა ჩვენი წარსულის შესწავლისათვის შესანიშნავი მასალები, რომელნიც ექვთიმე თაყაიშვილის მიერ იყო მიკვლეული. ასეთებია: „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და „შენიშვნები ამ ცნობების შესახებ“; „რას შეიცავდა ისტორია ბავრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში“; „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წ.“; „ეამ-გულანი № 342 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა“ და სხვ.

დაუზარელი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, ასევე აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთის სამეცნიერო ორ-

განობებში, სადაც აქვეყნებდა საქართველოს წარსულის შესწავლისათვის აუცილებელ პირველხარისხოვან მასალებს. მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციამ — „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“, გამოიწვია ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობის ინტერესი. ზოლო რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ 1911 წ. ამ ნაშრომისათვის ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვა ექვთიმე თაყაიშვილი.

დიდი ივანე ჯავახიშვილის გვერდით მყოფ მამულიშვილებთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილი პირველი იყო, რომელიც ერის სულიერი ცხოვრების უმძიმეს წლებში მთელი ენერგიით იბრძოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. 1918 წელს ახლა ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანების ოცნება. დიდი მამულიშვილების თაოსნობით დაარსდა ჩვენი კულტურისა და მეცნიერების უდიდესი კერა — ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა რიგებში იყო ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც კითხვობდა კურსს საქართველოს სიძველეთა შესახებ...

1918 წ. 21 მაისს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დისერტაციის დაუცველად დოქტორის სამეცნიერო წოდება მიანიჭა ე. თაყაიშვილს და ამით ღირსეულად დააფასა მისი დიდი ღვაწლი ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

XIX საუკუნეში, როდესაც დიდი ენერგიით დაიწყო ჩვენი წარსულის შესწავლა, გადაუღებელ ამოცანად იქცა შეგროვება, დაცვა და მეცნიერული მოკლაპატრონობა იმ სიძველეებისა, რომლებსაც შეტნაკლებად უვნებელი სახით მოედრწიათ. მსახვრალი დრო, არანაკლებ უფიცი ადამიანის ხელი, უწყალოდ სპობს ყოველივე იმას, საუკუნეთა ნაანდერძეად რომ შემორჩებიან ზოლმე აქა-იქ. ამ სიძველეთა შეგროვებისა და შესწავლა-გადაარჩენის მიზნით

მკვლევრები მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მეცნიერულად სწავლობდნენ ისტორიულ ძეგლებს, იქნებოდა ეს ტაძარ-მონასტერთა ნანგრევები, სხვადასხვა წარწერები, სიგელ-გუჯრები, ხატები თუ ძველი იარაღები, ხელნაწერები თუ ფულები და ა. შ. ასე ჩაეყარა საფუძველი იმ საქმიანობას, რომელსაც არქეოლოგიურ მოგზაურობებს უწოდებდნენ.¹

ერთ ხანობას ექვთიმე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს მდ. დებედას ხეობაში მდებარე სოფ. ვორნაყში, სადაც ბრინჯაოს კულტურის მნიშვნელოვანი მასალები იქნა მოპოვებული. მასზე ადრე ამ ადგილებში ნიკო მარი აწარმოებდა გათხრებს, მაგრამ მარმა მალე ანისში გადაინაცვლა და ამ ობიექტის შესწავლა, რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დავალებით, ექვთიმემ განაგრძო. საერთოდ, რევოლუციის წინა ხანებში ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც გათხრებს აწარმოებდა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს ახალგორის ცნობილი განძის გადარჩენის საქმეში. მან გაუიღვა-დაფანტვას გადაარჩინა ეს განძი და კავკასიის მუზეუმში დააბინავა იგი.

სისტემატურად აწყობდა რა არქეოლოგიურ მოგზაურობებს, ექვთიმე თაყაიშვილი უძვირფასესი მასალით ამდიდრებდა მეცნიერებას. მარტო ის რად ღირს, რომ ერთ-ერთი მოგზაურობისას ისეთი დიდებული ძეგლი იპოვნა, როგორიცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“. ამ ძეგლს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი საქართველოს წესწყობილების, სახელმწიფო ყოფაცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად. საინტერესოა, რომ წარსულის ძეგლთა დაც-

¹ დღესდღეობით ტერმინი — არქეოლოგია მხოლოდ გათხრით არქეოლოგიას გულისხმობს. ძველი თაობის მკვლევართა ნაწერებში კი „არქეოლოგ-იმი“ იგულისხმებოდა ყოველგვარი სიძველის შესწავლა.

ვის აზრით ფანატურად განწყობილმა ექვთიმემ ამ ძეგლის ხელნაწერი ტექსტი ერთ ოჯახში ბინის დალაგების დროს ნაგავში იპოვნა...

სხვადასხვა დროს სიძველეთა შესწავლის მიზნით ექვთიმემ იმოგზაურა კახეთში (ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვა), იმერეთში (საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი, ვანი და სხვა), სამეგრელოში (მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა და სხვა), რაჭაში (გლოლა, ჭიორა, დეზი, ონი, წესი, მრავალძალი, სხვადა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვა), ლეჩხუმ-სვანეთში (ლაბუქინა, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ლაშხეთი, უშგული, მესტია და სხვ...) ამ მოგზაურობათა დროს შეკრებილი და შესწავლილია უმდიდრესი მასალა, რომელთა სრული შეფასება ძალზე ძნელია ამ მოკლე წერილში.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ სამეცნიერო ექსპედიციებს, რომლებსაც ექვთიმე აწყობდა საქართველოს სამხრეთ მხარეებში, განსაკუთრებით კი — ე. წ. „თურქეთის საქართველოში“. პირველი ექსპედიცია 1902 წელს მოეწყო და, ახალციხისა და ახალქალაქის ძეგლებთან ერთად, შესწავლილ იქნა არტანისა და ოლთისის მხარეები. კოლას, არტანისა და ოლთისის შესასწავლად მეორე ექსპედიცია 1907 წ. მოეწყო, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1917 წლის არქეოლოგიური მოგზაურობა სამხრეთ საქართველოს შესწავლის მიზნით. ამ ექსპედიციაში, ექვთიმესთან ერთად, მონაწილეობდნენ შემდეგში გამოჩენილი მხატვარი—ლადო გუდიაშვილი და ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელიც ახალგაზრდობისას აგრეთვე მხატვარი იყო პროფესიით.

სამხრეთ მხარეებში პირველი მოგზაურობების დროს მთელი თავისი მრავალფეროვნებით საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და აღწერილი უდიდესი

მნიშვნელობის სიძველეები: ზარზმა, საფარა, ბანა, ოლთისის ძეგლები, ტაოსკარი, ჩანგალი, ფანასკერტი და სხვა. 1917 წელს კი მოინახულეს — ხახული, თორთუმი, ექეტი, ოშკი, იშხანი და სხვ.

დასახელებულმა ექსპედიციებმა უდიდესი სამუშაო განახორციელეს: გამოზადდა გეგმები ყველა ნანახი არქიტექტურული ძეგლისა, მიკვლეული და გადმოღებული იქნა უამრავი ძვირფასი წარწერა, გარკვეულ იქნა ზოგიერთი მონასტრის სახელი, რომელიც ცნობილი არ იყო მანამდე ლიტერატურულ ძეგლებში. დღეს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნახული ეს ძეგლები ფართო საზოგადოებრიობისთვის მიუწვდომელია. რის გამოც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ღვაწლს.

არქეოლოგიურ მოგზაურობათა შედეგებს სისტემატიზირებული სახით მთელი ცხოვრების მანძილზე აქვეყნებდა ექვთიმე თაყაიშვილი. იმ უამრავ ნაშრომს შორის, რომლებიც გამოცემულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, პირველ ყოვლისა, დასასახელებელია არქეოლოგიურ ექსპედიციათა შედეგების მომკველი შემდეგი ნაშრომები: 1) არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები (წ. I-11); 2) არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს; 3) არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., 4) 1917 წ. არქეოლოგიური მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში.

1921 წ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ახალი ხანა დაიწყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მენშევიკური მთავრობა უცხოეთში გაიხიზნა; თან წაიღო საქართველოს მუზეუმებში თავმოყრილი განძეულობა. თავიდანვე განძეულობის მთავარი მეთვალყურეობა მინდობილი ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც ბედის ანაბარად არ მიატოვა ეს უდიდესი საუნჯე ქართველი ხალხისა — მცველადა და პატრონად თან გაჰყვა მას უცხოეთში.

ოცდაოთხ წელს გაგრძელდა გულის-გამაწვრილებელი ყოფნა უცხოეთში. სიბერისაკენ მიექანებოდა ექვთიმე, მაგრამ გაუტეხელი რჩებოდა, რადგან ღრმად სწამდა თავისი ერის მომავალი და უზომოდ იყო მასზე შეყვარებული. ამ რწმენით შეპყრობილს არასოდეს არ გაუგდია ხელიდან კალამი, მთელი ენერგიით შრომობდა ჩვენი ისტორიის საკითხების შესწავლისათვის.

იგი წევრი იყო პარიზის საზიო საზოგადოებისა, სადაც თანამშრომლობდა უდიდესი აღმოსავლეთმცოდნეების გვერდით. მისი შრომები ქვეყნდებოდა სამეცნიერო სერიებში: „ბიზანტიონში“ და ჟურნალ „აზიატიკში“, აგრეთვე ინგლისურ ქართველოლოგიურ გამოცემაში — „გეორგიკა“.

წლების მანძილზე ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა დიდადი მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამდიდრებს ლიტერატურას საქართველოს სიძველეთა შესახებ. ამ ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი გამოცემები: „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლაოლთისში და ჩანგლში 1907 წ.“, „არქეოლოგიური ექსპედიცია 1910 წ. ლეჩხუმსა და სვანეთში“, „მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატრიანე ნიკორწმინდის ხელნაწერებში“, „სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები“ (ნ. 1), „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“, „ქართული სიძველეები ევროპელ ანტიკვარებთან“, „ქართული წელთაღრიცხვა და ბაგრატიონთა მმართველობის დასაწყისი“, „ინტელექტუალური ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა საქართველოში“, „ჯვარცმის გამოხატულება წალენჯიხის ეკლესიისა სამეგრელოში“, სხვადასხვა აღწერილობანი, მოგონებები ქართველ მოღვაწეებსა და ეროვნული საქმისათვის მებრძოლებზე...

...დიდხანს ინახებოდა უცხოეთში მი-

ბარებული ქართული განსწავლობა ბევრმა მოინდომა მისი მითვისება, ექვთიმე თაყაიშვილი ფხიზლად სდარჯობდა მას და არავის არ აძლევდა უფლებას ყიდვა-გაყიდვის ობიექტად ექვთიმე იგი. ქართულ ნივთულობას ერთი მისხლიც კი არ აკლდა. კიდევ მეტი: ემიგრაციაში ყოფნისას ევროპის სხვადასხვა კუთხეებიდან ექვთიმე თაყაიშვილს საკმარაოდენობით შეეგროვებინა საქართველოდან უწინ გატანილი სიძველეები და ისინიც მასთან ინახებოდა.

1945 წლის აპრილში ე. თაყაიშვილი საქართველოსაკენ გამოემგზავრა. მშობელი ხალხისათვის მოჰქონდა ემიგრაციის მძიმე წლებში მოვლილი ძეგლები, რომელთაც შვილივით პატრონობდა.

სამშობლოს ნახვამ ერთითად შემატა ძალღონე ექვთიმეს. „ძეგლთა ჩემ მიერ გამოცემის საქმესაც ჯერ კიდევ არ ვთელი დამთავრებულად, — ამბობდა ამ ხანებში ექვთიმე. — ძალაუნებურად უცხოეთში გადახვეწამ, რაც მეოთხედ საუკუნეს გაგრძელდა, დიდად შემიფერხა მუშაობა. იქ მხოლოდ მცირე ნაწილი გამოვაქვეყნე თან წალეხული მასალებისა და ჩანაწერებისა, უდიდესი ნაწილი კი უკან ჩამომყვა და ახლა იმედი მაქვს, რომ ორიოდ წლის სიცოცხლეს, რომელიც დამრჩენია და, საბედნიეროდ, ისევ სამშობლოში მიწევს, ყოველმხრივი ზრუნვითა და ხელშეწყობით გარემოცულს, მოვახმარ ჩემზე დარჩენილი ვალის ბოლომდე მოხდას: ვეცდები, აღარც ერთი ჩემ ხელთ ნამყოფი თუ ჩემ მიერ დათვალიერებული ძეგლი აღარ დარჩეს გამოუცემელი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი უკვე იმსხვერპლა დრომ“.

ჩამოსვლისთანავე, 10 მაისს, უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ექვთიმე არჩეულ და მიწვეულ იქნა საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად. მალე ღვაწლმოსილი მეცნიერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდიდრ წევრადაც აირჩიეს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ექ-

ვითმე თაყაიშვილს გამოსაცემად სისტემაში მოჰყავს სიძველეები, რომლებიც სხვადასხვა დროს მონახული იყო მის მიერ და ბეჭდავს მათ. ასეთებია: „ჩხარის ეკლესიის სიძველენი“, „მამნე ოქროშქედლის კიდევ ერთი ნახელავი“, „ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი“, „მხატვრული ნაქარგობანი იკორთის მონასტრიდან“, „პერევისის ძველი ეკლესია“ და სხვ.

დასახელებულ გამოცემებთან ერთად, რომლებიც ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენენ ჩვენი ერის წარსულის სხვადასხვა მხარის შესასწავლად, მნიშვნელოვანია ბაგრატიონთა საგვარეულოს მემკვიდრის სუმბატ დავითის ძის თხზულების მეორეჯერ გამოცემა 1949 წ.

სხვა ნაშრომებისა და გამოცემების კვლადაკვალ უკანასკნელად მან დიდი ენერგია მოახმარა იმას, რომ მოემზადებია ვეებერთელა პუბლიკაცია, სადაც თავმოყრილია 1917 წელს საქართველოს სამხრეთ პროვინციებში არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ შეკრებილი უდიდესი სამეცნიერო ღირებულების მასალა. გამოცემა „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“ — ე. თაყაიშვილის სამოცდახუთი წლის მოღვაწეობის დაგვირგვინებას წარმოადგენს. ეს იყო უკანასკნელი დიდი წიგნი, რომელიც მშობელ ხალხს შესძინა დიდმა მკვლევარმა.

• • •

გამომცემლობებს გადაცემული აქვთ, მაგრამ დღემდე გამოუცემელია ექვთიმეს რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის „თისელის მონასტრის სენიანქსარის ისტორიული მინაწერები ათაბაგ ბოცობასილის გენეალოგიითურთ“, „იკორთის მონასტრის წარწერები და სიძველენი“, „რაკის ეკლესიები და მისი სიძველენი“, „მღიმის ეკლესიის სიძველენი“ და სხვ. დარჩა, აგრეთვე, უამრავი

შავი ჩანაწერი და მცირე შენიშვნა, რომელთა ძირითადი ნაწილი, ~~ჩვენ~~ ~~ქვე~~ ~~მოკლე~~ ~~მენტურ~~ ~~მასალასთან~~ ~~ერთად~~, ~~დაცულია~~ მის პირად საარქივო ფონდში (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერების ინსტიტუტში).

საქართველოს ისტორიის უდიდესი ქართველბების მომსწრესა და ერთ-ერთ მონაწილეს ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა დიდ მოღვაწეებთან. ამიტომ უაღრესად საინტერესოა ის მოგონებანი, რომელიც მისი პირადი კარნახით იქნა ჩაწერილი. ეს „მოგონებები“ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა.

ერთგან კარგად შენიშნავდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომ საქართველოს სიძველეთა შეკრება-გადარჩენა მას დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა: „ამჟამად ზედმეტ ძალღონეს მანიშებდა სწორედ ის ფანტიკური გრძნობა და ის გამუდმებული ძრწოლა, „არაფერი დაგვეკარგოს მეთქი“, — იგონებს ექვთიმე, — თან ის შეგნებაც მიმაგრებდა გულსა და მკლავს, რომ როდესაც ეს მასალები საიმედოდ თავმოყრილი, დაცული, და პირველადი ინტერპრეტაციით გამოცემული იქნებოდა, მერე გამოგვიჩნდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც დარგობრივ, გულდაგულ დაადგებოდნენ მათ; გამართული, შევსებული ისტორიისა თუ მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ. ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამართლდა და ესაა, რომ უდიდეს ზნეობრივ კმაყოფილებას მგვირის“.

სწორედ ამიტომაცა, რომ ასე დიდად აფასებს ქართველი ხალხი ექვთიმეს სახელს, რომლის მიმართ შეგვიძლია გვიმეოროთ დიდი ილიას სიტყვები: „შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დაავიროდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს... ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდევ, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები“.

კოლაუ ნადირაძის „ჩვეულის“ გამოცემის გამო *

არიან მწერლები, რომელთა შემოქმედებაც თანამედროვეობის მაჩვენებელია როდია საქმეზე! მაგრამ არიან ისეთი პოეტებიც, რომელთა ნაწარმოებებში, ერთის შეხედვით, თითქოს ვერ შეიგრძნობთ ეპოქის მაჩვენებელს, თითქოს უოველოვე ეს დაუარულია ვაიერ, მწვიდ, „მიუყვარებელ“ თხრობაში. სწორედ ასეთი პოეტია კ. ნადირაძე. მისი ლექსები და პოემები იმ ხასიათისაა, რომელთა შესწავლაც, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ. შიშობოვს ღრმად ჩახედვას, და მხოლოდ დავიწყებულ თვალს ვადევნებთ სისრულით კვლავიტი სილამაზე.

კოლაუ ნადირაძე თავისი შემოქმედებისადმი დიდი მომთხოვნელობით, მაღალი პოეტური ელტერით ხასიათდება.

კ. ნადირაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისი დავაშორებელია ქართული სიმბოლისტური სკოლის წარმოშობასთან. მისი ახლანდელი წიგნი იქმნებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა თემები, ემოციური ტონი, იდეური მიზანდასახულობა, ესთეტიკური თავისებურებანი. „ჩრეული“ არსებითად ორ დიდი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია რევოლუციის შემდეგ შექმნილი ლექსები (1921-1961), ხოლო მეორე განყოფილებაში — რევოლუციამდელი ლექსები (1916-1920).

კ. ნადირაძის ადრინდელ ლექსებს შმაფრად ეტყობოდა დეკაონტური პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიშნები; ამ ხანის მისი ლექსები შეტყალო აღბეჭდილია მისტიკური განწყობილებებით.

„ცისფერყანწილებმა“ თავის ერთ-ერთ მთავარ თემად სიმახიწე აღიარეს. კ. ნადირაძე, როგორც ამ კორპორაციის ერთერთი დამახასიათებელი, თვალსაზრისით წარმომადგენელი, განსაკუთრებით გატაცებული იყო სიმახიწის

აპოლოგიით. მისი ლექსები „ავზნიანი ქალაქი“, „ჯვარცმა ლამში“, „შთეარის ქერდები“, „კეთროვანება“, „მისტერია ფთოლების“, „ჩემს სულს“ — სიმახიწის თავისებურ ხოტბას წარმოადგენდა.

კ. ნადირაძის წარმოდგენით, „მეორე — სამუაროში“, „შიღმა ქვეყანაში“ სუფევს სილაცვარდე, მშვენიერება. იგი მისწრაფოდა ეხილა „სინათლე“, „იქეთა ქვეყანა“, გაქცეოდა დიდ ქალაქს, სადაც მან ვერ დამალა თავისი მწუხარება:

ჩვენ დიდი გზებით მოსული ვართ და
წავალთ მალე;
როგორც ქუელები დავატარებთ არმიან
კაბებს.

ჩვენ მწუხარება დიდ ქალაქში ვერსად
დავშალეთ.
და გვესტრს ვეწვიოთ ახლა სტუმრად სულ
მკიერ დაბებს.
(„საქორწინო შოგზაურობა მთვარესთან“).

პოეტი კატეგორიულად შიშობოვს „დავშორდეთ ამ ქვეყანას მაკდურს, შხამიანს“, „წავიდეთ ერთად“ შორიული წარმოდგენების ფანტასტიკურ სამუაროში.

კ. ნადირაძე აღფრთოვანებული იყო იმ წარმოდგენით, რომ სულ მალე მილწევდა ნანატრს „სხვა ქვეყანას“, რომ სულ მალე იგრძნობდა „შარდისობის მშვენიერებას“ და გათავებოდა, მისი „წამება“ („ჯვარცმა ლამში“).

გაცილებით უფრო საველისხმოა ის ლექსები, რომლებშიც კ. ნადირაძემ დაწერა ამ უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლების განმავლობაში, როდესაც ერთმანეთს ადარებთ პოეტის ადრინდელ და ბოლოდროინდელ ლექსებს, ხედავთ თუ რა დიდი ზღვარია მათ შორის, როგორ წინ წავიდა იდეურად მათი ავტორი, რამდენად ნათელი და ბუნებრივი გახდა ეს ლექსები, რამდენად გაძლიერდა მათში მოქალაქეობრივი ხშიანობა. „თბილისში“ იგი ხატავს ჩვენი განახლებული, გარდაქმნილი, ქალაქის

* კ. ნადირაძე — „ჩრეული“ „საბჭოთა ხასართელოს“, 1962 წ.

სტრატეგის. მისთვის ახალი თბილისი არის რეალური სახე განმარტოებელი ოცნებისა, სიმბოლო ხალხის დიდი აწივვისი და მომავლია.

კ. ნადირაძის პოეტური შემოქმედების ცენტრში დგას ადამიანი, მისი სულის უნაზესი მოძრაობანი. არაერთი ლექსი მიუძღვნა მან სამართლო ომის თემას. ამ ნაწარმოებებში გაშობსაბა პოეტის მაღალი პატრიოტული შევნიშვნა. ხშირად იგი უბრუნდება ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, მის სახელოვან გმირებს, რომლებიც თავდადებულად იბრძოდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის („კრწანისი“, „ასპინძის ომი“). პოეტის მართებულ დახასიათებით, ამ კეთილშობილურ ტრადიციებს დღესაც ჩვენი ხალხისათვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის დიდი აღმშრდლობითი მნიშვნელობა აქვს.

კ. ნადირაძის მხატვრული აზროვნების ფართო მასშტაბებზე მიუთითებს მისი საუკეთესო ნაწარმოები „ზალა ზოტანდოდ ცეცხლფარეშზე“. ამ ნაწარმოების თემა არსებითად არის უბრალო ადამიანის მწარე ბედი დასავლეთში, კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში.

ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლებს ეხება კ. ნადირაძე ნაწარმოებებში — „წითელი მოედანი“ და „1905“. ორივე ნაწარმოები, უპირველესად, პოეტური ქრონიკის დას ატარებს, აღწერითი ხასიათისაა. მოვლენები აქ მარტოდენ ვარგენტლი ნიშნების მიხედვით, შემოხვევითი დეტალებით არის ასახული. ალბათ, ავტორი ფიქრობდა, რომ აქტუალური, საინტერესო თემა თავისთავად საემპირისი იყო ნაწარმოების წარმატებისათვის. ნაწარმოებში არ არის დაკული თანმიმდევრობა, ეპიკური თხრობის სტილი. აქ საუბარია ადამიანებზე, შავრამ არ არის ნაჩვენები ინდივიდუალიზირებულ პერსონაჟები. ორივე ნაწარმოების კომპოზიციური სტრუქტურა დამოლოა, ნაწყვეტ-ნაწყვეტია.

კ. ნადირაძე ხშირად ესაუბრება მითხველს თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობაზე. ამ ლექსებში გამოხატულია ყრმობის პირველ შთაბეჭდილებანი, როცა სამყარო უფრო ლამაზი უფრო მომხიზნებელი და წარბატი ეჩვენება ადამიანს.

კ. ნადირაძე ლირიკული პოეზიის ოსტატია. მისი აზრით, ბუნება ცხოვრობს თავისი საკუთარი ცხოვრებით და პოეტი უნდა ჩასწვდეს, გაავოს მისი იდუმალი მაცისცემა. ამიტომ არის, რომ ბუნების შესახებ მის საუბარს არც თუ ისე ინიუათად ეძღვევა ფილოსოფიური აზრი („როცა ვარდისფრად სუნთქავს ჰაერი“, „ბუნების ენა“, „ჰადრები“, „შემოდგომის სტუმრობა“). ხანდახან პოეტი გამოთქვამს პესიმისტურ შეხედულებებსაც (კოლხეთის საღამოე-

ბი“, „განთიადი ზღაზე“, „ღის სიყვდილი“). ამას გარდა, მის მიერ დახატულ „ბუნებაში ყოველთვის ვერ დაინახავთ ადამიანს, რომ ვერაფერად ელაგნებულა პასიურ-პერვეტიზმის მწიფობაზე ბუნებისადმი.

თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში, რომელიც მიძღვნილა სამშობლოსადმი, კ. ნადირაძე ამთავრებს ასე:

„ო, სიტყვა მარად თავისუფალი,
მინდა ჩემს ლექსებს ვნა გაუკვლო
მიკურთხე ხმალი და ეს მარჯვენა,
რომ დიდ ბრძოლაში არ დავიღალო,
ვთქვა, რაც ცხოვრებამ ცხადად მარჯვენა!“

კარგადაა ნათქვამი კ. ნადირაძე კვლავ შემოქმედებითი სიპარმავის ასაკშია, მას აქვს ყველა შესაძლებლობა, რომ უფრო ძლიერი და მღელვარე პოეტური სიტყვა უთხრას თანამედროვეობას.

პოეტური სიტყვის ძალა განზომება სინამდვილესთან მისი სიახლივით. ყოველი დროისა და ხალხის ლიტერატურის ისტორიაში ნამდვილი შედეგები ჩნდებიან, როგორც უშუალო გამოხატულებანი თანამედროვეობის მნიშვნელოვან, მტკიცეულ პრობლემებზე. ჰემარტიო ლირიკული ლექსი თუ პოემა შედამ გამოხატავდა ხალხის ცხოვრების სიპართლეს, მის დღევანდელ დღეს, წინააღმდეგ ე. წ. „დისტანციის თეორიისა“, რომლის აზრი არსებითად ის იყო, რომ როგორმე ლიტერატურა დაეშორებიათ დიდი მნიშვნელობის სასოკოვლო ამოკანებს. ფრანგი რეაქციონერი მოაზროვნე მალერბი აცხადებდა, რომ პოეტებს სახელმწიფოსათვის არ მოაქვთ კვლის მოთამაშებზე უფრო შეტი სარგებლობაო. ეს ცინიზმია. სინამდვილეში პოეზია ხალხის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს; ის ამაღლებს და აყითილშობილებს ადამიანს, ზრდის მას მორალურ-მოქროლებს საფიროს საქმეებისავე. პოეზია იმდენად არის ლირსეული და დიდი, რამდენადაც მძაფრად არის შეპირილი მასში ცხოვრებისეული სინამდვილე, რამდენადაც ღრმად და მხატვრულად არის მასში გამოხატული ხალხის ყოფა, ბუნება, ადამიანური ენებები და კეთილშობილური მისრულებები.

კ. ნადირაძის შემოქმედებითი მრავალფეროვნებაზე მიუთითებს საბავშვო ნაწარმოებები და თარგმანები. ბავშვებისათვის დაწერილი ნაწარმოებებიდან „ჩრეული“ მოთავსებულია პოემა „დათუნების თავგადასავალი“, პუშკინიდან და ლერმონტოვიდან ნათარგმნი პოემები ნათელყოფენ, რომ კ. ნადირაძე ფრიად სერიოზულად ეპურობა ამ საქმესაც.

მითრიდატე პონტოელი *

პროფესორ გიორგი გოზალიშვილის წიგნი მითრიდატე პონტოელის შესახებ წარმოადგენს ვრცელ და ღიბს ვრდელით დაწვრილ მონოგრაფიას იმ საკითხზე, რომელსაც აქტიური მნიშვნელობა აქვს ქართული ხალხის ისტორიისათვის და რომელიც ისტორიულ მკვლევარებში საერთოდ ცალმხრივად და, მასწავლებელად, არ სრულად არის დამუშავებული. რომის ისტორიის ცნობილი სპეციალისტები, ისე როგორც სხვანი, ყოველთვის ეხებოდნენ მითრიდატის ხანას (გვერდის ალა მისთვის არ შეიძლება). მაგრამ მათ აინტერესებდათ, უმთავრესად, მითრიდატის ხელმძღვანელობით პონტოს სახელმწიფოს მიერ რომის რესპუბლიკასთან წარმოებულ ბრძოლა პირველობისათვის წინააზიამში (და არა მარტო წინააზიამში) და ამიტომ ისინი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ თვით პონტოს წინააზიამ სტრუქტურას, მისი მოსახლეობის შემადგენლობას, ეკლტურის რაობას და სხვ. გ. გოზალიშვილის წიგნი ნახევარზე მეტი ლათინური აქვს სწორედ ამ საკითხებს.

მთავარი საკითხი, რომელზედაც წიგნის პირველ ნაწილში იჭრება ავტორი, ეს არის საკითხი პონტოს სახელმწიფოს და შვი ზღვის პირა მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ. მრავალი წყაროს დამოწმებით ავტორი ცხადყოფს, რომ შვი ზღვის მთელი სამხრეთი სანაპირო სინოპამდე ქართველთა მონათესავე ტომები ცხოვრობდნენ. მხედველობაში მისაღებად აგრეთვე ის ვარაუდობა, რომ ახალბაბილონის მეფე ნახქორდოსოს II-მ VI ს-ის პირველ მეოთხედში ზე. ე-მდე ქართველები მასობრივად გადაასახლა ლევანადან (კლარქეთიდან) შვი ზღვის სამხრეთ სანაპირო მხარეში ტბაჩენებსა და მოსინიებს შორის, რომელნიც (მოსინიელები მაინც) მეგრულ ტომებად არიან საგულისხმევნი.

საერთოდ შვი ზღვის სამხრეთი სანაპიროს მოსახლეობა ვიდრე სინოპამდე ქართული წარმომოსიასა, სწერს ავტორი, გ. გოზალიშვილს მოჰყავს არა თუ ძველი ავტორების, არამედ XIX—XX ს-ეების დამკვირვებლთა ცნობები, რომელთა მიხედვით მთელი ამ მხარის მოსახლეობის არა მარტო გათვრქებული ნაწილი, არამედ ე. წ. ბერძნებიც (რომელნიც 1920 წლიდან იქ უკვე არ არიან) ქართული წარმომოსიას იყვნენ. აბერძნებად აქ იწოდებოდა ლაზური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გამაჰმადიანებას რადიკალურად გადაურჩა, ხოლო თურქებად — ის ნაწილი, რომელიც გამაჰმადიანდა* (გვ. 206). ამ საესებით სწორი დებულებიდან გა-

მოდის, რომ საქართველოს ფარგლებში (აქტიური მითრიდატე) მსოფრეუნი ბერძნები, რომელნიც ტრაპიზონისა და გამიზანის მხარედად არიან გადმოსულნი, ყველანი ძირითადად ძველ ქართველთაგან (ლაზ-კალს-იბერთაგან) არიან წარმომდგარნი (ვიმში-მანეს ქართული სახელაყო ნითხი, და იმ მხარეში ლაზების გარდა ქართლურად, ე. ა. საყუთრი ქართლად მოლაპარაკე ქართველები ბინადრობდნენ).

დასაუღეთო, გ. გოზალიშვილის აზრით, ქართველ ტომებს ეკავით მხარე მდ. ჰალისის შესართავიდან ვიდრე სინოპამდე და ამის დასაუღეთოა. ის იშველებს ზოგი მეცნიერის აზრს, რომ პომერკოსის მიერ მოხსენებული ხალიძონები ხალიძონი უნდა იყვნენო, ხოლო ხალიძების ნამდვილი სახელი, სტრაბონის დამოწმებით, ხალაი იყო. ზოგი ძველი მწერალიც (მაგ., სტრაბონი) ფტკობდა, რომ ხალიძონები იგივე ხალიძები არიანო. მდ. ჰალისის სახელის დაკავშირებას შესაძლებლობას იმავე ხალიძების სახელთან თითქმის კდედ უნდა ამავერდეს თეორიას იმის შესახებ, რომ ქართველ ტომები უძველეს ხანაში მდ. ჰალისის ზეობაში საერთოდ და განსაკუთრებით ქვედაწილის დასაუღეთოდა უნდა ყოფილიყვნენ. პომპონი მელი (II ს.) იხსენიებს ხალიძებს პატლაგონელთა უახლოეს მეზობლად, მაგრამ ეს მათ, ცხადია, სტრაბონის სიტყვების შეგუღეთნ მოდის, რომ პლიძონები ეთიომ ხალიძები არიანო.

ამ საკითხს და მასთან დაკავშირებულ წყაროებს და ლატერატურას გ. გოზალიშვილი მიმოხილავს საკმაოდ დაწვრილად და, შეიძლება ითქვას, იბიექტურადაც. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევას ძლიერ უღებია ავტორისავე მიერ წიგნის წინასიტყვაობაში თქმული, რომ ამ შრომაში აღძრული აბეგრი საკითხი მხოლოდ ახლა მასალის მოშვეღეთნ პოვებს გადაქრას შემდგომში-ო. ზოგი საკითხი, მასწავლებელად, ჩერჩვრობით აყობებს ლიად ექნას დატრეებული. დაეასახელებს ორიოდე მავალიოს.

გ. გოზალიშვილის აზრით (რს დასამტკიცებლად მას საკმაოდ ბლომად წყაროები და ლიტერატურა მოჰყავს) ცნობილი ტბალები და შემოკლები ქართველი ტომები უნდა იყვნენ. ის უწევს ანგარიშს იმ ვარაუდებს, რომ ძველი წყაროების მიხედვით, კერძოდ, შემოკლები შორს დასაუღეთით მცირე აზიამი ე. წ. ფრიგიამი ბინადრობდნენ. მას მხედველობაში აქვს ისიც, რომ ტბალები კლავდოკოამი და მისი სამხრეთითაც იყვნენ განლაგებულნი. აქედან მას ის დასკვნა გამოაქვს, რომ კანადოკიის მოსახლეობის მეტი ნაწილიც ქართული წარმომოსიას უნდა ყოფილიყო. კანადოკიის სახელი ჩერს ხოლოოდ ასწილი არაა. მაგრამ ყველაზე უფრო მისაღები უნდა იყოს ის აზრსა, რომელსაც

* პროფ. გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962 წ.

ჩვენი ავტორი აკტირებს, მხოლოდ არ ეთანხმება მას, სახელგანთქ, სახელი კაპაძეოცია (ასე იწერება) არის იგივე კატ-პატ-(ოკია), რაც აქმაღლრად (ასურულად) აიხსნება როგორც ხატების, იგივე ხეთების სახლი, მხარე, ქვეყანა მითრიდატის ხანაში ძველი ხეთური ენა კაპაძეოციაში მხოლოდ ადგილადავლ შეიძლება ყოფილიყო შემორჩენილი. მცირედ კაპაძეოცის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იქნებოდნენ ქართული (მეტრული) ტომებიც. მე გგონია, რომ სიფრთხილასათვის უფრო სწორი იქნება ასურული წყაროების მუშაობები არ აფერიოთ ქართველ შესხებთან, რადგანაც ძველი დასავლურებილი მარტო სახელის მიხედვით, რომ შორსულ ფრიგიაში რომელიმე ქართული ტომი სახელბუღიყო. ყოველ შემთხვევაში ამისთვის საჭირო იქნება დავუცადოთ ახალი მასალების მოპოვება. იოსებ ფლავიუსი, როგორც ეს გგონიალშვილსაც აქვს აღნიშნული, ბაბლიაში-მოხსენებელი ტომის მემშებს წარმოშობას აკვშირებდა კაპაძეოცის მთავარი ქალაქის მიახაის სახელთან. მაგრამ მაშინ იმავე სიფრთხილასათვის უფრო სწორი იქნება ასურული მუშაობები, რომელნიც ფრიგიაში და კაპაძეოცის ნაწილშიც არიან საეულისხმებელი, განეშორათ ქართულ შესხებს. ამასთან წამოიკრება საკითხი თვით პონტოს სახელმწიფოს თვისახელის შესახებ, ე. ი. როგორ იწოდებოდა ეს სახელმწიფო ადგილობრივ ენაზე.

რაც შეეხება ჩვენს ისტორიულ შესხებს (სამცხეთში), მათი სახელი გადმოტანილია შავი ზღვის პირა მოსხებისაგან უფრო, როგორც ვტყობა, ბატონური ფენის მეოხებით მას შემდეგ, რაც ძველ ხანაში ამ მხარეს სათავეში მოექცა მმართველი მოსხური ფენა.

ეთნური სახლა ტაბალი მეცნიერებაში მეტწილად გარეგებელი იყო ბაბლიაში მოხსენებულ ასეთივე სახელთან თოხელი, რომელსაც იოსებ ფლავიუსი თავის მხრივ აიგუებდა ქართულ ბებრელებთან. ასევე უჭირობს თავის წიგნში გ. გონიალშვილიც. მაგრამ ტაბალები ცხოვრობდნენ მცირე აზიაში სირიის მიმართულებით, და მეცნიერებაში ასეთი აზრიც იყო წამოყენებული, რომ ტაბალები იეროვლიფიური დამწერლობის მქონე ხეთებიც უნდა იყვნენ. ეს აზრი ახლა თითქმის მიერწყებულია. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ტაბალებისა და ქართველების იდენტურობისათვის დაბკოვლებას წარმოადგენს შორი მანძილი, რომელიც მთიერთმანეთისაგან ჰყოფთ. შესაძლებელია, აქაც ორ სხვადასხვა ეთნიურ ტერმინთან გვეკონფუსაქმე. ებრაული თოხბე შეიძლება იყოს პერიოდტეს მიერ მოხსენებელი ტომობრის სახელის ასპეირი-ის ეტივალენტი და, მართლაც აღნიშნავდეს ქართველებს. მცირე აზიის ტაბალები კი თითქმის სხვა ხალხის უნდა ყოფილაყენენ.

წიგნის მეორე ნაწილში გ. გონიალშვილი ვრცლად მოვეითხრობს რომის არსებბულის მიერ მსოფლიო ბატონობაზე, შემოყენებული პრეტენზიების წინააღმდეგ მებრძობაზე (120—63 წწ. წ. ე-მდე) ბრძოლების შესახებ. ეს იყო სამეკდრო-სასიციოტლო ბრძოლა, დაწყებული მონათმფლობელი რომის წინააღმდეგ იმ ხალხების უზარმაზარი კონგლომერატის მხრივ, რომლებიც სოციალურ-ეკონომიური წყობილებით რომის რეაბებლკასთან შედარებით წამორჩენილი იყვნენ. მაგრამ მათ ასულდგმულბდათ შეურჩებელი სიძულელი მონათმფლობელი რომის წინააღმდეგ, რომეიც თავისი სავაჭრო კაპიტალის სახით ხელს უწყობდა მონებით ვაჭრობას, ანაივებდა მოსახლეობას და თვით მათი პოლიტიკურ არსებობასაც საფრთხეს უქმნიდა. მითრიდატის მიერ წამოყენებული ლოზუნგების ვარშემო დარაბმენე, ქართლის სამეფოსა და სომხეთის ვარდკუნიამის ბოსპორის სახელმწიფოც, სეციური ტომები დიდ მანძილზე და ვერმანელ ბსტარნების ტომიც, მითრიდატის საბოლოოდ დამარცხებამ გამოიწვია რომაელების მხრივ საშინელი შტრასბიება. მითრიდატის ხეღქვეითი შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო მეგრული (ქანლახური) და ქართული ქვეყნებია აობრდნენ იმდენად, რომ შემდეგში მათ ვერ შესძლეს ფეხზე წამოღგონა და თავისა საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა. შემდგომ საუკუნეებში ამ ქართველი ტომების წამყვანი ფენების ნაწილი გაბერძნების გზას დაადგა, ხოლო X—XI ს-ნიდან იქ დაიწყო მოსახლეობის გათვრქების მღავერი პროცესი.

ავტორი სთვლის, რომ პონტოს მითრიდატიანების დინასტია ადგლობრივი წარმოშობისა იყო, და რადგანაც პონტო მას კაპაძეოცის ნაწილად მიანნია (რაც არ უნდა იყო სწორი), ამტომ თვითონ დინასტაციც, მისი აზრით, კაპაძეოკოლად უნდა მოდიოდესო. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ძველი წყაროების ერთმეგიც, ცნობა, რომ პონტოს მითრიდატიანება ძველი სპარსეთის აქემენიანთა დინასტიის შტოს წარმოადგენდნენ. პონტოს მითრიდატიანების საკითხისთვის ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მსოფლიო ისტორიაში აფრებელი ფაქტია იმის, რომ სამეფო და მმართველი დინასტიები ძლიერ ხშირად უცხოური წარმოშობისა იყვნენ. მაგრამ ერთი-ორი თაობის სოკრძეზე ხდებოდა ამ დინასტიის სრული ნატურალიზაცია — ისინი ადგილობრივი ხალხური შეიგებისა ხდებოდნენ. ქართულ ძველ სინაშფილში ცნობილია, რომ ქართველების პირველი ქრსტიანი მეფე შირიანი სანანიანთა სპარსული სამეფო დინასტიის ეფლისშული იყო. მაგრამ ქართველების მეფედ ვახტანგს ვამო, ის, მცარეწლოვანად მყოფი, ქართულ აღზრდას ღებულობდა და შემდეგში, როგორც მმართველი, სპარსეთის სწინააღმდეგ

გო ქართულ ხაზს ატარებდა. ამიტომ მითრიდატეანები თუმცა აქემენიანები იყვნენ და ამით ამაყოფნენ კიდევ, მაგრამ თავის უოფა-ცხოვრებაში სპარსულზე მეტად ბერძნულ გავლენას განიცდიდნენ. მართალია ამასთანავე გ. ვოზალიშვილი, როდესაც კატეგორიულად უარყოფს მომხუენის და სხვა დასავლეთური ისტორიკოსების ქედმაღლურ მოპყრობას თვით ისეთი პიროვნებისადმი როგორც იყო მითრიდატეანტორი (კეთილშობილი), ისტორიაში დიდად წოდებულ.

საქირო იყო ავტორს მეტი ხაზგასმით ან საყსებით ვარკვევით აღენიშნა, რომ პონტოს ჰქონდა, მგვ. ვანეთთარებული ხელოვნება და ისინი დანარჩენ ქართველებთან ერთად (იგულისხმება ქართლის სამეფოს და ეგრისის საფრისთაფოს ქართველები) ხმარობდნენ საერთო

დაწყერლობას, პონტოს ქართველებს მიართიდატზე ბევრად ადრე უყოლიათ საყუთორი ისტორიკოსებიც, რომელთა ნაწარმოებებს ქედნამდე არ მოუღწევია, მაგრამ მათ ისწენიებდნენ და იყენებდნენ ძველი ბერძენი ავტორები.

მითრიდატ დიდის მიერ რომაელების წინააღმდეგ წარმოებელი ბრძოლები კარგად, გულდასმით და არსებითად სწორად არის ვადმოცემული წიგნში. გზადაგზა მოცემულია ლიტერატურაში ცალკე საკითხებსა და დეტალებზე არსებულ აზრთა სხვადასხვაობის საბუთიანი კრიტიკული განხილვა.

საერთოდ, გ. ვოზალიშვილის ამ წიგნის ვამოცემით საკითხელისთვის უსათუოდ სასარვებლო საწმე ვაკეთდა.

სარგის კახაზაძე.

ქრეშული რუსთველოლოგიის საკითხეზზე *

რუსთველოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, ჩვენს ეპოქაში შეიქმნა და მისი მნიშვნელოვანი წარმატებანიც მას შემდეგ იქნა მოიჭრებულა. ამის დადასტურება გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა და ლიტერატორების — ნ. მარის, ა. შანიძის, იუსტიჩე აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროვას, შ. ნუცუბიძის, კ. ჰიკინაძის, გ. ნადირაძის, ა. ვაწერელიას, დ. ბენაშვილის, გ. იმედაშვილისა და სხვათა შრომები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ცნობილი რუსთველოლოგის ვუკოლ ბერიძის წყრილები.

ვ. ბერიძე ოციან წლებში დაინტერესდა «ვეფხისტყაოსნის» პრობლემატიკით. ამ ხნიდან მოკიდებული, თითქმის, ბოლო დრომდე ინტენსიურ პრატიკულ-შეპოქმედებით შოლვაყუობას ეწევა რუსთველოლოგიის დარგში. ამიტომაც კარგი საწმე ვაკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთველის საბელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, რომელშიც ვამოსცა ვ. ბერიძის წყრილების კრებული «ვეფხისტყაოსნის» მნიშვნელოვან პრობლემებზე (კრებულის შემდგენელი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. მეგრელიძე).

ამ წყრილების დაწერიდან ათეული წლები ვაიდა, მაგრამ ვუკოლ ბერიძის მიერ თავის დროზე დასმული და გადაწყვეტილი საკითხები დღესაც ვეხმარებიან «ვეფხისტყაოსნის» მხატვრული ენის, ტექსტობრივ და მსოფლმხედველობობრივ მხარეთა ვარკვევაში.

ვ. ბერიძის «რუსთველოლოგიურ ეტიუდებში» 28 წყრილია მოთავსებული.

«ვეფხისტყაოსნის» დაწერის 750 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში ფართოდ ვაიშალა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება, ამ ვაცხოველებულ მეცნიერულ საქმიანობაში თავისი წვლილი შეიტანა ვ. ბერიძემაც. ვანსაკუთრებით ამ პერიოდიდან მისმა რუსთველოლოგიურში კვლევამ ფართო ხასიათი მიიღო პრობლემატური საკითხების დასმისა და გადაწყვეტის მხრივ.

ვ. ბერიძის «რუსთველოლოგიური ეტიუდებში» არსებითად ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობის, მისა პოემის მხატვრული ენის, ლექსიყისა და ტექსტის ვაგებობასა და დადგენის საკითხებს.

რუსთაველის მსოფლმხედველობის ვარკვევას თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს წყრილები: *«К вопросу о мире»* *«Очерки Русаели»!* «ტირილი და მისი აზრი «ვეფხისტყაოსანში», «რუსთველოლოგიის ისტორიისათვის», «ილია ჰავაიძე და «ვეფხისტყაოსანი», «სიყვდილისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის «ვეფხისტყაოსანში». მკვლევართუოდ მართალია, როცა უარყოფს რუსთაველის შეპოქმედებაში მკვეთრ ფატალისტურ ვანწყობილებას, მაგრამ ვერ დავეთანხმებით, იმ მისაზრებაში, რომლის მიხედვითაც «ვეფხისტყაოსანში» თითქმის ნეოპლატონურად ვაგებული ვანგება უნდა დავინახოთ.

ვანსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ვ. ბერიძეს «ვეფხისტყაოსნის» პოეტყის საკითხების დამუშავებაში. წყრილში — «ვეფხისტყაოსნის» ენის თვისებებზე» მან ვაარკვეა რუსთაველის პოემაში მცა ნაწილყის ხმა-

* ვუკოლ ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1961.

რების შემთხვევები ენობრივ-სტილისტური ამოცანის გადასაწყვეტად, მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნების შექმნის, სიტყვაპოეტიკის თავიდან აცილების, ტაქსის რიტმულად და აზრობრივად გამართვის მიზნით.

სარტყენოი წიგნში მოთავსებულია საგუნდისხმო ნაშრომი „შოთას პოეტისათვის“, რომელშიც ვ. ბერიძე არკვევს რუსთაველის პოეტიკის თეორიის საკითხებს. იხილავს ჩა „ვეფხისტყაოსნის“ პაროლოგის იმ სტროფებს, რომლებიც შაირობას ეხება, ავტორი თვით პოეზიასვე ძვირებს რუსთაველის თეორიულ შეხედულებათა დამადასტურებელ მხატვრულ ფაქტებს. ამ ნაშრომის ძირითადი დებულებაა: „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი გ რ ძ ე ლ ი ს ი ტ ვ ე ა ა მ ო კ ლ ე დ, დ ა ე რ წ ა ბ ე ლ ა დ ჩ ი მ ო ს ხ მ ე ლ ი“ (გვ. 101). მტყველების ეკონომიის საშუალებით აზრის სრულყოფილად გამოხატვა ასახაიანებს რუსთაველს. ვ. ბერიძე აღნიშნავს რაც პოეტურ ხერხებს, რომელთა გამოყენებითაც დიდი პოეტი აღწევდა სიტყვას დაუწყველად ჩამოსხმას. მან ყურადღება გაამახვილა წინადადების აგების იმ თავისებურებაზე, რომელიც ვარაუდობს რომელიმე წევრის ან კავშირის გამოტოვებას და ამ წინადადებაზე აზრის მოკვეთილად გადმოცემას („ზოგთა თქვენს თუ „შართალია“, ზოგი, ღმერთო, უზრახვილია“; „თინათინის შემხედდელია“; „გაგანსო ალვს, დევმის ზეს...“). აზრის შემკერძებულად გადმოცემის მეორე პოეტურ საშუალებად „ვეფხისტყაოსანში“ ვ. ბერიძეს მიჩნეული აქვს ისეთი შედარებანი, რომელთა შემადგენლობაში მოხვედრილი ეპითეტა, როგორც საგუნდის დამახასიათებელი ატრიბუტი, ფარავს თვით საგუნდს და მის ავჯობს იჭერს. მაგრამ ამავე დროს არც ატრიბუტობას კარგავს და სწორედ ეს ხდის სიტყვას კონდენსირებულს. აზრის მაქსიმალური კონდენსაციის სხვა საშუალებებად ავტორი თვლის არსებითი სახელისაგან შედარებითი ხარისხის წარმოებას (უმოყურესი, დესი, უტენწმალეს) და ტემპის მოკლეობას (შეიწივლილოეს, შერასმე-სეიეს, და-ცა-ბნდა). მართალია, ეს ენობრივი მოვლენები აღორცე ყოფილა გაბატონებული მწერლობაში, მაგრამ, როგორც შეკლევარი შენიშნავს, რუსთაველმა ამავე ფორმებს სიტყვის მოკვეთილად, აზრის მოკლედ გადმოცემის ფუნქცია დააქარა.

„ვეფხისტყაოსანში“ ზმნების სიტყვის პირველად ი. ქაქვიძემ მიიტყა ყურადღება. სახელისა და უცვლადი სიტყვების ზმნად ქცევის ფაქტი „ვეფხისტყაოსანში“ ფართო მარჯვლობის სავნად აქცია იუსტიცე აბულაძემ. ვ. ბერიძეს რუსთაველის სიტყვათშემოქმედების ეს თავისებურებაც პოეტური მეტყველების ეკონომიის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიიჩნია. ეს არაა სადავო. სადავოა მხოლოდ ავ-

ტორის დებულება: „ზმნების სიკარგე განსაკუთრებით აღნიშნულია იქ, სადაც შინაარსით ვალმოცემულია ბრძოლა...“ (გვ. 107). მართალია, თავისი გმირების სულის მოძრაობის გამოსახატავად რუსთაველი უველანე ხშირად ზმნებს მიმართავს, მაგრამ როგორც ეს მოძრაობა არაა ყოველთვის სწრაფი, არც მისი გამოხატველი ზმნები შეიძლება იყოს ბრძოლისა და მოქმედების გადმოცემა. სულ სხვა საქმეა, როცა რუსთაველი სახელებსა და უცვლელ სიტყვებს აზმნავებს. ამ შემთხვევაში სავესებით სწორია ვ. ბერიძე, რომლის აზრითაც, რუსთაველი მეტყველების სხვა ნაწილთა განმარტების გზით „სისწრაფის, მამასადამე, ეკონომიურობის მაქსიმალურ ეფექტს იძლევა“ (გვ. 107).

გარკვეული ინტერესის შემცველია კრებულში წარმოდგენილი ნარკვევი „რუსთაველის შაირისათვის“, რომელშიც ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ პოეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. მისი ძირითადი დებულება ასეთია: „მალაღი ანუ ჩქარი შაირი შოთას უპირატესად გამოყენებული აქვს მაშინ, როდესაც მდგომარეობა, საქმის ეოთარება და უყოვნებლო მოქმედებას მოითხოვს; ამავე შაირით გადმოცემულია უფრო ხშირად მხიარული, სალაღობო სცენები.“

დაბალი, ანუ ნელი შაირი, პირიქით, უპირატესად გამოყენებულია მაშინ, როცა მოსაწყენი, სეიდის მომგვრელი სურათება მოცემულია. აგრეთვე მძიმე სერიოზული საკითხება გადასაწყვეტია, ანდა ეპიკური თხრობაა გადმოსაცემი“ (გვ. 118). ავტორის მსჯელობა სწორია იმ ნაწილში, რომელიც შაირის ამა თუ იმ სახეობის გამოყენებას თხრობის ტემპის საქირებას უკავშირებს (მალაღი შაირი დაუყოვნებელ მოქმედებას, ზოლო დაბალი — ეპიკურ მომენტებს გადმოსაცემს). ჩვენი აზრით, ლესის რიტმს განწყობილებების ტონი ე არ განსაზღვრავს, არამედ გარკვეული შინაარსისა და მოტივისადმი თვით პოეტის დამოკიდებულება, ე. ი. ის თვალსაზრისი, თუ რა გარემოებას თვლის ავტორი მოცემულ მომენტში განმსაზღვრელ ფაქტორად მოქმედების განვითარებასათვის. რაც შეეხება განწყობილებას, იგი საპირისპირო შემთხვევებშიც უ შეიძლება თვისებულად გამოიხატოს როგორც მალაღი, ისე დაბალი შაირით. ამისი მავალითები თვით „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი მოიპოვება.

საუირობდებო ახსნა მოგვცოება ვ. ბერიძეს წერიალი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული სახის განმარტებისათვის — 1421-ე სტროფის მეორე ტავთან დათავირებთ („ამას პეიადეს, ოდეს ერთგან მეშთარ, ზოღლ შეიყარეს...“) ავტორი სავესებით სწორად მიჩ-

ნებს ასტრალურ პლანში გაფორმებულ ამ ტა-
ვის ტარიელისა და ნესტანის შეხვედრის სი-
დიადის განადიდებულად გადმომცემ მხატვრულ
სახედს.

„ვეფხისტყაოსნისათვის“ დამახასიათებელია
მე-4 ტაეპის წინ და კავშირის დასმა, რის გა-
მოც მე-17 მარცხელი ემატება სტრიქონს და
თითქოს რიტმი ირღვევა. უნდა აღინიშნოს,
რომ და კავშირი მე-4 ტაეპის წინ კითხვის
დროს ისე სწრაფად უნდა წარმოთქმულიყო,
რომ მას მარცხლას წარმოქმნის შთაბეჭდილება
არ შეექმნა. და კავშირის საკითხს „ვეფხისტყა-
ოსანში“ სპეციალურად შეეხო ვ. ბერიძე. პო-
ემის სტროფთა კონკრეტული ანალიზის საფუძ-
ველზე იგი აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს
და კავშირის დასმას მე-4 ტაეპის წინ, რა-
გორც ლექსის კონსტრუქციული, არსებითი ნა-
წილისა.

რუსთაველის პოემის სიტყვათა სემანტიკური
მხარის გასასწის თვალსაზრისით საინტერესოა
ვ. ბერიძის ერთი რეცენზია ე. ჭიჭინაძის მი-
ერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“.

საგულისხმო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული
ავტორის წერილში „საგან“ სიტყვის ეტიმოლო-
გიისათვის“.

ვ. ბერიძის რიგი წერილები („ვეფხისტყაო-
სის“ პრალოგის ერთი ნაწილს შედგენილო-
ბისათვის“, „ვეფხისტყაოსნის“ პრალოგის ერთი
სტროფის გაგებისათვის“, „ამხანაგთა სარ-
თველად“, „ჩემი აწ სიყვარული ყოველმან, მას
ვაქვს, ვინცა მიქია“ სტროფისათვის „ვეფხის-
ტყაოსანში“, „ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის“
„ტექსტისათვის“, „საყენ სიტყვისათვის“ „ვეფ-
ხისტყაოსანში“) ეხება რუსთაველის პოემის
ტექსტის საკითხებს. უნდა ითქვას, რომ ბერ
რამეში ავტორი საინტერესო მოსაზრებებს
გთავაზობს.

ვერ დავეთანხმებით ავტორს 969-ე სტროფის
მე-2 ტაეპის (შორით ნახნა, მენავენი მიდიო-
დეს შიგან ზღესა) გასწორებაში: ნახა უნდა
და არა ნახნა, რადგან მენავენი ქვემდებარეა

და არა ობიექტი (გვ. 287). ავტორისგულ-
და-აზრებაში იმისთვის, ვინც შორიდან დაინახა,
რომ მენავენი მიდიოდეს შიგან, ზღესა ქვე-
ვენი პრალოგი ობიექტია. მტკიცედ უნდა ითქვას
„ნახნა“ ზმნისთან არაა დასახლებული.
მაგრამ ზმნის კონსტრუქციის მიხედვით იგი
ივლისსმება და ივლისსმება ისეთივე ფორ-
მით, როგორცაა მეორე წინააღმდეგებაში ქვე-
მდებარე წარმოდგენილი. ამდენად პოეტს შე-
ეძლო ეთქვა ნახნა და არა ნახა (ნახ-ნა-ში ნ
პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშა-
ნია). ამიტომ ამ ტაეპში ფორმა „ნახნა“-ს
ხმარება შეუძლებელი არაა.

წერილებში ხშირია მსგელობათა სიტყვასიტ-
ყვითი განმეორებანი. მაგალითად, წერილში
„ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება“ ლაპ-
არაკია მცა ნაწილად გამოყენების შესა-
ხებ „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 9—10), იგივე აზ-
რი მცა ნაწილად შესახებ უცვლელად
გამოყენებული წერილში „ვეფხისტყაოსნის
გარემო“ (გვ. 38—39). ნაშრომში „და“ კავ-
შირისათვის „ვეფხისტყაოსანში“ 234—236 გვ
ავტორი მსგელობს იმაზე, თუ რას წარმოად-
გენს და ნაწილად პოემაში. იგივე დასაბუ-
თება და კავშირის გამოყენების თაობაზე
სიტყვასიტყვით მეორდება მომდევნო წერილ-
ში — „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“
(გვ. 244—246). ამგვარ განმეორებათა თავიდან
აცილება ადვილად შესაძლებელი იყო წინ-
აწერილში გამოთქმული მსგელობებზე მითითე-
ბით.

ვ. ბერიძის „რუსთაველოლოგიური გეოგრაფი-
ის“ გამოცემა უდაოდ სასარგებლო საქმეა
ამ წიგნში თავმოყრილია „ვეფხისტყაოსნის“
ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარის მიერ ათეული
წლების მანძილზე რუსთაველის პოემის ძირ-
ითარ საკითხებს გარემო ჩატარებული მუ-
შაობის შედეგები, რომელთა გათვალისწინებაც
აუცილებელია რუსთაველოლოგიური პრობლე-
მების შემდგომი დამუშავებისას.

გალვა ლლონი

ნიკოლას გილიენის ლექსები ქართულად*

„ველით მივყარს ჩემი ხალხივით მხიარუ-
ლი, მგზნებარე და ძლიერი ქართველი ხალხი.
ღღას რევილუციურ კუნძუში ვიგონებ ჩემს
ქართულ მეგობრებს და მშტრად ემზადები ყვე-
ლას. დიდ სიამოვნებას მგვრის საქართველო-
ში გატარებული დღეების მოგონება“ — ეს

სიტყვები ველოენის კუბური ლტერატურის
ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, კუბე-
ლი ხალხის საყვარელ პოეტს ნიკოლას გი-
ლიენს, რომლის შემოქმედება ფართოდაა
ცნობილი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და
მათ შორის საქართველოშიც.

ნიკოლას გილიენის ცხოვრება სისხლ-ხორ-
ცივლად დაკავშირებული ძველი ხალხის
რევილუციურ ბრძოლასთან, თავისუფლებისა

* ნიკოლას გილიენი, ლექსები, მთარგმნელი
გურამ გოგიაშვილი, საბჭოთა საქართველო 1961.

და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან. გილიენის პოეტური ნაწარმოებები ეს ავტორისავე ბიოგრაფია, ებუღი ხალხის ბრძოლის ისტორიის ამსახველი ფერცლებია, რომლებშიც მძლავრად ისისს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოეტის დაუცხრომელი ხმა.

ჩემი სამშობლო თავლი მგონია, ქვეყნად ათასი სიმწრის მინახველი, ჩემი სამშობლო თავლი მგონია, ზერბეტის ემზი თან დაყოლია, სამოთხის ემზი თან დაყოლია, მაგრამ მზე ადგას თავზე ნაღველის.

საქართველოში ნიკოლას გილიენის პოეზიას, როგორც იტყვიან, ბედმა გაუღიმა. ჭერ იყო და რეზო თარხან-მოურავმა გილიენის ლექსებზე შექმნა ნახატები, რომლებშიც შთაბეჭდილადა ასახული „მზიარული და მკუნებარე“ ებუღი ხალხი. ნახატებმა უსაზღვრო მოწონება დაიმსახურეს თვით ნიკოლას გილიენისა. შედეგ კი (მართალია შედარებით მოგვიანებით) ცალკე წიგნად გამოვიდა გურამ გოგიაშვილის მიერ თარგმნილი გილიენის რჩენული პოეტური შედევრები.

ნიკოლას გილიენის ლიტერატურული მემკვიდრეობა მებრძო ვრცელია და ხანგრძლივი დროის მანძილზე იქმნებოდა. ქართულად გამოსულ პატარა წიგნაკში მთარგმნელს შეუჩვევია ისეთი ლექსები, რომლებიც შედარებით სრულყოფილად და კოლორიტულად ვადმოსცემს და ასახავენ ებუღი ხალხის ნაციონალურ ტემპერამენტსა და ხასიათს.

„პოეზია ყოველთვის მზიბლავდა. როცა საშუალო სასწავლებლის მაღალ კლასებში ვიყავი, სწორედ ლიტერატურას, მის ისტორიასა და თეორიას, ორ სავანს რომლებსაც ზენ ვეასწავლიდნენ, ვანდიობები ვუვლახე შერ დროს — წერს ნიკოლას გილიენი.“

გილიენის ლექსების თემა ებუღის ისტორიას და აწმყოსთანაა დაკავშირებული. პოეტს ყოველთვის ახსოვს თავისი ხალხის შეებნელი წარსული და ამას ლექსშიც მებრძულად გამოხატავს:

ბილი არ უჩანს ზღვაზე იაღქნებს
გასაძლიებობით ზანგებს სიღელი,
წაქცულ ღერწამს ქარი მითარევს
და მათობს იქნევს მონათფლობელი
ირველი თივლებში ცრემლთა ციალი.

შიღილი მკლავი,
უღონი მუხლი,
კვლავ შაქრის ღერწმის პლანტაციები,
ჰალავ უნაყოფი დღეების მწუხარი
და კენის სულის ამოხდომამდე.

ნიკოლას გილიენი იმ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული პოეტია რიცხს ევროპის, რომლებსაც ხშირად მებრძო რთული საქმე დაეკო-

სრებათ — ისინი რევოლუციის გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგში აღმოჩნდებიან და მათ ხმას მილიონობით ადამიანებში უსმენენ. გილიენის ხალხში სიმღერად მსუბუქი ლექსები, ეს იმავე ხალხის ბიოგრაფიაა, ვითხელობთ მათ და ჩვენც მათთან ერთად ნაღველი გვიპყრობს და სიხარულიც გვეუფლება.

ნიკოლას გილიენის პოეზიის მახარბრებელი წყაროა მშობლიური ხალხის წიაღში აღმოცენებული ხალხური პოეზია და ზემოხსენებული პოეტის ქმნილებებში ძნელი ხდება ვარჩიოთ სად თავდება ხალხური სიმღერის მოტივები და სად იწყება ლექსი. მთარგმნელს ამ შემთხვევაში შესანიშნავად მოუძებნია და შეუთავსებია ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი თავისუფალი და ლალი სასიმღერო რიტმი:

როცა მოველ ამ ქვეყნად,
მე არავინ მელოდა;
ხალხის ზღვას შეეფერთდი,
გული რომ არ მტკენოდა.
ქვეყნად როცა მოვედი,
მე არავინ მელოდა...

გილიენი თავის ქვეყანაში დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, იგი ყველგანაა სადაც ხალხის ბედი წყდება, იგი ისეთივე სიხარულითა და აღტაცებით მიუჭდება საწერ მაგიდას, როგორი სიხარულითა და აღტაცებით ებრძობება საწარმო დაწესებულებებს, მუშებს, ახალგაზრდებს, გლეხებს და სხვებს, ესტუმროს მათ ვინც მის ლექსებს სწავლობენ და მღერაან. ამიტომაცაა, როდესაც ჩამოთვლიან ებუღის რევოლუციის დიდ მწერლებს და სხვა საზოგადო მოღვაწეებს ნიკოლას გილიენის სახელი ყოველთვის პირველად მოიხსენიება. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, რომელიც პლაი-ხირონთან ინტერვენტების განადგურების წლისთავს მიეძღვნა, გილიენი ამბობდა: პლაი-ხირონის ვებრებმა ვადაარჩინეს ჩვენი პოეზია, ჩვენი მუსიკა, ჩვენი პლასტიკური ზელოვნება, ჩვენი ლიტერატურა, და ბოლოს, მთი ვადაარჩინეს ჩვენი ინტელექცია...

და აი, ამ ვებრებს, მათ ვეკაცურ საქმეებს ემღერის პოეტი. სამოცო წლის ნიკოლას გილიენი კვლავ ჩვეული ენერჯითა და შემართებით განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბილი ქართულ ენაზე გ. გოგიაშვილის მიერ თარგმნილმა ლექსებმა ჩვენს მკითხველებს საშუალება მისცა გასცნობოდნენ რევოლუციური ებუღის უშესანიშნავესი წარმომადგენლის პოეტურ ქმნილებებს.

ახალი წიგნები

„საგვოთა მწერალი“

- ვახლ ბარნოვი — თხზულებანი. ტომი 7. რედ. გ. ლეონიძე. გვ. 689, ფასი 2 მან. 50 კაპ.
 რადენე გვიტაძე — რჩეული პროზა. რედ. შ. დემეტრაძე. გვ. 325, ფასი 72 კაპ.
 პავლე ინგოროყვა — ილია ქაქუცაძე. რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 252, ფასი 58 კაპ.
 ალექსანდრე ბეგაშვილი — ნიკორწმინდის ეარსკელავი. რედ. ვ. წულუკიძე. გვ. 71, ფასი 10 კაპ.
 მურმან კოთაია — აღმნიანებს ნაპირი უხმობს. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 91, ფასი 14 კაპ.

„ნაკადული“

- პატარა ხაუნჯე — ტომი 1. რედ. ე. ვირსალაძე. ნ. აღანი. გვ. 306, ფასი 1 მან. 20 კაპ.
 პატარა ხაუნჯე — ტომი 2. რედ. ე. ვირსალაძე. ნ. აღანი. გვ. 269, ფასი 1 მან. 20 კაპ.
 ბორის პოლიველი — იმბავი ნამდვილი აღმნიანსა. თარგ. პოლიველი. რედ. მ. მისურაძე. გვ. 348, ფასი 75 კაპ.
 ლევან ვოთა — ჩვენი ჩემპროთიანი თანამგზავრები. რედ. ვ. ძიძიგური. გვ. 46, ფასი 15 კაპ.
 ვახტანგ კვიციანი — ესთეტიკური სახეები. რედ. ე. ძიძიგური. გვ. 76, ფასი 15 კაპ.
 ჩვენი კოცონი — რედ. ე. უზილაძე. გვ. 306, ფასი 85 კაპ.
 იოსებ ნონეშვილი — წლები და ლექსები. რედ. რ. ორჯონიძე. გვ. 142, ფასი 35 კაპ.
 ნოდარ გურამანიძე — სტანისლავსკი. რედ. ო. ევაძე. გვ. 157, ფასი 45 კაპ.
 ნობათი — რედ. ნ. ბუზარაშვილი. გვ. 108, ფასი 25 კაპ.
 რეზო ტყეშელაშვილი — ბზიანეთი. რედ. ქ. ნიქიბაძე. გვ. 110, ფასი 12 კაპ.
 კომპლუ — რედ. გ. კიკილაშვილი. გვ. 12, ფასი 15 კაპ.
 ემზარ კვიციანი — გზაში, ხათვადი სიმღერა. რედ. რ. ორჯონიძე. გვ. 90, ფასი 10 კაპ.
 ჭუჭუბუკ გარბაძე — კლდეა. თარგ. თედო სახოკიასი. რედ. ლ. გეგელია. გვ. 246, ფასი 80 კაპ.
 მორის ფოცხიშვილი — მზო, ძმითა ხარ ძლიერი. რედ. რ. ორჯონიძე. გვ. 90, ფასი 12 კაპ.
 ახალგაზრდობა — რედ. რ. ბეგანიშვილი. გვ. 463, ფასი 15 კაპ.
 დავით მისურაძე — კაცობიობის გაზაფხული. რედ. დ. შვედლიშვილი. გვ. 236, ფასი 50 კაპ.
 რა უნდა იყოღვს პიონერ-ბელმძღვანელმა — რედ. ქ. კვარაცხელია. გვ. 108, ფასი 15 კაპ.
 ვ. ბრეჯელი — შეილიშვილები. თარგ. ნონა კვანდალიშვილი. რედ. დ. ლაშქარაძე. ე. ბეჭუქელი. გვ. 572, ფასი 1 მან. 85 კაპ.
 ბორის პატაძე — ლიტერატურული წერალები. რედ. ბ. ვლენტი. გვ. 429, ფასი 75 კაპ.
 ნ. პავლევი — სრულიად საკავშირო ალექსანდრეოვი კომიტეტის ანგარიში და კომეკვირის ამოცანები სკვპ 22 ურილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. რედ. ო. ჩერქეზია. გვ. 114, ფასი 11 კაპ.
 ატკაი აქამატოვი — ყუმბების ტრამალებზე. თარგ. ელიზბარ უზილაძე. რედ. ქ. ჭინტრაია. გვ. 148, ფასი 21 კაპ.
 აღიხანჯა — გადამუშავებული ა. გენჯიასი. რედ. მ. ამიშვილი. გვ. 30, ფასი 40 კაპ.
 შ. ბაღრიძე — ექვთიმე თაყაიშვილი. რედ. შ. მესხია. გვ. 86, ფასი 20 კაპ.
 რ. შერტრეველი, შ. ბაღრიძე — ექვთიმე თაყაიშვილი. რედ. შ. მესხია. გვ. 6, ფასი 20 კაპ.

ՅՆԸՆ 80 ՎՅՅ.

6 ՉԴ/Մ


ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ
ԻՆԴԵԿՍ
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Մ Ն Ա Դ Ե Ը“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ՏԱԲՇՈՒ ՄՇԵՐԱԼԻ“